1982/3

ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

3 1982

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე | № 3 | მარტი, 1982 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## სარჩევი


რეზო ამაშუკელი — ციკლიდან „ლენინგრადი — ჩრდილოეთის სიმღერა“. ლექსი 3
რევაზ მიშველაძე — ნოველები 7
ბელა შალვაშვილი — ლექსები 17
მზია ხეთაგური — ლექსები 20
მაყვალა გონაშვილი — ლექსები 26
ლილი გოგებაშვილი — ლექსები 29
ნელი ტულუკოვა — ქართველთა მხარე. ლექსი. თარგმ. ბ. ხარანაულმა 31
გოჩა არჩვაძე — მოთხრობები 32
იმედი ჯახუა — ლექსები 45
ელიზბარ მაისურაძე — გარიყრაყი. რომანი 50
პეტრე შამათავა — ფილოსოფიის მასწავლებელი 89

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

მირონ ხერგიანი — ტიბაანი და ხირსა 106

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

რევაზ ჯაფარიძე — საქართველო და ქართველები 126
ჯანსუღ ღვინჯილია — ფესვების ბრძანება 141
ავთანდილ იოსელიანი — მემუარული ჟანრის თავისებურებანი 148
მედეა მალალაშვილი — ბარბარე ჯორჯაძე 156

### ჩვენი იუბილარები

ზურაბ ჭუმბურიძე — დიდაენის მესაიდუმლე 160
სარგის ცაიშვილი — ღვაწლი თვალსაჩინო, მნიშვნელოვანი 166

ვახტანგ სიდამონიძე — არშის ციხის თქმულებანი 173


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, თ. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, თ. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე,

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11
მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23. 02. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. IV. 82 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X$108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 06195 ტირაჟი 26.950. შეკვ. 525 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1981.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ამაშუკელი

17471

## ციკლიდან „ლენინგრადი—ჩრდილოეთის სიმღერა"

1

ეს თებერვალი
აღარ გათავდა,
აღარ გათავდა ქარის ზუზუნი,
— ისევ გათოვდა!
ფანჯრის რაფასთან
ნაცრისფერი დღე
ზის მობუზული...
　　— ცრის ალმაცერად...
　　მაგრამ მირკანი
　　ვერცხლის ეჟვნებით
　　ედება ბაღებს...
　　— ზამთარი ისე გადავიტანე
　　არ დასცდენია სიმღერა ბაგეს!
ცრის ალმაცერად...
რვეულებს დაყრილს
ვერ მოვუნახე თავი და ბოლო,
მე ვენაცვალე
ბრდღვიალა აპრილს —
— ნაღდი სიმღერა
მან იცის მხოლოდ!
　　ყოჩივარდებით
　　ბეჟუტავს ლარნაკი.
　　მონატრებული დასისხლულ ვარდებს.
　　— ხვალ
　　ნევისპირას მდგარი ქალაქი
　　სამხრეთულ მოტივს
　　მოაფენს პარტერს!
— გზაზე ვადგავარ!
წკრიალებს ჯერაც
სტრიქონი, მე რომ მივანდე რინდებს...

ქ. მარ... სახ. საქ. სსრ
სახე... რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღილს აკერებენ ქათქათა პერანგს
და ხელჩანთაში
მიწყობენ წინდებს.
გული ფრთხიალებს
როგორც მჭრინავი
ჩიტი და უკვე
იქ ვარ ფიქრებით,
— ხვალ გადასერავს ცას თვითმფრინავი,
ხვალ მე თბილისში აღარ ვიქნები!

2

ბევრი ოცნება ავისრულე.
და როს ვინატრე...
...და როსინანტი მოვიხილე
ღამეში მადრიდს...
აღმოსავლეთის,
დასავლეთის,
ჩრდილი და ჩადრი....
— მაგრამ სულ სხვაა
ამ ქალაქის
შორი სინათლე
— ვიცი.
უმღერა არა ერთმა
ბრინჯაოს მხედარს,
ვიცი,
უმღერეს გრძნეულ აკვანს
გზნებით ერებმა...
— სრულყოფილება რატომ ბადებს
შეუცნობ სევდას,
უთქმელ სიხარულს რატომ ბადებს
მშვენიერება?!.
— აი, ქალაქი,
პოეტების ნამდვილი მექა!
— აი, რუსეთი,
დახვეწილი,
სათნო და ზრდილი!
აქ ყოველ კუთხას
ადგას ბლოკის ცისფერი ჩრდილი
და დოსტოევსკის საფეთქლების
მარადი ფეთქვა!

— ვიცი,
ვერ ვიტყვი,
რაც მინდოდა,
რაც უნდა მეთქვა,
მაგრამ ნაღდია ეს სიჩუმე
ყელში გაჩრილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— და ხმა პოეტის,
სასიკვდილოდ მკერდში დაჭრილის,
თავისუფლების მარადიულ
ზარებით რეკავს!

3

ოქროში ბრწყინავს
ისაკის ტაძრის გუმბათი...
და უცხოელი ტურისტების
ჭრელი ჯოგი
ხელს მაღლა იშვერს,
რადგან ოქროა,
მოლაპლაპე ოქროა ზემოთ...
— ბურჟუასავით მივაშურე
ძველ „ასტორიას",
თავს დამტრიალებს ორი მიმტანი,
ვახშმობის დროა,
ვზი მოთენთილი,
ხიზილალას მივირთმევ კოვზით...
    — ხოლო, საფლავებს,
    შიმშილისგან ცოცხლად გამქრალ
    ადამიანთა,
    ერთი საერთო წარწერა აქვს,
    მიტომ, რომ მკვდარი
    ვერავინ იცნო,
    მიტომ, რომ მხოლოდ
    ძვლები დამარხეს...
...უკრავს ორკესტრი „ასტორიის"
**«Love Story»**-ს
— ვის ახსოვს ომი!
ხიზილალას
მივირთმევ კოვზით...

4

...„არა პურითა ხოლო"...
მაგრამ სად იყო პური!
აკივლებული ზოლი.
გავარვარებულ ჭურვის...
    და ჯოჯოხეთში იდგა
    ქალაქი, რკინის მხედრის,
    მიაცურებდა ციგას
    ზედ გაყინული ცხედრით...
...ოთახში ვზივართ ორნი,
თამბაქოს კვამლში, უბრად,
— შორი აჩრდილი ყორნის
გადაეფარა სუფრას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალზე ადგება ცრემლი
და ისევ ამბობს: — არა!
აკანკალებულ ხელით
აიღებს ჭიქა არაყს.
და წამოსცდება ჩუმად
ორიოდ სიტყვა კვნესად:
— ეს გაუმარჯოს იმათ
და მოთმინებას ჩვენსას!..
...„არა პურითა ხოლო...“

5

— რაც განვიცადე.
რაც ვერ გითხარი,
რაც სიყვარულით მივედ-მოვედე,
სიქეთის ვალი
ერთი მისხალიც
არ დარჩენიათ ქართველ პოეტებს!
— მადლობელი ვარ,
მადლობელი ვარ,
მადლობელი ვარ თანადგომისთვის!
ჩავალ
ჩავუტან ჭერს და ბალავარს
შენს სადღეგრძელოს
და იქ მოგიცდი!
— იქ, სადაც ადგას
მტკვარსა და არაგვს
ცა მოღუღუნე
ცისფერ აფრებად...
ეს გაუმარჯოს
შენს ქუჩებს მარად,
ჩემს ალტაცებას და მონატრებას!

1982 წ. 10 მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ნოველები

## ალე

კავკასიონის მთებში მიკარგული პატარა სოფელი ლილო, რომელსაც თავზე ქვარჩის მყინვარი დაჰყურებს, მინერალური წყლებით მაინცდამაინც არ ბრწყინავს (თუმცა, როგორც ყველა კურორტზე, აქაც არის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნომერი წყაროები და, დამატებით, სილამაზის წყაროც), მაგრამ დიდ ქალაქთან ახლოს არის და ზაფხულობით ბევრი სტუმარი ჰყავს. ლილოში ერთი გაუბედურებული სასტუმრო და სამი კიდევ უფრო კეთილმოუწყობელი პანსიონატი. სასტუმროში მოწყობა (ნეტავ თუ არსებობდა ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა თამარ მეფის დროს?) მხოლოდდამხოლოდ ადგილების წინასწარ დაჯავშნით ხდება. ჯავშანისთვის რაიონის ხელმძღვანელობაში მხოლოდდამხოლოდ ორ კაცს უნდა მიმართოთ, ხოლო უფრო ზევით — ვისთანაც ხელი მიგიწვდებათ.

ღამის ათი საათის სიახლოვეს, ბავშვებსა და სიდედრებს რომ მიაძინებენ, სპორტულ პიჟამაში გამოწყობილი მამაკაცები ძირს ეშვებიან და ზურგზეხელებდაწყობილნი, სერიოზული სახეებით დააბიჯებენ სასტუმროს პატარა ეზოში. რასაკვირველია, არავინ უშლით ეზოდან გასვლას და ქუჩაში გასეირნებას, მაგრამ დიდოს ცენტრალურ გზატკეცილზე მანქანები დაქრიან და ტალახში ფეხის ჩაკვრის დიდი შესაძლებლობაც არსებობს. ამ არცთუ უბრალო მიზეზთა გამო დამსვენებლები, თუ რამე აუცილებელი საქმე არ ექნათ, სასტუმროს ეზო-ყურეს არ შორდებიან.

— თუ ასე გაგრძელდა, დაიღუპება, კაცობრიობა, —ამბობს შუახანსგადაცილებული დიდთავა კაცი, შარვალს მაღლა იწევს და, თითქოს სრულიად უმტკივნეულო ფრაზა დაეგდოს, განზე იყურება. მან მშვენიერად იცის, ეტყობა, ფეხბურთზე და ქალებზე გაცხოველებული საუბრიდან მამაკაცთა სხვა თემაზე გადართვის მეთოდები.

— რაზე ამბობ? — თითქმის ერთდროულად ეკითხება მას ოთხი მსჯელობისმოყვარული დამსვენებელი.

კაცობრიობის დაღუპვის მაცნეს ლეონტი ჰქვია. განათლებით ინჟინერი გახლავთ და მმაჩის ბიუროში მუშაობს მორიგე ფოტოგრაფად. შეიძლება არც კი იყოს საჭირო ლეონტის მოკრძალებული პროფესიის გამხელა, მაგრამ ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ლეონტის სპეციალური ფილოსოფიური განათლება არ მიუღია და არც თანამედროვე ულტრასოციოლოგთა გამოკვლევების ცოდნით უსკდება თავი. მაგრამ რაც იცის, სულ თვითგანვითარებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძენია და ნებისმიერ კამათში ჩარევა კი მისი სტიქია გახლავთ.

ლეონტი ფიჭვის ძირას, სკამეიკაზე ჩამოჯდა და კაცობრიობის ბედით შეძრწუნებულ მოქალაქეებს თავისკენ მოუხმო. დამსვენებლებს სახეზე ეტყობოდათ, რომ ლეონტისგან ბაჯაღლო ჭეშმარიტების გაგების იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ მოსაწყენ საწოლამდე ერთ საათს მაინც მოჰკლავდნენ და ესეც საქმე იყო.

— როგორ გგონიათ თქვენ, რატომ დავდივართ ყოველ საღამოს ასე წინ და უკან დაბარებულებივით, —დაიწყო ლეონტიმ და ცოტა ხანს შეჩერდა. ეტყობა, მოსალოდნელ ეფექტს მიუყურადა, — რატომ დავდივართ, იცით? ვნერვიულობთ. ჩვენ კი არ ვისვენებთ ახლა, დამსვენებლებს ვთამაშობთ. აწ გარდასულ დამსვენებლებს ვბაძავთ. სხვა იყო ლერმონტოვის დროს: ჩამოვიდოდა ესენტუკში პეტერბურგელი მოქალაქე და ისვენებდა. ივიწყებდა ვალებს, სამსახურს, მსოფლიო იდეებზე ფიქრს. მას ეს შეეძლო. ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენი ტვინის ყველა უჯრედი ახლა საქმითაა დაკავებული. თქვით, აბა, ლოთიანად, რომელი თქვენთაგანია ახლა მოსვენებული. თავისუფალი იმისაგან, რასაც ჩვენი ყოველდღიური ფუსფუსი ჰქვია? რა ხდება ახლა იქ, სამსახურში? ამ კითხვებითაა დამუხტული ჩვენი გონება. არ არის ასე? დილის ხუთ საათზე გამეღვიძება და ჭერს შევცქერი ღია თვალებით. თითებზე ვანგარიშობ, როდის გავა ეს უპატრონო თვრამეტი დღე. თქვენც ასე ხართ ჩემსავით. ასე რომ არ იყოთ, ჩვენ ერთმანეთს არ მოვძებნიდით. ასე არ არის? ამ დაძაბულობას, ამ დაჭიმულ ნერვებს თუ რამე არ მოვუხერხეთ, დაიღუპება კაცობრიობა. მეცნიერები ამტკიცებენ ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციები მონაცვლეობით მუშაობენო.

— რაიო? — იკითხა ხრინწიანმა ხმამ.

— ტვინში ერთი ნაწილი უჯრედებისა რომ მუშაობს, ორ მესამედს ძინავს და ასე ხდება ენერგიის აღდგენაო. არა მგონია ეს მართალი იყოს. შეიძლება გასული საუკუნეების ადამიანის ორგანიზმში ხდებოდა ასეთი რამ, მაგრამ ახლა არა. ახლა სხვა აგებულების ადამიანი მოვიდა: არც ერთი წამით არ ისვენებს ჩვენი სასიცოცხლო ფუნქციები, ის, რასაც ჩვენ, ძილს ვეძახით, სულ არაა დასვენება...

ვინ იცის, ეს ღრმადმეცნიერული კამათი რა სახეს მიიღებდა, რომ ვიღაცას სასტუმროს შენობისკენ არ გაეხედა და იდუმალი ჩურჩულით არ ეთქვა:

— ალე მოდის.

ითქვა თუ არა ეს სიტყვები, ხუთივე მამაკაცი ზეწამოიჭრა და ალალისგან დაფეთებული წიწილებივით სხვადასხვა მხარეს დაიფანტა.

ვინ იყო ეს ალე ასეთი, რომ მისი გამოჩენა საკმარისი აღმოჩნდა კაცობრიობის მომავლისთვის ამ მეტად სასარგებლო კამათის ჩასაშლელად?

ალე ცეცხლაძე ურიგო კაცი როდი გახლავთ. ქუთაისის ოცდამეშვიდე სახელოსნო სასწავლებელში სამნეო ნაწილის გამგედ მუშაობს. საშუალო ტანის, ბეჭებში მოხრილი, გამხდარი კაცია, ადგილმრეწველობაში შეკერილი უპატენტო ჯინსი აცვია და მოკლესახელოებიანი ნაქსოვი პერანგი. მეათე დღეა, რაც ლილოში ჩამოვიდა. განსაკუთრებულს და გადასარევს არაფერს სჩადის. მოვა დამსვენებელთა ჯგუფთან, კაი გამარჯობა თქვენიო, იტყვის. ჩუმად, უსიტყვოდ უსმენს კამათს. არ ერევა, არავის აწუხებს თავისი ზოგადი განათლებით. ოღონდ ეგ არის, როცა მსჯელობით დაღლილი მამაკაცები დასაშლელად წამოდგებიან, ალე სიტყვას იღებს და დარცხვენით ამბობს: „გაფიცებთ გულით საყვარელს. არ მითხრათ ახლა ვარი. ასე მშრალად ჩვენი დაშორება არ გამოვა. „მანავი“ მაქვს კაი ჩამოსხმა, სამი ბოთლი. კაი მანჭკვალა სოკო შემხვდა დღეს იაფად. შევიდეთ აგერ ჩემთან და ყელი გავისველოთ“.

პირველ საღამოს ათიოდე კაცი შეიკრიბა ალე ცეცხლაძის ნომერში. მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს შვიდზე მეტი ვერ მოაგროვა. შემდეგ დღეებში კატასტროფულად იკლო ყელის გასველების მსურველთა რიცხვმა. არ არის მსმელი თავისი ბუნებით ქართველი კაცი, მითუმეტეს აქ, ღილოში ჩამოსული. ჩვენებური ხომ მანამ არ წავა დასასვენებლად, სანამ ღვიძლი არ შეაწუხებს, ან გული არ მოუკაკუნებს საეჭვოდ. ჰოდა, არ უნდათ დალევა „წესიერ ცხოვრებას" დანატრულ კაცებს. კეთროვანივით გაურბიან ალეს. ზოგი თავის ტკივილს მოიმიზეზებს, ზოგი ბავშვის ავადმყოფობას. გამოჩნდება თუ არა ორმოცდაათს მიტანებული, გაუხეხავჯინსიანი კაცი, დამსვენებლები უკმაყოფილოდ იშმუშნებიან და მდუღარეგადასხმულივით გარბიან სხვადასხვა მხარეს. ალე კეთილი კაცია. იმედს არ კარგავს. ამ ხალხის პატივისცემა რომ არ სურდეს, ვინ აძალებს, წავიდეს დილით ბაზარში იყიდოს სოკო ან ლორი, ჩააცივოს „მანავი" და ხმის ჩახლეჩამდე სდიოს ჭიქის მომჭახუნებლებს.

ალემ ნაძვებისკენ აღმა წასულ ლეონტის გზა გადაუჭრა.

— ლეონტი!

— ვერა, ჩემო ალე. არ მცალია, შენს თავს ვფიცავარ. ახლა მანქანით უნდა მომაკითხონ. სერიოზულ საქმეზე მივდივარ.

სამნეო ნაწილის გამგე მიხვდა, რომ ლეონტისთან საუბრის გაგრძელება კარგს არაფერს უქადდა და სასტუმროსკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მძიმეწონიან მამაკაცს გამოუდგა.

— კირილე!

— ბატონო, — კირილე შეჩერდა.

— ათი წუთით შევიდეთ, გულით საყვარელს გაფიცებ, თითო ჭიქა მარტო. კაი ჩაციებული „მანავი" მაქვს და რაჭული ლორი — ზამთარში გამოყვანილი.

— ავად ვარ. ალე, თვარა ამდენი ლაპარაკი მინდა მეე? შენთან ჭუკჭუკს რა მირჩევნია-ა, დამადე შუბლზე ხელი, — სიცრუე მეტი რაღა იქნება, რაც ახლა კირილემ იკადრა.

— რავა გეკადრება, მჯერა, კირილე ბატონო, ისე, გამოგაკეთებდა ერთი ჭიქა „მანავი".

— ვიცი მე ჩემი უბედური ორგანიზმის ამბავი, — ჩაილაპარაკა კირილემ და სასტუმროს ღია კარებში ტუცა თავი.

— ბესო!—აივანზე გადმომდგარ დამსვენებელს დაეღრიჯა იმედგადაწურული ალე ცეცხლაძე.

— გისმენ, ჩემო ალე!

— ერთი ჭიქა, მარტო ერთი, კარგ ხასიათზე დაგაყენებს.

— წამლებს ვსვამ, ალე ბატონო, სამ თვეს წვეთს ვერ ჩავიკარებ პირში.

— წვეთი და მიქსტურა არ მოშორდა შენს დამაწყევარს — ცრემლი გაერია ხმაში ალეს, — რა დაგაძინებთ, კაცო, ასე მშრალი ყელით და ფხიზელი ტვინით ამ ღამეში.. ნეტავი თქვენს ხასიათს,— ჩაილაპარაკა ალემ, გატრიალდა და ფიჭვის ძირას დამსვენებლების მიერ სახელდახელოდ შეჭედილ სკამეიკაზე მარტოდმარტო დაჯდა.

კარგა ხანს იჯდა მწარე ფიქრებს მიცემული.

ღმერთმა მაინც არ გასწირა. არ გაუვლია ერთ საათს სასტუმროს კარებში დაბალი, უკისრო, მაგრამ ლამაზად ჩასხმული კაცი გამოჩნდა და პირდაპირ ალესკენ წამოვიდა. „ახალი ჩანს. უცნობია. ეტყობა დღეს ჩამოვიდა. პირდაპირ არ ვაჯახებ. ჯერ საერთოდ გავესაუბრები, თორემ ესეც გამექცევა სხვებივით. აქეთური-იქეთური და შევიტყუებ ჩემს ნომერში. ისეთი ტანის კაცი ჩანს, რომ არა მგონია ერთ ჭიქაზე უარი მტკიცოს" — გაიფიქრა ალემ და რევერანსებით სავსე საუბრისთვის მოემზადა, მაგრამ საბედნიეროდ დიპლომატიის რკინის კანონები არ დაჭირვებია. უცნობი წინ დაუდგა და უცერემონიოდ დაიწყო:

— გამარჯობა, ჩემო ბატონო, ლევან შაფათაძე ვარ მე. ტყიბულიდან. შახტაში ვმუშაობ. დარბაისელი კაცი ჩანხარ და მიტომ მოვედი შენთან. ერთი საათის ჩამოსული ვარ. კაციშვილს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცნობ აქანა. თუ არ მიკრავ სუფრას წიხლს და გამისწორებ ხასიათს, შენთავის მოვკვდები. კაი ძველმავი მაქვს ჩამოტანილი და ყვითელ სიმინდზე გაზრდილი დედალი. მრგვალად მოხარშული. შევიდეთ და, ჩვენი გაცნობის, ათათო წელში გამოყვანილი ჭიქა დავლიოთ.

— კი, ბატონო. უარს რავა გკადრებ ახალგაზრდა კაცს მაგნაირ საქმეზე, — წამოდგა ალე და ლევანს ხელი გაუწოდა, თან გულში დააყოლა: „შენ აგაშენა ღმერთმა, ა, კაცი".

ორიოდე წუთში ისინი მხიარული მასლაათით ადიოდნენ კიბეზე.

* * *

იმ საღამოს შემდეგ ალე ცეცხლაძე სასტუმროს „ინტელექტუალურ" დამსვენებელთაგან არავის გამოჰქონდათ ჭიქის მიჯახუნების მომაბეზრებელი თხოვნით.

მსჯელობას მოყვარულნი კვლავ ძველებურად მსჯელობენ.

ალე ცეცხლაძე და ლევან შაფათაძე კი ყოველ საღამოს ერთად სხედან, ხან ალეს უფანჯრო ნომერში, ხან ლევანის ნახევრადლუქსის აივანზე.

ნათელი ხვალინდელი დღის გათენებას უსურვებენ მეშვიდე ჭიქით ერთმანეთს და დამშვიდობებისას ისე ღონივრად ართმევენ ხელს, თითქოს ხვალ, ახალ შეღამებულზე ისევ არ შეიყრებოდნენ საჭუკჭუკოდ, სამუსაიფოდ.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

## კომედია

მერაბ გურგულია ბუნებით მორცხვი ყმაწვილი გახლდათ და „სასწრაფო დახმარების" ჭიშკარს რომ გაცდა, ერთბაშად შიშმაც შეიპყრო. „აქ ხალხი საქმეზე მიდი-მოდის, რანირად გავაგებინო ამ პატიოსან ჯამაათს, რომ მეც სერიოზულ საქმეზე ვარ. რა ჯანდაბაში ჩავდგი ფეხი, რა კინო ამიტყდაო" — გაიფიქრა და დომინოს მოტკაცუნე პირველივე ჯგუფისკენ ათრეული ნაბიჯით გაემართა.

მიამიტ მკითხველს ორიოდე ფრაზით ვაუწყებ საქმის ვითარებას: დამწყებმა პროზაიკოსმა მერაბ გურგულიამ კინოსცენარი დაწერა. ეს გახლდათ კინოკომედია სასწრაფო დახმარების ერთ მხიარულ ეკიპაჟზე. მერაბს ხელშეკრულება გაუფორმეს და სთხოვეს, თუ არ შეწუხდებოდა, ორშაბათს სასცენარო კოლეგიის სხდომაზე მოსულიყო. დამდგმელ რეჟისორს, კინოსტუდიის დირექტორს და სასცენარო კოლეგიის თავმჯდომარეს სცენარი ძალიან მოეწონათ და მერაბი ორშაბათს კოლეგიის სხდომაზე რომ არ გამოცხადებულიყო, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, სცენარი ახლა უკვე წარმოებაში იქნებოდა, მაგრამ მერაბი წესიერი ყმაწვილი გახლდათ და კოლეგიის სხდომაზე დროზე გამოცხადდა. რაკი სცენარისტი თავისი ფეხით მოვიდა, კოლეგიის წევრებმა საჭიროდ ჩათვალეს არა მარტო შენიშვნები გამოეთქვათ, დაესაბუთებინათ კიდეც და კატეგორიულად მოეთხოვათ თავიანთი შენიშვნების მიხედვით სცენარის საფუძვლიანად გადაკეთება. მერაბმა მეორე შეცდომა დაუშვა, მას შეეძლო სცენარი წამოეღო, ერთი თვის შემდეგ უცვლელად მიეტანა და ეთქვა — თქვენი შენიშვნების მიხედვით გადავამუშავეო, მაგრამ ვინაიდან წესიერი ყმაწვილი გახლდათ — ყველა შენიშვნა (საქმიანიც და უსაქმოც) გულმოდგინედ ჩაინიშნა უბის წიგნაკში და სხდომა რომ დამთავრდა, სასოწარკვეთილის სახე მიიღო. ამჯერადაც სასცენარო კოლეგიის თავმჯდომარეს შეეცოდა: — „წადით, სასწრაფო დახმარების სავადმყოფოში, გაიარ-გამოიარეთ. იქ განსაკუთრებით გულისხმიერი ექიმები მუშაობენ, სთხოვეთ რაიმე საინტერესო გიამბონ თავიანთი პრაქტიკიდან. რაც მოგეწონებათ, დაიმახსოვრეთ და ასე, ცხოვრებისეული ეპიზოდებით გაამდიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ თქვენი სცენარიო". მერაბს ეს რჩევაც ჭკუაში დაუჯდა და აი, მას ახლა თავისი თეთრი ჯინსით, მოკლესახელოებიანი შავი (თეთრლილება) კვართით და განუყრელი სათვალეებით სასწრაფო დახმარების ეზოში ვხედავთ, დომინოს თამაშით გართულ თეთრხალათიანთა ჯგუფისკენ მიმავალს.

დინოზავრი რომ წამოადგეთ დომინოს მოთამაშეებს თავზე, გამოცდილია, რომ არც მაშინ შეწყვეტენ თამაშს და მერაბ გურგულიას ვინ შეამჩნევდა. ერთხანს იდგა და უცქეროდა, მერე ჩახველებით ამცნო მედომინე პერსონალს თავისი მოსვლა. არც ამ ღონისძიებამ გაჭრა. ბოლოს მერაბმა ადგილზე ხტომა და ხელების ტყაპუნი დაიწყო, მაგრამ მით უფრო შეუმჩნეველი დარჩა. ამ სტრიქონების ავტორის ვარაუდით, მერაბს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაქცევდნენ ყურადღებას, თუ ჯიქურ მივიდოდა და სერიოზული სახით დომინოს მოთამაშეთა თვლას დაიწყებდა.

შორიახლო სასწრაფო დახმარების მანქანა რომ გაჩერდა, მერაბი მაშინვე იქეთ გაეშურა. გზაშივე გადაწყვიტა, რომ მისთვის საინტერესო ამბების მოყოლა ტექნიკურ პერსონალზე უკეთ ექიმს შეეძლო, ამიტომაც მანქანიდან გადმოსულთ მეყვსეულად შეაგება.

— თქვენს შორის ექიმი რომელია?

— სოკრატ ხურცილავა გისმენთ, — მოწყენით უპასუხა საშუალოზე მაღალი ტანის, სიმპათიურმა მამაკაცმა, რომელსაც მკვეთრად გამოხატული კახური აქცენტი რომ არ ჰქონოდა, მერაბი უსათუოდ მიამსგავსებდა პრეზიდენტ ჯონ კენედის მრავალრიცხოვანი ძმებიდან ერთ-ერთს — რომელიმეს.

მერაბი თითებს იმტვრევდა, არ იცოდა როგორ დაეწყო.

— ბატონო სოკრატ, მე კინოსტუდიიდან გახლავართ, ფილმს ვიღებთ თქვენს მუშაობაზე.

ექიმს სახე გაებადრა, ხალათის ღილებს მიწვდა, წელში გაიმართა და კინოს კაცს ხელკავი გამოსდო.

— დიდი მადლობა... მე... იმისი არ იყოს, რა გამიკეთებია... მო[illegible] ჩემთვის ასეთი პატივი.

— ვერ ვთქვი სწორად, — სათვალე გაიმშრალა მერაბმა, — თქვენზე კი არა პირადად, სასწრაფო დახმარების მუშაობაზე საერთოდ.

— ეგ სხვა საკითხია, — ცოტა არ იყოს წყენა შეერია ხმაში სოკრატს — მე, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— იქნებ მოიგონოთ რაიმე სასაცილო შემთხვევა თქვენი პრაქტიკიდან?

— როგორი?

— სასაცილო რაიმე, კურიოზული.

— რატომ მაინცდამაინც სასაცილო? — ექიმს ქვედატუჩი აუკანკალდა და ცხვირის ნესტოები დაეცვარა.

— იცით რა, პატივცემულო სოკრატ. ჩვენ კინოკომედიას ვიღებთ, სასაცილო სიუჟეტები გვჭირდება.

სოკრატი შეჩერდა. თავიდან ფეხებამდე აათვალიერა ახალგაზრდა სცენარისტი და საკმაოდ მკაცრად ჰკითხა:

— ჩემთან ვინ გამოგგზავნათ?

— არავინ, მე თვითონ.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე ვერაფერში გამოგადგებით. ორმოცი წელია ამ სასწრაფოში ვმუშაობ და ისეთი, თქვენ რომ გდომებიათ, არაფერი შემინიშნავს. ჩვენ გვირეკავენ, გავრბივართ, ხანდახან მეათე სართულზე ულიფტოდ გვიწევს ასვლა. შევდივართ გულგაგლეჯილები ავადმყოფთან და, თუ მთლად განწირული არა ჰყავს გამჩენს, სიცოცხლეს ვუბრუნებთ. ამ საქმეში მე სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

სოკრატი უცერემონიოდ შეტრიალდა და სასწრაფო დახმარების მანქანისკენ წავიდა.

მერაბი სახტად დარჩა. დამწყებმა სცენარისტმა ვერ გაიგო, რა აწყენინა სიმპათიურ ექიმს — სოკრატ ხურცილავას. ყოველ შემთხვევაში, ტაქტიკას გამოვიცვლი, ჯიქურ არ მივადგები და კინოსტუდიას არ ვუხსენებ პირველადო. ჯერ ჩვეულებრივად გამოველაპარაკები და მერე მოვაყოლებ ჩემი მოსვლის მიზანსო. ასეც მოიქცა. ტროტუარს დაადგა და სასწრაფო დახმარე-

ბის კაბინეტების ღია ფანჯრებში ჭვრეტა დაიწყო. სხვის ფანჯარაში ცქერა დიდად საძრახის საქმედ არ მოჩვენებია, რადგანაც მაგიდაზე დახრილი და თავთავიანთ ფიქრებში ღრმად ჩაძირული ექიმები ახალგაზრდა სცენარისტს ვერ ამჩნევდნენ და თუ დაკვირვების ობიექტი მერაბის ორ დახველებაზეც არ ასწევდა თავს, სტუმარი რწმუნდებოდა, რომ მას ღრმად ეძინა და ფანჯარას შორდებოდა. როგორც იქნა, იპოვა, ვისაც ეძებდა; ერთ ფანჯარაში ფხიზელი ექიმი დალანდა. უფრო მეტიც, ხელში სატკაცუნო ეჭირა და ბუზებს სიცოცხლეს უმწარებდა. ექიმი მელოტი გახლდათ, უსათვალო, არწივისცხვირა. ნაოჭებზე ეტყობოდა, რომ იმ ასაკისა გახლდათ, როცა მამაკაცები კანონიერ ცოლს სტოვებენ და საყვარლებს მიჰყვებიან გაქცეული სიყმაწვილის დროებით დასაბრუნებლად.

ექიმმა მერაბის შემოსვლა მაშინვე შენიშნა, მაგრამ ბუზებზე ნადირობის აზარტულ საქმეს ვერ შეელია.

— გისმენთ, — მოუხედავად ესროლა შემოსულს და ნათურისკენ გაფრენილ, დღეს თუ ხვალ სატკაცუნოს ფარქვეშ სამარცხვინო სიკვდილისთვის განწირულ ბუზს თვალი გააყოლა.

— გამარჯობათ — მერაბი კარებში იდგა.

— გაგიმარჯოთ, გისმენთ.

— მორიგე ბრძანდებით? — რაღაც ხომ უნდა ეკითხა მერაბს.

— დიახ, გისმენთ.

თავგადაპარსულ ექიმს ხრინწიანი, დაწყვეტილი ხმა ჰქონდა.

მერაბს შეკითხვა ერთბაშად შემოელია. ამინდზე რომ ჩამოვუგდო ლაპარაკი, ვაითუ სალახანად მიმიჩნიოს და კარებისკენ მიმითითოსო, ამიტომაც პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— თქვენს ყოველდღიურ მუშაობაში სასაცილო თუ არის რაიმე... ვთქვათ... გასახსენებელი... სხვას რომ უამბობ და კარგ ხასიათზე დააყენებს.

ექიმმა სატკაცუნო დადო და შემოსულს მიაშტერდა. იმ ორმოციათას შვიდას ოცდახუთი შეკითხვიდან, რაც მისთვის ცხოვრებაში დაუსვამთ საერთოდ, მსგავსი არ ყოფილა.

— სასაცილოს მეტი რა არის, დაბრძანდით, —საქმიანად თქვა მასპინძელმა.

მერაბმა შვებით ამოისუნთქა და დაჯდა.

— თქვენ საიდან ბრძანდებით? — მერაბს ცუდად ენიშნა ექიმის გადასვლა შეკითხვებზე.

— კინოსტუდიიდან ვარ. თქვენს პრაქტიკაში რაიმე კურიოზული შემთხვევა თუ შეგხვედრიათ, — სცენარისტმა უბის წიგნაკი ამოიღო და სმენად იქცა.

ექიმი წამოხტა, კარებს ეცა და შიგნიდან გადაკეტა. ფანჯარა მიხურა, ფარდა გაასწორა, იდუმალი სახით დაუბრუნდა მაგიდას და მერაბ გურგულიას თითქმის ჩურჩულით აუწყა:

— სასაცილო და კურიოზულის მეტი რა შემხვედრია. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდები კაცი თქვენ რომ ეძებთ, ისეთ ფაქტს.

— რაიმე სასაცილო, არაჩვეულებრივი, არალოგიკური.

— მესმის, მესმის, მივხვდი. სწორედ რომ სასაცილო და არაჩვეულებრივი ყელამდეა ჩვენთან. დღეში საშუალოდ ოცდაექვსი-ოცდაშვიდი შემთხვევა მაინც არის.

მერაბს სახე გაებადრა და საწერკალამი ამოიღო.

— თუ შეიძლება მიამბეთ რომელიმე.

ექიმმა ფანჯრისკენ გაიხედა, მერე ჭერს ააცივდა, დაახლოებით ასამდე დათვლის დროში ჩამოსწია თავი და დამწყებ სცენარისტს უაზრო თვალები მიაპყრო.

— შენ გგონია მახსოვს?

მერაბმა ამ პასუხით საინტერესო მოგონებების საღამო დამთავრებულად ჩათვალა, უბის წიგნაკი ჯინსის ჯიბეში ჩაიდო და გულისხმიერ მასპინძელს არც კი გამომშვიდობებია, ისე გამოიხურა მისი კაბინეტის კარი.

დაახლოებით ასე. ცხრა წუთის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ, იგი მანქანიდან ქაქანით გადმომხტარ კოჭლ ექიმს ფეხდაფეხ მოსდევდა. მერაბს უკვირდა, არც კოჭლობა და არც სიბერე ამ კაცს ხელს ოდნავადაც არ უშლიდა, რომ მანძილი სასწრაფო მანქანიდან თავის სამორიგეო კაბინეტამდე სარეკორდო დროში დაეფარა. სცენარისტმა გზა თვალით გაზომა, ექიმი კარებამდე თუ მიასწრებდა, ვინ იცის. საით გაუჩინარდებოდა, ამიტომაც, რაც შეეძლო, გაუსწორდა და ქამანდივით სტყორცნა პირველივე შეკითხვა.

— მომიყევით რამე.

ექიმმა წამით მოიხედა და ისევ გაიქცა.

— ამბავი! — ხმას მოუმატა მერაბმა. მანძილი კარებამდე სახიფათოდ მცირდებოდა.

— რა ამბავი? — ექიმს ნაბიჯი არ შეუნელებია.

— სასაცილო.

— რომელზე? — ექიმი ულვთოდ გარბოდა.

— თქვენზე.

— რისთვის გინდა? — კარები სულ ახლოს ჩანდა.

— კინოსთვის! — ლამის იყვირა მერაბმა.

და სასწაული მოხდა, ექიმი შეჩერდა, დოინჯი გაიკეთა, დამწყები სცენარისტი თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და ყრუ ხმით ჰკითხა:

— რამდენი წლის ხართ?

— ოცდახუთის —დაბეჯითებით უპასუხა მერაბმა.

— რამდენით ვიქნები შენზე უფროსი?— ექიმმა ჩაჩი მოიხადა. ივი გაცილებით უფრო ბებერი გახლდათ, ვიდრე სირბილის დროს ჩანდა. ნაყვავილარი სახე, აქა-იქ ამოსული თეთრი წვერი, თამბაქოსგან შეყვითლებული თხელი, ქარაფცუა ულვაშები, დაღლილი, უპეებში ღრმად მიმჯდარი მუქლურჯი თვალები.

— ვერ გეტყვით. — გულწრფელი იყო მერაბი.

— ჩემო ბიძია. რად გინდა ეგ ამბავი. შენ აქ ახალი ხარ, გეტყობა. იმათ ყვები, იმ უსაქმურებს? — ექიმმა დომინოს მოთამაშეებისკენ ხელი გაიშვირა.

— არა ბატონო, მე კინოსტუდიიდან ვარ — ცრემლი გაერია ხმაში მერაბს.

— მაინც შენსას ამბობ? არ გირჩევ, ჩემო ბიძია, მასეთ ლაპარაკს. არ ვარგა. ოჯახში მოხუცებული არავინ გყავთ? ორი კვირა დამრჩა და გავალ პენსიაზე. მე არავის ვუშლი ხელს. ვარ ჩემთვის. რა შენი ტოლი ვარ, ჩემო ბიძია, მე. წადი, შენი კბილა მოძებნე და იმას ელადავე.

მოხუცმა მშვიდად, ხვნეშით კიდევ რაღაც უთხრა მერაბს და გატრიალდა. სცენარისტს მისი ბოლო სიტყვები არ გაუგონია, ცრემლები ახრჩობდა. რა მოხდა, რა დააშავა, რატომ ვერ გაუგეს?

ჭიშკრისკენ მიმავალს ვიღაც წამოეწია და ბოდიშის მოუხდელად განუცხადა — მთავარი ექიმი გთხოვსო.

— სადაა? — სასწრაფო დახმარების ეზოს თვალი მოავლო სცენარისტმა.

— მეორე სართული, მესამე ოთახი, კიბიდან მარჯვნივ, აწერია, — სხაპასხუპით მიაყარა უცნობმა და ზურგი უჩვენა.

მთავარი ექიმი, ბალზაკის ასაკს გადაცილებული, მაგრამ კარგად შენახული. წარმოსადეგი ქალი გახლდათ. ფრესკულ სახეზე მოწყენილობისა და სიმკაცრის ნიღაბი ძალიან უხდებოდა. მან შემოსულს სავარძელზე მიუთითა და აზერბაიჯანული კონდიციონერის ღილაკს ალუბლისფერმანიკიურიანი თითით შეეხო.

— აი, რა ჩემო კარგო, — მთავარ ექიმს თანამდებობისგან გათამამებული ქალის დაყენებული ხმა ჰქონდა — ჯერ ერთი, წესია დაწესებულებაში შემოსულმა სტუმარმა პირველად უფროსთან უნდა შემოიხედოს. ამისთვის გვაძლევს ჩვენ სახელმწიფო ხელფასს. არ უნდა იყოს, ჩემი აზრით, მაინცდამაინც საკადრისი ცალკეული ექიმების დევნა ეზოში და გამოკითხვა. მე შიშით არაფრის არ მეშინია. რომ იცოდეთ, ძალიო მომაბეზრეს ეს მთავარი ექიმობა თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალვე დანიშნონ, ვინც უნდათ, ქე მაინც დრო მეტი მექნება და ჩემს ოჯახს მივხედავ. კი, მართალია, ნაკლი გვაქვს, ვის აღარა აქვს მუშაობაში ნაკლი დღეს. მითხარით ერთი, თქვენ უნაკლოდ მუშაობთ? სწორი ბრძანდებით აქ თვალთმაქცი და გაიძვერაც ბევრია, მაგრამ საკომედიო ჩვენ არაფერი დაგვიშავებია. მე დაველაპარაკები კინოსტუდიის დირექტორს (ტელეფონს შეხედა), ვურეკავდი ახლა და არ არის კაბინეტში. არა მგონია, ანგარიში არ გაგვიწიოს. ღმერთო კი მომკალი, კომედია და შარჟი უნდა კიდევ ისედაც სახელგატეხილ სასწრაფოს? საერთოდ ასე ხართ თქვენ—კარგისთვის მადლობას არავინ გვეტყვის, პატარა რაღაც შეგვეშლება და ტყავს გვაძრობთ. არ ვარგა ასე. არ არის სწორი. თუ ჩემი ადგილი ვინმეს უნდა, კი ბატონო. რა შუაშია კომედია და რა დააშავა საერთოდ სასწრაფო დახმარებამ? მე, სხვათაშორის, ამ საკითხს კონფერენციაზეც დავსვამ. მეტი დაბალი ღობე ვერავინ ნახეს? შეიხედეთ სხვაგან, საკომედიოს და საკლახოს იქ ნახავთ, თუ ნახავთ, მაგრამ სხვის წყენინებას ისევ ჩვენი წყენინება გირჩევნიათ, ვიცი მე. ჩვენ პატრონი არა გვყავს და იმიტომ.

უფროსი ექიმი ნერვებს იოკებდა, მაგრამ ხმის კანკალზე ეტყობოდა, ძალიან ღელავდა.

...მოაბიჯებდა შინისკენ ახალგაზრდა მწერალი მერაბ გურგულია და სახე ჩამოსტიროდა. უკვე მიმხვდარი გახლდათ, რომ მის სცენარს კინემატოგრაფიული სიცოცხლე არ ეწერა.

## მ წ ე რ ი

— დალაქს ელოდებით?

ორმოციოდე წლის, კეპჩამოფხატულმა, ცხვირპაჭუა კაცმა თვლემას თავი წაართვა და უხალისოდ ამხედა.

— დიახ.

— თქვენს გარდა იცდის ვინმე?

ხმა არ გამცა. ატალახებულ ქუჩას მხატვრის ერთგულებით გასცქეროს.

— ბოლო ბრძანდებით-მეთქი?!

საჭიროზე უფრო ხმამაღლა ჩავძახე და გვერდით მოვუსკუპდი.

აშკარად ეტყობა ჩემთან ლაპარაკის ხალისი არა აქვს. რა დავუშავე, კაცმა რომ თქვას?

კეპი შუბლზე აიწია და საფეთქლებთან უშნოდ წამოზრდილი თმა ყურსუკან ჩაიხვეტა.

— პირველი იყავი, თუ გინდა. თვითონ წაჩერჩეტდა სადღაც და საათია აგერ ველი, გაგიგონია?

— რაო, რა თქვა?

— მზახალთან ჩავირბენ და ხუთ წუთში მოვბრუნდებიო. ეს ამხელა ბოქლომი რომ დაადო კარებს, კი მივხვდი ხუთ წუთში მომბრუნებელი რომ არ იყო, მაგრამ ასეთი უნამუსო თუ იყო, არ მეგონა.

დაბა დამსვენებლებით არის სავსე. ჩვენს წინ დიდი მოწონებით სარგებლობს „იაპონური ამწე-ლატარია“ (ასე გაჰყვირის უზბეკურქუდიანი, წითური მელატარიე), ჩააგდებ თხუთმეტკაპიკიანს და ღილაკს თითს დააჭერ. სამკაუჭიანი ამწე დაიძვრება. ლატარიის ფსკერზე დაშვებისას კაუჭებს გამოსდებს იაფფასიან „მოსაგებ“ საქონელს და მტკაველზე რომ წამოილებს მაღლა (და სიხარულისგან გული რომ შეგიქანდება, ახლა კი მოვიგეო), სწორედ მაშინ დაუძვრება რკინის ჭვანგებიდან „მონაგები“ და ამწე თავის ადგილს ცარიელი უბრუნდება. უნდა გამოვტყდე, მეც წამძლია სულმა და გუშინ მეც გადავიქეცი ლატარიის მიერ მოტყუებულ პინგვინად.

იაპონურ სათამაშოს ირგვლივ შემოჯარულთ თორმეტიოდე წლის ბრტყელთავა ბიჭი გამოეყო და ჩემს ახალ ნაცნობს წინ დაუდგა.

— მამიკო, მომეცი რა თხუთმეტკაპიკიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ წაიგე? — მამამ გვერდზე ზიზღით გააპურჭყა.

— კინაღამ მოვიგე ახლა.

— კინაღამ გაჭმევს პურს?

— მომეცი რა, გეხვეწები, მეტს აღარ მოგთხოვ.

— გადაშენდი იქით! — კაცმა ზურგი შეაქცია ბავშვს და მე მომიბრუნდა.

— ორი მანათი ისე წამლლიტა ამ მაიმუნობაში ახლა, რაც აგერ ვარ, რომ ხელი არ ატოკებია. დაუფჩენია პირი და შაბათის მათხოვარივით თხუთმეტიანს მთხოვს. ეს გამოვა კაცი, ეეს?

— მომეცი რა გეხვეწები?!

გაბრაზებული მამა წამოიხარა და ბალახებში ქვას დაუწყო ძებნა, მაგრამ მისი უყისმათო პირმშო კენგურუს ნახტომებით ხალხს შეერია.

— აქაური არც თქვენ უნდა იყოთ, — კითხვა შევაპარე.

— არა ბატონო, ერეხელი გახლავართ. თოვლის გულისთვის კაცი წამოვა ამ სიშორეზე? მაგრამ სულელი ცოლის პატრონი ვარ და რა ვქნა. ოჩანვირს ხანდახან თუ არ დაყევი, კლდეზე გადაგაგდებს. ერეხში თოვლი ამ ბოლო დროს, ჩემს ჯინაზე, წამლადაც აღარ მოდის. ავიკიდებ მესამე წელია ამ დროს (ან ცოტა მოგვიანებით) ბარგი-ბარხანას და მოვძვრები აქეთ. თან ქე მრცხვენია. რა კურორტი ეს არის. თოვლია მეტი ხომ არაფერი. თოვლი ვნახე დამწვარი!

— რატომ. არც ასეა საქმე. ბავშვებს უხდება.

— ბავშვებს ყველაფერი უხდება, გენაცვალე. ამხელა რომ ვიყავი, მალაზიას მიტოვებდა მამაჩემი. ახლა ამას ორ ბატს ვერ ჩააბარებ.

— ოჯახი დიდი გაქვთ?

— ოჯახი ქეა ღვთის წყალობით, მაკრამ რად გინდა, კაპიკის შემომტანი არაა ჩემს მეტი.

— მაინც ასეთი უპატრონობა, აქ რომაა, არსად მინახავს — შევატყვე, რომ მისთვის საინტერესო თემას გამოვდე ანკესი. ასეთებს კირკიტი და ყველაფერზე უკმაყოფილო ბ[illegible]ვიათ. ალღომ არ მიმტყუნა.

— უპატრონობა? რა ხდება, კაცო! კიოსკში ჩვენი გაზეთები რომ არ იყიდებოდეს, სადღაც, უბედურ ქვეყანაში მეგონებოდა თავი. კოიკა ექვსი მანეთი გაგიგონია? სასტუმროში აქ ჩემნაირ პატარა კაცს ცხვირს ვინ შეაყოფინებს. ბაზარია და ცეცხლი უკიდია ყველაფერს. იაფად ახლა ბოლოკის ფოთოლსაც ვერ იშოვი.

კარგა ხანს ილაპარაკა დაახლოებით ამგვარ ჭრილში (ახლა ეს სიტყვა მოდაშია). ერთხანს ვუსმენდი, მერე ყურადღება მოვადუნე. ახალს არაფერს ამბობს. ერთი პირობა ორივენი გავჩუმდით.

ბრბოს ისევ გამოეყო ბრტყელთავა ყმაწვილი.

— მამიკო, გეხვეწები, ერთი თხუთმეტკაპიკიანი, ღმერთი არ გწამს? ყველაფერს დაგიჯერებ.

— მამის სულს გეფიცები. თუ დაგიჭირე ღერღერა დაგაძრობ მაგ ჩოთქივით თმებს. შე ბედოვლათო. კიდევ ფულს მთხოვ, კიდევ?!

მარჩენალს ეტყობა, წაგებულ კაპიკებზე უფრო მისი ვაჟის უყაირათობა აწუხებს.

ჯიბეზე ხელი გავიკარ და ცრემლმორეულ ბიჭს ხურდა ფული გავუწოდე.

— არ მისცეთ, ბატონო, — ხელზე წამაფრინდა მამამისი — წააგებს მაგასაც! ლატარიის იღბალი ჩვენ ვინ მოგვცა. კრუხი დასვა ჩემმა ცოლმა ამასწინათ და ორმოცი კვერცხიდან ორი გამოდგა ნამამლი მარტო. ესაა ჩვენი იღბალი.

ამასობაში ბიჭმა დრო იხელთა, ხურდა ფული მოხერხებულად ამახვეტა ხელისგულიდან და გაუჩინარდა.

— ერეხში სერგოს თუ იცნობ, სურმავას? — მაინტერესებს რა ინტერესების კაცია. რა ხალხში ტრიალებს.

ეჭვით შემომხედა და თავი გააქნია.

— არა.

სერგო სურმავა, არც მეტი არც ნაკლები, — ქურდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიშა სხილაძეს?

— არა ბატონო, არ ვიცნობ.

— კაკოია მანჩავიძეს? ახლა გამოვიდა.

— მე ქურდებთან საქმე არა მაქვს,— გაბედულად, აუღელვებლად, დინჯად მიპასუხა, ფეხები გამართა, კოტიტა მუშტები შარვლის ჯიბეში სანახევროდ ჩაიდო და გაირინდა.

— ისე ჩვენც არ ვვარგივართ, — მინდა როგორმე საუბარში ჩავითრიო.

— რაზე? — შორიდან მკითხა.

— ჩვენი ბრალია ბევრი უმსგავსობა. ჩვენ არ ვართ, ადამიანები, ჩვენს სიმაღლეზე!

— მაგაში სწორი ხართ:

— ხომ უბრალო ამბავია, მაგრამ არ უნდა ავახიოთ ახლა ყური ამ თავგასულ პარიკმახერს?

ისევ შემომიბრუნდა. თვალებში კვესი ჩაჰკირვია.

— აბა, შენ ეგა თქვი!

— სხვაც ასე მოიქცევა. საქულას დუქანივით, როცა უნდა მოვა, როცა უნდა წავა. თუ ჭკუა არ ვასწავლეთ, სხვასაც გაამწარებს.

— სრული სიმართლეა — კვერს მიკრავს.

— ჰოდა, რომ მოვა, ორივემ ერთად ვეცეთ და ერთი დასხოშიანად გამოვლანძღოთ.

— ლანძღვა არ ვაკმაროთ. საჩივრის წიგნიც მოვთხოვოთ, — ეტყობა თვითონ უფრო მეტადაა შეურაცხყოფილი დალაქის თავგასულობით.

— საერთოდ, არაფერზე თვალი არ უნდა დახუჭო კაცმა, — გულში მიხარია. ეს ერთი ხომ მაინც ავანთე პატრუქივით. ეს ხომ მაინც შემოვაბრუნე საწამლართოდ. არა, ეს კაცი ბოროტებას დღეიდან გულგრილად არ ჩაუვლის.

ამ ფიქრებში გართული ჩემს გვერდით მჯდომის ფაცხაფუცხმა გამომარკვია. შორს ბრტყელთავა ყმაწვილის შეშინებულ სახეს მოვკარი თვალი.

— არ ესროლო! — ხელებში ვეცი მამას და მაღლა აღმართული კარგა მოზრდილი ქვა დავაშვებინე.

— კლავ ბავშვს, შე კაცო?

— წააგო! კიდევ წააგო და კიდევ აქეთ მოაქვს სამათხოვროდ თავი! ამნაირი უთავმოყვარეო ვინმე გინახავს? ვინ მოგაგებინებს შენ, შე ჭირიანო, დოყლაპია! ვისი იმედი გაქვს? ვის ეთამაშები!

ძლივს დავაშოშმინე.

* * *

ამასობაში ჩვენი დალაქიც გამოჩნდა. ერთი თავსვლიპა, ტანმორჩილი კაცი ყოფილა. ბოხი ხმა აქვს და მეკობრის ტუჩ-კბილი. ბოდიშიც არ მოუხდია დაგვიანებისთვის. ერთი შემოგვხედა და ჯიბიდან გასაღები დააძრო.

ორივენი ერთდროულად წამოვდექით ერეხელმა ერთი ფეხით მიმასწრო, ჯიბიდან ხელები ამოიღო, დალაქთან ჯიქურ მიიჭრა და რომ მგონია დაიქუხებს-მეთქი:

— სად ხარ დაგენაცვლე? თვალებში მაზოლი გამიჩნდა შენი ცდით.

— ხომ არავინ მიკითხა? — დალაქი თეთრ ხალათს ისწორებს და სამართებელს იღებს.

— ერთი სამი ნაღდი მუშტარი დაკარგე, სიმართლე გითხრა. ჩემი შეტყობით .იცადეს და წავიდნენ. მეც წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ხვალ არ მეცლება და დაცდა ვამჯობინე. ჩემს შემდეგ ერთი ბოხოხიანი კაცია და მერე (გულმოსულად გადმომხედა) ეს ბრძანდება.

მოდი და გაუგე კაცს რამე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

17421

## არ იყიდება...

არ იყიდება სიყვარული, არ იყიდება, —
მას ვერ შეიძენ ოქრო-ვერცხლით, ვერარა ფულით,
სჭირდება ვრცელი ასპარეზი — ხალასი გული,
არ იყიდება და ეს არის მისი დიდება.

მარტოდენ ვრცელი ასპარეზი — გული სჭირდება, —
არ არის მიზეზი კაცისაგან საწუთროს მდურვის, —
მზამზარეული, თითო მაინც, ყველას აქვს გული, —
სიყვარული კი ულამაზეს გულში ბრწყინდება.

არ იყიდება სიყვარული, არ იშოვება, —
ნიჭია იგი, ამ ნიჭს გიძლვნის გამრიგე არსთა,
ვერარა ძალით შეიძენ და ვერარა ფასად...

ზნეს ვერ უცვლიან ვერც ხალხები, ვერცა დროება,
არ იყიდება სიყვარული, არ იყიდება,
არ იყიდება და ეს არის მისი დიდება.

## ჩემს სახელზედაც...

ამ მხარეს შენი სამშობლო ჰქვია,
შენი ფიქრებიც აქეთკენ ჰქროდა,
აჰა, ითავე, და თუმცა გვიან,
მამის ფუძეზე დაიდგი ოდა.
ხშირად მოუვალ ამ ოდის უხვი —
უუნაზესი ოცნებათ დასით...
მოდი, ხანდახან, ამ ჭერქვეშ, უხმოდ,
ჩემს სახელზედაც შეავსე თასი.

კ. მარ... სახ. საქ. სს...
სახე... კო რესპუბლ...
ბი...ოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაუგზავნელი ბარათები

გათენებამდე გწერდით წერილებს,
გათენებამდე გწერდით,
სევდა-ზეობით მიმოფენილი
მქონდა ასობით გვერდი
გათენებამდე გწერდით და გწერდით.
გწერდით და მერე... ვხევდი,
ვხევდი და ვწერდი, ვწერდი და ვხევდი
და მაინც... ისევ გწერდით.
იწერებოდა ასობით გვერდი —
კდემით, ზეობა-სევდით...
ვწერდი და წერა შვებასა მგვრიდა,
გწერდით და... მაინც ვხევდი.
უძლური არის ნაწერი სიტყვა,
მეტიც: არაფრისმთქმელი, —
სადღაც უთუოდ გადახვალ მიჯნას,
აგითრთოლდება ხელი...
და მაინც გწერდით გათენებამდე,
დაუზარებლად გწერდით...
წერით, ეგ არის, შვება მებადა,
გწერდით და მერე... ვხევდი.

## მარადისობის ნიშანი

ჰა, კიდევ ერთი ქალაქი —
ქრისტეს შობამდე შობილი
ცხადი და... ცხადი არაკი
ტალღით — ძალისად ხმობილი.
აქ ხმალიც იელვარებდა,
სიავეც იფარფაშებდა,
ავდარიც იავდარებდა,
მაინც იძალა... აშენდა.
აშენდა, რადგან შენება
ერის მაღალ სულს ენება.
აშენდა, რადგან შენება
არს ერის სულის ჩვენება.
ჰა, დიონისეს დარბაზი
და არა — ნადარბაზევი...
ალმასი, ცხადი ალმასი,
ცხადად — ქართული ხაზები
ცხადად: სამოსი ქართული,
ქართული — მიხრა-მოხრანი...
ძლიერი და წარმართული —
მზერა — უკვდავი მოკვდავი;
ქალი დგას ლანგრით. ლანგარზე,
ჰოი, რაც არის, ის არის,
ნორჩი, ხასხასა გირჩა ძევს —
მარადისობის ნიშანი.

## იმედით ვცოცხლობ

იმედით ცოცხლობს ყოველი კაცი. —
მეც ვიმედოვნებ, — ადრე თუ გვიან,
შემოგეჭრება ეს ჩემი განცდა, —
მარტოსულობა — ჭრილობა ღია.
თითქოს რა არი — ჩემს წინა, ჩემთვის,
ვასკდები გულს და საგულეს — გული,
სისხლის წვეთებით სავსე მაქვს მკერდი
და შუბლს ზედიზედ უჩნდება ხნული.
არაფერია ესეც და ისიც,
ესეც და ისიც მრავალმა ზიდა...
მთავარია, რომ დავდივარ ღლისით
და ყოველივეს უთქმელად ვიტან;
მთავარია, რომ იმედით ვცოცხლობ
და ვიცი, მჯერა. ადრე თუ გვიან, —
შენც უჩემობა დაგზაფრავს, როგორც
მე მარტოობა — ჭრილობა ღია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წავიდა, გაქრა...

წავიდა, გაქრა, — იტყვიან ასე,
წავიდა, გაქრა, — მეც ასე ვამბობ...
და ემატება დღითიდღე ფასი —
გარდასულ სიტყვას, ტრფიალის
ამბორს.

წავიდა, გაქრა, — თუკილა ვამბობთ,
იმიტომ ვამბობთ, გვწადია, გვინდა —
გარდასულ ტკივილს, გარდასულ
ამბორს

შევეღლიეთო... დღევანდელ დღიდან.
თორემ უკვალოდ არცარა ქრება,
თორემ უკვალოდ არცარა მიდის...
ეგ არის, რაღაც ამგვარი ხდება, —
ყოფა გვწადია შევიქმნათ მშვიდი,
გავთავისუფლდეთ, გვტანჯავდა რაიც
და სახვალიოდ შემოვკრათ ებანს...
შარშანწინდელიც თავს იჩენს გაისს
და უკვალოდაც არარა ქრება.

* * *

რას აკეთებენ ასეთ დროს, ვიცი,
ასეთ დროს, ვიცი როგორაც წყვეტენ...
მე კი უძლური აღმოვჩნდი ისე, —
მხოლოდ მხრებითღა ვეყრდნობი
კედელს.

არა იმიტომ, რომ რამედ მიღირს
რაიმე, არა, იმიტომ არა...
არა იმიტომ, სხვას ვჭვრეტდე მიღმა, —
არა და არა, ამაზე — კმარა!
მხოლოდ იმიტომ, რომ მზეა ასე
თმაჩამოშლილი და ზეობს მარტი, —
არაფრით მინდა ნაღველი გასვა,
არაფრით მინდა დავტოვო მარტო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ხეთაგური

## სინანული

აბა როგორ დაგაჯერო, შენ, ამ სიტყვების წამკითხველო,
უფრო სწორად, — წამკითხველო, იმ სიტყვებისა,
რაიც მოსდევს უვერტიურას ამ ლექსისას, —
რომ არ ძალმიძს ახლა დუმილი,
რომ ბაასიც არ შემიძლია,
და მხოლოდ ლექსის წერა არის ჩემი ნუგეში.
მთელი ძალით ვაწვები კალამს
და ირყევა მაგიდა ისე,
როგორც მზის ქვეშ თბილი მიწა ტორტმანებს ახლა...
ყველაფერი, რაც კი ხდება, ხდება თანდათან...
უცებ ბავშვმა, რომლის დედაც მე გახლავართ,
შემაწყვეტინა მაგიდის რყევა და მკითხა:
— დედა, მართლა გიყვარვარ?
მე მას შევყურებ და შეკითხვის არსი არ მესმის.
რადგან ჯერ კიდევ ვფიქრობ იმაზე,
რის დაწერასაც ვაპირებდი...
შინაარსი კი დასაწერისა, დაახლოებით, ასეთი იყო:
ყველაფერი, რაც კი ხდება, ხდება თანდათან,
ყველაზე ხშირად ადამიანი სიცრუეს ამბობს
და თუ სახეზე გულწრფელობა გამოხატვია,
მაშასადამე, მოხერხებული მატყუარაა...
— დედა, გიყვარვარ?
— რა თქმა უნდა!
— აბა ჩემი თავი დაიფიცე, რომ გიყვარვარ.
— შენს თავსა ვფიცავ.
— ორიანი მივიღე.
— რაო?!
— დედა-ენაში!
— არც კი გრცხვენია, წადი მომცილდი!
მართლა მომცილდა, წავიდა, ჩართო ტელევიზორი.
— აბა, გამორთე და გაკვეთილებს მიხედე, სწრაფად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დღეს ჰოკეია, უნდა ვუყურო.
— ხან ჰოკეი და ხანაც ფეხბურთი. გაკვეთილები?
მე ვერ ვარჩევ, თუ რა ხდება ტელევიზორში,
ოღონდ ის მახსოვს, რომ ლექსის წერას ვაპირებდი
და შვილმა ხელი შემიშალა...
თან ორიანი... თანაც ჰოკეი...
რა ჯანდაბაა ეს ჰოკეი,
შაიბაა თუ რაღაც ამგვარი,
თხილის ტოლია და საერთოდ ეკრანზე არც ჩანს,
თუ რას დასდევენ ჯავშნოსანი ჰოკეისტები...
მორჩა, მეტი არ შემიძლია!
— ჩქარა გამორთე, გამორთე-მეთქი!
ერთი შეხედე ამ ლაწირაკს, ამ ჭიაყელას,
ყურებს აგახევ, ჯერ მაცალე!
ტელევიზორიც გამოვრთე და სასკოლო ჩანთაც თავად
გავხსენი.
რვეულს ვშლი, სადაც ორიანი წითლად ანთია...
ახლაც გავბრაზდი ამ ორიანზე!
ბავშვი ტირის და გაოცებული შემომყურებს,
არ ელოდა, თუ აგრერიგად გავიმეტებდი.
— მოამზადე გაკვეთილები! — ვცახცახებ ისე,
როგორც მაგიდა ცახცახებს ხოლმე, როცა ვეხები.
ჩემი შვილი მორჩილად იღებს წიგნს და მეცადინეობს,
მერე მაბარებს გაკვეთილებს.
— ახლა მუსიკა!—ვბრძანებ მე და ისიც ნოტებს შლის.
ჩემი შვილი მორჩილად სწავლობს ჩერნის ეტიუდს.
— ნოტებს ვეღარ სცნობ? სმენით უკრავ? ჭკუას
გასწავლი!
ჩემი შვილი ტირის და უკრავს ჩერნის ეტიუდს.
— ახლა ხელ-პირი დაიბანე და ივახშმე, სწრაფად!
მათრახი, მხოლოდ მათრახი თუ მოარჯულებს
ამ საძაგლებს,
რომლებსაც ჩვენი შვილები ჰქვიათ!
არც სინდისი აქვთ, არც შებრალების მცირე უნარი.
ვცემე თუ არა, ყველაფერი დამიჯერა:
წვენიც დახვრიპა,
მოამზადა გაკვეთილებიც,
ისწავლა ჩერნის ეტიუდიც;
ჰოკეი აღარ უხსენებია,
აღარც ფეხბურთი,
რძეც კი დალია
და ისეთი მოწიწებით შემომცქერის,
თითქოს მისი დედა კი არა,
უპატრონო ბავშვთა სახლის გამგე ვიყო,
ანდა ჰოკეის მთავარი მსაჯი!
თან სახეზე პირმოთნეობის ღიმილი გამოხატვია!
მე კი მზარავს ეს მორჩილება,
ჩემი შვილისა ჩემსავე მიმართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა სძინავს თავის საწოლში,
ნამდვილად სძინავს — თავს ამჯერად არ იმძინარებს
და ვხედავ ძილშიც მის მორჩილებას...
მორჩა, დაღამდა. ახლა იწყება ჩემი შუადღე,
ტელევიზორი გამორთულია, ბავშვს სძინავს, ქმარი შინ არ არის...
შემიძლია მშვიდად დავჯდე და ლექსები ვწერო.
დამვიწყებია, რას ვაპირებდი, რა აზრი მქონდა
და საერთოდ, გადავხედო, ერთი, წელან,
ვიდრე შვილი ხელს შემიშლიდა, — რა დავწერე, რა მოვასწარი,
ვკითხულობ: „აბა როგორ დაგაჯერო შენ,
ამ სიტყვების წამკითხველო,
უფრო სწორად, წამკითხველო იმ სიტყვებისა, —
რომ არ ძალმიძს ახლა დუმილი,
რომ ბაასიც არ შემიძლია,
და მხოლოდ ლექსის წერა არის ჩემი ნუგეში"...
რა სისულელე დამიწერია...
რა გულისამრევ ტყუილებს ვროშავ, თურმე ხანდახან...
ხანდახან?
ნუთუ ამისთვის,— გადაპრანჭული ამ სიტყვებისთვის
ღირდა ბავშვის ასეთი ცემა!
მე ხომ იგი იმ ორიანის გამო სულაც არ მიცემია!
არც იმისთვის, რომ რძის დალევას არ აპირებდა...
არც იმისთვის, რომ ჩერნის ეტიუდს არ სწავლობდა...
არც იმისთვის, რომ ჰოკეის ნახვა მოისურვილა...
ვცემე იმისთვის, რომ მისმა სუნთქვამ,
მისმა შეკითხვამ: დედა, გიყვარვარ? —
ლექსის წერა შემაწყვეტინა.
ახლა კი სძინავს... სახეს ატყვია
ჩემი თითების ანაბეჭდები...
როგორც მონა, ისე აგდია
საცოდავი და უსუსური.
თანაც, ღმერთო, რა გამხდარია!
ახლა რომ გაეღვიძოს,
გულში მაგრად ჩავიხუტებ
და შეკითხვაზე: დედა, გიყვარვარ? — ვუპასუხებ:
ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ,
აღარასოდეს აღარ გცემ-მეთქი,
ლექსები წყალსაც წაუღია, —
შენი მონობა არა და არ მსურს,
მე მინდა, ლაღი და შეუვალი ვაჟკაცი მყავდე,
თავად გესმოდეს განსხვავება ორიანსა და ხუთიანს შორის...
ნუ შეშინდები, არ შედრკე, მათრახს
თუ მოგიღერებს ვინმე უგნური —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილის გამო მონურ ღიმილს და მორჩილებას ნუ
გამოხატავ:
შეიყვარე დაი შენი იმაზე მეტად, ვიდრე დღეს
გიყვარს...
დაიცავი შენი დაი შენივ სისხლისგან...
დაუშვი ბევრი, ბევრი შეცდომა,
და ყოველ სიტყვას, რაც გულიდან მოედინება,
ნუ დაუწყებ ტკეპნას და ქექვას.
შეიყვარე მხოლოდ ის ქალი,
ვინც მოახერხებს მიგცეს მაღალ თავდავიწყებას,
ვინაც აგანათებს და გაგიტაცებს
ზღაპრულ სივრცეში...
თუ სიყვარული დაგეუფლა, ნუ შეეცდები
განთავისუფლდე,
რადგან ასეთი თავისუფლება მონობას ნიშნავს.
რასაც გადაწყვეტ, გადაწყვიტე ლაღი სურვილით
და ყოყმანი გულს არ გაივლო!
ყოყმანი არის დამღუპველი ბედნიერების!
ყოყმანი არის მონური სულის გამომხატველი,
ყოყმანი არის ქალალდივით რომ გვკეცავს და
სამუდამოდ ანაოჭებს მთელ ჩვენს ცხოვრებას...
ნურც მე დამინდობ, სულმოკლეობას თუ გამოვიჩენ, —
შენ შემახსენე მელოდია ჩემი სუნთქვისა,
როს ჩემს სხეულში ფათურობდი და შენს მოსვლამდე
სიყვარულზე ლექსებს გიწერდი.
ნუ, ნუ იქნები მონა — მორჩილი...

## ჯარისკაცის დედის მონოლოგი

უცხოა ჩემთვის ეს ცაც და მიწაც,
მაგრამ აქ სძინავს საუკუნოდ
და არასოდეს დაუბრუნდება თავის მამულს
ჩემი შვილი, ჩემი ნუგეში.
ო, ზამთრის ცივ ქარს,
შემოდგომის ღრუბლიან ამინდს.
ნუ მისცემთ ძალას უცხო მთებო, უცხო ბუნებავ
და ნიაღვრებს ნუ დაადენთ საფლავზე რისხვით!
გაზაფხულამდე უპატრონეთ — ჩემს ჩამოსვლამდე.
მერე თუნდ მარტმა ნასესხები მზე დააკლოს,
აღარას ვჩივი —
მე მანდ ვიქნები.
გაზაფხულამდე შეინახეთ უცხო ჭაბუკი,
უცხო მთებო და უცხო ბუნებავ!
მე კი მანამდე ვილოცებ მისთვის,
რომ შეიზიზღოს მიწამ ხორცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გაუწითლოს სახე ბატკნის მკვლელს
არა სისხლით, მხოლოდ სირცხვილით...
მერე დადგება დიდი მარხვა — გაზაფხული!
მე მას მოვყვები როგორც მერცხალი,
მაგრამ ჭიკჭიკს კი ვერ შევძლებ, რადგან
მე მხოლოდ ვკვნესი.
და თქვენს მიწაზე დავადუმებ ამ კვნესას, ვიცი,
როგორც მსხვერპლი უკანასკნელი დიდი მარხვის წინ.
მსურს სამუდამოდ აღვიბეჭდო ის ვარსკვლავი
უცხო კიაფით რომ ჩაეკიდა
ჩემი შვილის უძრავ გუგებში
და იმ წამიდამ მშობლიურად რომ ექცა მარად...
იგივ ვარსკვლავი ჩამესვენება ღია თვალებში
და უკანასკნელ ცრემლად მოწყდება.

## როდი დავღლილვარ

არა, სიკეთით როდი დავღლილვარ
ანდა ღიმილით, იმედიანით,
მაგრამ რატომღაც დგას თავდახრილი
ჩემი სიცოცხლის მერიდიანი.
კვლავაც ჯიუტად, კვლავ უნებურად
მიისწრაფვიან ცისკენ თვალები,
კვლავ უსუსურად და ძველებურად
მას ვებრძვი, რასაც ვერ ვუმკლავდები.
ისევ ის გზები, ისევ ის ხმები
და ისევ, ისევ მოგონებები,
კვალვ დაძაბული და უფრთო მხრები
ათრთოლებული როგორც ნერვები.
ო, ყველაფერი ჩემში ბოგინებს
იმ სიყვარულით, მკერდს რომ მეწვინა,
ისევ იქ ვიშლი ქათქათა ლოგინს,
სადაც ვიშლიდი და არ მეძინა.
მაშ რად მოელის შველას ოცნება,
მაშ რად მოუხმობს სიმშვიდეს სული.
მაშ რად მამძიმებს სევდა უცნობი
და რად ვაოკებ მშვენიერ სურვილს,
რისთვის მოვითხოვ მხოლოდ სიჩუმეს,
ძვირფასი ფიქრი რისთვის გამირბის
იქით, საითაც ამოვიჩემე
სიმდიდრე — სხვისთვის ასე ღარიბი...
არა, სიჩუმე არ ნიშნავს დაღლას,
მოლოდინს ნიშნავს უღონო ხელიც...
მე მხოლოდ ლოცვა მწყურია ახლა
და ქვეყნად მოსვლას თავიდან ველი.

## მშვიდობით!..

ჩემი ნერვების ლიანდაგებზე
აღარ დაჰქრიან შენი ბორბლები...
გახსნილი კარი უკვე ჩავრაზე —
საგულდაგულოდ გემშვიდობები.
მშვიდობით!.. — ბაგე ყველა სხვა
სიტყვას
დღეს დაუნდობლად ახშობს და
ქოლავს...
მშვიდობით, რადგან მე აღარ მიყვარს
შენს მიდამოში ქარივით ქროლვა.
მშვიდობით, რადგან ძველი ტკივილი
ვერ დამიამე უცხო ნაღველით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ცდუნებას ვერ გაუძელი —
მას ვერ დაარქვი ჩემი სახელი;
მშვიდობით, რადგან ფერი მწამს ბაცი,
თვალიც სხივისთვის შემიჩვევია...
მშვიდობით, რადგან ვნების ბარბაცით
მაინც სიფხიზლე აგირჩევია.
მშვიდობით, რადგან შენი ტოტები
გახრიოკებულ სულში ვერ ჩრდილობს...
მშვიდობით, რადგან თუ გაგონდები —
ჩემთან ყოფნასაც უჩემოდ ცდილობ.
მშვიდობით, რადგან იქ მკლავდი სწორედ
სად ბედნიერად მიგაჩნდა თავი...
მშვიდობით, რადგან ამღვრეულ მორევს
ვერ გადასცურავს ქაღალდის ნავი.
მშვიდობით, რადგან ვერსად გიმუხთლე
და მოგაგებე გული მიმნდობი...
მშვიდობით, რადგან ვერ მოიღრუბლე
ჩემი წილი ცის უამინდობით.
მშვიდობით, რადგან დღესაც ვერ დასთმობ
ბუდეს, ჩემამდეც რომ ვერ დასთმობდი...
მშვიდობით, რადგან კვლავ ისე ვდარდობ,
შენთან მოსვლამდე როგორც ვდარდობდი.
რადგან ვერავის დაემშვიდობე
ჩემთან შეხვედრის წყურვილის გამო. —
მშვიდობით! — კვლავაც სიზმრად იომებ,
მშვიდობით, რადგან სიმშვიდეს ლამობ.
მშვიდობით! — ბაგე დანარჩენ სათქმელს
დაუნდობელი ფიქრებით ქოლავს...
მშვიდობით, რადგან მოვარდნილ ქარებს
ნაკრძალ მინდვრებში არ უყვართ ქროლვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა გონაშვილი

## დაბრუნება

შენ წაგაქციეს?
არა, თვითონ წაიბორძიკე
და გადარბოდნენ ტკივილები გულზე წვიმებად.
ნუ გეწყინება, თუ სიმართლის გადაგკრეს შოლტი,
წარსულ დღეებზე სევდიანად ნუ გეღიმება,
რამეთუ შესძელ წამოდგომაც,
შეგნიშნეს უმალ,
ნუღარ აჰყვები წინათგრძნობებს
ბედსა და გუმანს.
ვინ სთქვა, ადამის მოდგმაათ
ცივი, გულგრილი,
ჯერ თბილი სიტყვა მოგახურეს
მხრებზე ქურქივით,
გამოგიწოდეს მერე ხელიც, ვით ალვახაზი,
ჰო, დასახლდება ამათ ხელში
ლატაკი ქვაზე.
ნუ იღიმები, იქედნურად
ნუ იღიმები;
როდი შელახავს მთვარის ნათელს
მკრთალი ლაქები,
კაცი ფასდება ტკივილებით,
ქალი ლოდინით,
ხოლო სიჩუმე, ოდითგანვე
ასე ნაქები,
არის ღალატი, არის ფარი,
თავშესაფარი,
ნუ იღიმები,
იქედნურად ნუ იღიმები.
შენ ისევ გახსოვს
მოპარული ცრემლების გემო,
აუხდენელი ოცნების და სიზმრების გემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაბოროტდე, გემუდარები,
შენ გულღრძო კაცად როდი შობილხარ,
ეს მე მოვედი შენს დასახსნელად
შენი სიზმრიდან და ბავშვობიდან.
გახსოვს? სიცხიანს გესიზმრებოდა
შავთვალა გოგო, რომელიც ძლიერ გავდა დედაშენს,
და ზედაშეზე დედაშენი
ადგილის დედას უნთებდა სანთელს,
ღმერთმა რა იცის, დედის ცრემლი
ყოველ ჩვენგანს
რამდენი მართებს!
ჰო, ის შავთვალა გოგო მე ვიყავ,
სიცხიან შუბლზე გაწყობდი ხელებს,
როგორც მკურნალი წყლიან საფენებს
და შენს ბაგეებს, სიზმრით ნაფერებს
ეპარებოდა ძილში ღიმილი
და დედაშენი დარდით გამხმარი
და შენზე ფიქრით დანაოსები
იწერდა პირჯვარს, ჩემს ვაჟს სიზმარში
თუ ეწვიაო ანგელოსები.
როცა ქალაქის ხმაურისაგან გაბრუებული
გახვიდოდი ნახნავებში განმარტოებით
და თავქვეშ თრთოლვით დაწვებოდნენ ყაყაჩოები,
ის ყვავილები მე ვიყავი, შენ რომ გათელე
ალბათ გახსოვს, ის პირველი ქალი,
აჩრდილივით უხმოდ რომ სდევდი,
ზღვაზე... აშოლტილი ფეხებით
და კაკაოსფერი მკერდით.
გახსოვს ის ღამეც... მთვარე იყო
პირის ფარეში.
როგორ საოცრად გაიზარდე იმ ერთ ღამეში.
გახსოვს? იქ, სხვათა ზეცის შემყურეს,
როგორ მოგწყუროდა საქართველოს მზე,
წერილიც ისე, უმისამართოდ გამოგზავნე,
ამა და ამ ინსტიტუტშიო, ამა და ამ ნომერზე.
ლექსებსა და სურათებს რომ გიგზავნიდა,
ის ქალიც ვიყავი მე...
ვინც შეგხვედრია გზაზე ღიმილად,
შეუხვევია ვიაც იარა,
ვინც გაგაწვიმა, ან აგამღერა.
ან გაზაფხულად გადაგიარა,
მე ყველა ქალის სახელით მოველ,
შენ მივიწყებულ საყდარში, რადგან,
სხვაგან ვით ჰპოვებ ნეტავ წილხვედრილს,
სხვაგან ვით ჰპოვებ სწორსა და ბადალს.
მე უნდა გავხდე დედა შენი ლამაზი ვაჟის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე სხვა სიკეთე ამ ქვეყნად არც მსურს,
სიმარტოვეში გამოზრდილი ტკივილის კაკტუსს
უნდა დავუსხა წვეთი ცრემლის და ვუალერსო...
შვიდ წელში ერთხელ, როგორც ცის გახსნა
შენი ტკივილიც აყვავილდება,
და ეს ყვავილიც მე ვარ, იცოდე,
შენს ეკლიან სულზე ამოზრდილი.
იცი შენ, ზოგჯერ იხსნება ზეცა?!
შენ იცი, ხშირად ქარებსაც სცივათ!
ბედნიერი ხარ, რამეთუ გტანჯეს,
ბედნიერი ხარ, რამეთუ გტკივა..
მე უნდა ვზიდო შენი ცრემლები,
მე მოღალატედ როდი ვშობილვარ,
აჰა, მოვედი, შენს დასახსნელად,
შენი სიზმრიდან და ბავშვობიდან.

## მკათათვე

კარებზე მოდგა თურმე მკათათვე,
თვე ყვავილობის გავიდა როდის?
მე დავიღალე და ახლა თქვენი
ალერსი მხოლოდ სევდას თუ მომგვრის.
ისე შორი ხარ და ახლობელი,
როგორც წვიმაში ოცნება მზეზე,
როგორ მომქანცა თქვენმა სიკეთემ,
ეუვანივით რომ შემაბით ყელზე.
ვერც თქვენთან დავრჩი, ვერც
მიგატოვეთ.
ვარ შებორკილი ურჩი კვიცივით
და ყველა კართან, როგორც მოსისხლე
ჩამსაფრებია თქვენი სიცილი.

* * *

მიჯაჭვული ვარ შენით მიწაზე,
დახურულია ზეცის კარედი,
რატომ მეგონა, რომ შენთან მაინც,
რომ შენთან მაინც გავიხარებდი?
მე ვარ ცის შვილი, ვარსკვლავის
ნაცვლად
დამეჭორფლება ლექსებით სახე,
უძრახ მდინარეს გავატან დილით
თავდავიწყებას, სიზმრად რომ ვნახე.
შენ ისევ ბრაზობ? რა მოხდა მერე
სადაფის ღილი თუ შესწყდა ხალათს,
ვიცი, შენ ჩემი აღარა გჯერა,
გაუცხოებას ეძახი ღალატს.
მე კი, მე რა ვქნა, ათასჯერ ნახმარ
მეტაფორების ტკბილ-მწარე კვალით
მევსება თვალი, ვერაფერს ვხედავ,
დაკარგულია ზეცამდე კვალი.
დამტოვე, წადი, ხვალიდან ისევ
უნდა ფიქრივით მარტომ ვიარო,
ძნელი ყოფილა მხევალის როლი,
სანუგეშო და სალოლიავო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლილი გოგებაშვილი

* * *

მიგული, მზის სხივად მიგული,
სითბოდ ჩაგეღვრები გულში,
მიგული, მთვარის შუქად მიგული,
ბნელში გაგინათებ გზას,
მიგული, ჩანჩქერად მიგული,
სინაზე შევმატო ყვავილთ,
სიყვარულის ნაპერწკლად მიგული,
სული გაგილამაზო კვლავ,
შხაპუნა წვიმადაც მიგული,
დასიცხულს გაგინელებ გულს,
მიგული, ვაზის ჰიგოდ მიგული,
რომ ძალა შეგმატო კვლავ,
მიგული, მზის სხივად მიგული,
რომ სითბოდ ჩაგეღვარო კვლავ.

### ნატვრა

ნეტავი ისევ სოფლელ გოგოდ
დავრჩენილიყავ,
მეკრიფა ია და მემწყემსა
ბატები მინდვრად,
გვირილებისგან მეც დამეწნა
კოხტა გვირგვინი,
კალათით ხელში, დილ-დილობით
სოკოზე მევლო,
გავჯიბრებოდი ტოლ-მეგობრებს
შაირობაში,
შევყვარებოდი სოფლელ ბიჭს და
შემყვარებოდა,
მართალი გულით, ჰო ნამდვილად
შევყვარებოდი,
მაშინ ცხოვრება იქნებოდა
სულ სხვანაირი,
ნეტავი ისევ სოფლელ გოგოდ
დავრჩენილიყავ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბალადა მიტოვებულ ტიტაზე

დაუვარდათ და აღარ აიღეს,
თხრილის პირს იწვა როგორც მებრძოლი,
ვინ იცის რამდენ ალერსს მოაკლდა,
რამდენ სიხარულს, რამდენ შეძახილს...
კვლავ შერჩენია სიმწიფე მზისებრ
სიკეკლუცე და სინაზე თვისი,
მაგრამ თხრილის პირს დარჩა საწყალი,
როგორც მზვერავი მზისა და მიწის.
ვაჟი იყავ თუ ქალი ლამაზი,
დიაცი იყავ? — კაცი ჭარმაგი?
ვინც გინდა იყავ, ეგ სულ ერთია,
გული საგულეს არა გქონია.
მითხარი მაინც, გამაგებინე
სიკეთე ხელად რად არ გაიღე.
რომ დაგივარდა ტიტა ლამაზი,
რატომ ისევე აღარ აიღე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ტულუკოვა

## ქართველთა მხარე

ამ მთების იქით,
იალბუზს იქით,
სამოთხე არის
თურმე ქებული,
ბევრჯერ ვწვევივარ
მის მწვანეს ფიქრით
და ახლაც
მიტომ ვარ ანთებული,
რომ თვითმფრინავმა
დატოვა მინსკი,
შეება სივრცეს
გულით მგზნებარით,
სულ ერთი ბეწო
შიში და რისკი
და...
ამიხდება ნაოცნებარი.
და ახლა,
კიდევ ცაში ვართ როცა,
კითხვები გულში
რეკს როგორც ზარი:
ამირანის მთა საიდან მოჩანს,
ან ლერმონტოვის ნაქები ჯვარი?
და, ჰა.
ქიგული უკვე გზაშია,
ვუცქერ. —
ყოველი გულს ამიჩვილებს,
მთაზე უკრთოდა
ჩანჩქერს არშია —
სახეს ვისხურეთ, —
„ცოდვებს ვიცილებთ".
„ვიცილებთ ცოდვებს",
ხოლო სულ მალე
ღვინო აგვინთებს
გულებს დაწმენდილს.
ჩვენ ბედნიერნი
ვიქნებით ხვალეც,
ხვალე დაგვლოცავს
გული მთაწმინდის.
და გაცხადდება
ლეგენდად თქმული —
რომ ერთიანად
მტერს თუ მოყვარეს —
იმორჩილებდა ქართველის სული,
რომ სამოთხეა
ქართველთა მხარე.

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა არჩვაძე

# მოთხრობები

## ცისფერი მთების სითბო

— რაჭველი ხარ? — მკითხა მძღოლმა და ისე დაკვირვებით ამათვალიერა, თითქოს ახლა დამინახა პირველადო.

— მაშ როგორ?

— რომელი სოფლიდან?... რაჭა ხელისგულივით ვიცი, ვინ მოსთვლის რამდენ გზის მაქვს მოვლილი!

ვუთხარი.

ცალი ხელით საჭე ეჭირა, მეორე სიჩქარის ბერკეტისათვის წაევლო და ბერკეტის რყევისაგან მარჯვენა უკანკალებდა. მერე კიდევ უფრო დაეკიდა გზა და მძღოლმა რის ვაივაგლახით გამოცვალა სიჩქარე.

მხრებმოტყაული კლდე თითის წვერებზე წამოწეულიყო და ხეობაში გაფაციცებით იყურებოდა, თითქოს სული ელეოდა გაეგო, რა ალრიალებდა ასე გადარეულ რიონს. ბლუჯა-ბლუჯა ეყარა ტყე მთის ფერდზე. ბევრგან ვენახი და ყანა იყო ჩაკერებული, ზოგან სულაც დაუმუშავებელი ნაყანები მოჩანდა საცოდავად. მერე წამოვიდა ისევ ტყე და პირწმინდად წალეკა ფერდიც და ჭალაც. ხელოვნური ზღვა ყინულივით გლუვი, უძრავი, მწვანე-მოლურჯო იყო. ათრთოლებული ცა გულაღმა ჩაძირულიყო წყალში. ფსკერზე წვერდაბჯენილი ხეები იშმუშნებოდნენ და შეცივნებულებივით კანკალებდნენ.

როგორც იქნა, ჩვენც გადავივაკეთ და მძღოლმა ისეთი ღრჭიალით გადართო ბერკეტი ,მგონი სიძქარის კოლოფის ყველა კბილანა დაამტვრია, შვებით ამოისუნთქა, გასწორდა ფანჯარაში გადაიფურთხა, ხელისგულები ერთმანეთზე გაუსვა და ისევ გამოცვალა სიჩქარე.

— რა გქვია?

— არჩილი.

— მე შამშე, შამშე ღვალი.

გარბოდნენ ფერდობზე შეფენილი სოფლები, ზვრები, ყანები, ახოები, ნაფუძვრები, რიონზე გაკიდებული ვიწრო ხიდები — ზედ გავლისას საქანელასავით რომ ირწევიან ხოლმე, ისევ ვენახები და ნაფუძვრები. ქარს თრიმლის მძაფრი და სასიამოვნო სუნი მოჰქონდა.

„ოცდათორმეტი კილომეტრი.. ზუსტად ნახევარი გზა გამოვიარეთ, რაც უფრო ვშორდებით ქუთაისს, გზა უფრო და უფრო ფუჭდება. აწი მექვენა, ტვიში (ტვიში ალბათ შევჭამთ რაღაცას, თუ არა სულს ვერ მივიტანთ სახლამდის, ისე მომშივდა), ღვირიშის ღელე, ალპანა, ზოგიში, საირმის გადასასვლელი და ჩემი სოფელიც გამოჩნდება: ნეტა რას

აკეთებს დედაჩემი ახლა?... ესეც ოცდაცამეტი..“

მთა მთას ენაცვლებოდა, კლდე კლდეს და რაღაც ზღაპრული წარმოდგენასავით ირეოდა ცოცხალი, მფეთქავი დეკორაცია ერთმანეთში, სადაც დაეცემოდა რიონის მზე და ავარდებოდა უშველებელი სინათლის სვეტი ცის სიმაღლეზე. მოწითალო-რუხი კლდიდან დაეშვებოდა ლოდი ხათქა-ხუთქით დაილეწავდა ფერდებს და მერე დუემორეულ რიონში ჩაემხობოდა.

— ეგერ რომ სახლი მოჩანს, — შამშემ გორაკისკენ გაიშვირა ხელი, — ერთი დაფსებული კაცი ცხოვრობს, ცხრა შვილი ყავს. ამ რამდენიმე წლის წინ შეშა წავიღე ქუთაისში, ერთი ჩამოძენძილი ბავშვი ახლდა. გალეურჯებული კბილს კბილზე აცემინებდა. ცოტა ყველი და პური მქონდა, ვაჭამე, რო გათბა, ბავშვს დაემგვანა; ქუთაისში ოც მანეთს მაძლევდა, არ გამოვართვი, ამ ბავშვს უყიდე რამე ჩემს სახელზე და ჩააცვიმეთქი. გელაპარაკები, ქალივით მლოცა.

— კარგი გიქნია.

— იმ კაცს ვკითხე, ამდენ შვილებს რომ აჩენთ, თქვენი თავი თუ არ გეცოდებათ, ამ ბავშვებს რას ემართლებითთქო... ერთი საწოლი გვაქვს, მე და ჩემი დედაკაცი ერთად ვწვებით და მერე მუცლის მოსაშლელი ფულიც აღარ გვაქვსო...

— მოსაშლელი ფულიო!?

— აბა კაცო! ყ ორივენი დიდხანს ვიცინოდით და თავებს ვიქნევდით.

ბორგავდა მანქანა, ღმუოდა და ზანტად მიღოღიალობდნენ მთები. შამშეს გავხედე — გამართული ხელები საჭეზე დაებჯინა, მსუქანი ნიკაპი თითქმის მკერდზე ჰქონდა დაყრდნობილი, წარბებს ქვემოდან გზას გულმოდგინედ ჩასჩერებოდა და ხმას არ იღებდა. ხანდახან ჩაეღიმებოდა ხოლმე, ალბათ ის კაცი ახსენდებოდა. რიონის შხუილი ყრუდ, სადღაც ქვემოდან ისმოდა. გაიშალა გზა და დიდი, რუხი კლდის პირდაპირ გაიჭიმა. მარიამობის მზისგან გარუჯულ კლდეებს ალმური [illegible] და მსუბუქად ლივლივებდნენ.

— ესეც ტვიში, შენი არ ვიცი და მე კი გვარიანად მომშივდა, — თქვა მძღოლმა, მანქანა დაამუხრუჭა, კიდევ ერთხელ ააბღუვლა და მერე ობობასავით წყნარი და უცნაური მოძრაობით გადაბობღდა. ხელები გაშალა, ღრმად ამოისუნთქა და მუცელს კარგა ძალზე ჩაცილებული შარვალი რის ვაივაგლახით ამოქაჩა.

რიონის შხუილი გარკვევით გავიგონე. ნოტიო ნიავი ცვრიანი ფოთოლივით მომედო სახეზე. ფეხები მიბუჟოდა და ყურებში ისევ მანქანის ყრუ გუგუნი მედგა.

პირველად ვნახე ასეთი გამხდარი მიმტანი: ან სულ ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა, ანდა ავადმყოფი იყო. პატარა ღიპი მოხრილი, გამხმარი ბალახის ღეროზე დაკიდებული წყლის წვეთივით ასწებებოდა გამხმარ ნეკნებზე.

შამშემ მთელი თეფში წვნიანი ისე გაათავა, თავი არ აუწევია. უკანასკნელი ლუკმის შემდეგ გაიმართა, თეფში მაგიდის შუაგულისაკენ მსუბუქი ხელისკვრით მისწია, „თქვენ აგაშენებთ ღმერთიო“, და ისე ამოიხვნეშა, მთლიანი თუ არა, ნახევარი გული მაინც ამოაყოლა.

— რამდენი ხანია სოფელში არ ყოფილხარ? — მკითხა შამშემ სასადილოდან გამოსვლისას.

— ორი წელი.

— ორი წელიო, — ტუჩები უკმაყოფილოდ აქაჩა და თავი გააქნია, — ორი წელი კი არა, ორი დღე ვერ მოვითმენ, სოფელში რომ არ შევირბინო, ორღობეში მანქანა არ ავაბღუვლო, გოგოებს თვალი არ ჩავუკრა, ჩემი ბებრები გულზე არ მივიხუტო, ჭურის თავზე ხრიკით ღვინო არ დავლიო და შელამებულზე ჩვენს მოწყენილ, ჩაშავებულ ჭერს სიმღერა არ შევძახო. — ხელი აგდებულად აიქნია, „აბა შენა ყოფილხარო“, მოხერხებულად ჩამოეწყო და საჭე გუნებიერად ჩაბღუჯა.

— ზამთარში თუ ყოფილხარ სოფელში?

— არა.

— აბა როგორ აგიხსნა, როგორ გითხრა? ნასვამი ხარ, მთვრალი, თოვს. აჰა, თოვლი უკვე მოსულია, მიდიხარ, მთვარე ანათებს, გინდა იმღერო, მაგრამ ისეთი სიწყნარეა, მკრეხელობაა ამისთანა სიჩუმეში ხმის ამოღება. მიდიხარ და ცხადად გრძნობ, რომ მარტო ხარ, სულ მარტო, აღარავინაა ძე-ხორციელი ქვეყნიერებაზე შენს მეტი. გინდა იყვირო, იღრიალო, იგორავო და გახურებული სახით თოვლში ჩაემხო. მერე შეიძლება იტირო კიდეც, უხმოდ, ჩუმად, საკუთარ თავსაც არ გაუმხილო...

გარბოდნენ მანქანა და გზა ერთად, მერე უსწრებდა გზა მანქანას და მოსახვევში უჩინარდებოდა. რიონიდან შიშველი ბიჭები გვისტვენდნენ. გაღმა ნაპირიდან მწყემსებს ჯოგი ჩამოერეკათ, იდგა საქონელი მუცლამდე წყალში და იცოხნებოდა.

შუშა უეცრად დაიწამა. ჯერ აქაიქ დაიწინწკლა; მერე მომრავლდნენ და ბოლოს უცნაური ზიგზაგით დაეშვნენ წვიმის წვეთები შუშაზე. აძეგარეული წყალივით გაბუნდოვანდა ხეობა, ორიოდ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. შამშემ მანქანა გააჩერა — „დვორნიკები“ არა მაქვს და სანამ გადაიღებს, დაცდა ჯობსო.

— ბოსტანში შენი ხელით თუ მოგიწყვეტია შეთვალებული პომიდორი, მოგიყრია მარილი, ისეთი კი არა, ქალაქში რომ იცით. მსხვილი, დაუნაყავი, ჭამის დროს კბილებში რომ წკაპა-წკუპი გააქვს. ბუხარში გაფიცხებული ჭადი, ნაცრის გემო რომ აქვს აყოლილი, ჩაგიფურჩხნია კვაწიაში და მერე წყალგადანავლები, საპნით დაბანილი კი არა, წყალგადანავლები ხელით თუ გიჭამია? თოვლში გინადირია? ფეხები დაგსველებია, თითები წაგყინვია, ზამთარში ხის სახლში გიძინია. ღრიჭოებიდან რომ სიცივე შემოდის და სამი საბანიც ვერ გათბობს, გცივა და ლოგინში იკუნტები, მუშტის ხელა ხდე[illegible]დენჯერ დაგვთენებია ბუხრის პირას. ფართხალებს ცეცხლი თავწაგლეჯილი წითელი ქათამივით და ჩუმად მღერიხარ. ცეცხლი წყნარად გუგუნებს და მღერიხარ ოდნავ გასაგონად, როგორც ზამთრის მთვარიანი ღამის სიჩუმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ დაიგრიხა გზა. წამოგვეპარა ნელნელა კლდე, გაშალა ფართოდ მხრები და თავზე ზღვის უზარმაზარი ურჩხულივით წამოგვემხო.

მანქანა გაჩერდა, შამშემ ხელი გზის კიდისკენ გაიშვირა:

— ხედავ?

რკინის სვეტზე რკინისავე პატარა თარო იყო დამაგრებული. ამობურცულ შუშაში ჩასმული სურათიდან ყვრიმალამოყრილი კაცი იყურებოდა. თაროზე ნაკლული ბოთლი და ორი ჭიქა იდგა.

— აქ გადავარდა ეს საცოდავი.

— ნასვამი იყო?

— არა, რას ამბობ, ლოთი და ციგანი რომ ყოფილიყო, იმაზე დამწყდებოდა გული?!

ორივე ჭიქა შეავსო და ერთი მე მომაწოდა. ღვინო ისეთი მოკანჭული იყო, ყურებმა წივილი დაიწყეს. შესანდობარი რომ არ ყოფილიყო, ღმერთმანი არ დავლევდი. შამშემ სადღეგრძელო თქვა და ღვინო მიწაზე დააქცია.

გაჩუმებული ვიყავით. შამშესი რა მოგახსენოთ და მე კი ველარაფერზე ვფიქრობდი. ერთი კი მაინტერესებდა — მე და შამშე რომ დავლუპულიყავით, რამდენი კაცი გააჩერებდა იმ ადგილას მანქანას და კაცურად მოგვიგონებდა. რამდენი ადამიანი დამწუხრდებოდა გულწრფელად და ვინ აანთებდა სანთელს ჩვენს სახელზე.

ამ წუთას ოდნავ მიხაროდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი...

დავიწროვდა ხეობა, მთები ერთმანეთს შემოადგნენ, ჩაეხუტნენ, ამაღლდნენ, ცისკენ აიწიეს... გორებს შორის თეთრყაბალახიანი მთა ჩამოხტა, მხრები ფართოდ გაშალა, ვერ დაეტია ვიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ხეობაში და თითისწვერებზე შემდგარი მხრების თრთოლვით უკან-უკან წავიდა.

გადასახვევთან ქვით ნაშენი თეთრი დუქანი დგას. კედლები გვარებითა და სახელებითაა აჭრელებული. მარჯვენა ფანჯრის რაფაზე ზაური ჯიმშელეიშვილის გვარი და სახელია ამოკაწრული. მისი გახსენება სევდიან ხასიათზე მაყენებს. ახლაც გარკვევით მესმის მისი ხმა, მესმის მისი გამაშხნევებელი ყიჟინა რიონის გადაცურვისას... ისიც ტვიშთან გადავარდა და მთელი კვირა ეძებეს რიონში. რამდენჯერმე მეც დავაპირე გვარისა და სახელის მიწერა დუქნის კედელზე, მაგრამ რაღაცის შემეშინდა.

დუქანთან ორი კაცი ზის, ვერც ერთი ვერ ვიცანი. მეც პირდაპირ ქვის კიბეზე ჩამოვჯექი ამბროლაურიდან მომავალი ავტობუსი გაჩერდა, ქუთაისისაკენ ხომ არ მიდიხართო, უიმედოდ გვკითხა მძღოლმა და ცარიელი ავტობუსი ისევ ზანტად დაძრა...

თხუთმეტიოდე წლის წინ ნეტავი კი ყოფილიყო რამე ტრანსპორტი, თუ არავინ დაეძებდა მოფამფალებული „ტონანახევრიანი“ იქნებოდა თუ დაფლეთილტენტიანი „სოიუზსტრანი“. ავტობუსის გამოჩენა ხომ ღვთისაგან მოვლენილ სიკეთედ ჩანდა... მანქანას კარგა ხანს ველოდით. ბოლოს, როცა კარგა მაგრად დავილეწებოდით, გავმტვერიანდებოდით, ვიშიმშილებდით, ეჭვიც კი შემეპარებოდა, რომ ოდესმე მაინც ჩავაღწევდით თბილისში, აგვისტოს სიცხე ქანცს გამოგვილევდა, რომელიმე ღვთისნიერი მძღოლი ჩვენს სახელდახელოდ მოწყობილ ძარაზე ცხვირწინ დაამუხრუჭებდა მანქანას და ტყვეებივით აგვრეკავდა. სიცხესა და შიმშილს აუტანელი ჯაყჯაყი ემატებოდა. მაგრამ ვინ ჩიოდა — სამ კი არა, ათ საათს გაუძლებდა კაცი მზეს, წყურვილს, ჯაყჯაყს, მტვერს, რაკილა მანქანაზე ვიჯექით და ვიცოდით, თუ რაღაც დიდი უბედურება არ მოხდებოდა, ქუთაისში უსიკვდილოდ ჩავაღწევდით. ტვიშის დუქანთან აუცილებლად გავჩერდებოდით; ხალხი ბუზღუნს დაიწყებდა, შე მამაცხონებულო, ჩასულიყავი ქუთაისში და მერე გინდ თავით ჩამხტარიყავი ღვინიან კასრშიო. რომელიმე იმასაც ეტყოდა — ოღონდ ნუ დაგვაგვიანებ და პატივცემა ჩემზე იყოსო. მძღოლი დაცინვით ამოგვხედავდა, რა მაქვს თქვენი სამოწყალო, თუ ცდა არ გინდათ, ჩამოივლის მანქანა და გადაბრძანდით, თქვენი კაპიკი არ მინდა, რაც გატარეთ, ალალი იყოსო. იცოდა მის იქით გზა არ გვქონდა და დიდ გულზე იყო.

აღარ დაადგებოდა საშველი დუქნიდან მძღოლის გამოსვლას. რომელიმე ჩვენი თანამგზავრი აქლოშინებული მოვარდებოდა, მანქანაზე ამოხოხდებოდა და დაფეთებული ხმადაბლა იტყოდა, ეს ოჯახქორი ჩვენი შოფერი ღვინოს სვამს და არსად გადაგვყაროსო. ზოგი მძღოლს წყევლიდა, ზოგი გაჩენას, რომელიღაცა იმასაც გაიხსენებდა, დილით ერთი წითური კაცი შემომხვდა და აჰა, ხო მაინც გაჭრაო. დიდი ხნის ბჭობის შემდეგ რომელიმე პატივსაცემ კაცს აარჩევდნენ, სთხოვდნენ, არიქა შენი მუხლების ჭირიმე, ქენი სიკეთე, ეგება თქვენ დაგიჯეროთ, ბატონო, იქნებ როგორმე გამოიყვანოთ ის დუბელაშესაჭმელიო. კაცი ქამარს უფრო მოიჭერდა, თითქოს საცეკვაოდ ეძახიან და ეშინია, ჩამოვლის დროს შარვალი არ ჩაძვრესო; დუქნის კართან ერთხელ კიდევ გადაისვამდა ქოჩორაშლიტოვებულ თავზე ხელს, გამოგვხედავდა, ხელს აგვიწევდა, ნუ გეშინიათ, მე ვიცი ჩემი საქმეო და კარის შავ სიცარიელეს შეერეოდა.

მოთმინებით ველოდით ჩვენი მსტოვრისა და შოფრის გამოჩენას. მაგრამ ქართული ხალხური ზღაპრისა არ იყოს, წასული ბევრი გვინახავს, მობრუნებული არც ერთიო, ისე იყო ჩვენი საქმე. შავთავსაფრიანი ქალი დანანებით გაიხსენებდა — გლეხმა წალდი დაკარგა და ნაჯახიც იქ ჩააგდოო. „ნაჯახის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგვას [როგორმე მოვინელებდით], „წილდი“ არ დაგვკარგვოდა ნეტავი. დილა უთენია სოფლიდან გამოსულები კარგა შელამებულზე ჩავდიოდით ქუთაისში. ხანდახან მძღოლი გაჯიუტდებოდა, ჯაჭვის ხიდთან ჩამოდით, ქალაქში შესვლის უფლება არა მაქვსო. უნდა გენახათ რა ღრიალი ატყდებოდა, სულ ცოტა აკლდა, რომ მთელი დღის ნაჯაყჯაყებ, გამოსავათებულ ხალხს რეგვენი მძღოლი კარგა გუნებიერად არ დაეჟეჟა.

დააგროვებდნენ ერთად ჩვენ ჩემოდნებს და გავარდებოდნენ ქალები ბილეთებზე. ვისხედით ბავშვები და ყველა ქუდჩამოფხატული და წვერმოშვებული კაცი ქურდი გვეგონა...

მაგრად შემიყოლია ფიქრმა, დროზე რომ წავსულიყავი ახლა ნახევარი გზა გავლილიც მექნებოდა. აბა, წამოხტი, ერთი, ორი, და სამი... ნაბიჯით იარ!

რიონის პირზე წყაროა, თუ აქ არ მოიკალი წყურვილი, სახლამდის პირი გაგიშრება. ხიდზე ცოტა კი წამოუბერავს ნიავი, აღმართში ისე დააჭერს მზე, თვალები დაგიბნელდება. გადმოკიდებული ლოდის ქვეშ სწრაფად გავივლი, რა იცი, რომელი კარგი ბედი მე მაქვს?! სოფლის თავში მოხუცი ქალები შემხვდებიან, მივესალმები, ვერ მიცნობენ და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემომაჩერდებიან.

„რომლისა ხარ, ბოშო?“

„ელისაბედის შვილიშვილი“...

„იმე, კი ველარ გიცანით, ბიჭო!“

„ამ ზევით, ზევით სად მიდიხარ.“

გამეღიმება.

„წყალს ხომ არ გისხამს დედაშენი?“ ისევ გავიღიმებ და თანხმობის ნიშნად თავს დავუქნევ.

„წადი, შვილო, წადი; გადაირევა დედაშენი სიხარულით, შენ გაიხარე, რომ სოფელში მოსვლა არ გეზარება“.

„ კი გადაირევა,“ — დაუმატებს რომელიღაცა და პაპანაქებაში მოჩვენებებივით დაუყვებიან შავკაბიანი მოხუცები თეთრ თავდაღმართს.

*

მთელი თვე, მთელი ზაფხული, თვით მთელი წელიწადი და თორმეტი თვე რომ იწვიმოს. ქვეყნიერების ზურგზე ვერავინ დამაჯერებს, რომ არასოდეს გამოიდარებს, რომ ჩემი სოფლის ორღობის გახურებული მტვრის სუნი ნესტოებს არ ამიწვავს... ზოცახის მთიდან მოკრიალებულ ცაზე ოქროს ობობასავით არ ამობობღდება სავსე მთვარე... რომ მთები, ლურჯი მთები გახუნდებიან, ფოთოლს დაყრიან, გალინღლული ბატებივით სასაცილონი გახდებიან და აღარ შეიფოთლებიან... რომ ტყვიისფერი ღრუბლები აღარ გაიფანტებიან და ჩვენს ჭასთან ფოთოლგაბანილი ვერხვი პატიოსანი თვალივით არ აბრწყინდება დილის მზის სხივებში... რომ რიონის ნაპირზე შუადღის მზისაგან გავარვარებული ქვიშა შიშველ ფეხისგულებს არ ამიწვავს...

კოსტას ჭიშკართან კოლია ბაბუა ზის, ქუთუთოები თვალებზე ჩამოსწოლია და თავი თუ არ გადასწია, სახეზე ვერ შემოგხედავს. ძლიერი მხრები ვილაცის გამონაცვალ შელანძღულ პიჯაკშიც კი გარკვევით ჩანს. ფეხზე ყურიანი წუღები აცვია.

ვერც კოლია ბაბუამ მიცნო.

— არჩილი ვარ.

— უჰ, შე კაცო, მოიწი აქეთ, კარგად შემოგხედო.

ნელა გაიმართა, მხრებამდე ხელების ფათურით ამომაბობღდა, ლოყაზე ხელი კარგა მაგრა შემომარტყა, ვერ მივხვდი სიყვარულით თუ მაგრძნობინა — დავბერდი, მაგრამ ძალა კიდევ არ დამიკარგავსო, გვერდით მომისვა და სანამ ლაპარაკით არ დაიღალა, აღარ გამიშვა.

ეს გრამიტონას სახლია; საწვეთელში ნაგდები ყავარივით ხმელი და შავი კაცია. უამრავი ფერისმჭამელი აბრეშუმის მურივით დახვევია ცხვირზე. ზამთარ-ზაფხულ ყურიანი წუღები და ნაცრისფერი თუ ჭუჭყისაგან გაშავებული, ქუსლებამოკეცილი წინდები აცვია. შარვლის ტოტები ყოველთვის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდის ყელში აქვს ჩატანებული. ძალიან მცივანაა და „ტელოგრეიკა" ყრონტამდე აქვს ხოლმე შეკრული.

შავლეს სახლს ყავარი დასძველებია; ცაცხვი ზუსტად ისეთია, როგორიც ამ რამდენიმე წლის წინ იყო, აღარ იზრდება, სულ მწვანეა და როგორი სიცხე და პაპანაქება არ უნდა იყოს, მაინც შრიალებს.

— ნორა გამარჯობა!

— იცოცხლე.

— სახლში როგორა ხართ.

—არაფერი გვიჭირს, მამაჩემია გლახათ, — თვალზე ცრემლი მოადგა.

— რა მოუვიდა?

— ღვიძლის დაწევა აქვს, თირკმელში კენჭები ჰქონია, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული თლა კლავს.

— კი მაგრამ, ვისთან გყავდათ?

— ნუცაამ გასინჯა.

— ლაპარაკი მაინც არ ეზარება იმ მამაცხონებულს?

— რა ვიცი შენ შემოგევლე, ამ ბოლო დროს სკლეროზი თუ რაცხა ჯანდაბა, ის დასჩემდა, ამ წუთში რომ ნორმალურად გელაპარაკება, მეორე წუთში იმისთანა რაღაცას გეტყვის, გადაგრევს. არ ვიცი რა ვქნა; ჯიბოიას მინდა დეპეშა გავუგზავნო, მარა, გამოუშვებენ ვითომ?

შეეჭვებული თავს ვიქნევ.

— არა და ბაბუამისს რომ რამე დაემართოს, ყველას დაგვხოცავს, ხო იცი რა უბედური ხასიათი აქვს?

არ ვიცი, მაგრამ თანხმობის ნიშნად მაინც თავს ვუქნევ, ახლა რომ თავისი შვილის ხასიათზე დამიწყოს ლაპარაკი, შეიძლება ჩემი შვებულება აქვე, ორღობეში გამატარებინოს.

უკვე საკმაოდ დაღლილი და მოთენთილი ვიყავი, მაგრამ ჩვენი ორსართულიანი, ჩაშავებული სახლის დანახვამ ამაჩქარა. წვიმისა და მზისგან ჩამუქებული ყავარი რამდენიმე ადგილას ქარს გადაუძვრია და თეთრად მოჩანს. რიკული თითქმის დამპალია, ჭიშკარიც როგორაა წაფერდებული, ოდნავ რომ მიაწვე თავისუფლად წაიქცევა. „შენ არაფრის გაკეთება არ გინდა, ყველაფერს ვერ გავწვდი", მსაყვედურობს ხოლმე დეიდა. იმ წუთას მართლა ვგრძნობ ჩემს დანაშაულს და მტკიცედ გადავწყვიტე რომ აუცილებლად გავაკეთებ ახალ ჭიშკარს, სახლის ჩამოშლილ კუთხეს ამოვაშენებ, საბძლის სახურავს შევაკეთებ, გარღვეულ ღობეს სილივაშას ეკლიანი ტოტებით ამოვგმანავ, მაგრამ ეს სურვილი თუ გადაწყვეტილება მხოლოდ ორი-სამი დღე მახსოვს, მერე ეჩვევა თვალი, თანაც რა დასამალია და დროც აღარ რჩება ხოლმე, ხან დასალევად დაგიძახებენ, ხან ბურთის სათამაშოდ, ხანაც თევზაობის იშტაზე მოხვალ და ორიოდე ჭიჭყინას გულისთვის მთელი დღე დააბოტებ რიონის ნაწყვეტებში.

ხბო გაკვირვებული შემომაჩერდა, კუდი აიპრიხა და დაგუდულ ჭიშკარს ეცა. ნეზვი უკმაყოფილო ხველებით წამოიზლაზნა. ძაღლმა ერთი კი შემომიყეფა და თონის უკან დაიმალა. ბოქლომი დაჟანგულა და გასაღები ძლივს მოტრიალდა, იატაკი ახალი შეღებილია (რამდენის თავი აქვს ამ კაფანდარა ქალს!), მაგრამ ალაგ-ალაგ ლურსმნის ვაკრიალებულ თავებს მაინც მოუსწრიათ თავის წამოყოფა. ბუხრის თავზე ნავთის ჭრაქი დგას. ლამაზად გამოჭრილი ქაღალდი დაძველებულა. კუთხეში დაბალი, ლურჯი კარადა დგას, ბებიას ნამზითვი. რა გინდა სულო და გულო აქ არ ნახო: გაზეთის ამონაჭრები (რომელთაც აღარავინ კითხულობს), ბზის სავარცხელი (თავის ხნოვანებასთან შედარებით კბილები გვარაიანად შემორჩა), თავწამტვრეული ფერუმარილიანი ბოთლი, სპილენძის პატარა თუნგი, დამტვრეული უშუშო ლამფა. გადასაფარებლის ქვეშ წლობის განმავლობაში დაგროვილი წერილებისა და მისალოცების მთელი კოლექცია.

რაღაც მაკლია, ვიღაცის ხმის გაგონებას ველი თითქოს, სადაცაა კარის განათებულ ღიობში მისი მოხრილი სილუეტი მძიმედ შემოაბიჯებს, გაიმართება, ტუჩებზე ხელს გადაისვამს და გემ-

ბრძოლა აკრძალი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიელად მაკოცებს, მერე ორიოდე სიტყვით მისაყვედურებს, რომ სოფელს ძალიან შემოვუწყერი, რომ თქმა არ უნდა, თეთრი პურის ჭამა სჯობია გალიგვებული ჭადის ლოლნას, მაგრამ ეს მხოლოდ პირველად, ცხელ გულზე, მერე ყველაფერი ჩვეულ, წლობის განმავლობაში ფაქიზად ნარნარად კალაპოტს უბრუნდება. მის მჩატე სხეულს სიყვარულით ვიხუტებ და ცოტათი ავწევ კიდეც. სიცილი აუვარდება და მეტყვის — ბიჭო, გონია ცას გაუტოლდე სიმაღლით და ჭკუა სულა არ მოგემატაო?!

ჩემი დიდედა!

ვეძებ იმ სკამს, რომელზეც ჩემს დიდედას უყვარდა დაჯდომა. სკამი ტახტის ქვეშ შეუგდიათ, მტვრიანია, არც ვწმენდავ, პირდაპირ ვჯდები და ოდნავ ვწყნარდები. როცა საქონელი დაგვეკარგებოდა, ბებია სწორედ ამ სკამს წამოაქცევდა, ოთხთავე ფეხზე თოკს დაახლართავდა, ღმერთო ძლიერო, ასე შეუკარი ფეხები ყოველ მავნე ოთხფეხსო... ბზის სავარცხელსაც დაახვევდა მსხვილ ძაფს, მამაზეციერო, ისმინე ჩემი თხოვნა, შენ აუკარი ნადირს პირიო... წყნარად იაქმიანობდა მთვარით განათებულ აივანზე და მაშინ, იმ წუთას, რომ ვინმეს ეთქვა შენი დიდედა ოდესღაც მაინც მოკვდებაო, შეიძლება ვარდანის რტყმით სული ამომეძრო... დატოვებდა შეკოჭილ სკამსა და სავარცხელს გარეთ და მშვიდად იძინებდა.

პურს ყუა წავატეხე. დიდედა ყოველთვის მე მაწვდიდა პურს, პირველად მე უნდა წამეტეხა ყუა და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგამდა კბილს საჭმელს.

„ხომ გიყვარს ამოტუკული ლობიო?“ თავს ვუქნევდი და ლობიან თეფშს ვართმევდი. ხახვის ფოთლებს გულმოდგინედ დაახვევდა, მარილზე დააწებდა და ისე გემრიელად ჭამდა, გვარიანი ნასადილევი რომ ყოფილიყავი, ერთ საინ ლობიოს მაინც შეჭამდი. ღვინოს წელში გამოყვანილ ჭიქაში დაუსხამდი, მარჯვენას წინსაფარზე გაისვამდა, მეორე ხელით ტუჩებს მოიწმენდდა, ჩაახველებდა და გულიანად დაგვლოცავდა. წელში გამოყვანილი ჭიქიდან ძნელია დალევა და ბებიას აუცილებლად გაუჭირდებოდა. ჭიქას ბოლომდე არ დაცლიდა.

„ბები, ამაზე მეტად არ გიყვარვარ?“

„ვისაც შენ არ უყვარხარ, ხვალამდე არ გააწიოს“.

სიყვარულთან დაკავშირებით დიდედა ჩემს ყველაზე სუსტ ადგილს — წერილს გამახსენებდა. ამხელა კაცი ვარ და სულ ოთხიოდე წერილი თუ მექნება გაგზავნილი ბებიასათვის. ისინიც იმდენად მოკლე და უაზრო, ვინმე უცხომ რომ წაიკითხოს, ნამდვილად ჭკუა ნაკლები ვეგონები. თუ თავს არ შეგაწყენთ, ჩემს ერთ-ერთ გენიალურ ქმნილებას სიტყვასიტყვით მოვიყვან (სტილი დაცულია):

„სალამი დიდედას და ვერიჩკას (დეიდაჩემს ასე ვეძახი) გისურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს, მოგიკითხათ ჩვენებმა მომიკითხე ყველანი ჩვენი დარდი არ გექნეთ“.

და მეტი არაფერი. აპოლინერისა არ იყოს, ეტყობა მეც მქონდა პერიოდი, როცა სასვენ ნიშნებს აბსოლუტურად ვუგულვებელვყოფდი.

დიდედამ კითხვა არ იცოდა და როცა დეიდა ჩემი წერილს წაუკითხავდა, თურმე ყოველთვის იმას საყვედურობდა — შენ კითხვა გეზარება და განგებ ამოკლებო. დიდედაც იშვიათად გვიგზავნიდა წერილს, წერა-კითხვის უცოდინარი იყო. თუ რომელიმე მეზობელი მის თხოვნას შეისმენდა და წერილს დაუწერდა, სამაგიეროდ რამდენიმე კვერცხს, ლორის პატარა ნაჭერსა და დიდედას გულწრფელ ლოცვას დაიმსახურებდა.

„კიდევ თუ გშია, ბები? არა, აღარ მინდა, — ისე მშიოდა, მეგონა ერთი ჟვის მარაგს გავაჩანაგებდი, მაგრამ... რა მითხარი? ცოლი რატომ არ მომყავს? რა კარგად თქვი: მხოლოდ იმ ერთზე ხომ არ ჩამოუთოვიათ: რა ვიცი, მართლა გეუბნები, ვის რად უნდივარ?! იმას თუ ვუნდივარ? შეიძლება.

მაგი რომ ვიცოდე რაღა მიჭირს. ღმერთმა ნუ გამიჭირვოს? დიდი მადლობა, ჩემო კარგო ბებია... ტყეში როდის წავალ? მაცალე, ამომასუნთქე, ხვალ დილით თუ არა ზეგ უსიკვდილოდ წავალ. არა გჯერა? ულვაში შემირცხვეს. ულვაში თუ არა, ნამუსი მაქვს.. ნამუსი რომ მქონდეს, წერილს მოგწერდი? შენ გგონია მეზარება? წერილი რომ ხშირად მოგწერო, ისე ძალიან აღარ მომენატრები... რა თქვი? ქარი წამიღებდა?... აა, ენა რომ არ მქონდეს... სიმინდობაზე დავრჩები, აბა რას ვიზამ?! მხოლოდ ერთი პირობით, სიმინდს ნუ ამაკონინებ, ხომ იცი როგორ არ მიყვარს... რაა? ხაჭაპურის ჭამა? შემაჯიბრე ვინც გინდა...“

ბებიასთან საუბარი წინასწარგაზეპირებულ დიალოგს უფრო ჰგავდა ვიდრე მთელი წლის უნახავი ორი ადამიანის (მართალია ძალიან ახლობელის) საუბარს. ასეთი ლამაზი საუბარი აღარასოდეს მომისმენია, ისე გულიანად არავისთან, არც მანამდე და არც მას შემდეგ მილაპარაკია.

გვიან ღამემდე დაბორიალობ სოფელში. უმთვარო ღამეში, გვიან შემოგხვდება ვინმე, განგებ არ ესალმები, გაფაციცებით გაკვირდება, შეიძლება ეშინია კიდეც, ცოტა გამცილდება, გაეხმიანები, გაიცინებს შე კაცო, კინაღამ შიშმა გადამრია, ვიფიქრე, ვინაა ეს ახმახი-თქვა. კიდევ გაიცინებს, ალბათ თავსაც გააქნევს (ღამეა) და აჩქარებული ნაბიჯით გაუყვება ტალახიან ორღობეს. ღორი შემომხვდება და ავი სულივით უხმოდ ჩამივლის, არც კი დაიღრუტუნებს. ორღობეში ადევნებული სულები სახლის კარამდე არ გეშვებიან.

ფოთლების შრიალი ვიღაცის სიცილს გაგონებს, სიცილი რომელიც ასე მშვენიერი იყო და აღარასოდეს, აღარასოდეს განმეორდება...

ჭიდან ამოღებული წყალი მისი თვალებივით გამჭვირვალეა და კამკამა...

ვერხვის ათრთოლებული ფოთოლი მისი ფერწასული ტუჩები[illegible] ჰგავს ძალიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე თუ არა მესამე დღეს ბებია დილაუთენია წამომაგდებდა ლოგინიდან, ბლის კანისგან დაწნულ ჩანთაში ჩაალაგებდა საგზალს, საგანგებოდ ალესილ ნაჯახს ქამარში გავიჩრიდი (რაღა დაგიმალოთ და ტყეში წასვლა ქამარში გაჩრილი ნაჯახისთვის უფრო მომწონდა) და მზის ამოსვლამდე ორი კარგა მოზრდილი ხის წაქცევასაც ვასწრებდით ზოგჯერ წვიმა მოგვისწრებდა და ერთიანად გალუმპულები ბუხარს ავეტუზებოდით. შეღამებულზე დეიდა მოვიდოდა. ბებია ორ კეცს მიადგამდა ცეცხლს. ხის გობზე ფქვილს დააყრიდა, დაასხამდა წყალს, ცალ ხელს გობის კიდეს ჩასჭიდებდა, მარჯვენათი ცომს და მოზელავდა, გადმოაბრუნებდა გახურებულ კეცს, ქაღალდის ნაგლეჯს მოუსვამდა, დააკრავდა ცომს და თითების მოხერხებული მოძრაობით კიდეებს შემოუსწორებდა. კავწიაში ლობიო მოხარშული იყო, დეიდა ჩაცუცქდებოდა, ხელისგულებით ლაფერთხას დაატრიალებდა და ლობიოს ამოლესავდა. აკვამლებული ჯირკი თვალებს სწვავდა და თავი გვერდზე მიჰქონდა. ბებია ამოიღებდა ჭადს, შუაზე გადატეხავდა, ნახევარს მაგიდაზე დასდებდა, დანარჩენს წყალს გადაავლებდა, ალბობდა, კბილები არ უვარგოდა და ხმელი ჭადის ჭამა არ შეეძლო.

ვიღაცამ დაიძახა.

ხმა არ გავეცი.

ძახილი განმეორდა.

ჩვენს ოჯახს ძველთაგან მოსდგამდა, უშობელიცა და მოზვერიც ყოველთვის საუკეთესო გვყავდა. თუ მოზვერი ლამაზი და ჯიშიანი გამოვიდოდა, დიდედა დიდხანს არ აკოდვინებდა, თვე არ გავიდოდა ისე, რომ ჩვენს ჭიშკართან სამ ან ოთხ გლეხს არ დაეძახნა, ელისაბედ თუ ღმერთი გწამს არ მითხრა უარი, გამოატანე ბავშვს მოზვერუკა და პატივისცემა ჩემზე იყოსო. რად მინდოდა იმათი პატივისცემა, იმ წუთას წამოვავ-

ლებდი წკნელს ხელს, სოფლის მუსუსს, ჩვენ ბულას წინ გავიგდებდი და ორლობეს მაყრიულით გავუყვებოდი.

*

ბებია სალოცავზე, ყანასთან ახლოსაა დასაფლავებული. არავითარი წარწერა, არც საფლავის ქვა, მხოლოდ ოდნავ ამობურცული მიწა თუ მიანიშნებს უცხოს, რომ აქ ადამიანია დაკრძალული. მხოლოდ ჩვენ, შინაურებმა ვიცით, რომ აქ ელისაბედ ივანეს ასული ჩორგოლიანის ნეშტი განისვენებს სამუდამოდ, უკუნისი უკუნისამდე. გვერდით ჩემი ბაბუა არტემია დაკრძალული. ბაბუა არტემი, არ მახსოვს, მე კი არა დედაჩემს არ ახსოვს წესიერად; ადამიანი, რომელიც არასოდეს გინახავს, უნებურად უცხო რჩება შენთვის, მიუხედავად ასეთი ნათესაური კავშირისა, ბაბუა არტემი — ეს ორი სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქტულ მცნებად შემომრჩა ბავშვობიდან.

ნეტავ თუ რამეს ნიშნავს ფიზიკურად ცოლ-ქმრის გვერდი-გვერდ დაკრძალვა?!

მარჯვენა მხარეს პელა (იგივე პელაგია) და ევგენი მოწონელიძეები არიან დაკრძალული. მონაგარი იმათ დაიჩემონ, იმისთანა სასაფლაო აქვთ გაკეთებული ქალაქელ კაცს შეშურდება. მხოლოდ ახლა დავრწმუნდი, რა აუცილებელია თუნდაც მავთულის ბადის შემოვლება, საქონლის ფეხით მაინც არ მოიჯეგება საფლავი. ბებიას თავთან, ცოტა მოშორებით ძველებური ქვის საფლავი მთლიანად ხავსს მოუვლია. აღარც წარწერა ემჩნევა, აღარც ორნამენტი. მხოლოდ ზემოდან ჯვარი ატყვია ოდნავ. სალოცავს ბო[illegible] მარი, ტანატყაული თელა დგას. [illegible] თავი მახსოვს, ასე დგას ტოტებგაფარჩხული. ჩამოტყდება ტოტი, დაიშლება მზისა და წვიმისაგან, ხელს არავინ ახლებს, მთლად წყალწაღებული კაციც კი კინწსაც არ შეატეხავს და სახლში არ წაიღებს. სასაფლაოს მერე მწვანე სათიბია, შუადღეზე წამლად რომ გინდოდეს ერთ ცალ ბაყაყს ვერ ნახავ, არა და მთელი ღამე ძილს არ გაღირსებენ, გამთენიამდე გაუჩერებლად ყიყინებენ. სოფლის ბოლოს გორებია, სულ იქით დიდი ლურჯი მთები მოჩანან.

„ხედავ რა ლამაზია მთები. ყველაზე ლამაზი ჩვენი მთებია, ჩვენი ცისფერი მთები... ადამიანი ალბათ მაშინ კვდება, როცა ცისფერი მთების სითბოს ველარ იგრძნობს. მაშინ კვდება, როცა მთები აღარ მოენატრება...“

ჩემს სიცოცხლეში პირველად, მართლა ამეწვა გულ-მუცელი. ყველაზე მეტად ახლა შემეცოდა დიდედა, რომ ცოცხალი არ იყო. ყველაზე უფრო ახლა მომინდა მისი ჩალის კონასავით მჩატე და ხმელი სხეულის ჩახუტება, მისი ხაოიანი ხელის შეხება ლოყაზე.

გაზაფხულზე მთელი სალოცავა ანაგვირილებით, ხარისძირებითა და ფირისულებითაა სავსე. მართლა სისხლის წვეთებივითაა მიმობნეული ყაყაჩოები მწვანე ბალახებზე... როგორი დაბეჯითებით ირწმუნებოდა ჩემი ბებია, ყაყაჩოში რომ ადამიანის სისხლი არ იყოს გარეული, ასე უსაშველოდ რა გააწითლებდაო...

ჰოდა, ქალბატონ ანასი არ იყოს, ჩემო ბები, აღარც მე მოვწყვეტ ყაყაჩოს...

## ნათელა

სოფლის ბოლოდან საცალფეხო ბილიკი გარბოდა მთისკენ. ფინია ძაღლივით გარბოდა ბილიკი, გაგვისწრებდა, ბუჩქებში გაუჩინარდებოდა, გავარდებოდა სათიბში, დაიკლაკნებოდა და წყაროსთან ჩაიმუხლებდა. დრო და დრო მუხის ან წიფლის ჩრდილს შეეპარებოდა, სულს მოითქვამდა, გარდიგარდმო გადაჭრიდა მინდორს და მერე ტყის პირს ბალახის ყოველი სველი ფურცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივით აეტმასნებოდა. ზოგჯერ ჩამოგრჩებოდა და ერთგული, დაბერებული ჩაგაზივით მოგუნგულებდა ჩვენს უკან.

მოთენთილი ჰაერი სიცხისაგან თრთოდა. ცხელოდა. მხოლოდ ტყეში შეიძლებოდა სულის მოთქმა. პატარა ხევში წყნარად მოშრიალებდა ფოთლებწაფარებული წყალი. მიწა ნოტიო იყო, გრილი, ისეთი გრილი, მოგინდებოდა გახურებული ლოყა მიგედო. დიდი ტანმსხვილი ხეები მდუმარედ იდგნენ და კრიალა ცას მშვიდად შეჰყურებდნენ.

მთაში ყოველ მესამე დღეს მივდიოდით — სურსათი მიგვქონდა მთიბავებთან. სათიბად ნათელას მამა და კიდევ ოთხი კაცი იყო წასული. სათიბებამდე კარგა დიდი გზა იყო, ადრე დილით გასულები სადილისთვის ძლივს ვასწრებდით ასვლას, ძალიან ბევრი აღმართი იყო და დასვენება ხშირად გვიხდებოდა. პატარაობისას შუაგულ ტყეში მოხვედრილს თავზარდამცემი შიში შემიპყრობდა ხოლმე, ვაითუ ველარ გავაღწიო ტყის პირამდე-თქო და იმის მაგივრად, რომ ბილიკი მეძებნა, ყველაზე მაღალსა და საიმედო ხეს ვარჩევდი... ღამის გასათევად. ბავშვობისდროინდელი შიში ეტყობა მაინც მქონდა გამოყოლილი — ისედაც აჩქარებული გული ფოთლების შრიალზე ან შაშვის უეცარ ჭახჭახზეც კი მთლად გადაირეოდა და ტყიდან გამოსვლამდე სულმოუთქმელად იბრაგუნებდა.

„ეგრო დეიდა, ტყეში დათვი არის?“

„დათვიც და მგელიც!“

„ადამიანს ერჩიან?“

„ზამთარში... ხო არ გეშინია?“

„მეშინია არა?!“

ეს საუბარი მაშინ იმართებოდა მე და დეიდას შორის, როცა ტყე ჩემთვის იდუმალებით მოცულ სამყაროს წარმოადგენდა, სადაც, ადამიანის გარდა, ყოველგვარი ნადირი დათარეშობდა და ყველანაირი არსება დაბობლავდა. ჩემი აზრით, ტყეში მხოლოდ კბილებამდე შეიარაღებული, თავზეხელაღებული კაცები თუ შებედავდნენ.

ჩაგუბებული სიმწვანე ალაგ-ალაგ სხივჩამდგარი სუსტი სხივებით იყო ჩარღვეული და ფოთლების ოდნავ შექანებაზეც კი ნათელი ლაქები საოცარი სისწრაფით გადარბოდნენ მეჩხერი ბალახით დაფარულ მიწაზე, კუნძებზე, ხეების ტანზე. თითქოს ახლადმოთოვლილი ქათქათა თექა დაუგდიათო გასაშრობად, ისე ეფინა ხეებს შორის დიდი ნათელი ლაქა. საკმარისი იყო მზე ღრუბლებს ამოფარებოდა, კიდეები გაეცრიცებოდა, გალღვებოდა ქათქათა ლაქა. გაბაცდებოდა და ოდნავლა დაეტყობოდა ხმელი ფოთლებით დაფარულ მიწას. უმწეო ნიავი ძლივსგასაგონად აშრიალებდა ხის კენწეროებს, ქარის მოვარდნისთანავე ხეები ისეთ ტაშისცემას ატეხდნენ, თითქოს ქარის გამოჩენა ახარებდათ ყველაზე მეტად ამ ქვეყნად.

გახშირდებოდა ბუჩქნარი, ალაგ-ალაგ შინდი და დეკა წამოეპარებოდა მაღალ ხეებს, ბალახიც გახშირდებოდა შარშანდელი ფოთლით დაფარულ მიწაზე, უფერული, უმწეო, მეჩხერფოთლიანი. ბოლოს გალხვებოდა ტყის სიმრეში და შორს, ხის ტოტებში კამკამა ცა გამოჩნდებოდა. არ ვიცი, რისი ან ვისი დანახვა ახარებს ადამიანებს, მე კი იმ ზაფხულს ცისა და ნათელას დანახვა ქვეყნიერებას მერჩია. ნეტა ასე გაგრძელებულიყო სულ, ყოველთვის, უსასრულოდ.

გაივლის კიდევ ათიოდე წელი და კიდევ უფრო ამაწრიალებს წარსულის მოგონება, კიდევ უფრო შემაძრწუნებს ყოველდღიური, ყოველწამიერი დაშორება წარსულთან.

მერე ვიჯექით დაღლილები ახალგათიბულ, ჯერ კიდევ შეუმჭკნარ ბალახზე, ვათვალიერებდით მთიბავების გარუჯულ, წვერმოშვებულ სახეებს. ძლიერი ყბები ენერგიულად მუშაობდნენ, მადიანად ილუკმებოდნენ კაცები, დიდხანს, გემრიელად ღეჭავდნენ. ილოცებოდნენ, მზეს ახედავდნენ, მესამე ჭიქაზე პურის ყუას აწებდნენ ღვინოში, დიდხანს წრუპავდნენ პატარა ჭიქას, ბანჯგვლიან შავ მაჯას გაისვამდ-

ბიბლიოთეკა

ნენ სველ ტუჩებზე, ხელახლა აავსებდნენ და სხვას გადაუდგამდნენ. ჭიქას ხელს აჭერდნენ, ასწორებდნენ, ეშინოდათ არ წაქცეულიყო. რომელიღაცას მაინც გადაუბრუნდებოდა, გაეღიმებოდათ — ამითი უპატრონო მიცვალებულების ხსენება იყოსო და ისევ გადახევდნენ ჯერ კიდევ თბილ ლავაშს.

— რავა პირში მოგვჩერებიხართ, მოდით და ჭამეთ რამე! — ნათელას მამა დაგვიცაცხანებდა.

— მოდით ბიძიებო, ჭამეთ კოკორია, თუ არა შაშვის ბარტყებივით ამოგძვრებათ სული, — გულს გაგვიკეთებდა რომელიმე მათგანი და ნათელას მამა ძალით ჩაგვიტენიდა ხელში კარგა მოზრდილ პურის ნაჭერსა და ყველს. ჯერ ვიცაცქნებოდით, მერე ჩვენც გავუსვამდით ყბას და ხელახლა შემოთავაზებულ პურის ნაჭერსა და ყველს ყოველგვარი მორცხვობის გარეშე ვართმევდით.

ვეხმარებოდით კიდეც; თუ თივა კარგად იყო შემხმარი, ერთ ადგილას ვაგროვებდით და მერე კაცები ზიდავდნენ. გადმობრუნებული ფიწალი ხრიალით მოჰყვებოდა ხელს. მოვაგროვებდით ერთ ადგილას, შუაგულში ჩავასობდი ფიწალს, წამოვიკიდებდი თივის ბულულს და ზვინისკენ ფეხარეული მივბორძიკობდი. ნაშუადღევს წყაროზე ვიბანდით, მე წელსზევით, ნათელა მკლავებსა და სახეს, დაკაწრულ, მზემოკიდებულ წვივებსაც ჩაიბანდა, საკმარისი იყო კაბის კალთა ოდნავ წამოსწეოდა, ჯიშიანი ფეხების სისავსე და სითეთრე ნერწყვს გამიშრობდა და უკვე დაბანილი ისევ თივის ბულულს ვეძგერებოდი გამეტებით.

ამასობაში მზეც გადაიწვერებოდა და დავადგებოდით გზას. თავდაღმართში სწრაფად, ხელების ქნევით მოვალაჯებდი, ნათელა ვერ მეწეოდა და ყოველწუთს მეხვეწებოდა, დამეცადა მისთვის.

გაცრეცილ ცას ფერი დაჰკარგვოდა, თითის წვერებზე წამოწეული ხეები დალონებული გაჰყურებდნენ ჩამავალ მზეს. მხრებმოტყაული კლდეების იქით ღრუბლებში შეყუჟული თავთეთრა მთები მოჩანდა. თოვლიანი მთები შუადღის მდინარესავით ჭრიდა თვალებს. უშველებელი ველი ქარდაკრულ ზღვასავით ირწეოდა...

ნათელას აბგაში დარჩენილი ვაშლი მივაწოდე, მოკბიჩა და დამიბრუნა. კარგა ხანს მოვუნდით ვაშლის შეჭმას, სულ ოდნავ ვაკარებდით პირს და ისე ვუბრუნებდით ერთმანეთს. მიხაროდა, რომ ნათელას ჩემი ნაპირალი არ ეზარებოდა. სწორედ წინა წელს თითქმის მთელი გაზაფხული საავადმყოფოში გავატარე. ჩემმა კლასელმა კალამი თვალში მაძგერა, ვითარცა ქეიბური და ცალთვალობას ბეწვზე გადავურჩი; დედაჩემი ყოველდღე მოდიოდა, ჩემი ძმა — ყოველ მეორე დღეს. ხუთი საათის შემდეგ ადგილს ველარ ვპოულობდი. ვიცოდი — ხუთს ხუთი რომ დააკლდებოდა დედა სამსახურიდან გამოვიდოდა. შვიდ ან რვა ნომერ ტრამვაის დეზერტირის ბაზრამდე გამოყვებოდა. მგზავრობას თხუთმეტი, ჰა, ჰა, ოცი წუთი დასჭირვებოდა, საღამოს ბაზარი, ცუდი წარმოდგენისა არ იყოს, ხალხნაკლულია და სანოვაგის ყიდვა ორჯერ უფრო სწრაფად შეიძლება, ვიდრე დღის პირველ ნახევარში. ბაზარს კიდევ ნახევარი საათი მაინც მიჰქონდა. ხანდახან ოციოდ წუთით მეტი ეხარჯებოდა, რომელიმე გონებაბრჯგუ გამყიდველი არაფრით არ დაუკლებდა კიტრს ფასს, ვერც დედაჩემის მუდარა გასჭრიდა, რომ ავადმყოფი შვილისთვის უნდოდა და გაუთვალისწინებელი მასლაათი ოქროდღირებულ (ჩემთვის) წუთებს ართმევდა... მე კი უკვე მელეოდა სული და ვფიქრობდი, რომ იმ დღეს დედა აღარ მოვიდოდა.. მერე საშინლად კმაყოფილი, რომ არ გავწბილდი, ალბათ ცრემლჩამდგარი (არ მახსოვს, ღმერთმანი) თვალებით ვუცქეროდი დედაჩემის ფუსფუსს — კარგად გარეცხილ მწვანილს ლამაზად შემოუწყობდა გულდაგულ დათლილ სიგრძეზე ოთხად გაჭრილ კიტრს. თხლად დაჭრილ პურზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარაქს წამისვამდა და ზემოდან ასევე თხლად დაჭრილ ყველის ნაჭერს დააფენდა, სახელდახელოდ გაცხელებულ კერძს თავისი ხელით მაჭმევდა. ო, როგორი ბედნიერი ვიყავი, როგორ მიყვარდა ყველა. პამიდორი ჯერ კიდევ ძვირი ღირდა და მეზობლის მოწოდებულსაც არ ვჭამდი, ვითომ არ მიყვარდა (არადა სულს ვლევდი). წინა დღის ნაყიდ ბალს მგონი სიდამპლე შეპარვოდა, მაგრამ სადილის შემდეგ ისე გემრიელად გეახლებოდით, თითქოს ჩემს დღეში მსგავსი არაფერი გამესინჯოს.

სადილის შემდეგ, სიზანტემორეული, გატრუნული ვუსმენდი დედაჩემს, რომელიც მგონი მეხუთედ მაინც მიკითხავდა ბებიაჩემის წერილს, ამ დროს თვალის ტკივილიც მავიწყდებოდა, საავადმყოფოც, ყველა ექიმი და ავადმყოფი. დედაჩემიც კი სულმოუთქმელად დავრბოდი სოფლის ბულიან ორღობეებში. წვიმიან ამინდში ვიჯექი აივანზე თბილად ჩაცმული და შეშინებული ვფიქრობდი რა იყო „მეორედ მოსვლა“, ასე შეშფოთებული რომ ახსენებდა ბებიაჩემი პირჯვარის წერით. მეშინოდა, მაგრამ მაინც მაინტერესებდა, ადამიანი მოვიდოდა, თუ ვიღაც სხვა, უფრო განსაკუთრებული, ვიდრე ადამიანი, ვეხმარებოდი ბებიას თოხნაში და ბუხრის წინ ატუზული ვუყურებდი, როგორი გულმოდგინებით იყვანდა ბებია ყველს...

ხანდახან ცხელი ტრამალების სუნთქვა თვალებს ამიწვავდა... მერე წყნარი, მთვარიანი ღამის ნიავი თოთო ბავშვის ხელებით მეფერებოდა... მოვარდებოდა ქარი, დაალეწავდა ბებერ მუხებს მკლავებს... მერე პაწანწკინტელა ნაკადულის ჩუმი შრიალივით ძლივს აღწევდა ჩემამდე მისუსტებული ძალაგამოლეული ხმა...

ნათელა მღეროდა...

სიმღერას საკმაოდ მოხუცი კაცი გვასწავლიდა. თმა თითქმის არ ჰქონდა. რაც შერჩენოდა, იმასაც მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. კისერი უთმო ღვლივით მოქნილი ჰქონდა. გამხმარი მხრები ლურჯ პიჯაკში საცოდავად ამოყროდა. შარვალი ყოველთვის ფართო და მოკლე ეცვა, წინდებს პერანგის ფერს უხამებდა. ფეხსაცმელი არასოდეს შეკრული არ ჰქონდა — ავიწყდებოდა თუ ასე მოსწონდა, დღემდე ვერ მივმხვდარვარ. ნიშანს პირის გაღებაში წერდა, ღმერთმანი, ვისაც პირის გაღება არ ეზარებოდა, ყოველთვის კარგი ნიშანი ჰქონდა სიმღერაში. თუ სიმღერა ახალი ნასწავლი გვქონდა, უკანა რიგები განგებ ურევდნენ. ოცდაათი მოწაფე ანგრეულ სკასავით ზუზუნებდა. მთელი საათი უნდებოდა დაფაზე ტექსტის დაწერას, აქ უყურეთ და ისე მაინც იმღერეთო. პიჯაკის სახელო და კალთა ცარცით ევსებოდა, მარცხენა ხელით ფრთხილად იღებდა გულის ჯიბიდან თეთრ ცხვირსახოცს და დიდხანს, გულმოდგინედ იწმენდდა მარჯვენა ხელის სამ დასვრილ თითს... მერე სიმღერის დაწყების ნიშანს მოგვცემდა... მთელი ხმით ვღრიალებდით, წინა რიგები მღეროდნენ, დანარჩენები მხოლოდ პირს აღებდნენ ან ღნაოდნენ. ზოგიერთს ამ მაიმუნობაში მთქნარება შემოეპარებოდა.

წყნარად დაკეცავდა ჟურნალს, ზარის დარეკვას არც კი დაუცდიდა და მშვიდი ნაბიჯით გავიდოდა ოთახიდან, ამ წუთში ყველა ჩვენგანი გრძნობდა, ჰო, გრძნობდა, რაღაც ლამაზს, რაღაც საოცრად ლამაზს, რომელსაც ვერასოდეს ვხედავთ და ასე იშვიათად ვხვდებით...

იმ კაცს, საკუთარი ჩრდილის გარდა, არავინ გააჩნდა ამ ქვეყნად...

დიდხანს, ძალიან დიდხანს არ ამოგვიღია ხმა, ფრთხილად მივაბიჯებდით ბილიკზე, სათიბშიც კარგა ხანს მივაბიჯებდით დამუნჯებულნი. კალიები შხეფებივით ცვიოდა ირგვლივ, თითქოს ფეხს წვიმის შემდეგ დარჩენილ გუბეებში ვაბიჯებდით. მერე ვიწექით ბალახებზე და ლურჯი ცარგვალი თვალებსა გვტკენდა. ნათელას ხელები გაეშალა მკერდი კიდევ უფრო დაპატარავებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. დიდი ნაცრისფერი თვალები ცით ავსებოდა.

წვიმა ერთბაშად წამოვიდა. მძიმე წვეთები ცერად ეცემოდნენ მშრალ მიწას და ამტვერებდნენ. გაფიცხებულ მიწას მკვეთრი სუნი ასდიოდა. შუა მინდორში ვიყავით და სანამ ტყის პირას მივაღწიეთ, გვარიანად დავსველდით. ხე ხშირფოთლიანი იყო, წვიმა ვერ ატანდა, მხოლოდ ზოგჯერ თუ მოადენდა ტყაპანს მსხვილი, ფოთოლზე ან ტოტზე მოგროვილი დიდი წვეთი. ნათელა კანკალებდა, მკლავებზე ხორკლი დააყარა. კაბა ერთიანად დასველებოდა და ტანზე აკვროდა.

— იცი ვინ მიყვარს? — როგორც ძალლს ეცვლება ხოლმე ნადირობის დროს ხმა, ისე მეუცხოვა ჩემი ლაპარაკი, არც ხმა ჰგავდა ჩვეულებრივს, მეც ისევე აძაგრული ვიყავი, როგორც ახალბედა მაძებარი ნაბულზე.

ამომხედა.

— შენ!

— ვინ? — მის თვალებში ახლა უფრო გარკვევით ჩანდა პირდაბანილი სათიბები, პაწაწკინტელა მთები და ცა.

რა კარგი გასახსენებელია ახლა, უკვე გარდასული დღეები, ახლა, როცა სულმა უკვე დაილექა ცხოვრებაში პირველად ხმამაღლა ნათქვამი სიტყვების სითბო და სიმძაფრე. ახლა სულელივით მეცინება ხოლმე, როგორ მოვიკრიბე ამხელა გამბედაობა?! იმ დღემდე ვოგოს დაველაპარაკებოდი კი არა, თუ ოდნავ თამამად შემომხედავდნენ, სად დავმალულიყავი არ ვიცოდი. ზოგიერთებს ამ სტრიქონების წაკითხვა ღიმილს მოჰგვრის, მაგრამ ღმერთმანი არა ვტყუი. იმ დღემდე არც ღვინით დავმთვრალვარ და სიყვარულით მით უმეტეს. არა და, რამდენიმე დღე მართლა მთვრალივით დავდიოდი. ბედნიერებისაგან მართლა არ ვაკარებდი მიწას ფეხს. ჩემი ნატერფალები გამხმარი ფოთლის ანაბეჭდად თუ დაემჩნეოდა დედამიწას, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მიყვარდა და ეს სიყვარული გავამხილე, ხმამაღლა ვთქვი.

— გცივა?

— არა.

ახლა მის სხეულს აყვავებული კუნელივით მძაფრი და გამაბრუებელი სურნელი დაჰკრავდა. ასკილის ყვავილივით უცნაურად სურნელოვანი და გედის ღინღლივით რბილი იყო მისი თმა.

— შენ გცივა?

თავი გავაქნიე. დიდხანს ვუყურებდი მის თვალებში ჩაღვრილ მოღრუბლულ ცასა და ხასხასა სათიბებს და ნაწვიმარი მიწის სუნისაგან თავბრუ მეხვეოდა...

აღარ დაადგებოდა საშველი ორი დღის გავლას. აღარ მეგონა თუ მიმყვებოდა სული მესამე დღეს დილამდე. მხოლოდ და მხოლოდ სათიბების აყოლებაზე ვირწმუნებდი სინამდვილეს — ის ჩემს გვერდით მოაბიჯებდა.

ხანდახან ღამეც ვრჩებოდით მთაში, ბინდი უეცრად ჩამოწვებოდა. ხმელი კიწაწები უცბად ჩაიწვებოდა კოცონში, ხავსიანი კუნძი ნელა, გუნებიერად დანაკვერჩხლდებოდა. მღეროდნენ ხოლმე მთიბავები ჩუმად, ძალიან დაბალ ხმაზე, უენო სალამურივით ჩახლეჩილი ხმით მღეროდნენ, სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ მოტივი ისეთი ნაღვლიანი იყო, ტირილი მინდებოდა.

თივაში გემრიელად შეხვეული, გამთენიამდე შევყურებდი ვარსკვლავებით სავსე ცას და მთიბავების ხმამაღალ ფშვინვაში ნათელას უმწეო სუნთქვის გარჩევას ამაოდ ვცდილობდი.

— მერე?

მერე ის იყო: აგვისტო იწურებოდა, არდადეგები მთავრდებოდა და ქალაქში უნდა წავსულიყავი. ჩემი ნება რომ ყოფილიყო არასოდეს დავტოვებდი სოფელს, ქალაქისკენ პირსაც აღარ ვიზამდი, მაგრამ აგვისტო იწურებოდა და არდადეგები მთავრდებოდა...

დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ზაფხულის ლამაზ, ლამაზ დღეებს ჩემი ყველაზე გულწრფელი სიხარული და ბავშვობა უკანმოუხედავად გაჰყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედი ჯახუა

## მოლოდინის ფრაგმენტები

1.

შენ მოხვალ ჩემთან
გაზაფხულზე,
როცა ატმები
ეზოს უნაზეს ალში გახვევენ
და კოცონები კვირაობით
ენთება ირგვლივ...

შენთვის გადმოვრგე ეს პაწია
მწვანე ნერგები,
მზისგულზე
უფრო ლაღად, სწრაფად
ტანს აიყრიან...

არ შეიძლება
სიყვარული ძალგიძდეს, ისე
რომ მოუთმენლად არ ელოდე
ნორჩი ატმების
პირველ
საყვარელ აბრიალებას...
შენ მოხვალ ჩემთან გაზაფხულზე,
როგორც აპრილი...

2.

სოველ რტოებზე გამომსხდარ კვირტებს
ახარებთ დილის მზე— ნათელხილვა.
დღის მძლავრი სული იწევა მზისკენ
და ჩრდილებისკენ ლტოლვილი რთვილი
მკერდზე ადნება გახვითქულ მიწას.
მზეზე ელავენ ქედები ქარწბის
და ჰორიზონტებს შორეთისკენ
ერეკებიან,
სადაც ჩაფლულნი ზმანებისებრ
სილაჟვარდეში
ჯერ ისევ თვლემენ ერთმანეთზე
მიყრილი მთები...

აქ კი,
სულ ახლოს,
მოულოდნელ ახდენას ნატვრის
ჰგვანან პაწია თოთო ფოთლები
და გაუშლელი ყვავილების
ფერადი ღიმი
და სიყვარულის მოლოდინზე
ოდნავ სევდიან
ლამაზ სიმღერას მღერიან გულში
ატმის კვირტებში შეყუჟული
გულწითელები.

3.

გაზაფხულის ნორჩი სული —
პაწია ნუკრი ხნულში ნარბენი
ია-იების ცრემლში იბანს ვარდისფერ
ფეფებს,
წყლიან თვალებში
ამ ცრემლივით უმანკო, წმინდა
უდგას კრიალი
გამჭვირვალე ცის ოკეანის
და ვარსკვლავები,
მოსხმარტალე ოქროს თევზები
გაცისკრებამდე ნებივრობენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისხამ ჩქერებში,
მთვარე კი ამ დროს —
კეთილი მწყემსი —
ატმის რტოებზე დაყრილ ქვირითს
თავს დაჰფოფინებს...

4.

...მალე მინელდა
და მიყუჩდა
შხაპუნა თბილი.
მიმოიფანტა ღრუბელთ შორის
ცის ნაფლეთები.
ამო ჟივჟივი
ძლივსგასაგონი
ატოკებს
ატმის
ნატირალ
ტოტებს...
მოგელი...
ისევ...
იგვიანებ
და მენანება
მარტო რომ ვუმზერ საოცრებას
ცის გამთელების...
გულწითელების საყვარელ ჟღურტულს
მარტო რომ ვუსმენ...

5.

ნორჩი ატმების აყვავება
მესიზმრა წუხელ:
მოახლოვებულ აპრილის სუნთქვამ
ოდნავ მბჟუტავი გაალვივა
თბილი კვირტები
და მოქანავე ტოტებიდან ასულმა ალმა
მოქათქათე ღრუბლის ქულები
შენი ღიმისფრად შეაფერადა.

* * *

მალე აპრილი ეწვევა პირმზითს,
მე კვლავ უშენოდ მივყვები გამზირს,
ვერ მივეჩვიე სიარულს იმ გზით,
ვერ მიეჩვიე სიარულს ამ გზით...

გაორდა ჩვენი გზა — იქცა გზებად,
გაიყო ფიქრი, გაიყო აზრი...
მოგონებათა მსუბუქი ძნები
შენ სხვა გზით მიგაქვს,
მე მიმაქვს სხვა გზით.

* * *

მითრიალებდნენ მაღლა ნისლები
და ეწეოდნენ მზისკენ ჩინარებს,
ვარსკვლავებს თვლიდნენ კვიპაროსები
მზეში ჩაფლულებს და უჩინარებს.

მზე ნებივრობდა თბილ ტალღებს შორის
და უხაროდათ პატარა თევზებს,
ოოვლს ვარდისფერი დაჰკრავდა
მთებზე
და ბუმბულივით მიჰქონდა ქორი
აპრილის ნიავს...

თავისით გაჩნდა სულში უფსკრული,
(როგორც თავისით ჩნდება მწვერვალი)
და მაგიურად და მომნუსხველად
იხედებოდა შიგ მზე ელვარე
შენი თვალებით...

და ნათდებოდა სამყარო ერთობ
უთავბოლო და გზების ამრევი
და ცაზე
მხოლოდ ერთი რომ ენთო
მზე —
მე ვიხილე მზე უამრავი!..

ბიბლიოთეკა

* * *

ცაა ნათელი ზოგჯერ ძალიან,
შეგიმჩნევია თუკი.
ბედნიერების ტყუპისცალია
ხილვა ამგვარი შუქის!

ნუთუ ბრწყინდება მხოლოდ მზის
მადლით
ასე საოცრად სივრცე?
უკუნისიდან უკუნისამდი
ვინ აგიზგიზებს ცისკრებს?

ვინ მილამპარობს გზებზე მყოფადის
და გულს იმედით გვივსებს.

ვისი შუქურა უხმობს ხომალდებს,
მივემართებით ვისკენ?...

როს ღამეული ეჭვის მეჩეჩი
რწმენის ფრეგატებს გვიმსხვრევს,
ვინ მოდის მხსნელად და
ფრთებშეჭრილებს
ვინ აგვიტაცებს ცისკენ?

ვინ დააბრმავა მზესუმზირები,
მიწყივ მზირალი მზისკენ?
ვინ აგიზგიზებს, ვინ აგიზგიზებს,
ვინ აგიზგიზებს ცისკრებს?..

* * *

ისევ მოხვალ და
შენს ცისფერ თვალებს
ლბილი სისველე მოეძალება...
შენ ვერ შეამჩნევ
ჩემს სიფერმკრთალეს,
მე — შენს იდუმალ, ფერისცვალებას...

მერე კი...
თუნდაც კვლავ იმ ძველმა

ვძლიოს ცთუნებამ,
მეც კვლავ გამთანგოს
უძილობის მსგავსმა წვალებამ,
— ოღონდ არ ერქვას
იმ აპრილის არდაბრუნებას,
ოღონდ...
— პირველი სიყვარულის
გარდაცვალება.

* * *

შენც ერთხელ უნდა დაასწრო ვინმეს,
დილასისხამზე წამოდგე ფეხზე
და ჩამოილო გატენილი წინადღით თოფი...
უჩამიჩუმოდ ჩაუარო უწყინარ ფრინველს,
ჯერ ძილღვიძილში რომ კუთავს ხეზე
და თვალს გაყოლებს შიშნარევ ნდობით...

არამც და არამც არ დააფრთხო ბარდნარში შაშვიც,
არ გადაჯეგო (მტრისაც იყოს) ჯეჯილი ნორჩი,
ალარც გატკეპნილს მიენდო ბილიკს,
(ბევრი მათგანი იკარგება ჭანჭრობში, ფშანში),
ნურც მწვერვალისკენ მიმავალი თვალებს ნუ მოგჭრის,
დაადექ შენსას და იყავი მხნეცა და ფრთხილიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიბრალულითლა გადახედე ნაბილიკარებს,
არც გზატკეცილთა გაიკარო წამისად შური...
შუქურებივით ინთებიან რიყრაყზე მთები...
ცეცხლიც და წყალიც და სიმართლეც შენი იკმარე,
სხვებს დარჩეთ ისევ სხვათა ოქროც, მიწაც და პურიც.
ნადავლ-ნაძარცვიც, ნაბოძვარიც სხვებს დარჩეთ
სხვების...

წამოგეწევა ვიდრემდისაც მდევარი მწუხრის,
მუხლჩაუყრელად მანამდე ვლიდე
და წყურგილესთან გაიშალე მერე ტრაპეზი;

მოიხალვათე, მოიგრილე, გაშალე მუხლი,
გახედე განვლილს (პურის ყუას გატეხავ ვიდრე) —
ბილიკს — გაქვავებულს ისრის საფრენზე...

თვლემამორეულ შემოგარენს, ტყესა და ხრამებს
თოფის გრიალით აუქშიე შიში ნადირის,
გულით უსურვე ცა და მიწას ძილი ნებისა.
წამოიხურე თოფის ხმაზე დამფრთხალი ღამე,
წყაროსპირს მიწექ და ჩაითბე მკერდში ბალღივით
კვირტივით თოთო მოლოდინი გათენებისა...

* * *

წვიმს, სანატრელო, წვიმს!
ეშველათ მწყურვალ ველებს,
მოხვალ, სველსა და ცივს,
მხრებზე დამაწყობ ხელებს.

ძლივს, როგორც იქნა, ძლივს...
წლების, წვალების მერე,
თვალებს ნუ დახრი ძირს,
ნუ დამიმალავ ცრემლებს...
ვერა, ვერ ვწამებ ცილს —

გულს, — ბარტყივით რომ თრთის,
ყელს — მარგალიტთა ღირსს,
თმებს — მზეგარეულ ღელეს...
ვის შევლეოდი. ვის?
შენ, სანატრელო?... მერე?...

წვიმს... რა კარგია... წვიმს...
ეშველათ მწყურვალ ველებს,
ძლივს, როგორც იქნა ძლივს —
წლების, წვალების მერე...

მოხვალ, სველსა და ცივს
მხრებზე დამაწყობ ხელებს...

* * *

ვინ ცხოვრობს შენი ხსოვნის რტოებზე.
რომელი ჩიტი იკეთებს ბუდეს?
ვისი ცრემლია უსათნოესის,
შენს მოგონებებს ღამეს რომ უთევს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისი ხელია შენს ხელს რომ ათბობს,
ვისი ცეცხლი გწვავს, ვისი საბმილი
ვინ უნდა დათმო, ვინ უნდა დაგთმოს
და მარტოდ გაჰყვეს გზას თავდახრილი?

როდესაც თმენის იგრძნობ შემღვრევას,
როცა წამებას იწყებ თავიდან,
მზერაში ვისი მზერა გელვრება...
„კიდევ გიყვარვარ?! მაშინ აიტან!"..

ვის შეაჩერებ კვლავ მტკვრის ნაპირთან,
როცა ჭადრებსაც სცივათ ახოვნებს?
ხელის გაშვება რატომ არ გინდა
და განშორებას რისთვის აყოვნებ?

ვინ ცხოვრობს შენი ხსოვნის რტოებზე?

* * *

ნუ დაგყავთ ბავშვი ასე ხშირად მამის საფლავზე...
მის ფერმკრთალ სახეს
გაფითრება ძნელად ემჩნევა,
მაგრამ მისი უმანკო სული
ზემგრძნობიარე ვიდეოფირს ჰგავს —
უნაკლოდ იწერს
ჩვენთვის უხილავ ცრემლის ათინათს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ბაისურაძე

# ბარიყრაყი

რომანი

მიხომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რკინის მძიმე ურო ღონივრად დაჰკრა ვეება ლოდს, ლოდი რამდენიმე ადგილას გადასკდა და თხრილში ნატეხებად ჩამოშვავდა.

საშენი ქვები თხრილიდან მაღლა რომ ამოყარა, თვითონაც მაღლა ამოვიდა, დამსკდარი, გაუხეშებული ხელებით შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა, დაღლილ-დაქანცულმა ღრმად ამოისუნთქა, მერე სულის მოსათქმელად ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა და ნაძალადევის მუშათა დასახლებას ზემოდან გადახედა.

ბინდი ეპარებოდა გარემოს. დილმიდან მონაბერი შემოდგომის ცივი, გამჭოლი ქარი ტყვიასავით ასკდებოდა ალიზითა და ქვაღორღით სახელდახელოდ ნაგებ ღარიბულ ქოხმახებს, საძირკვლიანად აზანზარებდა.

მთელი ღამის ნაჯაფარი, ხმელა პურზე გადავლილი მიხო ღრმად სუნთქავდა, ძლიერი მკერდი საბერველივით ხან მაღლა ამოებურცებოდა, ხან დაბლა ჩაეწეოდა. აშარი ქარი არამც თუ რაიმეს აკლებდა, პირიქით, შვებას გვრიდა და ოფლში გაცურებულს დაღლილობას უმსუბუქებდა.

ცოტა რომ შეისვენა, ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო, თუთუნი თხელ ქაღალდში შეახვია, მერე ნუმნუმას გვერდი ჩამოატეხა, გაჰკრა მოუკიდა და ისე გემრიელად გააბოლა, სულ დაავიწყდა, რაც გულზე დარდი ჰქონდა შემოწოლილი.

მიხომ ერთხელ კიდევ მოქაჩა თამბაქო, ღრმა ნაფაზი დაარტყა და დასახლების შუაგულ ცენტრში უნებურად იმ ახალ წამოწყებულ მშენებლობას გაუსწორა თვალი, სადაც რკინიგზელ მუშათა სახსრებით ახლა უნდა აშენებულიყო ნაძალადევის მუშათა კლუბი, მაგრამ ქალაქის მმართველობა ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა მათთვის.

მშენებლობის გასწვრივ, თბილისის ვაგზლიდან დიდუბის მიმართულებით, რკინიგზის გაყოლებაზე გაფანტულიყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები: სამჭედლო, სახარატო, სავაგონო, საქვაბე, ორთქლმავალთა ამწყობი, ლითონსასხმელი, სამღებრო და სადურგლო საამქროები; აგრეთვე სხვადასხვა განყოფილებები, სადაც საქართველოს სოფლებიდან მიხოსავით უმიწაწყლო, გაჭირვებასა და სიღარიბეს გამოქცეულ ათასობით კაცს შეეფარებინა თავი.

ისინი თოთხმეტსაათიანი არაადამიანური შრომით ქანცგაწყვეტილნი ჭუჭყსა და სიბინძურეში ლაფავდნენ სულს.

დღეღამ ამ საამქროებში არ წყდებოდა შრომის რიტმი. განუწყვეტლივ ისმოდა ჩარხებისა და სხვადასხვა პრიმიტიული დანადგარების უსიამოვნო ღრჭიალი, უროს დუგდუგი, ორთქლმავლების ყურისწამღები კივილ-გუგუნი, ვაგონების ბუფერების ჯახანი, და ნაძალადევის მცხოვრებთ მოსვენებას უკარგავდა.

გარდა ამისა, იშვიათად ნახავდა კაცი ნაძალადევის ცას მოწმენდილს. განუწყვეტლივ ხრჩოლავდნენ საკვამლე მილები. ამას ემატებოდა დეპოებში ჩამოყენებული ორთქლმავლების მილებიდან გრეხილად ამოსული კუპრივით შავი კვამლი და მთელს დასახლებას მაზუთის მჭვარტლში ხვევდა.

ერთი წელი არც კი იყო, რაც მიხო ამ სახელოსნოებში მუშაობდა შავ მუშად. გაჭირვებამ თექვსმეტი წლისა მოსწყვიტა მშობლიურ სოფელს. მამამისი იოსები წვრილშვილი

კაცი იყო და ღარიბად ცხოვრობდა. ერთი ნაგლეჯი მიწის გარდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვენახს, სხვა არაფერი გააჩნდა. ამ მიწის ნაგლეჯზე მოყვანილი სიმინდი თუ ხორბალი სანახევროდაც ვერა ყოფნიდა მის მრავალრიცხოვან ოჯახს.

გაჭირვებაში გაზრდილ მიხოს კარგად ესმოდა მამის მძიმე ხვედრი, ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა მას ოჯახის რჩენაში. მიუხედავად მშობლების დიდი წინააღმდეგობისა, ერთხანს მეტივეობას მიჰყო ხელი. ბორჯომიდან სამასალე ხეებს ეზიდებოდა თბილისში.

მართალია მეტივეები სხვაზე უფრო მეტ ფულს შოულობდნენ და არც ისეთი დიდი ჭაპან-წყვეტა უხდებოდათ, როგორც მიწის მუშას, მაგრამ ამ ხელობასაც გააჩნდა თავისი ცუდი მხარე.

მეტივეებს ზამთარ-ზაფხულ ერთთავად წყალთან ჰქონდათ საქმე და საფრთხეც საკუთარ ჩრდილივით ყოველთვის უკან დასდევდათ: განსაკუთრებით შემოდგომისა და გაზაფხულის პერიოდში, მთებზე დნობას რომ იწყებს თოვლი, ან ხშირი წვიმების დროს, როცა ადიდებული მტკვარი კალაპოტში ველარ ეტევა და ნაპირებიდან იწყებს გადმოსვლას.

ამ დროს დიდი ვაჟკაცობა და გმირობა მართებს მეტივეს უხიფათოდ ჩამოიტანოს ტივი ბორჯომიდან თბილისამდე, ისე რომ ადიდებულმა მტკვარმა სადმე კლდის ქიმზე არ მიაჯახოს და არ დაშალოს.

ვინ იცის რამდენი ტივი დაულეწია აქოჩრილ ტალღებს, რამდენი მეტივე გამხდარა მტკვრის მსხვერპლი.

მიხო მთელი ხუთი წლის განმავლობაში ენეოდა მეტივეობას. ყოველნაირ ამინდში ქარსა თუ წვიმაში, ყინვასა თუ თოვლში ნახევრად სველი ეზიდებოდა ხეებს.

გამუდმებულმა წყალზე ყოფნამ, წანწალმა და თრევამ საკუთარი თავი შეაძულა მიხოს. შეიძლება ამ გაჭირვებისათვის კიდევ დიდხანს გაეძლო, ერთ უბედურ შემთხვევას სამუდამოდ რომ არ აელებინებინა ხელი მეტივეობაზე.

ეს იყო გვიანი შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს. ადიდებული მტკვარი თავის კალაპოტში ვერ ეტეოდა. მიხოსა და მის ამხანაგს ტივი მოჰქონდათ თბილისში, ყველა დაბრკოლება, რომელიც გზაში ხვდებოდათ, გაბედულად გადალახეს. ერთი მთავარი დაბრკოლება ჰქონდათ გადასალახი, მეტეხსა და გომს შუა. მტკვარი ამ ადგილას ჯერ სიგანეზე იშლებოდა, მერე ვიწროვდებოდა და აზვირთებული წყალი დაქანებით პირდაპირ კლდეს ეჯახებოდა.

ამ ადგილს რომ დაუახლოვდებოდნენ ხოლე მეტივეები. შიშის ჟრუანტელი აიტანდა უფრო ის მეტივეები შიშობდნენ, რომელთაც ცურვა არ იცოდნენ და გაჭირ[illegible] ბედის ანაბრად მინდობოდნენ წყალს. ასეთები კი ბევრნი იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხო მტკვარზე გაზრდილი ბიჭი იყო და ცურვაც კარგი იცოდა, წყლის ხასიათიც. ტივიც საიმედოდ ჰქონდა შეკრული თხილის მაგარი წნელით. არც ადგილი იყო უცხო. მიხო მეტეხელი იყო, იქ დაბადებულ-გაზრდილი და მთელი თავისი ბავშვობა თუ ახალგაზრდობა ამ ადგილებში ჰქონდა გატარებული. ორთაყვირის მოსმაც სხვაზე კარგად ემარჯვებოდა, მაგრამ ამჯერად ვერაფერმა უშველა.

როგორც კი ჩანჩქერს შეერივნენ, აზვირთებულმა ტალღებმა ტივი ისეთი ძალით შეახეთქა კლდეს, რომ საიმედოდ შეკრული მორები ელვისებურად დაიშალა და მიხომაც და მისმა ამხანაგმაც, რომელიც ბოლო ორთაყვირს ჩაფრენოდა, წყალში ტყაპანი მოადინეს.

მიხომ გაჭირვებით დააღწია თავი ადიდებულ მტკვარს, მისი ამხანაგი კი აღარ გამოჩენილა. ერთი კვირის შემდეგ იპოვეს ძეგვის ბოლოს გარიყული.

მაშინღა დანწყევლა მიხომ მეტივეობა და აღარ გაჰკარებია.

იმხანად საქართველოს მოევლინა ფინეთიდან ჩამოსული გერმანელი კაპიტალისტი ვინმე ზეზემანი. ეტყობა, ევროპელმა ფულის მაძიებელმა ფინეთში ამოწურა თავისი კომერციული საქმიანობის ყველა შესაძლებლობა და ბედი ახლა აქ სცადა.

ზეზემანმა საექსპლოატაციოდ იჯარით შეისყიდა ქართველი ბედოვლათი მებატონეებისაგან ატენის ხეობის საუკუნოვანი ტყეები და მდინარე ტანას ხეობაზე, გორიდან სოფელ ლევიტანამდე, თითქმის ორმოცდაორი კილომეტრით ტყის სიღრმეში, ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანა.

ხოლო ატენში, ხანდისში, ბიისში და ლევიტანაში მოაწყო სამხერხაო ქარხნები და სატყეო მეურნეობის ყოველგვარი წესების დაუცველად პირწმინდათ მიჰყვა ტყის ჩეხვას.

ზეზემანის სამუშაოებზე მუშათა რიცხვი ხშირად ათასექვსას კაცს აღწევდა. ოთხი მატარებელი განუწყვეტლივ ეზიდებოდა სამასალე ხეებს. ძირითადად იგი ამზადებდა ლიანდაგის შპალებს, რომლითაც ამარაგებდა ამიერკავკასიის რკინიგზებს და დიდი მოგებაც რჩებოდა.

1888 წლიდან 1916 წლამდე, თითქმის მთელი 28 წელიწადი, იპარპაშა და იბატონა ზეზემანმა ტანას ხეობაში, ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამ საბოლოოდ არ დაუსვა წერტილი საქართველოში მის „მოღვაწეობას“. მაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ამ დროისათვის ატენის ტყეების მარაგი უკვე ამოწურული იყო.

მეტივეობის შემდეგ მიხო ერთხანს ზეზემანის სამხერხაოებზე მუშაობდა შავ მუშად, მაგრამ ოჯახს მონყვეტილს არც აქ ადგა ნაკლები ჭაპანი.

გათენებიდან დაღამებამდე აქაც ღია ცის ქვეშ უხდებოდა შრომა. ვეება მორების ანევა და სამხერხაო დაზგაზე დადებას დიდი ღონე და ჯანი სჭირდებოდა. ხეების ანევდანევით მკლავები ჰქონდა ჩამოვარდნილი.

ამას კიდევ არაფრად ჩააგდებდა მიხო, ცოტა ხეირიანი შემოსავალი რომ ჰქონოდა.

ერთ წელინადს დაჰყო მიხომ ზეზემანის სამხერხაოებზე, მერე იმასაც მიანება თავი და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში სცადა ბედი. ლითონსასხმელ საამქროში დაინყო მუშაობა შავ მუშად.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს მუშათა კლასი ინყებდა ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ძირმომპალი წყობილების წინააღმდეგ.

აქ უფრო უარესი მდგომარეობა დახვდა მიხოს. მეტად აუტანელი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. სამუშაო დღე ინყებოდა დილის ექვსის ნახევარზე და საღამოს ექვსის ნახევარზე მთავრდებოდა. მაგრამ სამ-ოთხ სათს თითქმის ყოველდღე ზედმეტს ამუშავებდნენ, ისე რომ დღეში ზოგჯერ თვრამეტი-ოცი საათი უხდებოდათ მუშაობა.

ხელფასი კი მეტისმეტად დაბალი იყო. კვალიფიციური მუშის დღიური შემოსავალი საშუალოდ სამოც კაპიკს არ აღემატებოდა. უფრო უარესი იყო შავი მუშის მდგომარეობა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ამ მცირე ხელფასიდან მუშებს მრავალნაირ გადასახადს ახდევინებდნენ. არ არსებობდა არავითარი დახმარება ავადმყოფი ან დასახიჩრებული მუშისათვის. ავადმყოფობა და უბედური შემთხვევები კი ძალან ხშირი იყო თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

ცუდი პირობები იყო კვების მხრივაც. სახელოსნოებში არსებულ სასადილოებში გამეფებული იყო უსუფთაობა, ჭუჭყი, სიბინძურე. კერძებს ამზადებდნენ ცუდი ხორცისა და გაფუჭებული პროდუქტებისაგან. თავიანთი მათხოვრული ხელფასის ნახევარზე მეტს მუშები ამ ეგრეთნოდებულ „სასადილოებში" სტოვებდნენ და ოჯახისათვის ტანსაცმელისა და ფეხსაცმლის შესაძენათ ფული აღარ რჩებოდათ.

უარესი იყო მთავარი სახელოსნოების მუშათა საბინაო პირობებიც.

ისინი ცხოვრობდნენ ნესტიან სარდაფებში, ჭუჭყიან დარაბებში, პატარ-პატარა ბნელ ოთახებში, რადგან ბინის ქირის გადახდა უჭირდათ.

ხშირად ორი მუშის ოჯახი ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. უოჯახო მუშები კი იმდენი იყრიდა თავს ერთ ოთახში, რამდენიც ერთიმეორეზე მინყობილი დაეტეოდა. ბევრი მუშა კი, რომელთაც არავითარი თავშესაფარი არ გაჩანდათ, დუქნებში, სამიკიტნოებსა და ყავახანებში ათევდნენ ღამეს.

ამ აუტანელი მდგომარეობისათვის თავი რომ დაეღნია მუშებს, მთავარი სახელოსნოების გადასნვრივ, ყოველგვარი დაგეგმარების გარეშე, თვითნებურად ინყეს მინისპირა ქვატალახა ქოხმახების მშენებლობა, რასაც ქალაქის მმართველობა ნინ აღუდგა.

პოლიცია ხშირად უნგრევდა ნაძალადევეებს გაჭირვებით, ნვალებითა და ტანჯვით აყვანილ კედლებს, მაგრამ მუშები მაინც არ ეპუებოდნენ. სტიქიურად ერთ ღამეში ძალით აშენებდნენ ხუხულებს და მაშინვე სახლდებოდნენ, რასაც ხშირად პოლიციასთან შეტაკება, ჩხუბი, აყალ-მაყალი, ზოგჯერ კი მათი დაპატიმრება მოსდევდა.

ასე შეერქვა ამ უბანს ნაძალადევი.

მიხომაც, როგორც მთავარი სახელოსნოების შავმა მუშამ, ნაძალადევში, ერთი ნათესავის პატარა, საფლავივით ღრმა, ბნელ სარდაფში დაიდო ბინა და თანაც სამოსახლო ადგილის შერჩევას შეუდგა.

ვაკეზე რომ ვერ ნახა, მუშათა მშენებარე კლუბის პირდაპირ, მაღლა გორაზე, სადაც უკვე ბლომად სახლები ნამომართულიყო. მიხომაც შეარჩია თავის მოსანონი ადგილი და ექვსი მეასედი ფართის მინას ოთხივ კუთხივ ხის პალოები დაუსვა. ამით აუნყა ქვეყანას, რომ ეს ადგილი ეკუთვნის მიხო მეტეხელს და უფლება არავის აქვს ხელი ახლოს მას.

მართალია, პირველად ეშორებოდა მიხოს და თანაც, ალმართიანი რომ იყო, გულიც ეთანაღრებოდა, მაგრამ მერე, კარგად რომ დაუფიქრდა, კიდევაც გაუხარდა.

გაუხარდა იმიტომ, რომ ეს ადგილი კლდიანი იყო, სახლის ასაშენებელ ქვას აქვე ამოყრიდა და ალიზის გაკეთება აღარ დასჭირდებოდა, რასაც უწყლოობა ართულებდა. მეორეც, აქ იმდენი ქვა მოიჭრებოდა, მიხოს შეეძლო ის ქვა გაეყიდა და ფული ეშოვა; მესამეც, ამხელა ფართს დაბლა ცენტრში ვერ იშოვიდა და შეეძლო ისეთი ბაღი გაეშენებინა, სოფელშიც რომ არა ჰქონდა; მეოთხეც, აქედან ხელის გულივით მოჩანდა არამც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ნაძალადევი, მთელი თბილისი და იქიდან გადახედვას არაფერი სჯობდა.

ზუსტად ასეთი მდებარეობა ჰქონდა მიხოს მამაპაპურ სახლს სოფელში. ღვთისმშობლის ტაძრის უკან გვერდის თავზე იყო წამომდგარი და მტკვრის ხეობას ზემოდან დაჰყურებდა.

მიხოს საფიქრებელი ახლა ერთი იყო: ნელ-ნელა მოემარაგებინა ფიცარი, კარ-ფანჯრები, რაც ერთი მინისპირა ოთახს ეყოფოდა, მომავალი წლის შემოდგომაზე კი აეშენებინა.

ახლაც სწორედ ქვის ამოღებაზე მუშაობდა მიხო. დღეს კვირა იყო და სოფელში არ წასულა. აქ უფრო მეტ საქმეს გავაკეთებო.

მთელი დღე ებრძოდა კლდეს. ბარითა და წერაქვით ჯერ მიწას გადააცლიდა ზემოდან ვეება ლოდს, ძირს გამოუჩენდა, მერე ლომითა და უროთი დაუწყებდა ჩეხვას, რომ მშენებლობისათვის ზომიერი ყოფილიყო და თანაც ადვილად ამოეყარა.

ბარაქიანად იმუშავა. კარგა ბლომად ამოყარა ქვა. კმაყოფილი იყო დღევანდელი დღით.

თამბაქოს მოწევა რომ დაამთავრა და შუბლზე ოფლი შეაშრა, ზეზე წამოდგა, მაღლა ამოყრილი ქვები ერთ ადგილას შეაგროვა, სწორედ იმ ადგილას, სადაც სახლის საძირკველი უნდა გაეჭრა. რათა მერე, მშენებლობის დროს, შორიდან აღარ დასჭირვებოდათ ზიდვა. შეგროვებას რომ მორჩა, თავის ნამუშევარი შეათვალიერა და დღევანდელი შრომით კმაყოფილმა კვლავ დაბლა გადაშლილ ნაძალადევს გადახედა.

* * *

ბინდი დასწოლოდა მუშათა დასახლებას. ქოხმახებში აენთოთ ლამპები. მთავარი სახელოსნოებიდან დაზგების ღრჭიალი ისმოდა.

დეპოებში ჩამომდგარი ორთქლმავლები ზანტად ქშინავდნენ და შიგადაშიგ ისეთი შემაზრზენად შეჰკივლებდნენ, რომ დაფეთებული ძაღლები ყაუყაუით გამოცვივდებოდნენ ფარღალალა ეზოებიდან, რასაც მოჰყვებოდა მამლების უდროო ყივილი და ქანდარებზე ახლად დაბუდებული ქათმების კრიახი.

შემდეგ ლოტკინის გორებიდან და ახლად გაშენებული ხუდადოვის ტყის ფერდობებიდან ტურების შემზარავი, გაბმული ჩხავილი გადაუვლიდა თავზე ნაძალადევს და როდის როდის მიწყდებოდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, სოფელშიაც არ მინახავს ამდენი ტურა, აქ რა ჭირმა მოამრავლაო, — წარმოსთქვა მიხომ და ის-ის იყო შინ წასვლა დააპირა, რომ მახლობელ ეზოდან ძახილი მოესმა.

ხმაზე მიხვდა, დათიკო იყო, რკინიგზის მუშა, სავაგონო საამქროს დურგალი.

დათიკო პირველად მაშინ გაიცნო მიხომ, როცა ეს ადგილი დაიკავა. პალოები, რომლითაც მიხომ ნაკვეთს ნიშანი დაადო, დათიკომ გაუთალა. ერთი-ორჯერ იყო დალაპარაკებული მასთან და კაი კაცის შთაბეჭდილებაც დარჩა.

სამოც წელს იქნებოდა მიღწეული დათიკო: მაღალს, ოდნავ წელში მოხრილ, შავგვრემან კაცს ჭაღარაშერეული გაფარჩხული ულვაშები გოროზ შეხედულებას აძლევდა, მაგრამ როგორც კი ახლოს გაიცნობდით, მაშინვე დარწმუნდებოდით, რომ დათიკო სულაც არ იყო გულჩახვეული და უხასიათო კაცი.

პირიქით: მეტად გულთბილი, გულმართალი და ალალი ადამიანი ჩანდა, როგორც ყველა რკინიგზელი. ებრალებოდა გაჭირვებული ცხოვრების უსამართლობისაგან გათელილი ადამიანი და მზად იყო დახმარების ხელი გაეწვდინა მისთვის.

ეს სითბო და სიკეთე, რომელსაც იჩენდა დათიკო ასეთი ადამიანებისადმი, სრულიად ბუნებრივი იყო. მასაც ათასი გაჭირვება და უბედურება ეგემა ცხოვრებაში. მთელი თავისი ბავშვობა და ახალგაზრდობა სხვათა მოჯამაგირეობაში გაეტარებინა. მერე, ჭკუაში რომ ჩავარდნილა, ზურგი შეუქცევია მშობლიურ გუდამაყრის ხეობისათვის, თბილისში გამოქცეულა, ჯერ მადათოვის სამხერხაოებში უმუშავნია, მერე მთავარ სახელოსნოებში დაუწყია მუშაობა.

თორმეტი წელი უსრულდებოდა დათიკოს სავაგონო საამქროში. კაი მუშის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ყველას უყვარდა და ყველა პატივს სცემდა.

ეს ჩუმი და მოკრძალებული კაცი, თავისი ხასიათით, თავისი დიდი შრომისმოყვარეობით და ადამიანებისადმი კეთილი დამოკიდებულებით, ყველას თავს აყვარებდა. ერთ წუთს ვერ დაინახავდით უსაქმურს. სამსახურის შემდეგ სახლშიც შრომაში იყო გართული. შეკვეთებს იღებდა ნაძალადეველებისაგან და კარ-ფანჯრებს უკეთებდა, სადურგლო საქმეებში ეხმარებოდა.

სხვა თუ მამასისხლად ჰყიდდა თავის ნახელავს, დათიკო იმის ნახევარს ართმევდა. ამიტომაც ყველა მასთან მიდიოდა კარ-ფანჯრების გასაკეთებლად, თუ დრო ჰქონდა, სხვა სადურგლო საქმეებშიც ეხმარებოდა.

ასეთივე მშრომელი ქალი გახლდათ დათიკოს მეუღლე ევა.

ეს ტანმორჩილი, სათნო და ქმარსავით კეთილი ქალი ყოველთვის საქმეში იყო გართული, დილიდან გვიან ღამემდე ჯარასავით ტრიალებდა, ერთხელ ჯრ ჩაიხრიდა დასასვენებლად მუხლს.

გარდა საოჯახო საქმეებისა, ევა ორ ჯიშიან ძროხას თავზე დასტრიალებდა. ევას ძროხების რძე განთქმული იყო მთელს ნაძალადევში. დილით ადრე აიღებდა რძის ჭურჭელს და ეზო-ეზო დაჰქონდა. ყველა მისგან ყიდულობდა რძეს, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ. რომ ევა წყალს არ გაურევდა, როგორც სხვა მერძევეები აკეთებდნენ.

ერთი სიტყვით, ოჯახს თითქოს სხვაზე უკეთ უნდა ეცხოვრა, მით უმეტეს შვილი არა ჰყავდათ, მაგრამ მათი ოჯახი არაფრით განსხვავდებოდა სხვათა ოჯახებისაგან თავისი მოწყობილობით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სახლს.

დათიკოს სახლზე ვერ იტყოდით ქოხმახიაო სარდაფზე დაშენებულ ორ ოთახს წინ ღია აივანი ერტყა და პირდაპირ ნაძალადევის დასახლებას გადასცქეროდა.

აქედან ხელისგულივით მოჩანდა ყოველი ქოხი, ყოველი ქუჩა, ჩიხი თუ ორღობე და ამ გორისაკენ მომავალ კაცს შორიდანვე იცნობდით.

განსაკუთრებით ყველაზე უკეთ მოსჩანდა ის პატარა სასაფლაო, სადაც არც თუ ისე ხშირად, მაგრამ შიგადაშიგ, საღამოობით იმართებოდა მეფის საწინააღმდეგო მიტინგები, რომლებსაც აწყობდნენ ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების მუშები და ხალხს მოუწოდებდნენ ერთიანობისაკენ მეფის ტირანიის დასამხობად.

დათიკოს სახლი უბრალო, სადად იყო მოწყობილი. იდგა შინ გაკეთებული გასაწევი მაგიდა, სარკიანი შიფანერი, პურის კიდობანი და ჰალაზიაში ნაყიდი რკინის წყვილი ზამბარებიანი საწოლი.

ამის გარდა, კიდევ იყო ერთი ნივთი — გრამაფონი, რომელსაც მხოლოდ მაშინ დაუკრავდა დათიკო, როცა შრომისაგან ქანცგაწყვეტილი მუშაობის შემდეგ სტუმართან თუ მეზობელთან ერთ ბოთლ ღვინოს გადაკრავდა და კარგ ხასიათზე დადგებოდა.

მეზობლები ეჭვის თვალით შესცქეროდნენ მათ და უკვირდათ: რას უშვრებიან ამდენ ფულს, რომ არაფერი ეტყობათო.

იმასაც ამბობდნენ მეზობლები: დათიკოს ოჯახი სტუმართმოყვარეა. იმდენი ხალხი დაიარება მათთან, ალბათ გამასპინძლება კაი დახლი უჯდებათო.

მეზობლის ძახილზე მიხო გვერდით შეტრიალდა. კარგად შეკრული ეზოს ჭიშკართან დათიკო დაინახა, ხელს უქნევდა — აქეთ მოდიო.

მიხოს დათიკოს დანახვაზე სახე ბავშვივით გაებადრა, შორიდან ხელის აწევით მიესალმა და დაღლილი ნაბიჯით გაემართა მისკენ.

— შე კაიკაცო, რას გამირბიხარ, — უთხრა დათიკომ, როცა ახლოს მისვლისას მიხომ ხელი ჩამოართვა. — დილას აქეთია გხედავ, თავაუღებლად მუშაობ, წელებზე ფეხს იდგამ, ებრძვი კლდეს. ნუთუ მთელი დღის განმავლობაში არაფერი დაგჭირდა, რომ ერთხელ არ დამეხმაურები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წყალი მაინც არ მოგწყურდა?

მიხომ ერთხელ კიდევ იგრძნო კეთილი კაცის სითბო დათიკოს სიტყვებში და კმაყოფილმა ღიმილით უპასუხა:

— არაფერი, ძია დათიკო, შინიდან რომ წამოვედი, წყალიც წამოვიღე და პურიც.

— ეგრე არ შეიძლება, — სიტყვა შეაწყვეტინა დათიკომ, — შენ ახლა ეპირები მშენებლობას, მე კი დიდი ხანია მაგ დავიდარაბას მოვრჩი. ვიცი რა თავში სატეხიც არის სახლის აშენება. თუ რამე დაგჭირდეს, არ მომერიდო. მე თუ არ ვიქნები შინ, ჩემი მეუღლე იქნება. უთხარი და არაფერს დაგიჭერს, ყველაფრით გაგიმართავთ ხელს, თუკი შეგვეძლება.

დათიკო ერთ წუთს გაჩუმდა და მერე მიხოს მკლავში ხელი მოკიდა:

— წამოდი ჩემთან, ერთად ვისადილოთ. შენსავით მეც არაფერი მიჭამია, ისე დამაღამდა მუშაობაში.

— გმადლობთ, ძია დათიკო, — უკან დაიხია მიხომ, — არა მშია!

— ნუ გრცხვენიან, თუ ერთმანეთთან არ მივედ-მოვედით, ისე ვერც გავიცნობთ ხეირიანად, მოდი!

დათიკომ ხელახლა მოკიდა მიხოს მკლავში ხელი და თითქმის ძალისძალით შეიყვანა ეზოში.

დათიკოს ეზო ციხესავით იყო შეკრული. მესერზე თუ არ აბობღდებოდა კაცი, შიგნით ვერაფერს დაინახავდა. სახლის წინ სიგრძეზე მავთული იყო გაბმული. მავთულზე რგოლით იყო გამობმული უშველებელი ნაგაზი და გასდევდა და გამოსდევდა ეზოს. ისე, რომ მისი შიშით უცხო ვერავინ შევიდოდა.

ნაგაზმა როგორც კი დაინახა ღია კარებში პატრონის ზურგს უკან მდგომი მიხო, უკანა ფეხებზე აიწია და ბოხი ხმით შეჰყეფა.

დათიკომ ძაღლს დაუყვავა, საყელოში მოკიდა ხელი და მიხოს უთხრა აივანზე ასულიყო.

მიხო აივანზე ავიდა, მასპინძელიც უკან აჰყვა.

— ეს რა ავი ნაგაზი გყოლიათ, ძია დათიკო! — უთხრა მიხომ და ძაღლს გადმოხედა, რომელიც ახლა უკანა ფეხებზე დასკუპებულიყო და ბრაზიანი თვალებით შესცქეროდა უცხო ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება,— ალერსიანი მზერა მიაპყრო დათიკომ ძაღლს; — ქვეყანა ქურდებით, ჯიბგირებით, ბანდიტებით გაივსო. სახლი ერთი წუთით უპატრონოდ ვერ დაგიტოვებია, გეშინიან არ გაგიტეხონ. ამას წინათ, — თითი გაიშვირა დათიკომ ასიოდე მეტრის დაშორებით წამომდგარ უაივნო მიწისპირა ქოხზე, რომლის უხეირო სახურავი, აქა-იქ ჩამტვრეული შუშები და ფარღალალა, ნახევრად შემოუღობავი კარმიდამო დანახვისთანავე გაგრძნობინებდათ პატრონის შესაძლებლობაზე. — დიახ, აიმ სახლში ერთი ღარიბი ოჯახი ცხოვრობს, ვარდოსანიძეების ოჯახი. მშობლებს ექვსი შვილი ჰყავთ, ექვსივენი ქალები. უფროსი გათხოვილია და სიძეც მაგათთანაა შეხიზნული, უფროსის ორი მომდევნო გასათხოვარია. დანარჩენები პატარები არიან ჰყავთ კიდევ მოხუცი ბებია. ერთი სიტყვით იმ ოჯახში ათი სული ცხოვრობს. იმას გეუბნებოდი, ამას წინათ, შუაღამისას, ქურდები დაეცნენ, ეგონათ რამეს წაიღებდნენ, მაგრამ სახეირო რომ ვერაფერი ნახეს, სიძეს რევოლვერი გულზე დააბჯინეს და უფროსის მომდევნო ქალიშვილი მთელი ოჯახის წევრების წინაშე გააუპატიურეს.

— რას მეუბნები! — გაოცებით წამოიძახა მიხომ. — მერე ვერ დაიჭირეს?

— პოლიციას გათენებისას შეატყობინეს ეს ამბავი. რამდენიმე შეიარაღებული კაცი მაშინათვე აქ გაჩნდა. უბნის მოზარდი ბავშვების მეშვეობით დაადგინეს, რომ ის ქურდები ამ მთის გადაღმა, ღრმა ხევში, სადაც ბებერი ვერხვის ხეები დგას, ხშირად იქ იყრიან თავსო.

პოლიცია მაშინვე იქით გაეშურა. ქურდები მართლაც ადგილზე დახვდნენ. თურმე ყომარს თამაშობდნენ. როგორც კი დაინახეს მათკენ წამოსული პოლიცია, მაშინვე დააძრეს იარაღი და სროლა აუტეხეს. არც იმათ დააკლეს; აი როგორ უნდა სროლაო და ცეცხლი გაუხსნეს. ერთი მათგანი დასჭრეს. დაჭრილი ხელში რომ არ ჩავარდნოდა პოლიციას, ამხანაგებმა აქეთ-იქით ჩაავლეს ხელი, ასწიეს და ლოტკინის გორის მიმართულებით გააქანეს. როგორც შემდეგ გავიგეთ, ის დაჭრილი ოსი მიშა ყოფილა. ოსი მიშას, ფაცურას, აქიას, ცაციას და სხვათა სახელები დიდი ხანია გვესმის ნაძალადევის მცხოვრებლებს, მაგრამ მე პირადად ისინი თვალით არ მინახავს. ხოდა, ის ოსი მიშა სანამ ამხანაგები სახლში მიიყვანდნენ, გზაში მომკვდარა. ავადმყოფი დედა ჰყოლია შინ და მის ამხანაგებს ისიც მკვდარი დახვედრიათ. ამ ერთი კვირის წინ, დედაშვილი ერთად გაასვენეს კუკიაზე. მათ კუბოებს არავინ გაჰყოლია სასაფლაოზე. გარდა რამდენიმე შინაური ადამიანისა, ამხანაგებიც ვერ გაეკარნენ თურმე, პოლიციამ არ დაგვიჭიროსო. აი ესე გათახსირდა, ჩემო ძმაო, ცხოვრება . ისე რომ ასეთი ნაგაზი აუცილებლად უნდა იყოლიო ეზოში.

დათიკო გაჩუმდა, ოთახისაკენ შეტრიალდა და მეუღლეს გასძახა, სუფრა გააწყეო.

ევა გულდაგულ დატრიალდა სამზარეულოში. დათიკო სკამზე დაჯდა და მიხოსაც შესთავაზა, დაისვენე, დაღლილი ხარო.

მიხო მოწყვეტით დაეშვა სკამზე. თვალები გასდიდებოდა დათიკოს მონაყოლზე. თითქოს ცხადლივ ხედავდა იმ ტრაგედიას, რომელიც ვარდოსანიძეების საცოდავ ოჯახს დაატყდა თავს.

— ეე... რა არ ხდება ამ ქვეყანაზეო, — გაიფიქრა და ამ ბურანიდან ისევ დათიკოს ხმამ გამოიყვანა.

— ახლა ეს მითხარი, როდის აპირებ სახლის აშენებას? — ჰკითხა დათიკომ და პასუხის მოლოდინში მიხოს თვალებში ჩააცქერდა.

— როცა ყველაფერს მოვიმარაგებ, ძია დათიკო!

— როდის მოიმარაგებ ყველაფერს?

— მომავალ შემოდგომისთვის!

— ქვა ხომ საკმარისად ამოყარე?

— უფრო მეტიც!

— მეტი რათ გინდა, კაცო, რაზე იკლამ თავს.-ჯანს გაუფრთხილდი.

— მინდა გავყიდო, ძია დათიკო, არ გაიყიდება?

დათიკოს ულვაშებში ჩაეცინა.

— როგორ არ გაიყიდება. თუ გინდა, მე გიშოვი მუშტარს. ქვას რა სჯობია, შე კაი კაცო, ერთ შებერვაზე აიყვან კედლებს, წყალიც ნაკლები დაგჭირდება, აბა ალიზია?

— არც ეგაა ურიგო, ძია დათიკო!

— არ არის, მაგრამ მოჭრა არ გინდა? რამდენი წყალი სჭირდება, საიდან მოიტან? ჩვენ უბანში ერთი საერთო ონკანია და ისიც დღეში ათასჯერ წყდება, არ გინახავს ვედროების კილომეტრიანი რიგი?

— როგორ არ მინახავს, მაშ ამ ხალხს საიდან მოჰქონდათ, როცა ალიზს სჭრიდნენ?

— მოჰქონდათ ხან მანდედან, ხან მთავარი სახელოსნოებიდან. მოჰქონდათ გაჭირვებით, უბედურებით, ჭაპანწყვეტით. ღამეებს ათენებდნენ და მოჰქონდათ. იმ სიშორიდან მოტანას თავი რომ დავანებოთ, გაქვს ამის დრო? მაგრამ ნუ შეგეშინდება —ულვაშებში ჩაეცინა დათიკოს, — ორი თვით ადრე მითხარი, სანამ აშენებას დაიწყებ და იმდენ წყალს მოგიმარაგებ, ორსართულიან სახლზე გეყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს როგორ? — თვალები გაუბრწყინდა მიხოს.

— როგორ და იმას ხედავ? — დათიკომ თითი გაიშვირა, ქვითკირის ოთხკუთხა აუზისაკენ, მერე მიხო მაღლა აახედა და სახურავის გარშემო გაკეთებულ ღარზე მიანიშნა, — იმ ღარიდან აუზამდე მილს გავდებ და წვიმის დროს მთელი წყალი სულ მანდ ჩავა. ერთი ავსება კიდევაც ეყოფა შენ ქვატალახა ქოხს, ზიდე და ზიდე რამდენიც გინდა!

— შენ აგაშენა ღმერთმა, ძია დათიკო, ეს რა კარგი რამ მითხარი, კაცო! — გაცისკროვნებული თვალებით წამოიძახა მიხომ, რომ არ შერცხვენოდა, უსათუოდ გადაეხვეოდა.

დათიკო კი კეთილად იღიმებოდა და მიხოს სიხარულზე თვითონაც კმაყოფილებას განიცდიდა.

— ზაფხულში ყოველთვის ვავსებ ამ აუზს, — განაგრძო დათიკომ, — გვალვის დროს ამ ბაღს სულ მაგითი ვრწყავ. მერე როგორ უხდება ხეხილს? სარეცხისათვისაც ხომ მისწრებაა. დასალევათ კი, წვიმის წყალს, წყალი არ შეედრება. მაჭარივითაა, ისეთი გემრიელია. რაღა დაგიმალო ჩემო ძმაო, მეზობლები სულ აქედან ეზიდებიან და აი ამ სახლების ნახევარზე მეტი სულ ჩემი წყლითაა აშენებული.

— კაცი შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია, — უნდოდა ეთქვა მიხოს, მაგრამ, ბუნებით მოკრძალებულს და მორცხვს, სიტყვა ენაზე შეეყინა.

დათიკომ იგრძნო ეს და ღიმილით მიმართა.

— ნუ გერიდება, რაღაცის თქმა გინდოდა, მგონი.

— არაფრის, ძია დათიკო. კაი კაცი ყოფილხარ და ღმერთი ალბათ სიკეთით ¿ადაგიხდის ხალხზე გაწეულ ამაგს.

დათიკომ არაფერი უპასუხა, თითქოს არც გაუგონიაო. მეუღლეს გასძახა მოგვხედეო და ისევ სტუმრისაკენ შემობრუნდა.

— ახლა ეს მითხარი, ჩემო მიხო, ეს ნაკვეთი რომ დაიკავე და სახლის აშენებას აპირებ, ნებართვა თუ გაქვს ქალაქის მმართველობიდან?

მიხომ თავი გააქნია, თან გაკვირვებით შეხედა დათიკოს.

— მერე რომ ააშენო და დაგინგრიონ, ხომ მუქთად ჩაგივლის წვალება, ცოდო არა ხარ?

— დამინგრიონ და... — ველარ დაამთავრა სათქმელი.

— რას იზამ?

— არ დავანებებ!

— გაგაციმბირებენ! — ცოლშვილი გყავს?

— არა მყავს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— დიდი ოჯახი გვაქვს. მამაჩემს შვიდი შვილი ვყევართ. უფროსი მე ვარ.

— რას მეუბნები?! — თვალები გაუბრწყინდა დათიკოს.

— უფრო სწორად, შვიდი ვყავდით, ერთი გვაკლია, ჩემი მომდევნო დაი, მუცელს გადაყვა. პაპაჩემსაც შვიდი შვილი ყავდა, პაპაჩემის მამასაც. ჩემი ჯილაგი სულ შვიდობით მოდის.

— კაი ჯილაგი გქონიათ! — დათიკომ მეუღლისაკენ გაიხედა, რომელსაც საჭმელი უკვე შემოეტანა სამზარეულოდან ოთახში და მაგიდაზე აწყობდა. მერე ისევ განაგრძო საუბარი.

— აქამდე ქალაქის მმართველობა იმდენ ყურადღებას ჯრ აქცევდა, ვინ როგორ და სად ააშენებდა სახლს. ბოლო ხანებში, რაც ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა რიცხვმა ცხრამეტი ათასს გადააჭარბა და მუშებმა სტიქიურად იწყეს აქ დასახლება, გართულდა მდგომარეობა. დღეს მუშები ჰლარ ეპუებიან მთავრობას. ყოველდღე ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებენ. აწყობენ ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებს, მეფის დამხობას მოითხოვენ. მთავრობა შეშფოთებულია მუშების საქციელით ეშინიათ ნაძალადევი მეამბოხეთა მძლავრ კერად არ გადაიქცეს, მით უმეტეს, ბოლო ხანებში ეს უბანი საგრძნობლად გაიზარდა. ყოველნაირად ცდილობენ დაქსაქსონ მუშები და ხელი შეუშალონ მათ ყოველ საქმიანობაში. ახლა უნებართვოდ ბინის აშენება სარისკოა.

— მაშ როგორ მოვიქცე? მმართველობაში რომ წავიდე, მომცემენ ნებართვას?

— არ მოგცემენ!

— მაშ რა გავაკეთო?

— სხვა გამოსავალი არ არის, ასე უნდა მოიქცე. ღამით უცბად უნდა ააშენო ერთი ოთახი და იმავე წუთს შესახლდე. მეორე დღეს პოლიცია თუ დაგადგა თავზე, ველარ დაგინგრევენ, რადგან შიგ იქნები. ყოფილა ასეთი შემთხვევები, პოლიცია დასდგომია თავზე, მაგრამ ვერაფერს გამხდარა და თავი დაუნებებია. აი, ეს ერთი გამოსავალი გაქვს მხოლოდ. ახლა ეს მითხარი, იშოვი ხალხს, რომ მოგეხმარონ ამ საქმეში? თუ ვერ იშოვნი, მე მოვიყვან ბიჭებს ჩემი საამქროდან.

— ვიშოვნი! ამხანაგები დამეხმარებიან, უარს არ მეტყვიან, პირიქით, ყველა მხარში ამომიდგება. რკინიგზელები მეტად თბილი ხალხია, ძია დათიკო. რამდენი რამ ვისწავლე მათგან ამ ერთი წლის განმავლობაში, რამდენი რამ გავიგე; არც სოფელში, არც მეტივეობის პერიოდში, სადაც ხუთი წელი

დავყავი, არც შემდეგ, ზეზემანის სამხერხაოებზე არ მიგრძვნია ის სითბო, ერთიანობა, მხარდაჭერა, რომელიც არსებობს მთავარი სახელოსნოების მუშებს შორის. იქ ყველა ცალ-ცალკე ხნავდა და ცალ-ცალკე თესავდა. ყველა თავისთვის იყო და თავისთვის ფიქრობდა, ერთმანეთის დალაპარკების ეშინოდათ, აქ კი, ისე ახლოს დგანან ერთმანეთთან, ისეთ მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული მუშებს შორის, ეს რომ არ მაჩერებდეს, ამ ძალლურ პირობებს მოსვლისთანავე გავექცეოდი.

— სად წახვიდოდი მერე? — ულვაშებში ჩაეცინა დათიკოს. თან გულის ყურით მიაჩერდა მიხოს, რომელიც თავის სიტყვებს, რომ იტყვიან, გულსა და სულს ატანდა.

— წავიდოდი სადაც არ უნდა ყოფილიყო! — ჯავრიანად ამოთქვა მან.

— მაინც სად? ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, თუ ზეიცერის სადურგლო სახელოსნოში? ეფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, თუ ადელხანოვის ფეხსაცმლისა და ქეჩა-ნაბადის ფაბრიკაში? მირზოევის საფეიქრო ფაბრიკაში, თუ კარაპეტიანცის ხიდთა სამშენებლო მასალის ქარხანაში? ჩითახოვის თუ ბუტილოვის ფაბრიკებში? იქნებ ამათგან არც ერთი არ მოგწონს და იარალოვის თუჯსასხმელ და მანქანათმშენებელ ქარხანაში უფრო მიგიწევს გული? ან მადათოვის სამხერხაოებზე? შენ ხომ ამის გამოცდილება გაქვს, ახლოს იცნობ ხე-ტყის ამბებს, ნამუშევარი ხარ ზეზემანის სამხერხაოებზე ატენში და იცი რა სარფიანია იქ მუშაობა. ჰა, რას გაჩუმდი, ვის ფაბრიკაში წახვიდოდი სამუშაოდ?

დათიკოს ოდნავ ელიმებოდა თავის სიტყვებზე და მიხოს თან გამომცდელად აკვირდებოდა.

მიხო კი გაოგნებული იყო და ხმა ვერ ამოეღო.

— რატომ არაფერს იტყვი? — განაგრძო დათიკომ, — ალბათ ფითოევის, მანთაშევის და სხვათა სამუშაოებზე ფიქრობ მისვლას? თამამშევის, მელიკაზარიანცის, სტეფანოვის... ეჰ, ჩემო ძმაო, — ღრმად ამოისუნთქა დათიკომ, — ერთი რამ უნდა იცოდე, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან ძაღლური მდგომარეობა დაგხვდება. სანამ ეგენი ბოგინობენ, შენისთანა კაცი ვერც გაიხარებს. ასე რომ არ იყოს, არც არეულობა იქნებოდა მაგათ ფაბრიკა-ქარხნებში, არც ბუნტი. ხომ ხედავ, გაფიცვებს გაფიცვებზე აწყობენ მუშები და ლამის იარალი იხმარონ მათ წინააღმდეგ. ალბათ ესეც მალე იქნება.

დათიკოს უკანასკნელი სიტყვები მიხოს არ გაუგია. მისი ლაპარაკით გაბრუებულმა ფიქრები გადაიყარა და ესლა უპასუხა:

— სად წავიდოდი და... დავუბრუ[illegible] ისევ ჩემს ხელობას — მეტივეობ[illegible]ლსაც კარგად ვშოულობდი და ოჯახთანაც ახლოს ვიყავი. ისე არ ჩამოვივლიდი მეტეხზე, ერთი-ორი საათით მაინც შინ არ მიმერბინა. ზოგჯერ ღამითაც მიხდებოდა დარჩენა, როცა მეტეხზე საღამოობით მოგვიწევდა ჩამოვლა. რადგან ღამით ტივით მგზავრობა არ შეიძლება, სოფლის ბოლოს მივაბამდი ნაპირზე, და შინ ვრჩებოდი. დილაუთენია კი ავუშვებდი, მოვუსვამდი ორთაყვირს და ჰაიდა... დავეშვებოდი თბილისისაკენ. ჩვენებური მეტივეები ყველა ასე იქცეოდა.

— მერე რატომ დაანებე თავი?

მიხო მოკლედ მოუყვა თავის ამბავს. ბოლოს დაუმატა:

— ხომ გითხარით, ამ ერთი წლის მანძილზე რკინიგზელ მუშებისაგან იმდენი რამ ვისწავლე და გავიგე, იმდენი სითბო და სიყვარული ვიგრძენი, ეს რომ არ მაჩერებდეს ნამდვილად დავუბრუნდებოდი მეტივეობას მივენდობოდი მტკვარს ბედის ამარა და სადაც ჩემი წერა იყო, იქ ჩავიხრჩობოდი.

— გეთანხმები! — მცირე დუმილის შემდეგ თქვა დათიკომ, — მთავარი სახელოსნოების მუშები მეტად პატიოსანი ხალხია. იციან ამხანაგობაც, მეგობრობაც, ერთმანეთის გატანაც, საიდუმლოს შენახვაც და გვერდში ამოდგომაც, თუ საჭიროება მოითხოვს საერთო საქმისათვის თავგანწირვაც. მათ ისევე აქვთ დაბოლმილი გული, როგორც შენ, მე, სხვას. ჩვენ სუყველა ერთ ტაფაში ვიწვით და ერთი ცეცხლი გვიკიდია. ცალ-ცალკე დგომის უფლება არა გვაქვს. პირიქით, ჩვენი ძლიერება ჩვენს ერთიანობაშია. ერთიანი ძალით უნდა გადავიგდოთ კისრიდან მონობის უღელი.

დათიკო ამას რომ ამბოდა, თან დაკვირვებით შესცქეროდა მიხოს, რა გავლენას მოახდენდა მისი სიტყვები ამ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, რკინიგზელზე, რომელმაც გაცნობისთანავე მიიქცია მისი ყურადღება თავისი სიდინჯით, მოკრძალებით, თავშეკავებით, დაფიქრებული ლაპარაკით.

დათიკო თავის მსგავსებას ხედავდა ამ კაცში და უფრო მეტი ინტერესი აღეძრა, შეეტყო რა სულისკვეთებით სულდგმულობდა მიხო, როგორ უყურებდა ცხოვრებას, რას ფიქრობდა მუშათა მღელვარებაზე, თანაუგრძნობდა თუ არა და რაც მთავარია, გაბედულად გაჰყვებოდა თუ არა მათ ბრძოლის ძნელ გზაზე.

დათიკოს კიდევ უნდოდა ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელება. მაგრამ თავი შეიკავა, რადგან სწორედ ამ დროს ევას ხმა შემოესმა. იგი სთხოვდა სუფრასთან მისულიყვნენ.

ოთახში შევიდნენ. ევა კეთილი ღიმილით

შეეგება სტუმარს, სკამი შესთავაზა და თვითონ სამზარეულოში გავიდა.

დათიკო და მიხო სკამებზე დასხდნენ.

დათიკომ მზერა მოატარა უბრალოდ შეთეთრებულ ჭერსა და კედლებზე, მერე თვალი მიხოს გაუსწორა და ღიმილით უთხრა:

— აი ესაა მთელი ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც მე და ევამ ორმოცი წლის მანძილზე დაძაბული შრომით შევქმენით. ვერ გაგაკვირვებ ვერც დარბაზებით და ვერც ოქროთი და ვერცხლით, ვარაყითა და ]მკედით გაზიმზიწებული ოთახებით, ვერც მოოქროვილ-მოზარნიშებული კანდელაბრებით და ვერც პატიოსანი თვლებით მოჭედილი შოტლანდიური შანდლებით; ვერც მოვერცხლილ-მოოქროვილი ღვინისა და არყის სასმისებით და ვერც ბროლითა და ფაიფურებით; ვერც ნოხებითა და ხალიჩებით და ვერც ფიანდაზითა და სუზანით. ვერც ევროპული გობელენებითა და სპარსულ-თურქული ჯეჯიმებით. ამას რატომ გეუბნები? — დათიკომ ღიმილით ჩახედა მიხოს ფართოდ გახელილ თვალებში, — გინახავს მდიდრების სასახლეები?

მიხომ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ფანჯრის ჭუჭრუტანიდან მაინც თუ შეგიხედავს, წელაწ რომ კაპიტალისტები ჩამოგითვალე, იმათ ოჯახებში? მაგისთანა წურბელები კი რამდენიც გინდა იმდენია თბილისში. არ შეგიხედავს?

უარის ნიშნად მიხომ კვლავ გაიქნია თავი.

— მაგათ ყოველდღიურ სუფრას არ აკლია არც ბოზბაში და არც ხაშლამა, არც ირანული ლავაში და არც დურნუკის მახობელა; არც წითელ ღვინოში ჩაბუჟბუჟებული ბოლლონო და არც ბულლამა და სოურთმა. თევზეული გინდათ? იტყვიან და ხელდახელ გაჩნდება მათ სუფრაზე ალაზანში დაჭერილი, გოდორში დამწყვდეული ლოქო, ხრამული, მურწა და ციმორი, ივრის ჭანარი და არაგვის წითლად დაწინწკლული ფორაჯიანი კალმახი, ზურგიელი, სათალი, იანი, დოში და ბაიკალური ორაგულის წითელმარცვლიანი ქვირითი... ეს... ჩემო მიხო, ამაზე შორს წაგვიყვანს საუბარი. მე ალბათ უკვე მოგაბეზრე თავი ამდენი უბედობით. მოდი ყველაფერს თავი დავანებოთ და ჩვენს ღარიბულ სუფრას მივხედოთ. გატეხე პური!

დათიკომ ღვინო დაასხა ჭიქებში. ერთი მიხოს მიაწოდა, მეორე თვითონ ასწია.

— მოდი ამ ჭიქით ჩვენისთანა უბრალო ხალხს გაუმარჯოს, ჩვენი მეთაურობით ჩვენი სახელოსნოების მუშებს გაუმარჯოს, მალე გათენებულიყოს ყველა ჩაგრული ადამიანისათვის.

დათიკომ ჭიქა გამოცალა, [illegible] მიხოს მიმართა:

ბიბლიოთეკა

— ასე მტერი დაგვეცალოს!

— ამინ! — წარმოსთქვა მიხომ და თვითონაც დაცალა ჭიქა.

დათიკოს მუშების საყვარელი სიმღერა გაახსენდა და ხმადაბლა ჩაიღიღინა.

სადაც არის გათენდება, ალსდექ მუშავ, შენ,
შენი შრომაც დაფასდება, ნუ გძინავს, მენ,
ნუ ხვრინავ შენ, მუშავ, მუშავ, შენ...

— მოდი ამ გათენებას გაუმარჯოს, მიხო, პა! — დათიკომ ხელახლა შეავსო ჭიქები.

— გაუმარჯოს! — წარმოსთქვა მიხომ და მასპინძლის გამოწვდილ ჭიქას თავისი ჭიქა მიუჭახუნა.

გვიანობამდე შეჰყვნენ სუფრას, თითო ბოთლმა ღვინომ კარგ ხასიათზე დააყენა სტუმარიც და მასპინძელიც. ბოლოს მიხო ადგა ზეზე, დიასახლისს მადლობა გადაუხადა და დათიკოს მორიდებით მიმართა: ძაღლისა რომ არ მეშინოდეს, არ შეგაწუხებდი, ეზოს ჭიშკრამდე გამაცილეო.

დათიკო დაბლა ჩავიდა და ნაგაზი ჯაჭვით დაიჭირა. მიხომ კიბე ჩაიარა და ეზოდან კარში გავიდა. დათიკო უკან მიჰყვა.

— ღამე მშვიდობისა, ძია დათიკო, — მიუბრუნდა მიხო ოჯახის უფროსს, — დიდი მადლობელი ვარ ასეთი პატივისცემის თვის, მეც გადამეხადოს სიკეთე.

— რის მადლობელი, შე კაი კაცო. დღეიდან ხომ აღარ მომერიდები?

— აღარ მოგერიდები!

— გაზაფხულისთვის მასალა მოიმარაგე და კარ-ფანჯრებს ფეშქაშად გაგიკეთებ. ახლა კი კარგად იყავი.

— კარგად იყავი, ძია დათიკო!

მიხომ ერთხელ კიდევ გადაუხადა დათიკოს მადლობა, მერე მარჯვნივ შეტრიალდა და უსწორმასწორო, ოღრო-ჩოღრო, დაბრეცილ დაღმართს მძიმე ნაბიჯით დაჰყვა.

* * *

ქარი ჩამდგარიყო.

სიბნელეში ჩაძირულიყო ნაძალადევი. ქოხმახებიდან ლამპების მბჟუტავი სინათლე ოდნავ ატანდა შუშების მაგივრად ფანჯრებზე გაკრულ, გაქონილ ქაღალდებს. აქა-იქ ძაღლების ყეფა და დეპოებში ჩამომდგარი ორთქლმავლების ქშინვა ისმოდა. ქუჩებში კანტი-კუნტად მიიჩქაროდნენ შინისაკენ შრომით დაღლილი ადამიანები.

მიხომ დამრეცი ფერდობი ჩაათავა და ვაკეზე გავიდა. სწორედ ამ დროს მთავარი სახელოსნოებიდან დაიღრიალა საყვირმა. საყვირის ხმამ ქოხმახების ფანჯრები შეაზრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და რამდენიმე წუთის შემდეგ მიყუჩდა.

ლოტკინისა და ხუდადოვის ახლადგაშენებული ტყის ფერდობებიდან ტურებმა მორთეს ჩხავილი. ჩხაოდნენ გაბმით, რაღაც შემაზრზენი ხმით. მათ ძაღლებიც გამოეხმაურნენ და ხელახლა შეიძრა ნაძალადევის დასახლება.

მთავარი ქუჩის გადაკვეთასთან მიხოს უპატრონო ბავშვები შემოეყარნენ. ისინი ხუთნი იყვნენ. ორთქლმავლების ქვაბებთან ღამენათევნი, ჭუჭყსა და მაზუთში ამოგანგლულნი, მშივრები და გაუბედურებულები საშოვარზე გამოსულიყვნენ და ქუჩაში უწესრიგოდ დაბორიალობდნენ.

ერთი მათგანი მიხოს წინ გადაუდგა და თამბაქო სთხოვა. ჭვარტლსა და მურს ვერ დაეჩრდილა მისი ლამაზი, მოხდენილი სახე. მაზუთში ამოგანგლული თმა ბუჩქივით ადგა თავზე.

სხვები უფროსები ჩანდნენ, სხვადასხვა ასაკისა. ვინ იცის რა გაჭირვებას და უბედურებას გადმოეყარა ისინი შორეულ რუსეთიდან საქართველოში. უთვისტომობას და უპატრონობას შეგუებულნი დეპოებსა და ორთქლმავლის ქვაბებთან ათევდნენ ღამეებს და ქუჩაში მათხოვრობით ირჩენდნენ თავს.

ვინ იყო პატრონი ხელი ჩაეკიდა და წესიერი ცხოვრების გზაზე დაეყენებინა ისინი. ვის ეცალა მათთვის. ასე რომ ყოფილიყო, აღარც გაივსებოდა თბილისი ამდენი მანანწალებით.

მიხომ პაპიროსი მიაწოდა ბიჭს და მის ამხანაგებსაც სათითაოდ ჩამოურიგა. მათ მადლობა გადაუხადეს მიხოს. ის იყო, მარჯვნივ უნდა შეეხვია, რომ მოპირდაპირე მხრიდან ეტლმა ამოიქროლა და თან მოიტანა არღნის ჭყვიტინი.

ეტლში კინტოები ისხდნენ, ქალებთან ერთად, შუაში მოწნული კალათით თათარიახნი პურ-მარილი ჩაედგათ, კარგად შექეიფიანებულნი ჩახრინწული ხმით მღეროდნენ ბოჰემურ სიმღერას და შიგადაშიგ ხმამაღლა ხარხარებდნენ.

ერთმა კინტომ ღვინით სავსე კვარტიანი ესროლა ბიჭებს, იმ ახალგაზრდამ, მიხოს პაპიროსი რომ სთხოვა, ხელი შეაშველა დასაჭერად, მაგრამ დაუსხლტა და ბოთლი ქვაფენილზე დაიმსხვრა.

კინტომ მეორეც გადმოუგდო. ვერც ის დაიჭირეს, მესამეც რომ ქვაფენილზე დაიმსხვრა, კინტოებმა ხარხარი მორთეს და მოსახვევში გაუჩინარდნენ.

მანანწალა ბიჭები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. უაზროდ დაუწყეს ცქერა ქვაფენილზე დამსხვრეულ ბოთლებს.

მიხო მიხვდა, კინტოებმა მათ ნერვებზე რომ გაითამაშეს. შეეცოდა ბიჭები.

ის იყო, ნასვლა დააპირა, რომ ის ეტლი ხელახლა გამოჩნდა მოსახვევში, ხელახლა გაისმა არღნის ჭყვიტინი და მოქეიფეთა ხორხოცი. მეეტლემ ღონივრად მოსწია ცხენებს ლაგამი და გაფრენილი ეტლი ბიჭების წინ შეაჩერა.

— ეი, ჩიტებო, — გადმოსძახა ხელის თავისებური შეთამაშებით იმ კინტომ, წელან კვარტიანები რომ გადმოუყარა — თქვენ რომ იმ ბოთლების დაჭერის შნო გქონოდათ, მანანწალებიც აღარ იქნებოდით. რადგან ღმერთმა მაგის შნო არ მოგცათ, ადამიანებად გაგაჩინათ და ჭამა-სმა გინდათ, აჰა, გაამოთ! — კინტო დაიხარა და რამდენიც იყვნენ, იმდენი კვარტიანი გადააწოდა.

ბიჭები გამოცოცხლდნენ, სიხარულით მისცვივდნენ ხელში და ბოთლები ფრთხილად ჩამოართვეს, თითქოს ეშინოდათ კიდევ არ გაგვისხლტეს და არ დავიღუპოთო. ეტლი კი სწრაფად მოსწყდა ადგილს და მოქეიფეთა ხორხოცი თან წარიტაცა.

მიხო ახლაღა მიხვდა, ისინი თბილისის ცნობილი კინტოები ზიზოლა და ჰამაია იყვნენ, რომელთაც ძეგველოვების თევზის მაღაზიის გადასწვრივ ჰქონდათ დუქანი და შემწვარი ცხვრის თავებით ვაჭრობდნენ. მიხო რამდენჯერმე იყო ნამყოფი მათ დუქანში.

მარჯვნივ გაუხვია და არტემას დუქნისაკენ გაუყვა გზას. ახლა გაახსენდა, რომ შინ საჭმელი არა ჰქონდა. მართალია არა შიოდა, დათიკოსთან გემრიელად შეექცა შემწვარი ღორის ხორცს, მაგრამ დილისათვის ხომ უნდოდა. ბარემ ახლა ვიყიდიო, გაიფიქრა და ნაბიჯს მოუმატა.

მშენებარე მუშათა კლუბის წინ, გზაჯვარედინის კუთხეში, იქ სადაც ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მთავარი კარისაკენ უხვევდა ვიწრო ქუჩა, არტემ ზახარიანის სასურსათო დუქანი იდგა.

ყოველ მუშას, სამსახურში მიმავალი იქნებოდა ის, თუ იქიდან მომავალი, არტემას დუქნის წინ უნდა გაევლო. მუშებს ხელფასიდან ხელფასამდე ფული რომ არა ჰყოფნიდათ, არტემასაგან ყიდულობდნენ ნისიად.

არტემას დიდი ჟურნალი ჰქონდა და იმ ჟურნალში ინიშნავდა ვინ როდის, რას და რამდენს, რა ღირებულების საქონელს ნაიღებდა.

წერა-კითხვის უცოდინარ მუშებს არ შეეძლოთ ნისიად აღებული საქონლის ღირებულება ზუსტად დაეანგარიშებინათ და დაემახსოვრებინათ, რადგან ბევრ მუშას თითქმის ყოველდღე უხდებოდა არტემასაგან წაღება, პური იქნებოდა ეს, ძეხვი, პაპიროსი ასანთი, საპონი თუ მარილი.

არტემა როგორც უნდოდა ისე ანგარიშობდა და რამდენსაც უნდოდა, იმდენს ჩაწერ-

და თავის კარაბადინში. ვისაც ხელის მოწერა არ შეეძლო, ციფრის გვერდით კლიენტს ჯვარს დაასმევინებდა. თვის ბოლოს, როცა მუშა ხელფასს აიღებდა და პატიოსნად მივიდოდა ვალის გადასახდელად, არტემა ჯამს გამოიყვანდა და ერთიორად ახდევინებდა ლირებულებას.

ბევრი მუშა თავისი ხელფასის ნახევარზე მეტს არტემას დუქანში სტოვებდა. ბევრს კი მთელი ხელფასის დატოვება უხდებოდა. ზოგს ისიც არა ყოფნიდა.

მუშებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ არტემა მეტს ახდევინებდა, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდნენ, იმის გამო, რომ უარტემოდ გაუძნელდებოდათ ცხოვრება. სხვაგან სად წავიდოდნენ და გინდაც წასულიყვნენ ვინ ასესხებდა წარამარა ფულს, ვინ გაუმართავდა ხელს?

ამიტომაც მიდიოდნენ დათმობაზე ნაძალადევლები.

მაგრამ ამას წინათ, ცუდი ამბავი შეემთხვა არტემას. მთავარი სახელოსნოს ერთმა მუშამ, როცა არტემამ ნისიად გატანილი საქონლის საფასურის გაბერილი ჯამი წარუდგინა, ველარ მოითმინა, დახლიდან ბოთლი აიტაცა და ისე მაგრად დაჰკრა გასიებულ თავში, რომ არტემამ ლამის ფეხები გაფშიკა.

არტემას საბედნიეროდ იმავე წუთს პოლიცია გაჩნდა იქ და მუშა დააპატიმრეს, სისხლში გაცურებული არტემა კი საავადმყოფოში წაიყვანეს.

მას შემდეგ მიხოს არტემა აღარ დაუნახავს დუქანში. ცოლი ვაჭრობდა მის მაგიერ. ახლა, როცა შორიდან თვალი მოჰკრა დახლის წინ თეთრ დოლბანდით თავმობურდნულ არტემას, ცოტა არ იყოს, კიდევაც გაუხარდა.

— არტემ ცოცხალი ხარ? — მისვლისთანავე შესძახა ღვინით გათამამებულმა მიხომ.

— ვახ, გეგონა მოვკვდებოდი?! — ქვემოდან შეუბღვირა არტემამ.

— შენი სიკვდილი ვის რაში სჭირდება, არტემ!

— კიდევაც რომ გჭირდებათ! თქვენ, რკინიგზელები, ყველანი ბუნტის თავები, შარიანები, ჩამოსახრჩობები ხართ, ყველანი უნდა გაგაციმბირონ!

— მეც უნდა გამაციმბირონ, არტემ? — გულზე ხელი დაიდო მიხომ, თან გულიანად გადაიხარხარა.

— შენ რაღა ხარ! შენც და ყველა! — თვალებიდან ბრაზსა ჰყრიდა არტემა.

— მერე ჩვენ რომ გაგვაციმბირონ, შენ რაღა გეშველება, ფულს ვისგან მოიგებ?

არტემამ ნერწყვი გადაყლაპა და ამ კითხვას პასუხი ვერ მოუძებნა.

— მაინც რა დაგიშავეთ, არტემ, საციმბიროდ რომ გვიმეტებ?

— მე რაღა დაგიშავეთ, ძმაოჯან, რომ სამგირვანქიანი კვარტიანი თავში ჩამირახუნეთ? ცოდო არა ვარ, ძმაოჯან? კიდევ კარგი, სავსე არ იყო, თორემ ახლა ხომ საიქიოში ვიქნებოდი? — სხაპასხუპით ამბობდა არტემა და თან ცოფებს ყრიდა.

— მე ხომ არ დამირტყამს, არტემ!

— შენი ამხანაგი ხომ იყო? რომ მოვმკვდარიყავი, მამაჩემი ელიშა კიდევ გააკეთებდა მეორე არტემას?

მიხომ კვლავ გულიანად გადიხარხარა და არტემას ტკბილი სიტყვით დაუყვავა.

არტემა უფრო გაცოფდა.

— აი, ძმაოჯან, მითხარი სიმართლე, რომ მკლავთ, რატომ მკლავთ, რა დაგიშავეთ? მთელი დღე თქვენ გემსახურებით, გვიანობამდე არ ვკეტავ დუქანს, იქნებ ვინმე მშიერი, გაჭირვებული მუშა მომადგეს და ხელი გავუმართო-მეთქი. გეხმარებით, ნისიად გაძლევთ საქონელს, ფულს არ გთხოვთ, თქვენ როცა განყობთ, მაშინ იძლევით, იოლად გამყეხართ. მადლობის მაგიერია? მითხარი, მადლობის მაგიერია, ძმაოჯან? პირიქით, თქვენ რომ ხალხი იყოთ, სინდისი რომ გქონდეთ, თვალში რომ ჩაგივარდეთ, ხელი არ უნდა მაისვათ. იმდენ სიკეთეს გიშვრებით, ხელის გულზე რომ ერბო-კვერცხი შამიწვათ, ვერ გადამიხდით, არა ვარ მართალი, ძმაოჯან? მითხარი, არა ვარ მართალი?

არტემა თვალებში მიაჩერდა მიხოს.

— მართალი ხარ, არტემჯან, მართალი! — ხმა ამოიღო ერთმა მოხუცმა რკინიგზელმა, რომელიც მიხოსთან ერთად შემოვიდა დუქანში და აქამდე გაჩუმებული იდგა.

მოხუცის დასტურზე არტემას უფრო გული მიეცა.

— მაგრამ თქვენ არა ხართ ხალხი! — განაგრძო არტემამ დორბლების ყრით. — თქვენ ყველა ბუნტის თავები და გასაციმბირებლები ხართ! თქვენ რომ ხალხი იყოთ, ბოთლი კი არ უნდა ჩამარტყათ თავში, აი იქ — არტემამ თითი გაიშვირა მშენებარე მუშათა კლუბის წინ, მოედანზე — ძეგლი უნდა დამიდგათ, როგორც თქვენი, რკინიგზელი მუშების მეგობრისა და მფარველისა.

მიხომ უფრო ხმამაღლა გადიხარხარა. არტემა გაცხარდა.

—რას იცინი, რომ იცინი? — ხმას აუწია მან, — არა ვარ მართალი, ძმაოჯან? მითხარი, არა ვარ მართალი? მე რომ ნისიად არ გაძლევდეთ სურსათს, რა გეშველებოდათ, თქვე საწყლებო! სიმშილით განყდებოდით, სული ამოგხდებოდათ, დაიხოცებოდით. აბა წადი და თუ ბიჭი ხარ, ისესხე ფული, ისესხე ფული, თუ ბიჭი ხარ, ჩემსავით

ვინ გაგიმართავთ ხელს, ძმაოჯან? საკუთარი მამა არ მოგცემთ, საკუთარი ძმა არ გამოგიწვდით დახმრების ხელს. მე კი, გადაყოლილი ვარ თქვენზე. მეცოდებით, რაც შემიძლიან, გეგმარებით, სულსა და გულს არ გიჭერთ. თქვენ კი, ისეთ ერთგულ და კეთილ კაცს, როგორიც თქვენი არტემაა, სამგირვანქიან კვარტიანს უბრახუნებთ თავში. მაშ ნამუსი გაქვთ, ახპერჯან?!

— მართალი ხარ, არტემ, მართალი! — კვლავ დაუდასტურა მოხუცმა რკინიგზელმა თან მიხოს შეხედა და არტემას ჩუმათ თვალი უყო.

არტემა ცოტაოდნავ დაწყნარდა მოხუცი რკინიგზელის თანაგრძნობაზე.

— ძველი რკინიგზელები დარბაისლები იყვნენ, — ახლა კი დინჯი ტონით განაგრძო არტემამ, — სინდისი ჰქონდათ, პატიოსნება ჰქონდათ. ახლა კი, ამ ხალხს რომ ვუყურებ, ველარა ვცნობილობ. ყველა ბოგანომ და გალლეტილმა მთავარსახელოსნოებში მოიყარა თავი. არა ძმაო, — თავი გააქნია არტემამ — ძველი რკინიგზელები სხვა ხალხი იყო: დარბაისლები, სინდის-ნამუსიანები, სიტყვის ხალხი, როგორ იკადრებდნენ ეთქვათ ჩემთვის: არტემჯან, მეტი რატომ გადამახდევინეო. ისინი დამარტყამდნენ სამგირვანქიან კვარტიანს თავში? არა, ახპერჯან, ისინი ამას არ იკადრებდნენ...

არტემა ერთ წუთს გაჩუმდა. რადგან მიხვდა მიხოს მისი ლაპარაკი მაინც და მაინც არ ეპიტნავებოდა, რკინიგზელს მიმართა:

— მე რომ მოვმკვდარიყავი, აბა მაშინ დაუდგებოდათ თვალი ამ ბუნტის თავებს. ვინ იცის, რამდენჯერ მომიგონებდნენ და იტყოდნენ: არტემჯან, ჩვენი საქმე მაშინ წახდა, როცა ტყუილუბრალოდ საიქიოში გაგისტუმრეთო.

არტემა გაჩუმდა. აქ დაუსვა წერტილი თავისი ბოლმის ამონთხევას. მართალია შიგ კიდევ დარჩა ნაწილი, მაგრამ შვება მაინც იგრძნო, რომ იტყვიან გული მოიფხანა.

— ძია არტემ, ეს მოხუცი კაცი გაისტუმრე და მერე მე ამიწონე ერთი გირვანქა ძეხვი და ორი გირვანქა პური! — უთხრა მიხომ.

— რას ინებებთ? — მიუბრუნდა არტემა მოხუც რკინიგზელს.

— მეც ერთი გირვანქა ძეხვი და ორი გირვანქა პური ამიწონე!

— მეტი არაფერი?

— ერთი კვარტი ღვინოც მოაყოლე, ბარემ!

— ნისიად თუ ნაღდ ანგარიშზე?

— ნისიად. ხელფასზე მოგცემ ფულს.

— აი, მიუბრუნდა არტემა მიხოს, — ახლა ამ კაცს რომ უარი ვუთხრა ნისიაზე, ცოდო არ არის? ვინ აჭმევს პურს, ხომ მშიერმა [illegible] და დაიძინოს? მე კი გული არ მიითმენს, ფული არ გავუმართო.

— კარგი, არტემ, კარგი, დაწყნარდი. კაი კაცი ხარ, მეტი რა გითხრა?

— კარგი რომ ვარ, იმიტომ მკლავთ, მერე?

— ნუ გეშინიან, შენ თავს არავის მოვაკვლევინებთ! — დაუყვავა მოხუცმა და მიხოს ღიმილით შეხედა, თითქოს იმის თქმა უნდოდა, არტემას იმიტომ ვეთანხმები, ფული არა მაქვს და ვაითუ ნისიად არ მოეცაო.

მიხო მიუხვდა მოხუცს და გაეცინა.

არტემას ხმა აღარ ამოუღია. მიხოსაც აუწონა ერთი გირვანქა ძეხვი და ორი გირვანქა პური, მიხომ ფული გადაუხადა, კარგად ყოფნა უსურვა და დუქანი დატოვა.

* * *

ნელი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. არ ეჩქარებოდა. ხვალიდან მეორე ცვლაში მუშაობდა, საღამოს ექვსის ნახევარზე უნდა გასულიყო სამსახურში.

როგორ არ უნდოდა შინ მისვლა. ოთახი, უფრო სწორად სარდაფი, რომელიც დაქირავებული ჰქონდა თავის დეიდაშვილისაგან, საფლავს აგონებდა. მთლიანად მიწაში იყო ჩამჯდარი. ქუჩის მხრიდან ერთი პაწია სარკმელი ჰქონდა დატანებული და იმასაც ვერ აღებდა, მიწა და ნაგავი ცვიოდა შიგნით.

ირემაშვილების კარმიდამო, რომელსაც კარგა მოზრდილი ფართობი ეჭირა, ბარაკად იყო გადაქცეული. გარდა იმისა, რომ თვითონ სამი მეწველი ძროხა ჰყავდათ, თავიანთი ხბორებით, კიდევაც აქირავებდნენ. დუშეთიდან თუ გარე კახეთიდან ჩამოსული შეშით დატვირთული ურმები ხშირად მთელი თვეობით იდგნენ მათ ეზოში და სანამ მეპატრონეები შეშას გაყიდდნენ, აქ ათევდნენ ღამეს.

ირგვლივ ჭუჭყი და სიბინძურე იყო გამეფებული.

განსაკუთრებით ზაფხულობით იყო მძიმე ასატანი. ბუზი და ქინქლა მოსვენებას არ აძლევდა არამც თუ თვითონ ირემაშვილებს და მის მდგმურებს, მეზობლებსაც კი. არაერთხელ უჩივლიათ მათ ირემაშვილებისათვის ამის გამო, მაგრამ მათ ყურიც არ შეუბერტყავთ: ჩვენი ეზოა და როგორც გვინდა, ისე მოვიხმართო.

მართალია, ეს სიბინძურე თვითონაც აწუხებდათ ირემაშვილებს, მაგრამ მიხოს დეიდაშვილი თებრო ფულის გულისათვის ყველაფერს აკეთებდა. ჩუმი და უწყინარი მეუღლე კოტე ხელში ჰყავდა გამოჭერილი და როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა. ოჯახის მთელი სიმძიმე კოტეს ზურგზე გადადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძროხებს უვლიდა, წველიდა კიდეც და წყალგარეული რძეც მას დაჰქონდა ქუჩა-ქუჩა გასასყიდად.

თებრო მხოლოდ ბრძანებებს იძლეოდა.

როგორც მეზობლები, შინაურებიც ამას ამბობდნენ: ღმერთს შეეშალა, თებრო ქმარი უნდა ყოფილიყო, კოტე — ცოლიო.

ერთი სიტყვით, ირემაშვილების ოჯახი იმ უბანში ყველაზე შეძლებულად ცხოვრობდა. სახლიც კარგი ჰქონდათ, ოჯახიც მშვენივრად ჰქონდათ მოწყობილი, ფულსაც შოულობდნენ და ბავშვებსაც სხვაზე უკეთ ზრდიდნენ. ორი ბიჭი ჰყავდათ და კერძო სასწავლებელში დაყავდათ, იმის გაგება კი ჰქონდათ, ბავშვები წესიერები და ნასწავლები აღეზარდათ.

მიხო ნაწყენი იყო დეიდაშვილზე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის დამპალი სარდაფი ძვირად მიაქირავა. იმ ფულით მიხოს შეეძლო სხვაგან ათჯერ უკეთესი ოთახი დაეკავებინა, მაგრამ ხათრით მოტყუვდა.

როცა ურიგდებოდა, თებრომ უთხრა: შედი და იცხოვრე, შენ ხომ უცხო არა ხარ, ძვირი გამოგართვაო. ქირაზე რა საჭიროა ახლა ლაპარაკიო.

მიხოც შევიდა და დაიწყო ცხოვრება, ეგონა არ მოსთხოვდა ფულს ამ უსინათლო, დამპალ სარდაფში. მაგრამ როცა ქირის გადახდის დრო მოვიდა და თებრომ თავისი ფასი უთხრა, მიხო სახტად დარჩა.

სახტად დარჩა არა იმიტომ, რომ თებრომ მეტი დაუფასა. უფრო იმიტომ ამ ქალში ნათესაური გრძნობის ნატამალიც რომ ვერ დაინახა. გული დასწყდა, ნეტავ ასე ახლოს არ გამეცნო, ამასთან სულ არ მოვსულიყავიო და უარესი ოთახი, უფრო ძვირად სხვაგან მექირავაო. ხელი ჩაიქნია და უთქმელად უხდიდა თებროს ძვირად ღირებულ ქირას.

მეორე ამბავი, რაც მიხოს ძლიერ სწყინდა, ის იყო, რომ ერთი წელი აქ ცხოვრობდა და უბრალოდ ერთხელ არ შეუპატიჟებია სახლში.

შეპატიჟებას ვინ ჩივის, ერთი თეფში ცხელი კერძი არ მიუწოდებია მისთვის. მით უმეტეს. მარტო ცხოვრობდა და საჭმლის გამკეთებელი არავინ ჰყავდა.

სამაგიეროდ მიხო არაფერს იშურებდა მათთვის. სოფელში რომ წავიდოდა, ისე არ ჩამოვიდოდა იქიდან, ცოტაოდენი ჭადისფქვილი, ლობიო, ხახვი, კომბოსტო, პამიდორი, ტყემალი და სხვა ასეთი რამ არ ჩამოეტანა მათთვის. განა იმიტომ, რომ ბევრი ებადათ მრავალრიცხოვან ოჯახს, სად ჰქონდა თავზე საყრელი სურსათი, მაგრამ ხელცარიელი არასოდეს დაბრუნდებოდა.

ბავშვებისთვისაც ჩამოჰქონდა ხილი.

ბავშვები ისე იყვნენ შეჩვეული მიხოს, სულ მის გარშემო ტრიალებდნენ. კვირაობით თუ ან მატარებელსაც რომ ჩამოყოლოდა სოფლიდან, არ დაიძინებდნენ, სანამ მიხო შინ არ მოვიდოდა. მოვიდოდა და ყრიამულით შეეგებებოდნენ. იცოდნენ, ხელცარიელი არ ჩამოვიდოდა და რაღაცას ჩამოუტანდა.

მიხოც არ აკლებდა ლოყანითელ ვაშლებს, კროლა კაკლებს, ფშატს, ატმისა თუ ჭანჭურის ჩირს, ტყლაპს, ალუბლის კერკს და შინდის ჯოხებს.

განსაკუთრებით უფროს ბიჭს ირაკლის უყვარდა მიხო. ერთხელ სოფელში წაიყვანა მიხომ და ისე მოეწონა იქაურობა, უკან აღარ მოსდევდა.

იმის შემდეგ სულ ეხვეწებოდა მიხოს, წამიყვანეო. მიხოც სთხოვდა თებროს გამოუშვი, ცოტახანს დარჩეს, ჩვენები არაფერს მოაკლებენო, კარგად მოუვლიანო, მაგრამ თებრო ყოველთვის უარს ეუბნებოდა. სოფელი რომ მდომოდა, კავთისხევიდან ფეხს არ ამოვიკვეთამდიო.

ორი ძმა ჰყავდა თებროს, მაინც და მაინც არც ისინი იყვნენ კმაყოფილნი თავიანთი დისა. უფროსი გიორგი სოფელში ცხოვრობდა და იშვიათად თუ ეკარებოდა. უმცროსი ლადო კი უფრო ხშირად დაიარებოდა.

ლადო ვაჭრობით ცხოვრობდა. მიდიოდა ვლადიკავკავში, ყიდულობდა სახორცე საქონელს, ჩამოჰყავდა, კლავდა, ყიდდა და ამით არჩენდა ცოლ-შვილს.

ლადო უფრო გამოსული კაცი იყო. სულ არა ჰგავდა თებროს, კეთილი გული ჰქონდა. ამხანაგიც უყვარდა და ნათესავიც. თუ საჭირო იქნებოდა, თავს ანცვალებდა ერთსაც და მეორესაც.

განსაკუთრებით დიდი ხათრი ჰქონდა მიხოსი. ისე არ დაბრუნდებოდა ვლადიკავკავიდან, მიხო და კოტე თავის პურ-მარილზე არ დაეპატიჟა.

ეტყობა, ფულსაც კარგად აკეთებდა.

ერთხელ კოტესაგან შეეტყო ლადოს, რომ მიხო ქირას უხდიდა მათ. გაგიჟებულიყო კაცი. შევარდნოდა დას და ისეთი დღე დაეყარა, თებრო კაიხანს აღარ ელაპარაკებოდა თურმე. არა გრცხვენიანო, ეთქვა, არც დეიდაშვილი იცი, არც მამიდაშვილი, არც შინაური და არც გარეულიო. ამ დამპალ სარდაფში ფულს როგორ ახდევინებ, მაგ ფულით ხომ სხვაგან ათჯერ უკეთეს ოთახს დაიქირავებდაო.

აი, ასეთი ზნის ქალი იყო მიხოს დეიდაშვილი თებრო დ გული იმიტომაც ჰქონდა აღრენილი მასზე. რამდენჯერ დააპირა გადასულიყო სხვაგან და ვერა და ვერ დააყენა საშველი.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, ირემაშვილების ეზოს განიერ ჭიშკარს რომ მია-

დგა. ჭიშკარი ღია იყო. ეზოს სიღრმეში ისევ მოჩანდა კონკილაზე შეყენებული, შეშით დატვირთული ურმები, მაგრამ იმდენი აღარ, რამდენიც დილას, ლოტკინის გორაზე სამუშაოდ წასვლის წინ რომ დატოვა.

ნაწილს გაეყიდა შეშა და წასულიყო. ნაწილი კი კვლავ ელოდებოდა მუშტარს.

უღლიდან გამოხსნილი ლომა კამეჩები ერთ ადგილას დაყრილიყვნენ და იცოხნებოდნენ. შიგადაშიგ მათრახივით ირტყამდნენ განიერ გავაზე ბანჯგვლიან კუდს და მინდვრის აბეზარ ბუზებს იგერიებდნენ.

მეორე მხარეს, ფიცრის ფარღალალა დარაბაში გლეხებს ცეცხლი დაენთოთ, ცეცხლის გვერდით ნაბდები გაეშალათ და მხართეძოზე წამოწოლილიყვნენ. თან წუკოს ახრჩოლებდნენ და ყვებოდნენ იმ მთისა თუ ამ მთის ამბებს.

ნაწილი სახელდახელო პურ-მარილს შემოსხდომოდა და თიხის პატარა ჯამით სვამდნენ საწყალი კაცის სადღეგრძელოს.

მიხომ ურმები შეათვალიერა. ერთ-ერთი ურმის კოფოზე ისევ ისე იჯდა წვრილი ბაწრით ჭალზე გამობმული ცეცხლისფერდეზებიანი მამალი, დილას რომ ნახა .თვალებზე ლიბრი გადაეფარებინა და ყვინთავდა.

მიხომ მეორე მხარეს კოტეც დაინახა. ხის გობით წვნიანი შეჰქონდა ალიზით ნაგებ ბოსელში, სადაც მისი ძროხები ებნენ ხბორებთან ერთად.

კოტემ მიხო რომ დაინახა, სად იყავიო გამოსძახა და პასუხს აღარ დაელოდა, სიმძიმისაგან ოთხად მოკუნტული ძლივს შებარბაცდა ბოსელში.

მიხო კოტესაკენ წავიდა. ბოსლის წინ გაჩერდა, ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო, სანამ გახვევას მორჩა, კოტეც გამოვიდა ბოსლიდან.

— რომელ მატარებელს ჩამოჰყე? — ჰკითხა კოტემ და თან წელზე იტაცა ხელი, ეტყობა სიმძიმემ დაჯაბნა.

— სოფელში არა ვყოფილვარ!

— აბა სად იყავი?

— ლოტკინზე ვმუშაობდი, ქვებსა ვყრიდი!

— შენ აღარა ხუმრობ, აი!

— აბ არა ვქნა! — უნდა ეთქვა, თქვენს სარდაფში როდემდე უნდა ჩავლპეო, მაგრამ თავი შეიკავა.

— სოფელში გვეგონე წასული, ბავშვები გელოდებოდნენ, ან ახლა გამოჩნდება მიხო ძია, ან ახლაო. ნახევარი საათი იქნება, რაც დაიძინეს. აქამდე მუშაობდი?

— ვმუშაობდი. მერე ერთმა მეზობელმა დამიძახა და ლაპარაკს შევყევით.

— თუ რაიმე გააკეთე?

— როგორ არა! ქვა უკვე მზად მაქვს!

— ქვით გინდა ააშენო?

— ალიზს ქვა არ სჯობია?

— კი სჯობია, მაგრამ სად [illegible]

— იქვე, ჩემს ნაკვეთში. ისეთი ლოდები ამოდის, თითო ცალი ას ალიზს უდრის.

— იღბალი გქონია!

— პირველად გული მეთანაღრებოდა. არ მინდოდა იმ ადგილისათვის ხელი მომეკიდა, კლდიანია-მეთქი. ალბათ სხვებმაც ამის გამო დაიწუნეს, რომ აქამდე თვალი არავინ დაადგა, ახლა რომ ვუფიქრდები, ნამდვილად მოვიგე, შენ მართალი ხარ, იღბალი მქონია. ახლა იქ რაც ლოდი ამოვა, სულ ამოვყრი და გავყიდი. მერე მოვასწორებ და ისეთი ბაღი გაშენდება, კოტე, შენი მოწონებული.

— ვაა! — თვალები გაუბრწყინდა კოტეს, — დიდი ნაკვეთია?

— ორი ამ ეზოსხელაა!

— ყოჩაღ! ღმერთმა ხელი მოგიმართოს ძმაო. ხომ იცი, მე გამეხარდება ეს ამბავი.

— ვიცი, ჩემო კოტე, შენ კაი კაცი ხარ, მაგრამ...

— მაგრამ, რა? — ღიმილმა ჩაუხრა კოტეს პირის ნაყოფი.

— ის, რომ ჩემი დეიდაშვილი არ ვარგა!

კოტეს გაეცინა.

— ყველა ქალები ეგეთები არიან, არ გენყინოს, ეგეთები არიან ყველა ქალები! — კოტემ ბოდიში მოხადა თებროს, მაგრამ მისგან თავმობეზრებულს გულში კიდევაც გაუხარდა.

ღვინით გათამამებულმა მიხომ ძირი დაალო და ახლა ყველაფერი უნდა გადმოელაგებინა კოტესათვის, მაგრამ ცეცხლის მხრიდან მეურმის ძახილი მოესმა და პირზე მომდგარი სიტყვები ტუჩებზე შეეყინა.

— ეი, ჩვენებურებო, ერთი წუთით მოიარეთ აქეთ, თითო ჭიქა დაგვილიეთ!

— გმადლობთ, რაზე სწუხდებით! — მიხოს კოტემ დაასწრო პასუხი.

— რის მადლობა, თქვე კაი ხალხნო, მადლობა მაშინ გვითხარით, როცა დაგვილევთ. აქ ნაყიდი არ გეგონოთ, შინიდან წამოვიღეთ.

— დაგვეწვიეთ, დაგვეწვიეთ!... — შეეხმიანნენ სხვებიც.

თუმცა არც მიხოს და არც კოტეს მისვლა არ უნდოდათ, უარი ველარ უთხრეს.

— სადაურები ხართ? — უთხრა მიხომ მისვლისთანავე და იმ ჩაფსკვნილ კაცზე შეაჩერა მზერა, რომელსაც ღვინით გალიცლიცებული თიხის ჯამი ეჭირა მათკენ გამოწვდილი.

კაი მოსული ვაჟკაცი ჩანდა. ჩოხა გასკდომაზე ადგა. შავგვრემან სახეზე ალალი კაცის ღიმილი ჰქონდა გადაფენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე დუშელი გახლავართ, შენი ჭირიმე, ესენი გარეკახელები არიან! აბა, მიირთვით ღვინო! — დუშელმა თიხის ჯამი მიაწოდა მიხოს.

მიხომ ჯამი ჩამოართვა და კოტეს გადასცა. კოტემ მეშეშეები ადღეგრძელა, შეშის კარგ ფასად გაყიდვა უსურვა, სავსე ჯამი ოდნავ მოსვა და ისევ უკან მიაწოდა დუშელს.

— რას შვრები კაცო, არა სვამ?

— წამალი დავლიე და წამლის შემდეგ ღვინო არ შეიძლება!

— შე კაიკაცო ამაზე უკეთეს წამალს სად ნახავ დუქანზე? დალიე და თუ გაწყინოს, მე აქა რა ვარ? ძილაზე რამდენიც გინდა, იმდენი შემომიკურთხე!

კოტემ ხათრი ველარ გაუტეხა, თუმცა თვითონაც უნდოდა დალევა.

— ეგრე რალა! — დუშელმა ჯამი ჩამოართვა კოტეს, შეავსო და ახლა მიხოს მიაწოდა.

მიხომ ადღეგრძელა შეშის გამყიდველები, ჯანი და ლონე უსურვა, ღვინო რომ დალია, ულვაშებზე ხელი ჩამოისვა და ჰკითხა:

— ვერ გაყიდეთ ეს შეშა?

— ვერ გავყიდეთ! ჩვენი მუშტრები ალბათ ტივით მოდიან.

— შე კაი კაცო, მე ძველი მეტივე ვარ, გეთქვა და უფრო ადრე მოგიყვანდი იმ თქვენ მუშტარსა.

ყველას გაეცინა.

— ისე ლაპარაკობ, შეიძლება შენც იყიდო!— დუშელმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

— რა თავში ვიხლი, — ხელი ჩაიქნია მიხომ, — ღუმელი მე არ მიდგას და ბუხარი არ გამაჩნია!

— რატომ მერე? — გაიკვირვა დუშელმა.

— იმ აყროლებულ, ერთ ციცქნა სარდაფში, — მიხომ თან კოტეს გადახედა, — მე ვერ ვეტევი და ღუმელი სადღა დავდგა?

— შენც დიდი დაგექირავებინა, რალა მაგ პატარაში იხრჩობი! — მკვახედ მოუჭრა დუშელმა.

— ბიჭოს! — ულვაშებში ჩაეცინა მიხოს, — შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ჩაკეცილები გელაგოს ჯიბეში!

დუშელს კვლავ გაეცინა. მეურმეებსაც შეუდგათ ხითხითი.

— რომ არ მილაგია, იმიტომაც ვყიდი, თორემ დუშეთიდან აქ წამოვილებდი? მერე იცი რა შეშაა?

— ალბათ ძვირს აფასებ და იმიტომ, — უთხრა მიხომ.

— ჩარჩი ხომ არა ვარ, კაპიკიან საქონელში თუმანი მოვიგო. მე გლეხი ვარ. იმას ვაფასებ, რაც ჩემი შრომა, ჩემი წვალება ღირს.

— რომელი შეშა გაქვს, რცხილა?

— დიახ, რცხილა! მაგრამ შავრცხილა კი არა, თეთრრცხილაა, იცი რა შეშა თეთრრცხილა? ქვეყნიერებაზე ამ ხეს ხე არ შეედრება. ორ ღერს რომ შეუკეთებ ბუხარში, ორ საათს ღუღუნებს. ძვალივით მაგარია დალოცვილი. მე შენ გითხრა და, სიცხოველე არა აქვს, ან ხრჩოლვა იცის ტირიფივით, ისე დაიწვება, კვამლს არ აუშვებს, რაც არ უნდა დიდი ოთახი იყოს, იმ წუთში გაათბობს.

—მოიცა დუშელო, ნუ აბუქე, — ხმას აუწია მიხომ, — სანკპეტერბურგიდან კი არ გეგონო ჩამოსული. გითხარი, ძველი მეტივე ვარ-მეთქი. მე რომ ვიცნობ ხეს, სხვა ვინ იცნობს ისე. შეშა არ მინდა, ლატანი თუა ვიყიდი!

— ჰაი, ჰაი, რომ ლატანია ღმერთის მადლმა, ლარივით სწორი, უკოჟრო ლატანი ერთს ვერ ნახვ ნუჟრიანს ან გალუწულს! — თვალები გაუბრწყინდა დუშელს.

— მსხვილია თუ წვრილი?

— საშუალო!

— წივწივებად გამოდგება?

— სწორედ რომ ზედგამოჭრილია! სიმართლე გითხრა, კიდევაც მენანება გაყიდვა მაგრამ ფულიც რომ მჭირდება?

— აგაშენა ღმერთმა, აბა, რომელია შენი ურემი?

— აგერ ის, მამალი რომ ყვინთავს კოფოზე!

— იმ მამალსაც ხომ არა ყიდი?

მეშეშეებს სიცილი შეუდგათ. მიხოსაც გაეცინა.

— მამალს როგორ გავყიდი, — შეიცხადა დუშელმა, — ჩემი საათი ეგ არის, ლამე დგომით სადაც მივდივარ, თან დამყავს.

— დიდი ხანია აგრე დაგყავს?

— ათი წელია! ისე ზუსტად მუშაობს, ერთი წუთით არც წინ მიდის, არც უკან რჩება.

— ბიჭოს, ეს რა კარგი რამ გყოლია, — გაეცინა მიხოს დუშელის იუმორზე, — ჰო მაგრამ, ზოგჯერ რომ მოიშლება, ვის საათზე ასწორებ?

გარეკახელებმა ამ სიტყვებზე ხარხარი მორთეს. დუშელს არ მოეწონა მიხოს შაყირი, მაგრამ მაინც გაეცინა.

— ჩემი მამალი ჯრასოდეს არ მოიშლება, — უთხრა მკვახედ, — ქალაქელებმა თქვენს საყვირსა და ზარბაზანს მიხედეთ მოდი ახლა და თუ მყიდველი ხარ, ნახე ჩემი საქონელი!

— წავიდეთ, მაგრამ ამ სიბნელეში რა გავარჩიო?

— მაგაზე ადვილი რა არის, — დუშელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაჯახს წამოავლო ხელი, ნაძვის კუნძს კვარი ჩამოათალა და ცეცხლი მოუკიდა. კვარი ახრჩოლდა და მკრთალად გაანათა ნახევრად ჩაბნელებული ეზო.

ისევ იცოხნებოდნენ კამეჩები, ისევ იქნევდნენ ბანჯგვლიან კუდს და იგერიებდნენ აბეზარ ბუზებს.

ურემთან მივიდნენ. ცნობისმოყვარე მეშეშეებიც უკან მიჰყვნენ.

მიხომ მჭიდროდ ჩათაკრული, მართლაც და ლარივით სწორი, უნუჟრო ლანტები დაკვირვებით შეათვალიერა და მოეწონა.

— კარგია! — უთხრა დუშელს, — მოვრიგდეთ. რას აფასებ?

მეშეშეები გარშემო შემოეხვივნენ. დუშელმა კვარი მაღლა ასწია, მიხოს თვალი თვალში გაუყარა და უთხრა.

— რკინიგზელო, კაი ვაჟკაცი ჩანხარ და იცოდე არც მე ვარ შენზე ნაკლები. მოდი ვაჭრობას ნუ დავუწყებთ ერთმანეთს, რაც გილირს, ის მომეცი!

— მომწონს შენი სიტყვა, დუშელო, მაგრამ საქონელი შენია და ფასიც შენ უნდა დაადო. ისე მოვიქცეთ, ნურც მწვადს დავწვავთ, ნურც შამფურს. ჩვენ, რკინიგზელებს და თქვენც, გლეხობას ერთნაირად გვიჭირს და ერთნაირად ვეწამებით ამ უკულმართ დროს. მითხარი, რამდენი მოგცე?

— შეშად რომ გინდოდეს, რაც მილირს იმას გეტყოდი. რახან სამასალედ გჭირდება დაგიკლებ, ხუთ მანეთად წაილე, თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, დუშელო, მაგრამ შენთვის რა მნიშვნელობა აქვს ბუხარში შევუკეთებ, თუ ნივნივებად გამოვიყენებ?

— ის მნიშვნელობა აქვს, რომ საშვილიშვილო საქმეს მოჰკიდებიხარ, სახლის აშენებას შესდგომიხარ. სახლის აშენება ადვილი საქმე არაა. ამ დროს ყველა ვალდებულია კაცს წაეხმაროს, რომ იმ სახლმა ქვეშ არ მოიყოლოს. მე ჩემის მხრივ ამიკვრია ხელი ძმაო, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს.

— კაი კაცი ყოფილხარ, დუშელო. ყველა კი ვერ გაიგებს ამას!

— იმიტომაც დაგიკელი, რომ ვიცოდი გამიგებდი!

მიხომ ჯიბიდან ფული ამოიღო და გადაუთვალა. მერე კოტეს მიუბრუნდა და უთხრა:

— დილითვე ავატაინებდი ლოტკინზე, მაგრამ იქ სად დავალაგო, ეზო შემოუღობავია, დროებით აქ იყოს, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება?

— რატომ ვიქნები წინააღმდეგი, დაალაგე, როცა გინდა, მაშინ წაილე.

მიხომ ლატნის გადმოცლა დაიწყო, მას მეშეშეებიც მიეხმარნენ და იმ ადგილას დააწყეს, სადაც კოტემ მიუთითა.

ისევ ცეცხლისპირას შეგროვდნენ. დუშელმა თიხის ჯამი ასწია და მიხოს სადღეგრძელო დალია.

დიდხანს არ გაგრძელებულა ღვინის სმა, მალე დაიშალნენ. კოტეს ისე მოჰკიდებოდა, ფეხები ეხლართებოდა. ალბათ თებრო ღვინის სმასაც უკრძალავდა და ახლა დრო რომ იხელთა, ჯავრი იყარა.

მეშეშეებს რომ მოსცილდნენ, კოტემ მიხო შეაჩერა, მკლავში ხელი მოჰკიდა და თვალებში შეაცქერდა, თან ჩუმჩუმად იცინოდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა.

— რას იცინი, კოტე, მე ხომ არ დამცინი? — ველარ მოითმინა მიხომ.

— შენ კი არა, დაა... — ხელი გაიქნია კოტემ.

— აბა ვის?

— არავის! — ამ სიტყვებზე კოტე კვლავ გაიკრიჭა და მიხოს მკლავში ხელი მოკიდა. ახლოს მოიწიეო.

— ხო, მითხარი, რა გინდა? — თითქმის ზედ მიადგა მიხო კოტეს.

კოტემ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, ხომ არავინ გვიყურებსო. რომ დარწმუნდა არავინ უყურებდა, კვლავ მიხოს მიაპყრო მზერა და როგორც იყო ამოღერღა თავისი სათქმელი.

— მაშ შენი დეიდაშვილი არ ვარგა, ჰა? ჰი.. ჰი.. ჰი..

მიხოს გაეცინა. ახლა მიხვდა, რაც აწვალებდა საწყალ კაცს.

— ჰო, არ ვარგა. არა ვარ მართალი?

— მართალი ხარ, მიხო, მართალი!... არ ვარგა. ჰი.. ჰი.. ჰი.. მაგრამ არ გეწყინოს, ქალები ყველა ეგეთები არიან.

— ეგ რომ ვარგოდეს...

— ჰო, ეგ რომ ვარგოდეს, — სიტყვა წაართვა კოტემ, — ეგ რომ ვარგოდეს, მთელი ნათესაობა არ შემოსწყრებოდა. ალარავინ დაიარება ჩვენთან. დებმაც ამოიკვეთეს ფეხი და ძმებმაც. მარტო ლადო დადის, ალბათ იმიტომ სხვა გზა არა აქვს, საქონელს ჩვენთან კლავს... მაგრამ არ უნდა გეწყინოს, მიხო, ქალისაგან არ უნდა გეწყინოს... ქალები ეგეთები არიან!

— მაგისთანა ქალს უნდა ამოჰკრა პანღური და გააგდო!

— ნამდვილად მართალი ხარ, მიხო, უნდა ამოჰკრა პანღური და გააგდო.

— მერე რატომ არ აკეთებ ამას? — ველარ მოითმინა თებროზე გაბრაზებულმა მიხომ. თან გამომცდელად ჩახედა თვალებში, რა პასუხს გასცემდა ამ სიტყვებზე კოტე.

— მე?! გულზე ხელი დაიდო კოტემ. — ჰი,,. ჰი... ჰი... მეე?

— ხო, შენ! აბა, მე? — არ მოერიდა მიხო.

— მე არ ამომკრას პანღური და არ გამაგდოს, თორემ, მე როგორ გავაგდებ! ჰი.. ჰი.. ჰი... მაგრამ იცი რა, ჩემო კარგო? ქალს არ უნდა აჰყვე, იყეფოს ძაღლივით და გაჩუმდება. ქალს კაცის გაგება არ აქვს..

უცბად ეზოს სიღრმეში რაღაცამ გაიხრჭიალა და კოტემ თვალები აჭყიტა. სახლისაკენ გაიხედა, თებრომ კარი ხომ არ გააღოო. რაკი დარწმუნდა დახურული იყო, განაგრძო.

— რამდენჯერ მითქვამს შენზე: ამ კაცს ერთხელ მაინც ვცეთ პატივი, ისე არ ჩამოვა სოფლიდან არაფერი მოგვიტანოს-მეთქი. იჰ... მოგცლია შენცო. იმას ვეტყვი და მოგცლია შენცო, ამას ვეტყვი და მოგცლია შენცო. ყველაფერზე ამ მოგცლიას გაიძახის. მაგრამ არ უნდა გეწყინოს, მიხო. ქალისაგან არ უნდა გეწყინოს.

კოტე ენათ გაიკრიფა და რაც იცოდა და არ იცოდა თებროზე, ყველაფერი დაფქვა. ბოლოს თითქოს შეეშინდა თავისი ნალაპარაკევის, მიხოს შემკრთალი მზერა მიაპყრო და უთხრა:

— ძალიან გთხოვ ჩემმა ნათქვამმა თებროს ყურამდე არ მიაღწიოს. ნურავისთან ნურაფერს იტყვი, არა ღირს ,ხომ გითხარი, ქალები ეგეთები არიან. ახლა კარამდე მიმიყვანე, არ წავიქცე და მერე წადი.

მიხომ სახლის კარამდე მიაცილა კოტე და უკან გამობრუნდა. რა საცოდავი კაცი ყოფილაო, გაიფიქრა. აქამდე სულ სხვანაირად უყურებდა მას. ეგონა, კოტეც ისეთივე ხელმოჭერილი, უგულო და ძუნწი იყო, როგორც თებრო. ახლა რომ დარწმუნდა, თავისი სუსტი ნებისყოფის გამო ცოლის მონად იყო გადაქცეული, შეეცოდა.

ალარც თვითონ გაჩერებულა ეზოში, უკანასკნელად მოქაჩა თამბაქო, მერე ჩააქრო და თავისი ჯურღმულის უსწორმასწორო, ჩაბნელებულ საფეხურებს დაჰყვა.

* * *

ნესტი და სიცივე შეეგება მიხოს ოთახში შესვლისას. დაღლილ-დაქანცულს აღარც ლამპა აუნთია, აღარც ნავთქურა. მაშინვე ტანსაცმელი გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. ჩაწვა, მაგრამ ძილი მაინც რა მიეკარა.

ფიქრებმა გაიტაცეს. თვალწინ წარმოუდგა ის მაყვალთვალება გოგო, ვისი სიყვარულიც მოსვენებას არ აძლევდა, არც დღე, არც ღამე.

ეს გახლდათ ნინო — მეტეხელი ფარნაოზ იაძის ქალიშვილი.

ნინოსაც უყვარდა მიხო. მართალია, ამ საკითხზე სიტყვა არასოდეს დასცდენია არცერთს, მაგრამ სიყვარულს განა თქმა უნდა? უთქმელადაც კარგად ხვდებოდნენ ერთმანეთის გულის ძგერას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის კი არა და, გოგო-ბიჭებმაც [illegible]ვეს ფარული ტრფიალი და მეორე დღესვე გავრცელდა სოფელში ხმა მათი სიყვარულის შესახებ.

— ნინოს მიხოს არ გააყოლებენ, — ლაპარაკობდა ხალხი, — მართალია კარგი ბიჭია, მაგრამ ღარიბია, ნინო კი შეძლებული ოჯახის შვილია და ღარიბ-ღატაკს რატომ მისცემენო. ციცინათელა ციცინათელას შუქს მისდევსო, ასე ყოფილა და ასე იქნებაო.

— ბიჭი სიღარიბით არ დაიწუნებაო, — მხარს უმაგრებდნენ მიხოს სხვები, — მერე რა, რომ ცარიელ-ტარიელია, სამაგიეროდ მაგისთანა ვაჟკაცი ამ არემარეზე არ დაიარებაო.

ეს ამბავი თვითონ მიხოსა და ნინოსაც აწუხებდა. ერთიც და მეორეც კარგად გრძნობდნენ, რომ მათ წინ გადაულახავი ჯებირი იყო აღმართული, მაგრამ სიყვარულს ხელს ხომ ვერა ჰკრავდნენ. სიყვარული დაუკითხავად ჩაბუდებულიყო მათ გულებში და იქიდან მისი გაძევება არრარა ძალას შეეძლო.

ნინოს მამა ფარნაოზ იაძე საშუალო გლეხად ითვლებოდა სოფელში. მართალია დიდი მამულ-დედულის პატრონი არ იყო, მაგრამ არც ღარიბ-ღატაკად ჩაითვლებოდა.

მიხოსა და ნინოს სიყვარულის შესახებ დარხეულმა ხმამ მის ყურამდეც მიაღწია, მაგრამ ფარნაოზს აინუნშიაც არ ჩაუგდია ეს ამბავი. სანამ ქალი გათხოვდება და ვაჟი დაქორწინდება, ათას რამეს იტყვიანო, ფიქრობდა გუნებაში. მან კარგად იცოდა თავისი შვილის ფასი და საკმაოდ შეძლებულ სარდიონ ყანჩაველის ოჯახზე ეჭირა თვალი, რომლის მაღლობზე წამომდგარი ქვითკირის ორსართულიანი სახლი, ერთის მხრივ, სოფელს გასცქეროდა, მეორეს მხრივ, მტკვრის ხეობის გაღმა-გამოღმა მინდვრებს გადაჰყურებდა, სადაც მისი სახნავ-სათესი მიწები იყო მიმოფანტული.

ფარნაოზ იაძის ყურამდე ის ამბავიც იყო მისული, რომ სარდიონის ვაჟს დათასაც მოსწონდა ნინო. საკმარისი იყო ერთს დახმაურებოდნენ ისინი, რომ ფარნაოზი მაშინვე დათანხმებულიყო.

დათას მართლაც გაგიჟებით უყვარდა ნინო. ყოველნაირად ცდილობდა რამენაირად მოეგო მისი გული, მაგრამ ნინოს ყოველთვის შორს ეჭირა თავი. მასთან სიახლოვეს გაურბოდა, ახლოს არ ეკარებოდა, იშვიათად დაიარებოდა ლხინში, რომელიც თითქმის ყოველ საღამოს იმართებოდა ღვთისმშობლის ტაძრის გალავანში. იცოდა, დათაც იქ დახვდებოდა და უსათუოდ გაიწვევდა საცეკვაოდ.

დათა მაინც ახერხებდა შიგადაშიგ ნინოსთან გამოლაპარაკებას და ზოგჯერ საუბარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩათრევასაც, მაგრამ ნინო დიდხანს არ გაუჩერდებოდა. მაშინათვე რაღაცას მოიმიზეზებდა და ან სახლში წავიდოდა, ან ვინმე ამხანაგთან.

გრძნობდა დათა, ნინო ამას განგებ აკეთებდა იმისათვის, რომ თავიდან მოეცილებინა იგი, მაგრამ ვერაფერს ეუბნებოდა. ანდა რა შეეძლო ეთქვა?

იმ ამბავმა უფრო წაუკიდა გულზე ცეცხლი, როცა ახალგაზრდებისაგან შეიტყო, ნინოსა და მიხოს ერთმანეთი უყვართო.

ეს ამბავი მეხივით დაეცა დათას თავზე, დაიბოლმა, თუმცა ახლო მეგობრები არასოდეს ყოფილან ისინი, მაგრამ არც შორს იდგნენ ერთმანეთისაგან. კეთილად იყვნენ განწყობილნი და ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს.

ორივე საუკეთესო მოჭიდავედ ითვლებოდა მთელ იმ მხარეში. მაგრამ ერთმანეთს ჯერ არ შეხვედრიოდნენ, არც ჰქონდათ ამის სურვილი. უფრთხილდებოდნენ ერთმანეთის სახელს.

და, აი, შურმა და ბოღმამ მაინც თავისი გაიტანა და შარშან, ზაფხულში, მარიამობა დღეს, ღვთისმშობლის ტაძრის დიდ გალავანში გამართულ ჭიდაობაზე დათამ მიხო გაიწვია საჭიდაოდ.

მიხო ამას არ მოელოდა, დათასაგან და შეცბა. უკან დაიხია, მაგრამ უკან დახევა დამარცხებას ნიშნავდა და იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

მთელი დღეობის ხალხი მიაწყდა საჭიდაო არენას, ყველა დაინტერესებული იყო ამ ორ ძლიერს მოჭიდავეს შორის ვის დარჩებოდა გამარჯვება. ბევრი უფრო იმიტომ მოსულიყო, იცოდნენ პირადულ ამბებში იყო ჩახლართული მათი დღევანდელი სპორტული პაექრობა და აინტერესებდათ, როგორ დამთავრდებოდა ამ ორი ძლიერი მეტოქის შეჯახება.

და იმ დროს, როცა ნიაღვარივით მიმსკდარი ხალხი ვერ ეტეოდა ბებერი გალავნის კედლებს შუა და ყველა ცდილობდა კარგ ადგილას დამდგარიყო, რომ უკეთ დაენახათ მიხოსა და დათას შერკინება, დაცარიელებულ ტაძარში, ლურჯყვავილებიან თეთრი ჩითის კაბაში გამოწყობილი ფერმკრთალი ნინო მარტოდმარტო იდგა ღვთისმშობლის ხატის წინ, ანთებული სანთლით ხელში და გულმხურვალედ ევედრებოდა:

— წმინდაო, მარიამ, დედაო ღვთისა, შენ შეეწიე ჩემს მიხოს, ავი რამ არ დამართოს დათამ. მშვიდობა ჩამოაგდე მათ შორის.

ნინომ სანთელი დაამაგრა შანდალზე და ერთხელ კიდევ გადაიწერა პირჯვარი.

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ — ეს რომ წარმოსთქვა, ტაძრიდან გავიდა და საჭიდაო არენის იმ მხარეს მიაშურა, სადაც რამდენიმე რიგად ახალგაზრდა გოგო-ბიჭები ჩაწყობილიყვნენ ჭიდაობის საყურებლად. ნინო, რომ დაინახეს, განი უყვეს და თავიანთ შუა ჩაიყენეს.

დათას უკვე ჩაეცვა ჩოხა და წრეში ნერვიულად არტყამდა ბოლთას, თან ხშირ-ხშირად ქალიშვილისაკენ გააპარებდა მზერას, იყო თუ არა აქ ნინო და ესწრებოდა თუ არა ამ ჭიდაობას.

ხან ნახერხს აიღებდა დაბლიდან და ხელით სრესდა.

ღელავდა დათა, მიხოსთან შეტაკების მოლოდინი თანდათან უფრო უკარგავდა სიმშვიდეს.

ახლა უფრო მეტად იგრძნო იმ რისკის საშიშროება, რომელსაც თავის გამოჩენისა და ნინოს თვალში მეტოქის დამარცხების, დამცირებისა და გაბიაბრუებისათვის ეწეოდა. ისიც კარგად იცოდა, რომ რისკი ყოველთვის არ უმართლებს ადამიანს და მასზე დანდობილი დამარცხებული კაცი უფრო ძლიერად ეცემა მიწაზე.

დიახ, ეს ამბავი კარგად ესმოდა დათას, მით უმეტეს, იცოდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ რატომღაც ღრმად იყო დარწმუნებული — მას უნდა გაემარჯვა; რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა გაემარჯვა, თავი უნდა მოეკლა და გაემარჯვა.

დათა ერთხელ კიდევ დასწვდა ნახერხს, ხელბში მოსრისა, მერე ნახევრად გვერდით შეტრიალდა და უნებურად კვლავ ქალიშვილებისაკენ გაექცა, მზერა.

უცბად თვალი ჰკიდა ნინოს, გაფითრებული სახით იმზირებოდა დათასაკენ. როგორც კი მის თვალებს წააწყდა, ქალს სახე უსიამოვნოდ შეეჭმუხნა და გვერდით შეტრიალდა.

დათამ აშკარად დაიჭირა ნინოს თვალებში ერთგვარი ზიზღი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა და სხვას არავის. მეორედ ველარ გაბედა მისკენ გაეხედა. მიხვდა, ეს ზიზღი გამოწვეული იყო იმ საქციელის გამო, რომელსაც ახლა მიხოს მიმართ ჩადიოდა. ერთხელ კიდევ დარწმუნდა დათა, რომ მისი ტრფიალი ნინოს მიმართ უშედეგო იყო; რომ მისი გული მიხოს ეკუთვნოდა და სხვა ვერავინ დაისაკუთრებდა.

უხერხულად აწრიალდა დათა. ახალგაზრდობას ზურგი შეაქცია და უფრო ნერვიულად დაიწყო ერთ ადგილზე ტრიალი.

სწორედ ამ დროს დამკვრელების მხრიდან ხმაური ატყდა. მჭიდრო ჩაწყობილი ხალხის კედელი მიხომ მხრებით გამოარღვია და წელზემოთ გაშიშვლებული წრეში გადმოეშვა. ეტყობოდა მიხოც ღელავდა. ღელავდა არა იმის გამო, დათამ საჭიდაოდ რომ გამოიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია, უფრო იმიტომ, სინდისს, ამხანაგურ გრძნობას რომ უღალატა და სპორტული შეჯიბრი პირად ამბებს დაუკავშირა.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა მიხომ, უკან შემობრუნდა, მოწინააღმდეგის პირისპირ გაჩერდა და მხოლოდ ახლა შეხედა დათას. შეხედა კი არა, უფრო სწორად, თვალები ლურსმანივით ჩაურჭო.

დათამ ვერ გაუძლო მის თვალთა ჩხვლეტას და მაშინვე გვერდით შეტრიალდა.

მსაჯმა ჩოხა გადაუგდო მიხოს. მიხომ დაიჭირა. გაშალა და, თუმცა არ უნდოდა ხალხს მღელვარება შეემჩნია, მაინც გაბრაზებით გაუყარა მკლავები.

მთავარმა მსაჯმა ჩოხის კალთები შეუსწორა მეტოქეებს, ქამრები გაუსინჯა, ზომიერად ჰქონდათ თუ არა მოჭერილი, მერე დამკვრელებს ნიშანი მისცა, დაუკარითო და თვითონ განზე გადგა.

დაიბრახუნა დოლმა, დაიჭყვიტინა ზურნამ, და სისხლმა თქრიალი დაიწყო მოწინააღმდეგეთა ძარღვებში.

ასეთ მომენტში დათა ცეკვით გამოექანებოდა ხოლმე მოწინააღმდეგისაკენ, ახლა ეტყობა, საცეკვაოდ აღარ ჰქონდა საქმე და დინჯი, ზომიერი ნაბიჯით წამოვიდა მიხოსაკენ.

მიხოს თუმცა არ უნდოდა წესისამებრ მისალმებოდა მას, მაგრამ არ დაარღვია ქართული ჭიდაობის ტრადიციული ადათი და მაინც გაუწოდა ხელი.

დათამ ხელი აუკრა მის გამოწვდილ ხელს და სრულიად მოულოდნელად, ისე, რომ მიხოს არც ეგონა, თუ ასეთ სულმდაბლობას გამოიჩენდა, ელვისებური სისწრაფით შეუვარდა ქვემოდან, მოგვერდი მოუგდო და ეს თავმომწონე ვაჟკაცი ყირაზე გადმოატარა. გადმოატარა, მაგრამ ზურგზე მაინც არ დაცემულა.

ხალხის გნიასმა იქაურობა შესძრა. გაისმა სტვენა და წამოძახილები.

მიხო გაცეცხლებული წამოვარდა ზეზე, ის იყო უნდა დასტაკებოდა, რომ მსაჯები შუაში ჩაუვარდნენ მოწინააღმდეგეებს და ჭიდაობა შეაჩერეს.

მსაჯებმა დათა განზე გაიყვანეს და დატუქსეს, თანაც გააფრთხილეს, თუ კიდევ გაიმეორებდა მოჭიდავესათვის შეუფერებელ საქციელს და დაარღვევდა ქართული ჭიდაობის ტრადიციულ წესს, მიხოსთან შეხვედრას წაგებულად ჩაუთვლიდნენ და წრიდან გააგდებდნენ.

დათამ უსირცხვილოდ მოიხადა ბოდიში.

მთავარმა მსაჯმა ხელით ანიშნა დამკვრელებს დაუკარითო და არც იმათ დაახანეს, ხელახლა დაიჭყვიტინა ზურნამ, დოლმა საჭიდაო დასცხო და მეტოქეები მოზვერებივით [illegible]კნენ ერთმანეთს.

დათამ ისევ თავის ნაცად და უტყუარ ხერხს მიმართა. ხალხს ეგონა ამ ხერხზე მიხო აღარ მიუშვებდა მეტოქეს, მაგრამ მიუშვა, მიუშვა ნებით. ამით გათამამებული დათა სწრაფად შეუძვრა ქვეშიდან და წელანდელივით მოგვერდი მოსდო. ჯერ არ ახსოვდა ხალხს ამ ილეთით მოწინააღმდეგე არ გადმოეტანა მას, როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ის, მაგრამ მიხომ შუაკაური სოლივით შეურჭო ლაჯებშუა და ისე ჩარაზა, დათამ ძვრა ვერ უყო ადგილიდან.

გაცოფდა დათა. პირველი შემთხვევა იყო, ეს ილეთი რომ არ გამოუვიდა. სიმწრით კბილები გაახრჭიალა და ხელახლა შეუგდო თეძო, ამჯერადაც რომ ვერაფერს გახდა, სხვა ხერხს მიმართა.

ხვლიკივით გაუსხლტა ხელიდან და ახლა საყელოში სტაცა ხელი, რომ კისრულით წამოელო, მაგრამ აქაც უმტყუნა მისმა განთქმულმა, ნაცადმა ხერხმა. მიხო რკინის ჩაბეტონებულ ბოძივით დახვდა, ჩოხამ ვერ გაუძლო ვაჟკაცთა ძალას, გაიხა და ინერციით წინ წავარდნილი დათა ნახერხში თავით წაერია.

ხალხის დაძაბულმა გმინვამ იქაურობა შესძრა. დათა სწრაფად წამოხტა და სახიდან და თავიდან ნახერხი ჩამოიწმინდა.

მიხოს ახალი ჩოხა ჩააცვეს. მთავარმა მსაჯმა მეტოქეებს ხელახლა შეუსწორა ქამრები და ჩოხის კალთები, მერე დამკვრელებს ანიშნა, დაუკარითო.

კვლავ დაიჭყვიტინა ზურნამ, დოლმა საჭიდაო დასცხო და მეტოქეებიც მოემზადნენ შესარკინებლად.

რამდენადაც დათა ძალების მთელი დაძაბვით ცდილობდა მიხოს ბეჭებით დადებას და მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მოპოვებას იმდენად მიხო უფრთხილდებოდა საჯაროდ მისი სახელის შერცხვენას. იგი ანგარიშს უწევდა იმ მოჭარბებულ, შეუოკებელ გრძნობას, რომელმაც ზომიერება დააკარგვინა. არ უნდოდა სიყვარულში დამარცხებულ დათასათვის აქაც დამარცხება ეჭმია. ეს უკვე ვაჟკაცის სულიერი და მორალური განადგურება იყო და ამიტომ ცდილობდა ჭიდაობა უშედეგოდ დაემთავრებინა.

მაყურებლის მახვილ თვალს არ გამოპარვია ეს ამბავი და უფრო მეტი სიმპათიით განიმსჭვალნენ მიხოსადმი. დათა კი ისე იყო გაავებული და წონასწორობადაკარგული, არაფერი აღარ ახსოვდა, გარდა ერთისა, როგორმე წაექცია ზურგით მიწაზე და გამარჯვებული ზემოდან მოსჯდომოდა.

მიხომ თითქმის ყველა მისთვის ხელსაყრელ ილეთზე მიუშვა დათა და ამით გათამამებული ხან აქედან ეცემოდა მას, ხან იქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან, ხან ისევ თავის მრავალ ბრძოლებში ნაცად კისრულსა და მოგვერდს მოიშველიებდა. პირველად და მეორედ თუ ვერ გამოუვიდა, იქნებ მესამედ ან მეხუთედ გამოსვლოდა, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, თანაც დაიღალა ამ დაძაბულ ჭიდილში, გამწარებულმა ნახერხი დაბლუჟა, მიხოსათვის სახეზე უნდა შეეყარა და ამით ეყარა ჯავრი, მაგრამ, ეტყობა, სულის სიღრმეში ჩაბუდებულმა თავმოყვარეობამ ამის უფლება არ მისცა, ნახერხი ჰაერში აამტვერა, მსაჯებისაკენ შებრუნდა და მათი მისამართით ხმამაღლა დაიძახა.

— ხომ ხედავთ, არაფერი გამოდის, ერთმანეთს ხომ არ ჩავხოცავთ, გაგვაშველეთ, თქვენი დედა... — და ერთი ლაზათიანი შეუკურთხა. მერე ჩოხა გაიხადა, გაბრაზებულმა მიწაზე მთელი ძალით დაახეთქა, მჭიდროდ ჩაწყობილი ხალხი, როგორც გავეშებულმა კამეჩებმა, ისე გადათელა და წრის მიღმა გაუჩინარდა.

ხალხის ჟრიამულმა იქაურობა შესძრა. მიხოსაც აუკიაფდა სახეზე ღიმილი. გვერდით შეტრიალდა და მხოლოდ ახლა გაიხედა იმ გოგო-ბიჭებისაკენ, სადაც ნინო ეგულებოდა.

ნინო გაცისკროვნებული თვალებით მისჩერებოდა მიხოს. ამ თვალებიდან ისეთნაირი თანაგრძნობა და ალერსი გამოკრთოდა, რომ მიხოს არასოდეს ენახა ნინო ასეთი. ეს თვალები ყოველთვის თან სდევდა მიხოს, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის.

ახლაც, ლოგინში ჩაწოლისას, სწორედ ეს თვალები დაუდგნენ წინ და აკი იმიტომაც დაკარგა ძილი და მოსვენება.

შუაღამე იწურებოდა, ვერა და ვერ დაიძინა. ხან ერთ მხარეს გადაბრუნდებოდა, ხან მეორეზე. ხან პირქვე დაემხობოდა და ბალიშში ღრმად წაყოფდა თავს ,მაგრამ ნინოს გაცისკროვნებული სახე, სიყვარულის მფრქვეველი მისი ეშხიანი თვალები გონებიდან არ სცილდებოდა.

ბოლოს ზეზე წამოდგა და თამბაქო შეახვია.

— კარში გავალ, მოვწევ, იქნებ გადამივარდეს გონებიდანო.

სიბნელეში ასანთი მოძებნა და გაჰკრა. მოუკიდა. მერე ოთახის კარი გამოაღო, ჩაბნელებული საფეხურები ფრთხილად აიარა და ეზოში ავიდა.

გვიანი შემოდგომის სუსხი იგრძნობოდა უკვე. ციოდა. ეტყობოდა სადღაც თოვლიც იდო მთებზე, დიდგორის მხრიდან მოჰქონდა ნიავს.

დაეძინათ ნაბდებში გახვეულ მეშუშეებს, ცეცხლი ჩამქრალიყო. ოდნავღა ბჟუტავდა ნაცარში მიმალული ნაკვერჩხლები. მიწაზე დაყრილი საქონელი ისევ ი[illegible]ნტად. დუშელი მეშეშის ცარიელ ურემზე ჩამომჯდარი ბებერი მამალი ხრინწიანი ხმით გაჰყიოდა „ყიყლიყოს“. მას ბანს აძლევდნენ ნაძალადეველთა მამლებიც და ჰაერში ერთი გაბმული ყივილი იდგა.

ხუდადოვის ტყის ფერდობებიდან შიგადაშიგ აკივლდებოდნენ ტურებიც.

მიხო პერანგის amარა იყო გამოსული და შეაკანკალა. რამდენიმე ნაფაზი კიდევ დაარტყა, მერე ნამწვი ფეხით მოსრისა მიწაზე, ისეთივე სიფრთხილით ჩაჰყვა ჯურღმულის უსწორმასწორო საფეხურებს, როგორადაც ამოვიდა. ოთახში შევიდა და ლოგინში ჩაწვა.

ჩაწვა და როგორც იყო, ჩაეძინა.

* * *

იმ წელიწადს დიდი ზამთარი მოვიდა. თოვლმა წანამქრა ნაძალადევის მუშათა დასახლება. ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა.

ისედაც გაწამებული ხალხი უფრო გააწამა აუტანელმა და განუწყვეტელმა დიდთოვლობამ. ადამიანი შინიდან გარეთ ძლივს გამოდიოდა.

შეშა აღარ იშოვებოდა ქალაქში. ნამქერებს გადაეკეტათ გზები. უგზოობის გამო ვეღარ ჩამოქონდათ დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და გარეკახეთის გლეხობას. ქუჩებში აქა-იქ თუ გამოჩნდებოდნენ წყნეთიდან, ლისიდან და ბეთანიიდან დიდი ჭაპანწყვეტით ჩამოსული მეგუდურეები, ვირზე აკიდებული პატარ-პატარა გუდურებით. ცალი გუდურა ორ შეკვეთებაზე თუ ეყოფოდა ღუმელს. იმასაც ცეცხლის ფასი ედო და ნაძალადევის ღარიბ მცხოვრებლებს არ შეეძლოთ მისი ყიდვა.

აღარც ნავთი და ნახშირი იშოვებოდა ქალაქში. საშინელი მდგომარეობა შეიქნა. მოსახლეობა წვავდა ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ; წვავდნენ გაჭირვებით ნაყიდ ხის მასალას, სახლის გასამართავად რომ შეეძინათ; წვავდნენ მორების ჩამონათალი ფიცრით შემოღობილ ეზოს მესერს, ვისაც გააჩნდა; წვავდნენ ყველაფერს, რასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა, ქაღალდი იქნებოდა ეს, თივა, კაჭაჭი, რეზინი, ძონძი, კონკი თუ სხვა რამ.

განუწყვეტლივ ხრჩოლავდნენ ბუხრები და ჰაერში საშინელი დამწვრისა და ჭვარტლის სუნი ტრიალებდა.

ამ უბედურებას მეორე უბედურებაც დაერთო. ყინვამ ჩაყინა წყალგაყვანილობის მილები, ბევრ ადგილას კი დახეთქა და დააზიანა. შეწყდა სასმელი წყლის მიწოდება ქალაქში. განსაკუთრებით ნაძალადევის უბნებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც აქა-იქ საერთო მოხმარების ონკანები იყო დაყენებული და კარგ ამინდშიც კი ვერ ჰკმაყოფილებდა მცხოვრებლებს.

ხალხი თოვლის წყალზე გადავიდა. თოვლს ადნობდნენ და სვამდნენ; თოვლის წყლით ადუღებდნენ ჩაის და აკეთებდნენ საჭმელს; თოვლის წყლით რეცხავდნენ სარეცხს; თოვლის წყალს იყენებდნენ ყველაფერში.

ამ მდგომარეობამ უფრო გაართულა ცხოვრება. გახშირდა ქურდობა, ჯიბგირობა, საღამოობით ქუჩაში ძნელად გაივლიდა ადამიანი. ეცემოდნენ ღამით სახლებს, ძარცვავდნენ ხალხს, იყო მკვლელობები.

ქალაქი კი სავსე იყო ჯარისკაცებით და პოლიციელებით, ჟანდარმთა რაზმებით, მაგრამ თითქოს აქ არაფერი ხდებაო, ყურს არავინ იბერტყავდა.

მმართველობას სულაც არ აღარდებდა ეს ამბავი.

მონურმა, არაადამიანურმა შრომამ და ამ აუტანელმა მდგომარეობამ უფრო გაართულა ცხოვრება. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში ერთბაშად იფეთქა გაფიცვებმა და მთელი თბილისი მოიცვა.

მუშები მოითხოვდნენ მათხოვრული ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას; აგრეთვე იმ გაუქმებული შეღავათების აღდგენას, რომელიც ჰქონდათ მათ მთავარი სახელოსნოების ხაზინაზე გადაცემამდე — უფასო მგზავრობას, დახმარებას ავადმყოფობის დროს, ზედმეტი საათის ანაზღაურებას.

ამ ამბით შეშფოთებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველა ღონისძიებას მიმართა დაეთრგუნა, ჩაეხშო ან ტყუილი დაპირებებით დაეშოშმინებინა ისინი. დაიწყო რეპრესიები, მოწინავე მუშების დაპატიმრებები, გადასახლებები.

ხელისუფლებას მთელი თავისი ყურადღება ყველაზე უფრო მეტად ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ სახელოსნოების მუშები წარმოადგენდნენ ყველაზე მოწინავე წამყვან ძალას თბილისსა და მთელს საქართველოში; მეორეც, მთავარი სახელოსნოებიდან და თბილისის დეპოებიდან ყველაზე ადვილად მოსახერხებელი იყო გაფიცვის გავრცელება მთელ ამიერკავკასიაში; მესამეც, თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები და დეპოები მეფის ადგილობრივი მთავრობისათვის, წარმოადგენდა ყველაზე საშიშ პუნქტს, საიდანაც დარტყმა იქნებოდა უფრო მეტი ზიანის მომტანი შეძლებული კლასებისათვის, რადგან მთელი ამიერკავკასიის რკინიგზებისა და მისი საწარმოების მუშათა ერთმეოთხედზე მეტს მარტო თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშები შეადგენდნენ.

ნაძალადევში ფეხს ვერ აუქცევდით პოლიციის და ჟანდარმთა რაზმებს, შაშხანით შეიარაღებულ ჯარისკაცებს. ისინი ყოველ ნაბიჯზე იდგნენ და მუშებს უკრძალავდნენ ერთად სიარულს, ერთ ადგილზე თავშეყრას.

ორი-სამი კაცი რომ დაენახათ ერთად მიმავალი ან გაჩერებული, იმწუთს შლიდნენ.

ვერც რეპრესიებმა, ვერც მუქარამ, ვერც დაპირებებმა ვერ შეაჩერა ეს აზვირთებული ტალღა. გაფიცვები სტიქიურად ერთიმეორეს ენაცვლებოდა. მუშათა მღელვარება ფართო ხასიათს ღებულობდა.

მიხო, როგორც რკინიგზელი შავი მუშა ამ ღურღურში ტრიალებდა, თავისი თვალით ხედავდა და განიცდიდა იმას, რაც ახლა მთავარ სახელოსნოებში ხდებოდა. აღფრთოვანებული იყო მუშათა გამოსვლებით, იმ პეტიციებით, რომელსაც ისინი უდგენდნენ ხელისუფლებას; მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობდა მათ, მაგრამ თვითონ, თავისი საქმიანობით, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. განზე იდგა და მხოლოდ შორიდან შესცქეროდა მოვლენებს. თუმცა, რასაც დაავალებდნენ მოწინავე მუშები, არასოდეს უარს არ ეუბნებოდა. პირიქით, სამუშაო საათების შემდეგ, ხშირად კი, როცა მეორე ცვლაში იყო სხვებთან ერთად, ხალისით დაიარებოდა ნაძალადევის მუშათა კლუბის მშენებლობაზე, რომელიც მუშების სახსრებით შენდებოდა და, თავისი ვაჟკაცური შრომით ყველას ყურადღებას იქცევდა.

მიხოს მთავარი ფიქრი მაინც სხვა იყო: როდის გაივლიდა ეს გაჭიანურებული ზამთარი, როდის დადგებოდა შემოდგომა და როდის ააშენებდა საკუთარ ქოხს, რომ მალე მოშორებოდა ირემაშვილების ჯურღმულს.

ოცდახუთი წლის ვაჟკაცი ხდებოდა და არ ახსოვს ასეთი მკაცრი და გაუთავებელი ზამთარი, ასეთი ყინვა და დიდთოვლობა.

პირველად ნავთქურით ათბობდა თავის პატარა ოთახს და იოლადაც გადიოდა, მაგრამ რაც ქალაქში ნავთი გაწყდა, იძულებული გახდა თუნუქის პატარა ღუმელი ეყიდა რიყეში და შეშა რომ არა ჰქონდა, ნივნივებისათვის გადადებული ლატანები დაეწვა.

ეს ამბავი ძლიერ აწუხებდა მიხოს, მაგრამ რა ექნა. სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. სიცივით ვერ მოკვდებოდა.

* * *

საღამოს ექვსის ნახევარზე რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან იგრგვინა საყვირმა. საყვირის ხრინწიანმა ხმამ გუგუნით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუარა ნაძალადევს და როდის-როდის ჩაჩუმდა.

ლოტკინის გორიდან და ხუდადოვის ახლად გაშენებული ტყის ფერდობებიდან აღარ აჩხავლებულან ტურები. ეტყობა, მკაცრ ყინვას ისინიც შეეწუხებინა და სადღაც სოროებში სიცივისაგან გათოშილები ყვინთავდნენ.

საყვირის ხმაზე მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა. მიხომაც აიკრა გუდანაბადი და მთელი დღის არაადამიანური შრომით ქანცგაწყვეტილი მძიმე, მაგრამ ხალისიანი ნაბიჯით გაუყვა შინისაკენ.

ძალზე დაღლილი იყო. მუხლები ეკეცებოდა. მთელ დღეს თავის ამხანაგებთან ერთად ვაგონებიდან რკინას ტვირთავდა და რა ხეირი დაეყრებოდა.

ხვალაც ასეთივე დღე ელოდა. ის გადმოტვირთული რკინა სამჭედლო საამქროში უნდა გადაეტანათ.

ან კი რომელი დღე იყო მიხოსათვის იოლი? იყო განა ასეთი დღეე? შავი მუშისათვის ყველა დღე ერთნაირად მძიმე და აუტანელი იყო. შავი მუშისათვის იოლი დღე არ არსებობდა. შავი მუშის მდგომარეობა ყველაზე რთული და ძნელი იყო.

ასე თუ ისე, მიხოს მაინც აქ ერჩია მუშაობა. მართალია, ხშირად გაახსენდებოდა ხოლმე თავისი ორთაყვირი, მეტივეობაში გატარებული წლები, სადაც შედარებით უფრო მეტ ფულს შოულობდა, მაგრამ ის საფრთხე, რომელიც ყოველი ტივის ჩამოტანაზე უკან დასდევდა, აქ აღარ აწუხებდა.

აღარც ღია ცის ქვეშ უხდებოდა მუშაობა ერთავად სველი რომ იყო. აქ აღებული ფული ბევრად ერჩია იმ წანწალსა და მტკვრის ადიდებულ ტალღებთან გაუთავებელ ბრძოლას.

ორ კვირაზე მეტი იყო მიხოს განსაზღვრული სამუშაოს დამთავრების შემდეგ ზედმეტი საათები აღარ უმუშავია.

როგორც კი საყვირი დაიგუგუნებდა, იმ წუთას აიკრავდა გუდა-ნაბადს და სხვებთან ერთად შინ მიდიოდა.

გაფიცვების შემდეგ ადმინისტრაცია ძალას ველარ ატანდა მუშებს ზედმეტი ემუშავათ. ბოლო ხანებში თითქოს შეიცვალა, დაჯერა, მუშებთან მიდგომის მეთოდი შეცვალა, უფრო ლმობიერი გახდა.

მიხომ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მთავარი სახელოსნოების მუშათა ამბოხებამ თავისი შედეგი გამოიღო. მართალია, ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა მუშათა მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებდა ხელფასის მომატებასა და სამუშაო დღის შემცირებას: აგრეთვე გაუქმებული შეღავათების აღდგენას ისე, როგორც იყო ეგრეთწოდებული „ახალი წესების" შემოღებამდე, ეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ხაზინაზე გადაცემამდე, მაგრამ ის ფაქტი რომ მთავრობამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, დათმობაზე წავიდა და მუშებს ველარ აიძულებდა ზედმეტი ემუშავათ, თავისთავად დიდ გამარჯვებად მიაჩნდა.

ამ მღელვარებამ და გაფიცვებმა მიხოს, და არა მარტო მიხოს, ბევრ მუშას, რომელიც მასავით განზე იდგა, ისიც შეაგნებინა, რომ დღეს თუ ვერ მიაღწიეს ხელფასის მომატებას და სამუშაო დღის შემცირებას, აგრეთვე იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებიც მუშებმა წაუყენეს მთავრობას — ხვალ მიაღწევდნენ, თუკი ყველა გაერთიანდებოდა და ერთიანი ძალით მიიტანდნენ იერიშს მთავრობაზე.

მიხო ღრმად დარწმუნდა, რომ განზე დგომა არ შეიძლებოდა, გულხელდაკრეფილს არ უნდა ეყურებინა მოძმეთათვის.

გახარებული იყო მთავარი სახელოსნოების მუშათა ამ პირველი და დიდი გამარჯვებით. ამიტომაც ხალისიანად მიაბიჯებდა შინისაკენ.

არტემ ზახარიანის დუქანს რომ დაუახლოვდა, დუქნის გვერდით, კუთხეში, უამრავი ხალხი დაინახა თავშეყრილი. იქვე ჟანდარმთა რაზმელები იდგნენ ცხენებზე ამხედრებულები და ხალხს მოუწოდებდნენ, აქ ნუ დგახართ, დაიშალენითო.

მიხომ ნაბიჯს აუჩქარა და ხალხს შეერია. ახლა დაინახა თოვლზე გულაღმა გაშხლართული ხანშიშესული რკინიგზელი მუშა, რომელსაც ყინულზე მოსხლეტოდა ფეხი, წაქცეულიყო, საფეთქელი დაერტყა ქვისთვის და სულს ლაფავდა.

მიხოს გული შეუღონდა. მეორედ ველარ შეხედა მომაკვდავ რკინიგზელს, ხალხს მოსცილდა და შორიახლო დადგა.

ვინ იცის, საცოდავი, მთელი დღის უჭმელუსმელი იყო და იმიტომაც შეემთხვა ეს უბედურებაო. წუხდა მიხო. მან კარგად იცოდა თავის კოლეგების გაჭირვებული მდგომარეობა. იცოდა ის ამბავი, ბევრი მუშა მთელი დღის განმავლობაში შიმშილობდა. თვითონ იკლებდა, რომ ცოლ-შვილისათვის რაიმე მიეტანა.

თავშეყრილ ხალხში მომაკვდავის ნაცნობამხანაგებიც აღმოჩნდნენ. იქნებ ვუშველოთ რამეო, აქეთ-იქიდან ასწიეს და საავადმყოფოსაკენ გააქანეს.

ჟანდარმთა რაზმელები შექუჩებული ხალხის დაშლა-გაფანტვას შეუდგნენ.

აღარც მიხო გაჩერებულა იქ. ის იყო, წასასვლელად ნაბიჯი გადადგა, რომ ზურგიდან არტემას სიტყვები შემოესმა.

— ისე ჩემ მტერს ეშველოს, როგორც მაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინიგზელს ემველება. მე უნდა ვიდარდო, რომ ნისიას ველარ ავილებ.

არტემა იმას კი არ სწუხდა, რომ კაცი მოკვდა. თავისი ნისიის დაკარგვას ჩიოდა.

მიხომ შინისაკენ გასწია. ნელა ადგამდა ნაბიჯს. ფრთხილობდა, არ წავიქცე და იმ საცოდავ კაცივით მეც არ გავფშიკო ფეხიო.

ირემაშვილების ჭიშკარს რომ მიადგა, ახალი შებინდებული იყო. თოვლი სქლად იდო ეზოში. ეზოს სილრმეში აღარ მოჩანდა კონკილაზე შეყენებული შეშით დატვირთული ურმები, ამ დროს ტევა რომ არ იყო ხოლმე. აღარც მეშეშეებისა და მყიდველთა მომაბეზრებელი აყალმაყალი ისმოდა, აღარც კამეჩებისა თუ ხარების ფშვინვა, აღარ ასდიოდა იქაურობას ჭონჭისა და ახალი ნაკელის სუნი. თოვლს დაეფარა ჭუჭყი და სიბინძურე და ახლა მთელი კარმიდამო ფაქიზად და ლამაზად გამოიყურებოდა.

მიხო ეზოში შევიდა. ახლა შენიშნა, კოტეს ნიჩბით თოვლი გადაეხვეტა, ეზოს ჭიშკრიდან სახლის კიბეებამდე, ბოსლებისა და სხვადასხვა სათავსოებისაკენ ვიწრო ბილიკი გაეყვანა.

მიხოს მოეწონა კოტეს ნახელავი, ფეხები დაიბერტყა და სარდაფის ჩაბნელებულ საფეხურებს დაჰყვა.

როგორც კი შეაღო კარი, შიგნიდან გამოვარდნილი ნესტისა და შმორის სუნი ტყვიასავით დაეტაკა ცხვირში. კარი ღია დატოვა, უკან დაიხია, დაგუბებული ჰაერი გამოვიდესო. მერე შევიდა და ლამპა აანთო.

ლამპის სინათლემ მკრთალად გაანათა აკლდამასავით მიწაში ჩავარდნილი გაყინული ოთახი, სადაც ერთი ხის ტახტი, პატარა მაგიდა და ორი ტაბურეტი ძლივს დატეულიყო.

მაგიდის გვერდით იდგა თუნუქის პაწია ღუმელი, რომელიც საგანგებოდ გააკეთებინა მიხომ ხელოსანს. ღუმელის მილი სარკმელში გადიოდა, მერე მაღლა უხვევდა და კაცის სიმაღლეზე ასდევდა კედელს. ეს იმიტომ, რომ ქუჩაში მოხეტიალე უპატრონო ბავშვებს მილში ნაგავი არ ჩაეყარათ.

ლამპის ანთებისთანავე მიხომ ქვაბს წამოავლო ხელი და ეზოში ავიდა. ქვაბი თოვლით გაავსო, ისევ ოთახში დაბრუნდა და ღუმელზე დადგა. მერე ღუმელს მოკლედ დაჭრილი, შუა-შუა დაჩეხილი ლატნების ნაჭრები შეუკეთა და აანთო. რცხილის შეშამ ჯერ ტკაცა-ტკუცი დაიწყო, მერე ხასიამოვნოდ აღუღუნდა და პატარა ოთახი ერთბაშად გაათბო.

მიხომ შვება იგრძნო, თავისუფლად ამოისუნთქა.

სამუშაო ტანსაცმელი გამოიცვალა, გამთბარი თოვლის წყლით გამურულ-გაჭვარტლული ხელპირი დაიბანა და ტახტზე ჩამოჯდა.

შიოდა. წელან არტემას დუქანში ტარანის ყიდვას აპირებდა, მაგრამ იმ უბედური რკინიგზელი მუშის დანახვამ სულ გადაავიწყა. შავი პურის მეტი არაფერი დარჩენოდა სახლში. ჩაის მივატანო, გაიფიქრა და გული დაიმშვიდა.

ფიქრებმა გაიტაცეს. სოფელი წარმოუდგა თვალწინ. ვენახის დარდი აწუხებდა. ვინ იცის ამ ოხერმა ყინვამ მარტო ვაზი კი არა, ხეხილიც გაგვიფუჭაო, — ფიქრობდა.

წასულ კვირას იყო სოფელში და მამასთან ერთად ვენახი გულდაგულ დაათვალიერა, მაგრამ ვერაფერი შეატყო.

— ეხლა ვერც გაიგებ, გაფუჭებული არის თუ არა, სანამ გაზაფხულზე კვირტი არ გამოიწევსო. — უთხრა მამამ.

ეს რომ ასე იყო, მიხომაც კარგად იცოდა, მაგრამ გაზაფხულამდე გაძლება არ უნდოდა? ვაზი რომ ვერ გადაიტანდა ამ ყინვას, მიხო ღრმად იყო დარწმუნებული, მაგრამ კაკლის, გარგარის, ატმის იმედიც აღარა ჰქონდა. მაღალი ხეებია, ასეთ ყინვას ვერ უძლებენო, ამბობდა გუნებაში და იმის ჯავრი აწუხებდა, რომ წელს საჭმელი ხილი აღარ ექნებოდათ, რაც დიდ შეღავათს აძლევდა მათ გაჭირვებულ ოჯახს.

ფიქრებიდან ნაცნობმა ხმამ გამოარკვია.

— ეი, მიხო, შინა ხარ? — მოესმა ეზოდან ძახილი.

მიხო ზეზე წამოდგა. ნამდვილად ლადოა: ვლადიკავკავიდან საქონელს ჩამორეკავდა და იმიტომ მიძახისო, გაიფიქრა და კარი გააღო.

როცა შინ იყო მიხო, ლადოს ყოველთვის ეხმარებოდა საქონლის დაკვლაში და გატყავებაში. ჯერ ეზოში არ იყო ხოლმე შემოსული, რომ მაშინვე მიხოს კითხულობდა.

მიხომ აათავა თუ არა სარდაფის საფეხურები, მართლაც ლადო დაინახა მეცხვარის გრძელ ტყაპუჭში გამოხვეული, თავზე თბილი ქუდი ეხურა. ყინვისაგან ულვაშები შეჭირხლოდა და მსუქანი, გალაჟღაჟებული სახე ნალვერდალივით წითლად უღვიოდა.

ცალ ხელში სახრე ეჭირა, მეორეში ორკეცი თოკი, რომლის ბოლოები ჯერ კისერზე ჰქონდათ შემოხვეული ღონიერ ხარებს, მერე წინ წამოშვერილ, წვეტიან რქებზე იყო წაბმული, ალბათ იმიტომ, რომ ადვილად დაემორჩილებინა პირუტყვი.

წანამქრულ გზაზე სიარულით გათანგული საქონელი მორჩილად იდგა ლადოს წინ და მძიმედ ქშინავდა. ძლიერ მკერდზე ყინულის ლოლუები დაკიდებოდა და მკრთალ სინათლეზე ალმასის მძივებივით უბზინავდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობა საქონელს ეუცხოებოდა ირემაშვილების კარ-მიდამო. თვალებს მგლებივით აბრიალებდნენ და შიგადაშიგ დაიზმუვლებდნენ.

ლადომ როგორც კი თვალი მოჰკრა მიხოს, სიხარული ველარ დაფარა და ხმამაღლა შესძახა:

— შენ გენაცვალე, დეიდაშვილო. გამარჯობა, როგორა ხარ!

— ლადოს გაუმარჯოს! — შესძახა არანაკლებ მისი დანახვით გახარებულმა მიხომაც და თან დაუმატა — ამ დიდთოვლობას ვლადიკავკავიდან როგორ ჩამორეკე ე საქონელი, კაცო!

— ჩამოვრეკე გაჭირვებით, წვალებით, ტანჯვით. ახლა ამათ ბოსელში დავამწყვდევ და მერე შენთან ჩამოვალ, ლუმელი გინთია?

— მინთია, ჩამოდი!

ხმაურზე კოტემ და თებრომაც გამოიხედეს გარეთ.

როგორც კი დაინახა ლადომ აივანზე გადმომდგარი დაი და სიძე, მისალმების ნიშნად ხელი მაღლა ასწია, წელში გაიჭიმა და როგორც სჩვეოდა მასხრობა, ღიმილით, ხმამაღლა შესძახა:

— ვახლავართ ჩემ სიძე ბატონს თებროს და მის კნეინა კოტ... — უცბად ენაზე დაიდგა კბილი, ვითომდა შემეშალაო, თფუ-თფუო, წამოიძახა, გვერდზე გადააპურჭყა და ხელახლა წარმოსთქვა: — ჩემს სიძე-ბატონს კოტეს და მის კნეინა თებროს!... — ეს რომ თქვა, თან მიხოს გადახედა და ხმამაღლა გადაიხარხარა.

— ოი, შენ შეგაჩვენა ღმერთმა, — ქოქოლა მიაყარა თებრომ, — ამხელა კაცი გახდი და უკულმართ ლაპარაკს მაინც არ იშლი!

ამ სიტყვებზე უნებურად კოტესაც შეეცვალა სახე ,მაგრამ არ შეიმჩნია. იცოდა ლადოს ხასიათი და ალარც არაფერი სწყინდა მისგან. ლადო ერთი დარდიმანდი, მოურიდებელი კაცი იყო და ყველას პირში ეუბნებოდა, თუ რაიმე ნაკლი ჰქონდა.

— შერეკე საქონელი ბოსელში და ამოდი მაღლა! — გადმოსძახა ზემოდან კოტემ.

— ამოვალ, ჯერ ჩემს დეიდაშვილთან მაქვს საქმე!

ლადომ ხარები შერეკა ბოსელში, თოკით დააბა ბაგაზე, თივა დაუყარა, მერე კარში გამოვიდა, ტყაპუჭი და ჩექმები დაიბერტყა და მიხოსთან ჩავიდა სარდაფში.

— როგორ ხარ, მიხო! — ალერსიანად უთხრა და გადაეხვია.

— არა მიშავს. გაიხადე ეგ ტყაპუჭი, დაგცხება.

ლადომ ტყაპუჭი გაიხადა, კედელზე დარჭობილ ლურსმანზე ჩამოკიდა და მიხოს გვერდით ტახტზე დაჯდა; მაგიდაზე ჭიქა ჩაისა და ცარიელი შავი პურის გარდა სხვა საჭმელი რომ ვერ დაინახა, უთხრა:

— ამის მეტი არაფერი გაქვს, ბიჭო?

მიხოს უხერხულად ჩაელიმა ულვაშებში და მიზეზიც აუხსნა, რატომ ვერ იყიდა საჭმელი. მაგრამ ლადოსათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა მისი ხელმოკლე ცხოვრება.

— რას ჩასციებიხარ ამ მურიან რკინიგზას, წამოდი ჩემთან. ერთ წასვლა-წამოსვლაზე იმდენ ფულს გაშოვნინებ, მთელ წელიწადს ვერ აილო მანდ.

— ეჰ, ჩემო ლადო, მაგის შნო რომ მქონდეს...

— რა დიდი შნო მაგას უნდა, ბიჭო, — სიტყვა შეაწყვეტინა ლადომ, — ჩემთან იქნები, ერთად ვივლით!

— არა, ლადო! — თავი გააქნია მიხომ, — ეგეთი რამ ჩემს ჯიშში არ მოდის. ვაჭარი მამაჩემი არ ყოფილა და პაპაჩემი, მე როგორ გავხდე!

— არც მამაჩემი ყოფილა, ბიჭო, ვაჭარი. არც პაპაჩემი, არც პაპაჩემის პაპის პაპა რა ძნელი საქმე ეს არის. მოხვნა მაგას არ უნდა და დაფარცხვა. წავალთ ვლადიკავკავი იქნება, თუ ყაზბეგი, დუშეთი თუ წნორი, იქ იაფად ვიყიდით საქონელს, ჩამოვრეკავთ, დავკლავთ და გავყიდით, ფულს მოვიგებთ. სულ ესაა მთელი ალია-ბალია, მორჩა და გათავდა!

— ხომ გითხარი, ვაჭრობა ჩემს ჯილაგში არ მოდის და ჩემგან ვაჭარი ვერასოდეს დადგება.

— მელიკაზარიანი უბრალო ფეხსაცმლის მწმენდავი იყო და ვაჭრობით მილიონერი გახდა. ასევე არიან სხვებიც. მე კაი კაცი ჩვენს მიწაზე ვილა არ მდიდრდება და შენ რომ ცოტაოდენი ფული მოიგო, მაგის ვერიდება? თუ არ განყობს შენი ნებაა, ძალას არ დაგატან.

— ეგ მელიკაზარიანია, მე მიხო ვარ. ვაჭრობას თავისი შნო და მარიფათი უნდა. მე კი ეს შნო და მარიფათი არ გამაჩნია. ახლა ეს მითხარი. საიდან ჩამორეკე ეს საქონელი ვლადიკავკავიდან, თუ ყაზბეგიდან?

— ერთიც და მეორეც ისეა ჩაკეტილ-ჩარაზული თოვლით, ჩიტი ვერ გადაფრინდება, ვერც იქიდან, ვერც აქედან.

— მაშ საიდან წამოასხი?

— დაზამთრებამდე ვიყიდე დუშეთში. ჭადიჯვარში ჩემს ოს ნათლიმამასთან მყავდა მიბარებული, ვფიქრობდი, თუ ვინიცობაა ასეთი ზამთარი დადგებოდა, ბაზარში ხორცის მაზანდა აიწევდა, მაშინ დამეკლა .და აი, მართლაც რომ გამართლდა ჩემი გუმანი.

— საზრიანი კაცი ხარ, ლადო, საზრიანი! — მხარზე ხელი დაჰკრა მიხომ — ჭადიჯვრიდან კი ადვილად გამოაღწიე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადვილად კი არა, ლამის გზაში ჩავრჩი, ძლივს დავაღწიე თავი ნამქერს, ლამის ცოცხალი დამმარხა: კიდევ კარგი, დიდი ქარი არ იყო, თორემ რა მეშველებოდა, არ ვიცი.

— მერე საფრთხეში რატომ იგდებ თავს, ამინდს ველარ დაუცადე?

— ამინდს რომ ვუყურო, ამიშენდება ოჯახი. ხორცს ახლა აქვს კარგი ფასი. ამინდი როცა გამოვა, ხორციც ბევრი შემოვა თბილისში და ბაზრის მაზანდაც დაეცემა. ვნანობ ამ ორ ხარზე მეტი რომ არ ვიყიდე. ხომ კარგებია მიხო? — ლადო თვალებში ჩააცქერდა დეიდაშვილს.

— ხარები კი არა, კამეჩებია, ბიჭო!

— მთელი შემოდგომა და ეს ზამთარი იორნჯის თივაზე იყვნენ მიშვებულები და აბა რა იქნება!

— ცოდო არ არის, მაგათი დაკვლა? ისე გასწევენ უღელს, ლომა კამეჩებსაც კი დაჯაბნიან.

— მთავარია ხორცი დაყარონ, თორემ მაგათი ქედის ძალა მე რაში მჭირდება. ახლა შენ ის მითხარი, ხვალ რომელ ცვლაში მუშაობ?

— შინა ვარ, მეორე ცვლაში.

— აგაშენა ღმერთმა, მაშ გიშველია დაკვლაც და გატყავებაც. — ლადოს თვალები გაუბრწყინდა.

— რატომაც არ გიშველი, ორივე უნდა დაკლა?

— ორივე, მაშ ერთი? ამაზე უკეთეს დროს როდისღა ვნახავ?

— გიშველი, მაშ არ გიშველი? სად უნდა წაიღო, დეზერტირის ბაზარში?

ლადოს გაეცინა.

— დასწყევლოს ღმერთმა ეგ ბაზარი. ერთხელ ვიყავი და მაშინაც თავბედი ვიწყევლე. ტყვილა კი არ შეარქვეს ეგ მურდალი სახელი. ყველა ციგანი და მაიმუნი, უფულო და გაღლეტილი კაცი მანდ იყრის თავს. არც სალდათის ბაზარია დიდი ბედენა. შუა ბაზარს ბაზარი არ შეედრება. შაითან ბაზარიც კარგია, მაგრამ მე ეს მირჩევნიან.

— რატომ გირჩევნიან?

— იმიტომ მირჩევნიან, რომ ცენტრშია, მდიდრებიც ცენტრში ცხოვრობენ და სავაჭროდ მანდ დაიარებიან. ისინი კაპიკებზე არ დამიწყებენ ვაჭრობას, იმიტომ, რომ მდიდრები არიან და ფული ბევრი აქვთ. თუმცა— ლადომ ხელი ჩაიქნია. — ეგენი უფრო უარესები არიან. მე მინახავს მადათოვი კაპიკებზე შევაჭრია მემწვანილეებს.

— ასეთები რომ არ იყვნენ, ჩემო ლადო, არც მილიონების პატრონები იქნებიან. მე მგონი, ეგენი უფრო ხელმოჭერილი ხალხია, ვინემ ჩემისთანა უბრალო შავი მუშა.

— მართალი ხარ, მიხო, მართალი! — ლადოს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში კოტე შემოვიდა.

— რა მაგრად გაგიხურებიათ ე ღუმელი, არა გცხელათ, ხალხნო? — თქვა შესვლისთანავე და ცოლისძმას ხელი გაუწოდა, გამარჯობაო.

ლადომ ხელი მაგრად დაურტყა კოტეს, თან მიხოსაკენ ჩაიწია და, დაჯექიო — უთხრა.

კოტე ტახტზე დაჯდა. ლადომ მოფერებით მხარზე ხელი მოუთათუნა სიძეს და ღიმილით ჰკითხა.

— როგორა ხარ კოტე, ჩემი და ხომ არ დაჩაგრე?

— მე დავჩაგრე რო? — გულზე ხელი დაიდო კოტემ, — თუ იმან დამჩაგრა?

ლადომ სიცილი ველარ შეიკავა. ეს სიცილი მიხოსაც გადაედო.

— მერე რატომ ეჩაგვრინები?

— არ იცი ქალების ამბავი? — უპასუხა კოტემ და ამ საკითხზე რომ არ გაეგრძელებინა ლადოს საუბარი, მიხოს მიუბრუნდა:

— ნივნივებს უკვე გამოუყვანე წირვა?

— მაშ სიცივით ხომ არ მოვკვდებოდი! — უპასუხა მიხომ.

— რა ნივნივებს, კაცო? — იკითხა ლადომ.

— მიხო სახლს აშენებს, — თქვა კოტემ,— ამას წინათ ნივნივებისათვის ლატნები იყიდა და ნახევარზე მეტი უკვე დაწვა!

— მართლა აშენებ, ბიჭო, სახლს? — მიუბრუნდა ლადო მიხოს.

— ვაშენებ, თუ ავაშენე!

— სად აშენებ?

— ლოტკინის გორაზე!

— კაის საქმეს მოჰკიდებიხარ! როდემდის უნდა იცხოვრო ამ ჯურღმულში, არ გეყო? ფული თუ გაქვს?

— ღმერთი მომცემს! — გაეცინა მიხოს.

— ღმერთი შენ ფულს არ მოგცემს, ღმერთი ფულს იმას აძლევს, ვისაც მეტი აქვს. მაგრამ თუ დაგჭირდა, მე გასეხებ!

— გმადლობთ, ჩემო ლადო! — მადლიერების გრძნობით შეხედა მიხომ.

— რის მადლობა, შე კაი კაცო, შენ საქმეს შეუდექი და დახმარებით მე დაგეხმარები. რამდენიც გინდა, იმდენი წაიღე. მე არ მოგთხოვ იმ ფულს, როცა გექნება, მაშინ მომეცი, აშენებაშიც მოგეხმარები, მეტი რა გინდა? — ლადომ მხარზე ხელი გადასდო მიხოს და სიყვარულის ნიშნად თავისაკენ მოსწია ,— ზოგზოგი დეიდაშვილი კი არ გეგონო, — დაუმატა ბოლოს, ულვაშებში ჩაიცინა და თან კოტეს გადახედა. — რამდენს ართმევთ ქირას ამ სოროში?!

— მე ვართმევ, რო?

— არა, მითხარი რამდენს ართმევთ?

— აბა, რა ვიცი, რამდენს ვართმევთ?

— მაშ ვინ იცის, არტემა ზახარიანმა?

— რატომ არტემა ზახარიანმა, შენ დას ჰკითხე!

— გაუწყრა მაგას დობაც და დეიდაშვილობაც. მაგან არც ძმა იცის, არც დეიდაშვილი, არც მამიდაშვილი, მერე და, შენ იმის ქმარი არა ხარ?

— მერე, მე მკითხავს რამეს რო? — ისევ აიჩურა მხრებში კოტე.

— მაშ არა გკითხავს?

— არ იცი, რომ არა მკითხავს?

— რატომ არა გკითხავს, მერე?

— ვიცი, რატომ არა მკითხავს?

— აბა, რა იცი!... — ლადომ ხელი ჩაიქნია.

სიტყვა რომ აღარ გაეგრძელებინა ლადოს, კოტემ სალაპარაკო თემა შეცვალა და ხმამაღლა წამოიძახა:

— გაიგეთ, ხალხო, დღეს წყალკურთხევაზე რა დიდი უბედურება მომხდარა?

ლადო თვალებში მიაჩერდა სიძეს.

— დილას წყალკურთხევაზე, — განაგრძო კოტემ, — უამრავი ხალხი მისწყდომია მტკვარს. წყალზე გადებულ ფიცრების ბაგირს ვერ შეუკავებია ზღვა ხალხი. ჩამტყდარა და მტკვარში ჩაცვივნულან, ორას კაცამდე არის დამხრჩვალიო.

— რას ამბობ, კაცო, მართალი ამბავია? — ახლაღა ამოიღო ლადომ ხმა.

— მართალია! — დაუდასტურა მიხომ, — დღეს ყველა ამაზე ლაპარაკობდა.

— აი, აი, აი... — თავი გადააქნია ლადომ, — მღვდელიც დამხრჩვალა, კაცო?

— მღვდელიც და მრევლიც! იმას რაღა ხეირი დაეყრებოდა.

— საცოდავი ხალხი! — თავს აკანტურებდა ლადო.

— დილას ჩვენც უნდა წავსულიყავით წყალკურთხევაზე, — განაგრძო ისევ კოტემ, — მაგრამ თებრომ უარი თქვა, მეზარებაო. კიდევ კარგი, არ წავედით თორემ იმ ხალხივით ჩვენც ხომ იქ ჩავიხრჩობოდით!

— კიდევ კარგი... — სიცილი ვეღარ შეიკავა ლადომ.

— მოდი და, ამის შემდეგ ნუ დაუჯერებ ცოლს! — ამბობდა კოტე.

ლადო იცინოდა, მიხოსაც გადასდებოდა ეს სიცილი.

— იცი რა გითხრა, ჩემო კოტე? — უთხრა ბოლოს ლადომ, — ხომ ხედავ ნამცივნი ვარ, ყინვა ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი, ძლივს ჩამოვაღწიე თბილისამდე, ცოტა განწყდა გზაში არ ჩავრჩი, ადი ახლა სახლში და თებროს უთხარი ერთი ბოთლი არაყი და თუ რაიმე საჭმელი აქვს, ... ნოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაყი მე მაქვს, მაგრამ საჭმელზე რა მოგახსენოთ! — ბოდიში მოიხადა მიხომ, — წელან უნდა მეყიდა არტემას დუქანში, მაგრამ იქ, დუქნის წინ, ჩვენი მუშა მომკვდარიყო და იმისმა საცოდაობამ სულ დამავიწყა.

— არაფერია, კოტე ჩამოიტანს. აბა, შენე ბურად დატრიალდი ახლა! — ლადომ მხარზე ხელი დაჰკრა სიძეს, — და რომ გამოგაყოლე, ესე კი არაა საქმე, პური ძაღლივით მშია.

— მაღლა ავიდეთ, რაღა აქ ჩამოვიტანო! — შეიცხადა კოტემ.

— აქა სჯობია, ამ ღუმელის გვერდით, სითბოზე, თათარიახნად. ხომ იცი თათარიახნი პურმარილი ყველაზე გემრიელია. იქ რომ ამოვიდეთ, შეიძლება გემო დაეკარგოს.

კოტეს ხმა აღარ ამოუღია .სახლში ავიდა, მცირე ხნის შემდეგ მართლაც ერთი კვარტი არაყი, ყველი, გამხმარი ტარანი და კომბოსტოს მწნილი ჩამოიტანა...

— ოო, შენ აგაშენა ღმერთმა, კოტე, — სიხარულით წამოიძახა ლადომ. — კაი კაცი ხარ. შენს მოტანილს სულ სხვა გემო და ეშხი აქვს, იმიტომ რომ კეთილი გული გაქვს. დილაზე საქონელს რომ დავკლავთ, ხაში შენ უნდა გააკეთო. მიყვარს შენი გაკეთებული კერძი. თებრო არ გააკარო ახლოს, თორემ ხომ იცი, სადაც მისი წანკლიანი ენა გაერევა, იმ საჭმელს მაშინათვე გემო დაეკარგება.

ლადო გულიანად ხარხარებდა. მიხოც ვერ იმაგრებდა სიცილს. კოტეს კი ცოლისძმის ქებაზე სახე ბავშვივით გაბადროდა და ქალივით ხითხითებდა.

— მიხო, ადე ახლა და შენებურად შეუჩიჩხინე ღუმელს, ოღონდ ბევრი არ შეუკეთო! — უთხრა ლადომ და თან კვარტიანს დასტაცა ხელი.

მიხომ მაშა აიღო, ჩანავლებული ნაღვერდალი გაქექ-გამოქექა და შეშები შეუწყო. ლადომ არაყი დაასხა ჭიქებში.

მაგიდას შემოუსხდნენ.

* * *

დილით რომ გაეღვიძა მიხოს და კარში გამოვიდა, ნაცრისფერ წინსაფარში გამოწყობილი კოტე უკვე ეზოში დახვდა. ფარღალალა ფარდულში, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინ გარეკახელ და დუშელ მეშეშეებს ნაბდები ჰქონდათ გაშლილი, კოტეს ცეცხლი დაენთო ზედადგარზე სპილენძის ვეება ქვაბი შემოედგა და თოვლს ადნობდა.

მიხო რომ დაინახა, კეთილი კაცის ღიმილით

გაუცინა, წუხელს როგორ გეძინაო, ჰკითხა და თან დაუმატა: კაი დროს ამდგარხარო.

— წყალს იმარაგებ, კოტე? — ჰკითხა მიხომ მიახლოებისთანავე და ცეცხლს ხელები მიუფიცხა.

— ვიმარაგებ! არ დაგვჭირდება?

— როგორ არ დაგვჭირდება. ლადო ჯერ არ ამდგარა?

— ლადო დილაუთენია შუაბაზარში წავიდა მაზანდის გასაგებად, საცაა მოვა!

—ჩვენ რა გავაკეთოთ ახლა?

— რა გავაკეთოთ და, — კოტე გვერდით შეტრიალდა, ქვაბს თოვლი ჩაუმატა, მერე ისევ მიხოსაკენ შებრუნდა და უთხრა: აი აქ მაგიდა უნდა გავმართოთ ხორცის დასაწყობად. წავიდეთ მარანში და ფიცრები გამოვიტანოთ. იქა მაქვს შენახული.

ფიცრები ლადომ საგანგებოდ ზომაზე დაახერხინა, რომ მაგიდის თრევაში თუ გატან-გამოტანაში არ ეწვალა. რა წუთსაც უნდოდა და სადაც უნდოდა, იმ წუთას იქ გამართავდა მაგიდას და ალებითაც, თუკი ეს საჭირო იყო, მაშინათვე აილებდა. თანაც რამდენადმე დიდი და ტევადი იყო ჩვეულებრივ საოჯახო მაგიდაზე, ამავე დროს მოხერხებულიც.

ლადოს ხელობის კაცისათვის ასეთი მოძრავი მაგიდა მისწრება იყო. კოტე წინ გაუძღვა მიხოს.

მარანთან მივიდნენ. ჯერ კოტე შევიდა, შემდეგ მიხო მიჰყვა. მიხომ კოხტად გარანდულ ფიცრებს წამოავლო ხელი, ფარდულთან გამოიტანეს და ცეცხლის გვერდით დაყარეს. მერე ისევ დაბრუნდნენ მარანში და დანარჩენი ფიცრებიც გამოზიდეს.

ფიცრები დაალაგეს და სახელდახელოდ მაგიდაც მზად იყო.

— ახლა რაღა გავაკეთოთ? — იკითხა ისევ მიხომ, როცა საქმეს მორჩნენ.

— დანებს გამოვიტან და გალესე!

— სალესი ქვა თუ არა გაქვს, მე ამოვიტან!

— მაქვს! ამ წუთში იმასაც მოგართმევ!

კოტე მარანში შევიდა და ყასბის რამდენიმე დანა, ნაჯახი და სალესი გამოუტანა. მერე ნიჩაბს დასწვდა და ქვაბს ხელახლა თოვლი ჩაუმატა.

მიხო დანების ლესვას შეუდგა.

მცირე ხნის შემდეგ ირემაშვილების ეზოს ჭიშკარს ლადოც მოადგა ეტლით. მეეტლეს ფული გადუხადა, ჭიშკარი შეაღო და გაკვალული ბილიკით პირდაპირ ფარღალალა ფარდულისაკენ გაემართა, სადაც კოტე და მიხო ცეცხლს მიფიცხებოდნენ და მის შოლოდინში ტკბილად მასლაათობდნენ.

— გამარჯობათ, ჯიგრებო! — შორიდანვე ომახიანად შესძახა ლადომ. ახლოს მისვლისას ჯერ მიხოს დაურტყა ხელი, მერე კოტეს. მარცხენა ხელში მოქცეული ქაღალდის ფუთა მაგიდაზე დადო და ტყაპუჭის ღრმა ჯიბიდან ორი ბოთლი კონიაკი ამოაძვრინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდით ჯერ პური შევჭამოთ. პატარა დავნაყრდეთ. მერე საქმეს შევუდგეთ! — თქვა და შეფუთული ქაღალდი გახსნა. — პა, პა, პა, პა, შეხედეთ რა დოშია, ქონი გასდის!

კოტე წამოყელყელავდა და თევზი შეათვალიერა. ეტყობა მოეწონა. თვალები გაუბრწყინდა და პირზე ნერწყვმომდგარმა ცოლისძმას მოუთმენლად ჰკითხა:

— სად იყიდე?

— ძეგველოვების მაღაზიაში. თუ გინდათ თევზს გემო ჩაატანოთ, ძეგველოვებს უნდა მიაკითხოთ. ამათთანა თევზი არავის აქვს მთელ თბილისში.

ლადომ დანას წამოავლო ხელი, თევზის დაჭრა დაიწყო და თან კოტეს მიმართა:

— წადი ახლა, პური და ჭიქები ჩამოიტანე!

— მეტი არაფერი? — იკითხა კოტემ.

— მეტი რაღა გინდა, გასახსნელი მე მაქვს!

კოტე სწრაფად გავარდა, პური და ჭიქები მოარბენინა, მაგიდაზე დააწყო და ჰკითხა:

— რა ქენი, გაიგე მაზანდა?

— გავიგე!

— მერე?

— ყველაფერი რიგზეა. ბაზარში აღარ გავყიდი, ქოსების დუქანში მიმაქვს.

— უკვე მოურიგდი?

— მოვურიგდი! გირვანქაში სამ შაურს მაძლევენ!

— ბაზარში აღარ გაგივლია?

— როგორ არა! სალდათის ბაზარშიც ვიყავი, შუა ბაზარშიც, იარმუკაზეც და შაითან-ბაზარშიც, თითქმის ერთნაირი ფასია ყველგან.

— ქოსებს ალბათ ნაკლებად აძლევ?

— რა თქმა უნდა, ბაზრის მაზანდასთან შედარებით ქოსებს ცოტა უფრო ნაკლებს ვართმევ, მაგრამ ამ ყინვაში მთელ დღეს დახლთან დგომას ასე მირჩევნიან!

— გირვანქა სამ შაურად, არაა იაფი, კაი ფასია! — ჭკუაში დაუჯდა კოტეს.

— არის კია ბაზარში ხორცი? — იკითხა მიხომ.

— როგორ არ არის. ჩემნაირი თავზეხელაღებული ხორცის ვაჭრები, რომლებიც არც ყინვას ერიდებიან, არც ნამქერს და არც უბედურებას, ცოტა კი არაა თბილისში. მიდიან, მოაქვთ, ყიდიან. რა თქმა უნდა, იმდენი არ არის ხორცი, რამდენიც კვლავ ამდროს გინახავთ, მაგრამ მაინც არის.

ლადომ თევზის დათლა რომ მოათავა, პურიც დაჭრა. მერე კონიაკის ბოთლი გახსნა ჭიქებში დაასხა და თანამეინახეებს მიმართა:

— აბა, ჩოიწით ახლოს! თითო ჭიქა გადავკრათ, შევხურდეთ და მერე ჩვენი საქმე გავაკეთოთ!

ზეზეულად დანაყრდნენ.

ლადომ ქალალდით ქონიანი ტუჩები მოიწმინდა, ტყაპუჭი გაიძრო, მაგიდისკენ ისროლა და კოტეს მიუბრუნდა.

— დანები სად არის?

— აგერ იქ აწყვია! — კოტემ მაგიდისაკენ გაიშვირა თითი.

— გალესილია?

— როგორ არა, მიხომ გალესა!

— მე გავლესე — თქვა მიხომ.

— მაშ წავალ ახლა და ხარს გამოვიყვან. ჯერ ერთი დავკლათ, გავატყაოთ, მერე მეორეც მივაყოლოთ!

სიტყვები ჯერ არ დაემთავრებინა ლადოს, რომ ბოსლისაკენ გაემართა. ეს დევივით ვაჟკაცი, რომელსაც ხალათი გასკდომაზე ადგა, ისეთი მტკიცე, ღონიერი ნაბიჯით მიდიოდა ,ისე არხევდა განიერ მხრებს და ტანის ყოველ მოძრაობაში იმდენი ენერგია და ძალა გამოკრთოდა, კაცს ეგონებოდა — ბოძს რომ დაეჭიდოს, ძირიანად ამოაგდებსო.

თამამად შეაღო ბოსლის კარები და მცირე ხნის შემდეგ რქებზე თოკწაბმული ნაიალაღარი ხარი ხელის კვრით გამოაგდო გარეთ.

ნამქერგამოვლილ პირუტყვს, ეტყობა, ბოსელში თბილად ყოფნა ერჩია, გარეთ გამოსვლისას ჯერ დრუნჩი ასწია მაღლა, ირემაშვილების უცხო კარმიდამო თვალების ბრიალით მოათვალიერა, მერე კისერი წაიგრძელა, დაიზმუვლა და წინა ფეხებით თოვლს დაუწყო ჩიჩქნა.

ლადომ ზურგზე დაჰკრა ხელი და ხარი წინ გაიგდო. პირუტყვმა ერთხელ კიდევ სცადა რქებიდან თოკის გადაგდება, რომ არაფერი გამოუვიდა, ფარლალალა ფარდულთან მივიდა, მიხოსა და კოტეს წინ მორჩილად გაჩერდა.

მშვენიერი სანახავი იყო ხარი. ფართო ძლიერ მკერდზე ყინულის ლოლუები ალარ უბზინავდა ალმასის მძივებივით. სითბოზე გამხვალიყო და წაბლისფერი ბეწვი ლაქედ მოუჩანდა. წინ გამოშვერილი წვეტიანი რქები კელაპტრებივით ადგა თავზე და მურა დრუნჩიდან ნაფლეთებად უშვებდა ორთქლს

ლადომ მოფერებით გადაუსვა ხელი სიმსუქნისაგან გასწორებულ განიერ ზურგზე, მერე რამდენჯერმე დაჰკრა და მიხოსა და კოტეს მიუბრუნდა:

— როგორია, ჰა?

— ხარი კი არა, კამეჩია, კაცო! — ხმამაღლა წამოიძახა კოტემ.

ლადოს სიამაყით ჩაეცინა.

— მეც ეგა ვთქვი გუშინ, — დაუმატა მიხომ, — ასეთი ხარები რომ მყოლოდა, სოფელს ალარ მივატოვებდი.

ლადოს კვლავ კმაყოფილებით ჩაეცინა.

— მთელი შემოდგომა და ზამთრის პერიოდი იონჯის თივაზე ჰყავდათ მიშვებული ჩემს ის ნათლიმამას, მაშ არ გასუქდებოდა; თქვენი ჭკუით, მაინც რამდენს დაჰყრის ხორცსა, ჰა?

— ნახევარ ტონას კიდევაც გადაჭარბებს! — წამოიძახა კოტემ.

— რა თქმა უნდა გადააჭარბებს! — დაუდასტურა მიხომ.

— ვნახოთ, როცა ავწონით, მაშინ გამოჩნდება!

ლადომ ხარს ხელახლა მოუთათუნა ზურგზე ხელი, მერე თოკის ბოლო კოტეს გადაუგდო და უთხრა უკანაფეხებში მარყუჟად გამოსდეო.

— ამას ჩვენ სამი კაცი ვერ დავიმორჩილებთ, — თქვა ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულმა კოტემ, — კარგი იქნება, თუ სხვებსაც დავიხმარებთ!

— რას ვერ დავიმორჩილებთ, — დამცინავად წარმოსთქვა ლადომ, — შე კაი კაცო კამეჩი წამიქცევია მარტოს და სამი კაცი ამას ვერ მოვერევით? რაც გითხარი, ის გააკეთე, შენ კი — მიუბრუნდა მიხოს, — მანდეთა მხრიდან მომიდექი, როცა გეტყვი მაშინ წაავლე კუდში ხელი და შენსკენ გაიწიე!

კოტემ თოკი აიღო ხელში. ცალი წვერით მარყუჟი გამონასკვა, ხარს ფრთხილად გამოსდო უკანა ფეხებში, მეორე წვერი მარყუჟში გაუყარა და ისევ ლადოს მიაწოდა.

ლადომ ეს თოკი ჯერ კისერზე შემოახვია ხარს, მერე რქებზე, ბოლოს დრუნჩზე მარყუჟად მოსდო და კოტესა და მიხოს შეუძახა, გაიწიეთო. თვითონ გვერდიდან ღონივრად ჩააფრინდა ხარს რქებში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კისერი მოუღრიცა, რომ წამოეჩოქებინა, მაგრამ ხარს ძვრა ვერ უყო ადგილიდან.

— გაიწიეთ მაგრა! — შეუძახა ლადომ და უფრო ღონივრად მოქაჩა კისერი.

ხარმა გაიბრძოლა, ველარ გაუძლო ვაჟკაცის ძალას, წინა ფეხებით წაიჩოქა და ის იყო უნდა წაქცეულიყო, რომ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, კოტეს თოკი ხელიდან გააგდებინა, უკანა ფეხები გაინთავისუფლა და ასადგომად დაიძაბა. მთელი ძალით შეარხია ბორჯღლიანი თავი და ლადო საჯდომით დასცა თოვლზე.

ლადოს დამცინავად გაელიმა, მაგრამ არ დაიბნა. სწრაფად წამოხტა, რომ ხარს არ დაესწრო წინა ფეხებზე გამართვა და ხელახლა გადაუგრიხა კისერი. და სწორედ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, როცა რქებში უნდა ჩაფრენოდა, ხარმა მოასწრო ზეზე წამოდგომა და მუხლებში გამართვა, ერთი საშინლად დაიქშინა, ჯიუჯურ ამოუქნია თავი და ხიშტივით წინ წაშვერილი, წვეტიანი რქები პირდაპირ მუცელში აძგერა.

ლადო ჰაერში ამოტრიალდა და მუცელგაფატრული მიწაზე დაეცა.

ამ მოულოდნელი ამბით გაოგნებული და გაფითრებული კოტე ლადოს მივარდა და თავი აუწია. მაგრამ ლადოს სააქაოსი აღარაფერი ეტყობოდა. სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა და თეთრ, ქათქათა თოვლს წითლად ღებავდა.

— გვიშველეთ, კაცი მოკვდა, გვიშველეთ!.. — ქალივით აკივლდა კოტე და გიჟივით ხელების ქნევას მოჰყვა. მიხო კი ისე დააბნია ამ უეცარმა, ყოვლად მოულოდნელმა შემთხვევამ, რომ დანაჩარტყმულივით ერთ ადგილზე გაშეშდა, გაფითრდა, მთელი ტანით აძაგძაგდა. ძლივს მოახერხა ორიოდე ნაბიჯის გადადგმა, ლადოს წინ ჩაიმუხლა, სახეზე ხელები აიფარა და თვალებიდან ცრემლები მოსკდა.

კოტეს ყვირილზე თებრომაც გამოიხედა გარეთ. ეს სურათი რომ დაინახა, წივილ-კივილი მორთო და თმებგაწეწილი ეზოში ჩამოვარდა.

მალე მეზობლებიც დაეხვნენ თავს.

ირემაშვილების კარ-მიდამო ხალხით გაივსო.

* * *

ლადოს ტრაგიკული სიკვდილის ამბავი იმავე საღამოს მთელმა ნაძალადევმა შეიტყო. ირამაშვილების ოჯახს უამრავი ხალხი მიაწყდა.

ყველა მძიმედ განიცდიდა მის დაღუპვას, რადგან ბუნებით კეთილ კაცს ყველასაკენ დახმარების ხელი ჰქონდა გაწვდილი, შინაური იქნებოდა ის, თუ გარეული, ამხანაგი თუ მეგობარი.

ლადო დასვენებული იყო ირემაშვილების დიდ ოთახში. სამუდამოდ მიძინებულ მის მშვიდ სახეს ის ღიმილი შერჩენოდა, სიკვდილის წინ რომ აღებეჭდა იმ დროს, როცა ხარს განიერ გავაზე მოფერებით ხელს უსვამდა და კოტესა და მიხოს სიამაყის გამომხატველი გრძნობით მიმართავდა: — როგორია, ჰა?

თავით ეჯდა თმაგაწეწილი თებრო და ისედაც მოქუშული სახე უფრო მოქუფროდა, გაშავებოდა. სიმწრისაგან კრიჭა შეკვროდა და ტირილს ვერ ახერხებდა.

სამაგიეროდ კოტე ტიროდა. ტიროდა ქალივით, მოთქმით. ჩაწითლებულ თვალებიდან ერთავად ცრემლი ჩამოსდიოდა და ცხვირსახოცით წარამარა იწმენდდა.

მიხო კი გარინდებული, გაქვავებული იდგა კედელთან ასვეტილი და ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს საიქიოდან ახლა დაბრუნებულაო.

მეორე დღეს წაასვენეს ლადოს ცხედარი სოფელში. საქელეხოდ ხარებიც თან გააყოლეს მიცვალებულს. წესისამებრ კოტემ და მიხომ სამი ღამე უთიეს საყვარელ ცოლისძმასა და დეიდაშვილს, პატივი სცეს, ცრემლი დაღვარეს, სამარის კარამდე მხრებით ატარეს მისი კუბო, მშობლების გვერდით მიაბარეს მიწას, კავთისხევის პატარა სასაფლაოზე.

თბილისში რომ დაბრუნდნენ, მიხო აღარ გაჰკარებია ირემაშვილების ჯურღმულს. აუზისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში ერთსართულიანი სახლის ბნელ სარდაფში დაიდო ბინა, სადაც მთავარი სახელოსნოს მუშები ცხოვრობდნენ. მაგრამ ლადოზე ფიქრი არც აქ ასვენებდა მიხოს. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ისე იმოქმედა მასზე, რომ დღე არ გავიდოდა, თვალწინ არ დასდგომოდა ეს დევივით ვაჟკაცი, თავისი კეთილი ბუნებით ყველას თავს რომ აყვარებდა. არ ავიწყდებოდა ის სიტყვები, იმ ღამეს რომ უთხრა მიხოს: კაი საქმეს მოჰკიდებიხარო, როდემდის უნდა იცხოვრო ამ ჯურღმულშიო ფული თუ არა გაქვს, მე გასესხებ, წაიღე რამდენიც გინდა, როცა გექნება, მაშინ მომეციო, აშენებაშიც მოგეხმარებიო.

— საწყალი ლადო... — სინანულით წამოიძახებდა ხოლმე გუნებაში და თვალზე ცრემლი მოადგებოდა.

მაგრამ ეს იყო პირველ ხანებში.

სარდაფში, რომელშიც მიხომ დაიდო ბინა მთავარი სახელოსნოების ოცამდე მუშა ცხოვრობდა.

კედლიდან კედლამდე, მთელს სიგრძეზე ერთიანი ტახტი იყო გამართული, ტახტზე ყველას თავთავისი ლოგინი ჰქონდა გაშლილი და ერთმანეთზე მიწყობილად ეძინათ.

მიხო მალე შეეწყო და შეეთვისა მუშებს. მართალია ისინი სხვადასხვა საამქროებში მუშაობდნენ, მაგრამ ერთჭერქვეშ ყოფნამ მალე დააძმობილა.

ისინიც მიხოსავით შავი მუშები იყვნენ. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან გამოქცეოდნენ სილარიბეს. ცოლშვილი, მშობლები შინ დაეტოვებინათ და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში წასულიყვნენ ლუკმა-პურის საძებნელად, იმის საშუალება რომ არ ჰქონდათ, ცალ-ცალკე დაექირათ ბინა, ეს სარდაფი დაექირავებინათ კოლექტიურად და თითოეული მათგანი თვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ათ-ათშაურს უხდიდა სარდაფის მეპატრონეს

ძმურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ მუშები. ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობოდნენ. უერთმანეთოდ პურს არ გატეხდნენ. და თუკი რაიმეს მოიხელთებდნენ, ურთიერთს უნაწილებდნენ.

შაბათობით, როცა სოფელში წავიდოდნენ ცოლშვილის მოსანახულებლად, იქიდან ისე არ ჩამოვიდოდნენ, არაფერი ჩამოეტანათ ზოგს ჭადის ფქვილი მოჰქონდა, ზოგს მოსახარში ლობიო და ხახვი. ზოგს კომბოსტო და კარტოფილი, ზოგს კიდევ რა...

გაახურებდნენ თუჯის ღუმელს, დიდი ქვაბით შემოდგამდნენ ლობიოს ან სხვა რამ კერძს გააკეთებდნენ და ძმურად შეექცეოდნენ.

მიხოსათვის ყველა მუშა ერთნაირად ახლობელი იყო, მაგრამ უფრო მეტად შაქრო ჯაჯანაშვილს, თედო ბალამწარაშვილს და ვანო იაშვილს დაუმეგობრდა.

შაქრო ხოვლიდან იყო. მიხოს მამიდაშვილად მოხვდებოდა. შაქროს დედა და მიხოს მამა მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ. მაგრამ უბედური ცხოვრების გამო ერთმანეთში მიმოსვლა არა ჰქონდათ. შაქრო აქ გაიცნო მიხომ, აქ გამოემცნაურნენ ერთმანეთს.

შაქრო ძველი მუშა იყო, სახარატო საამქროში მუშაობდა, მუშათა ცხოვრებას ზედმიწევნით იცნობდა. ალრენილი იყო არსებულ წყობილებაზე და გაფიცვებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. განათლება თვითგანვითარების წრეებში მიელო და დაინტერესებული იყო მიღებული ცოდნა სხვისთვისაც გადაეცა.

საამისოდ სიტყვაც უჭრიდა და ლაპარაკიც ემარჯვებოდა. ის რომ რაიმე ამბავს წამოიწყებდა, ყველა გასუსული უსმენდა. არა მარტო სახარატო საამქროში, მთელ სახელოსნოებში ყველა კარგად იცნობდა მას და თავისი გაბედული მებრძოლი სულის გამო პატივს სცემდა.

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა სახელოსნოებმა, ისე როგორც ბევრ სხვა მუშას, შაქროსაც თვალები აუხილა. აქ დაუახლოვდა მუშათა მოწინავე წრეებს, აქ იგრძნო მუშის გასაჭირი, აქ შეიტყო პირველად რა აწუხებდა მუშას, აქ გაეცნო ცარიზმის ულელქვეშ მკვნესარე მუშათა ცხოვრებას, აქ იგემა მეფის შოლტის სიმწარე. ორჯერ იყო დათხოვნილი სამუშაოდან, სხვა მოწინავე მუშებთან ერთად, ერთხელ ერთი თვით, მეორეჯერ — ორი თვით.

თითქმის ასეთივე სულისკვეთების კაცი იყო თედო ბალამწარაშვილი. მეჯვრისხევიდან იყო წამოსული. ჯერ მადათოვის სამხერხაოებზე ემუშავა მხერხავად, იქ მუშები აეჯანყებინა და გამოეგდოთ; შემდეგ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში დაეწყო მუშაობა და იქაც სათავეში ჩასდგომოდა გაფიცვას. ბოლოს აქ მოსულიყო და თუჯსასხმელ საამქროში მუშაობდა.

ვანო იაშვილს კი მიხო ბავშვობიდან იცნობდა. თავისი თანასოფლელი იყო, მეზობლად ცხოვრობდნენ. ერთად გაეტარებინათ ყრმობის წლები და ერთმანეთის დიდი ხათრი და პატივისცემაც ჰქონდათ.

ვანო უთქმელი კაცი იყო. არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი და თავის გამოჩენა. იყო წყნარად და არასოდეს სხვის საქმეში არ ჩაერეოდა. თავისი კეთილი გულისა და ხასიათის გამო ყველას უყვარდა.

მიხოს წამოსვლა ირემაშვილების ჯურღმულიდან სწორედ ვანოს მხრიდან მოხდა. ვანომ ურჩია მათთან გადასულიყო.

ერთი სიტყვით, აუზის ქუჩის სარდაფი მიხოსათვის სკოლა გახდა.

შაბაშის შემდეგ, როცა ერთად მოიყრიდნენ თავს, დეპოდან ნამალევად გამოტანილი ქვანახშირით თუჯის ღუმელს გაახურებდნენ გარშემო შემოუსხდებოდნენ და არც ერთ საკითხს არ გაუშვებდნენ ხელშეუხებელს ჰყვებოდნენ იმ მთისა თუ ამ მთის ამბებს ჰყვებოდნენ, თუ ვინმეს რაიმე გაეგონა ან ენახა; რა იყო ახალი დღევანდელი დღის ცხოვრებაში; როგორ მიაღწიეს ადელხანოვის ფეხსაცმლის მუშებმა ხელფასის მომატებას; როგორ აღმოაჩინა პოლიციამ საჩაიე „იალტაში" იარაღი და დაბეჭდილი ფურცლები; როგორ ჩამოყარეს პროკლამაციები გრენადერთა თბილისის პოლკის ყაზარმაში და არტისტული საზოგადოების თეატრში, ან ვის რომელი წარმოდგენები ენახა „ვეტცელის სასტუმროში" თუ „რენესანსის ბაღში"; პოლონეთის სახლში თუ გერმანელთა კლუბში; ბირჟის დარბაზში თუ ძმები ნიკიტინების ცირკში, სადაც მუშათა დრამატული წრეები მართავდნენ წარმოდგენებს „მდაბიოთათვის" უფასოდ, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ღარიბ მოსახლეობას ენახა რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული სპექტაკლები.

მიხო გაფაციცებით უსმენდა მათ და უყურადღებოდ არავის სიტყვას არ სტოვებდა.

მათთან სიახლოვემ, ყოველდღიურმა ურთიერთობამ და საუბრებმა იგი არა მარტო თანდათანობით გამოიყვანა იმ ბურანიდან, რომელშიც ლადოს ტრაგიკულმა სიკვდილმა გაახვია, არამედ ბევრი რამ ასწავლა და თვალები აუხილა.

მიხომ აქ გაიგო პირველად, რომ ამიერკავკასიის მთავარ სახელოსნოებში არსებობდა ეგრეთწოდებული „თვითგანვითარების წრეები", სადაც მუშებს ასწავლიდნენ წერა-კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვას; რომ ბევრი მუშა აქედანაც დადიოდა იმ წრეებზე;

მიხომ ისიც შეიტყო მათგან, რომ მთავარ სახელოსნოებში უკვე მოქმედებდა მარქსისტული წრეები და გამოდიოდა არალეგალური გაზეთები, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშებს არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიხო კმაყოფილი იყო თავისი ბედით. კიდევ კარგი დროზე მოვცილდი ირემაშვილების ჯურღმულს, თორემ იქ ჩავლპებოდიო ამბობდა გუნებაში. მას უხაროდა ის ამბავი, რომ ამიერიდან მარტო აღარ იყო და მუშების გვერდით ცხოვრობდა; რომ იმ ხანად მათ გვერდით ყოფნას, ურთიერთობას და ცხოვრებას მიხოსათვის ჰქონდა რაღაც დიდი აზრი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მისი მომავალი: დარჩენილიყო ბოგანო მუშად თუ ხმა აღემაღლებინა უსამართლობის წინააღმდეგ, რათა კისრიდან გადაეგდო მონობის უღელი.

ისე, როგორც ბევრი სხვა მუშა, მიხოც ჩაება თვითგანვითარების წრეში და მთელი მონდომებით დაეწაფა განათლების მიღებას.

* * *

ზლაზვნით გაიარა ზამთარმა. როგორც იყო, დადგა გაზაფხული, მწვანედ შეიმოსა ნარიყალას და სოლოლაკის ფერდობები, მთაწმინდისა და თაბორის მთები, ლოტკინისა და მახათას გორები, კუკიის ფერდობები.

დიდუბის, ვერის, ორთაჭალისა და ისნის ბაღჩა-ბაღებში ჯერ ნუშმა გაახილა თვალი მერე ერთბაშად იფეთქა ხეხილმა და იბილისი ყვავილთა ტევრში ჩაიძირა.

მხოლოდ ნაძალადევი მოჩანდა გაშიშვლებული, მიუსაფარი, ეული.

კვირა დღე იდგა. მთავარი სახელოსნოებიდან საყვირის ხრინწიან ხმას აღარ შეუზანზარებია მუშათა დასახლება. დღეს ნაძალადეველებს დასვენების დღე ჰქონდათ, მაგრამ სად ეცალათ დასვენებისათვის. მოსახლეობა ადრიანად გამოფენილიყო ეზოებში და საგაზაფხულო სამუშაოებს შესდგომოდა.

ვინ ბარავდა, ვინ სოფლიდან ჩამოტანილი თუთის, ბლის, ალუბლის, ატმისა და სხვათა ხეხილის ნერგებს რგავდა და ჭაპანწყვეტით ნაშოვნ წყალს ეკონომიურად უსხამდა, რომ ფესვი ღონივრად გაედგა ნერგს. ზოგს უკვე მოესწრო დაბარვა და ადრეულად ნიორს, ბოლოკს, ნიწმატს, ხახვსა და სხვადასხვა მწვანილეულობას სთესდა. ცხელი კერძის უქონლობის დროს პურზე მისატანებელი რომ ჰქონოდა.

ერთი სიტყვით, ირგვლივ გახურებული მუშაობა იყო გაჩაღებული.

მიხოც ადრიანად წასულიყო ლოტკინის გორაზე, შეუპოვრად შებმოდა [illegible] ქანებს, ურტყამდა და ურტყამდა უროს ვეება ლოდებს. შუა-შუა სჩეხდა, შემდეგ მაღლა ჰყრიდა, რომ საძენებად დაედგა.

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე ძლიერი მკერდი ხან მაღლა ამოებერებოდა ხან დაბლა ჩაეწეოდა. ღრმად სუნთქავდა, ქშინავდა.

დაიღალა. უკანასკნელად მოქნეული ლომი ისევე ჩატოვა გაბზარული კლდის ნაპრალში და თხრილიდან მაღლა ამოვიდა.

ხუთი საათი იქნებოდა. შიოდა. დილას რომ ისაუზმა, მას შემდეგ საჭმელი არც გახსენებია. შინიდან წამოღებული წყლით ხელები დაიბანა, ლოდზე ჩამოჯდა, ქალალდში შეხვეული თევზი და პური იმავე ლოდზე დააწყო და ჭამას შეუდგა.

გემრიელად ატანდა შავ პურს ტარანს. თან თავის ნამუშევარს გასცქეროდა. უკვირდა: ნუთუ ამდენი ქვა დღეს ამოვყარეო. ვინმესთვის რომ ეთქვა — ალბათ არ დაუჯერებდა.

ცოტა რომ დანაყრდა, ზეზე წამოდგა, მორჩენილი პური და თევზი ისევ ქალალდში შეახვია და დაბლა დადო. ზემოდან პატარა ქვა დაადო, რომ ნიავს არ გაეშალა ქალალდი.

ისევ ნამუშევარს გადახედა.

— მეტს აღარ ამოვყრი, — ამბობდა გუნებაში, — საკმარისია. ახლა ამ ბექობს ქთლიანად გადავბარავ, გადავასწორებ, გადაბარული მიწით თხრილებს ამოვავსებ, ეზოს მოვასწორებ და მერე სახლის აშენებას შევუდგებიო.

მიხოს უკვე მზად ჰქონდა მასალა.

მართალია ის ლატნები, შემოდგომით რომ იყიდა დუშელ მეშეშესაგან, ნახევარზე მეტი დაწვა, მაგრამ არც ის დარჩენილი წამოუღია.

— ალალი იყოს თებროზე და კოტეზეო, — ამბოდა გუნებაში. რაც აუზის ქუჩის სარდაფში გადმოვიდა საცხოვრებლად, ირემაშვილებისაკენ ერთხელაც აღარ მიუხედია. ლატნების გულისთვის როგორ მივიდოდა იქ. ის კი არა და, ოქროებიც რომ დარჩენოდა, იმასაც არ მიაკითხავდა. ლადოს სიკვდილის შემდეგ იქაურობას ველარ შეხედავდა.

როგორც კი გაიხსნა გზები და თბილისში შეშით დატვირთული ურმების ქარავნები გამოჩნდა, მიხომ სხვა იყიდა. დათიკომ თავის ეზოში დააწყობინა:

— აქ შეინახე, როცა აშენებას შეუდგები მაშინ გაიტანე. შორიდან თრევა აღარ დაგჭირდებაო. — უთხრა მან.

კარ-ფანჯრებიც დათიკომ დაუმზადა. საფასური არ გამოურთმევია. მარტო მასალაზე დაეხარჯა ფული.

— თითქმის ყველაფერი მზად მაქვს, — ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა მიხო სიხარულით, — ახლა ერთი კარგი ავდარია საჭირო, რომ დათიკოს აუზი წვიმის წყლით გაავსოს. მერე ერთ მთვარიან ღამეს შევყრი ბიჭებს, ერთიანი ძალით შევუბერავთ და დილით უკვე შიგ ვიქნებით.

მიხოს ამ წუთას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სახლი უკვე აშენებული ჰქონდა და ნინოსთან ერთად შიგ ცხოვრობდა.

ფიქრებიდან რომ გამოერკვა, უნებურად გაეცინა.

— არაფერია, — თქვა მშვიდად, — დღეს თუ არა, ხვალ მაინც შემისრულდება ეს ოცნება.

ისევ მუშაობას შეუდგა. სათითაოდ ეზიდებოდა დაჩეხილ ლოდებს და ერთმანეთის მიყოლებით მწყობრად ალაგებდა. დიდ ქვას ცალკე სდებდა, საძირკველში გამომადგებაო.

კარგახანს იმუშავა. დაიღალა, ისე არ გასძნელებია ქვების ამოყრა, როგორც ახლა მისი ზიდვა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე, ღრმად სუნთქავდა, წელი ეტკინა.

საქმეს რომ მორჩა, ისევ იმ ლოდზე ჩამოჯდა წელან რომ ისვენებდა, სახიდან ოფლი ჩამოიწმინდა, სული მოითქვა, რომ იტყვიან, მუხლებს ქარი ამოალებინა, შემდეგ ჯიბიდან თამბაქო ამოიღო ქისით, გაბანა ქაღალდში შეახვია, მოუკიდა, გემრიელად გააბოლა და თან ლოტკინის გორაზე გაფანტულ ქოხმახებს გადახედა.

მზე დიდგორისაკენ დაშვებულიყო. საღამოვდებოდა. ლოტკინელებს უკვე დაემთავრებინათ მუშაობა, ქუჩებში გამოშლილიყვნენ და ჯგუფ-ჯგუფად გაჩერებულნი. თითქოს სადღესასაც ეპირებიან წასვლასო, სჯა-ბაასი გაეჩაღებინათ.

მიხოს ყურადღება არ მიუქცევია მათთვის. უცბად სოფელი გაახსენდა. წინა კვირას იყო იქ და რომ არ წასულიყო, ის ერჩია. საშინელი სურათი ნახა. მთელი ხალხი ბაღ-ვენახებში იყო გაშლილი. სასხლავი მაკრატლების ნაცვლად, წალდი და ნაჯახი აელოთ ხელში და ერთიანად ჩეხდნენ ყინულისაგან დამზრალ ვაზს.

მამასთან ერთად მიხომაც პირწმინდად გაკაფა ვენახი. ვენახს ვინა ჩივის, ატმისა და გარგარის ხეებიც თან მიაყოლა. კაკლების მოჭრაც უნდოდა, მაგრამ ვერ გაიმეტა, ლავი შეიკავა იმ იმედით, იქნებ გადარჩესო, თუ არ გადარჩება, მაშინ მოვჭრიო.

ასეთი ცოდვის ხილვას არასოდეს შესწრებია მიხო. რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როცა ყინვას ვაზი დაუზიანებია, კვირტი მოუსუსხავს და იმ წელს გლეხკაცისათვის მოსავალზე ხელი აუღებინებია, მაგრამ ხალხს ვაზი ძირში რომ გაეკაფოს, ასეთი რამ ერთის მეტად არ ახსოვს. ეს იყო ერთი თვის წინათ. მაშინ მიხო თერთმეტ-თორმეტი წლის თუ იქნებოდა.

ამ ზამთარმა კი ერთიანად აალებინა ხელი როგორც ყურძენზე, ისე ხილზე.

მიხომ სინანულით თავი გააქნია, თამბაქო ღრმად მოქაჩა, თითქოს ჯავრი ამაზე უნდა იყაროსო. მერე ზეზე წამოდგა, თვალი აქეთ-იქით მოატარა და უნებურად დათიკოს სახლზე შეაჩერა მზერა.

ჭიშკარი ღია იყო. ეზოში უცხო ხალხი ფუსფუსებდა: ნეტა ვინ არიან და რას აკეთებენო, გაიფიქრა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა.

დათიკოს სახლის ეზოში წელანაც მოჰკრა თვალი უცნობ მამაკაცებს, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიუქცევია. ალბათ მუშტრები არიან, კარფანჯრის შეკვეთას აძლევენო.

ახლა კი ეჭვი აღეძრა, ისინი მუშტრები არ უნდა ყოფილიყვნენ.

— ქეიფს თუ იხდის და სტუმრები ჰყავს მოწვეულიო, — დაასკვნა ბოლოს და ეს აზრი მეორე წუთს უარყო, რადგან ფუსფუსე ხალხი სულაც არა ჰგავდა საქეიფოდ მოწვეულ სტუმრებს.

ისინი საქმეში იყვნენ გართულნი. ზოგს სკამი მიედგა და აივნის ბოძზე ლურსმანს აჭედებდა. ზოგი ამ მიჭედებულ ლურსმანზე მავთულს ჭიმავდა და რაღაც ფარდაგს ამაგრებდა. ზოგნიც სხვადასხვა საქმეზე ტრიალებდნენ.

ეზოში თვითონ დათიკოსაც მოჰკრა თვალი. სხვებთან ერთად ისიც საქმეში იყო გართული. ვერ გაიგო მიხომ დათიკოს ეხმარებოდნენ ის უცხო მამაკაცები თუ დათიკო ეხმარებოდა მათ. ჭიშკართან უბნის ნახევრად შიშველი ბავშვები არეულიყვნენ ერთმანეთში და ცნობისმოყვარეობით იჭყიტებოდნენ შიგნით.

მიხოს უფრო აეშალა ცნობისმოყვარეობის საღერღელი. ნეტა რა ამბავიაო, — ამბობდა გაკვირვებით.

ახლა ისიც შენიშნა მიხომ, რომ ეზოებიდან ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად გამოშლილი მცხოვრებლები დათიკოს სახლისაკენ მიემართებოდნენ.

მცირე ხნის შემდეგ იმდენი ხალხი მიაწყდა დათიკოს ეზოს ჭიშკარს, ქუჩაში ტევა არ იყო. შინ თითქმის აღარავინ დარჩენილიყო: ბავშვი, ახალგაზრდა, მოხუცი ერთმანეთში არეულიყო და ერთი ხორხოცი იდგა.

მიხომ მუშაობას თავი დაანება და პირდაპირ იქით გასწია. ერთი სული ჰქონდა შეეტყო, რა ხდებოდა დათიკოს სახლის ეზოში.

ჯერ ახლოს არ მისულიყო, რომ შორიდან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე შენიშნა ჭიშკარზე გამოკრული აფიშა სულმოუთქმელად წაიკითხა წარწერა, რომელიც ამცნობდა ლოტკინის უბნის მცხოვრებლებს, რომ დღეს გიორგი ჯაბაურის დასი ლოტკინის უბნის ღარიბ-მცხოვრებთათვის უფასოდ მართავდა წარმოდგენას დათიკოს ეზოში.

მიხო კმაყოფილებით შეხვდა ამ განცხადებას. ჯაბაურის დასის შესახებ ბევრი რამ გაეგონა მუშებისაგან. ისიც იცოდა, რომ ჯაბაურის სახალხო თეატრთან ერთად თბილისში არსებობდა მურაშკოსა და არაქსიანის სახალხო თეატრები, რომლებიც წარმოდგენებს მართავდნენ ღარიბთათვის ვეტცელის სასტუმროში, რენესანსის ბაღში, პოლონეთის სახლში, გერმანელთა სახლში, გრენადერთა თბილისის პოლკის ყაზარმაში. ამ წარმოდგენებს უამრავი ხალხი ესწრებოდა, მათ შორის მთავარი სახელოსნოების მუშებიც.

მიხომ, რა თქმა უნდა, იცოდა ამ თეატრების არსებობა, იცოდა რა დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდნენ ეს თეატრები მუშათა წრეებში. მაგრამ ნახვით კი არ ენახა. საერთოდ რა იყო სპექტაკლი, წარმოდგენა არა ჰქონდა. ერთხელ იყო ნამყოფი ნიკიტინების ცირკში, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო და ეს...

ახლა რომ შეიტყო ჯაბაურის დასი წარმოდგენას მართავს დათიკოს ეზოშიო, სიხარულით ცას ეწია. თავიდან რომ მცოდნოდა, მეც მივეხმარებოდი რაიმე საქმეშიო, ამბობდა გუნებაში.

გულმა ველარ მოუთმინა, ჭიშკართან შეგროვილი ხალხი მხრით გაარღვია, შიგნით შევიდა და იქაურობა მოათვალიერა.

საზეიმო განწყობილება სუფევდა დათიკოს კოხტად დაგვილ-გაკრიალებულ ეზოში. აივნის სიგრძეზე, რომელსაც სცენის მაგივრობა უნდა გაეწია, ფარდის ნაცვლად, ევას მზითვის დიდი ხალიჩა ჩამოეფარებინათ. სცენის წინ კი, საკმაოდ ღრმა ეზოში, გრძელი, გაურანდავი ფიცრებისაგან ერთიანი სკამები გაეკეთებინათ, რომ ხალხი ბლომად დატეულიყო.

თვითონ დათიკო ჩარიგებული სკამების ბოლოს იდგა, მსახიობებს შორის და რაღაცას ელაპარაკებოდა. როგორც კი დაინახა ეზოში შესული მიხო, შორიდანვე გაუღიმა, ხელის აწევით მიესალმა, კარგია შენც აქ ყოფილხარო, თქვა მისი დანახვით ნასიამოვნებმა და გვერდით მდგომ შუახნის კაცს რაღაც უთხრა, მერე ისევ მიხოსაკენ შემობრუნდა და ხელით ანიშნა: ხალხი შემოუშვიო.

მიხო გარეთ გავიდა და ხალხს მიმართა ეზოში შემოსულიყვნენ.

ისედაც აჟრიამულებულ ლოტკინელებს ფუსფუსი შეუდგათ. ერთბაშად ჭიშკარს მიესივნენ და ერთმანეთს შესვლას არ აცლიდნენ. ყველას უნდოდა უმალ შეეტყო რა უნდა მომხდარიყო წარმოდგენაზე, ან საერთოდ რა იყო ეს წარმოდგენა, რა უნდა ეთამაშათ მსახიობებს.

მალე დათიკოს დიდი ეზო ხალხით გაივსო. დათიკო აივნის გასწვრივ იდგა და პოულობდა სკამებზე დამსხდარიყვნენ, პატარებს წინა რიგები დაეკავებინათ, მოზრდილებს უკანა რიგები.

ხალხი ისე იქცეოდა, როგორც დათიკო ურჩევდა. პატარები წინა სკამებზე მოთავსდნენ, დიდები უკანაზე. ვისაც ადგილი არ შეხვდა, მიწაზე მოიკეცა.

მიხო, დათიკო და ევა შინიდან ჩამოტანილ სკამებზე მოთავსდნენ, გვერდითა მხარეს, ისე რომ სხვისთვის ხელი არ შეეშალათ.

უცბად ხალხში ჩოჩქოლი შეიქმნა. სცენაზე კონფერანსიე გამოვიდა და ფარდის წინ გაჩერდა. თან ხელი ასწია მაღლა და ამით ანიშნა მაყურებელს სიწყნარე დაეცვათ.

ხალხი დაწყნარდა, გაირინდა. კონფერანსიემ განაცხადა, რომ დღეს ლოტკინის უბნის ღარიბ მცხოვრებთათვის გიორგი ჯაბაურის დასი უფასოდ მართავს ორმოქმედებიან კომედიას — „არკადიას სადილს", — რომელიც ეხება თამამშევის ქარვასლაში მომსახურე ნოქრების ცხოვრებას. სპექტაკლის შემდეგ კი გაიმართებოდა დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებდნენ მუშა-პოეტები და აგრეთვე ცალკეული მსახიობები.

ხალხი ჟრიამულით შეხვდა ამ განცხადებას. ატყდა ტაშის გრიალი და ხმაური. კონფერანსიემ სცენის მუშაკებს ანიშნა ფარდა გასწიეთო და არც მათ დააყოვნეს.

გამოჩნდა უბრალოდ მოწყობილი სცენა, სადაც თავი მოუყრიათ თამამშევის ქარვასლის ნოქრებს — უფულო-სოლომონას, ფიზიკა-იაგორას, ცუგო-სამსონას, ჩამჩა-მელქუას, კუზიან-საშუას და სხვებს, რომლებიც მწვავე სარკაზმით დასცინიან თავიანთ მეგობარს, ძუნწზე-ძუნწ არკადიას და მათ მოსწრებულ იუმორზე ხალხი სიცილით იგუდება.

და აი, სწორედ ამ დროს, სცენაზე შემოდის ორიგინალურ ტანსაცმელში გამოწყობილი არკადია. ხალხი მის გამოჩენას დიდი ინტერესით ხვდება. ამხანაგები გარს შემოეხვევიან, დაუწყებენ საუბარს, იქნებ როგორმე ერთი სადილი გაუმართოს არკადიამ მათ. მაგრამ ძუნწი არკადია ვერა და ვერ დაიყოლიეს. ბოლოს, როგორც იქნა, მოტეხეს და დაითანხმეს.

— კარგით, — ეტყვის ბოლოს არკადია თავის მეგობრებს, — რაც არის, — არის, ჯანდაბას თქვენიცა და ჩემი თავიც. ერთი სადი-

ლი ვერც გამამდიდრებს, ვერც გამაღარიბებს. მომავალ კვირას ყველანი ვერის ბაღში მოდით და ხომიანად ვიქეიფოთო.

მეორე კვირას, დათქმულ დროზე, ვერის ბაღში მართლაც თავი მოიყარეს არკადიას მეგობრებმა; უფულო-სოლომონამ, ფიზიკა-იაგორამ, ცუგო-სამსონამ, ჩამჩა-მელქუამ და კუზიანმა-საშუამ.

მუქთა პურმარილზე მათ თან წამოეყვანათ ორთაჭალაში, ვირების ხიდთან მოთევზავე ძმაკაცი კინტოები ავაქა, პარიკა, ცაცუკა, მერცხალუა, შაბო, ნიკიტა, ვანუა და იარმუკელი ალეიბუდეშა.

მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. იცინიან, ოხუნჯობენ, გამარჯვებას ზეიმობენ, რომ ისეთ ძუნწ არკადიას, რომლის მსგავსი მეორე არ არის თბილისში, ბოლოს-ბოლოს პირჯვარი დასწერეს და მის პურ-მარილზე ახლა მაგრად უნდა იქეიფონ.

მაგრამ არკადია რატომღაც არ ჩანს, იგვიანებს. ბოლოს როგორც იქნა გამოჩნდა მისგან გამოგზავნილი კაცი, რომელსაც ზურგზე კუბო ჰქონდა მოკიდებული.

მუშა კუბოს მოიხსნის და მათ წინ დადგამს, მერე უბის ჯიბიდან წერილს ამოიღებს და გადასცემს. არკადია სწერს: „გინდოდათ მუქთა კუბოში ჩაწოლა და ჩაწექით! თქვენი არკადია".

ხალხი სულმოუთქმელად იცინოდა, ხარხარებდა. ტაშის გრიალი და ჟრიამული მთელ ლოტკინის დასახლებას ფარავდა. მათ არც ევა, დათიკო და მიხო ჩამორჩებოდნენ.

— ჩემს სიცოცხლეში ამდენი არ მიცინია, — ეუბნებოდა მიხო დათიკოს და თან თვალებიდან ცრემლებს იწმენდდა.

სცენაზე კვლავ კონფერანსიე გამოჩნდა. წელანდელივით ხელი მაღლა ასწია, დაწყნარდითო და განაცხადა, რომ მცირე შესვენების შემდეგ მოეწყობა დივერტისმენტი, სადაც მუშა პოეტები — ანტონ განჯისკარელი, გიორგი შინატეხელი, მიხეილ ლელაშვილი, ლადო იაშვილი, შაქრო ნავთლუღელი, გიგო სეჩუაშვილი და სხვები წაიკითხავენ თავიანთ ლექსებსო:

ხალხში კვლავ ჟრიამული ატყდა.

— არ გვინდა შესვენება! — გაისმა აქეთიქიდან წამოძახილები და ამ წამოძახილებს მთელი ხალხი შეუერთდა.

— ახლავე დავიწყოთ! — გრგვინავდნენ ლოტკინელები.

— დავიწყოთ! — მყივანა ხმით გაიძახოდნენ ბავშვები და მათ ჟრიამულში აღარაფერი ისმოდა.

სცენაზე დასის ხელმძღვანელი გიორგი ჯაბაური გამოვიდა. იგი იყო საშუალო სიმაღლის, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი. მაღლა გადავარცხნილი შავი, სქელი ქოჩორი და მოხდენილი სახე, ცეცხლიანი [illegible] თვალები და არტისტული მიხვრა-[illegible] მაშინვე გაგრძნობინებდათ, რომ ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული ძვალსა და რბილში ქონდა გამჯდარი.

ავჭალის წმინდა ნინოს უბანში ჩამოყალიბებულ მის მუშათა დასს, ვინ იცის, რამდენი სიძნელე და წინააღმდეგობა შეხვედრია სანამ დაიხვეწებოდა და სრულყოფილ სახეს მიიღებდა. მას ხომ წინამორბედი არა ჰყოლია. ეს იყო პირველი მუშათა აუდიტორია ნარა და განაცხადა, რომ აკმაყოფილებს მათ ვარი სახელოსნოების მუშათა ძალებით, რომელიც სპექტაკლებს დგამდა მუშათა ცხოვრებაზე.

ჯაბაურმა, როგორც იქნა, ხალხი დააწყნარა და განაცხადა, რომ აკმაყოფილებს მათ თხოვნას. პირველ სიტყვას აძლევს ღრმალელ მუშა პოეტს გიორგი შინატეხელს.

სცენაზე გამოვიდა გამხდარი, სუსტი აგებულების, ძველმანებში გამოწყობილი ფერმკრთალი მუშა. არადამიანურ ჯაფასა და სილატაკეს წელში გაეტეხა იგი, მაგრამ სულიერად ვერ დაეჯაბნა.

შინატეხელი ახლა სხვა მუშა-პოეტებმა შეცვალეს, საღამო რევოლუციური ხასიათის მიტინგს დაემსგავსა. და როდესაც ახალგაზრდა მსახიობმა და ბრწყინვალე დეკლამატორმა ნიკო გოცირიძემ ყველაზე ბოლოს შინატეხელის ლექსი „ძირს მეფე და მისი ტახტი" წაიკითხა, ხალხი ერთბაშად მოწყდა სკამებს, ზეზე წამოიშალა და ტაშის გრიალში ხმამაღლა მორთო ყვირილი:

— ძირს მეფე და მისი ტახტი!

ხალხი ღელავდა, ბობოქრობდა, ბავშვების ჟრიამული იქაურობას აყრუებდა.

ერთი მუშა სცენაზე აიჭრა და შინატეხელს შუბლზე აკოცა. ამ ამბავმა უფრო დიდი აღტაცება გამოიწვია ხალხში, ატყდა წამოძახილები. კიდევ მოითხოვდნენ საღამოს გაგრძელებას, ადგილიდან ფეხს არავინ იცვლიდა, მაგრამ დასის ხელმძღვანელმა გიორგი ჯაბაურმა როცა განაცხადა, დღეს ეს ვიკმაროთ და მომავალში სხვა სპექტაკლებს გიჩვენებთო, მაშინ კი დაწყნარდნენ, დაშოშმინდნენ და კმაყოფილებმა ნელ-ნელა დატოვეს დათიკოს ეზო-კარმიდამო.

მიხო აღტაცებული და აღფრთოვანებული მიდიოდა შინისაკენ. იმდენი სიამოვნება, რაც ახლა განიცადა, არასოდეს არ ეგრძნო. სიზმარში ეგონა თავი. აი თურმე რად დაიარებიან ჩვენი მუშები საჩაიე „იალტაში" „ვეტცელის სასტუმროში", „რენესანსის ბაღში" თუ გერმანელთა კლუბში, რატომ ესწრებიან ჯაბაურის, მურაშკოსა და არაქსიანის მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრებსო, — ფიქრობდა და დღევანდელი წარმოდგენის ნახვით არამც თუ კმაყოფილი, ძალზე გახარებული იყო.

განსაკუთრებით დაამხასოვრდა ახალგაზრდა მუშა-მსახიობი ნიკო გოცირიძე. რა შესანიშნავი ბიჭი იყო და როგორ კარგად წაიკითხა შინატეხელის ლექსი, მთელი ხალხი აამხედრაო, ამბობდა გუნებაში და მისი მოხდენილი სახე თვალთაგან არ შორდებოდა.

ახლა თვითონაც მოუნდა სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილება სხვისთვის გაეზიარებინა. ერთი სული ჰქონდა, როდის მივიდოდა აუზის ქუჩის სარდაფში, რიმ ამხანაგებისათვის დაწვრილებით ეამბნა ის, რაც მან დღეს ნახა, განიცადა და მოისმინა.

როგორც კი ჩაათავა ლოტკინის ოღროჩოღრო დაღმართი, ნაბიჯს მოუჩქარა, მალე თავიანთ საერთო საცხოვრებელს მიადგა და დამრეცილი, უსწორმასწორო საფეხურებით სარდაფში ჩავიდა.

თერთმეტი საათი ხდებოდა. ცოლშვილის მოსანახულებლად სოფლებში წასული მუშების უმრავლესობა უკვე ჩამოჰყოლოდა მატარებლებს. ზოგს რა ჩამოეტანა, ზოგს რა. თათარიახნი პურმარილი გაეწყოთ მაგიდაზე, როგორც კვლავ, ახლაც შაქრო ჯაჯანაშვილი დაეყენებინათ თამადად, თვითონ გარშემო შემოსხდომოდნენ, გემრიელად სვამდნენ ვანო იაშვილის ჩამოტანილ მეტეხურ თავკვერს და თან გატაცებით კამათობდნენ იმ საჭირბოროტო და საინტერესო პრობლემებზე, რომლებიც დღეს ყველა მუშას ერთნაირად აღელვებდა და აფორიაქებდა.

მუშები მიხოს მხიარულად შეეგებნენ. აქეთ-იქით ჩაიწიეს და შაქროს გვერდით შუაში ჩაისვეს, თანაც, როგორც ახალმოსული, ორი ჭიქა ღვინით დააჯარიმეს.

მიხო მიხვდა, დაგვიანებული მისვლით ხელი რომ შეუშალა კამათში. ჯაბაურის სპექტაკლზე ხმა აღარ ამოუღია. ჭიქა რომ დალია, ამხანაგებს ღიმილით გადახედა და შემდეგ შაქროზე შეაჩერა მზერა, თითქოს ამით უთხრა: განაგრძე შენი დაწყებული საუბარიო.

შაქრომ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გაშალა.

— აი, რას წერს ამ პროკლამაციაში სოსო ჯუღაშვილი—თქვა და კითხვა დაიწყო—„მარტო მუშათა კლასი არ კვნესის მეფის წყობილების უღელქვეშ, თვითმპყრობელობის მძიმე თათი ახრჩობს სხვა საზოგადოებრივ კლასებსაც. კვნესის მუდამ შიმშილით დასიებული რუსეთის გლეხკაცობა... კვნესიან წვრილი მოქალაქეები, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების წვრილი მსახურები, წვრილი მოხელეები. კვნესის ნაწილი წვრილი და თითქმის საშუალო ბურჟუაზიაც, რომელიც ვერ ურიგდება მეფის შოლტსა და მათრახს, განსაკუთრებით განათლებული ნაწილი ბურჟუაზიისა, ეგრეთწოდებული თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები (მასწავლებლები, ექიმები, ადვოკატები, სტუდენტები და საზოგადოდ, მოსწავლეები). კვნესიან შევიწროებული ერები და სარწმუნოებანი რუსეთში... კვნესიან ქართველები, სომხები და სხვა ერები... კვნესიან.... მაგრამ ყველა შევიწროებულთ, ყველა დევნილთ რუსეთის თვითმპყრობელობისაგან ვერც კი ჩამოთვლით, ისინი ისე ბევრნი არიან, ყველამ რომ შეიგნოს ეს, შეიგნოს სად არის მათი საერთო მტერი, რუსეთის დესპოტური მმართველობა, ერთ დღესაც ვერ გასძლებდა“.

შაქრომ პროკლამაცია დაკეცა, უბის ჯიბეში შეინახა და მუშებს გადახედა, რომლებიც თვალმოუშორებლად შესცქეროდნენ მას

— დიახ, — განაგრძო შაქრომ თავისი სიტყვა, — ჩვენისთანა ხალხი მართლაც რომ ბევრნი არიან. ყველამ რომ შევიგნოთ სად არის ჩვენი საერთო მტერი, რუსეთის დესპოტური მმართველობა ერთ დღესაც ვერ გასძლებდა. აი, რა არის ძმებო მთავარი — ერთიანობა! იმის მაგივრად, რომ ჩვენ ერთიმეორეს მხარში ამოვუდგეთ. ერთიანი ძალით შევებრძოლოთ საერთო მტერს, ზოგიერთი მუშა განზე დგას და გულხელდაკრეფილი უყურებს მოძმეთა ბრძოლას არსებული უსამართლობის დასამხობად. მე ვერ ვიტყვი ამისთანა მუშებზე ცუდს. ისინი რა თქმა უნდა, მხარს უჭერენ რევოლუციას, სულითა და გულით ჩვენთან არიან, თანაგვიგრძნობენ. მაგრამ პრაქტიკულად ჩვენს საქმიანობაში არ მონაწილეობენ. ჩვენ უნდა განვუმარტოთ ყველას, უნდა შევაგნებინოთ თვითეულ მუშას, რომ განზე დგომა არ გამოგვადგება საერთო მიზნის განსახორციელებლად, რომ მუშტივით შეკრულმა ერთიანმა ძალამ უნდა დაამსხვრიოს ის უღელი, რომელშიაც საქონელივით ვართ შებმული. არა ვარ მართალი? — შაქრომ მუშებს მიაპყრო ანთებული მზერა.

— მართალი ხარ, მართალი! — გაისმა აქეთ-იქიდან წამოძახილები.

— მართალი ბრძანდებით! — დაუდასტურა მიხომაც.

— წელან საუბარი გვქონდა იმის შესახებ,— განაგრძო შაქრომ — რომ ამას წინანდელი გაფიცვები მარცხით დამთავრდა, რომ ვერ მივაღწიეთ იმას, რასაც მოვითხოვდით. მთავრობამ ერთი პატარა ლუკმა გადმოგვიგდო, როგორც ძაღლს გადაუგდებენ ხოლმე იმისათვის, რათა გააჩუმონ; დიახ, ასე გადმოგვიგდო ეს პატარა ლუკმა, რომ ჩვენც გავჩუმდეთ, ჩავიწყვიტეთ ხმა. მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკმაყოფილდეთ ამით, რა ვუყოთ, ამ გაფიცვებში

რომ დავმარცხდით. გულს ნუ გაიტეხთ. მომავალი კიდევ წინ არის. ეს გაფიცვები, ამავე დროს, არის ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების და მთელი საქართველოს მუშების გამარჯვება. მუშათა ეს გაფიცვა არის აგრეთვე პირველი დიდი გაფიცვა საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში. ამ გაფიცვებმა ბევრი რამ გვასწავლა საბოლოო გამარჯვებისათვის.

— მაგალითად რა გვასწავლა? — წამოიძახეს აქეთ-იქიდან მუშებმა.

— გვასწავლა ის, რომ შემდეგი გაფიცვისათვის უფრო ორგანიზებულად მოვემზადოთ ალარ დავუშვათ ის შეცდომები, რომელიც ახლა გვქონდა.

— რომელი შეცდომები? — სიტყვა შეაწყვეტინა მიხომ.

— გეტყვით რომელი... ახლა თბილისის ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ამზადებს მორიგ გრანდიოზულ პოლიტიკურ გაფიცვას. მთელი ჩვენი სახელოსნოების მუშები ემზადებიან ამ გაფიცვისათვის. უკვე შედგა საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც გააჩაღა მუშებს შორის პოლიტიკური აგიტაცია. არ დაგიმალავთ, ამ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი მუშების მხრიდან მეც გახლავართ. საგაფიცვო კომიტეტმა მუშათა სახსრების შეგროვების გზით შექმნა საგაფიცვო ფონდი და შეიმუშავა მოთხოვნები ადმინისტრაციისადმი წარსადგენად. წინა გაფიცვაზე ჩვენ თუ მოვითხოვდით ზედმეტი სამუშაოს გაუქმებას, ზედამხედველობის გადაყენებას, სამუშაოს აღრიცხვისა და ხელფასის ანგარიშსწორების წესების გაუქმებას და სხვა, ახლა ჩვენ, ამასთან ერთად, მტკიცედ უნდა მოვთხოვოთ მთავრობის სამუშაო დღის რვა საათამდე შემცირება, სალამოობით ყოველგვარი ზედმეტი სამუშაოების გაუქმება, ოცდაათ-ორმოცდაათი პროცენტით ხელფასის მომატება, ჯარიმების გაუქმება, ხელფასის თვეში ორჯერ დარიგება, მუშებისადმი უხეშად მოპყრობის აკრძალვა, შრომის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება...

— კარგია, შესანიშნავია! — ერთხმად ახმაურდნენ მუშები.

— კარგია! — კვერს უკრავდა მიხო.

— მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, — განაგრძო შაქრო ჯაჯანაშვილმა, — რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს... გაფიცვა გათვალისწინებულია ზაფხულის თვეებში. ხელისუფლებამ დაყნოსა ეს ამბავი და ძალზე შეშფოთებულია. მთავარ სახელოსნოებში უფრო და უფრო მეტი აგენტები შემოუშვა. აამოქმედა საიდუმლო მზვერავებიც, ყველა საშუალებას ხმარობს ძირშივე ალმოფხვრას მუშათა მოძრაობა და ხელი შეუშალოს ჩვენი განზრახვის სისრულეში მოყვანას. შეიძლება ხელახალი დაპატიმრებაც დაიწყოს [illegible] მოწინავე მუშებისა, მაგრამ ჩვენ ამისა არ უნდა შეგვეშინდეს. არასოდეს ისეთი ერთსულოვნება არა ყოფილა მთავარი სახელოსნოების მუშებს შორის, როგორიც დღეს. ჩვენ გვერდით დგანან ყველა ეროვნების წარმომადგენლები, სომხები იქნებიან ესენი, თათრები თუ რუსები. ჩვენ მხარს გვიმაგრებენ თბილისში პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ტულიდან გადმოსახლებული მოწინავე მუშები მიხეილ კალინინი, ივანე ლუზინი, იპოლიტე ფრანჩესკი; ჩვენ ყველა ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და იერიში მივიტანოთ. გასაგებია?

— გასაგებია! — ახმაურდნენ კვლავ მუშები.

— ნება მომეცით ერთი სიტყვა მეც ვთქვა, — ცარიელი ჭიქა გვერდით გადადო მიხომ და შაქროს მიაჩერდა თვალებში, — წელან თქვენ თქვით: იმის მაგივრად, რომ ერთიმეორეს მხარში ამოვუდგეთ და ერთიანი ძალით შევებრძოლოთ საერთო მტერსო, ზოვიერთი მუშა განზე დგას და გულხელდაკრეფილი შორიდან უყურებს მოძმეთა ბრძოლასო. ეს სიტყვები თუ ვინმეს ეხება, პირველ რიგში მე მეხება. მე ვიდექი განზე და არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია გაფიცვებში, იმიტომ კი არა, რომ არ თანავუგრძნობდე მას, აბა ვინ უნდა თანაუგრძნოს, თუ არა ჩვენისთანა ბოგანო ხალხმა. მე აქამდე ჭურში ვიჯექი და არაფერი გამეგებოდა ამ ცხოვრებისა. მარტო იმიტომ კი არა, რომ ახალგაზრდა კაცი ვარ და ცხოვრებაში გამოუცდელი. არა! ის, რაც ახლა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში ხდება, სხვაგან არც მინახავს და არც გამიგია, არც მეტივეობის დროს, არც ზეზემანის სამხერხაოებზე, სადაც მიმუშავნია. თქვენი შემწეობით მე მხოლოდ ახლა ავახილე თვალები, ახლა მივხვდი ჩვენი მონური ცხოვრების მიზეზს და ისიც გავიგე კარგად, თუ რა არის საჭირო, რომ ეს მონობის უღელი გადავიგდო კისრიდან. მეც თქვენ გვერდით მიგულეთ, ძმებო, და არაფერზე უკან არ დავიხევ, თვით სიკვდილიც რომ დამიდგეს წინ.

მიხოს სიტყვებმა საერთო მოწონება გამოიწვია მუშებში. შაქრო ჯაჯანაშვილმა ჯერ ღიმილით გადახედა იქ მსხდომთ, მერე ვანო იაშვილზე შეაჩერა მზერა და ანიშნა, ჭიქები შეავსეო.

ვანომ სალვინეს წამოავლო ხელი და ყველას შეუვსო ჭიქები.

— სანამ მორიგ სადღეგრძელოს ვიტყოდე, — თქვა ისევ შაქრომ და კვლავ მუშებს მიაპყრო ანთებული თვალები, — მე მინდა ერთი საიდუმლოება გაგანდოთ. კვირას 23

აპრილს, გიორგობა დღეს, თბილისის ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ხელმძღვანელობა მლაშე ტბის რაიონში მართავს. საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველი მაისისადმი მიძღვნილ დღესასწაულს. თუ აუცილებელი საქმე არა გაქვთ, სოფელში ნუ წახვალთ, მონაწილეობა მიიღეთ ამ ზეიმში. იქ სიტყვით გამოვლენ ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის წევრები და ხელმძღვანელები. დაესწრებით?

— აუცილებლად დავესწრებით! — თითქმის ერთხმად წამოიძახეს მუშებმა.

—ოღონდ ჯგუფურად არ წახვიდეთ. ორ-ორი, სამ-სამი კაცი წადით ერთად. იჭვი არავინ აიღოს, თორემ ხომ იცით, პოლიცია მაშინათვე თავს დაგვესხმის, ზეიმს ჩაგვიშლის; ახლა კი, ნება მომეცით, მორიგი სადღეგრძელო დავლიოთ. მოდით, ძმებო, ჩვენს სამართლიან ბრძოლას გაუმარჯოს, — თქვა შაქრომ და ღვინით სავსე ჭიქა ჰაერში აიტაცა.

— გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახეს მუშებმა.

— ამ ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაევლოს!

— ამინ!

— ჩვენი სისხლი ტყუილა არ დაღვრილიყოს!

— ამინ!

— ქვეყნად ძმობა, თანასწორობა და სამართლიანობა დამყარებულიყოს!

— ამინ!

— სირცხვილი იმ მოძმეთ, ვინც განზე გამდგარან და შორიდან გვიყურებენ!

— სირცხვილი!

— ხსოვნა და დიდება იმ ვაჟკაცებს, ვინც მეფის კატორღებში იღუპებიან!

— ხსოვნა და დიდება!

— გაუმარჯოს თავისუფლებას. ძმობას, ერთობას!

— გაუმარჯოს! — ბანს აძლევდნენ მუშები.

ხმაური რომ ჩანელდა, ივანე გზირიშვილმა — ურწმუნო თომამ, რომელიც აქამდე გაჩუმებული იჯდა და ხმას არ იღებდა, — ყველას გასაგონად წამოიძახა:

— ნეტავ რაიმეს თუ მოიტანეს ეს ბრძოლა!

— მოიტანს, აუცილებლად მოიტანს! — შეეპასუხნენ აქეთი-ქიდან მუშები.

— ნამდვილად გჯერათ რომ ჩვენისთანა ბოგანო ხალხისათვის გათენდება?

— გათენდება, აუცილებლად გათენდება! — ყველას მაგივრად მტკიცედ წარმოსთქვა ჯაჯანაშვილმა.

— შენს პირს შაქარი, ამხანაგო შაქრო. მაგრამ როდის გათენდება?

— მალე გათენდება, სულ მალე. ახლა ჯერ ღრუბლებშია გახვეული მზე, [illegible] მერე უცბად გახევს ფარდ[illegible] და გამობრნყინდება.

— შრომა დაგვიფასდება?

— რა თქმა უნდა დაგვიფასდება.

— აღარ იქნება ეს უბედურება, შიმშილი, ტანჯვა, წვალება, უთანასწორობა, უსამართლობა, ძალმომრეობა?

— აღარ იქნება!

— აღარც ქართულ ენაზე ლაპარაკს დაგვიშლიან?

— ველარავინ დაგვიშლის!

— აღარც ის ბობოლები იქნებიან სისხლს რომ გვწოვენ? ზემოდან რომ დაგვყურებენ?

— რა თქმა უნდა აღარ იქნებიან!

— შენს პირს შაქარი, მაგრამ... — ივანე გაჩუმდა.

— მაგრამ რა, ურწმუნო თომავ, თქვი! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— გამიგონია: ძალიან დიდი ხნის წინათ თურმე ერთ ბრძენს უთქვამს — ეს უთანასწორობა კაცის დადგენილი არ არის, და კაცის შვილი იმას ვერ შესცვლისო. ის ღმერთმა დააწესაო.

— ჩემო ივანე, ტყუილა კი არ დაგარქვეს ამხანაგებმა ურწმუნო თომა! ის შენი ბრძენი მოსყიდული ყოფილა! არა ვარ მართალი?

— მართალი ხარ, მართალი! — ახმაურდნენ მუშები.

ჯაჯანაშვილი ბალამწარაშვილს მიუბრუნდა.

— ბიჭო თედო, რას გაჩუმებულხარ, აბა ერთი შენებურად!

—თედომ ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და ამხანაგებთან ერთად დაბალი, გულში ჩამწვდომი ხმით თავიანთი საყვარელი სიმღერა წამოიწყო:

სადაც არის გათენდება, ალსდექ მუშავ შენ
შენი შრომაც დაფასდება, ნუ ხვრინავ შენ,
ნუ გძინავს შენ, მუშავ, მუშავ შენ.

* * *

მეორე დღეს, შაბაშის შემდეგ, შაქრო ჯაჯანაშვილი და მიხო სახარატო საამქროში ერთმანეთს შეხვდნენ. წუხელ, დაწოლის წინ, შაქრომ უთხრა მიხოს: ხვალ საღამოს, სამუშაოს რომ მორჩებით, აუცილბელად მინახულე საამქროში, საქმე მაქვსო და აი, მიხოც დაუყოვნებლივ გამოცხადდა მასთან.

შაქრომ, როგორც კი დაინახა მასთან მისული მიხო, სიხარულით სახე გაეხსნა და მხიარულად შესძახა:

— მოხვედი მიხო? აი ყოჩაღ, სიტყვის კაცი ყოფილხარ!

— რატომაც არა, ძია შაქრო!

— აქამდე ხომ მომწონდი და მომწონდი,

ეროვნული

წუხანდელმა სიტყვებმა ერთიათად გამიმტკიცეს შენდამი რწმენა.

— ჯერ ისეთი არაფერი დამიმსახურებია თქვენს წინაშე, ძია შაქრო. რა უფლება მაქვს მთხოვოთ რამე და მე უარი გითხრათ. თუკი მენდობით, რა საქმეც არ უნდა იყოს, უკან არ დავიხევ!

— ამიტომაც არჩევანი შენზე მოვიტანე ერთი დიდი დავალება უნდა მოგცე. ახლა მე სამღებრო საამქროში ერთ ახალგაზრდა მუშას გაგაცნობ, უტარო დროშებს გამოგატანს, მხოლოდ გზაში ბოდიალი არ დაიწყო, პოლიციას ხელში არ ჩაუვარდე. პირდაპირ ჩვენ სარდაფში მიიტანე და შენი საწოლის ქვეშ შეინახე. სანამ მე არ მოვალ. არავის აჩვენო. გასაგებია?

— გასაგებია, ძია შაქრო!

— მაშ წავიდეთ! — ჯაჯანაშვილმა მხარზე ხელი დაჰკრა მიხოს და თან გაიყოლა. — ხომ იცი — განაგრძო მან მცირე პაუზის შემდეგ — ჩვენ სისხლით ნათესავები ვართ. ბავშვობაში ხშირად დავიარებოდით მეტეხში, მერე აიწენა ცხოვრება და ჩვენც აქეთ-იქით მიმოვიფანტენით. ამ უკუღმართ დროს რა ვუთხრათ, აქამდე ერთმანეთს რომ არ ვიცნობდით.

— ნამდვილად, ძია შაქრო! ჩვენს ოჯახში ხშირად იყო თქვენი ხსენება!

— ჰოდა, როგორც გითხარი, ერთი სისხლის ხალხი ვართ. ამიტომაც ასე ადვილად გენდობი ყველაფერში. მწამს, სხვაზე უკეთ შენ გამიგებ და შეასრულებ ჩვენი ორგანიზაციის დავალებას.

— წელანაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, ძია შაქრო. არაფერზე უკან არ დავიხევ, რანაირი ძნელი დავალებაც არ უნდა მომცეთ. ფიქრი ნურაფრის გექნებათ!

— აბა შენ იცი!

სახარატო საამქრო გაიარეს. ის იყო სადურგლო საამქროსათვის უნდა აექციათ გვერდი, რომ შაქრო შეჩერდა და მიხოც შეაჩერა.

— მოდი ბარემ და მეორე საქმეც შენ ითავე, რაღა სხვას დავავალო? — უთხრა და თან ალერსიანად გაუღიმა.

— მესამეც იყოს, ძია შაქრო, თუ გინდ შეოთხეც. ნუ მოგერიდებათ!

— ახლა. სანამ იმ ახალგაზრდა მუშას შეგახვედრებ, სადურგლო საამქროში ერთ დურგალს გაგაცნობ. ხვალ, სამუშაოს შემდეგ, ამ კაცთან მიხვალ ბინაზე. ლოტკინის გორაზე ცხოვრობს. დასაწყისშივე და დროშის ტარებს გამოგატანს. გზაში თუ ვინმემ გკითხოს. ეს რა მიგაქვსო, უთხარი იატაკის ჯოხებიათქო. ისიც ტახტის ძირობაზე დააწყე. ერთ საღამოს იმ დროშებს მაგ ტარებზე მივამაგრებთ და მლაშე ტბების მახლობლად საპირველმაისო ზეიმზე ამ დროშებით ... საგებია?

— გასაგებია, ძია შაქრო!

— მაშ წავიდეთ!

სადურგლო საამქროში შევიდნენ. პირველივე დაზგასთან თავჩახრილი იდგა დათიკო ბუჩუკური და ვაგონის ფანჯრის ჩარჩო გამოჰყავდა.

მიხომ დაინახა თუ არა დათიკო, მაშინვე მიხვდა. მასთან რომ მიჰყავდა შაქროს.

— გეყოფა. დათიკო მუშაობა, პირობაზე როგორ ხარ? — უთხრა ჯაჯანაშვილმა მისვლისთანავე.

— კარგად! — უპასუხა დათიკომ და შაქროს ცალი თვალით გამოხედა. ეტყობა საქმის ხელიდან გაგდება არ უნდოდა, რადგან მცირე დრო სჭირდებოდა ჩარჩოს მოთავებას.

— მოეშვი მაგ შალაშინს, აი ეს ახალგაზრდა კაცი მოვა ხვალ საღამოს შენთან და დროშის ტარებს გამოატან.

დათიკომ შალაშინი გააგდო ხელიდან და გვერდით რომ შემობრუნდა, მიხო შერჩა ხელში.

— ო, მიხო! შენა ხარ, ბიჭო?! — ალერსიანად გაუღიმა დათიკომ და თან ხელი გაუწოდა, — სად დაიკარგე, რომ აღარ ჩანხარ?

— ვერ მოვიცალე, ძია დათიკო, თქვენსკენ ამოვსულიყავი. სოფელში ვიყავი წასული, — თქვა მიხომ და ისეთნაირი ღიმილით მიესალმა, თითქოს მისი საკუთარი მშობელი ყოფილიყოს.

— საიდან იცნობთ ერთმანეთს? — გაკვირვებით იკითხა შაქრომ.

— როგორ თუ სახიდან, ჩემს მეზობლად აპირებს დასახლებას — თქვა დათიკომ.

— მართლა სახლს აშენებ, ბიჭო?

— ვაშენებ, ძია შაქრო, თუ ავაშენე.

— ყოჩაღ, კარგი საქმე წამოგიწყია. გაქვს მერე მაგის წელი?

— ვნახოთ!

— თქვენ საიდანღა იცნობთ ერთმანეთს? — იკითხა ბოლოს დათიკომ.

— როგორ თუ საიდან, ჩემი ბიძაშვილის შვილია! — ამაყად თქვა შაქრომ

— ბიძაშვილის შვილი?! — თვალები გაუბრწყინდა დათიკოს — ახლა კი აღარ მიკვირს, რატომაა ასეთი კეთილშობილი ახალგაზრდა.

შაქრომ სიამაყე იგრძნო დათიკოს სიტყვებზე.

— მაშ ასე, ძია დათიკო, — უთხრა ბოლოს ჯაჯანაშვილმა, — ხვალ საღამოს მიხო მოვა თქვენთან და წამოიღებს იმ დროშის ტარებს. არ დაგავიწყდეს, თუ გაქვს. ცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა კანაფიც გამოატანე, მისაბმელად დაგვჭირდება.

— კი ბატონო, კანაფსაც გამოვატან, მაგრამ რატომ დღეს არ გინდათ წაილოთ?

— დღეს სხვა დავალება აქვს მიხოს, იმას გააკეთებს, ხვალ კი შენთან მოვა!

— ეგრე იყოს, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს!

— მაშ ჯერჯერობით, კარგად იყავი, სამღებრო საამქროში კაცი გველოდება და ცოტა გვეჩქარება.

— წაბრძანდით! — თქვა დათიკომ და თავის საქმეს შეუდგა.

სამღებრო საამქროში შაქრომ შორიდანვე მოჰკრა თვალი ნიკო გოცირიძეს. მას სამუშაო ტანსაცმელი გამოეცვალა, საგარეო ჩაეცვა და მათ მოლოდინში ბოლთას სცემდა. შაქრომ დანახვისთანავე აუქნია ხელი, მოვდივართ და ნაბიჯს აუჩქარა. ნიკოც მათკენ გამოემართა.

ერთმანეთს მიესალმნენ. შაქრომ მიხო წარუდგინა გოცირიძეს.

— იცნობდეთ, ჩემი ბიძაშვილია, ამასთან ნურაფრის მოგერიდება, კარგი ვაჟკაცია! — უთხრა და მიხოს მხარზე ხელი დაჰკრა.

მიხომ ხელი ჩამოართვა გოცირიძეს და თავით-ფეხამდე შეათვალიერა. იცნო, დანახვისთანავე იცნო, მიხომ გოცირიძე, ჯაბაურის მუშათა თეატრის მსახიობი, დათიკოს ეზოში გამართულ სპექტაკლის „არკადიას ოინების“ დამთავრების შემდეგ შინატეხელის ლექსი რომ წაიკითხა და მთელი ხალხი რომ აიყოლია.

მაშინ ხომ მოეწონა მიხოს გოცირიძე და ახლა, რომ იტყვიან, გული შეუვარდა, თავის მხრივ ნიკოსაც მოეწონა ეს წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი და თვალი ზედ დარჩა.

— მაშ ასე, — თქვა შაქრომ და ნიკოს შეხედა, — მე ახლა სხვა საქმეზე გავრბივარ და დრო არა მაქვს პატარა გვესაუბრა. მიხოს წაიყვან და დროშებს გამოატან. რამდენი ცალი გაქვს მზად?

— რამდენიც მითხარით!

— ასე უცბად მოასწარი?

— ორი ღამე არ მძინებია!

— ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ! გავიქეცი ახლა, აბა თქვენ იცით!

შაქრო წავიდა. ნიკო და მიხოც გაუდგნენ გზას.

— სად მივდივართ ახლა? — იკითხა მიხომ.

— ჩემთან!

— ვიცი რომ შენთან მოვდივარ, მაგრამ სადა გაქვს შენახული ის დროშები, აქ, საამქროში?

— არა, ბინაზე! აქ დახატვა და შენახვა არ შეიძლება, ათასი ჯაშუშით არის სავსე ჩვენი ქარხანა. შინ მაქვს შენახული.

— სად ცხოვრობთ?

— ანჩისხატის უბანში. პატარა წმინდა გიორგის ეკლესია რომ არის, იმის გვერდით ყოფილხართ იქით?

მიხოს გაეცინა.

— არა, არა ვყოფილვარ, თბილისს არ ვიცნობ კარგად, გარდა ნაძალადევისა. ერთი ორჯერ ვარ გავლილი გოლოვინის პროსპექტზე. ეგ არის და ეგ.

— რამდენი ხანია, რაც ჩვენ ქარხანაში მუშაობთ?

— მეორე წელია!

— შავ მუშად მუშაობთ?

— დიახ, შავ მუშად ვმუშაობ!

— სადაური ხართ, გორიდან?

— არა, მეტეხი გაგიგონიათ?

— როგორ არ გამიგონია.

— ჰოდა, იქაური ვარ!

— მეც ქართლელი ვარ. მამაჩემი რაჭიდან გადმოსახლებულია სოფელ დგვრისში, გაგიგონია ეს სოფელი? ცხინვალთან ახლოს არის

— როგორ არ გამიგონია!

— ჰოდა, იქა ვარ დაბადებულ-გაზრდილი. ახლა სადა მცალიან, მაგრამ ადრე, ბავშვობაში, ზაფხულობით ხშირად ჩავდიოდი სოფელში. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა სოფლის ტოლბიჭებში გავერეოდი და მათთან ერთად ვთამაშობდი.

☐გაგრძელება იქნება☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე შამათავა

# ფილოსოფიის მასწავლებელი

## პირადი საქმე № 39500...

თუ კომუნისტი გქვია სახელად,
ძალა არ არი შენი მომრევი.
შენ ხალხს ეკუთვნი არა ნახევრად,
არამედ მთელი ცხოვრებით.

შოთა ნიშნიანიძე

რა საოცრება არ ხდება ადამიანის ცხოვრებაში. მით უფრო, როცა ის მძაფრ სოციალურ შეჯახებათა პირობებში, სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ვითარებაში მიმდინარეობს, მის მუდამ მღელვარე მისწრაფებათა, ოცნებათა გზაკვალად, მის სწრაფ დინებათა ტალღებში ტრიალებს, ტოვებს თავის უქრობ ანაბეჭდს.

ამისდაკვალად, ზოგჯერ კაცი უეცრად წააწყდება მებრძოლი ადამიანის საინტერესო ამბავსაც, რომელიც დიდხანს აფიქრებს და სასიამოვნო მოგონებად, თანამგზავრად გაჰყვება ხოლმე მისი საოცარი თავგადასავალი.

ასე გამოჩნდა უქკნობი საბრძოლო დიდების გზაზე ქართველი კომისრის კალენიკე გიორგაძის სახელიც და დიდი ხნის კვლევა-ძიების დაზუსტების შემდეგ ნაწილობრივ მაინც აღსდგა მისი შთამაგონებელი სახე.

დიდ, უმაგალითო, ოთხწლიან ომში, მისებრ გულანთებულ ათასებთან ერთად, ბრძოლის ველზე, ორი წლის შეუპოვარი, უწყვეტი ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეჯახებისას, ვაჟკაცურად დაეცა იგი, სისხლისაგან დაიცალა მისი ორგანიზმი, მაგრამ დარჩა მისი ნათელი, უკვდავი სახელი, სანიმუშო მამულიშვილური საქმე და მებრძოლური სულისკვეთება ბოლშევიკისა. მან ღირსეულად ატარა კომუნისტის მაღალი სახელი.

წმინდად შეინახეს მისი სპეტაკი სახე, მისი უქრობი მეომრული საქმე მებრძოლმა ადამიანებმა და პირველი მართალი სიტყვაც მისმა თანაპოლკელებმა თქვეს, სიყვარულითა და მოწიწებით გაიხსენეს იგი, გამოაჩინეს საყვარელი ხელმძღვანელი... შემდეგ კი ომის ვეტერანები ჩაებნენ კვლევა-ძიებაში, მიუვნენ მისი საბრძოლო ბიოგრაფიის გრძელ, დახლართულ გზაკვალს, მისი საბრძოლო ცხოვრების, თავგადასავლის აღსადგენად.

ბუნებრივია, ბევრ რამეს თავად კომისრის „პირადი საქმე" № 39500, სამხედრო-საზღვაო ფლოტის არქივის დღემდე მდუმარე, უტყვი ბინადარი ინახავს. მოწიწებით ვკიდებთ ხელს, დაკვირვებით ვათვალიერებთ პოლკის კომისრის „პირად საქმეს", რას იტყვის, რას გვამცნობს იგი?

მოდით, ცოცხალი ადამიანივით გავეცნოთ, გავესაუბროთ მას, ვნახოთ, რას გვეტყვის საინტერესოს, რას გვიამბობს ახალსა და დაუვიწყარს მებრძოლი კაცის ჟ[illegible]ხელი?

ადამიანის ცხოვრება-მ[illegible]ბის, მისი მრავლის მთქმელი ბიოგრაფიი[illegible]ამსახველი დოკუმენტების ფონზე, არანაკლებ მეტყველი და კოლორიტულია აქვე წარმოდგენილი კომის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ორი ფოტოსურათი. როგორც ჩანს, ისინი სხვადასხვა დროსა და ვითარებაშია გადაღებული — აი პირველი: ჩვენს წინაა, ჩვენ შემოგვცქერის ფართო შუბლით, ნათელი გონების, ღრმა აზრის, ჩაფიქრებული, ქკვიანი გამომეტყველების თვალებით, მტკიცე ხასიათის ადამიანი! იგი შუახნისაა, ბევრის მნახველი, გადამტანი, ამიტომაც თვალის უპეში ნაოჭები მოძალებია, მომავლის იმედით გასცქერის ქვეყანას; იმ დროის ნიშანდობლივი მწვანე, მდელოსფერი, ნახევრად მხედრული პიჯაკი აცვია, როგორსაც იმას წინათ ჩვენში რომ იცვამდნენ, სამხედრო წოდების განმასხვავებელი ნიშნების გარეშე. გვჯერა, რომ ის დიდი ადამიანური, მაღალი მოვალეობის შეგნებული შემსრულებელი, გადამწყვეტი მოქმედების კაცია!

მეორე ფოტოზე ის უკვე ომშია, დიდი სამამულო ომის მონაწილე, სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე მყოფი, „საბრძოლო ნათლობა" მიღებული, სამხედრო პირია, პოლკის კომისრის წოდებით, ბრძოლაგადახდილი, დაჭრილი, პირველი საბრძოლო წარმატებათა სიხარულიც განუცდია და პირველი ჭრილობათა ტკივილებიც უგემია, გულად მეზღვაურთა ქვეითი ბრიგადის ბრძოლების ერთ-ერთი ორგანიზატორია და მებრძოლთა მასების პოლიტწინამძღოლი, ომის პირველი და მეორე წლის გმირს, მკაცრი ფიზიკური და მორალური გამოცდა წარმატებით ჩაუბარებია და მზადაა კვლავაც ძნელი გზით იაროს დასახული კეთილშობილური მიზნის მისაღწევად, კვლავაც იმედიანი, გამარჯვების ურყევი რწმენით აღსავსე შემოგვცქერის სამშობლოსა და ხალხის ერთგული შვილი, მებრძოლი ადამიანი!

აი, როგორ გვესახება, წარმოგვიდგება მაღალი იდეური, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებების მქონე ეს ადამიანი და ამას აქ, მის ვაჟკაცობას პირად საქმეში დართული მისი მოუსვენარი, ბობოქარი ცხოვრების ამსახველი საბუთები და ფაქტები დასტურს აძლევენ სრულად და დამაჯერებლად; მართალია მისი დოკუმენტები ბევრი არ არის, არც ვრცელია, გაანალიზებული, სპეციალისტის მიერ ბოლომდე ამოკითხულიც არ არის; ცხადია, ყველას ომის მკაცრი დროის კვალი აზის, თოფის წამლის სუნი აქვს, სისხლის კვალი ამჩნევია, მის შესატყვისად, მოკლედაა თქმული, შეკუმშულადაა წარმოდგენილი მთავარი, დამახასიათებელი ფაქტი, ამბავი, მოვლენა თუ მეომრული თავგადასავალი, მაგრამ მაინც ძვირფასია, განუმეორებელი, ბევრის მთქმელი, წარმოგვიდგენს მისთვის დამახასიათებელ მაღალ ადამიანურ თვისებებს — სიმართლეს, პირდაპირობას, ერთგულებას, მამაცობას, თავმდაბლობას, პრინციპულობას, რომელიც ასე ამშვენებს მას.

მის „პირად საქმეში" ქკვიანური აზრი, კეთილი გრძნობაა საკუთარი ხელ[illegible] [illegible]ლით გადმოცემული, ალალმართლად, გაუზვიადებლად დაწერილი, მისი გონებით დადასტურებული, წმინდა სისხლით განმტკიცებული. ყოველივე ეს ძვირფასია დღესაც, მით უფრო, რომ ზუსტად აღმნუსხველი სხვა დოკუმენტებ[illegible] არც ისე ბევრი გვაქვს; მრავალი მნიშვნელოვანი ამბავი სამუდამოდ თან გაჰყვა, სამარეში ჩაჰყვა შინმოუსვლელ გმირსა და კომისარს... რასაც დოკუმენტი ვერ იტყვის, მისი ერთგული ადამიანები, თანაპოლკელები და ვეტერანები დაუმატებენ, განავრცობენ მის ნიშან-თვისებათა სრულსაყოფად.

ვფურცლავთ კომისრის კალენიკე გიორგაძის „პირად საქმეს" — № 39500, მისი შინაარსიანი, ლამაზი ცხოვრების მატიანის სამოცდარვა გვერდს. ვეცნობით მასში თანმიმდევრობით დალაგებულ, თავმოყრილ დოკუმენტებს, საკუთრივ ხელით დაწერილ მის ავტობიოგრაფიას, მისავე ხელმოწერით დადასტურებულს, სააnkეტო კითხვებზე გაცემულ პასუხებს, ჩანაწერებს, დახასიათებებს, პატაკებს, მასზე უფროსთა მიერ წარწერილ დასკვნებს, რეზოლუციებს, დაჯილდოებათა ფურცლებს, სამსახურებრივ სიას, მაშინდელ ფოტოებს და ა. შ.

ამ საბუთებში მოცემული, გაბნეული, მარცვალ-მარცვალ ამოკრეფილი, გაანალიზებული, თანმიმდევრულად დალაგებული, თანაპოლკელთა და ვეტერანთა მიერ კომენტირებული, ეს ფაქტები და ამბები ნათლად, თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენენ ბოლშევიკი-ლენინელის, მებრძოლი კომისრის შესანიშნავ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის დაუვიწყარ, მისაბაძ სახეს.

კალენიკე გიორგაძე ბავშვობიდანვე მშრომელ ადამიანებთან იზრდებოდა, მათთან ტრიალებდა, მათი ნათელი აზრის, კეთილი საქმის კეთილმყოფელი მაგალითი უხსნიდა გონებას, უნათებდა ცხოვრების გზა-კვალს; დიდი ომის ყველაზე უმძიმეს მომენტშიც იგი მასებთან იყო, მათთან გულით მიიწევდა ბრძოლის მოწინავე ხაზზე, რათა იარაღით დაეცვა ჩვენი წმიდათა-წმიდა იდეა, სოციალიზმის დიადი მონაპოვარი და საბჭოთა სამშობლო. მებრძოლ ადამიანებთან, გულად მეზღვაურებთან ერთად, მათს საბრძოლო მწყობრში სამოქმედოდ, საბრძოლველად მიუწევდა გული. მან ჩინებულად იცოდა რა რთული, პასუხსაგები იყო ეს შემართება, ეს მოვალეობა, საქმე და ისიც ამაზე, ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ჟამს – საბრძოლო პოსტზე მიდიოდა შეგნებულად, გაგებით და გულისყარნახით. ამაზე ფაქტები, საბრძოლო ამბები გვიამბობენ დამაჯერებლად.

„პირად საქმეში" სხვა საინტერესო მასალებთან ერთად დევს კომისრის დაჯილდოების სამი ფურცელიც. თავისებურია და ორიგინალური ყოველი მათგანი, დამახასიათებელია თითოეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შინაარსი, მათში მოცემული კონკრეტული ფაქტობრივი მონაცემები, მისი საბრძოლო, ბიოგრაფიული ცნობები, მეომრული სამსახურის ამსახველი მასალები, ადამიანურ ნიშან-თვისებათა გამომხატველი.

ეს მეომრული დოკუმენტებიც ცხადად გვიჩვენებენ მებრძოლ კომუნისტს, ბრძოლის ველზე ადამიანთა უნარიანად მოქმედების ჭკვიან ორგანიზატორს, მეზღვაურთა მამაც და გულისხმიერ წინამძღოლს, მკაცრი და გმირული დროის — 1941 — 1943 წლების, სამი ფრონტის: ლენინგრადის, ყირიმის, კავკასიის, სამი სახელოვანი, გმირი ქალაქის — ლენინგრადის, სევასტოპოლის და ნოვოროსიისკის დაცვის, დიდი ბრძოლების მონაწილეს, რომელსაც კანონიერად ეკუთვნის აქ საზეიმოდ მოცემული სალუტთა ნათება, მადლიერ ადამიანთა პატივისცემა და სამარადისო დიდება!

თავად ბუნებით თავმდაბალი, პირადად უპრეტენზიო ადამიანი, კომისარი ითხოვდა მაქსიმუმს იმისას, რაც მას შეეძლო გაეკეთებინა შრომასა და ბრძოლაში, რათა მეტი სარგებლობა მოეტანა მებრძოლი კოლექტივის, თანაპოლკელთა და საზოგადოებისათვის. მის პატაკში ერთგან ხაზგასმითაა მითითებული (მას ჰქონდა ამისი თქმის უფლებაც, მაგრამ სხვა დროს არც უთქვამს და არც დაუწერია) მისი აკადემიური სამხედრო ცოდნისა და საკმაო პრაქტიკული გამოცდილების შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ თვალნათლივ დაერწმუნებინა ზემდგომი საზღვაო სარდლობა თავისი თხოვნის, სურვილის სამართლიანობაში, რომ მიუხედავად სამგზის მძიმე ჭრილობისა, იგი ნაცადი პოლიტმუშაკი ძნელბედობის ჟამს, ჯანსაღადაა, კვლავაც ივარგებს ბრძოლის შუაგულში, წინა ხაზზე მებრძოლი ნაწილის მეთაურად, მეზღვაურთა წინამძღოლად, კვლავინდებურად იმოქმედებს მორიგ ბრძოლაშიც, იარაღით იბრძოლებს საბჭოთა სამშობლოს დასაცავად.

ბუნებრივია, მას დაუჯერეს მართალი სიტყვა, აუსრულეს გულისწადილი, კვლავაც თვალსაჩინოდ დაამტკიცა მოწინააღმდეგესთან ახალ, მძაფრ, სისხლისმღვრელ იარაღით შეტაკებაში თავისი სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ჯარების გაძღოლის ნიჭი და უნარი, მათი ბრძოლის ველზე ოსტატურად მართვის ხელოვნება.

### პარტიის ჯარისკაცი

იმ უმძიმეს დროს, როცა წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როცა ტყდებოდნენ ფეხქვეშ ხიდები, ტყვიით ნასეტყვი და ხმლით ნაცელი, წინ მიდიოდნენ კომუნისტები, დიდი პარტიის ჯარისკაცები". დიახ, კომუნისტები წინ უძღოდნენ მებრძოლ მასებს, ბრძოლის ველზე სასწაულებს რომ ახდენდნენ, ამაღლებდნენ მათ მებრძოლ სულისკვეთებას...

წინ მიდიოდა კომუნისტი, დიდი პარტიის ერთგული ჯარისკაცი. იგი მებრძოლი, თავმდაბალი, სპეტაკი ადამიანი იყო, თავისი უანგარო ღვაწლითა და შემართებით თანამედროვეებს განაცვიფრებდა, აღანთებდა სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებებისათვის ბრძოლაში, მოვალეობის ერთგულებითა და თავდადებით იგი მუდამ ჩვენთანაა, თაობათა მოსაგონარი, მისაბაძია თავისი საბრძოლო დიდებით მოსილი — ბოლშევიკური გვარდიის, რევოლუციური სულისკვეთების, მერძოლი კაცი, ღირსეული, პარტიის წევრი 1914 წლიდან, გამოცდილი პარტიულ-პოლიტიკური მუშაკი, პედაგოგი, ფილოსოფიის მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის გმირი, პოლკის კომისარი, მეომართა მასების აღმზრდელი კალენიკე გიორგაძე.

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსსახსოვარი გზა განვლო კალენიკე გიორგაძემ. იგი დაიბადა 1899 წლის 28 მაისს, თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში, მშრომელი გლეხის ოჯახში. ქუთაისელი ბოლშევიკების კეთილმყოფელი ზეგავლენით, იგი ადრე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში და თხუთმეტი წლის ყმაწვილი კაცი, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, მიიღეს ბოლშევიკური პარტიის რიგებში. და არც შემცდარან ქუთაისელი ბოლშევიკები თავიანთ გადაწყვეტილებაში. მან გაამართლა მათი დიდი ნდობა და იმედი. ჭაბუკი ჯერ კიდევ ქუთაისის მესამე გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე იყო, როცა მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, ასრულებდა პარტიული ორგანიზაციის დავალებებს. ქუთაისელმა ბოლშევიკებმა აღზარდეს იგი, ტყიბულელმა მეშახტეებმა გამოაწრთეს. ახალგაზრდა რევოლუციონერი, ბოლშევიკი ოთხჯერ იყო დაჭერილი — ფოთში, ქუთაისში, სიმონეთსა და თბილისში, მაგრამ ყოჩაღი ყმაწვილკაცი ოთხჯერვე ციხიდან გაქცევით პოულობს თავისუფლებას და კვლავ, შეუწყვეტლივ განაგრძობს რევოლუციონერის მძიმე, კეთილშობილურ გზასა და ცხოვრებას.

1919 წელს კალენიკე გიორგაძე მობილიზაციით რამდენიმე თვეს იყო მენშევიკურ ჯარში; კარგად, მოხერხებულად სარგებლობს იგი ამ შემთხვევით და ბოლშევიკ ამხანაგებთან ერთად ეწევა არალეგალურ პროპაგანდისტულ მუშაობას ჯარის ნაწილებში, პირად შემადგენლობას შორის, რის გამოც მას კვლავ აპატიმრებენ, მაგრამ პარტიული ორგანიზაციის დახმარებით მალე გაიქცა პატიმრობიდან და კვლავ აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში ჩაება.

1920 წლის 2 მაისს თბილისში მოეწყო შეიარაღებული ბოლშევიკური გამოსვლა, იუწყებოდა რევოლუციური მოძრაობის მატიანე.

მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყოფილა ოცდაერთი წლის რევოლუციონერი, კომუნისტი კალენიკე გიორგაძეც. — ამ გამოსვლის ხელმძღვანელები, მისი აქტიური ორგანიზატორები, — დასძენს „ავტობიოგრაფიის" ავტორი, — იყვნენ რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, მამაცი, უშიშარი ბოლშევიკები სანდრო მახარაძე და ვანო ჭეჭელავა, მათ უნარიანად მოამზადეს, გაბედულად სცადეს ძალზე სერიოზული პარტიული დავალების — თბილისის იუნკერთა სასწავლებლის განიარაღება და შემდგომ უფრო მნიშვნელოვანი დავალების შესრულება.

მათ გამჭრიახობით, სწრაფი მოქმედებით, თავგამოდებით განახორციელეს შთანაფიქრის პირველი ნაწილი: ერთი მუჭა რევოლუციონერთა ჯგუფი, ცამეტი კაცის შემადგენლობით, ღამით, თორმეტის ნახევარზე შეუმჩნევლად შეიჭრა იუნკერთა სასწავლებელში, იარაღი აყარა მის დაცვას, ხელთ იგდო იარაღის საწყობი, შეუდგა დასახული გეგმის შესრულებას. ვინ იცის რით და როგორ დამთავრდებოდა გაბედულთა ეს უეცარი რეიდი! მაგრამ მოულოდნელი თავდასხმით გაოგნებული იუნკერთა სასწავლებლის სარდლობა, პირველი შეტაკებისა და გასროლის შემდეგ, გამოერკვა, გონს მოეგო და განგაში ატეხა, გაჩაღდა მძაფრი სროლა, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა. ფეხზე დადგნენ მთავრობა და მისი ძალები.

მართალია, ამ გამოსვლას საბოლოო წარმატება არა ჰქონია, მენშევიკურმა მთავრობამ შესძლო გაბედულთა თავდასხმის ლიკვიდაცია, მაგრამ მომხდარ ამბავს, თავად ამ ფაქტს თვალსაჩინო მნიშვნელობა ენიჭებოდა, მას ხალხში, მშრომელთა მასებში დიდი გამოხმაურება მოყვა და აღიბეჭდა პრესის ფურცლებზედაც. ამ გამოსვლისა და მისი უშიშარი ხელმძღვანელთა შესახებ ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს 8 მაისს დეპეშით ახსენებდა სერგო ორჯონიკიძე. ასე შემოგვინახა ეს ამბავი ისტორიამ.

ამ ოპერაციის მონაწილეებმა დიდი მსხვერპლიც გაიღეს. შეტაკებისას მათგან ერთი კაცი მოკლეს, ორი დაჭრეს, სამი დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს. მათი ახალგაზრდული სიცოცხლე შეეწირა რევოლუციის საქმეს, მშრომელთა განთავისუფლების კეთილშობილურ საქმეს; სანდრო მახარაძე, ვანო ჭეჭელავა, კალენიკე გიორგაძე ოსტატურად გაუსხლტნენ მტარვალებს და ჩრდილო კავკასიაში, თანამებრძოლთა საბრძოლო რიგებში განაგრძეს შეიარაღებული ბრძოლა თერგის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად, აქტიურად მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მედგარ ბრძოლაში. თერგის ოლქიდან კალენიკე გიორგაძე იგზავნება რევოლუციის ცენტრში, პეტროგრადში, წითელი არმიის მეთაურთა კურსებზე, სადაც ბეჯითად [illegible] მებრძოლთა სამხედრო სწავლებას [illegible] ტიკური აღზრდის საფუძვლებს, იძენს საჭირო მეთაურულ ოსტატობას.

რევოლუციის ინტერესების დასაცავად თანაკურსელებთან ერთად კალენიკე გიორგაძე კვლავ იარაღით იბრძვის, რათა პირნათლად, სასახელოდ დაიცვას მშრომელთა დიადი მონაპოვარი; სამეთაურო კურსებზე სწავლების დროს, 1921 წლის მარტში, წითელი არმიის ნაწილების მებრძოლებისა და პარტიის მეათე ყრილობის დელეგატებთან ერთად მონაწილეობს კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხების ჩაქრობაში და სასახელოდაც ასრულებს საბრძოლო დავალებას.

1921 წლის 28 თებერვალს, კრონშტადტში იფეთქა ამბოხებამ, რომელიც მომზადებული იყო გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის ერთობლივი ღონისძიებებით. საბჭოთა მთავრობის მოწოდებით წითელი არმია გამოვიდა ამბოხებულთა დასათრგუნად. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა პარტიის X ყრილობის სამასი დელეგატი. 16 მარტს აღებულ იქნა კრონშტადტის ფორტები, ხოლო ორი დღის შემდეგ ჩვენი არმია მთლიანად დაეუფლა ციხე-სიმაგრესა და ქალაქს, შეთქმულება მალე ჩაქრობილ იქნა.

22 წლის ახალგაზრდა წითელმა მეთაურმა კალენიკე გიორგაძემ ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, გამოიჩინა კომუნისტის მაღალი მებრძოლური თვისებები — ინიციატივა, მოსაზრებულობა, მამაცობა და საბრძოლო გაწვრთნილობა გამოავლინა. ეს მისი საბრძოლო მზადყოფნის მკაცრი გამოცდაც იყო, რაც ამხანაგებთან ერთად ჩინებულად ჩააბარა ჩრდილოეთის საბრძოლო უბანზე მოქმედმა გიორგაძემ.

სწავლა მიღებული, საბრძოლო გამოცდილებით აღჭურვილი კალენიკე გიორგაძე 1922 წელს საბჭოთა საქართველოში ბრუნდება და მაშინათვე აქტიურად ახალი ცხოვრების მშენებლობაში ებმება. შეძენილი ცოდნისა და პრაქტიკულ ჩვევათა შესაბამისად მას ქართული ეროვნული დივიზიის კადრების, მისი პოლიტმუშაკთა მომზადების მნიშვნელოვან საქმეს აბარებენ, სამხედრო-პოლიტიკური კურსების უფროსად და კომისრად ინიშნება, რასაც გულმოდგინეთა და საქმის ცოდნით უძღვება ახალგაზრდა სამხედრო ხელმძღვანელი, მხედრულად ზრდის და იდეურად აწრთობს წითელი არმიის პოლიტმუშაკთა ახალ, კვალიფიციურ კადრებს.

პოლიტხელთა კურსების ბევრი მსმენელი, თუ მასწავლებელი შემდგომში თვალსაჩინო სამხედრო პოლიტმუშაკი გახდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა არმიის მშენებლობაში, სოციალისტური სამშობლოს მამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცველთა აღზრდაში, მათს მეომრულ წრთობაში. სამამულო ომში მათ გვიჩვენეს ჯარების მართვისა და გაძღოლის ოსტატობა, გულადობისა და უნარის შესანიშნავი ნიმუშები.

მათ შორის იყვნენ ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები, კომისრები, შტაბის უფროსები, პოლიტგანყოფილების უფროსები, არმიის სამხედრო საბჭოს წევრებიც: ილია მაღალაშვილი, გრიგოლ გუმბერიძე, ვლადიმერ კიკალიშვილი, აკაკი გიორგაძე, სოლომონ პოლქვაძე, ივანე მითაიშვილი, არტემ კაკაბაძე და მრავალი სხვ. ერთ-ერთი მათგანი იყო კურსების უფროსი კალენიკე გიორგაძეც...

ორი წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, სამხედრო-პოლიტიკური სკოლის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კალენიკე გიორგაძე, პარტიის ნებით, პარტიულ სამუშაოზე გადადის. ჩვეული მონდომებით, გატაცებით შეუდგა იგი მუშაობას. ჯერ ფოთის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას უდგას სათავეში, შემდეგ კი პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში გადაჰყავთ, ხოლო 1928-1930 წლებში ქუთაისის სამაზრო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

სოციალისტური მშენებლობის სერიოზულმა ამოცანებმა, მასების იდეოლოგიური აღზრდის გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა ხელმძღვანელი კადრების, მათ შორის იდეოლოგიური დარგის მუშაკთა მომზადებისა და გადამზადების, დაგროვილი გამოცდილების გაანალიზებისა და განზოგადების საკითხი. ამ მიზნის შესაბამისად კალენიკე გიორგაძეს მოსკოვში ჰგზავნიან სწავლის გასაგრძელებლად. იგი ჯერ პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს, ხოლო შემდეგ წითელი პროფესურის ინსტიტუტში. აქ იგი ბეჯითად ისმენდა გამოჩენილი რევოლუციონერების, პედაგოგების ნ. კრუპსკაიას, ა. ლუნაჩარსკის, მ. პოკროვსკისა და სხვათა საინტერესო ლექციებს, პედაგოგიკის, ლიტერატურისა და ისტორიის მარქსისტულ-ლენინურ კურსს. თეორიულ სწავლასთან ერთად, პრაქტიკულად, აქტიურად მონაწილეობდა დედაქალაქის პროპაგანდისტთა მიზანსწრაფულ საქმიანობაში პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ხაზით, როგორც მის ერთ-ერთი თეორიული სემინარის გამოცდილი ხელმძღვანელი და დახელოვნებული პროპაგანდისტი.

სწავლის დამთავრების შემდეგ ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევა დედაქალაქის მთელ რიგ დარგობრივ ინსტიტუტებში, მარქსიზმ-ლენინიზმს ასწავლის სახალხო მეურნეობის მომავალ სპეციალისტებს, მეცნიერული მსოფლმხედველობით აიარაღებს მათ, საინტერესოდ, მაღალ დონეზე კითხულობს ლექციების კურსს ფილოსოფიაში, ჯეროვნად ხელმძღვანელობს კათედრებს, [illegible]ცენტის თანამდებობა. აქტიურად მონაწილეობს პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მუშაობაში, მტკიცედ იცავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, პარტიის რიგების ურყევ ერთიანობასა და მონოლითობას.

როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ხელმძღვანელი, მაღალ დონეზე აწყობს მის მუშაობას, შემოკრებილი ჰყავს მაღალკვალიფიციური მასწავლებელთა და ლექტორთა შემადგენლობა. სისტემატურად უწევს მას მეთოდიკურ დახმარებას, მისი მომზადებული ლექციები მაღალ მეცნიერულ დონეზეა, კათედრის წევრთათვის ანგარიშგასაწევი და მისაბაძი; მუშაობაში იჩენდა მომთხოვნელობას, პრინციპულობას, მზრუნველობას, რის გამოც დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის.

როგორც თეორიულად მომზადებული კომუნისტი, ცხოვრებაში გამოცდილი პარტიული მუშაკი კალენიკე გიორგაძე, სწორად აფასებს, რეალისტურად უყურებს მოვლენათა დინებას, საერთაშორისო ვითარებას; არ წყვეტს ცოცხალ, უშუალო კავშირს არმიასთან, ლექციებს კითხულობს სამხედრო ნაწილების პირადი შემადგენლობისათვის, პირადად ეცნობა საჯარისო ცხოვრებას. 1940 წლის ბოლოს კალენიკე გიორგაძეს ბატალიონის კომისრის წოდება მიენიჭა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით ლენინგრადში გადადის სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახურის გასაგრძელებლად. აქ იგი სამხედრო-საზღვაო სამედიცინო აკადემიის მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორია და კათედრის ხელმძღვანელი. საპატიო იყო ამ სახელგანთქმულ აკადემიაში სამსახური, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლება. აქ ბევრი გამოჩენილი სამხედრო ადამიანი, მეცნიერი მოღვაწეობდა და სპეციალისტი იზრდებოდა. აქ მოღვაწეთა შორის იყვნენ გამოჩენილი მეცნიერი — ქირურგი, შემდგომში, დიდი სამამულო ომის დროს, სოციალისტური შრომის გმირი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგი იუსტინე ჯანელიძე და მისი სახელოვანი კოლეგები...

სამხედრო-საზღვაო-სამედიცინო აკადემიაში ფართოდ გაიფურჩქნა კალენიკე გიორგაძის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სწორედ აქ, ამ თვალსაჩინო ასპარეზზე მოუსწრო პოლკის კომისარს დიდმა სამამულო ომმა. თავად სამხედრო პირი, როგორც იტყვიან, თავისი მდგომარეობითა და თანამდებობით, მობილიზებული იყო სამოქმედოდ, საბრძოლველად.

სამამულო ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ პოლკის კომისარს გიორგაძეს, მისივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუინებითი თხოვნით, ნიშნავენ ზღვაზე. გემების გარეშე დარჩენილი მეზღვაურების ლექტორად. ატარებს ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს უშუალოდ ხომალდებზე, მეზღვაურთა შორის. ამასთან გამოცდილი პარტიული მუშაკი, აქტიურად მონაწილეობს ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ-მეომრულ აღზრდასა და წრთობაში. სანიმუშოა და ქმედითი მისი სიტყვა და პრაქტიკული საქმიანობა ფლოტის მეზღვაურთა იდეურ აღზრდაში, სალექციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში.

მრავალმხრივი, ღრმა და საინტერესო იყო კალენიკე გიორგაძის საუბრების, მოხსენებებისა და ლექციების თემატიკა: „დიდი სამამულო ომის სამართლიანი, განმათავისუფლებელი ხასიათი", „საბჭოთა პატრიოტიზმის წყაროები", „მიმდინარე მომენტის თავისებურებანი", „საბჭოთა არმიისა და ფლოტის ძალისა და ძლიერების წყაროები", „სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ", „მარქსიზმ-ლენინიზმი ომისა და არმიის შესახებ" და ა. შ. ამ თემებზე თავის ლექცია-მოხსენებებს მებრძოლი პოლიტმუშაკი მჭიდროდ უკავშირდება შესაფერისი ქვეგანაყოფის საბრძოლო ცხოვრებას, მის წინაშე მდგარ სადღეისო ამოცანებს მათ პრაქტიკულ მეომრულ საქმიანობას, მორალურ განწყობას, რითაც მიზანსწრაფულსა და ქმედითს ხდიდა ლექციურ პროპაგანდას, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას პირად შემადგენლობას შორის.

მისი გამოსვლები გამოირჩეოდა ღრმა იდეური შინაარსით, დიდი ემოციური დატვირთვით, ამბებისა და მოვლენების პოპულარული, კლასობრივ-მეცნიერული ანალიზითა და დასაბუთებით, რწმენით იყო ნათქვამი, ნათლად მიწოდებული მსმენელებისადმი. ამიტომაც დაჯერებით ალიქვამდნენ მეზღვაურები მებრძოლი პროპაგანდისტის გულში ჩამწვდომ სიტყვას. კალენიკე გიორგაძე მთელ ამ მუშაობას მტკიცედ, მოხერხებულად უკავშირებდა ფლოტის პირადი შემადგენლობის მიერ საზღვაო ბრძოლის ხელოვნების საფუძვლების, მეზღვაურული ოსტატობის დაუფლებისა და სრულყოფის, მათ მიერ შეძენილი პირველი საბრძოლო გამოცდილების ათვისების ამოცანებს.

## დევგმირთა წინამძღოლი

დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მალე, ლენინგრადის დაცვისათვის, ბალტიის ფლოტის უხომალდოდ დარჩენილ სამხედრო მეზღვაურთაგან იქმნებოდა ქვეითი საზღვაო ბრიგადები, ცალკე რაზმები და ბატალიონები. გულადთა შენაერთები და ნაწილები საიმედო ძალა იყო. მალე მათგან შვიდი ბრიგადა შეიქმნა და ლენინგრადის გმირ დამცველთა ნაწილებსა და შენაერთებში ოთხმოცი ათასი ქვეითი მეზღვაური იბრძოდა.

კალენიკე გიორგაძე არაერთგზის თხოულობს ფრონტზე, მოქმედ არმიაში განწესებას, რათა საშუალება მიეცეს იარაღით ხელში, პირადად ებრძოლოს სოციალისტური სამშობლოს მტრებს. მალე მის დაბეჯითებით თხოვნას, მის ოცნებას ფრთები შეესხა; იგი 1941 წლის ივნისის ბოლოს უკვე ფრონტზეა, მოქმედ არმიაში, გულად ადამიანთა, ქვეით მეზღვაურთა საბრძოლო რიგებში, მე-4 ბრიგადის მე-4 ბატალიონის ხელმძღვანელად. მათთან ერთად უშუალოდ მოწინავეზეა, ცეცხლის ხაზზე. იბრძვის ლენინგრადის მისადგომებთან; გიორგაძე მუდმივად მოწინავე პოზიციაზეა, მეომარ მეზღვაურთა შუაგულში როგორც მათი პოლიტხელმძღვანელი, სამხედრო კომისარი, ბრძოლის ორგანიზატორი, შემდეგ კი მე-6 ბრიგადის მე-2 ბატალიონის სამხედრო კომისრად გადაუავთ და ახალ ამოცანას აკისრებენ მას.

კალენიკე გიორგაძეს, მისი ბატალიონის პირად შემადგენლობას არაერთი მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანის შესრულებაში უსახელებია საბჭოთა მეზღვაურთა საბრძოლო დროშა და იარაღი. ამის არაერთი თვალსაჩინო, დამახასიათებელი მეომრული ეპიზოდია მისი მოუსვენარი საბრძოლო ცხოვრების დოკუმენტურ მატიანეში შემორჩენილი, დღემდე გამოუქვეყნებელი (ალბათ, ამიტომაა, რომ მისი საქმე და სახელი არც ერთ წიგნში, ნაშრომში არაა საფუძვლიანად, თვალსაჩინოდ აღწერილი, წარმოდგენილი. მაშინ, როცა მისი ცხოვრება და თავგადასავალი ყველა ღირსეულ ადამიანს, მის ბიოგრაფიას, ყოველ წიგნს დაამშვენებდა უთუოდ...).

ათასობით ქართველი მეომარი, მოძმეთა საბრძოლო რიგებში ღირსეულად იცავდა სახელოვან ლენინგრადს. მრავალთა შორის აქ სახელოვნად იბრძოდნენ ადმირალი გიორგი აბაშვილი, გენერალი გიორგი ჯინჭარაძე, ოფიცრები ვლადიმერ ხუბულური, გიორგი ნადირაძე, ვიქტორ ლესელიძე, გრიგოლ ბარბაქაძე, მფრინავი დავით ჯაბიძე, ტანკისტი იოსებ ბაჩაკაშვილი, მებრძოლი ადამ ქავთარაძე და მრავალი სხვ., რომლებიც თანაპოლკელებთან ერთად მამაცობისა და მეომრული თავდადების მისაბაძ ნიმუშებს უჩვენებდნენ, განადიდებდნენ საბრძოლო დროშას და მშობლიურ ხალხს.

— ორმოცდამეთოთხმეტე არმიის ერთ-ერთ უბანზე, — იგონებს ლენინგრადის ბრძოლების აქტიური მონაწილე, ავიაციის გენერალ-მაიორი დიმიტრი შანშაშვილი, — იბრძოდა კომისარი კალენიკე გიორგაძე, მისი საზღვაო-ქვეითი ბატალიონი ჰიტლერელებს თავზარს სცემდა. მან კარგად შეისწავლა ხმელეთზე გადმოსხმული მეზღვაურების ზნე-ჩვეულება, მათი ამაყი ბუნება, უსაზღვრო მამაცობა, მეზღ-

ვაურებს მამასავით შეუუყვარდათ ქალარაშერეული, მხნე და დაუღალავი კომისარი. ამიტომაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კომისარი გიორგაძე. ასეთ უფროსს წყალშიც და ცეცხლშიც მიჰყვებოდნენ ხელქვეითები. ბატალიონის მეთაურს პოლკოვნიკ მოისეენკოს მუდამ ჰქონდა კომისარ გიორგაძის იმედი.

ერთხელ იმ ქვეითი მეზღვაურთა ბრიგადის ზურგში, რომელშიც კომისარ გიორგაძის ბატალიონი შედიოდა, პარაშუტისტები გადმოსხეს. ბრიგადის მეთაურმა მეზღვაურების სპეციალური რაზმი გაგზავნა მტრის დესანტის მოსასპობად, ამ რაზმს სათავეში კომისარი გიორგაძე ჩაუდგა. კომისარმა იშვიათი უნარი და ვაჟკაცობა გამოიჩინა ამ ოპერაციაში, შებინდებამდე გაანადგურა მოწინააღმდეგის დესანტი, რამდენიმე ტყვე იგდო ხელთ და დიდი ნადავლით დაბრუნდა გამოსასვლელ ზღუდეზე.

ეს წარმატება ქვეით მეზღვაურთა და მათი კომისრის საბრძოლო ოსტატობისა და გაბედულების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო.

აი, მეორე მეტად თვალსაჩინო საბრძოლო ეპიზოდიც:

1941 წლის სექტემბერში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ლენინგრადის მისადგომებთან. სენიავინოს რაიონში მოწინააღმდეგის ქარბი ძალების დაწოლით, ჩვენმა ნაწილებმა უკან დაიხიეს, ზოგიც მტრის გარემოცვაში მოუვა. კომისარ კალენიკე გიორგაძის ქვეითი მეზღვაურთა ცალკე ბატალიონიც მოექცა ალყაში, მაგრამ მათ იარაღი არ დაუყრიათ. ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, პატიება არ უთხოვიათ. ცეცხლითა და მახვილით მოსპეს ჰიტლერელთა საცეცხლე წერტები, გაიჭრნენ გარლვეულ დერეფანში. კომისარი გიორგაძე პირველი იყო მოიერიშეთა შორის. შეუპოვარი, თავგანწირული მოქმედებით, ცეცხლით მამაცებმა მოწინააღმდეგის რკალი გაარღვიეს, მნიშვნელოვანი ზარალიც მიაყენეს ჰიტლერელებს და საიმედო პოზიცია მოაწყვეს გონტოვაია ლიპკასთან და მტკიცედ გაუმკლავდნენ მტერს. სისხლიც დაღვარეს, მსხვერპლიც გაიღეს, მაგრამ სასახელოდ იბრძოლეს, ბოლომდე შეინარჩუნეს საბრძოლო ზღუდეები, მტერი წინ არ გამოუშვეს, ნევის ქალაქისაკენ.

ამ სასტიკ შეტაკებებში ბევრმა საბჭოთა მეზღვაურმა ისახელა თავი. მათ შორის იყო მათი კომისარი კალენიკე გიორგაძე, რომლის მეომრულმა ნიჭმა და გაუტეხელობამ წარმატება გამოჭედა ბრძოლის ველზე, რისთვისაც იგი პირველი ჯარისკაცური საბრძოლო მედლით — „მამაცობისათვის" დააჯილდოვეს. ეს იყო თვალსაჩინო გამარჯვება და პირველი ჯილდო!

სწორედ ლენინგრადის ფრონტის სარდლობის ომისდროინდელ დოკუმენტში მართალი სიტყვის, სანიმუშო მეომრული საქმის კაცზე შთამბეჭდავად აღნიშნულია — „უკვ[illegible]რძოლო დიდებითა და მამაცობით [illegible] ფრონტის სამხედრო კომისრების ნაზაროვის, ეპიშევის, გიორგაძის მეომრული სახელები და მათი საგმირო საქმეები"... ხოლო 54-ე არმიის სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის, არმიის გენერლის ი. ფედუნინსკის საბრძოლო მოგონებებსა და ბრძანებაში სხარტად, ნათლად გადმოცემულია კალენიკე გიორგაძის მხედრული უნარისა და იშვიათი პირადი მამაცობის ამბავი, რითაც ჩვენი პარტიის ლენინური გვარდიის ღირსეულ წევრად, მის ერთგულ ჯარისკაცად წარმოგვიდგება იგი.

1941 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის პირველ რიცხვებში მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა უშუალოდ ლენინგრადის მისადგომებთან. ძალზე მძიმე ვითარება შეიქმნა ქალაქის კარიბჭეებთან. მტერი ცდილობდა შეუჩერებლივ ხელთ ეგდო ქალაქი; 9 სექტემბერს ჰიტლერელებმა დაიწყეს ახალი შეტევა ლენინგრადზე. ამჯერად მთავარი დარტყმა განახორციელეს კრასნოგვარდეისკის დასავლეთით რაიონიდან, ხოლო დამხმარე შეტევა — კოლპინის სამხრეთიდან, ძლიერი საარტილერიო და საავიაციო მომზადებითა და მხარდაჭერით. მძაფრი ბრძოლები 13 სექტემბრამდე გრძელდებოდა. მტერი გაიჭრა ლადოგის ტბის სამხრეთ სანაპიროსკენ, დაიკავა შლისელბურგი რითაც გადაჭრა ქალაქისაკენ მიმავალი ერთადერთი სახმელეთო გზა. 42-ე საბჭოთა არმიამ, რომელსაც მაშინ გენერალი ი. ფედუნინსკი სარდლობდა, დაიხია ლიგოვო-პულკოვის ზღუდეზე და იმ ხანად აქ შეაჩერა მოწინააღმდეგე.

დაიწყო ლენინგრადის ბლოკადა, მისი 900-დღიანი უმაგალითო ეპოპეა. სექტემბრის ბოლოს ლენინგრადელები საიმედოდ ჩასანგრდნენ ალყაშემორტყმულ ქალაქში, გადააქციეს იგი მიუვალ ციხე-სიმაგრედ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იდგნენ, იცავდნენ, დარაჯობდნენ მშობლიურ ქალაქს, წინ არ უშვებდნენ მტერს.

აი, ამ დიდ ბრძოლის, ერთ-ერთი ეპიზოდია ასახული 54-ე არმიის სარდლის საბრძოლო წარდგინებაში; ამ ლაკონიურ დახასიათება-წარდგინებაში ვკითხულობთ: „სენიავინოს რაიონიდან უკან დახევის შემდეგ, როცა არ იყო ბატალიონის მეთაური, პირადად კალენიკე გიორგაძემ მებრძოლები გამოიყვანა გარემოცვიდან, მოგერიება მოაწყო გონტოვაია ლიპკას რაიონში, ერთდროულად ასრულებდა რა მეთაურისა და კომისრის მოვალეობას, პირადად დაადგინა სანაღმტყორცნო ბატარეის ადგილსამყოფელი, დაჯდა ტანკზე და მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ მოსპო მტრის ტანკი, რის შემდეგ მისი ბატარეაც გაანადგურა.

მოქმედებდა რა 741-ე მსროლელ პოლკთან ერთად, გიორგაძე ბევრჯერ წავიდა შეტევაზე და თავისი მისაბაძი პირადი საბრძოლო მაგა-

ლითი ალაფრთოვანებდა მებრძოლებს და მეთაურებს.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1941 წლის 11 სექტემბერს 741-ე მსროლელ პოლკთან ერთად აღებულ იქნა № 17 დასახელებული პუნქტი.

ღირსია დაჯილდოვდეს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

64-ე არმიის სარდალი, გენერალ-მაიორი ი. ფედუნინსკი.

1941 წლის 14 ოქტომბერი“.

ნორიგ მეუპოვარ შეტაკებაში ქვეითი მეზღვაურების ბატალიონის მეთაური გამოვიდა მწყობრიდან. ეს გარემოცვაში ბატალიონის დაღუპვას მოასწავებდა, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. რადგან კრიტიკულ მომენტში მეთაურის ადგილი კომისარმა კალენიკე გიორგაძემ დაიკავა. შეითავსა, შემოიკრიბა კომუნისტები, კომკავშირელები და მეზღვაურები დარაზმა, აღაფრთოვანა და გულად ადამიანებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, შეკრეს საბრძოლო რიგები და კვლავ იერიშზე მიდიოდნენ თავგანწირვითა და მოხერხებით.

მათ სირცხვილი არ უნახავთ, ბრძოლით გამოვიდნენ გარემოცვიდან. ძალები მოიკრიბეს, საბრძოლო მწყობრი აღადგინეს და ახალი ძალით ეკვეთნენ მოწინაალმდეგეს.

ამ ბრძოლის დროს კომისარი მძიმედ დაიჭრა და იძულებული გახდა დროებით გასულიყო ბრძოლის ველიდან. დიდხანს მკურნალობდნენ კალენიკე გიორგაძეს გამოცდილი ქირურგები, ისე დიდი იყო მისი ჭრილობა, ნაიარევი... გამოჯანმრთელების შემდეგ მას, როგორც განათლებულ, გამოცდილ, ფრონტელ პოლიტმუშაკს, აგზავნიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასწავლებელთა ინსტრუქტორად, მაგრამ კომისარი დაბეჯითებით თხოვს საზღვაო სარდლობას, რომ იგი კვლავ მოქმედ ნაწილებში გააგზავნონ, იქ უფრო სასარგებლო და გამოსადეგი ვიქნები, როგორც სამხედრო საქმის სპეციალისტი. და საკმაო საბრძოლო გამოცდილების მქონე ჩვენს ნაწილს ურიგოდ არ უბრძოლიაო, თავმდაბლურად დასძენდა კალენიკე გიორგაძე პატაკს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილის, არმიის მე-2 რანგის კომისრის ი. როგოვის სახელზე 1942 წლის 2 თებერვალს დაწერილ პატაკში კალენიკე გიორგაძე გულწრფელად წერდა: „თქვენი ბრძანებით დანიშნული ვარ სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის ინსტრუქტორად, მაგრამ მე ვთვლი, რომ მეტ სარგებლობას მოვუტან სამშობლოს მოქმედი არმიის რიგებში, ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ თქვენი გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში იქონიოთ შემდეგი: 1. მე ვმონაწილეობდი სამოქალაქო ომში. მაქვს საბრძოლო გამოცდილება, დავამთავრე პეტროგრადის სამეთაურო [illegible] ვლობდი ფრუნზეს სახელობის [illegible] დემიის საღამოს განყოფილებაზე. 2. ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა ვყოფილიყავი მეთაური, მაქვს სამხედრო მოსაზრებულება და გადამწყვეტი მოქმედების ჩვევები. 1920 წლის 2 მაისს 13 ამხანაგთან ერთად ვმონაწილეობდი იუნკერთა სასწავლებელზე თავდასხმაში, განვაიარაღეთ 300 იუნკერი. 3. მიმდინარე სამამულო ომში, ნაწილი, რომელშიც ვმსახურობდი, მამაცურად იბრძოდა. 4. მე კავკასიელი (ქართველი) ვარ და შური უნდა ვძიო გერმანელ ოკუპანტებზე. მე მათ ვიცნობ 1918 წლიდან და მინდა მათ ვდიო ბერლინამდე“.

მოკლეთ, მაგრამ დამაჯერებლად თქვა გულისნადები კომისარმა, გამოხატა თავისი გულწრფელი მისწრაფება. მისივე თხოვნით, გიორგაძე სამხრეთში, კერძოდ, სევასტოპოლში განამწესეს.

* * *

როცა მძაფრი ბრძოლები შავიზღვისპირეთში გაჩაღდა, კომისარმა კალენიკე გიორგაძემ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაინაცვლა, აქ იგი მტერს დაუხვდა „მცირე მიწაზე“ და ნოვოროსიისკთან თავდადებულად უმკლავდებოდა მოძალადეს. და აქაც იგი სანიმუშოდ ასრულებდა კომუნისტისა და მეომრის მაღალ მოვალეობას, სიცოცხლის დაუზოგავად, გაბედულად, და მოხერხებულად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ: 1942 წლის 2 თებერვალს წერდა თავის პატაკში, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილეს, ფლოტის პოლიტსამმართველოს უფროსს, არმიის მე-2 რანგის კომისარს ი. როგოვს: — მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ ვარ დაჭრილი, ამჟამად სრულიად ჯანსაღად ვარ, დიდი სურვილი მაქვს კვლავ მოქმედ ფლოტში ვიბრძოლო. დაბეჯითებით გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა და გამგზავნოთ მებრძოლი სევასტოპოლის დამცველთა რიგებში. თავისი დაპირება მან საბრძოლო საქმით დაადასტურა.

ბრძოლებში ნაცადსა და უნარიან კომუნისტ კალენიკე გიორგაძეს ქვეითი მეზღვაურების მე-2 პერეკოპის პოლკის პირველი ბატალიონის კომისრად ნიშნავენ. 1942 წლის გაზაფხულის დასაწყისში იგი ყირიმშია, შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზის — სევასტოპოლის გულად დამცველთა შორის და დიდებით მოსილი ლეგენდარული ქალაქის გმირული დღეების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. კომისარი გიორგაძე სევასტოპოლის დაცვის ყველაზე მძიმე პერიოდის, ბოლო ოთხი თვის, 120 დღე-ღამე იდგა საბრძოლო პოსტზე, სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე და თავგანწირვით იბრძოდა მტრის შესამუსრავად.

სასახელოდ იბრძოდნენ სევასტოპოლში ქვეითი მეზღვაურები. მათ შორის პოლკოვნიკების პ. გორპიშჩენკოს მერვე და ვ. ჟიდილოვის მეშვიდე ქვეითი საზღვაო ბრიგადები. მათს მეზობლად მოქმედებდა მეზღვაურთა ნაწილი კომისარ კალენიკე გიორგაძის წინამძღოლობით. უნარიანი თანამოქმედებით, სიცოცხლის დაუშურებლად იბრძოდნენ ისინი. იქ, სევასტოპოლში ყველგან განუწყვეტლივ ეცემოდა ბომბი, ნაღმი თუ ყუმბარა, ზუზუნი გაჰქონდა თოფტყვიამფრქვევის ტყვიებს. შეუპოვარ შეტაკებებში თანდათან მცირდებოდა გულადთა რიგები. ჰაერიდან და ხმელეთიდან დახმარებას მოკლებულ მეომრებს ელეოდათ ტყვია-წამალი, მაგრამ მედგრად იდგნენ, ურყევად იცავდნენ საბრძოლო ზღუდეებს. ქვეითი მეზღვაურები პირნათლად ასრულებდნენ ურთულეს საბრძოლო ამოცანას.

კრიტიკულ მომენტში, ცეცხლის ხაზზე, პარტიული კრების გადაწყვეტილებაში მე-2 პერეკოპის კომუნისტმა მეზღვაურებმა საზეიმო აღთქმასავით ჩასწერეს — პარტიის წინაშე ფიცსა ვდებთ, პირობას ვაძლევთ ერთმანეთს, რომ არც ერთი უკან არ დავიხევთ ამ ზღუდიდან. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ მტრის წინააღმდეგ, იერიშზე გავიყოლიებთ უპარტიო მებრძოლებსა და მეთაურებს. მათ ფიცი არ გაუტეხიათ, ბოლომდე ერთგული დარჩნენ მისი.

თავდადებულად, მოხერხებულად იბრძოდა ქვეითი მეზღვაურთა მე-2 პერეკოპის პოლკი სევასტოპოლის მისადგომებთან. მათ თავგანწირულ შემართებაში კომისარ გიორგაძის პირადი წვლილიც ურევია. უნარიან ხელმძღვანელობასთან ერთად, კრიტიკულ მომენტში მოწინააღმდეგის იერიშის მოგერიებისას, კომისარი იარაღით ხელში იბრძოდა ფაშისტთა წინააღმდეგ. მის პირად ანგარიშზე იყო მოწინააღმდეგის განადგურებული სამი ტანკი და ათეულობით ჰიტლერელი. ეს ისეთი თვალსაჩინო მეომრული წვლილი იყო, რომელიც ყოველ მეზღვაურის საბრძოლო ბიოგრაფიას დაამშვენებდა, მის გამჭრიახობაზე დამაჯერებელ წარმოდგენას მოგვცემდა, რისთვისაც მამაცი კომისარი ეგზომ საყვარელი ადამიანი იყო მეზღვაურებისათვის.

სევასტოპოლში სასახელოდ იბრძოდა, მის გმირულ დაცვაში აქტიურად მონაწილეობდა ათასობით ქართველი მებრძოლი, მეთაური, პოლიტმუშაკი, კომუნისტი და კომკავშირელი, ჯარის სხვადასხვა გვარეობის ღირსეული მეომარი. მათ შორის იყო საქართველოში შექმნილი ორი მსროლელი, 388-ე და 386-ე დივიზია, რომელთა პირადი შემადგენლობა უმთავრესად ქართველები იყვნენ და მეზობლებთან უნარიანი თანამოქმედებით, შეწყობით, ჩინებულად იბრძოდნენ, წარმატებით ასრულებდნენ მძიმე საბრძოლო ამოცანას, მეომრულ მოვალეობას.

ცეცხლმოდებულ ქალაქში, მის ახლო თუ შორეულ მისადგომებზე გმირულად [illegible] შავი ზღვის ფლოტის შტაბის [illegible] უფროსი გენერალი დიმიტრი ნამგალაძე, მე-7 საზღვაო-ქვეითი ბრიგადის ბატალიონის მეთაური, კაპიტანი არკადი გეგეშიძე, წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის მეთაური, მე-3 რანგის კაპიტანი იაროსლავ იოსელიანი, ბომბდამშენთა ესკადრილიის მეთაური, მაორი ალექსანდრე წურწუმია, მსროლელი ასეულის პოლიტხელი მიხეილ გახოკიძე, პირველი სტატიის ზემდეგი ვლადიმერ რეხვიაშვილი, ზემდეგი ნოე ადამია და მრავალი სხვა სახელოვანი გმირი.

ყირიმის ფრონტზე ქუხდა მათი სახელი, მათი მეომრული შემართება ბევრისათვის მისაბაძი იყო; ბუნებრივია, მეზღვაურთა კომისარს კალენიკე გიორგაძესაც უხაროდა, ეამაყებოდა მამაც თანამემამულეთა, თანაფრონტელთა ასეთი გულადობა, თავდადება, მათი საბრძოლო წარმატებანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. ძალზე სწადდა მათი ახლო გაცნობა, მათი მეომრული გამოცდილებათა გაზიარება, მაგრამ რთული საბრძოლო ვითარება ამის საშუალებას არ იძლეოდა, თუმცა ზოგი მათგანი სულ ახლოს, მეზობელ ნაწილში მსახურობდა და იბრძოდა.

და ერთ საბრძოლო დღეს მოხდა ის, რაც გულით ეწადა კომისარს. მოწინავეზე გაზეთები და ფოსტა მოიტანეს: მეზღვაურთა გაზეთში, თვალსაჩინო ადგილას მისი ყურადღება მიიქცია მე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადის სახელოვან სნაიპერზე ნოე ადამიაზე დასტამბულმა წერილმა. გულდასმით წაიკითხა საინტერესო მასალა კომისარმა, მოეწონა, მისაბაძ საბრძოლო გამოცდილებაზე იყო დამაჯერებლად მოთხრობილი. ბევრი სასარგებლო, ჭკუის მასწავლებელი ამბავიც იყო მოყოლილი მარჯვე მსროლელის საოცარ ოსტატობაზე, მის გამჭრიახობაზე.

მაინც კონკრეტულად რას იუწყებოდა გაზეთი, სახელდობრ რაზე იყო ლაპარაკი სამხედრო კორესპონდენტის ნაამბობში?

თავიდან სასწაულებრივ გადარჩენილმა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული სამხედრო „შხუნას" კომკავშირელი მეზღვაური, სევასტოპოლის დამცველთა რიგებს შეერთებია პირველი დღიდანვე და რვა თვე ,ორასორმოცდაათი დღე იბრძოდა გმირი ქალაქის დასაცავად, არა ერთხელ დაჭრილა, მაგრამ მწყობრი და ამხანაგები არ მიუტოვებია, საიმედოდ იხვევდა ჭრილობებს, თავად ყოფილა სამხედრო ფერშალი და დასტაქარიც.

ნოე ადამია, მამაც მეზღვაურებთან ერთად, ტყვიის წვიმაში, შეუსვენებლივ მუსრს ავლებდა მტრის ცოცხალ ძალასა და საომარ ტექნიკას. მის საბრძოლო ანგარიშზე ორასამმდე ფაშისტთა ჯარისკაცი ითვლებოდა. ტყვიას უმიზნოდ არ გზავნიდა. სნაიპერული შაშხანის სროლის ოსტატი იყო, ტანკსაწინააღმდეგო თოფით არა ერთხელ შებმია მოწინააღმდეგის ფო-

ლადის ურჩხულებს, ზოგი დაუწვავს, აუფეთქებია, სხვებს ბრძოლის ველზე უკან დაახევინა, თავისიანებს შვება მოუტანა, შორ მანძილზე, ცალობით თუ კონა ხელყუმბარებს ზუსტად, აუცდენლად ტყორცნიდა მიზანზე, მტრის შემტევთა რიგებს ხელის თუ დაზგის ტყვიამფრქვევთა გრძელი ჯერით ცელავდა, ახლო მანძილზე, ხელჩართულ ბრძოლაზე, ხიშტის კვეთებაზე გადადიოდა.

ერთი სიტყვით, ქვეითი მეზღვაურის ყველა იარაღს, მათი გამოყენების ილეთს სრულად ფლობდა, უნარიანად ხმარობდა, მისი მეზღვაურული დარტყმაც ეფექტური იყო, აქ თვალის სიმახვილე, სწრაფი, თანაპოლკელებთან მოხერხებული თანამოქმედება, ბრძოლის ველის თავისებურებათა გათვალისწინება და ღონეც შველოდა ბუნებით უშიშარსა და მოსაზრებულ კომუნისტ მეომარს.

ბრძოლის პროცესში, კომუნისტებისა და კომკავშირელების ქმედითი საბრძოლო აქტივობით, უწყვეტი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობით მეზღვაურთა შორის ბევრი წარჩინებული მატროსი, ზემდეგი ,ოფიცერი გამოიწრთო, ალიზარდა, რომლებიც მტრისთვის რისხვას წარმოადგენდნენ. ყოჩაღი ქვეითი მეზღვაურების — ანატოლ სავიცკის, გიორგი მგალობლიშვილის, ვასილ მილოვატსკის, ნიკოლოზ ქანთარიას, ნიკოლოზ იაკოვენკოს, ქიშვარდი კილასონიას და სხვათა მამაცობა და გამჭრიახობა ახარებდა კომისარს, მათს თავგანწირვასა და მოხერხებულობას მისაბაძ მაგალითად უსახავდა ბატალიონის მეზღვაურებს. კალენიკე გიორგაძის საუბრები უშუალო, შთამბეჭდავი იყო, ეხებოდა იგი საბრძოლო გამოცდილებას, თუ აქტუალურ პოლიტიკურ თემას, საერთო თუ პირად სატკივარს, მატროსის უნებლიე ცდუნებას თუ მახვილგონიერებას, სჯა-ბაასი ყოველთვის გულითადი იყო .ასეთი განსჯა, პირდაპირობა მოსაუბრისა, რაგინდ მწვავე საკითხს არ შეეხებოდა იგი, მუდამ სარწმუნო და დასაჯერებელი იყო, გულში წვდებოდა მეზღვაურბს, ჯეროდათ კომისრისა, რადგან თავად იყო მათი მძიმე საფრონტო ცხოვრების თანაზიარი, მართალი სიტყვისა და სანიმუშო მეზღვაურული საქმის მისაბაძი მაგალითის მაჩვენებელი უფროსი ამხანაგი.

მოწინააღმდეგის ორი შეტევის მოგერიების შემდეგ, ზაფხულის დასაწყისში კიდევ უფრო დაიძაბა საბრძოლო ვითარება სევასტოპოლთან. 2 ივნისს ფაშისტებმა დაიწყეს ქალაქის ხუთდღიანი, მასირებული საარტილერიო და საავიაციო დამუშავება, დაბომბვა, ხოლო 7 ივნისს, დილით შეტევაზე გადმოიყვანეს თავიანთი ქვეითი ჯარი. 2 ივნისიდან საბჭოთა მეომრებთან ერთად, სევასტოპოლის მშრომელები, კომუნისტები გმირულად იცავდნენ მშობლიურ ქალაქს. ბოლო ბრძოლამდე, აქ მძაფრი ,უწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა. საბჭოთა საინფორმაციო ბიურო [illegible] ცნობებში ცალკე გამოყოფდა, და ვითარების შესაბამისად, ზოგჯერ მოკლედ, რამდენიმე სიტყვით, ხან კი ვრცლად იუწყებოდა ქალაქში იმ დღის ბრძოლისა და არსებული მდგომარეობის შესახებ.

ამ მონაცემებში ჩანდა, რომ მძიმე ვითარების, ცოცხალი ძალის, ტყვია-წამლისა და საბრძოლო ტექნიკის სიმცირისა და უკმარობის მიუხედავად, სევასტოპოლელები ვალში არ რჩებოდნენ მოწინააღმდეგეს. ქალაქის დამცველები მტკიცედ, თავგამოდებით, მოხერხებულად იგერიებდნენ რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგის გაშმაგებულ, უწყვეტ თავდასხმებს, იერიშებს და თვალსაჩინო ზარალსაც აყენებდნენ ჰიტლერელებს ცოცხალი ძალისა და სამხარი ტექნიკის მხრივ, იჩენდნენ გასაოცარ გულადობასა და მამაცობას, თავდადებულად იცავდნენ სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან ქალაქს შავ ზღვაზე.

1942 წლის 18 ივნისის სალამოს ცნობაში საბჭოთა საინფორმაციო ბიურო სევასტოპოლელთა მასობრივ გმირობაზე დამაჯერებელი ფაქტებით, ვრცლად იტყობინებოდა: ,,სევასტოპოლის გმირი დამცველები მამაცურად და მედგრად იგერიებენ გერმანელთა მრავალრიცხოვან იერიშებს. ასეულმა ამხ. ტიტოვის მეთაურობით იერიში მიიტანა რიცხობრივად ერთიორად ჭარბი მტრის ძალების წინააღმდეგ. ჰიტლერელებმა 100-ზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით, მიატოვეს დაჭრილები, დაჰყარეს იარაღი, სამხარი მასალა და უწესრიგოდ დაიხიეს . ბატარიამ, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი დიმიტრიევი, დღის განმავლობაში 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა.

სევასტოპოლის დაცვა ყოველ დღე ახალ-ახალ გმირებს წარმოშობს. ერთ ბრძოლაში მწყობრიდან გამოვიდა ტანკსაწინააღმდეგო თოფის გუნდი. მაშინ პოლკის კომისარმა გიორგაძემ ხელი მოკიდა ტანკსაწინააღმდეგო თოფს და გერმანელთა 3 ტანკი დააზიანა“.

ამ საბრძოლო ფაქტებსა და ეპიზოდებში სრულად გამოჩნდა საბჭოთა ადამიანის სულის სიმტკიცე, მისი შეუპოვრობა, გულადობა, მოვალეობის მაღალი გრძნობა, მეომრული ოსტატობა, რითაც რვა თვეს აკავებდნენ, აბანდებდნენ მოწინააღმდეგის ავიაციის, არტილერიისა და ქვეითი ჯარის მნიშვნელოვან ძალებს სევასტოპოლის მამაცი დამცველები.

დიდი იყო სევასტოპოლის დაცვის სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა. ბუნებრივია, მის დამცველთა მამაცობასა და გულადობას მაღალი შეფასება მისცა დედა-სამშობლომ. სევასტოპოლის დაცვა, მის დამცველთა საბრძოლო შემართება მეომრული მამაცობისა და გმირობის უკვდავი ნიმუშია.

ამიტომაც გამარჯვების ჟამს, როცა საბჭოთა არმიამ 1944 წელს გაანთავისუფლა სახელოვანი ქალაქი, გალაკტიონ ტაბიძე გულმხურვალედ მიესალმა სევასტოპოლის დამცველს, შეაქო მისი გამბედაობა, გმირობა. თავდადება და განადიდა მისი მამულიშვილობა:

ქუხილი გააქვს ქვემეხებს,
ტყვიამფრქვევები კაკანებს,
ქალაქზე ცეცხლის ალია
და იმას ქარი აქანებს.
მრისხანე თვითმფრინავები
ცას კიდით კიდე ჰფენია,
ზენიტით ჰორიზონტამდე
ქვეყანა ცეცხლსა შთენია!
გმირო ქართველო ლაჰკარი!
დღე გამარჯვებით იწყება.
დაატრიალე თაკარი —
თავდასხმა, თავდავიწყება!
იფეთქე და იელვარე
ქვეყნიურ ღელვის მტარებლად,
მამულისათვის მღელვარევ,
დასცხე მტერს შეუწყნარებლად!...
გაუმარჯოს გმირს, უშიშარ
მებრძოლს ბრწყინვალე ხვალისა,
გაუმარჯოს გმირს, სიკვდილთან
მხნედ გამსწორებელს თვალისა,
გმირს დღევანდელ დღის და დიად,
ნათელი მომავალისა!

მარად უკვდავი და სხივმოსილი სევასტოპოლელთა უმაგალითო მამაცობა და გმირობა. ათასებთან ერთად, ეს სახელი და დიდება მის ერთ-ერთ სახელოვან დამცველს, ნაცად ბოლშევიკს, მეზღვაურთა კომისარს კალენიკე გიორგაძესაც ეკუთვნის.

ამიტომაცაა მისი მორიგი დაჯილდოების ფურცელიც ბევრ საინტერესოს, კონკრეტულსა და სახელდებულს გვამცნობს, მისთვის შესაფერისა და დამახასიათებელს გვაუწყებს, მიუდგომლად, ობიექტურად წარმოგვიდგენს კომისრის ეგზომ კოლორიტულ, მეომრულ პორტრეტს, ასახავს მებრძოლი ადამიანის საბრძოლო ცხოვრების ერთი მეტად დაძაბული, მნიშვნელოვანი პერიოდის, კერძოდ, სევასტოპოლის გმირული დაცვის, ბოლო გადამწყვეტი დროის სიმართლესა და მკაცრ სინამდვილეს.

მასში მეზღვაურთა მასებში იდეური ზემოქმედების ძალაც იგრძნობა, მისი სასურველი ნაყოფიც ჩანს, პირადი წვლილიც საბრძოლო ამოცანის შესრულებაში, ცოცხალი, პრაქტიკული მოქმედებაცაა ფაქტებით დადასტურებული, ჯარისადმი ხელმძღვანელობის ხელოვნება და გულადობაც გამოსჭვივის, რაც განაპირობებდა ბრძოლაში, მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეჯახებაში, საბრძოლო წარმატებას, მის მაღალ მორალურ-საბრძოლო თვისებებს.

ჩვენ გვინდა უფრო დეტალურად [illegible] მტრის ტანკებთან იმ ბრძოლის [illegible]ელსაც იხსენებს საინფორმაციო ბიუროს 18 ივნისის ცნობა.

* * *

ივნისის შუა რიცხვები იყო, შუაგული ზაფხული, სამმხრივ ცეცხლში იყო გახვეული ყირიმი, მისი დიდებით მოსილი ქალაქი სევასტოპოლი, ზღვიდან, ჰაერიდან, ხმელეთიდან ცეცხლს უშენდნენ ლეგენდარულ ქალაქს.

ფრონტის იმ უბანზე, რომელსაც პირველი პერეკოპის ქვეითი მეზღვაურების პოლკის ქვეგანაყოფები იცავდნენ, ჰიტლერელებმა იმ დღესაც დიდძალ ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას მოუყარეს თავი, რათა ერთობლივი, ძლიერი დარტყმით, ცეცხლითა და მუხლუხებით, გაერღვიათ საბჭოთა მეზღვაურების მოგერიების ზღუდე, არარად ექციათ მათი მოგერიების რაიონი და ქალაქისაკენ გაჭრილიყვნენ.

დილით ადრე კვლავ იმძლავრა სამმხრივმა ცეცხლმა, გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლები. ცეცხლი წვავდა, ბუგავდა ყირიმის მიწაზე ყველაფერს, სულიერსა და უსულოს, მოძრავსა და უძრავს, ქვას-ქვაზე არ ტოვებდა ყუმბარა, ნაღმი და ტყვია.

სევასტოპოლის მისადგომებს თავგანწირულად, სახელოვნად იცავდნენ საბჭოთა ქვეითები, არტილერისტები, მფრინავები, ტანკისტები, მეზღვაურები; თითოეული აქ მებრძოლი საბჭოთა მეომარი, რა რანგისა და ჩინის უნდა ყოფილიყო იგი, პირველყოვლისა ჯარისკაცი იყო, რომლის ცოცხალ, მომწოდებელ სიტყვას, მებრძოლი კაცის სანიმუშო, დამრაზმველი საქმე, იარაღივით კვეთება განამტკიცებდა, ხორცს ასხამდა, ამშვენებდა; აქ, ბრძოლის ველზე, სევასტოპოლის მისადგომებთან, სიტყვა და საქმე ერთიანი, განუყრელი იყო მამულიშვილობასთან.

აქ, საბრძოლო ზღუდეზე, მოწინავეზე, ცეცხლის ხაზზე ყველამ იცოდა თავისი ადგილი, საქმე, კონკრეტული საბრძოლო ამოცანა, ქალაქის დაცვის საერთო სისტემაში სადღე-ღამისო მოვალეობა; იცოდა და ასრულებდა კიდეც შეგნებულად, საქმის ცოდნით, უზადოთ, მთელი არსებით, თვით სიცოცხლის დაუზოგავად, ასრულებდა პრაქტიკულად საბრძოლო ამოცანას, რა გინდ რთული და ძნელი ყოფილიყო იგი.

ასე იყო ივნისის იმ დღესაც, როცა ქვეითი მეზღვაურების ბატალიონის მოგერიების ზღუდეზე ჯერ მტრის არტილერიის ყუმბარები დაეცა, აფეთქდა, მას საჰაერო დაბომბვა მოყვა, შემდეგ კი ჯავშნიანმა ურჩხულებმა განაახლეს ცეცხლითა და მუხლუხებით ქვეითი მეზღვაურების თავდაცვის წინა კიდის დამუ-

შავება, რათა გზა ეპოვათ, გაეხსნათ იგი თავიანთი ქვეითი ჯარის შეტევითი მოქმედების დასამთავრებლად, დასაგვირგვინებლად.

მტრის საარტილერიო ყუმბარებმა და საავიაციო ბომბებმა თითქოს ყველაფერი მოთხარეს ქალაქის დამცველთა პოზიციებზე, ჩააჩუმეს, ჩაახრჩვეს მათი იარაღი და მებრძოლთა რიგები. ახლა თითქოს ჰიტლერელთა ტანკებს უნდა გაეგრძელებიათ, დაემთავრებიათ მიწაზე, ხმელეთზე მათი დაწყებული დამანგრეველი საქმე. დასახული მიზნისაკენ გზა ხსნილი ეგონათ მოძალადეებს. ასე ეჩვენებოდათ შორიდან ჰიტლერელებს ნანატრი თვალთვალის შედეგი.

მაგრამ მშობლიურმა მიწამ, მასზე ოსტატურად ჩასანგრებამ, შეხამებამ, საიმედოთ შემოინახა მის ერთგულ შვილთა სიცოცხლე, მათი საცეცხლე პოზიცია, იარაღი, ტყვია-წამალი და როცა მომაკვდინებელმა ქუხილმა გადაიარა, გმირი ქალაქის დამცველებმა მალე გადაიბერტყეს მიწის საბურველი. კვლავ საიმედოდ დადგნენ საცეცხლე პოზიციაზე, დახურულ თუ ღია პოზიციაზე გამოაგორეს ქვემეხები, წელში გაიმართნენ მოგერიების ზღუდეზე მყოფი მამაცი საბჭოთა მეომრები.

და როცა თავიანთ ვარაუდში დაიმედებული მოწინაალმდეგის ტანკისტები შეტევაზე გამოვიდნენ, მათ მომზადებული, გამანადგურებელი ცეცხლით დახვდნენ აქ მოქმედი, ჩასანგრებული ტანკგამანადგურებელი ქვეითი მეზღვაურები.

სხვებთან ერთად აქ თავგამოდებით იბრძოდნენ ტანკგამანადგურებელი თოფის გუნდის მებრძოლებიც, სხვებთან ერთად ისინიც შეუსვენებლივ, ცეცხლის შეუწყვეტლივ იბრძოდნენ ამ ზღუდეზე, სანამ მტრის ცეცხლის ტალღამ არ წალეკა, არ ჩააჩუმა მათი პატარა , მაგრამ მოწინაალმდეგისათვის მიუვალი საცეცხლე წერტი...

ჯერ იყო და ტანკგამანადგურებელთა მოგერიების ზღუდის ამ უბანზე მიზნობრივი ცეცხლი შენელდა, კანტი-კუნტად ისმოდა მხოლოდ, შემდეგ ერთობ შეყოვნდა და ბოლოს შეწყდა კიდევაც ეგზომ საჭირო ცეცხლი.

მოწინაალმდეგის თვალთვალს მხედველობიდან არ გამორჩენია, შეუმჩნეველი არ დარჩენია ეს შემთხვევა, ეს მოულოდნელი შეფერხება ცეცხლისა, ქალაქის მისადგომების დამცველთა მხრიდან ეს დანაკლისი და უმალ შეაფასა ვითარება, დრო იხელთა და სცადა კვლავ განეახლებინა, წამოეწყო, ამ ცოტა ხნის წინათ იძულებით შეწყვეტილი სატანკო იერიში და უმალ სათანადო თადარიგსაც შეუდგნენ.

— რაშია საქმე, რა მოხდა, რატომ შეწყდა ამ უბანზე ტანკსაწინაალმდეგო ცეცხლი? — იკითხა სათვალთვალო პუნქტზე მყოფმა პოლკის კომისარმა კალენიკე გიორგაძემ, — და დაგვიანებული მეკავშირის პასუხსაც არ დაელოდა და დაუყოვნებლივ იქით მიაშურა, სადაც ტანკგანადგურებულთა თოფების გუნდები სდუმდნენ, მათი ხმა, სროლები არ ისმოდა და არც მაცნე ჩანდა, მათი ამბის მაუწყებელი მეკავშირე არ ბრუნდებოდა...

ადგილზე სურათი მეტად არა სასურველი, დამაფიქრებელი დახვდა კომისარს. ჯერ ტანკსაწინაალმდეგო თოფების გუნდების თანამოქმედება, მათი ნომრების მონაცვლეობა დარღვეულიყო. ვინ იცის რომელი გუნდი და ნომერი როდის გამოვიდა მწყობრიდან ან როდის ვინ დაიჭრა, ამისი მთქმელი მოწმე არავინ ჩანდა ამჯერად. იქნებ ყველაფერი ერთად მოხდა, ყველაფერმა ერთად მოუსწრო მათ, მოწინაალმდეგის საჰაერო თავდასხმა, საარტილერიო ცეცხლი თუ სატანკო ქვემეხთა ჭურვების დაცემა, ვინ როდის მოვიდა დროებით გონს, ხელახლა მიწვდა თოფს, მონახა ვაზნა, გამოთოფა, ესროლა მიზნობრივად, თუ საერთოდ ტანკსაშიში მიმართულებით გაისროლა თოფი, მხოლოდ, ვინ იყო იგი თოფის მემიზნე, თუ მიმწოდებელი?..

ამის გარკვევით თქმა, დასკვნა, გაგება ახლა, ცხადია ძნელი იყო, შეუძლებელიც ჩანდა ამ ვითარებაში, როცა გათვლების წევრთა შორის არავინ იყო გონებაზე, რომ განმარტება მიეცა შექმნილ ვითარებასა და მის მიზეზებზე. ვინ იცის იმ ორომტრიალში რა შეიძლება მომხდარიყო ცეცხლის ხაზზე მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი, განა ასეთი რამ პირველად ხდებოდა ბრძოლაში!

ამიტომაც იყო, ალბათ, ამ ცოტა ხნის წინათ მათი ცეცხლი ხან ნელდებოდა, ყოვნდებოდა, შემდეგ კი ჭრილობისა თუ კონტუზიის მოძალებასთან ერთად, სისხლისაგან დაიცალა, უგონოდ მიწვა სანგარში მებრძოლი და საერთოდ შეწყდა ეგზომ საჭირო ცეცხლი, ზუსტი და ცეცხლწამკიდი, ფოლადის მწველი ცეცხლი და მაჯისცემა მამაცი ტანკგამანადგურებელი მებრძოლი ადამიანებისა.

ამაზე განმარტებას აქაური შემზარავი სურათი თუ იძლეოდა.

მართალია თოფის გათვლის წევრებს სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდათ, მაგრამ კომისარმა თანმხლებ მეავტომატეს მათზე მიხედვა უბრძანა და თავად თოფს სტაცა ხელი, მოსინჯა, გამართული ჩანდა, თუმცა საკმაოდ საძნელოდ, მაგრამ კარგად მოირგო, მოიმარჯვა თოფი, მძიმედ ჩანდა მისი ასაკის კაცისათვის. მოხერხებულად მოკალათდა სახელდახელოდ გათხრილ წოლელა სანგარში, ცალი ხელით სავაზნე ყუთი მოსწია ახლოს, რამდენიმე ცალი ფოლადგამხვრეტი — ცეცხლწამკიდი ტყვია ენიშნა მარაგში, ავტომატიც გვერდზე მოიმარჯვა, ორიოდე გადარჩენილი ტანკსაწინაალმდეგო ხელყუმბარაც დასდო სანგრის ბრუსტ-

ვერზე და საბრძოლოდ მზადყოფი, მიზნის გამოჩენას დაელოდა პოლკის კომისარი.

ეს არ იყო ჩვეულებრივი, უბრალო ლოდინი; ასეთი ლოდინი ბრძოლის ველზე ,ისიც აშკარა უთანასწორო, მკაცრ შეტაკებაში, უკიდურესობამდე დაძაბული იყო. ეს მძიმე საბრძოლო წუთები მოულოდნელობით აღსავსე საათობით ლოდინს უდრიდა, უტოლდებოდა გაუთავებელ ხანგრძლივობით.

ვისაც განუცდია ეს შფოთითა და მღელვარებით სავსე ლოდინი, ან მომსწრე, მოწმე ყოფილა ომში, ფრონტზე, ძნელბედობის ჟამს, დაგვეთანხმება, ერთობ ძნელია მისი აღდგენა, აღწერა, გადმოცემა, ფსიქოლოგიურად თუ ფიზიკურად განცდა-ატანა, ეგრე უჩვეულო, მეტად მძიმე ასატანია ადამიანისათვის, მით უფრო, როცა ის მარტოდ მარტოა ბრძოლის ველზე; სულ სხვაა, თუმცა ძნელი, მაგრამ უფრო ასატანი, მოსათმენი, თანამოიარაღეთა საბრძოლო რიგებში, მარცხნივ თუ მარჯვნივ, მეზობლებთან თანამოქმედებით, მეომრული კოლექტივის შემადგენლობაში, ერთობლივი, შეწყობილი ბრძოლა. ასეთ დროს, საკუთარ თავშიც მეტ ძალას გრძნობს კაცი, ენერგიაც უფრო მოძალებულია, უფრო ძლიერია, გამტანი ამხანაგების, თანაპოლკელთა გვერდით, მათთან უნარიანი შენაცვლება და თანამოქმედება ადამიანს მძიმე ჯარისკაცურ ტვირთს თუ გაჭირვებას უმსუბუქებს, უადვილებს, ეხმარება სიძნელეთა დაძლევაში, მეტ გონიერებას და სიმახვილეს ანიჭებს ურთულეს საბრძოლო ამოცანის შესრულების პროცესში.

აქ კი კომისარი გიორგაძე უეცარი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა, მარტოდმარტოა, ვერც რჩევას კითხავს ვისმეს, ვერც დახმარებას შესთავაზებენ მას. მძიმე საფრონტო ვითარებაში, მისი მეომრული წარმატება — სიცოცხლეს ნიშნავს, წარუმატებლობა — სიკვდილს, შესაძლოა უსახელო დაღუპვასაც, ვინაიდან აქ არავინაა მისი მოწმე, თანაზიარი, საბრძოლო ამბის მნახველი. ამიტომ აქ ყველაფერი მხოლოდ მასზეა უპირატესად, პირადად დამოკიდებული.

და აქ, საბრძოლო გამოცდამაც არ დააყოვნა, მალე გამოჩნდა მტრის სატანკო კოლონა. შორიდან მაინც გარკვევით მოისმა მათი ფოლადის მუხლუხთა საშინელი ღრჭიალი, მოტორთა ხმაური და ამასობაში მეწინავე მანქანის სილუეტიც, საკმაო მანძილზე, ხუთას მეტრამდე ტანკსაწინააღმდეგო თოფის ტყვიის მისაწვდომ მანძილზეა; ახლოს, სამას-ოთხას მეტრ მანძილზე როცა გამოიკვეთა, მომლოდინე ჩასაფრებულმა კომისარმაც არ დააყოვნა პირველი გასროლა, მაგრამ მოხვდა კი იგი მიზანში, ვინ იცის?

ყველაფერი სწრაფად, წესის დაცვით მოხდა. მართალია მარჯვედ ნასროლი ასეთი თოფის ტყვია ხუთას მეტრზედაც აზიანებს მიზანს, მაგრამ ნაკლებ მანძილზე უფრო [illegible] უტყუარია მიზანში მოხვედრა, [illegible] მისი დარტყმის ძალა, ფოლადის გახვრეტა თუ ცეცხლის წაკიდება ჯავშნიან მანქანაზე. ჩინებულად იცოდა ეს კომისარმა და ამ ვარაუდით მოქმედებდა ისიც.

როგორც ხანმოკლე დაკვირვებამ უჩვენა, ტანკსაწინააღმდეგო თოფის პირველი გასროლა საჭირო მანძილზე მისამართიანი იყო, მაგრამ რატომღაც ჯეროვანი შედეგი არ ჩანდა, თუ არ შეიმჩნია იგი ფოლადის მანქანამ. ის კი კვლავ წინ მოიწევდა. იქნებ, კიდეც იჩქარა კომისარმა, ნაუცბათევი გამოდგა გამოთოფვა, არა ზუსტი ჩახმახის გამოკვრა თოფისა, ამის დაზუსტება, შემოწმება არავის შეეძლო; ახლა მეორე ცდა იყო მთავარი, საჭირო, უფრო ზუსტი და ეფექტური და პირველს მეორე გასროლაც მოყვა და ახლა დანამდვილებით შეიძლებოდა თქმულიყო, მიზანი ამჯერად უთუოდ მიღწეულია, მტრის ტანკი დაზიანებულია: იგი ადგილზე შეტორტმანდა, შემდეგ გვერდზედაც შებრუნდა, თითქოს დაუზიანებელ მხარეს უჩვენებს, აღიზიანებს მოწინააღმდეგეს და სწორედ ეგ უნდოდა, ეს სურდა კომისარს, ახლა გვერდზე დაუმიზნოს, ესროლოს, მოარტყას ფოლადგამხვრეტი ტყვია ჰიტლერელთა ტანკს, პირველი დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმოს ამ მრისხანე შეჯახებაში.

მაგრამ თითქოს შეყოვნდა კომისარი, ტყვიის ისედაც მცირე მარაგი დაენანა, მაგრამ მესამე გასროლაზეც თავი მაინც ვერ შეიკავა, საბოლოოდ უნდა დარწმუნდეს მიზნის ახდომაში. ეს არამარტო სერიოზული საბრძოლო ანგარიშის გახსნას ნიშნავს დღეს, არამედ იქნებ ამ შებრუნებული ტანკის ტანით არც ისე ფართო გზაც გადაუღობოს მის უკან მომავალთ და სანამ გზას „გაწმენდნენ", გახსნიან, ერთი ამოისუნთქოს, ოდნავ შეისვენოს, სული მოითქვას ცეცხლსა და სიცხეში, უკეთ მოეწყოს სანგარში, განალაგოს საბრძოლო მარაგი, აღჭურვილობა და იქნებ დამხმარე ცოცხალი ძალაც შეეშველოს, შეემატოს მის უჯარო გარნიზონს...

ამ ფიქრსა და მოქმედებაში, ჭოგრიტით, ბრძოლის ველზე, ტანკმოსალოდნელი მიმართულებით, ადგილმდებარეობის თვალთვალისას, კომისარმა გამადიდებელ მინაში გარკვევით შენიშნა დაზიანებული ტანკის გვერდით როგორ ცდილობდა გზის გაკაფვას მეორე მანქანა, იქნებ დასახმარებლადაც ამოუდგა გვერდით მის ეკიპაჟს, გვერდზე გადაიყვანოს იგი ან იქნებ გზას უქცევს და პირველის ჩაშლილ ამოცანის გადაწყვეტა აქვს დაკისრებული, ან თავად კისრულობს მის მაგივრობას, — ფიქრობს და ასკვნის საბრძოლველად გამზადებული კომისარი გიორგაძე და ახლა, აი, ამ მეორე ტანკზე გადააქვს მზერა, თვალთვალი, ანგარიში, სად დაუმიზნოს, სად მოარტყას მას უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად, გაბედულად; დააყოვნებს იქ დგომას მანქანა თუ წინ გამოიჭრება — საკუთარ თავთან ამ წუთიერ ბჭობაში, აზრთა ჭიდილში გადაწყვეტილებაც მიღებულია, მორიგი გასროლაც არის და მეორე ტანკიც მწყობრიდან გამოყვანილია.

ახლა კომისარმა გიორგაძემ შვება იგრძნო, ამოისუნთქა თავისუფლად, ოფლი მოიწმინდა სახეზე, შუბლზე, ასე წურწურით, შეუმჩნევლად რომ ჩამოსდიოდა ღვარად. მაგრამ ეს რაა, ცხვირსახოცი კისერზე რომ მოისვა, ოფლის ნაცვლად, წითლად შეიღება, აკი ბრძოლის პროცესში მას არ უგრძვნია, არ შეუმჩნევია როგორ დაიჭრა ტყვიითა თუ ნაღმის ნამსხვრევით თავზე და კისერზე, ისე იყო დაკავებული, გართული მძიმე ბრძოლით. თავად გაიწმინდა ჭრილობები, გამოცდილი დასტაქარივით მოსინჯა, არაფერია, საშიში არაა, სასიკვდილო არ ჩანსო, — დაასკვნა თავისთვის, შეიხვია მჭიდროდ და ირგვლივ მიმოიხედა ბრძოლის ველზე, მაგრამ კვლავაც არავინ ჩანდა დამხმარე თუ გამკითხავი.

ვითომ შეიხვენა ადამიანმა, მაგრამ არა, ამისი დრო და საშუალება ახლა არ იყო, კვლავაც ახალი. მკაცრი შეტაკება, მტერთან ახალი შებმა ელოდა, დაღლილ, დაჭრილ, კომისარს, სხვა გზა არ იყო, გამორიცხული ჩანდა და ან გზას იგი შეგნებულად მიუყვებოდა.

და აი, წინ კვლავ მოდის მობობღავს მტრის ტანკი, ეგ სათვალავით მესამე ჯავშანმანქანაა დღეს, რომელთანაც შეხვედრა მოუწევს კომისარს... ჩანს, როგორღაც გზა უქცევია, და ჯიქურ წინ მოიმართება ცეცხლთან შესახვედრად, შესაბმელად.

კვლავ მოიკრიფა ძალ-ღონე, დაძაბა ყურადღება კომისარმა, თოფმომარჯვებულმა კვლავაც გამოთოფა ახალი, საშიში მიზანი, თოფის კორაზე შუაგულ დასვა მძიმე სამიზნე და გაისროლა; კვლავ აღადგინა წონასწორობა, სიზუსტე და მეორე გასროლაც მოასწრო ტანკის ბენზინსაცავზე და ზედ მესამე ტყვიაც მოაყოლა მცირედი პაუზის შემდეგ.

აქ უკვე ძნელი ჩანდა თავის შეკავება, ანგარიში, ტყვიის დაზოგვა. მთავარი მაინც ის სასიხარულო ცეცხლი იყო, რომელიც ასე მოულოდნელად ტანკს მოედო და მისი ჩაქრობა, ჯავშანმანქანის გადარჩენა უკვე არავის შეეძლო და მიზანიც სწორედ ეგ იყო.

შემდეგ კი კვლავ შეიხვენა ღონემიხდილმა ადამიანმა, ახალი ჭრილობა უფრო მძიმე და მწველი აღმოჩნდა ტანკგამანადგურებელი მეომრისათვის...

ამ ტანკსაშიშ უბანზე კი ბრძოლები კვლავაც გრძელდებოდა, საშველად მოსული კომისრის მამაცი ხელქვეითები, ქვეითი მეზღვაურები განაგრძობდნენ მტრის ტანკების უწყვეტი შემოტევის მოგერიებას, მათთან ჭიდილს, ისე როგორც გმირმა კომისარმა უჩვენა. დიახ, ეს იყო იმ მრისხანე დღეების საბრძოლო მოწოდების — შავზღველებო, არც ერთი ნაბიჯი უკან! — უმწიკვლოდ შესრულების გიორგაძისეული ცოცხალი მაგალითი.

კომისარ გიორგაძის ეს მეომრული შემართება არ იყო შემთხვევითი, მოუფიქრებელი ნაბიჯი; ეს იყო . ბრძოლის ველზე შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში, კრიტიკულ მომენტში მიღებული გონივრული, სალი გადაწყვეტილება, შეგნებული მოქმედება კომუნისტი ხელმძღვანელისა, რომელიც ეყრდნობა მას მიერ იარაღისა და ბრძოლის ოსტატობის ჩინებულ ჩვევებს; აი, ასე ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგება მებრძოლი სიტყვისა და სანაქებო საქმის კაცი კომისრის პირად საქმეში შემონახულ უტყუარ დოკუმენტში, მისი მორიგი დაჯილდოების ფურცელშიც, შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტსამმართველოს წარდგინებაშიც, რომელიც სამხედრო დოკუმენტაციისათვის დამახასიათებელი სტილით, ლაკონიურად, ზუსტად, თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად გვაუწყებს:

„ამხ. კალენიკე გიორგაძე შავი ზღვის ფლოტში მოვიდა 1942 წლის მარტში და დაინიშნა მე-2 პერეკოპის ქვეითი მეზღვაურების პოლკის პირველი ბატალიონის სამხედრო კომისრად. სევასტოპოლის ბრძოლაში, მტრის მესამე შემოტევის პერიოდში უჩვენა პირადი შემადგენლობისადმი ხელმძღვანელობის იშვიათი უნარი. ჰქონდა სამხედრო განათლება, დიდ დახმარებას უწევდა მეთაურს საბრძოლო მოქმედების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. ბრძოლაში გულადი იყო და გაბედული. პირად შემადგენლობას ზრდიდა მტრისადმი შეურიგებლობის, სამშობლოსა და პარტიისადმი უანგარო ერთგულების სულისკვეთებით, მამაცობის პირადი მაგალითებით რაზმავდა, მიუძღვდა მებრძოლებს სარდლობის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად.

ამხ. გიორგაძე მთელი პოლკის მებრძოლთა და მეთაურების საყვარელი ხელმძღვანელი იყო. ყოველთვის იმყოფებოდა ყველაზე პასუხსაგებ უბანზე. მისი ბატალიონი წარმატებითა და თავდადებით ასრულებდა საბრძოლო ამოცანას, მტრისათვის მიუვალი იყო მისი უბანი. ბრძოლაში გაანადგურა ათასობით ფაშისტთა ჯარისკაცი, მათი დიდძალი საომარი ტექნიკა და იარაღი. პირადად ამხ. გიორგაძემ ტანკსაწინააღმდეგო თოფით მოსპო მტრის სამი ტანკი. 1942 წლის 19 ივნისს ერთ-ერთ მძაფრ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა.

ბრძოლაში ასეთი წარმატებებისათვის კომისარი კალენიკე გიორგაძე ღირსია დაჯილდოვდეს „სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით".

საქართველოს პირველხარისხოვანი კურორტები, მისი სანატორიუმები, დასასვენებელი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლები, რომლებიც ჰოსპიტლებად იყვნენ გამოყენებული ომის წლებში, ზღვისა და მთის შესანიშნავი ჰაერი, მზრუნველი სამედიცინო პერსონალი მობილიზებული, ფრონტის სამსახურში იყვნენ ჩაყენებული და თავდადებით, საქმის ცოდნით, უანგაროდ ემსახურებოდნენ მამულიშვილთა, დაჭრილ ფრონტელთა მკურნალობას, მათ მალე გამოჯანსაღებას, ფეხზე დაყენებას ცდილობდნენ და მათი კეთილშობილური შრომა-მეცადინეობით, ათეულ ათასობით ნაცადი მეომარი, მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი კვლავ საბრძოლო მწყობრში დგებოდა, იარაღით ფრონტზე სასახელოდ ებრძოდა მოწინააღმდეგეს და თავისი ღირსეული პირადი წვლილი შექონდა გამარჯვების საშვილიშვილო საქმეში.

მძიმედ დაჭრილი მეზღვაურთა კომისარი კალენიკე გიორგაძეც აქ მოხვდა სამკურნალოდ. ჰოსპიტალიდან გამოწერის შემდეგ, მცირე ხნით მშობლიური სოფელი, ახლობლები მოინახულა, მოიკითხა, გაამხნევა ძნელბედობის ჟამს და კვლავ ფრონტს, მოქმედ არმიას მიაშურა .ისე, რომ ჭრილობა ჯერაც შეხვეული ჰქონდა...

სამი მძიმე ჭრილობის მიუხედავად, ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ, კომისარი კალენიკე გიორგაძე კვლავაც თხოვნით მიმართავს ზემდგომ სარდლობას, რათა საშუალება მისცენ ისევ ფრონტს დაუბრუნდეს, მოქმედ არმიაში, ამჯერად კავკასიის კარიბჭეებთან იარაღით იბრძოლოს საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. თავის პატაკში იგი წერს:

„გთხოვთ გადამიყვანოთ მეთაურის თანამდებობაზე და გამგზავნოთ სამხრეთის ფრონტზე. მაქვს სათანადო სამხედრო განათლება, საბრძოლო გამოცდილება, შესაფერისი ჩვევები და უნარი, რითაც შემიძლია მეტი სარგებლობა მოუტანო საერთო საქმეს. ვიყავი ბატალიონის კომისრად, ფაქტიურად ბატალიონს ვმეთაურობდი, ხოლო სევასტოპოლში ასევე ვიყავი მე-2 პერეკოპის პოლკის პირველი ბატალიონის მეთაური. მიმდინარე წლის აპრილში პატაკი მივართვი დივიზიის კომისარს ამხ. კულაკოვს მეთაურის თანამდებობაზე გადაყვანის თაობაზე, დამაკმაყოფილებელი პასუხიც მივიღე, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტი არა მაქვს; მართალია, სამჯერ დაჭრილი ვარ, მაგრამ სავსებით ჯანმრთელად ვგრძნობ თავს. ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, დააჩქაროთ ჩემი გაგზავნა სამხრეთის ფრონტზე, იმედი მაქვს ჩემს თხოვნას დააკმაყოფილებთ და მომცემთ საშუალებას, რომ დავიცვა მშობლიური საბჭოთა კავკასია".

და აი, იგი კვლავ საბრძოლო მწყობრშია, საყვარელ ქვეით მეზღვაურთა შორის, ამჯერად 255-ე საზღვაო ბრიგადის 322-ე ბატალიონს უდგას სათავეში ბრძოლებში ნაცადი ხელმძღვანელი, კომისარი კალენიკე გიორგაძე...

ზღვისპირეთის არმიის სარდალმა, გენერალმა ი. პეტროვმა, ერთხელ უსაყვედურა კიდეც კომისარ კალენიკე გიორგაძეს, რომ მოწინავეზე, ცეცხლის ხაზზე, ასე ხშირად წინ და შორს ნუ მიდიხარო. ეს ასეთი დამსახურებული ადამიანის, მგზნებარე ბოლშევიკის სიცოცხლეზე, ომში კომისრის სიცოცხლეზე ზრუნვით იყო ნათქვამი და სამი თვის შეუპოვარ ბრძოლაში, თუ პირველი იყო შეტაკებებში, თითქმის უკანასკნელმა, მკლავსა და თავში მძიმედ დაჭრილმა, ივნისის ბოლოს დატოვა სევასტოპოლი და მცირე ხნის სამკურნალო შესვენების შემდეგ, ტამანის ნახევარკუნძულზე კვლავ შეუერთდა მებრძოლ ნაწილებს, მის საყვარელ ქვეით მეზღვაურებს.

მაინც რა იყო, რატომ ასე იზიდავდა, იტაცებდა, გული მიუწევდა კომისარს მეზღვაურებისაკენ? ქვეითი მეზღვაური! ამაყად ვამბობთ ამ სიტყვას, ვიხსენებთ მის სახეს და თვალწინ წარმოგვიდგება სულით ძლიერი, მხნე, იმედიანი ახალგაზრდა კაცი, მეზღვაურული სულისკვეთების ადამიანი; წამოიმართება ტრადიციული შავი, მეზღვაურული ფორმით, განიერი, მძიმე ჩექმებში ჩატანებული შარვლით, ცისფერ ზოლიანი მაისურით, კოხტად მორგებული პიჯაკით, ოდნავ გვერდზე, მარცხნივ მოქცეული, ორლენტა, უკოზირო ქუდით, რომლის წინაკიდეზე წარწერა „ბალტიიეც" თუ „ჩერნომორეც" — საზღვაო ფლოტის მისამართს გვამცნობდა, ხოლო „ბესტრაშნი" თუ „ოტავუნი" — სამხედრო ხომალდის მანიშნებელი იყო, რომლის პირად შემადგენლობას ეკუთვნოდა სამშობლოს ერთგული შვილი, გულადი მეზღვაური...

იგი იარაღში იყო ჩამჯდარი. ჯვარედინა, ვაზნებით სავსე პატრონტაშებით. მარცხნივ თასმით შებმული ხელყუმბარებით. მარჯვნივ გრძელ ღვედზე ჩამოკიდებული რევოლვერით, ხელში საიმედოდ მომარჯვებული, ხიშტშემართული კარაბინით, მეთაურის თუ კომისრის შთანაფიქრს უთქმელად რომ გრძნობდა, იგებდა, შეუჩერებლივ პირველი მიდიოდა იერიშზე, ნაპირზე საზღვაო დესანტის გადასხმისას, სატანკო შემოტევის მოგერიებისას თუ შეტევაზე მიმავალი, მიდიოდა შეგნებულად, გაბედულად, ზოგჯერ რისკიანადაც, როცა ამას ვითარება კარნახობდა, რაც შეხამებული იყო გონიერებასთან, ოსტატობასთან. ასეთი რისკი არა მარტო ქალაქებს იღებდა, არამედ ციხე-სიმაგრეებსაც იცავდა, მიუვალს ხდიდა მათ მისადგომებს.

დიდი ღირსება იყო ასეთ გოლიათებთან ერთად ბრძოლა, მათს საბრძოლო რიგებში მოქმედება, მათი წინამძღოლობა და ასეთადაც მიაჩნდა იგი ნაცად ადამიანს, მეზღვაურთა კომისარს კალენიკე გიორგაძეს და მათთან ერთად სასახელოდ იბრძოდა საბჭოთა სამშობლოსათვის.

ეროვნული

## ადამიანი, მებრძოლი

— იშვიათი ადამიანი, მებრძოლი კაცი იყო ჩვენი კომისარი, — იხსენებს მისი თანამებრძოლი, პირველი სტატიის ზემდეგი ნიკოლოზ იაკოვენკო, — მუდამ მეზღვაურებთან ტრიალებდა, გულითადად გვესაუბრებოდა, ჩვენთან ერთად იზიარებდა საბრძოლო ცხოვრების ჭირვარამს, გვიჩვენებდა ბრძოლაში მისაბაძ მაგალითს, სიმტკიცისა და გამჭრიახობის ნიმუშებს. მიუხედავად წლოვანებისა, მხნედ იტანდა დიდ ფიზიკურ დატვირთვას, იგი ტოლს არ გვიდებდა ახალგაზრდებს, მუდამ ჩვენთან იყო, მოწინავეზე, ლაშქრობასა თუ ბრძოლაში. არაერთხელ დაიჭრა ცეცხლის ხაზზე, მტერთან პირისპირ შეჯახებისას; ნატყვიარი ზოგი დიდი იყო, ზოგიც პატარა, მაგრამ ტკივილი ყოველთვის ერთგვარია, მძიმეა, დაღვრილი სისხლიც აუნაზღაურებელი. უეჭველია, მასაც ტკიოდა, ეწოდა ნატყვიარი, ლენინგრადთან, სევასტოპოლთან თუ ნოვოროსიისკთან მკაცრ ბრძოლებში, მოწინავეზე მიღებული ჭრილობათა გამო, მაგრამ საოცრად ამტანი, მომთმენი კაცი იყო. ამასთან დიდად განიცდიდა სხვის დაჭრას, თანაპოლკელის სატკივარს. თავად იყო პირველი სანიტარი თუ საველე დასტაქარი, მეზღვაურთა თვალწინ თვითონ იხვევდა ჭრილობას, მძიმე ვითარებაში არ ტოვებდა საბრძოლო რიგებს, მებრძოლ ამხანაგებს.

ეს დიდი ღირსება იყო კომისრისა, რაც ქმედით გავლენას ახდენდა ხელქვეითებზე, ამაღლებდა მეზღვაურულ შემართებას, ალამაღლებდა მათს შემტევ სულისკვეთებას. სხვებიც ბაძავდნენ მას ბრძოლაში, განამტკიცებდნენ ბრძოლის უნარიანობას, დარაზმულობას. მებრძოლი მასების იდეურ-მეომრულ წრთობაში, მეზღვაურთა საბრძოლო აქტივობის ამაღლებაში წარმატების უტყუარი, ქმედითი პირობა ბოლშევიკი კომისრის მორალური მხარე, მისი სისპეტაკე, საქმიანი, მებრძოლი თვისებებიც იყო. — სამშობლოს სახელით გაბარებ ამ იარაღს, — ეუბნებოდა კომისარი ახალბედა მეზღვაურს, — ოსტატურად უნდა დაეუფლო მას, რომ ბრძოლაში, მოწინააღმდეგესთან შეტაკებისას, სრულად გამოიყენო იგი. თითონ კომისარი მუაგულ ცეცხლსა და შეტაკებებში აუცდენლად ისროდა კარაბინიდან, შორს და ზუსტად, კონად თუ ცალად ტყორცნიდა ხელყუმბარებს. ბევრისათვის სანიმუშო და მისაბაძი იყო კომისრის ასეთი საბრძოლო ოსტატობა.

— ყველაფერში, დიდსა თუ მცირე საქმეში, სამაგალითო და მისაბაძი იყო ჩვენი კომისარი, — განაგრძობს ვეტერანი, — ბრძოლაში მამაცი და უშიშარი, მარჯვედ, ოსტატურად ხმარობდა იარაღს, ბრძოლის შემდეგ თვითონ წმენდდა მას. თუ ვითარება საშუალებას იძლეოდა, მთლიანად შლიდა ავტომატს, საგულდაგულოდ წმენდდა მის ნაწილებს, [illegible] წაუსვამდა ზომიერად, სწრაფად აწყობდა კიდეც. ამიტომ მისი პირადი იარაღი მუდამ წესრიგში იყო შეფერხება არ მიუცია და არასდროს ულალატნია პატრონისათვის.

ერთხელ ვცადეთ შევშველებოდით ღვაწლმოსილ ადამიანს იარაღის წმენდაში, მაგრამ ღიმილით გვითხრა: „ვინც იბრძვის, ვის ხელშიც თოფია, ვისაც ემსახურება, მან უნდა მიხედოს, მოუაროს, გაწმინდოს, რომ ბრძოლაში არ უღალატოს, შეფერხებაც აღმოფხვრასო“, და ყველა წესის დაცვით სწრაფად გაწმინდა თავისი კუთვნილი იარაღი და სიყვარულით ხელში შეათამაშა.

შემდეგ ხელები გაიწმინდა, წვერი გაიპარსა, საყელო გამოიცვალა, თითქოს საზეიმოდ, პარადისათვის ემზადებაო. ეს მისი დიდი შინაგანი კულტურის, ყოველმხრივი სიფაქიზის თავისებური, მეზღვაურული გამოვლინება იყო უთუოდ, ასე რომ ამშვენებდა კომისარს, რაც ანდამატივით იზიდავდა ახალგაზრდა მეზღვაურთა ყურადღებას და სანიმუშო მაგალითად გვედგა თვალწინ! და თუ პირველ ხანებში, საომარ ვითარებაში ,ეს აკურატობა ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენებოდა ახალბედებს, შემდეგ ჩვენც უნებლიედ მივეჩვიეთ, მივბაძეთ კომისარს, რაც მაღალ დისციპლინისა და საბრძოლო მზადყოფნის მიღწევაში გვეხმარებოდა. გვიწყობდა ხელს, რითაც ასე მადლიერი ვიყავით კომისრული გაკვეთილისა.

სიმღერაც, საბრძოლო, მეომრული მოძახილიც ეხერხებოდა, სამოქალაქო ომისდროინდელი, წმინდათა წმინდა, ომახიანი სამამულო სალაშქრო, მისი წამომწყებიც ყოფილა. ლაშქრობისას თუ მოწყენილობას შეატყობდა მეზღვაურებს, ასეთ დროს, მომენტის შესატყვისი სიმღერა, თუნდაც ლილინი მოტივისა, სალაშქროდ, საბრძოლველად განაწყობდა დაქანცულ სხეულს, უძილო, შეუსვენებელ სულს მებრძოლი კაცისა!

— მისმა ხელქვეითებმა, მეზღვაურებმა, ვიცოდით, ყოველდღიურად ვგრძნობდით, — სიამაყით იგონებს საბჭოთა კავშირის გმირი, პოდპოლკოვნიკი ვასილი მილოვატსკი, — რომ ჩვენი მამაცი, ჭკვიანი, განათლებული კომისარი კალენიკე გიორგაძე ამბობდა იმას, რაც სწამდა მას, აკეთებდა იმას, რაც სჯეროდა მას და ამიტომაც ბუნებრივია, ჩვენც გვჯეროდა მისი მართალი სიტყვისა და მასთან ერთად გაბედულად გავდიოდით ბრძოლის ველზე, საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, მივდიოდით შეტევასა თუ კონტრშეტევაზე; რაც უნდა მძიმე ვითარება და რთული დავალება ყოფილიყო, ნდობით მივყვებოდით ნაცად კომუნისტსა და უშიშარ მეთაურს და წარმატებებსაც ვაღწევდით, მკაცრ და სისხლისმღვრელ, თავდაცვით თუ შეტევითს ბრძოლებში გამარჯვებული გამოვდიოდით.

კალენიკე გიორგაძე პარტიის ღირსეული შვილი, მისი ერთგული ჯარისკაცი იყო და ასედაც დარჩა ბოლომდე. როცა სასტიკი ომის ცეცხლი ტამანის ნახევარკუნძულს მოედო, ბრძოლამ აქ გადმოინაცვლა, „მცირე მიწაზე“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გაჩაღდა, სარდლობის ბრძანებით ფაშისტ-ოკუპანტთა გაშმაგებულ შემოტევას საზღვაო ქვეითი ნაწილები და შენაერთები წინაღუდგნენ. აქაც თავდადებულად, უნარიანად იბრძოდა მეზღვაურთა კომისარი, წინ მიუძღოდა მამაცთა რიგებს, ხელმძღვანელობდა მათ საბრძოლო მოქმედებას ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სახელისა და ღირსებისათვის დიად ლაშქრობაში. კალენიკე გიორგაძე 1943 წლის აპრილში „მცირე მიწაზე“, საბრძოლო პოსტზე, მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეჯახებაში, გმირის სიკვდილით დაეცა და უკვდავება დაიმკვიდრა მადლიერი ხალხის გულში.

„მცირე მიწა“ უსასტიკესი ბრძოლებისა და იშვიათი მეომრული თავგანწირვის კლასიკური მაგალითი გახდა დიდი სამამულო ომის მატიანეში, ეს ნათელმყო ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის შესანიშნავ ნარკვევში „მცირე მიწა“, რომელშიც ნაჩვენებია საბჭოთა მეომრის შთამაგონებელი სახე.

„მცირე მიწაზე“, მოწინავე პოზიციაზე, რთულ ვითარებაში ქვეით მეზღვაურთა შორისაც ხშირად იყო მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, გვარდიის პოლკოვნიკი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი; იგი არაერთგზის შეხვედრია ქვეით მეზღვაურთა კომისარს, ძველ ბოლშევიკს კალენიკე გიორგაძეს, უნახავს მისი საბრძოლო მოქმედება, უსაუბრია მასთან და დიდი კმაყოფილება გამოუთქვამს საფრონტო ვითარებაში ნაცადი კომუნისტის მაღალი საბრძოლო აქტივობის, ბრძოლაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ქმედითად და უნარიანად წარმართვის მისაბაძი გამოცდილების გამო.

საბჭოთა არმიამ, მისმა უმაღლესმა მთავარსარდლობამ ჩაფუშა მტრის ყოველი გეგმა და ვარაუდი, ფარული თუ აშკარა განზრახვა, ყოველ ამ ზღუდეზე შეაჩერა მტერი, დაამარცხა გამოცდილი მოწინააღმდეგე. ამან განსაზღვრა ამ ფრონტებისა და ჯარების დანიშნულება, მათი თვალსაჩინო წვლილი და როლი აქ გადახდილი მნიშვნელოვანი ბრძოლების განხორციელებაში, მათი ადგილი დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# ტიბაანი და ხირსა

მევენახეთა საფიქრალი და საზრუნავი

სიღნაღის გალავნიდან ფთილა ნისლების საბურველში გახვეულ ალაზნის ველს რომ გადახედავ, წუთიერად მწვერვალზე ამაღლებული მთამსვლელის განცდა მოგიცავს და თითქოს სინანულის გრძნობა დაგეუფლება იმის გამო, რომ არსთაგამრიგემ, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ფრენის უნარი არ მოგამადლა.

ცივ-გომბორის ფერცხალზე გადამდგარ კაცს, ფარდაგად გაფენილი ზვრებისა და ღალიანი სავარგულების სურნელებით გაბრუებულს, მყისვე გაახსენდება შესანიშნავი მგოსნის, ამ სანახების მკვიდრის იოსებ ნონეშვილის მადლიანი სტრიქონები:

დაღამდა. თითქოს ცაზე დაცალეს
ლალის მტევნებით სავსე კალათა,
ადგა სიღნაღი თამადასავით
და სივრცეს თვალი გადაანათა.

თითქოს მიფრინავს გუნდი მერცხლების,
შრიალებს დინჯი ალზნის ველი,
შორით გომბორის მთაც ივერცხლება,
როგორც მოხუცი დარბაისელი.

ბიჭები უკვე ყურძენს სწურავენ,
მარნებში ოქროს შუქი ილვრება,
მოსჩქეფს მაჭარი და ყელს სწყურიან
ტკბილი სიმღერის შეღიღინება...

სავსე ურმები ზანტად მიდიან,
დგას სურნელება უხვი მოსავლის,
კავკასიონის მწვერვალს ჰკიდია
ცა — ვარსკვლავების კრიალოსანი.

საოცარი, ულევი საბადო გამოდგა ეს ბადლიანი მხარე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სასოფლო დარგებისათვის, განსაკუთრებით კი, რაღა თქმა უნდა, მევენახეობისათვის; ასევე მწერლობის, მხატვრობის, მეცნიერებისა და, საერთოდ, ქართული ხელოვნებისა და კულტურისათვის. რამდენი გამოჩენილი პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის აკვანი დარწეულა აქაურ სოფლებში, რამდენ მათგანს აუდგამს ფეხი ცივ-გომბორის ფერცხალებზე და ალაზნის ძუძუ უწოვია.

საუკუნეების მანძილზე, როგორც კი ათასი ჯურის მტარვალთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების ზათქი მიწყდებოდა, მცირედი წუთ-შესვენება ჩამოვარდებოდა, ხმლის ქნევასა და სათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარ ფაციფუცში დაბანდებულ მეომართა ენერგია უკვე სულ სხვა გამოვლინების სახით, სულ სხვა ფორმით გამოაშუქებდა, ხან სტრიქონებად ჩამოისხმებოდა, ხანაც მხატვრულ ტილოებად იქცეოდა...

მაგრამ თავი და თავი მაინც ამ სასწაულებისა იყო და არის ქართველი კაცის გასაოცარი შრომისმოყვარეობა, მიწასთან, გარემოსთან თავისებური დამოკიდებულების ღვთით ბოძებული ნიჭი და უნარი, საერთოდ, მისი დახვეწილი, ჩამოყალიბებული სულიერი სტრუქტურა, მიწის წიაღიდან ნაკვები ალალ-მართალი ბუნება და ხასიათი, ასე სრულყოფილად რომ შემოგვინახა ამ მრავალჭირნახულმა, ნაოხარ-ნარბევმა მხარემ.

და, შესაძლოა, ხმლის ქნევასა და თოფის სროლაზე ნაკლები სამსახური როდი გაუწია ჩვენს ქვეყანას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში ამ განუმეორებელმა მადლმა, შრომის მაღალმა კულტურამ.

მამულის ჯარისკაცები ეცემოდნენ მრავალრიცხოვან მიმხვდურთან ბრძოლაში, მაგრამ ცოცხლობდა, უკვდავი იყო მამაპაპური ტრადიცია გარჯისა, შენებისა, მარჩენალი მიწის გულიანი ფერებისა და სიყვარულისა. ყოველივე ამისი წართმევა არავის არ ძალუძდა დედამიწის ზურგზე. და ეს გრძნობა ეხმარებოდა ქართველ ერს გავერანებული, ფერფლად ქცეული, იავარქმნილი მეურნეობა კვლავ წამოემართა წელში, ცხოვრებას კვალში ჩასდგომოდა, მხნეობა მოეკრიბა და ვაჟკაცური „მრავალჟამიერთა“ და სევდიანი „გუთნურით“ თავიდან დაეწყო ყველაფერი, თითქოს და აქ არაფერი მომხდარაო...

მაინც რა განსაკუთრებულ ხასიათზე შრომისმოყვარეობაზეა აქ ლაპარაკი? — დაინტერესდება მკითხველი და პასუხსაც დაელოდება. ამ ურთულესი და მრავალწახნაგოვანი საკითხის პასუხი კი ალალ-მართალი მშრომელი კაცის ბუნებასავით მარტივი და, ერთი შეხედვით, უბრალოა; მშრომელი [illegible] მელიც ზერელედ და მოჩვენებითად, სახმაუროდ არ დაშვრება. მას შინაგანი მოთხოვნილებანი, პატიოსნება და სინდისი ამოძრავებს და მამა-პაპათა ტრადიციას ერთგულად აგრძელებს. მისი ცხოვრების აზრი ყოველდღიურ შრომაში, აზრიან ფუსფუსსა და მოძრაობაშია გამოხატული. იგი ამ თავისი უჩუმარი, მაგრამ დაუღალავი საქმიანობით, ყოველდღიური ოფლისღვრით, ყანებსა და ზვრებში ტრიალით არსებითად ებრძვის კიდევაც ყოველივე მოჩვენებითს, ზედაპირულს, ებრძვის ამაო ხმაურსა და ბაქიბუქს.

ზემოთქმულის დასადასტურებლად, ქართველი გლეხკაცის გონიერებისა და შრომისმოყვარე ბუნების უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად მოვიყვან ორიოდე მაგალითს. ორივე ეს მაგალითი აქაური მშრომელი კაცის საქმისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ასპექტს მოიცავს.

### პირველი მაგალითი

ქისტაურელი ნიკოლოზ კვიცაშვილი თავის მარანში, უშველებელ ქვევრთან ჩაცუცქულა. მან ეს-ეს არის, სტუმრებისათვის ღვინო ამოიღო ქვევრიდან და ახლა, ვიდრე სარქველს დაახურავდეს, სუფთა ნაჭრით საგულდაგულოდ უმშრალებს მოსველებულ ზედაპირს.

— ძია ნიკო, ეგ აუცილებელია? — დარცხვენით ვეკითხებით მასპინძელს მისი ამ უცნაური საქმიანობით გაოცებული სტუმრები. ვგრძნობთ მეღვინეობის საკითხებში ჩვენს არაკომპეტენტურობას, მაგრამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილი იმდენად დიდია, რომ უხერხულობა არაფრად გვიჩანს.

თავის მხრივ ძია ნიკო ნატკენზე ფეხს როდი გვაჭერს, ითვალისწინებს ჩვენს გამოუცდელობას ამ საქმეში და ცდილობს არ შეიმჩნიოს არაფერი:

— სხვასაც ბევრს უკითხავს, რა აუტკივარს იტკიებო, გაანებე თავი რაღაო... ის კი არა, ზოგიერთ ჩვენებურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ეზარება ამდენი ლოლიავი. ღვინო რო გაუუგემურდებათ ხოლმე, მერმე კი ნანობენ, მაგრამ უკვე გვიანაა თითზე კბენა... გადაბრუნებულსა და აჭრილს რაღას უშველი, მაშა, კაცო...

— ნაჭრის გამოსმა წაადგება მერე მაგ საქმეს? — ვეკითხებით ძია ნიკოს.

— წაადგება რომელია. რომ მოუმშრალებ პირსა, მერმე მიკრობები საიდანღა გაჩნდებიან? ველარსაიდანა. მიკრობი და თევზი ერთმანეთსა ჰგავს. ორივენი სითხის ბინადრებია... მერმე ისეთი ფინთი რამეებია ეს მიკრობები, თვალთუხილავებია, მაგრამ ამოდენა ქვევრს ისე წაგიხდენენ, თითქოს არაფერიო...

— ასეა გენაცვალე, ღვინო ისეთი ფაქიზი და ჭირვეული რამ არის, ეგ დალოცვილი, რომ ერთი წუთითაც თუ თვალი მოუხუჭე, უჰუ... იცოდე, ხათაბალაში გაგხვევს. აბა, ისე იოლად რომ იყოს ყველაფერი, ერთმა აჯამმა რომ თქვა — ღვინოს რა უნდაო, დაასხი და დალიეო, დაასხი და დალიეო! მაშინა, რა გვჭირდა, რა...

მეორე მაგალითი:

მატნელმა ოტიაშვილებმა, ვახტანგმა და არჩილმა, სამოცს გადაცილებულმა სახლიკაცებმა, მეზობელ თიანეთის რაიონში თერთმეტ დღეში წამოუჭიმეს იქაურ მოსახლეს ორსართულიანი ბინა და მთელი რაიონი გააოცეს თავიანთი ნამოქმედარით — ამას ჩვენებური ხელოსნები ორ თვეშიაც ვერ დაამთავრებდნენო, — გულწრფელად აღიარებდნენ ისინი.

ამ შემთხვევაში ყველაზე ნიშნეული ის გახლდათ, რომ მოდგმით მეზვრე და მევენახე ძმები საჭიროების კვალობაზე მშენებლებად, კალატოზებად გადახალისდნენ. ისარგებლეს ვენახებში ჩამოვარდნილი წუთშესვენებით, გამოირეკეს ჯერ კიდევ ღინღლიანი, მაგრამ საქმიანი შთამომავლობა — შვილები და ერთიანის ძალით გააჩაღეს არნახული შრომის ცეცხლი და თავიანთ ოჯახებს გვარიანი დამატებითი სახსარი შესძინეს. მამა-შვილები ყოველდღილაუთენია ბინდბუნდზე დგებოდნენ და გვიანობამდე კოდალებივით ჩაფრენოდნენ ხარაჩოებს. რაც ასევე უცნაურად შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს, — სადამოობით, ვახშმობისას თითო ჭიქა ღვინოს თუ გადაჰკრავდნენ უფროსები მხოლოდ თითო ჭიქას. ეს იყო და ეს. ხატზე დაფიცულებივით მეორედ სასმისს ხელს აღარ მოჰკიდებდნენ, და ეს მაშინ, როცა, საერთოდ, მშენებლები „ყელის დასველებაზე“ იშვიათად ამბობენ ხოლმე უარს. ხომ წარმოუდგენელია კახელი კაცი ულვინოდ, მაგრამ იმათ ერთხელაც არ გადაუყოლებიათ ჭკუა სასმელისათვის. ისინი აქ საქმეზე იყვნენ მოსულები, ამ საქმეს კი წუთითაც არ ელალატებოდა...

ამ ჰარმონიულობამ, საოცარმა ოიტმულობამ, ლამის მხედრულმა დისციპლინამ შედეგიც გამოიღო — მთელი თვის საქმე, და შეიძლება უფრო მეტისაც, თერთმეტ დღეში მოამთავრეს და ცხოველმყოფელი, შთამბეჭდავი, მრავალთათვის დამაფიქრებელი აგიტაციაც გაუწიეს ალალ, პატიოსან შრომასა და საქმიანობას.

მაგრამ ყველაფერი ეს შემთხვევითიასა და ყურმოკრულის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს ალბათ. შორით გაგონილი კი ხშირად მაცდური და მოჩვენებითია. ამიტომაც, მოდით, ჩვენც ახლოდან დავაკვლიოთ აქაურ ადამიანებს, მათს გუნება-განწყობილებას, პრობლემებს, საქმეებს.

ვეწვიოთ სიღნაღის რაიონის ბარაქიან სოფლებს — ტიბაანსა და ხირსას და შეძლებისდაგვარად ვცადოთ ადგილობრივ ვითარებში გარკვევა.

* * *

ტიბაანი! — მშობლიური სოფელივით, ბავშვობისდროინდელი ალაგებივით საცნაური და ახლობელია იგი ჩემთვის. ასეთი სოფლები კი მრავლად არიან მიმობნეული მთელს საქართველოში და რა თქმა უნდა აქაც, კახეთის ტერიტორიაზეც — მირზაანი, ზე-

ეროვნული

მო და ქვემო მაჩხაანი, ჯუგაანი, ოზაანი, მატანი და კიდევ სხვები ბავშვობისდროინდელი სვანური ადგილებს — უიბაანის, ჩვიბაანის, ყვაბაანის, ლექვაანის, ლეუაანის ასოციაციებს აღძრავენ ჩემში. მყისიერია ეს აღტკინება. მაგრამ ერთობ საკმარისი იმისათვის, რომ განსაკუთრებულად განეწყო, ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შორებელი ნათესავების“ მიმართ.

მით უფრო ტიბაანის მიმართ — ჩვენთან არის ტვიბერის ხეობა, გადასასვლელი, რომლითაც სვანეთი ჩრდილო კავკასიას უკავშირდება. ტვიბაანი, ნახეობარ ადგილს ნიშნავს ჩვენებურად. ტვიბრა კი — წყლიანი ხევია. აკი ტიბაანიც ხომ სწორედ წყლიანი ხევის პირზეა, უფრო მეტიც — ზედ ხევზეა გაშენებული. ასე რომ ჩვენი, ეგრეთ წოდებული, სახელდახელო ეტიმოლოგიური კვლევა წარმატებით დაგვირგვინებულად შეიძლება ჩაითვალოს. ეგ ყველაფერი, რა თქმა უნდა, უბრალო ხუმრობაა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ანალოგიებში იმდენად საეჭვო და გასაკვირველი მაინცდამაინც არაფერია, როგორც ეს ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს. თუ გავითვალისწინებთ ფუძე ენის დანაშრევთა არსებობას — მთათა, მდინარეთა, სოფელთა და ადგილთა სახელებში რომ არის შემონახული მთელი საქართველოს მასშტაბით და აგრეთვე უძველეს ქართულთან სვანური ენის ორგანულ მიმართებას, შედარებით მარტივად აიხსნება ყველაფერი. მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვი, ეს გახლავთ წმინდა წყლის ენათმეცნიერული ასპექტი, ჩვენ კი ამჯერად სულ სხვა მიზანმა მოგვიყვანა ამ კურთხეულ მხარეში, თუმცაღა ისიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ კეთილგანწყობა და ისიც განსაკუთრებული ყველა დიდსა და პატარა საქმეს სჭირია, ყოველშემთხვევაში, წადგომით თუ არ წაადგება დაშავებით ნამდვილად არაფერს დაუშავებს ჩვენს კეთილგანზრახვებს...

მთელი ეს ჩემი „ენათმეცნიერული ძიებანი“, რა თქმა უნდა, ასჯერ [illegible] ბით გავაცანი ტიბაანელ მასპინძლებს— სოციალისტური შრომის გმირს, სამი პარტიული ყრილობის დელეგატს, ცნობილ მევენახეს ვლადიმერ ხუცურაულს, ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გივი მამაიაშვილს, მთავარ ეკონომისტს ოთარ თორღვაშვილს, პარტბიუროს მდივანს გივი ბაკაშვილს. უცნობ ადამიანებს მაშინათვე გეგმებსა და პრობლემებზე ხომ არ ჩამოვუგდებდი საუბარს, ჰო და, შესავლისთვის დიახაც რომ ზედგამოჭრილი იყო ჩემი მოარული და ერთობ საეჭვო დაკვირვებანი და კონცეფციები მათი მშობლიური სოფლის სახელწარმოქმნის თაობაზე. მაგრამ როდის იყო, რომ გონიერი მასპინძელი სტუმარს ჭკუას აყოლებდა. მათ მხრები არ აუჩეჩავთ გაოცებისაგან, ერთმანეთსლა გადახედეს და ასე უჩუმრად შეთანხმდნენ, რომ პირველი სიტყვა ხნოვანებითა და გამოცდილებით უფროსს, პატივცემულ ვლადიმერს ეთავა.

— ჩემი წინაპრები ჩარგლიდან ყოფილან გადმოსულები კახეთში, — შორიდან დაიწყო ვლადიმერმა, — მეც და ჩემი შვილებიც ყველაფერ აქაურს იქაური არშინითა ვზომავთ, ეს ისე უფრო გულის მოსაფხანად. სამწუხაროდ, იქაურისა ბევრი არაფერი გაგვეგება... ჩარგლელ წინაპართა მესამე-მეოთხე თაობას ალბათ არც გაგვემტყუნება. ეს სურვილი კი, მამაპაპურის გახსენებისა, ხელს არაფერში გვიშლის კახელ ხუცურაულებს.

ჩემთვის გასაგები ხდება ამ ჭარმაგი მევანახის ძლივსშესამჩნევი, მაგრამ მაინც განსხვავებული კილო. მის საუბარს მართლაც ის მთიულურ-ფშავური ელფერი დაჰკრავს. უფრო გამარგლულია. ლიტერატურულთან მიახლოებული. „ადგილის დედის“ მადლი ჯერ კიდევ ჰყიოდა ვლადიმერის არსებაში და არავინ უწყოდა, რამდენ თაობას გაჰყვებოდა კიდევ მისი უჩინარი. მაგრამ საცნაური ექო შორეული მთებისა, შინაგანი ანაბზინი მამა-პაპათა სალოცავი

ხატებისა. ამ წუთში ადგილის დედის საოცარ მადლსა და უნარზე ვფიქრობდი — რაოდენ გამძლე და ცხოველმყოფელია თურმე წინაპართაგან ნაბოძარი სახმილი არსობისა. დიახ, იგი თავისებურად ბუდობს მაინც ყოველ ჩვენთაგანში, ჩქამობს ჩვენს სისხლსა და გენებში, უკვდავია იგი თაობების მანძილზე.

— მართალია, ტიბაანის წარმოშობაზე ვერაფერს გეტყვით, — აგრძელებს საუბარს ვლადიმერი, — ეს ალბათ მეცნიერებმა უკეთ იციან, მაგრამ ის კი გამიგია, რომ ადრე ამ სოფლის ერთ ნაწილს ხირსა რქმევია. აქ ხირსის ეკლესია დღესაც არსებობს... ხირსის ვენახებიც აქვე, სოფლის ბოლოშია. ხირსა ამჟამად მეზობელი დასახლებაა, მის მამულებსა და ეკლესიას კი ტიბაანელები ვპატრონობთ...

ტიბაანის კოლმეურნეობის კანტორაში, სადაც ჩვენ ვისხედით, საოცარი სიჩუმე სუფევდა. მეურნეობის თავმჯდომარე, მთავარი ეკონომისტი და პარტორგანიზაციის მდივანი გაფაციცებით უსმენდნენ ვლადიმერს. მხოლოდ მერე, როცა ცნობილმა მევენახემ ერთი აზრი ჩამოამთავრა და გაჩუმდა, თან უფროსებს გადმოხედა, თითქოს აგრძნობინებდა, თქვენც მომეხმარეთო და ისინი მაინც საუბარში ჩაბმას ჯერ არ აპირებდნენ, ვლადიმერმა ოთარ თოლვაშვილზე მიმანიშნა:

— ეგაც ჩემსავით გადმოხვეწილი გახლავთო...

ახლა კი ძალაუნებურად ჩაერთო საუბარში ოთარი:

— თორღვას აბანოები გემენიათ, ალბათ. იქიდანა ვართ ჩამოსულები. კახეთის მიწა ოდითგან ბარაქიანი და სტუმართმოყვარე გახლდათ. სტუმართმოყვარე კეთილი ხალხისთვის. ძველად კი სულ მტერი მოემართებოდა აქეთკენ, მაგრამ ახლა, საბედნიეროდ, ვითარება შეიცვალა — აქაურობა სამოყვრო ბილიკებით დაიქსელა. სხვათაშორის, თქვენებურებიცა გვყავანან სოფელში, ხირსაშიაც არიან სვანები. ასეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს, უნდა მივდ[illegible] ერთმანეთთან, მივდგეთ-მოვდგეთ, მა რა? ძველებური სამანები მოცვდა უკვე ზედმეტ ბარგად იქცა დიდი ხანია. ერთიანად უნდა ვუპატრონოთ და მივხედოთ ყველამ ჩვენს ქვეყანას, საქართველოს...

ოთარი მართალს ბრძანებდა. ერთიხნის ძალით უნდა მიგვეხედა ყველას ჩვენი მთისა და ბარისათვის. ოღონდ, რა თქმა უნდა, არა მთის დაცარიელების ხარჯზე. სხვებიც ემოწმებოდნენ ოთარს, დასტურითა და თავის ქნევით ემოწმებოდნენ და ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ ეს შრომისა და შენების ჩინებული ოსტატები, თავისი საქმის გმირები სალად, გონივრულად ბჭობდნენ საერთო მნიშვნელობის საქმეებზე, ეროვნულ პრობლემებზე; გული შესტკიოდათ, უხაროდათ, ფიქრობდნენ, წუხდნენ...

რაიონში საგანგებო მვლინებით ჩამოსულს პირველ რიგში კოლმეურნეობათა, მეურნეობათა და მეზვრე-მევენახეთა მიღწევა-ნაკლოვანებებში გათვითცნობიერება მაინტერესებდა, მაგრამ მათ საქმიანობასთან, ეგრეთ წოდებულ „მიმდებარე საკითხებიდანაც" შეიძლებოდა საიმედო დასკვნების გამოტანა საწარმოო და სამეურნეო გეგმების შესრულებაცა და შრომითი წარმატებებიც ხომ მშრომელი ადამიანის მორალურ-ეთიკური მრწამსიდან, მათი მოქალქაეობრივი შეგნებულობიდან სულიერი მდგომარეობიდან, საერთო განწყობილებიდან გამომდინარეობს.

სულიერ მდგომარეობასა და შრომით წარმატებებს შორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას შესანიშნავად გაუსვა ხაზი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა:

„მაღაზია, სასდილო, სამრეცხაო, ქიმწმენდა, — აქ ადამიანები ყოველდღე დადიან, როგორ ხვდებიან მათ? რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ ელაპარაკებიან? რამდენ დროს ხარჯავენ ისინი ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო საზრუნავისათვის? ადამიანები მეტწილად სწორედ იმის მიხედვით აფასებენ ჩვენს მუშაობას, თუ როგორ წყდება ეს საკითხი, თანაც მკაცრად, მომკითხველად აფასებენ და ეს უნდა გვახსოვდეს"... საბჭოთა ადამიანის გუნება-განწყობილების მოფრთხილებაზე უკეთესად რაიმეს თქმა ძნელია. ბრძნული და შთამბეჭდავია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მრავლისმეტყველ ფორმულად ჩამოყალიბებული დებულება — „კონკრეტული ზრუნვა კონკრეტული ადამიანისათვის!", სადაც ყველაზე სრულყოფილად არის გამოხატული პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ფიქრი საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობაზე, მის ბედნიერებაზე და, რაღა თქმა უნდა, სულიერ განწყობილებაზე.

ამავე საკითხს ეხმაურება სკკპ ცენტრალური ომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მოსაზრება: „ჩვენ უნდა ვიღწოდეთ განწყობილებათა სკალის მაჩვენებლის არა დროებითი, ერთჯერადი ამაღლებისათვის და თუნდაც არა პერიოდული გარდატეხისათვის, არამედ სიმყარისათვის, სტაბილურობისათვის..."

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ ამჟამად, სწორედ ამ ეტაპზე პარტია განუხრელად ისწრაფვის ადამიანის, კონკრეტული პიროვნების სულიერი, მატერიალურ-ეკონომიკური და ეთიკურ-ესთეტიკური, მისი შინაგანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ტიბაანელებთან საუბარში კი ნათლად იგრძნობოდა ეს ამაღლებული განწყობილება, საერთო კმაყოფილება არსებული ვითარების გამო და, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტის გაკეთებისა და მიღწევის, უკეთესისადმი ლტოლვის სურვილიც.

რამდენადაც ყველაფერი ამ ქვეყნად მიზეზ-შედეგობრივია, ბუნებრივად იბადება კითხვა, მაინც რა საფუძველი გააჩნდა მათს შინაგან ოპტიმიზმსა და ამაღლებულობას? რა ფაქტორებიდან, რა საფუძვლებიდან მომდინარეობდა იგი? — ამ კითხვას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გივი მამაიაშვილმა გასცა პასუხი:

— თქვენ წელან ბრძანეთ, ტიბაანი ხევს, ნახეობარ ადგილს უნდა ნიშნავდესო, მართალია, ეს, ისე, უბრალოდ იყო ნათქვამი; მე მგონია, უფრო სიტყვის მასალად, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — ფაქტი ის გახლავთ, რომ ჩვენი სოფელი მართლაც ზედ ხევზეა გაშენებული; ხევი, ჩვეულებრივად, მოგეხსენებათ, ქვა-ღორღიანია, მაგრამ შეხედეთ, რა წალკოტად გადაუქცევია იგი ჩვენუბური მშრომელი კაცის მარჯვენას. ვინ იტყვის, რომ ოდესღაც აქაურობა ფიქლის ნაშალითა და ციცგომბორის კალთებიდან ჩამორეცხილი ქვა-ღორღით იყო მოფენილი? განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში იცვალა სახე ტიბაანმა. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებების სიმრავლე მაქვს მხედველობაში: კოლმეურნეობის მშრომელებს ემსახურება უნივერსალური მაღაზია, სასურსათო მაღაზია, სავაჭრო ცენტრი, საპარიკმახერო, ავაშენეთ საშუალო სკოლა 381 მოსწავლისათვის და ასე შემდეგ...

მართალია, საქმე ბევრი გვაქვს, მაგრამ როცა გაწეული ამაგი ფასდება, ამას ვინღა ჩივის. ჩვენი შვილები უმაღლესში სწავლობენ, რა თქმა უნდა, რჩეულები მყავს მხედველობაში, ასევე სხვადასხვა ტექნიკუმებში, ნაწილი ჯარშია, ნაწილიც აქვე, სოფლად საქმიანობს; აი, მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი კომკავშირელი მევენახე ლეილა ჯავახიშვილი. ცხოვრებითაც არა გვიშავს რა, ბევრს საკუთარი მსუბუქი მანქანა ჰყავს, ხვალინდელი დღის შიში არა გვაქვს, საქალამნე ტყავსაც არავინ დაეძებს. ყოველივე ეს კი საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი მიზეზია ალბათ იმისათვის, რომ ადამიანმა თვალში გამოიხედოს...

— ჩვენი სოფელი გამონაკლისი როდია. ამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა რაიონის მშრომელთა კეთილდღეობისათვის წნორში, ჯუგაანში, ოზაანში, აგერ ხირსაში, — საუბარში ჩაერთო გივი ბაკაშვილი, — ბუნებრივია, გუნება-განწყობილება ყოველთვის ერთ დონეზე ვერ იქნება. მშრომელ ადამიანს ათასი საზრუნავი გააჩნია: ხან წვიმიანობა მოუკლავს გულს, ხანაც გვალვისაგან გადამჭკნარი ნალოლიავები ვენახების ხილვა მოადენს ცრემლსა. გასული წელი ერთ-ერთი უილბლო წელი იყო ჩვენი რაიონისათვის, მაგრამ მაინცდამაინც არაფერი დაგვითმია. განსაკუთრებით, პატივცემული ვლადიმერის ბრიგადამ გამოიჩინა თავი. ნათქვამისა არ იყოს, არვეს რომ კარგი წინამძღოლი გაუჩნდება, იმას ადვილად ვერ დათოფავს მონადირე. ჰოდა ვლადიმერის ზვრებიც ვერ დათოფა იმ ოხერ-ტიალმა სეტყვამა. ვლადიმერს სხვებმაც გამოსდიეს და ჩვენმა სოფელმა 2670 ტონის ნაცვლად 2719 ტონა ყურძენი ჩააბრა. გეგმა 102 პროცენტით შევასრულეთ. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. მაგალითად, ხორცის ჩაბარების გეგმა 186 პროცენტით შევასრულეთ და სასურსათო პროგრამის განხორციელებას ასე გამოვეხმაურეთ. აგრეთვე გადაჭარბებით შევასრულეთ რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა — 114 პროცენტით, მატყლისა — 100, აბრეშუმის პარკისა — 114, მარცვლეულისა — 156, ბალჩეულისა — 100 პროცენტით. აგრეთვე მოვიწიეთ მზესუმზირის ბოსტნეულის მოსავალი. ჩავაბარეთ კვერცხი და სხვ. ერთი სიტყვით, ჩვენი მევენახეები მარტო ვაზის ოსტატები როდი არიან, ყველა საქმე ეხერხებათ... სხვათაშორის, მოსავლის მოწევა და დამზადება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მოწეულს დაბინავება, გადამუშავება და მომხმარებლამდე მიტანაც სჭირია. განსაკუთრებით ეს ეხება ყურძენს, ჩვენი მეურნეობის პროდუქციას. ამ თვალსაზრისით შესანიშნავი მაჩვენებლები მოიპოვა ტიბაანის მარნის კოლექტივმა. დიახ, აქაური საქმე ეგრეა. ჩვენსას რო ვიკვეხით, იმათიც უნდა ვთქვათ...

## მარანი

გივი ბაკაშვილმა სწორად აღნიშნა, — ტიბაანელ, ხირსელ და საერთოდ, მთელი კახეთის მევენახეთა „თეთრი ქუდის დამდგმელები“, საბოლოო ჯამში მარნებია, საწნახელები და ქვევრებია, სადაც მოწეული მოსავალი მზა პროდუქციად იქცევა. მარანი სოფლის ბოლოს გაუშენებიათ და მთელი წლის ნაშრომსა და ნაოფლარს, საქვეყნო ხვავსა და ბარაქას აქ ინახავენ.

„რაოდენ გულსატკენია, როცა გალეწილი და დაბინავებული ხორბალი დაგიალაოვდება, ცემენტი გაგიქვავდება, უბრალოდ აილე, პურის საჭმელად ტყეში გასულს მწვადი რომ დაგწვია, ისიც კი გწყენია კაცსა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი — უყაირათო დიასახლისი მტრის ოჯახში შეიყვანაო. თუ ნაოფლარი ყურძენი წესიერად ვერ დაწური და ღვინოც გადაგიბრუნდა, გინდ მოგიყვანია და გინდ არა...“ — ეს კიდევ ვლადიმერ ხუცურაულის სიტყვებია.

და აი, მარანიც... ბედად იქე მოხდა რომ, ორივესი, ტიბაანისა და ხირსის ღვინის ქარხნების ხელმძღვანელ მუშაკებს მორიგ თათბირზე ტიბაანია მარნის უფროსის კაბინეტში მოეყარათ თავი, აქ იყვნენ წარმოების უფროსი — ავთანდილ მამაიაშვილი, ინჟინერ-ტექნოლოგი და საამქროს უფროსი შალვა გოგოლაშვილი, უფროსი მეღვინე — ემზარ თათარაშვილი, მეღვინეები — ნიაზი ჩერქეზიშვილი, ალბერტ ნანობაშვილი, ნუგზარ ტაბატაძე, მევლუდ ღვინიაშვილი და სხვები... მორიგ თათბირს ატარებდა სიღნაღის ღვინის კომბინატის გენერალური დირექტორი, ახალგაზრდა, მაგრამ საკმაო გამოცდილების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მქონე სპეციალისტი ანზორ კვალიაშვილი.

მეტად ტკბილმოუბარი აღმოჩნდა ანზორი. ძალიან ძნელი დრო დაუდგათ გასულ წელს ჩვენებურ მევენახეებსაო, თავისი გულისტკივილი გაგვიზიარა, — მაგრამ მაინც ივაჟკაცეს და სახელოვნადაც გაართვეს თავი ტიბაანელებმაო. რომ იცოდეთ, მევენახეების პირველი გულშემატკივრები ჩვენა ვართ, ყანტიანობისას, ვაზს რო გაუჭირდება ხოლმე, წვიმაც მეღვინეს ჩაედინება კისერში, და თაკარა სიცხეებშიაც გული მეღვინეს ეწურება ზვრების საცოდაობისაგანო. მოუსავლიანი წელი ხომ ჩვენთვის ცის ჩამოქცევასავითაა! გასული სეზონი, მართლაც საშინელ კოშმარებში გავატარეთ, ახლა ჯერი ჩვენზეა, ღვინის ოსტატებზედაო, მთავარია. ჩვენი უყაირათობით ამ ბუნებისაგან მოყენებულ დანაკლისს რაიმე გაუთვალისწინებელი ზარალი არ წავამატოთ, თუნდაც მცირედი ზარალი, ნორმით განსაზღვრულ დანახარჯებსაც უნდა გავუფრთხილდეთო...

არა და როგორი საქმეა, მთელი წლის განმავლობაში ვემზადებით ახალი სეზონისათვის — ველარ ავუდივართ ქვევრებისა და ჭურჭლეულის რეცხვასა და სანიმუშო წესრიგში მოყვანას, შეკეთებას, წარმოების გაფართოების, სიმძლავრეთა გაზრდის სამუშაოებს, მაგრამ რაღა ფასი აქვს ყოველივე ამას, თუ კი შემოდგომაზე შიგ დასაბინავებელი ველარაფერი ვიშოვეთ? ამიტომაც ვთქვი, პირველი გულშემატკივრები ზვარ-მეზვრეთა ჩვენა ვართ-მეთქი, მეღვინეები. მევენახეები და ჩვენ ერთი საქმისთვისა ვართ მოწოდებულნი. ერთ საზრუნავს ჩავდგომივართ კვალში. ისე არ იფიქროთ, თითქოს მაგათი ფაციფუცის შორით მაცქერლებილა ვიყოთ, გაჭირვების ჟამს ხშირად დახმარების ხელი გაგვიწვდია ხოლმე, გავუწვდით მომავალშიაც...

— რამდენი მარნისაგან შესდგება თქვენი კომბინატი? — ვკითხე ანზორს.

— სიღნაღის ღვინის კომბინატი ექვს [illegible] მა — იგი ჩამოყალიბდა წნორის სათამ ქარხნის ბაზაზე. ამ გაერთიანებას შეადგენენ ვაქირის, მალაროს, ანაგის, ხი[illegible] და ტიბაანის მარნები. ამათგან თავისი სპეციფიური თვისებებითა და გემოვნებით გამოირჩევა ტიბაანის მარნის მასალა, რომლისგანაც არის წარმოებული ყველასთვის კარგად ცნობილი „ტიბაანის“ მარკის შესანიშნავი ღვინო. იგი, როგორც უკვე აღვნიშნე, განსაკუთრებული თვისებების მქონეა და თავისი მაჩვენებლებით ბადალი არ მოეძებნება. ანზორმა კაბინეტის კედელზე გაკრულ ტაბულაზე მიმითითა, სადაც „ტიბაანის“ ორგანო-ლეპტიკური მაჩვენებლები ყო გამოხატული.

— ჭირვეული ალსაზრდელივითაა, ეგ დალოცვილი, — განაგრძო საუბარი ანზორმა, — ამ მაჩვენებლებიდან ერთი რომელიმეც რომ „ჩაგვივარდეს“, იგი უკვე სარეალიზაციოდ აღარ მიიღება. ესე იგი, უნდა იზარალოს წარმოებამ, პირველ რიგში, საბოლოო ჯამში კი სახელმწიფომ და ხალხმა, რა თქმა უნდა. ასე, რომ ღვინო და ბავშვი ბევრი რამითა ჰგვანან ერთმანეთს, განსხვავება ისაა, რომ მოზარდს გაცილებით ხანგრძლივი დაღვინების პერიოდი გააჩნია, ვიდრე ამ ჩვენს ჭირვეულ ალსაზრდელსო. მართლა, ტყუილად კი არაა ის ანდაზა ნათქვამი ვაზის კულტურაზე. მოიცა, როგორ არის? — საამქროს უფროსს, სანდომიანი შესახედაობის ადამიანს, შალვა გოგოლაშვილს გაეკითხა ანზორი და თან შუბლი მოისრისა.

— ბევრია და შენ რომელზე ამბობ? „ვაზო ჩვილივით ნაზარდო, ულვაში გადგიგრეხია, ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა, შუაზე გადგიტეხია, ჭირიმე შენი ფესვისა, მოვკვდები მე შენს ძირშია, შენა ხარ ლხინის მომტანი, იმედი გასაჭირშიაო“. მაგაზე კარგი რამ იქნება კიდევა? — შეაწია დირექტორს შალვა გოგოლაშვილმა.

— ოპო, სცოდნია, „ჩაკრულო“, რა... მოწიწებით დაადო ხელი მხარზე ასა-

¹ „მნათობი“, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კით უფროს ადამიანს ანზორმა. — მე სხვაზე გეკითხები, ბიჭო, ანდ [illegible] გამახსენდა—„მამა დაგრეხ[illegible] დაჭყლეტილი, შვილი გადარეულ[illegible] ხედავ, რა ზუსტად არი ნათქვამი? [illegible] თლაც რო გადარეულია და იმაზე მეტიც და იმიტომაა ამოდენა ლაშქარი რო დასეეია და ველარ ათვინიერებს, ხშირად თითონ გამოდის გამარჯვებული კიდეცა... — ღიმილით ამბობს ანზორი. მოზარდის შეურვეობისას დაშვებული შეცდომები შემდეგში მთელ საზოგადოებას აზარალებს, აქაც დაახლოებით ეგრეა. ოღონდ იქ მშობლები და მასწავლებლები ტყუიან, აქ კი მევენახეები...

— წელან „ტიბაანის“ განსაკუთრებულობაზე ჩამოვარდა საუბარი, რას გვეტყვით თქვენ ამის შესახებ, როგორც მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი? — ვკითხეთ ავთანდილ მამაიაშვილს.

— საერთოდ, ცნობილია ორნაირი ტექნოლოგია ღვინის დამუშავებისა და დაყენებისა — ევროპული და კახური. ჩვენს კომბინატში ორივე ეს სახეობაა წარმოდგენილი. ევროპულია ხირსაში და სხვა ქარხნებში, კახური კი — ტიბაანში. კახური დუღდება ჭაჭასთან ერთად, ესე იგი კლერტთან, წიპწასა და ჩენჩოსთან ერთად. ყველაფერი ეს ერთად აღებული ღვინისათვის გახლავთ დედა, აქიდან მომდინარეობს გამოთქმაც — „დედაზე დაყენებული“, „ჭაჭაზე დაყენებულიო“. კახურად დადუღება წარმოებს ქვევრებში, აქვე ხდება მისი დაწმენდვა. საბოლოო კონდიციამდე დაყვანა. ეს პროცესი გრძელდება იანვარ-თებერვლამდე...

## ვლადიმერ ხუცურაულის საიდუმლო

ერთი წუთით კვლავ გადავინაცვლოთ ტიბაანის კოლმეურნეობის კანტორაში მოვუსმინოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ მამაიაშვილს:

— ერთხელ უკვე ითქვა, რომ ჩვენი კოლმეურნეობის წევრი გახლავთ საკავშირო ლენინური კომკავშირის [illegible]ის ლაურეატი ლეილა ჯავახიშვილი. ამას წინათ ლეილას შესანიშნავი კომკავშირული ქორწილიც გადავუხადეთ. წლეულსაც იმარჯვა ლეილამ — გაპიროვნებული სამი ჰექტარი ვენახიდან გეგმიური ოცდათხი ტონის ნაცვლად, ორმოცდაცხრა ტონა ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს. ოცდაერთი წლის გოგონასაგან მართლაც რომ დიდებული ნობათია სამშობლოსათვის. იგიც, ვლადიმერის მსგავსად, 25-ე ყრილობის დელეგატი იყო. ლეილა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს აგრონომიულ ფაკულტეტზე, ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრია, მრავალ საზოგადოებრივ დავალებას ასრულებს. მაგრამ ყოველივე ეს ხელს როდი უშლის თავის შრომით საქმიანობაში... ერთი სიტყვით, ჩვენთან უფროსთა ესტაფეტას ღირსეულად აგრძელებენ ახალგაზრდები, — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხალისიანად ჰყვებოდა ტიბაანელთა საგმირო საქმეებზე, კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, — ეგ უფროსი კი პირველ რიგში ჩვენი ვლადიმერი გახლავთ...

— ალბათ თქვენ რაღაც საიდუმლოება იცით ისეთი, ბუნების ყოველგვარ ჭირვეულობას რომ უმკლავდებით.. — ვკითხე თავისთვის გაყურსულ ვლადიმერს — აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ თქვენი ასეთი განსაკუთრებული მაჩვენებლები...

— ოცდათვრამეტი წელია ვენახში ბრიგადირად ვმუშაობ, ჯერ ასეთი თარსი გაზაფხული არ მახსოვს, ივნისის ნახევრამდე სულ წვიმდა. ყოველდღე შევდიოდით ვენახებში, მაგრამ რამდენიმე საათში ისევ ჩამორეცხილი იყო შაბიამანი. ზვრები კი თვალსა და ხელშუა გვეღუპებოდა ჭრაქისაგან. სხვა გამოსავალი არ იყო, რისკზე წავედით, ხსნარის კონცენტრაცია ორიდან ორნახევარ პროცენტამდე ავიყვანეთ. წამალი სუსტ ფოთლებს ხელდახელ თუთქავდა და აჭკნობდა, ბევრი წინაალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგი იყო ჩვენი რისკისა, მაინც არ დავიხიეთ უკან; სუსტი ხმებოდა, მაგრამ ძლიერი გადავარჩინეთ და ჩვენი მიზანიც ხომ ეს იყო. იმ ძლიერმა ვაზი იხსნა. ასე ვაჯობეთ სტიქიას...

ეს, რაც შეეხება წვიმასთან ბრძოლას. უარესი უბედურება კიდევ სეტყვაა ვაზისათვის. ჯერ იყო და ჩანასახი დაუთეთქვა ვაზს, მერე, კინაღამ რქიქაც დაუზიანა, ეგ რო მომხდარიყო, სულ გაგვიბერწდებოდა ვენახი. რქიქაც თუ დასეტყვა, იმ ვენახს უკვე ველარაფერი შველის და ეგ არი... ქვემეხებმაც გვიშველეს. საერთოდ, ქვემეხები ასპროცენტიანია, თუ კი დროულად დაუშენენ ღრუბლებსა, მაგრამ ეს არის რო სხვადასხვა მიზეზების გამო უგვიანდებათ შეტევაზე გადასვლა... — ამ სიტყვებზე ვლადიმერს თითქოს სახე შეეჭმუხნაო... ხმაშიაც სევდა გაერია. ერთხანს ფიქრებში წასული დუმილმა მოიცვა.

— ეგ რალატომა, ძილქუშიდან ველარ ერკვევიან ხოლმე? — შევეკითხე ვლადიმერს. მის ნაცვლად გივი გამეპასუხა:

— ძია ვლადიმერი სამამულო ომის მონაწილე გახლავთ, სამჯერ დაიჭრა ჩრდილო კავკასიაში, მეოთხედ კი ბელორუსიაში, ასე რომ ყოველგვარი შეტევისა და ბათქა-ბუთქის გახსენება ბუნებრივია, არც თუ სასიამოვნოდ მოქმედებს მასზე...

გასაგები ხდება ვლადიმერის უეცარი მჭმუნვარების მიზეზი, ამან კიდევ, უფრო გამიცხოველა ამ ადამიანისადმი პატივისცემის გრძნობა. მართლაცდა, რამდენი რამ შესძლებია ერთ ადამიანს, არც თუ ზლაპრული ჯანისა და ფიზიკური მონაცემების მქონეს. იგი მართლაც ყოველგვარ ქება-დიდებას იმსახურებდა, თურმე ომის ქარ-ცეცხლშიაც ულეწია მტრისთვის გული ფიცარი და ახლა იქიდან გამოღწეული. მშვიდობიანობის ჟამს შრომის ფრონტზედაც მაგრობდა, სასწაულებს ახდენდა.

— ამ რამდენიმე წლის წინ გაუხსენა ნატყვიარმა, — განმარტა ოთარ თორღვაშვილმა, — ძალიან გახდა ვლადიმერი, ლოგინად ჩავარდა და არავის ეგონა თუ კიდევ გამოიხედავდა თვალში...

— მაშინ აქ პირველ მდივნად ვახტანგ ქარუმიძე იყო. იმან გადამარჩინა სიკვდილს, — თქვა ვლადიმერმა. — ქვეყნის ექიმები დამასია, საიდან არ ჩამოიყვანა ცნობილი პროფესორები: ფეხზე წამომაყენეს, წამომაყენეს რომელია, კაჟივით გამამრთელეს, ხომ ხედავთ, ვენახში ჩვეულებრივად ვსაქმობ, ჯერ კიდევ მუხლიც მერჩის და მკლავიცა...

— ჩვენი ვლადიმერი ახალგაზრდებს იწვევს სოცშეჯიბრში და უმკლავდება კიდეცა, — სიტყვა შეაშველა თავმჯდომარემ, — წლეულსაც ეგრე იყო...

— იმდენი მაინცდამაინც არაფერი, — დაიმორცხვა ვლადიმერმა, — რობინზონ ალავერდაშვილის მეათე ბრიგადას ვეჯიბრებოდით. ჰო და, რომ იტყვიან ხოლმე, ერთი მეორეს ველარსად წავუვედით. სამიოდე ტონით ვაჯობეთ, ეგ იყო და ეგ... ლამის ბარი ბარსა ვართ, რა... მარტო კაცი ბრძოლის ველზე მეომარი ვერ იქნებაო, სულ ჩემი ბრიგადის წევრების დამსახურებაა ეგ ყველაფერი... ორმოცდათხუთმეტი შრომისუნარიანი წევრი მყავს, აქედან დღეში საშუალოდ ოცდათხუთმეტი კაცი გამოდის სამუშაოდ. უიმათოდ რას გავხდებოდი. ზოგს მაინც დავასახელებ, აი, მაგალითად, კუპრაშვილი დავითი, ონანაშვილი ფარნაოზი, კორკოტაშვილი ნასყიდა, ბოსტოლანაშვილი ცირა, ხატიაშვილი ლამარა, და კიდევ სხვები...

— თქვენს საიდუმლოზე მაინც არაფერი მითხარით, ძია ვლადიმერ... შევახსენე მასპინძელს.

ვლადიმერმა ხელები გაშალა, სიმორცხვის ღიმილმა გაუნათა სახე და მორიდებითა თქვა:

— ნეტა, მართლა ვიცოდე რამე ისეთი და განა ეგეთი ქვაწვია ვარ, რო სხვისათვის ვერ გავიმეტო? ერთი რამე კია, ვაზს, ზემოთ რაცა ვთქვი იმის გარდა, ათასი სხვა რამეც სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერაცია სჭირდება, გაფურჩვნა, ზედმეტი ტოტების ჩამოცლა, სხვლა შემოდგომა-გაზაფხულზე, ეს შეყელვაო, რიგთაშორისი ოპერაციები და ათასი წვრილმანი. ყველაფერ ამას მევენახეები საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე აკეთებენ. მოგეხსენებათ, გამოცდილებასთან ერთად ღვთით მომადლებული ნიჭი და უნარიცაა ალბათ აუცილებელი, ეგ მარტო ჩვენს საქმეში კი არა, რაც კი ხელობაა დედამიწის ზურგზე, ყველას სჭირია თავისებური ხელმადლიანობა. ფოტოგრაფობა აიღე, ანდა მანქანის მართვა, წესები შეიძლება ყველამ ისწავლოს, მაგრამ ზოგიერთმა აკადემიაც რომ დაამთავროს, მაინც ვერ სწვდება საქმესა, აღარ გამოსდის რატომღაც... ეგრეა ვენახის ამბავიც. დიახაც, ხელმადლიანი უნდა იყო...

## დიდ-კეთილშენი

ტიბაანიდან ხირსისკენ რომ ავიღეთ გზი, სოფლის ბოლოში კომბლიანმა მოხუცმა საკმაოდ ჯეილურად აგვიწია ხელი — წაყვანა გვთხოვა. ჩვენაც გაჩერდით და თავაზიანად გავუღეთ მანქანის კარი.

— ხირსამდის ჩამაჩანჩალეთ როგორმე, მე თუ ვერა, ჩემი ძვლები დაგლოცავენო. — გვითხრა მოხუცმა, როგორც კი სავარძელში მოკალათდა.

— იქაური ბრძანდებით?

— ტიბაანელი ვარ და ხირსაში საქმე მაქ. ჰო და იმაზე მივეშურები.

— იქნებ საინტერესო ამბავი რამ მოგვიყვე, პაპილო, გზაც შეგვიმოკლდება... — ჩვენი პირობა გავაცანით მოხუცს.

— გზა ჩვენს მტერს შეუმოკლდა, შვილო... თქვენა კიდევა, ჩემხნობისთვინა ერთი საუკუნე მაინც გადაგეჭარბოსთ, მაშა...

— მაგაზე ვინ ოხერი იტყვის უარსა, მაგრამა... — მხრები აიჩეჩა, — ჰო, ხირსაზე თუ გსმენიათ რამე ისეთი, ძველებური...

— წმინდა სტეფნი ბოლოი ერეკლე მეფეს გამოუვლია, იმ [illegible]სა. ხო იცით, რა სიცხეები იცის ხოლმე ჩვენსა ზაფხულობითა, მოსწყურებია იმ დალოცვილიშვილს წყალი, ალბათ ლეკებთან და ოხერტიალ უსულმანებთან ნაბრძოლსა და ნაჩხუბარსა. აქაურებს კიდევა წყლის მაგიერ ღვინო მიურთმევიათ მეფისთვინა, დაულევია ერეკლეს, თანდათან ღიმილს გაუბადრავს ხალხზე ფიქრისაგან დატანჯული სახე და ნასიამოვნებს უთქვამს მასპინძლებისათვის — მართლაც რო ღირსაო...

მერმე, ჩემო ბატონო, ამ ადგილებს ხირსა დარქმევია. ეგ არი სუ მაგის ისტორია.

— სტეფნი ბოლოს რომელ ადგილს ეძახით?

— სტეფნი ბოლოი? — მოხუცი შეტრიალდა ადგილზე და უკანა სარკმლიდან მოავლო თვალი ტიბაანის მისადგომებს, — ეკლესია რო დგა, იმ ადგილებს ჰქვიან, იმ ეკლესიასა ხირსის სახელობითაც უხმობენ და წმინდა სტეფნადაც ტყვიან ხოლმე. მეშვიდე საუკუნეში წმინდა სტეფანეს აუშენებია; დაილოცა მისი სახელი, და იმიტომაა, მაშა... — მოხუცმა პირჯვარი გარდაისახა.

ამასობაში ხირსაშიაც მივედით. ტკბილმოუბარი მოხუცი ჯერ კიდევ მეურნეობის კანტორამდე გამოგვემშვიდობა. მერმეღა ვიგრძენით, როგორ დაგვწყვიტა გული მასთან განშორებამ. სინანულმა მოგვიცვა, მართლაც ისე გავერთეთ საუბარში, სახელისა და გვარის გამოკითხვაც კი არ გაგვხსენებია აქაურობის ამ კეთილმოუბარი მეისტორიისა...

„დიდ-კეთილშენი“ — ასე იხსენებს ვახუშტი წმინდა სტეფანეს ტაძარს.

## მბერტუავები

— საწარმოო მაჩვენებლებზე რას გვეტყვით? — ვკითხე ავთანდილ მამაიაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენი მარანი 1935 წლიდან არსებობს. იმჟამად იგი ორას ტონა ყურძენს ამუშავებდა, ესე იგი, მისი წარმადობა ორას ტონაზე იყო გაანგარიშებული. დღეს კი თხუთმეტი ათას ტონას ვღებულობთ. მილიონ ათას დეკალიტრ ღვინოს ვაწარმოებთ. მრავლისმეტყველი ციფრებია. ამ მცირე ექსკურს-შედარებიდანაც კი ნათლადა ჩანს საბჭოური წარმოების ფანტასტიკური მასშტაბები, — ამბობს ავთანდილი — ძირითადად ჩვენი საწარმოო ტექნოლოგიური ხაზების სრულყოფისა და ახალი სიმძლავრეების ათვისების ხარჯზე გაფართოვდა და არა მუშა-პერსონალის გაზრდის ბაზაზე. ამჟამად სულ ოცდაათიოდე მუშა ემსახურება ჩვენს წარმოებას. რა თქმა უნდა, ყურძნის მიღება-გადამუშავების დროს, ესე იგი შემოდგომაზე, სეზონურად დამხმარე მუშების რაოდენობა 70 კაცამდე იზრდება.

საერთოდ კახელი კაცისათვის ვაზი ისეთი სლოცავი რამეა, როგორც მორწმუნისათვის ღმერთი. ჩვენი მუშები გამოცდილების მხრივ დიდად კი არ ჩამოუვარდებიან უმაღლესდამთავრებულ სპეციალისტებს, პირიქით აჭარბებენ კიდევაც. ამიტომაცაა რომ „ღვინის ზადაბრუნებისა" არ გვეშინია... აი, ჩვენი აკადემიკოსები უნდა გაგაცნოთ. ბიჭიკო და ლაზარე. ჰკითხეთ მაგათ, რაც გნებავდეთ, ყველაფერზე ამომწურავ პასუხს გაგცემენ..

ლაზარე აბულაშვილს ცოცხებივით გაფშეკია ულვაშები, კახური ქუდი დაუკოსებია. მრგვალი პირსახე ოდნავ შელაყლაყებია. ეტყობა, ჩაფიქრებული და დარბაისელი კაცია. თავისი კოლორიტული გარეგნობით მართლაც რომ საოცრად შეუწყვია მარნის ატმოსფეროს — უშველებელი ქვევრების საუფლოს. აგულდაგულოდ მოშანდაკებულ აყალოიან მოედანს, ვედროებსა და გადააალებ ჭურჭელს. გადამქაჩ რეზინის ბუყბუყა მილება, ხან რომ ერთში ჩააყოფინებს პირსა და ხან მეორე ქვევრში. ბიჭიკო გოგაშვილი უფრო ვლადიმერ ხუცურაული [...] სიტყვა-პასუხი, ილოცხლე, [...] ზარესავით მზიანი მოუდის.

— ეგენი ჩვენი მბერტყავები არიან... — ღიმილით მაცნობს მოხუცებს უფროსი მეღვინე ემზარ თათარაშვილი.

— ეგ მართლაც საინტერესოა... — ვესალმები ქვევრებთან ჩამომსხდარ მბერტყავებს, ხელში ყველის ნაჭრები და პურის ნატეხები რომ უჭირავთ და ეგრე „მშრალად" სადილობენ შუადღის შესვენებაზე.

— კაცლის ბერტყვა და ლობიოს ცემლვა გამიგონია და ეგ, ღვინის მბერტყაობა პირველად მესმის-მეთქი, — ვეუბნები მათ.

ლაზარე და ბიჭიკო არ ჩქარობენ პასუხის გაცემას. ორივენი სამოცს არიან გადაცილებულნი და ასაკს უფრთხილდებიან, სიტყვა-პასუხს წონიან, და ამ სიტყვაძუნწობით თავიანთ სიდარბაისლესაც მაგრძნობინებენ.

— ყურძენს რო არ ჩავტკეპნავთ ქვევრშია, მესამე დღეზე დუღდება, — დინჯად დაიწყო ლაზარემ. — დუღდება ჩემო ბატონო და ცოძი რო გინახავს ვარცლიდან გადმოსული, იმაზე ბარაქიანად ფუვდება კიდეცა. რაღას იზამ? მთელი ღამე უნდა უყარაულო ატმი ქურდივით და გადმოსვლას რო დააპირებს „ლობეზედა", ჯოხები უნდა ჩაუტარო, ურიო და ურიო, უტყლაშუნო და უტყლაშუნო. იმაზე გვეძახიან ეგ ცუგნები მბერტყავებსა....

— ჯოხის ტყლაშუნითა ვაზები უნდა გამოვუქშიოთ, — შეეშველა ამხანაგა ბიჭიკო, — ვზივართ ამ მობუყბუყე ქვევრებთან მესოკოვევებივით, დაყანთრებული წიფლის ნახეჩს რო ჩასდარაჯებიან, როდის გამოისხამსო, ისეთნაირადა. ოღონდ ჩვენ ჯაფა მეტი გვადგა იმათზედა. ამხელა ქვევრებს გამკლავება არ უნდა?

ერთ დღე-ღამეში დუღილიც ცხრება და ჩვენი საშველიც დგება. ერთი ქვევრის მოვლა, მართლაც რა დიდი ბედენაა, მაგრამა აქ ხო ქვევრების მთელი

ქალაქი გვაქვ გაშენებული. დილით კიდევა აკვნის ბალლივით ჩაყიებულებს ხო ვერ დავაჩვედრებთ უფროსებსა სინდის-ნამუსის ამბავია...

— მერმე, რო დადუღდება, ქვევრებს გადავავსებთ, ლაფს გავუკეთებთ, რომ ღვინომ თავისუფლად ისუნთქოს, ოთხი-ხუთი დღის მერმე ხუფს ავხდით აფშრუკულ ნაცარს გადავაცლით და ახლა უფრო მკვიდრად აყალოთი გამოვულესავთ პირსა. აყალო დროთა განმავლობაში დასკდება, მა რა მოუვა ჩვენ კიდევა გამოვუცვლით ისევა, თანაც გოგირდა შევუბოლავთ, რომ მავნე მიკრობები მოგუდოს...

— პირთამდე ავსებთ ქვევრებსა?

— ერთი ნასამედი ცარიელი უნდა დაარჩინო, ეგეთია წესი, მაგრამ, მართლაც რო გადარეულია ეგ დალოცვილი... რა დღეს დაგაყრის, არავინ იცის... — მპასუხობს ლაზარე, — ამიტომაც სულ უნდა იფრთხილო.

— კი მაგრამ, სადილობა ულვინოდ გაგონილა ამ დალოცვილ კამბეჩოვანში? თუ საკუთარი ნახელავი ალარ გეკულგულებათ? — ორაზროვნად ვკითხე მოხუცებს.

ორთავეს ღიმილმა გაუნათა სახე. ერთმანეთს გადახედეს, მერე ლაზარემ ოქვა:

— ყოველ პურობაზე რო ღვინო დავაყოლოთ, კარგი დახლი დაგვიდგება ჯო...

— წარამარა ჩვენი მტერიც დაჩვევია ღვინოსა.. — დაუკრა კვერი მეგობარს ბიჭიკომ.

— ეგ მარანია, გეთაყვა, ღვინი წუწაებსა ველარა ჰგუობა. დიდხანს ველარა ძლებენ ეგეთები, ავადობა ემართებათ, მაშა... — ამბობს ლაზარე თან ცოცხივით გაფშეკილ ულვაშებზე ისვამს თითებს, თითქოს იმათი მორჯულება სწადიათ — ბევრნი მოსულან, აჰყოლიან ცდუნებასა, აჰყოლიან და გადაჰყოლიან კიდევაცა, მაშააა...

## კახელი ევროპელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესე იგი, თქვენ გაგინაპირეს. არა? — გავეხუმრე ბონდო ბუთლიაშვილს, ხირსის მარნის წარმოების უფროსს.

— ჰო, ეგრე კი გაიძახიან, „ნამდვილ ქართველნი“ ჩვენა ვართო, მაგრამ ჯერ ვერავინ დაარწმუნეს მგონია... — ხუმრობითვე მპასუხობს ბონდო, მაღალი ახოვანი ახალგაზრდა სპეციალისტი, სახეზე რომ თბილი ღიმილი დასთამაშებს მუდამ. მერე კი სერიოზულად აგრძელებს — ევროპული ტექნოლოგიით დადუღებული ღვინო, წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მასშტაბებისათვის უფრო გამძლისა აღმოჩნდა, ვიდრე კახური. მიკრობების ბაქტერიებისა და ნჯღრევისა ნაკლებად ეშინია, უფრო კარგად იტანს ტრანსპორტირებას. ხანგრძლივად ინარჩუნებს ორგანო-ლეპტიკურ თვისებებს, ქიმიურ მაჩვენებლებს. მართალია, მისი ტექნოლოგია რთულია, საოცარ სიფაქიზესა და ყურადღებას მოითხოვს. წამითაც თუ თვალი მოუხუჭე, გადაგიბრუნდება და მერმე უყარე კაკალი... ოჯახში გადაბრუნებულ ღვინოს არა ღვრიან, სვამენ, სხვასაც ასმევენ, მაგრამ ჩვენი საქმე სხვაა, საექსპორტოდ და თუნდაც ადგილზე სარეალიზაციოდ მისი გამოყენება დანაშაულია.

— შეიძლება გადაბრუნებულ ღვინოს უმკურნალოს ადამიანმა?

— მთავარია რომ იქამდე არ მიიყვანო საქმე, საფუარებს არ უნდა მისცე საშუალება განვითარებისა, სწორედ ეს საფუარებია, რო ამღვრევენ და გემოს უცვლიან ღვინოსა. მაგრამ თუ მაინც გადაგიბრუნდა, ერთადერთი გამოსავალი ისლა რჩება, რომ ჯანსაღი ღვინის ლექი დაუმატო, შეიძლება იმან დაფილტროს და გამოაკეთოს... რა თქმა უნდა, სათქმელად და საუბნოდ ეგ ყველაფერი ადვილია, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ ჩვენებური დიდი მასშტაბები თავისი მატერიალურ-ტექნიკური გამოხატულები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურთ. ჩვენ ხომ მილიონობით მანეთის სახელმწიფო პროდუქცია გვაბარია და მისი მომხმარებლისათვის მიწოდება გვევალება. ასე, რომ მასალის მიღება-დაბინავება და მოვლა-პატრონობა ერთი საქმეა, მეორე და ასევე მნიშვნელოვანი გახლავთ მისი რეალიზაცია...

— მრავალი მუშტარი ჰყავს თქვენს მარანსა? — ვკითხე ბონდოს.

— რეალიზაციის ავან-ჩავანი მაგან რო იცის, ისე სხვა ვერავინ დაიკვეხნის, — ბონდო ბუთლიაშვილი გამოცდილ სპეციალისტზე — ქორა ჯანხოთელზე მიმითითებს. იგი კარგა ხანია რაც ლენტეხის რაიონიდან ჩამოვიდა ხირსაში და აქ დაეფუძნა სამუდამოდ თავისი ოჯახით. ამ მარანში აიდგა მან ფეხი, როგორც მეღვინემ, რიგითი თანამდებობიდან დაწყებული ყველა საფეხური გამოიარა და დღეს ქარხანაში ერთ-ერთი 'გამოცდილი და დამსახურებული სპეციალისტია. ათასი დაბრკოლება გადალახა ქორამ, ვიდრე ამ მდგომარეობას მოიპოვებდა, შეეთვისებოდა ახალ გარემოს, თვალში გამოიხედავდა. უჭირდა თუ ულხინდა, საქმისათვის არასოდეს უღალატნია, კოლეგებისა და მეგობრების ნდობას ყოველთვის პირნათლად ამართლებდა, ხელმძღვანელებიც ამჩნევდნენ მის მოწადინეობას, პირიანობას, ვაჟკაცობასა და საერთო საქმისათვის თავდადებულობას და შესაძლებლობის კვალობაზე კიდევაც აწინაურებდნენ, საჯაროდ მადლობასაც ეუბნებოდნენ. ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო დროს წარმოების ხელმძღვანელის თანაშემწეობა და პროდუქციის რეალიზაციის ურთულესი საქმისადმი თვალის მიდევნება და მისი ორგანიზაცია დაავალეს, რასაც იგი მეღვინე-ტექნოლოგის მოვალეობასთან ერთად ასრულებს ამჟამად.

მე როცა შევხვდი ხირსაში, გავიცანი და ჩამოსვლის მიზეზი გავუმხილე, შინაურულად მთხოვა, თუ ძმა ხარ, ჩემზე არაფერი დაწერო, ამხანაგებზე თუ რამეს იტყვი კარგს, იმაზედაც მადლობელი დაგრჩები, ვითომ ჩემზე დაგიწერიაო. რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, მითხრა — უბრალოდ, უხერხულია, ერთი მხრის ხალხი ვართ, მამლაყინწასა და გუგულივით არ გამოგვივიდესო... მეც სიტყვა მივეცი ქორას და ვასრულებდი კიდევაც, ვიდრე მისმა მეგობარმა ბონდო ბუთლიაშვილმა იალისძალად არ გამატეხინა პირობა, ერთი თქვენებურად დაჩქამდითო, თქვით რამეო, ისაო, ესაო...

— მუშტარი იკითხეთ? ნათქვამისა არ იყოს, თაფლი თქვი, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო, — საქმიცოდნით, დარბაისლურად, ოდნავ ყოყმანით მომიგო ქორა ჯანხოთელმა. — რამდენი ქალაქიცაა საბჭოთა კავშირში, მუშტარიც ლამის იმდენია, მაგრამ განა ყველას გასწვდები? ბონდომ სწორადა ბრძანა, ევროპული უფრო შემგუებლური ბუნებისა აღმოჩნდა მოგზაურობისადმი, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ტრანსპორტირებაზე არც იგი კარგავს ჰკუას. ღვინო, ღვინოა, ნაზია, სათუთია, კაპრიზულიც არის. მისი გადაზიდვა კი ძირითადად ცისტერნებით გვიხდება; შორეულ ქალაქებში როცა ვგზავნით ხოლმე, გზად გაუთავებელ ნჯღრევასთან ერთად, სხვადასხვა მავნე ზემოქმედებასაც განიცდის, ყოველშემთხვევაში, განიცდის თუ არ განიცდის, თვისებების რაღაც პროცენტს მაინც ჰკარგავს... არის შემთხვევები, როცა ქარხანაში და ადგილზე ჩასული იგივე მასალა გემოვნებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია ხოლმე, ეს კი იწვევს ერთგვარ გაუგებრობას, რასაც გარკვევა და ახსნა-განმარტება სჭირდება. არის სხვა ხასიათის სიძნელეებიც, მოგეხსენებათ, საქონლის ტრანსპორტირება და საერთოდ, ტექნოლოგიური პროცესები ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ რთულ უბანს წარმოადგენს...

— ძირითადი ხვედრითი წონა ჩვენს ქარხანაში მაინც გამაგრებულ ღვინოებზე და ლიქიორებზე მოდის. მათი ღირებულება ღვინისას გაცილებით აღემატება, ასე რომ ეს მომენტიც არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასათვალისწინებელი ჩვენს საქმიანობაში, — ჩაერია საუბარში უფროსი მევინე ვალერიან გოგოლაშვილი, — ბუნებრივია, რომ ჩვენ ყოველ ახალ სეზონს მომზადებულები, გაკრიალებულგახეხილები უნდა დავახვედროთ ქვევრები და რეზერვუარები. ჩაწოლილი საქონელი კი კარგ დღეს არ დაგვაყრის, გეგმას ჩაგვიგდებს და მომავალი წლის შედეგებზეც უარყოფითად იმოქმედებს. ამიტომაც ითქვა, რომ ტექნოლოგიურ პროცესების მაღალ დონეზე ჩატარებასთან ერთად, ჩვენი მთავარი საზრუნავია პროდუქციის რეალიზაცია, დროული მიწოდება მომხმარებლისადმი...

### ხირსელები

ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გურამ თორლვაშვილი ოთარ თორლვაშვილის ძმა აღმოჩნდა.

— ლამაზად გაგინაწილებიათ-მეთქი სამოქმედო სფეროები, — ხუმრობით ვუთხარი გურამს. მანაც სიცილით მითხრა:

— აკი ტიბაანი და ხირსაც სახლიკაცებივით არიანო?!

მერმე გურამი პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ეს ადგილები ბოლო დრომდე გაუვალი ჯაგნარითა და ყოვლად უბადრუკი ეკალბარდებით იყო დაფარული,— ხირსის შემოგარენზე მიმითითა მასპინძელმა — მიტომაც შეარჩიეს იგი შრომა-გასწორებითი კოლონიის ადგილსამყოფელისათვის. აი, ბარაკის ტიპის შენობები რომ არის, იმ კოლონიის ნაშთებია. მერმე კოლონია გაუქმდა, მისი მომსახურე პერსონალისა და აღსაზრდელთა ერთი ნაწილი აქვე დაეფუძნა, ხირსაში...

— მართლაც რო ღირსაო, იფიქრეს არა? — მოხუცი თანამგზავრის ნათქვამი შევახსენე გურამს.

— ღირსა და მეტი არა, რო... ჰო, იმას ვამბობდი, აქედან ჭკუათმყოფელი კაცი სხვაგან ინდომებდა ...
არა, რა თქმა უნდა, მით უმეტეს მშობლიური ბუდიდან განთესილი, საკუთარ მამა-პაპურ კერას მოწყვეტილი, ჰო, და დაეფუძნენ აქა და გამრავლდნენ კიდევაცა. ახლა ჩვენებურთა მხარდამხარ შრომობენ ზვარში თუ ყანაში... ამიტომაცაა ეგრე მრავალფეროვანი და ინტერნაციონალური ჩვენი მეურნეობა. ერთმანეთის გვერდით შრომობენ მოწინავე მექანიზატორები და მევენახეები — გოგია ხიზანიშვილი, რაჟდენა ბიძინაშვილი, მარია ანდრიუსოვი, ელდარ დურსუნ-ოღლი, სტეფანე კვირიკაშვილი, თამარ ბენაშვილი, ნასტია კისლიაკოვა, ვასილი ჩუკინი, გივი ჭალიძე, აშოტა ისპირიანი, ტოლიკა ალომსკი, ბორისა პეტროვი, ვალოდია სკვორცოვი, თენგიზ ხუციშვილი და მრავალი სხვა.

მათ ხირსაში დარჩენას მუშახელის ნაკლებობამაც შეუწყო ხელი. სხვათა შორის ეგ პრობლემა არც დღესა გვაქვს მაინცდამაინც სასურველ დონეზე მოგვარებული...

ჰო, იმას ვამბობდი, მერმე კოლონია გაუქმდა, სოფელი გაშენდა, მარანი დაარსდა, მეურნეობა ჩამოყალიბდა და ცხოვრება თავისი გზით წარედინა, ჯაგნარები ამოიძირკვა, აქაურობა მოლამაზდა, თანდათან დამშვენიერდა, კეთილმოეწყო. ხირსის ასეთი უეცარი ცვალებადობა ბევრისათვის წარმოუდგენელი რამ იყო.

— ამჟამად ჩვენს მეურნეობაში თერთმეტი ბრიგადაა ჩამოყალიბებული, ეს ამ დასახლებისათვის, დამერწმუნებით არც ისე ცოტაა, მაგრამ სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით არც თუ მთლად საკმარისი, — ჩაერთო ჩვენს საუბარში მეურნეობის მთავარი აგრონომი, დირექტორის მოადგილე ელგუჯა ბეჟანიშვილი, — სოფლად სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან და ასევე მევენახეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით სამუშაოთა მოცულობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. მუშახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის რაოდენობა კი ახალგაზრდობის ქალაქად სწრაფვის პირობებში თითქმის უცვლელი რჩება, ეს უთანაბრობა ჰქონდა ალბათ მხედველობაში პატივცემულ გურამს, როცა ბრძანებდა — მუშახელის პრობლემა დღესაც ვერა გვაქვს მაინცდამაინც სასურველ დონეზე მოგვარებულიო.

რაც შეეხება არსებული ძალებით ჩვენს საქმიანობას, მაინცდამაინც ცუდი შედეგები ნამდვილიად არ გაგვაჩნია. შარშანწინდელი მაჩვენებლების მიხედვით, რაიონში ერთ-ერთი პირველებიც ვიყავით, ოღონდ ეგ არის, რომ შარშანდელმა უამინდობამ უსიამო დაღი დაასვა ჩვენს წინსვლას... იმას მოგახსენებდით, 1980 წელს გეგმა ას რვა პროცენტით შევასრულეთ და მოწინავე მიჯნაზე გავედით რაიონში. მაგრამ...— ელგუჯას ჩრდილმა გადაუარა სახეზე და მხრებილა აიჩეჩა...

— ტიბაანმა დაილია უამინდობა, როგორღაც გაუძლო ბუნების ჭირვეულობას... — ცეცხლზე ნავთი გადავასხი ელგუჯას უსიამო განწყობილებას, — თქვენ ხომ ფაქტიურად ერთნაირ ბუნებრივ პირობებში გიხდებოდათ მუშაობა?

— ეგ კი მართალია, მაგრამ მოგეხსენებათ, ასეთ რთულ ვითარებაში ყველა რისკზე ვერ წავიდოდა. ერთნი თუ თავს გადადებენ ხოლმე, მეორენი ფრთხილ გზას ადგებიან და ამ დროს კაციშვილმა არ იცის, ვის გაუმართლებს...

— ელგუჯას თქმისა არ იყოს, მეურნეობრივი თვალსაზრისით მართლაც მეტად სახიფათოა მთელი რაიონის მასშტაბით ერთნაირი ექსპერიმენტის განხორციელება და თავის სასწორზე შეგდება, სახიფათოცაა და გაუმართლებელიც, — სიტყვა შეაწია მთავარ აგრონომს მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ნოდარ ფირაშვილმა, — ტიბაანელებმა ძლიერი კონცენტრაციის ხსნარებით დაამუშავეს ვენახები და დაამარცხეს კიდევაც ჭრაქი. მაგრამ თავიდან არც ისინი იყვნენ დარწმუნებულნი, რომ გაუმართლებდათ, [illegible] გუმანს კი ამ შემთხვევაში ყოველთვის ვერ ენდობი. საკუთარ ვენახში კი, ბატონო, რამდენიც გინდა ატარე ექსპერიმენტები, მაგრამ საზოგადოებრივ ზვრებში ასეთი რამ არ გამოგივა. ყოველ შემთხვევაში, მაგარი რისკის ამბავია... მართლაცდა, ერთიც ვნახოთ და არ გაგიმართლა? სულ ამ ექსპერიმენტს დაბრალდება ყველაფერი! ჩვენაც ნაცადი, მამაპაპური გზით ვიარეთ. ყველა ღონე ვიხმარეთ ჩვეულებრივი კონცენტრაციის ხსნარებით, რაც შეიძლებოდა ხშირ-ხშირად დაგვემუშავებინა ვენახები და როგორმე გადაგვერჩინა დალუპვას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად ბედმა არ გაგვიმართლა...

— ისე, კარგი კი იქნებოდა, ასეთ კრიზისულ სიტუაციებში მევენახეთა დასახმარებლად. ჩვენი სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მევენახეობის დარგის მეცნიერები და სწავლულები რომ გაირჯებოდნენ ხოლმე, ერთი-ორი დღით, გინდაც ერთი-ორი საათით ჩამოგვაკითხავდნენ, არსებულ ვითარებაში თავიანთი კონსულტაციებითა და მეცნიერულად დასაბუთებული რჩევადარიგებებით მოგვამარაგებდნენ, მოგეხსენებათ, მარტო კაცი ჭამაშიდაც ბრალიაო, აქაც ეგრეა და კიდევ უფრო უარესად. გაოგნებულნი შევცქერით როგორ უჭირს ვაზს და ჩვენ კი ეფექტური მკურნალობა არ შეგვიძლია, ან უბრალოდ, ველარ გადაგვიწყვეტია, რა გზას დავადგეთ, რომელი მეთოდი შევურჩიოთ. ამ დროს კი მოყვასის თანადგომას ოქროს ფასი აქვს. როგორმე ურმის გადაბრუნებამდე უნდა ვიანდევოთ გზა-სავალი, თორემ მერმე უკვე გინდ ყოფილა და გინდ არა...

### ოზაანელი მეძროხე

— თქვენს სამომავლო გეგმებზე რას იტყოდით?—ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებას — მეთერთმეტე ხუთწლედში კიდევ

უფრო გაიზარდოს ყურძნის დამზადება საქართველოში და შესაბამისად ვაფართოვდეს ზვრების მოცულობა და ასევე სასურსათო პროგრამის განხორციელებას რა კონკრეტული ამოცანებით ხვდება თქვენი კოლმეურნეობა? — ვკითხეთ ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გივი მამაიაშვილს.

— ანდე-გუმანს მგონი არც აქ ულალატნია ჩვენთვის, — ფიცხლად მომიგო თავმჯდომარემ, — უკვე რამდენიმე წელია, ახალი ფართობების ათვისებაზე ვმუშაობთ. ამჟამად არსებული მსხმოიარე ვენახების გარდა ას ჰექტარზე ორწლიანი ნარგავები გვაქვს გაშენებული. წლეულს ვაპირებთ ოთხმოცი ჰექტარი ფართობის ათვისებას ჭიაურში, ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე. შირაქის ველზეც გვაქვს 112 ჰექტარი ვენახი, იგი მესამე წელშია გადამდგარი და წელს უნდა ჩადგეს მწყობრში, ასევე ჩასაქანისკენაც გვიჭირავს თვალი. მალე იმასაც ნაგომრების, ბულაყების, გარეთა მიწების, ხამალთეფასა და ნერგითეფას ბედი ეწევა... მაგრამ ათვისება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სავარგულების მთელი სიმძლავრით ამოქმედებას. სოფლის შესაძლებლობანი დიდია, მაგრამ არა უსაზღვრო. მთელ ქვეყანას მარტონი ვერ გავწვდებით, რა თქმა უნდა ახალ და ახალ ფართობებს, ძველებთან ერთად ერთი სოფელი ვერ აუვა! ტექნიკა რომ მხარს გვიბამდეს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი, მაშინ, უ, სად გავიდოდით, იცი? — მეოცნებე მზერით მოათვალიერა უკიდეგანოდ განფენილი ალაზნის ველი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ...

* * *

ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ დროულად დასახეს თავისი ხასიათით ექსპერიმენტული, ვრცელი და გაბედული სასურსათო პროგრამა, რის განხორციელებამაც დიდი ეფექტი უნდა მისცეს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

წინა პლანზე წამოიწია [illegible] სექტორმა, რომელიც აქამდე მეტ-ნაკლებად უგულებელყოფილი იყო. ეს უგულებელყოფა გამოიხატებოდა ამ სექტორის მიმართ სხვადასხვა უსარგებლო, მეცნიერულად მცდარი და მავნე აქციების განხორციელებით. ამ აქციებიდან ყველაზე უკურნებელი დარტყმა მწარმოებელთა ბანაკს მიაყენა სოფლად საქონლის ლიმიტირებისა და გასადევარი ფართობების, ლაღიანი საძოვრებისა და პირმზითების ათვისების კამპანიამ, რაც თავისუფალი სასოფლო მიწების ხარჯზე საკოლმეურნეო ფართობების გაზრდაში გამოიხატებოდა. კოლმეურნეობათა ზოგიერთი ანგარებიანი თავმჯდომარე დანაშაულებრივად დაეპატრონა ამ თავისუფალ მიწებს და მათი შემომატებისა და დამუშავების ხარჯზე ხელოვნურად გაზარდა მოსავლის საშუალო საჰექტარო მაჩვენებლები, ასე თვალსა და ხელს შუა გაქრა სოფლების შემოგარენში ათადან და ბაბადან მოყოლილი უწყინარი, კოლორიტული, ნადირ-ფრინველისა და ასევე შინაური საქონლისათვის საჭირო ჯაგნარები. საბალახოები და პირმზითები; ზემოდან მოსული ამოძირკვათა გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა, სულ მოასწორეს და მოაშანდაკეს სოფლის შემოგარენი, მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის, რომ ამ ახალ ათვისებულ ადგილებში სასურველი მოსავალი მაინც ვერ მოიწიეს. ბუნებას, — ეტყობა თავისი სამართალი და კანონები გააჩნია, რისი ანგარიშის გაწევაც ყველა ჩვენგანს ევალება. მხოლოდ ასეთი ფრთხილი დამოკიდებულებით თუ შევძლებთ მაქსიმალური უკუმოგება მივიღოთ განხორციელებული ღონისძიებიდან, ავინაზღაუროთ დახარჯული სახსრები და ბუნებაში არსებული წონასწორობაც შევინარჩუნოთ. არა და, ახლო წარსულში ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულება ერთობ ტენდენციურ და ანგარებიან ხასიათს ატარებდა, რამაც თავისი შედეგი გამოიღო — როგორც ზემოთაც ავღნიშ-

ნეთ, შემცირდა გასადევარი ადგილები, ისე შემცირდა, რომ ორლობეების სივიწროვეში გლეხს სახრეც კი ველარ მოუქნევია თავისი საქონლისათვის, თივა ველარსად მოუთიბავს, ძროხის შენახვა მეტად გასჭირვებია. აქ უნდა გავითვალისწინოთ კომბინირებულ საკვებზე გაზრდილი მოთხოვნილებანი, და მისი დეფიციტიც, მაღალი საშემსყიდველო ფასები. ერთი სიტყვით, კერძო სექტორში დაირღვა რენტაბელობის პრინციპი, რამაც მოსახლეობის საკუთრებაში არსებული საქონლის საგრძნობი შემცირება გამოიწვია. გლეხობამ მარჩენალ ძროხაზე უარი თქვა და იგი დამამზადებელი პუნქტისაკენ გაუყენა.

ასე, რომ ტრადიციული სურსათ-სანოვაგის მწარმოებლები, ჩვენი კოლმეურნე-გლეხები მომხმარებელთა ბანაკში გადაბარგდნენ, კარაქისა და ხორცის მომწოდებელნი მის მუშტრებად დადგნენ მაღაზიებში. ბუნებრივია, რომ მარტოოდენ საზოგადოებრივი მეურნეობები საკუთარი ძალებით მთელი მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აუვიდოდნენ. ასე თანდათან შეიქმნა დეფიციტი მოსახლეობის სურსათით მომარაგების სისტემაში. შექმნილი ვითარების ანალიზისა და მეცნიერული შესწავლის საფუძველზე მომზადდა პარტიისა და მთავრობის ზემოხსენებული სასურსათო პროგრამა, რისი განხორციელების საქმეშიაც ჩვენი საზოგადოების ყველა უჯრედი და რგოლი ჩაება. ბუნებრივია, პირველ რიგში ხელის გამოღება რესპუბლიკის რაიონებს, ქართულ სოფელს მართებდა. რა თქმა უნდა, მართებდა სიღნაღის რაიონსაც.

შუადღე იყო, როცა ტიბაანის კოლმეურნეობის მესვეურებთან ერთად ნაგომრები, ბულაყები, გარეთა მიწები და სხვა ახლადათვისებული სავარგულები დავათვალიერეთ და უკან კანტორაში მოვბრუნდით, რომ ასე მზამზარეულად შესაფერისი „მაენეც“ ჩამივარდა ხელში. კანტორის ეზოსთან ძროხებს ადევნებულ კაცს მოვკარი თვალი. გამწარებული, დაღლილ-დაქანცული ნერვიულად ტოკავდა ადგილზე [illegible]ლას უმიზნოდ აშხუილებდა. თავმჯდომარის დანახვაზე ძროხები ხევისპირას მიატოვა და აქოშინებული ჩვენსკენ გამოემართა, რომ მოგვიახლოვდა, მოგვესალმა, მერე კი გივი მამაიაშვილს მიუბრუნდა:

— სწორედ თქვენ გელოდებოდითო.

— მელოდებოდით და მეც აქა ვარო... — უპასუხა თავმჯდომარემ, — ალბათ ძროხების თავიდან მოშორება გადაგიწყვეტიაო.

— აბა, რა ვქნაო... — უპასუხა იმ კაცმა.

— ეგ ჩვენი სტუმარია ქალაქიდანაო.

— გააცნო ჩემი თავი თავმჯდომარემ, ძროხების პატრონს.

— ძალიანაც სასიამოვნოო, — ისე, სახეზე კი ეტყობოდა იმის გამოცნობას ლამობდა, თუ რა საქმეზე უნდა ვყოფილიყავი აქ ჩამოსული და რა მოსაზრებით გააცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩემი თავი.

— თქვენ სადაური ბრძანდებით-მეთქი — ვკითხე ახალგაცნობილს.

— ოზაანელი ვარ, — მიპასუხა, — ილო ოზაშვილი.

— მეზობელ სოფლელია ჩვენი... — ამიხსნა ოთარ თორღვაშვილმა.

— ხელობით ტრაქტორისტი ვარ, მაგრამ მაგ ძროხების გადამკიდე ვერც ტრაქტორისთვის მომივლია ხეირიანად და ვერც სხვა რამისთვინა, — თქვა ილომ.

— ეგეთი ცეტებია რო ველარ აუდიხარ მოვლა-პატრონობასა? — ვკითხე ილოს —რა, თავი შეგაბეზრეს?

— ჩვეულებრივი მიდეგებია, როგორც ყველა ძროხა! თუ კი სადმე დარჩა კიდევ დაუკლავი და ჩაუბარებელი, მაგრამ... — ილომ კვლავ გადახედა ჩემს მასპინძლებს, — თითქოს იმათგან უნდა აიღოსო ნებართვა—ვთქვა სათქმელი ბოლომდე ამ უცხო კაცთან თუ არაო. არ ვიცი, ბოლოს რა ამოიკითხა ამათ თვალებში, მაგრამ სათქმელი კი ბოლომდე დაასრულა — საქონლის გასადევრად ორღობეებიღა შეგვარჩინეს,

მტვრიან-ტალახიანი კოლობეები, ჰალახს იქ რა უნდა. ჰო და, მოშიებული საქონელი მეზობლის ბოსტანში გადაყოფს თავს, მაშ რა იქნება! რაც არ უნდა იყოს, საქონელია, გონი არ ეკითხება. მაგრამ საქონელს რას ერჩი, ზოგიერთი ადამიანი იმათზე უარესია კიდევა. აბა რა უნდა უწოდო ისეთსა ჭკუას რო ააყოლებს საქონელსა. იმ საღამოს მეზობელმა ნაჯახით დამიჭრა ძროხა, ჩემს ბოსტანში გადმოეყუდაო! ვერც რიე მოიწველა და ერთ ხათაბალასაც გადამკიდა ამ ოხერტიალმა. ჰო და, ამის მერმე ღირს კი საქონლის დატოვება? გინდაც მზე და მთვარე ამოგდიოდეს პიროუტყვზედა, რანაირადღა იყოლიებ? ვერა და ვერ იყოლიებ... — ლამის ცრემლებს აღვარღვარებდა ილო, სახე სევდიანად წამოებურებოდა ხოლმე. თანაგრძნობით რომ ვაყურადებდი, იმანაც ისეთი მზერა მომაპყრო, თითქოს ჩემგან ელოდაო შველასა და დახმარებას. გული მეწურებოდა, რომ ამ ჩვენი საუბრის უბრალო ფიქსირებისა და მისი სამზეოზე გამოტანა მეტი სხვა უფრო ქმედითი დახმარება ჩემს შესაძლებლობებს აღემატებოდა. ეს გამომზეურება კი ილოს საქმეს რას უშველიდა, მის დღევანდელ, ამწუთიერ სადარდებელს რანაირადღა მოელამუნებოდა, მის სულიერ წრიალს როგორღა დააცხრობდა და შეამსუბუქებდა? საქმე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ილოს — დღეს რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ძროხები უნდა ჩაებარებინა და მოეშორებინა თავიდან. უმძიმდა ეგ ამბავი ილოს და ხვალინდელი „ყველაფრის გამოსწორება“ ნაკლებად ეიმედებოდა.

— ..ეგე იგი, უნდა მოიშოროთ თავიდან? — ილოს სადარდებელს ნავთი წავუმატე.

— სხვები, რა ხანია, შეელივნენ და მათზე ჭკვიანი რითა ვარ ვითომ... ალბათ ჯობდა, თორემ რაღაზე ჩააბარებდნენ, განა საქონელი მოსძულებია ვინმესა? ვაზისა არ იყოს, შვილივით ზრდი მაგათა, მაგ დალოცვილებსა, მაშა... არა და ორი კვირაა ეროვნული ბიბლიოთეკა დავდევ, კიდევ არ შეყოს თავი ვინმეს ბოსტანში-მეთქი. მაგრამ სხვა საქმეებიც როა გასაკეთებელი? ეგ ორი ძროხა სუ ყველაფრად ხომ ვერ მეყოფა, კაცო... მესმის, საძოვარი ადგილები რო გააჩნდეს სოფელსა, დილას თავისუფლად გაუშვებდი და საღამოსათვის კიდევა მორეკავდი, ანდა ნახირობას დავაწესებდით, რიგრიგაზე ვივლიდით ავველებურადა და ის იქნებოდა... ასე რო იყოს, მაშინ ჩვენ ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა...

— მერე და, რაო, უარი გითხრეს საძოვრებზე თქვენმა ხელმძღვანელებმა?

— არ გვითხრეს უარი, მაგრამ არც ჰო თქვეს და იგივე არ არი? ბოლოს მაინც უარი გამოვიდა. მართალია, სოფლის ახლომახლოში კერძო ვენახებია, ძნელია იმათი შელევა, მაგრამ მოსახლეობა ამაზედაც თანახმაა, დატოვებს ამ ვენახებს, ოღონდ საქონელს რამე ეშველოს. სანაცვლო ნაკვეთებს ბულაყებშიაც დავჯერდებით, ოღონდ მოგვცენ და...

ილოს ნათქვამიდან იგრძნობოდა მძიმე მდგომარეობა და გასაჭირი საქონლისათვის /გასადევარის უქონლობის გამო.

ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით გასადევარის პრობლემაზე, რომ იგი ზოგადი და ნიშნეულია მთელი კახეთისა და, საერთოდ, თანამედროვე ქართული სოფლისათვის. ილოსავით სტკივა დღეს ყველა გლეხსა და მეურნეს საქონლის პრობლემა და მისი მოწესრიგება ღრმა ჩაფიქრებასა და მასშტაბურ ღონისძიებათა განხორციელებას ითხოვს.

ილოს ნათქვამმა, ცოტა არ იყოს უკვე სხვა კუთხით შემახედა ჩემი მასპინძლების, კოლმეურნეობის მესვეურების, პატივცემული ვლადიმერის მიერ გაცხადებულ სამომავლო გეგმებზე, ახალი მიწების ათვისებას რომ შეეხებოდა. ხომ არ გამოიწვევდა იგი საძოვრების კიდევ უფრო შემცირებას? ხომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდებოდა ერთი პრობლემა მეორე, ასევე მნიშვნელოვანი საკითხის ხარჯზე? ვკითხე კიდევაც ამის თაობაზე ჩემს მასპინძლებს, მაგრამ უეცარი შიში, საბედნიეროდ, მოჩვენებითი აღმოჩნდა, მარჯვენამ იცოდა რას აკეთებდა მარცხენა. პარტბიუროს მდივანმა გივი პაკაშვილმა დინჯად მიპასუხა:

— ჩვენს მიერ ათვისებული ახალი მიწები ძირითადად ალაზნისპირა მლაშობებია, იქაურობა ავშანითა და ხურხუმოთია მოფენილი. იმას კი საქონელი არ ეტანება. ათასში ერთხელ ცხვარი თუ წასწვდა ხურხუმოს და ისიც ძალზე იშვიათად. ასე რომ, ყველაფერი გათვალისწინებულია. ერთი საქმე რომ მეორის ხარჯზე ვაკეთოთ, ამის უფლება ნამდვილად არ მიგვცემთ თავსა...

## ბოლოთქმა

ტიბაანიდან სიღნაღისაკენ გამობრუნებული ვფიქრობდი ამ დღეებში გაცნობილ იქაურ ადამიანებზე და გული სიამაყის გრძნობით მევსებოდა. ისინი ყველანი განსაკუთრებულნი და თავისთავადნი იყვნენ და, ამავე დროს, ერთ თარგზე გამოჭრილებივით საერთო ნიშნებიც გააჩნდათ. ეს თარგი კახეთის ბარაქიან-მადლიანი მიწა გახლდათ. ხოლო საერთო ნიშანი კი, მათ რომ აერთიანებდა და ავსებდა ისევ და ისევ შრომისმოყვარეობა, საქმის ერთგულება, მიწისადმი, მოყვასისა და მეგობრისადმი ალალი, უშურველი დამოკიდებულება იყო. აქაურ კაცს ყველაფრისათვის თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული, ლხინის დროს ლხინობდა, ჭირის დროს გლოვობდა, მაგრამ გადაბრუნებულ ღვინოსავით არასოდეს აღრევდ[illegible]ში ჭირსა და ლხინს, შრომასა და უაზრო გართობას. ტიბაანელ და ხირსელ მეღვინე-მუშებივით — ლაზარესა და ბიჭიკოსავით, გივისა და იოაკლისავით, მევენახეების—ვალიკო ხუცურაულისა და შალვა ზურაშვილსავით ამ ხალხსაც არასოდეს არ წასცდებოდა უდროოდ ჭიქაზე ხელი, არ აეშლებოდა უადგილო ღიღინის სურვილი და საღერღელი.

სიღნაღზე ამაღლებული და ციხე-ქალაქის გალავნიდან ალაზნის ველზე გადამდგარს კვლავ ის პირვანდელი გრძნობა დამეუფლა, უკმარისობის განცდა ბუნების მიმართ, ფრთები რომ არ უბოძა ადამიანს — ამ უძირო ცაში სანავარდოდ, მისი ფერადების ზღვაში საცურაოდ, ყოველივე აქაურის — ლამაზისა და ჰაეროვანის, მიწიერისა და ამაღლებულის კიდევ უფრო ახლოდან თვალის გადასავლებად, სადღაც თვალთუწვდენელ სიღრმეებში განფენილი ალაზნის ჭალების, ტიბაანელთა და ხირსელთა ნაოფლარი ვენახების, ნაგომურების, ბულაყების, გარეთა მიწების, ნეიგითეფასა და ხაშალთეფას. ყველას და ყველაფრის კიდევ ერთხელ მოსაფერებლად... სიღნაღის გალავანთან ალბათ ბევრ სხვასაც გაუჩენია სურვილი ფრენისა, აქიდან თვალის კიდევ ერთხელ გადანათებისა და როგორც ამ კუთხის შვილი იტყოდა — კავკასიონის მწვერვალებზე დაკიდებულ ვარსკვლავთა კრიალოსანის ნაზად ჩამომარცვლისა.

კიდევ დიდხანს ვნეტარებდი, გავცქეროდი მშობლიურ სანახებს. გულითად ვემშვიდობებოდი აქაურ შესანიშნავ ადამიანებს, კახელ ძმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# საქართველო და ქართველები

ბულგარული სქელტანიანი ჟურნალი „ფაკელი", რომელიც სოფიაში გამოდის და ბულგარელ მკითხველს, მსგავსად რუსული „ინოსტრანნაია ლიტერატურისა" და ჩვენი „საუნჯისა", უცხოური ლიტერატურის ნიმუშებს აცნობს, ერთ-ერთ წლევანდელ ნომერს უძღვნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. ბულგარულ ენაზე იბეჭდება სხვადასხვა თაობის ქართველ მწერალთა პოეტური და პროზაული ქმნილებები.

მაგრამ რა არის საქართველო? ვინ არიან ქართველები? ამ კითხვებზე პასუხს სცემს რევაზ ჯაფარიძის სტატია, რომელიც ავტორმა საგანგებოდ „ფაკელისათვის" დაწერა და ჩვენ საჭიროდ დავინახეთ იგი ჟურნალ „მნათობის" მკითხველებსაც გავაცნოთ.

რედ.

„ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების", — წერს გიორგი მერჩულე, მეათე საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, ავტორი საყოველთაოდ გახმაურებული თხზულებისა „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი".

ეს სტრიქონები რომ იწერებოდა, ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნის ბოლოს საქართველოს მიწა-წყალზე ცეცხლითა და მახვილით მოსული არაბული ურდოები თავიანთი სისხლიანი ბატონობის უკანასკნელ წლებსა და თვეებს ითვლიდნენ, ხოლო ოდესღაც ძლიერი, ცენტრალიზებული, მთელს წინა აზიაში დაწინაურებული, ახლა კი პატარ-პატარა ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო, „ფრიადი ქვეყანა", ავლავ ფეხზე დგებოდა და ძალებს იკრებდა მძვინვარე მტერთან ანგარიშის გასასწორებლად.

გიორგი მერჩულეს რომანის მთავარი გმირი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და განმანათლებელი გრიგოლ ხანძთელი, სამხრეთ საქართველოს — მესხეთსა და ტაო-კლარჯეთს მოევლინა იქ სულის სარგო საამშენებლო მოღვაწეობის გასაშლელად და დამპყრობელი არაბების ბატონობის კვალად ჩამქრალი კულტურული კერების აღსადგენად და აალორძინებლად.

ამ დროისათვის საქართველო, ანუ ქართლი, როგორც მას მატიანეები უწოდებენ, უკვე ძველი ქრისტიანული ქვეყანა იყო და მიუხედავად ძნელბედობისა, განუწყვეტელი შემოსევებისა და სისხლისღვრისა, საკაცობრიო მიღწევების დონეზე აყვანილი ეროვნული კულტურა ჰქონდა.

ახალი სარწმუნოებრივი მოძღვრება — ქრისტიანობა აქ, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში — ეგრისში, ჩასახვის პირველი საუკუნეებიდანვე ვრცელდებოდა. საქართველოში ის ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს. ეგრისის მო-

სახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მათ კიდევაც მოაქციეს, მაგრამ წარმართულმა რეაქციამაც არ დააყოვნა: ისევე როგორც წარმართულ რომში ხდებოდა, ხელისუფლებამ აქაც ძალა იხმარა და ახალი სარწმუნოების წიაღში შესული მართლმორწმუნენი კვლავ წარმართობას დაუბრუნა. ანდრია მოციქულმა თავს გაქცევით უშველა, სვიმონ ქანანელი კი აფხაზეთის მთებში დაიღუპა და მიწასაც იქვე მიაბარეს.

ისტორიას თავისი კაპრიზები და კანონზომიერებები აქვს. თურმე კიდევ რამდენ საუკუნეს უნდა გაევლო, ვიდრე ლატაკთა და ტვირთმძიმეთა მეოხად დაბადებული ქრისტიანული რელიგია საქართველოში საბოლოოდ გაიმარჯვებდა, ძველ, წარმართულ კერპებს დაამხობდა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა!

ეს მოხდა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში, 330 და 340 წლებს შუა. ცოტა უფრო ნაგვიანევ ხანას განეკუთვნება ბოლნისის სიონის — საქართველოს ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სალოცავის ქართული წარწერაც, რომელიც ისტორიის ქარტეხილებს უვნებლად გადაურჩა და დღესაც შეიძლება წაიკითხოს დაინტერესებულმა კაცმა.

წარწერა მრგლოვანი, ე. წ. ხუცური შრიფტით არის შესრულებული. იქნებ ამის აღნიშვნა ვინმემ ზედმეტ დეტალიზაციად მიიჩნიოს, მეორე ქართული ანბანი, ე. წ. მხედრული დამწერლობაც რომ არ არსებობდეს.

საქმეში ჩახედული მეცნიერები, ქართველებიც და არაქართველებიც, ვარაუდობენ, რომ ხუცური, საეკლესიო დამწერლობის შემოღება საქართველოში ქრისტიანული რელიგიის საბოლოო დამკვიდრების კვალად უნდა მომხდარიყო, ხოლო რაც შეეხება მხედრულს, ის გაცილებით ადრე, წარმართობაში შეიქმნა და დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე პირველი სუვერენული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას უკავშირდება.

„ქართლის ცხოვრება", უძველეს ქართულ მატიანეთა კრებული, ორი ვეებერთელა ტომი რომ შეადგინა, ამ დიდ პატივს, ქართული სახელმწიფოს შექმნას და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას, სპარსელთა კირთებისაგან თავდახსნილი ქვეყნის პირველ ქართველ მეთაურს — მეფე ფარნავაზს აკუთვნებს. ფარნავაზ მეფე ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში ცხოვრობდა. მე-11 საუკუნის ისტორიკოს ლეონტი მროველის თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება", რომელსაც საფუძვლად ჩვენამდე მოუღწეველი ძველი წყაროები უდევს, პირდაპირ წერია: „ამან (მეფე ფარნავაზმა) განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და მან შექმნა მწიგნობრობა ქართული".

ქრისტესწინარე საქართველოს, ისევე როგორც მისი მომდევნო საუკუნეების ისტორიის ერთადერთი წყარო მარტო მატიანეთა კრებული „ქართლის ცხოვრება" როდია. ცნობები საქართველოს, ქართველი ხალხის, ცალკეული ქართული ტომების, მათი საცხოვრისის, ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის შესახებ შემონახულია არა მარტო უძველეს ლეგენდებში, როგორიცაა, მაგალითად, ბერძენი იაზონის მოგზაურობა კოლხეთში — დაავლეთ საქართველოში, და ოქროს საწმისთან ერთად იქიდან მეფე აეტის ერთადერთი მშვენიერი ასულის, მედეას მოტაცება, არამედ თვით ისტორიის მამის — ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სტრაბონის, არიანეს, პროკოფი კესარიელის, აპიანეს და სხვათა და სხვათა თხზულებებში. შემონახულია სარწმუნო ცნობები და ნივთიერი მტკიცებანი, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ ორ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

-- იბერიას და კოლხეთს, რომელიც სხვადასხვა დროს ხან ეგრისად, ხან აფხაზეთის სამეფოდ იწოდებოდა, ინტენსიური კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სამყაროსთან. ახალი ერის დამდეგს მონათმფლობელური რომის იმპერატორებსაც მოვალედ თვლიდნენ ეცნოთ იბერია-კოლხეთის მეფეთა ძლიერება და კეთილმეგობრული ურთიერთობაც დაემყარებინათ მათთან. ისინი მდიდრულ მოსაკითხებს უგზავნიდნენ ქართველ გვირგვინოსნებს და თავადაც სიხარულით იღებდნენ სამაგიერო ძღვნებს.

იმპერატორმა ვესპასიანემ, რომელიც რომის იმპერატორთა ტახტზე ჩვენი წელთაღრიცხვის 69-79 წლებში იჯდა, იბერიის სატახტო ქალაქ მცხეთაში (თბილისი, გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი, ჯერ კიდევ არ იყო, მან მხოლოდ ოთხი საუკუნის შემდეგ მიიღო სატახტო ქალაქის სტატუსი) მეგობრობის კედელიააგო და ზედ ასეთი წარწერა ამოაკვეთინა:

„იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტუსმა... სამგზის ალჭურვილმა ტრიბუნის ხელისუფლებით, თოთხმეტგზის გამოცხადებულმა იმპერატორად... და იმპერატორმა კეისარმა ტიტუს ავგუსტუსმა და კეისარმა დომიციანე ავგუსტუსმა... ავუგეთ ესე კედელი კეისრის მეგობარს, რომაელთა, რომაელი ხალხის საყვარელ მეფეს იბერთა მითრიდატეს, ძეს მეფე ფარსმანისა...“

ასიოდე წლის შემდეგ იმეოატორმა ადრიანემ იბერიის მეფე ფარსმან მეორეს ძღვნად საომარი სპილო და ხუთასი ლეგიონერისაგან შემდგარი სპა გამოუგზავნა. ხანი რომ გამოხდა, ფარსმან მეორემ, მრავალრიცხოვანი ბრწყინვალე ამალის თანხლებით, რომში იმოგზაურა. ფარსმანმა და მისმა მხლებლებმა რომაელებს თავიანთი სამხედრო ასპარეზობა აჩვენეს და ანტონიუს პიუსი, რომის მაშინდელი იმპერატორი, ვინც ადრიანეს ტახტი მიიღო, პატრიციებთან და ბრბოსთან ერ[illegible] იხიბლა, ბრძანება გასცა და მარსის მინდორზე იბერიელთა მეფის ცხენზე ამხედრებული ფიგურა დაადგმევინა.

ანტიკური წყაროების მოწმობით, იმ ადგილას, სადაც მდინარე ფაზისი, ახლანდელი რიონი, შავ ზღვას, მაშინდელ ევქსინის პონტოს, ერთვის, ქალაქ ფაზისში, დღევანდელ ფოთში, არსებობდა „მუზათა ნავსაყუდელი“, ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, რომლისკენაც უმაღლესი განათლების მისაღებად შორეული ქვეყნებიდან, თვით საბერძნეთიდანაც კი მოისწრაფვოდნენ მეცნიერების დაუფლებას მოწყურებული ახალგაზრდები. კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში უსწავლია და მის კედლებში მიუღია გონების წრთობა ცნობილ ფილოსოფოსსა და რიტორს თემისტიოსს. თემისტიოსი წერს, რომ მამამისიც აქ აღიზარდა და „თავისი სიბრძნე აქ (ფაზისში) შეიძინა“.

ეს იყო მეოთხე საუკუნეში, მეხუთე საუკუნით კი თარიღდება პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლი, სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუში და ეტალონი, „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, რომელიც ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართველი მწერლის იაკობ ცურტაველის კალამს ეკუთვნის და რომლის შექმნის 1500 წლისთავიც საქართველოში ამას წინათ ვიდღესასწაულეთ.

მეხუთე საუკუნის მიწურულს, თბილისის დამაარსებელ და სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ ხმალჩაუგებლივ მებრძოლი მეფის, ვახტანგ გორგასლის დროს, საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია მოიპოვა და იერარქიულად საბოლოოდ გამოეყო ანტიოქიის ეკლესიას. არ გაუვლია დიდ ხანს, იმავე ვახტანგ გორგასლის ნება-სურვილით, მესოპოტამიიდან მოვიდა „ათცამეტი სირიელი მამა“ და მეფის აქტიური მხარდაჭერით ხელი მიჰყო სამონასტრო მშენებლობას. ასე აშენდა მამადავითის, ზედაზნის, მარტყოფის, შიომღვიმის, ალავერდის, ნეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესის, გარეჯის და სხვა ლავრები. ახალდაფუძნებულმა მონასტრებმა გაცხოველებული საღვთისმეტყველო და სამეცნიერო-ლიტერატურული მუშაობა გააჩაღეს. ბერძნულიდან, სირიულიდან ლათინურიდან, სომხურიდან და სხვა ენებიდან ითარგმნა მრავალი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ტრაქტატი, მათ შორის ძველი და ახალი აღთქმის წიგნები... ამავე ენებზე ქართულიდან ითარგმნებოდა ქართველ მეცნიერთა, ღვთისმეტყველთა და მწერალთა ორიგინალური ნაწარმოებები.

პირველი ქართველი მეცნიერები, რომლებმაც მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს, იყვნენ მეხუთე საუკუნის მოღვაწენი, პეტრე იბერი და მისი მოწაფე იოანე ლაზი, რომლებმაც თავისი დროის ფილოსოფიური აზროვნება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს. პეტრე იბერი, იბერიის მეფისწული, ჯერ მძევლად იყო კონსტანტინოპოლში, ბიზანტიის კეისრის კარზე, შემდეგ კი, სრულწლოვანებას რომ მიაღწია, ბერად აღიკვეცა, სახელმწიფო მოღვაწეობაზე უარი თქვა და მთელი სიცოცხლე მეცნიერების სამსახურს შესწირა.

ეს ის პეტრე იბერია, რომელსაც, უკანასკნელ ათწლეულებში წამოყენებული ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზის თანახმად, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებების ავტორად თვლიან.

საქართველოს ფარგლებიდან არაბების განდევნის შემდეგ, რაც მეფე დავით კურაპალატისა და მისი მემკვიდრე მეფეების, ბაგრატიონების, წინამძღოლობით განხორციელდა, მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყანა ახალი მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა: სამხრეთ-დასავლეთიდან დაძრული თურქ-სელჩუკთა ურდოები ჯერ მეზობელ სომხეთს მოადგნენ და გადმოთელეს, შემდეგ კი ხელახლა მოშენებულ და აყვავებულ ქართლშიაც შემოიჭრნენ.

საგულისხმოა, რომ ამ მომთაბარე ველური ტომებისაგან პირველად უფრო ადრე ბიზანტიას და მის სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლს დაემუქრა. 979 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ვასილიმ მოციქულები აახლა ერთმორწმუნე დავით კურაპალატს და დახმარება თხოვა. ქართველებს არ დაუყოვნებიათ. უმალ შეიკრიბა და ბიზანტიის დედაქალაქის მისაშველებლად გაემგზავრა თორმეტიათასიანი ლაშქარი თორნიკე ერისთავის მეთაურობით, რომელმაც კონსტანტინოპოლის კედლებთან სძლია სარდალ ბარდა სკლიაროსის რიცხვით უმეტეს ჯარს და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა.

„დიდი თურქობა“ საქართველოში საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ისევე როგორც არაბობის დროს, ქვეყანა აჯანყებების ცეცხლში იყო გახვეული. ველური მტრის სისასტიკე, გამუდმებული მოუსავლიანობა, ეპიდემიები, თავაშვებული ფეოდალების დაუსჯელი თვითნებობა ერს საბოლოო მოთხრასა და გადაშენებას უქადდა.

ამ დროს ავიდა სწორედ სამეფო ტახტზე ყრმა უფლისწული დავით მეოთხე, ხალხის მიერ აღმაშენებლად მონათლული, რომელიც საქართველოს ისტორიაშიაც ზემოთხსენებული ზედწოდებით შევიდა, და ხელი მიჰყო შემოსეული მტრის გაუგონარი ძალადობისაგან სამშობლოს გათავისუფლებას.

დავით მეოთხემ, უპირველეს ყოვლისა, დათრგუნა მუდამ განხეთქილების მოსურნე საკუთარი ფეოდალები. გვაროვნულ არისტოკრატიას ხალხის წიაღიდან გამოსული ნიჭიერი მოღვაწეები დაუპირისპირა, გარეშემო შემოიკრიბა მთელი ამიერკავკასია და თურქ-სელჩუკებს საღვთო ომი გამოუცხადა. დამპყრობელმა ვერ გაუძლო საგანგებოდ გაწვრთნილი ჯარების ახლებურ წყობას, დიდი ზარალი ნახა. ერთიმეორის მიყოლებით დაეცა თურქული გარნიზონები. თითქმის მთელი ამიერკავკასია, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, დავითის ხელში გადმოვიდა. მოძმე სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხები და ალბანელები, თარგამოსიანნი, თვით იწვევდნენ ქართველთა ღვთივამოსილ მეფეს, რომელიც ყველა ხალხისა და ყოველგვარი სარწმუნოების შემწე და მფარველი იყო, და მშობელ მიწას ქართული მხედრობია მხარდამხარ ათავისუფლებდნენ. მტრის ხელში მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქი თბილისი რჩებოდა. დავითი არ ჩქარობდა. ვის უნდა სცოდნოდა თუ არა მას, რომ თბილისი გარედან თითქმის მიუვალი იყო და იქიდან მტრის გარნიზონის განდევნა დიდი ძალის თავმოყრას მოითხოვდა. ამასობაში არც ქალაქის ამირას ეძინა. მან მალემსრბოლები დაგზავნა, მთელი ახლო აღმოსავლეთი შეძრა და მუსულმანურ სამყაროს „გიაური ქართველი მეფის“ წინააღმდეგ გამოსვლა მოუწოდა. შედგა დიდი კოალიციური ლაშქარი. ევროპული წყაროების მიხედვით იგი 600 ათას კაცს ითვლიდა. ომის დამსწრე სომეხი ისტორიკოსი შემოსეულ თურქ-სელჩუკთა და მათი მოკავშირეების ლაშქარს 800 ათასი კაცით განსაზღვრავს. დავითს მხოლოდ 56 ათასი კაცი ჰყავდა. აქედან საგულდაგულოდ გაწვრთნილი რეგულარული არმია 40 ათას კაცს არ აღემატებოდა. ომი მოხდა თბილისის ახლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით, დიდგორის ველზე, 1121 წლის აგვისტოში. დავით აღმაშენებლის ლეგენდარულმა გამარჯვებამ ამ უთანასწორო ომში, როცა ერთის წინააღმდეგ ათი და თორმეტი მოდიოდა, შეძრა დასავლეთიც და აღმოსავლეთიც. მრავალტანჯული თბილისი, ოთხასი წლის განკერძოებულობის შემდეგ, კვლავაც იქცა საქართველოს დედაქალაქად. დავით აღმაშენებელმა თავისი ტახტი ქუთაისიდან აქ გადმოიტანა.

აღმაშენებელი, ისევე როგორც ქართველ მეფეთა დიდი უმრავლესობა, უაღრესად განათლებული, ფილოსოფიის, ლიტერატურის, ღვთისმეტყველების ქრისტიანული და მუსულმანური სასულიერო მწერლობის, რიტორიკის, ლოგიკის, მუსიკის, საექიმო საქმის, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვა დარგის ზედმიწევნით მცოდნე მონარქი იყო. გარდა მშობლიური ქართულისა, რითაც სამეფოს მართავდა, მან კარგად იცოდა სპარსული, არაბული და ბერძნული ენები. არამცთუ მოცალეობის ჟამს, თვით ლაშქრობის დროსაც კი ის წიგნს ხელიდან არ უშვებდა და პატარა სალაშქრო ბიბლიოთეკა ნიადაგ თან დაჰქონდა.

დავით აღმაშენებელმა დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად, დიდი სამონასტრო ანსამბლი გელათიააგო და მასთან აკადემია და ქსენონი გახსნა. გელათის აკადემიას, ამ „მეორე იერუსალიმს, ყოველთა კეთეთა წყაროს, მეცნიერების სკოლას, ახალ ათინას“, როგორც მას უწოდებდნენ, მეფე დავითის მოწვევით მაშინვე მოაშურეს უცხოეთის აკადემიებში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა: ნეოპლატონიკოსმა იოანე პეტრიწმა, გიორგი მთაწმინდელმა, ეფრემ მცირემ და სხვებმა. ბულგარელი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის ცოდნა, რომ კონსტანტინოპოლში განათლებამიღებული დიდი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი ბულგარეთის ბაჩკოვოს, ქართული ტრანსკრიპციით პეტრიწონის მონასტერში, სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად, თითქმის ოც წელიწადს ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობას და სამშობლოში სწორედ იქიდან გამოემგზავრა. კიდევ უფრო საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პეტრიწონის, იგივე ბაჩკოვოს მონასტერი 1083 წელს დააარსა სხვა ქართველმა მოღვაწემ, გრიგოლ ბაკურიანის ძემ „დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა“, ბიზანტიის ჯარების მთავარსარდალმა და მან ტიპიკონი-წესდებაც შეუდგინა ბერძნულ და ქართულ ენებზე. ორივე ამ ტიპიკონმა, რომელსაც, ცხადია, დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, ჩვენამდე მოაღწია და მეცნიერული შესწავლის საგნად იქცა. პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს მონასტერი ქართული კულტურის კერა იყო. ტიპიკონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად, აქ მიღებისა და მოღვაწეობის უპირატესობა ქართველ ბერებს ეკუთვნოდათ. მონასტრის დამაარსებლის მიერ დაკანონებულ ამ უპირატესობას ქართველი ბერები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ და ინარჩუნებდნენ, ვიდრე ისტორიის ჩარხი უკუღმა არ გადაბრუნდა და ბაჩკოვოს სხვები არ დაეპატრონენ.

ბულგარეთში მონასტრის დაარსება და იქ სღვთისმეტყველო და სამეცნიერო მუშაობის გაშლა ქართველებისათვის და საქართველოსათვის უცხო არ იყო. მეხუთე-მეექვსე საუკუნიდან მოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები: სირია, პალესტინა, ანტიოქია. მათი მეზობელი საბერძნეთი ქართული კულტურის ხალხმრავალი კერებით მოიფინა. ცნობილია ათონის ივერთა მონასტერი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, სინას მთა და ბევრი სხვა საკულტო დაწესებულება, რომლებიც დროთა განმავლობაში ქართველებს წაართვეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა იქ დღემდე ინახება ქართული ფრესკები და წარწერები, აგრეთვე, რაც ყველაფერზე უფრო მთავარია, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ქართულ ხელნაწერთა კოლექციები, მთელი წიგნსაცავები, ბევრი რამ ისეთი, რაც უთვალავჯერ დარბეულ და გაძარცვულ საქართველოში უკვე აღარ არის და ბედმა მხოლოდ სამშობლოდან შორს, ცხრა მთას იქით გადაარჩინა.

ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობა, რომ საქართველოში, დავით აღმაშენებლის კარზე 1110-1118 წლებში მოვიდა იერუსალიმის მეფე ბოლდუენი, ქართული ტრადიციის მიხედვით ბოლდოვანი, და მეფეს სარკინოზთაგან ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად გალაშქრება თხოვა, დავითმა და მისმა მემკვიდრეებმა ყურად იღეს ეს მიწვევა და რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა ჯვაროსნულ ლაშქრობებში. ევროპელ ჯვაროსნებისაგან განსხვავებით, მათი მიზანი, რაღა თქმა უნდა, მუსულმანური გარემოცვის დასუსტება და საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება უფრო იყო, ვიდრე მაცხოვრის საფლავის გათავისუფლება და იქ ახალი მიწების დაპყრობა, რაც სინამდვილეში საფუძვლად ედო სარფის მაძიებელ ჯვაროსანთა ყოველ გალაშქრებას.

გაერთიანებული საქართველოს ძლიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა დემეტრე მეფის, გიორგი მესამის, მეფე თამარის, გიორგი ლაშას მეფობაში. თბილისის სამეფო სახლი მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უძლიერეს სამეფო სახლად გადაიქცა. საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი მე-11 — მე12 საუკუნე და მე-13 საუკუნის დამდეგი, ვიდრე ჰორიზონტზე ჯერ მსოფლიოს წამლეკი მონღოლები, შემდეგ ხორეზმელები და დაბოლოს ისევ მონღოლები, ამჯერად უკვე თემურ ლენგის მონღოლები გამოჩნდებოდნენ.

აღნიშნული საუკუნეები, მთელი „ოქროს ხანა“, ანუ „აღმოსავლური რენესანსი“, რომელიც რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებდა დასავლურ რენესანსს, ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგის ჯერ არნახული აყვავებით, სახელმწიფო წესწყობილების შემდგომი სრულყოფით და საერთაშორისო ურთიერთობათა გაცხოველებით აღინიშნა. აიგო ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლები: ბაგრატის საკათედრო ტაძარი ქუთაისში, სვეტიცხოველი და სამთავრო მცხეთაში, აიგო ნიკორწმინდა, სამთავისი, ალავერდი, ყინწვისი, ქვემო ქართლისა და მესხეთის განუმეორებელი ქმნილებები, მეფეთა და დიდებულთა სასახლეები, ციხეები, ხიდები, გზები საგზაო ტრაქტირები და საბაჟოები.

ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის, დავითისა და თამარის ეპოქიდან რომ შემოგვრჩა, ცალკე დგას მეფეების, გიორგისა და თამარის, დროს შვეულად აღმართულ კლდეში გამოკვეთილი ლეგენდარული ციხე-ქალაქი ვარძია. იგი ათი თუ თერთმეტი სართულისაგან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგება. რამდენიმე აიეული დარბაზი და სათავსო, მათ შორის ძვირფასი ფრესკებით შემკული ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესია, ქსენონი, აფთიაქი, მარნები, ხორბლისა და სხვა სურსათის მარაგის შესანახი ადგილები, ერთმანეთს უკავშირდება კიბეებითა და კლდეში მოხერხებულად გაყვანილი ტალანებით. ციხე-ქალაქ ვარძიას თავისი საიდუმლო წყალსადენი აქვს, წინ მდინარე მტკვარი ჩაუდის და მტრისაგან პრაქტიკულად მიუდგომელია.

იმდროინდელი ისტორიკოსები და მემატიანეები გვაუწყებენ, რომ მეფეთამეფე თამარი, ფეხშიშველი, ჯვრით ხელში, სწორედ აქედან გაუძღვა თავის „ქრისტესმოსავ ლაშქარს" ახლო აღმოსავლეთის ახალ მუსულმანურ კოალიციასთან, რუმის სულთან რუქნადინთან შესახვედრად. ვაი რომ ჭირს თარგმნა და თარგმანში ფერმკრთალდება ტექსტი იმ ნოტისა, რომელიც თავის სიმართლესა და რწმენას მინდობილმა თამარმა რუქნადინს მისი თავხედური მონაწერის პასუხად გაუგზავნა და საომრად აღჭურვილი მხედრობაც მას კვალდაკვალ გააყოლა! რუქნადინს ვერ უშველა ურიცხვმა ჯარმა. ქართველებმა, თამარის მეუღლის, მეფე დავით სოსლანის მთავარსარდლობით, ის ბასიანის ველზე სასტიკად დაამარცხეს და სამუდამოდ აღუკვეთეს აქეთ ხელახლა გამოლაშქრების სურვილი.

სწორედ თამარის დროს იქმნება ქართული პოეტური სიტყვის მწვერვალი, ამჟერად უკვე მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურულ ენაზე გადათარგმნილი „ვეფხის ტყაოსანი" შოთა რუსთაველისა, მეგობრობის, ხალხთა შორის კეთილმეზობლური თანამშრომლობის, მოყვასისათვის თავის დადების, ქალისა და კაცის თანასწორობის, ამქვეყნიური ცხოვრების მშვენიერების ქებათა ქება. თავიანთ ახალ შედევრებს ქმნიან ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი, მოსე ხონელი. ბექა და ბეშქენ ოპიზარების მოჭედილი ხელთუქმნელი ხატები ამშვენებენ ტაძრებსა და სასახლეებს. სათავე ედება ეროვნულ პროფესიულ მუსიკას, როგორც საეროს, ისე საეკლესიოს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში შექმნილი თუ უფრო ადრეული სანოტო ნიშნები გაიშიფრა და პერგამენტში გამოკვეტილმა და სანახევროდ მივიწყებულმა უძველესმა ქართულმა ჰანგებმა ენა ამოიდგეს.

თამარის ადმინისტრაციის დასავლური პოლიტიკის შედეგი იყო შავი ზღვის სამხრეთით, ძველი ლაზიკის მიწა-წყალზე, რომელიც იმ დროს უპირატესად ქართველებით იყო დასახლებული, ახალი პროქართული სახელმწიფოს — ტრაპიზონის სამეფოს დაარსება. ტრაპიზონის მეფის ტახტზე ავიდა ბიზანტიის იმპერატორთა პირდაპირი შთამომავალი ალექსი კომნენი, რომელიც მეფე თამარის ნათესავი იყო და საქართველოში იზრდებოდა. კონსანტინოპოლი გაუმხელელი დრტვინვით შეხვდა თამარის ხელდებულ ტრაპიზონში ალექსი კომნენის გამეფებას. ბოლოს საქმე ომამდე მივიდა და მოგვიანებით იგი იმით დამთავრდა, რომ ალექსი კომნენმა სამეფო მიატოვა და თავის გადასარჩენად ბულგარეთს მიაშურა, სადაც მთავრის ტახტზე სიძე ეგულებოდა.

ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული საქართველოს ძლიერებას ბოლო მონღოლებმა მოუღეს. რომის პაპის მოწოდების თანახმად, თამარის ძე, მამაცი და უშიშარი მეფე, ლაშა გიორგი საომრად აღიკაზმა, რათა ორმოციათასიანი ლაშქრით ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად გამგზავრებულიყო. ქართველთა მეფე და მისი ლაშქარი მონღოლების მოულოდნელმა გამოჩენამ დააბრკოლა. ლაშა გიორგის და რუსუდანი წერდა რომის პაპს: „დამიეტაში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა წამოსულიყო ქრისტიანების შესაწევნად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში“.

ბოროტნი თათარნი... საქართველოში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ მონღოლები, აქ საიდან გაჩნდნენ, ვის მტრად მოჰკიდებოდნენ და ვის მოყვარედ. მათთვის ყველა თათარი იყო, ვინც ქრისტეს ჯვარზე ხმალს აღმართავდა და ქვეყანას ასაკლებად შემოესეოდა. შემოსევები არც ერთმორწმუნე ბიზანტიისაგან აკლდა. მტერ-მოყვარე ბიზანტია, ვიდრე ძალა შესწევდა ქადილისა და ოსმალთა ურდოების მოწოლას ასე თუ ისე უმკლავდებოდა, საზღვრების გაფართოებას ელტვოდა და აღმოსავლეთისაკენ დაყინებით მოიწევდა. მახვილს წინ ქრთამი და კონსტანტინოპოლში გამოგონილი საპატიო ტიტულები მოუძღვოდა. ბევრი ქართველი მეფე და მთავარი კუროპალატის, სევასტოსის და ბიზანტიის იმპერატორების მიერ მონიჭებულ სხვა ბრჭყვიალა წოდებას ატარებდა.

რაკილა სიტყვამ მოიტანა და დამიეტა ვახსენეთ, ბარემ პაპის ლეგატ კარდინალ პელაგიუსის წარმომადგენლის ჟაკ დე ვეტრის, „იერუსალიმის ისტორიის“ ავტორის, ამონაწერიც მოვიტანოთ. ჟაკ დე ვეტრი დამიეტაში შეხვდა ლაშა გიორგის ელჩებს. აი, რას წერს ის:

„...ქართველები არიან ფრიად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, ძლიერნი ახეულით და ძლევამოსილნი მხედართა ურიცხვი რაოდენობით. მათ სასტიკად დაშინებული ჰყავთ სარკინოზები, თავიაი თავდასხმებით ხშირად აყენებენ ზიანს სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს, რომელთაც ესაზღვრებიან, მთლიანად გარშემორტყმულნი ურჯულო ხალხებით. მათ ეწოდებათ გეორგიანები, ვინაიდან განსაკუთრებულ პატივსა სცემენ წმინდა გიორგის, ვისაც თვლიან თავის მფარველად და მედროშედ ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ სხვა წმინდანზე უმეტეს. ყოველთვის, როცა კი ეწვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი შემოდიან წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს. სარკინოზები ვერანაირად ბედავენ მათ შეწუხებას, ვინაიდან შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა დარად შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდების მხარდამხარ...“

მონღოლებმა რამდენჯერმე ილაშქრეს, მნიშვნელოვანი მსხვერპლიც გაიღეს, ვიდრე საქართველოს სამხედრო და ეკონომიურ ძლიერებას ასე თუ ისე შეარყევდნენ. გიორგი ლაშა საიუდუმლო ვითარებაში დაიღუპა. ტახტზე მეფის და რუსუდანი იჯდა, როდესაც ქვეყანას ხორეზმშაჰი ჯალალედინი შემოესია, დაიპყრო თბილისი და უწყალოდ დაანგრია. ჯალალედინის შემდეგ კვლავ მონღოლები მოვიდნენ, ქართლის მიწა-წყალი ულუსებად დაჰყვეს მოსახლეობის აღწერა მოახდინეს, ქვეყანას აუტანელი ხარკის გადახდა დააკისრეს და ერს მონობის ბორკილები დაადეს. უმწეო მეფე რუსუდანი მთებში გაიხიზნა. რამდენიმე წელიწადს, ვიდრე ყარაყორუმში დამტკიცებული ბიძაშვილ-მამიდაშვილი დავით ულუ (უფროსი) და დავით ნარინი (უმცროსი) ერთი ტახტის დასაკავებლად უკან არ მობრუნდნენ, ქვეყანა უმეფოდ იყო.

შეითქვნენ დიდგვაროვანი ქართველები, ფიცი დასდეს, რომ პირს არავინ გასტეხდა და დანიშნულ დროს ჯარით გამოვიდოდა მონღოლ ნოინებთან შესაბმელად. შეთქმულება ვიღაც ულმერთომ გასცა. გამცემი და მაბეზღარა ხომ ჯერ არც ერთ დიდ საქმეს არ გამოლევია! ღამით ყველა შეთქმული დიდებული დააპატიმრეს, ყველას ბორკილი გაუყარეს და ქვეყნის სამხრეთისაკენ, სომხეთის ძველი დედაქალაქის, ანისის გზას გაუყენეს. შუა ზაფხული იყო. საშინლად ცხელოდა. შეთქმულთა დაკითხვამ და წამებამ უშედეგოდ ჩაიარა. შეფიცულები არ ტყდებოდნენ და თავიანთ უდანაშაულობას ამტკიცებდნენ კოხტასთავში იმაზე მოსარიგებლად შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიკრიბეთ, თქვენს მიერ დაკისრებული ხარკი როგორ უკეთ გადაგვეხადაო. მონღოლებმა ქართველებს ტანზე გახადეს, თავლი წაუსვეს და ასე დაყარეს ბაზრის თავში. მოვიდა ცოტნე დადიანი ოდიშის მთავარი, ვინც სიშორის გამო ჯარით გამოცხადება დააგვიანა და, ბუნებრივია, ამ მიზეზით დაპატიმრებაც გადაურჩა. ცოტნემ თავის ნებით გაიხადა, ტანზე თაფლი წაისვა და ფუტკრებისაგან და ბზიკებისაგან გაწამებულ თავის ამხანაგებს გვერდში მიუწვა. განცვიფრდნენ მონღოლები. ასეთი რამ ჯერ არც არსად ენახათ და არც გაეგონათ. ძნელი სათქმელია, რომ მათ გულში სიბრალულმა და კაცთმოყვარეობამ გაიღვიძა, მაგრამ ის კი ფაქტია რომ როდესაც ცოტნეს პირისგანაც იგივე მტკიცება მოისმინეს, რასაც სხვები ამბობდნენ, განწირულთ ბორკილები აჰყარეს და ყველა გაათავისუფლეს.

საქართველო ორად გაიყო: აღმოსავლეთში დავით ლაშას ძე გამეფდა, დასავლეთში — დავით რუსუდანის ძე ამის შემდეგ, თითქმის 1801 წლამდე, როდესაც სისხლისმღვრელ ომებში დაღლილ-დაქანცულმა და გაუკაცრიელებულმა საქართველომ თავი რუსეთის მკერდზე მიანდო, ორ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ დაყოფილი ქვეყანა ფეხზე აღარ წამომდგარა. დამპყრობი დამპყრობს ცვლიდა. ოსმალებს სპარსელები ენაცვლებოდნენ, სპარსელებს ოსმალები. გამონაკლისი მოხდა მხოლოდ მე-14 საუკუნეში, როდესაც ძლიერმა და შორსმჭვრეტელმა მეფემ, გიორგი ბრწყინვალემ, დამპყრობლები გაწდევნა ქვეყნის ფარგლებიდან, საქართველო თავისი ძველი, დავითისა და თამარის საზღვრებში აღადგინა და სათავე დაუდო მის აღორძინებას. შინაგანმა დაქსაქსულობამ და ფეოდალურმა წაჭექ-უკუჭექობამ გიორგი ბრწყინვალის მამულიშვილური ნამოქმედარი მალე წყალს გაატანა. აღმოსავლეთის დიდმა ვეშაპებმა, სპარსეთმა და ოსმალეთმა, 1555 წელს ამასიაში ზავი დასდეს და საქართველო გავლენის სფეროებად დაინაწილეს. აღმოსავლეთი სპა[illegible] დასავლეთი — ოსმალეთს. მაგრამ ეს ისე არავინ უნდა გაიგოს, თითქოს ან ერთს ან მეორეს ხალხის მთლიანად დამორჩილება და თავის ყურმოჭრილ მონად გახდომა მოეხერხებინოს. ამის მიმანიშნებელია თუნდ ის გარემოება, რომ მაჰმადიანმა მოძალადეებმა ვერ შესძლეს ქართველთა რჯულის შეცვლა, ერის გამუსულმანება, მამა-პაპის წმინდა ტრადიციებზე ხელის აღებინება. თურქეთმა ეს ნაწილობრივ შესძლო მხოლოდ თავის მოსაზღვრე პროვინციაში, მესხეთში, ქართული კულტურის უძველეს აკვანში. აქ ხალხი იარაღის ძალით გაამაჰმადიანეს და ისტორიულ მესხეთს, სადაც შოთა რუსთაველი დაიბადა, ჩილდირის ანუ გურჯისტანის ვილაიეთი უწოდეს. დანარჩენი საქართველო დამპყრობთა წინააღმდეგ ხმალჩაუგდებელ ომს განაგრძობდა. ქართველი მეფე-მთავრები თვით მეთაურობდნენ ამბოხებებს, ბრძოლა სამშობლოს სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ამ ხანებში სამშობლოდან იძულებით მოწყვეტილ ქართველ მეფე-მთავრებსა და ბატონიშვილებს დიდი თანამდებობები ეჭირათ ირანის შაჰისა და თურქეთის სულთნის კარზე. მეფეები: გიორგი მეთერთმეტე, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ერეკლე მეორე; ბატონიშვილები: ლევანი, ქაიხოსრო, გიორგი სააკაძე, უნდილაძეები და სხვები სხვადასხვა დროს შაჰის არმიის მთავარსარდლები იყვნენ.

საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა იმან, რომ მე-15 საუკუნეში ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაამხეს. 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლის თავზე ძლევის დროშა აafრიალეს და ახლა უკვე მთლიანად მუსულმანურ გარემოცვაში მოქცეულ საქართველოს კულტურულ დასავლეთთან დამაკავშირებელი ყველა გზა მოუკვეთეს. ქართველმა მეფეებმა მზერა ჩრდილოეთს მიაპყრეს. ჯერ კახეთის მეფე ალექსანდრემ გაბედა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელჩიონი გაგზავნა მოსკოვს. მალე საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ რუსეთის ხელმწიფის ელჩებიც. რუსეთ-საქართველოს საქმიანი ურთიერთობა ამ დროიდან არ შემწყდარა მიუხედავად იმისა, რომ ერთის მხრივ სპარსეთი და მეორეს მხრივ ოსმალეთი რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ქართველ მეფეებს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების პირობად უდებდა. გამწვავდა მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების დევნა, ერთმანეთთან მოქიშპე სუნიტურ ოსმალეთს და შიიტურ ირანს კარგად ესმოდათ, რომ მართლმადიდებლობა რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ხიდი იყო და რაც უფრო მალე მოშლიდნენ ამ ხიდს, მით უფრო ადრე მოხერხდებოდა გამუდმებით ჩრდილოეთისაკენ მაცქერალი ქართველი მეფეების პირით სამხრეთისაკენ შემობრუნება. სპარსეთში აწამეს კახეთის დედოფალი ქეთევანი, რომელმაც მძვინვარე შაჰ-აბასის წინაშე ქედი არ მოიდრიკა და მამაპაპურ სარწმუნოებაზე უარის თქმას, რაც სამშობლოს ღალატს უდრიდა, მოწამებრივი სიკვდილი ამჯობინა. ასეთივე სიკვდილი ერგოთ მეფე დიმიტრი თავდადებულს და მეფე ლუარსაბ მეორეს, ხოლო უფრო ადრე არჩილ მეფეს, რომლებიც იმ იმედით, რომ გამხეცებულ მტერს გულს მოულბობდნენ და ერს გადაარჩენდნენ, თავიანთ მტარვალებს საკუთარი ფეხით ეახლნენ.

ნადირ-შაჰის დროს, მე-18 საუკუნის ორმოციან წლებში, ქართლმა და კახეთმა ცალ-ცალკე დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მეფე ერეკლე მეორის სკიპტრის ქვეშ კიდევაც გაერთიანდნენ და დინასტიური ომებით გამოფიტული ირანის წინააღმდეგ მრისხანე ძალად იქცნენ. ამავე საუკუნის სამოცდაათიან წლებში თურქეთის სულთანი იძულებული გახდა ეცნო იმერეთის — დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მის მეფეს, თურქული ექსპანსიის წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს, სოლომონ პირველს, იმავე სოლომონ დიდს, სამეფო ნიშნები გამოუგზავნა.

საქმე ამით არ გათავებულა. ქართველებმა სამჯერ ილაშქრეს ძალად გამაჰმადიანებულ მესხეთში, ე. წ. გურჯისტანის ვილაიეთში, დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ საბოლოოდ სისხლისმღვრელ ომს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ვილაიეთის ცენტრი ახალციხე და მისი 10 სანჯაყი, დაახლოებით ნახევარი ძველი მესხეთისა, მხოლოდ 1830 წელს დაიკავა რუს-ქართველთა გაერთიანებულმა მხედრობამ ფელდმარშალ პასკევიჩის მეთაურობით და სამშობლოს შემოუერთა.

მაგრამ რუსეთთან სამუდამოდ დაკავშირებას წინადღეს, ვიდრე 1801 წელს მოხდა, საქართველო, უფრო სწორად, მისი აღმოსავლეთი ნაწილი — ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო, კიდევ ერთი უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. სპარსეთის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა ისარგებლა რუსეთის მხედრობის საქართველოდან დროებითი გასვლით, თავს დაესხა ქართლ-კახეთს და სისხლისმღვრელ შეტაკებაში დაამარცხა ომებში გაჭაღარავებული, მოხუცებული მეფე ერეკლე. ეს მოხდა 1795 წელს. საბედისწერო ბრძოლა თბილისის კართან, რომელმაც საქართველოს დედაქალაქის და მთლიანად საქართველოს ბედი გადაწყვიტა, ისტორიაში შევიდა კრწანისის ომის სახელით. სიახლი ღელეებად დიოდა. მშვიდობიანი მოსახლეობა, ის, ვინც ტყვიას ცოცხალი გადურჩა, ტყვეებად გაირეკეს, რათა აღმოსავლეთის ბაზრებზე დაეყიდათ. ვიში და მოთქმა ცასა სწვდებოდა. მტრის ხელში გადავიდა ყველაფერი ღირებული, რაც კი ქართველთს საუკუნეების განმავლობაში შეექმნა. დაინგრა და გაცამტვერდა ყველა ციხე და სასახლე. ეკლესიები საჯინიბოებად გადაიქცა. ქუჩები და ქუჩაბანდები უპატრონო მკვდრებით იყო მოფენილი. ქალაქს ცეცხლი ეკიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ უწყალოდ იწვოდა ხალხის, ყველა წოდების ნალვაწ-ნადაგი.

საქართველო ამ უსასოო დღეში იყო, როდესაც იმპერატორ ალექსანდრე პირველის რესკრიპტით ის რუსეთთან შეერთებულად გამოცხადდა. სიონის საკათედრო ტაძარში სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. ერთი წლის შემდეგ, უკანასკნელი მეფე, გიორგი რომ გარდაიცვალა, საგანგებო ბრძანებულებით ქართველ მეფეთა ინსტიტუტი გაუქმდა. მმართველობა რუსი სამხედრო უწყების ხელში გადავიდა. მართვა-გამგეობაც და სასამართლო საქმის წარმოებაც რუსულად შემოიღეს. აქედან იწყება ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც, მართალია, ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, მაგრამ ახალი პრობლემების წინაშე კი აღმოჩნდა. ხელახლა ეხსნება კარი დასავლურ კულტურას, ამჯერად უკვე პროგრესის გზაზე შემდგარი რუსეთის გზით. ქართველი არისტოკრატიის ერთი ნაწილი მეფის სამსახურში შევიდა, მეორე ნაწილმა ჯარისკაცის მუნდირი ჩაიცვა, მესამე ნაწილმა კი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებს მიაშურა. იმათგან, ვინც სამხედრო სამსახური აირჩია, თავიც გამოიჩინა და არა ერთხელ ასახელა რუსული იარაღი. მათ შორის სულ პირველი უნდა მოვიხსენიოთ მეფე არჩილის ერთადერთი ვაჟი, ბატონიშვილი ალექსანდრე, იმპერატორ პეტრე დიდის სიყრმის მეგობარი, ფელდცეიხმეისტერი — რუსეთის არტილერიის პირველი სარდალი, რომელიც შვედებთან ომში ტყვედ ჩავარდა და სამშობლოსაკენ მომავალი გზაში დაიღუპა. უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ბაგრატიონი, ესეც მეფის შთამომავალი, პეტრე, ინფანტერიის გენერალი, რუსეთის არმიის არიერგარდისა და შემდეგ მარჯვენა ფრთის სარდალი ნაპოლეონის წინააღმდეგ გამართულ სამამულო ომში. ბოროდინოს ველზე მძიმედ დაჭრილი პეტრე ბაგრატიონი იმავე წამს მოკვდა, როგორც კი გაუფრთხილებლობა გამოიჩინეს და ცეცხლმოკიდებულ მოსკოვში ნაპოლეონის შემოსვლა გაუმხილეს.

ბატონიშვილი თეიმურაზი, ისტორიკოსი და ფილოლოგი, მეფე ერეკლეს შვილიშვილი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქართველი წევრი გახდა. აკადემიაში მოღვაწეობდნენ მისი ძმებიც და თავიანთი სამეცნიერო შრომებით აფუძნებდნენ მეცნიერების სრულიად ახალ დარგს — ქართველმცოდნეობას. ბატონიშვილების, კერძოდ, თეიმურაზ ბაგრატიონის მოღვაწეობამ ევროპელ მეცნიერთა ყურადღება მიიქცია. ფრანგმა მეცნიერმა მარი ფელისიტე ბროსემ, რომელიც თავს თეიმურაზის შეგირდად თვლიდა, პეტერბურგს მოაშურა, სადაც მალე აკადემიის წევრად აირჩიეს, ხოლო აქედან თბილისში ჩამოვიდა და ხელი მოჰკიდა ისტორიული ფოლიანტების შესწავლას. ქართველები აკადემიკოს მარი ბროსეს ვუმადლით „ქართლის ცხოვრების“ გახმაურებას, მის ფრანგულად თარგმნას და პარიზში გამოცემას.

მე განზრახ ვამახვილებ ყურადღებას უცხო ერის შვილზე, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართველი ხალხისა და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლას მოახმარა. საქართველოს ბევრი ჰყავდა ასეთი უანგარო მეგობარი, დღესაც ბევრი ჰყავს და მათი სახელი ყოველთვის ერის უკეთეს შვილთა სახელებს შორის მოიხსენიება.

მაგრამ სად იყვნენ თვით ქართველები? ნუთუ თავად არ ცდილობდნენ თავიანთი ხელნაწერი წიგნები სტამბური წესით გაევრცელებინათ? ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პირველი ქართული სტამბური წესით შესრულებული წიგნი — იტალიურ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც საქართველოში მოღვაწე მისიონერი პატრები იყენებდნენ, დაიბეჭდა რომში 1629 წელს. ლექსიკონის შედგენასა და გამოცემაში დიდ მონაწილეობას იღებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთის მეფე თეიმურაზ პირველის, წამებულ დედოფალ ქეთევანის შვილის მიერ წარგზავნილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, იტალიაში ირბახის გვარით ცნობილი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი. მოგვიანებით, მე-18 საუკუნის დამდეგს, ქართული წიგნები გამოსცა ტყვეობაში დაღუპული ალექსანდრე ბატონიშვილის მამამ, მეფე არჩილმა, ხოლო 1712 წელს არჩილის ძმისწულმა, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსემ, დიდმა მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ, თბილისში, იქ, სადაც დღეს ძველი თბილისის განახლებული უბანია და მნახველს წუთით შუა საუკუნეების თბილისში აბრუნებს, გახსნა პირველი ქართული სტამბა და პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა, ყველა ხელნაწერ ნუსხასთან შეჯერებული „ვეფხის ტყაოსნის“ მეცნიერული გამოცემა იყო. აქვე დაიბეჭდა ფსალმუნი და სხვა საეკლესიო წიგნები, აგრეთვე „სწავლულ კაცთა კომისიის“ მიერ დადგენილ-რედაქტირებული და შევსებული „ქართლის ცხოვრება“.

სტამბამ მხოლოდ თორმეტ წელიწადს იმუშავა. ოსმალები ამოძრავდნენ და ძალად გამაჰმადიანებული მესხეთიდან შუაგულ ქართლისაკენ მოიწევდნენ. სამშობლო ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული აყვავებისათვის დიდად მოღვაწე მეფე ვახტანგი, პეტრე დიდის თანამედროვე და მისი ზრახვების მონაწილე, იძულებული გახდა, ხალხმრავალი ამალით რუსეთს წასულიყო, სადაც შეპირებული სამხედრო დახმარების მოიმედე კიდევაც გარდაიცვალა.

ვახტანგის დროს მოღვაწეობდნენ შემდგომში სახელგანთქმული ქართველი მწერლები დავით გურამიშვილი, ავტორი უკვდავი „დავითიანისა“ და სულხან-საბა ორბელიანი, ავტორი „სიბრძნე-სიცრუის წიგნისა“ და „სიტყვის კონისა“ — ქართული განმარტებითი ლექსიკონისა. პირველი მათგანი, სამშობლოდან ლეკ მარბიელთა მიერ მოტაცებული, რუსეთ-პრუსიის შვიდწლიანი ომის მონაწილეა. სამუდამო განსასვენებელი უკრაინაში, ქალაქ მირგოროდის მახლობლად ერგო, ხოლო თავის გაზრდილ ვახტანგ მეფესთან ერთად მოსკოვს წასული ორბელიანი ვსესვიატსკოეში, ახლანდელ დონის მონასტერში დაიმარხა.

ეს ის დრო იყო, როდესაც სპარსეთის ცაზე ნადირ-შაჰის ვარსკვლავი ამობრწყინდა და ისტორიის არენაზე პირველად გამოჩნდნენ მამა და შვილი, კახელი ბაგრატიონები, თეიმურაზ და ერეკლე, რომლებმაც შემდგომ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს თურქების საჯიჯგნად დაგდებული ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებაში. თეიმურაზ მეფე ქრისტიანული წესით ეკურთხა ქართლის მეფედ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, ხოლო მისი შვილი ერეკლე, ამ დროს უკვე კახეთის მეფე, მაშინდებურად კახ-ბატონი იყო და ნადირ-შაჰის უსაყვარლეს სარდლად ითვლებოდა. მათ ერთად ილაშქრეს ავღანისტანსა და ინდოეთში, ახლანდელ პაკისტანსაც მისწვდნენ, ერთად დაიპყრეს ირანის შაჰის ტახტი. ერეკლე უზარმაზარი არმიის ავანგარდს სარდლობდა და ნადირ-შაჰისაგან, ნიშნად მადლიერებისა, თავისი კუთვნილი სამემკვიდრეო კახეთის ტახტი მიიღო.

ეს ის ერეკლე გახლავთ, ვინც თავის სიცოცხლეში ასზე მეტი ომი გადაიხადა, თურქ-სპარსთაგან გაჩანაგებული ქვეყანა ხელახლა მოაშენა, ვინც აღმოსავლეთ საქართველოში ვაჭრობა-ხელოსნობა კვლავ აალორძინა, ვინც პოეზიასა და თეატრს მფარველობდა, თავისი ფულიც მოჭრა, რეგულარული ჯარიც შექმნა, ზარბაზნებს საკუთარ თოფხანაში ასხამდა, მრავალ ჭირნახულ სამეფოს ძველი ბრწყინვალება დაუბრუნა და რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინესთან სამარადისო ძმობის ხელშეკრულება, ე. წ. მფარველობითი ტრაქტატი დასდო.

ეს ამბავი 1783 წელს მოხდა. მაშინ არავინ უწყოდა, თუ ზუსტად 12 წლის შემდეგ სპარსეთი ისე გაძლიერდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ საქართველოში მოვიდოდა და ერეკლეს დაულალავი მეცადინეობით აშენებულ ქართლ-კახეთისაგან ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ აზიელ მობიელთა თარეში სამუდამოდ შეწყდა. ეს იყო ყველაფერზე დიდი რამ, რაზედაც შეეძლო ქართველ კაცს ჭეშმარიტად განმავლობაში ეოცნება. დამყარდა სანუკვარი მშვიდობიანობა, ხალხმა გული საგულეს დაიგულა და მეურნეობას მიჰყო ხელი.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ქვეყანას დაუბრუნდა რუსეთის უნივერსიტეტებში აღზრდილი, მოღვაწეობის სამშობლოს სამსახურის ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდობა. ვიდრე შინ მობრუნდებოდნენ, მათ მთის გიჟი მდინარე თერგი გადმოვლეს, მოღვაწეობის დასაწყისშივე თერგივით ბობოქარი ზნე გამოავლინეს და ამიტომაც ხალხმა ისინი სიყვარულით „თერგდალეულებად" მონათლა. თერგდალეულების მეთაურმა, შემდეგ ერის მამად მიჩნეულმა ილია ჭავჭავაძემ, დიდმა მწერალმა და დიდმა საზოგადო მოღვაწემ, რომელიც თანამოსანგრეებთან ერთად თავისუფლად მოაზროვნე რუსი რაზნოჩინელების იდეებზე გაიზარდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშა ააფრიალა და კვლავაც აალორძინა მიძინებული ქართული სული. დაირღვა ინერცია, ათეული წლების განმავლობაში დამყარებული მოჩვენებითი წონასწორობა, (განახლების სიომ, სიომ კი არა, გრიგალმა დაჰბერა. განახლდა ქართული თეატრი. გამოავლო იწყო ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა. მათ შორის უპირველესი იყო გაზეთი „ივერია", რომელსაც თვით ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა და გარშემო იკრებდა ყოველსავე ჯანსაღს, სიცოცხლის უნარიანს, უტყუარი მომავლის მქონეს, რაც კი მისი დროის საქართველოში არსებობდა.

საუკუნის ბოლოს საქართველოში რევოლუციურ-მარქსისტული ჯგუფები შეიქმნა. მარქსიზმი მასებს მოედო და ქვეყანა ძმობის, ერთობისა და თავისუფლების იდეებით განიმსჭვალა. ცხრაას ხუთი წლის რევოლუციურმა გამოსვლებმა საქართველოში განსაკუთრებით მკაცრი ფორმა მიიღო. ხალხის სოციალურ ჩაგვრას აქ ცარიზმის და მისი დამქაშების მხრივ ეროვნული ჩაგვრაც ემატებოდა და სოციალური ჩაგვრისაგან თავის დაღწევა საქართველოსათვის ეროვნულ განთავისუფლებასაც მოასწავებდა.

რევოლუცია დამარცხდა, მეფის სატრაპებმა იგი სისხლში ჩაახრჩვეს. ქვეყანა სახრჩობელებით, როგორც მაშინ მწარედ ხუმრობდნენ — სტოლიპინის ჰალსტუხებით მოიფინა, სხვადასხვა ერის საუკეთესო შვილები, მათ შორის ქართველები, სამუდამო კატორღაში გაგზავნეს.

1907 წელს მოჰკლეს 70 წლის მოხუცებული ილია ჭავჭავაძე. რას შვრებით ყაოო, შესძახა თურმე მან მკვლელებს, რომლებიც მძარცველებად მიიჩნია, მე ილია ვარო. სწორედ შენ გეძებთო, უპასუხეს და ტყვიით შუბლი გაუხვრიტეს. ეს ტყვია დღესაც ინახება ილიას მუზეუმში. მას საოცარი თრთოლვით დასცქერის ყოველი ქართველი და გული მდუღარებით ევსება.

მამის სიკვდილმა ერი თითქოს გამოაფხიზლა, ახალი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების გასამართავად აღაგზნო. საძულველი მეფისა და ბიუროკრატიულ-პოლიციური იმპერიის დამხობაში ქართველი ხალხის შვილებმა უაღრესად აქტიური და პირველხარისხოვანი მონაწილეობა მიიღეს. ხალხთა საპყრობილე დაინგრა და ადამიანებმა თავისუფლად თავიანთ ეროვნულ სახლს მიაშურეს. რუსეთში ინტერვენციის ხანძარმა იფეთქა. საერთაშორისო რეაქცია რუსეთის ცარიზმს ასე ადვილად ვერ შეელეოდა. რევოლუციის მონაპოვრის — საბჭოთა ხელისუფლების ბედი, ბედი ხელისუფლებისა, რომლის სათავესთანაც ლენინი იდგა, ბეწვზე ეკიდა.

ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა, თავი რომ მარტო დაიგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს, ჯერ ამიერკავკასიის სეიმი შექმნეს, შემდეგ კი თითოეულმა მათგანმა სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადა. უმალ იყნოსა ეს ამბავი კაპიტალისტურმა დასავლეთმა. ფოთს, ბათუმსა და სოხუმს — საქართველოს მთავარ ნავსადგურებს შავ ზღვაზე, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის გემები მოადგნენ. ახლა ევროპის ეს დიდი სახელმწიფოები დაეხარბნენ ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების მოპოებას. ისევ დაცქვიტა ყურები ოსმალეთმა, ბათუმში შემოვიდა და 1830 წელს რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის მიერ გამოტაცებული მესხეთის სანჯაყების ხელახლა დასაკავებლად შეემზადა. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო.

1918 წელს, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, საქართველოს ისტორიის მამის, თაოსნობით გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის პირველი კერა საქართველოში დავით აღმაშენებლის მიერ მე-12 საუკუნეში დაარსებულ გელათისა და იყალთოს აკადემიების შემდეგ.

როგორც მაშინ, რვაასი წლის წინათ შორეულ მეთორმეტე საუკუნეში, ახლაც უყოყმანოდ მოაშურეს მსოფლიო ომისაგან გაჩანაგებულ მშიერ სამშობლოს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველმა სპეციალისტებმა. სახელოვანი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი, რომელსაც წილად ხვდა უნივერსიტეტის პირველი რექტორობის პატივი უკვე ხანშიშესული კაცი, როცა დრო სიცოცხლის მშვიდობიან დასასრულზე იფიქრო, ოდესის უნივერსიტეტის რექტორი, საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი პიროვნება იყო. მას სამშობლომ დაუძახა, მჭირდებიო და ისიც უმალ გამოეხმაურა ამ წმიდა ძახილს. ყოველგვარ სახსრებს მოკლებულ ქართულ უნივერსიტეტში მინიმალური გასამრჯელოს გარეშე შეუდგნენ მუშაობას. ასევე მოიქცნენ სხვებიც — უკვე მსოფლიო სახელის მქონე ქართველი მეცნიერები. მათ მშობლიურ ენაზე დაიწყეს სახელმძღვანელოების შედგენა, ლექციების კითხვა და სათავე დაუდეს მეფე ფარნავაზის დროს განვრცობილი ქართული ენის ახალ აღმავლობას.

თბილისის საოპერო თეატრმა დადგა პირველი ქართული კლასიკური ოპერა, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", რაც ეროვნულ ზეიმად გადაიქცა, გაიხსნა კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ახალმა მოტივებმა იჩინა თავი დიდი ტრადიციების მქონე ქართულ თეატრში, დაიდგა პირველი ქართული ფილმები, ქართული კინემატოგრაფის მსოფლიო აღიარების პირველი მერცხლები...

ყველა ეს სასიკეთო ტენდენცია კიდევ მეტი ძალითა და ინტენსივობით გამოვლინდა და გამოიკვეთა 1921 წლის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. რესპუბლიკა კულტურის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის უაღრესად განვითარებულ მხარედ გადაიქცა. საგულისხმოა იმის გახსენება, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რიცხვმა, სხვა სასწავლო დაწესებულებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს იმ დროს, როდესაც მისი მოსახლეობა 5 მილიონზე ცოტა მეტია, ორ ათეულს მიაღწია. 1941 წელს, სწორედ დიდი სამამულო ომის დაწყების წინ, თბილისში გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. უკვე კარგა ხანია მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს მუსხელიშვილის მათემატიკურმა, ბერიტაშვილის ფიზიოლოგიურმა, უზნაძის ფსიქოლოგიურმა, შანიძის ქართველოლოგიურმა სკოლებმა, რომელთაც მრავალი მიმდევარი და მოწაფე ჰყავთ საბჭოთა კავშირში, ევროპასა, აზიასა და ამერიკაში. ქართველ მეცნიერებს უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვით როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსმოსის ათვისებაში, ასევე საკაცობრიო პროგრესის სხვა ამბებში, რომლებიც დღესდღეობით საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში ხორციელდება. თბილისში, როგორც მეცნიერების ამა თუ იმ პრობლემის შემსწავლელ ერთ-ერთ ცენტრში, ტარდება წარმომადგენლობითი ფორუმები, მსოფლიო კონფერენციები და კონგრესები, რომელთა გამართვა ჩვენი მაშვრალი წინაპრების აუხდენელი ოცნება იყო.

ამ ხნის განმავლობაში უაღრესად გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა უდიდესი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქართული ენა. ამ ენაზე, გარდა იმისა, რომ შექმნილია და იქმნება უაღრესად თვითმყოფადი, სულით ქართული და შინაარსით ზოგადსაკაცობრიო ქართული მწერლობა, თარგმნილია თითქმის მთელი მსოფლიო ლიტერატურა, მათ შორის ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებები.

ისევე როგორც ევროპის ყველა ხალხს, მეორე მსოფლიო ომმა საქართველოსაც დიდი უბედურება მოუტანა და მოურჩენელი ჭრილობები დაუტოვა. გამხეცებულ ფაშიზმს იარაღით ხელში ებრძოდა საქართველოდან წასული 650 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. ამათგან ნახევარი შინ აღარ დაბრუნებულა. რესპუბლიკა, მისი ყოველი ქალაქი, დაბა და სოფელი მოფენილია შინმოუსვლელთა ძეგლებითა და მხედრული დიდების მემორიალებით. ბევრია სოფელი, რომლის სამასმა, ოთხასმა და ხუთასმა შვილმა ყველაზე უკეთესი რამ, რაც კი გააჩნდა, საკუთარი სიცოცხლე, სამშობლოს საკურთხეველზე მსხვერპლად მიიტანა. ბევრია დედა, ვინც ფაშიზმთან სისხლისმღვრელ ომში სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და შვიდი შვილი დაჰკარგა.

საქართველო არა მარტო ვაზის, ჩაის, ფოლადისა და სასარგებლო წიაღისეულის, არამედ წიგნის ქვეყანაა. ძნელია დაასახელო მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ასე ეტრფოდნენ და ეთაყვანებოდნენ წიგნს. კითხულობს დიდი, პატარა, ყველა, მოსახლეობის ყველა ფენა სულიერ საზრდოს ერთნაირი სურვილითა და გატაცებით ეწაფება. ამის საბუთია თუნდაც ის, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომლის გამოცემა ყოველ სამ-ოთხ წელიწადში მეორდება, ასი ათასიანი ტირაჟებით გამოდის. ოცდაათიათასიან-ორმოციათასიანი ტირაჟით იბეჭდება, ისიც მესამე-მეოთხე გამოცემისას, ყველაზე საუკეთესო ქართველი პოეტები ძველი თუ ახალი, ხოლო რაც შეეხება პროზას, მისი ტირაჟი გაცილებით უფრო დიდია.

დღეს საქართველო ბედნიერია იმით რომ მისი სახელი შორს გაისმის, ბედნიერია იმით, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს" მრავიანთ ენაზე კითხულობენ რუსები და ინგლისელები, ფრანგები და იტალიელები, ესპანელები და გერმანელები, პოლონელები და ჩეხები, სპარსელები და თურქები, უნგრელები და ბულგარელები, ჩინელები და იაპონელები, ინდოელები და ხუთივე კონტინენტის სხვა ხალხები; ბედნიერია იმით, რომ ქართული კინემატოგრაფი ერთ-ერთი გამორჩეულია მთელს საბჭოთა კინოში და ეკრანზე მის გამოჩენას გულისფანცქალით მოელის მსოფლიოს ბევრი ქვეყანა; ბედნიერია იმით, რომ მის აკადემიურ თეატრებს და ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლებს მის სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს ალტაცებით უკრავს ტაშს მოსკოვი და ნიუ-იორკი, პარიზი და ლონდონი, ვენა და რომი, სოფია და ბუდაპეშტი ვარშავა და პრაღა, სიდნეი და ბუენოს აირესი, ოტავა და დელი; ბედნიერია იმით, რომ ქართული მხატვრობის შედევრებს მასპინძლობენ ერმიტაჟი, ლუვრი და პრადო.

ასეთია საქართველო, ასეთები არიან ქართველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

# ფესვების ბრძანება

კარგა ხანია, რაც ქართულ პოეზიაში მამუკა წიკლაურის პოეტური ხმა ისმის, კარგა ხანია მსჯელობენ მასზე, უფრო გულდასმით, უფრო ღრმად, უფრო რელიეფურად.

მკითხველის ცნობიერებაში, გარკვეული დროის მანძილზე, უცვლელ კერპებად მკვიდრდება ხოლმე აღიარებული პოეტები. შემდეგ მათ რიგებს თითქოს არავინ ემატება. ძნელდება „მაგიური წრის" გარღვევა და მკითხველის ცნობიერებაში აღიარებულ პოეტად დამკვიდრება. ეს მით უმეტეს საძნელოა, თუ თავს არიდებ ეფექტურ ფრაზებს, იაფფასიან ხერხებს და გამუდმებით ჩრდილს ეფარები. კიდევ უფრო საძნელოა, თუკი ქართველი მკითხველისთვის აქამდე უჩვეულო თავისუფალი ლექსის ავტორი ხარ. უნდა გამოვტყდეთ, ძნელად ეჩვევა ჯერ კიდევ ამ ფორმას ქართველი მკითხველის ყური, ტრადიციით ნასაზრდოები გემოვნება, სხვაგვარი პოეტური ტაძრებისკენ მიპყრობილი მოლოდინის გრძნობა.

თანატოლებისაგან განსხვავებულობაზე სიტყვა შემთხვევით არ ჩამომიგდია. ამ ნიშანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთოდ პოეზიაში და, მით უმეტეს, თავისუფალი ლექსის დამკვიდრების გარიჟრაჟზე ქართულ ლიტერატურაში. ერთფეროვნების, უსახურობის, ულიმღამობის აჩრდილი კარგა ხანს თან სდევდა თავისუფალ ლექსს. იქნებ ეს აჩრდილი მთლიანად ახლაც არ იყოს გადავლილი. ჩრდილი დაჰკრავდა ქართველი მკითხველის თვალში, უპირველეს ყოვლისა! ახლა ძნელი არ უნდა იყოს იმის გარკვევა, რომ ეს ჩრდილი მოჩვენებითი ყოფილა. ამგვარი განცდა წარმოშვა ახალი ფორმისადმი ჩვენმა დამოკიდებულებამაც. ამდენად მკვეთრი განსხვავებულობა ჩვენ გვეხმარება დავინახოთ ახალი ფორმის შესაძლებლობები, მისი მრავალფეროვანი, ღრმა ბუნება. იგი ეროვნული პოეზიის ახალ სიმდიდრედ განიცდება.

თავისუფალ ლექსზე საუბარმა იქნებ გადაღალა კიდეც მკითხველი, მაგრამ ამ საუბრის საჭიროება გამოიწვია ახალი ფორმის სერიოზულმა განაცხადმა ქართულ ლიტერატურაში. სხვადასხვა მოსაზრება, რაც კი ახალ ფორმაზე გამოთქმულა, დაბადა ხანგრძლივი, გულდასმითი ანალიზის საჭიროებამ. მაგრამ დადგა დრო პოეტურ ბუნებაზე ვილაპარაკოთ, უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად იმისა, რა ფორმას მიმართავს იგი. ჩვენ ხშირად ეს არსებითი გვავიწყდება. ამდენად პოეტური არსის დახასიათებაც გვმართებს ფორმასთან ერთად.

მამუკა წიკლაურის პოეზიაზე მსჯელობისას დიახაც ვერ ავუვლით გვერდს თავისუფალ ლექსს, მის კანონებს, მიმართულებას, მასში ჩადებულ პრინციპსა და პოზიციას, მით უმეტეს, რომ გახმაურებული დავის ერთ-ერთი ავტორი სწორედ მამუკა წიკლაური გახლდათ.

მაგრამ ალბათ სწორედ მამუკა წიკლაურის პოეზიისათვის დამახასიათებელი პირდაპირობა და სიწრფელე აგვიხსნის უკეთ, თუ რატომ სწორედ მან აღიმაღლა ხმა პირველმა თავისუფალი ლექსის დასაცავად, თუ რატომ სწორედ მან გაამწვავა პაექრობა, რისთვისაც განსაკუთრებული საბაბი თითქოს არავის მიუცია.

მამუკა წიკლაურის პოეზია, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგენს ავტორს, რომელსაც არ შეუძლია წაუყრუოს მნიშვნელოვან, არსებით სულიერ ძვრებს, ყურადსაღებ მოვლენებსა და ფაქტებს. იგი გვაცნობს ფაქიზი ნერვების პოეტს, რომელიც ეხმაურება ყველაფერს არსე-

ბითს; შესაძლოა, ისეც მომხდარიყო, რომ ალიარებული პოეტის შოთა ნიშნიანიძის მიერ ჩამოკრულ ზარის ხმას არავინაც არ გამოხმაურებოდა, ჩვენს სინამდვილეში რომ არ ყოფილიყო ისეთი პოეტური ნატურის კაცი, როგორიც არის მამუკა წიკლაური. მე ვგულისხმობ პოეტების წრეს. ამით არც მამუკა წიკლაურის დამსახურებას ვზრდი და არც სხვათა მნიშვნელობას ვამცირებ. მე, უბრალოდ, ხასიათის განსხვავებულობაზე მივუთითებ. სხვათა შორის, ისიც ითქვა, რომ მამუკა წიკლაურის მხრივ ასეთი მწვავე პასუხის გაცემა არც იყო საჭირო... და ითქვა ეს სწორედ თავისუფალი ლექსის ავტორებისაგან.

მაგრამ შესაძლოა ვინმეს წინააღმდეგობრივ აზრად მოეჩვენოს ის, რაც აქვე მინდა ვთქვა: მამუკა წიკლაურის პოეზიაში ყველაზე ნაკლებ არის ხაზგასმული ახალი ფორმა. იგი იმდენად ტრადიციულია თავის ლექსებში, რომ ფორმა კიდეც გავიწყდებათ; გავიწყდებათ, დარღვეულია თუ არა კონვენციური ლექსის საზღვრები.

და აქ იგრძნობა, თუ იწყება უმთავრესი. მამუკა წიკლაურში, უპირველეს ყოვლისა პოეტური ნატურა გიზიდავთ; იგი იკრებს ინტერესს, გეძახით შეცნობისაკენ, თანაგრძნობისა და თანადგომისაკენ. გზადაგზა დაგვჭირდება თავისუფალი ლექსის კანონების შეხსენება, უნდა ვეცადოთ იმის დანახვაც, რა სახე მიიღო განსხვავებული ხმის პოეტის ლექსში ახალმა ფორმამ, როგორ დაიტვირთა მის ხელში „ზომა ორიენტირი", როგორ გამოიყურება „დამატებითი საშუალებანი". რამდენად ლოგიკურია „თემატური და აზრობრივი ერთიანობა", რომელი კისრულობს წამყვანი ნიშნის როლს — „აზრობრივი კონტრასტები" თუ „აზრობრივ-ემოციური განმეორებანი". „ზომის აქცენტები" თუ სხვა რამ!"

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ტრადიციის სუნთქვა. ტრადიციის სუნთქვაში მე ვგულისხმობ ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი გზით გამარჯვებულ და დამკვიდრებულ თვისებებს. ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, აზრობრივი და ემოციური ერთიანობით ცოცხლობენ და ვლინდებიან ისინი მამუკა წიკლაურის ლექსებში. ნათელი აზრი, შეულახავი მორალი, ქართველი კაცის სულისკვეთება, ქართველი კაცის ემოციური ბუნება — აი, ის თვისებები, რომელიც ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციიდან მომდინარეობს და თვალს ახელს მამუკა წიკლაურის პოეზიაში. ეს ტრადიცია დგას მის სულში; მამუკა წიკლაური სიამოვნებით მისდევს ამ დიდ ტრადიციას.

მაგრამ იგი ერთ-ერთი პირველთაგანია იმ პოეტებს შორის, ვისაც დრომ და საკუთარმა მოწოდებამ დაავალდებულა ვერსიფიკაციისა და მსოფლგანცდის სფეროში ახალი ფორმები შემატოს იმ დიდ ტრადიციას. იგი მარტო არ არის, მაგრამ არცთუ ბევრი თანამდგომი ჰყავს ფეხისხმასა და მოდურობას აყოლილი „ვერლიბრისტები" ახალი ფორმის თანამდგომად ვერ გამოდგებიან. კონვენციური ტრადიციული სალექსო ფორმის ერთგული პოეტები არიან, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალი ლექსის ნამდვილი თანამდგომნი, რადგან ნიჭიერება სიახლის მტერი არასდროს არ ყოფილა. შესაძლოა, მან მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში, შემოქმედებითი პოზიციისა და პრინციპის გამო, არ გაიზიაროს ეს სიახლე.

მამუკა წიკლაურის პოზიცია და პრინციპები საძებნი არ არის მეტაფორებსა და ალეგორიებში, ქვეტექსტებსა და ასოციაციებში. მისთვის, ცხადია, ეს პოეტიკური ხერხები უცხო არ არის, მაგრამ პოზიციისა და პრინციპების განსაზღვრის დროს ისინი საერთოდ არ ესაჭიროება. პირდაპირ გვეუბნება, სად სურს დგომა, როგორც პატრიოტს, როგორც მოქალაქეს, როგორც შეყვარებულ მამაკაცს და შვილების მამას:

1. ამ კედელს უნდა ვედგე ბეჭებით,
ხერხემლის ძვლების დამსხვრევამდე,
ნერვების ბანის დაქცევამდე.
2. ვერა ვერ შეძლებ,
შენ ვინმეს ჩრდილში
ვერ დაიძინებ ძაბუნის ძილით!
შენმა თვალებმა უნდა აკვესონ
მუცლებისაგან გამოხრულ ტვინში.
შენმა ტკივილმა უნდა ანათოს
და შეუყენოს სხვა მოგზაური
შენი წრიაპით დაკბენილ ბილიკს.
3. ყალბი ხარ...
ტყუი...
გეშინია...
არა გრცხვენია
ხელებშეკრული მონა ხარ და თავს არ
უტყდები —
დაიგრუხუნა ერთხელ გულმა
და დაარბია
ქვა კი არა,
კლდის ნატეხი მესროლა თითქოს.
4. წინაპრის სული
ხელს მიჩრის ხელში და მეუბნება:
არა!
შენ არა!
შენ სევდისთვის არა გცალია.

უსასრულოდ შეიძლება ასეთი ადგილების ამოწერა მამუკა წიკლაურის ლექსებიდან. ისინი თითქოს მრავალრიცხოვანი გვარის წევრებივით აცხადებენ სისხლისმიერ ნათესაობას ერთმანეთთან, უხმობენ ერთმანეთს — ერთი კლდის ნამსხვრევებივით მდინარის რიტმში ჩამსხვრეულნი.

უპირველეს ყოვლისა, წიგნში, რომელიც ფაქტიურად აერთიანებს მამუკა წიკლაურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს და აჯამებს პოეტის მიერ აქამდე გამოვლილ გზას (გამოსცა „საბჭოთა საქართველომ", 1980 წ.), ჩვენს ყურადღებას იქცევს ავტორის პიროვნება. იგი გამოკვეთილია; გამოკვეთილია მისი პოზიცია, პრინციპი, საგნებთან დამოკიდებულება, განწყობილება, სულისკვეთება, მსოფლგანცდა, მისი ფსიქოლოგია, გრძნობები, დროის განცდა.

და რაც საგულისხმოა, თანამედროვე ქართველი პოეტის სახეა გამოკვეთილი, უაღრესად თანამედროვე თავისი მსოფლგანცდითა და სულისკვეთებით. ეს არ არის წარსულიდან მოსული და კვლავ წარსულში მდგარი ფსიქოლოგია. ეს წარსულიდან მოსული და დღევანდელობის მაგისტრალზე მდგარი ქართველი კაცის ფსიქოლოგიაა. არჩეული მაგისტრალიდან წარსულიც ჩანს, აწმყოც და მომავალიც. მაგრამ იგი არ ეკუთვნის ინტელიგენტის ტიპს, ვის თვალშიც წარსულმა, ეროვნულმა, ეგზოტიკის ფერი შეიძინა და საბოლოოდ გახუნდა. მას მიაქვს ამ მთავარ მაგისტრალზე საკუთარი ქვეყნის, როგორც უძვირფასესი საგნის განცდა — წარსულის, ბავშვობის, მშობლიური კუთხის, ეროვნულის, ტრადიციის მძაფრი განცდა. თანაც გვთავაზობს არა სწრაფწარმავალი ფორმების, არამედ ერის მარადიული ნიშნების რიგს, ამ ნიშნების განცდას გვთავაზობს. ეროვნული წარსული კი არ წყდება იქ, სადაც ტექნიკური რევოლუცია და მეოცე საუკუნის რიტმი იწყება. არ რჩება ის უკან, როგორც გახუნებული ზღაპრის სურნელი: ბურსაჭირი, არაგვი, შატილი მარადახალი მამულის ფაქტურა არ არის! იგი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, ვისთან შერწყმას უნდა ესწრაფვოდეს ტექნიკური რევოლუცია და არა პირუკუ. ის საყრდენია, ის ნიადაგია, მარადიული და უბერებელი. არ შეიძლება მისი განცდა მოკვდეს კაცში, არ შეიძლება მხოლოდ მოგუგუნე ცივილიზაციის საგნები გაბატონდეს. მამუკა წიკლაური კონსერვატორების რიგს არ ეკუთვნის — დროის სიახლეებს, ცივილიზებულ ფორმებს და შინაარსს სრული თვითგალებით ეძლევა. მისი მადლის პატივისმცემელი და დამფასებელია, როგორც თანამედროვე ადამიანს შეჰფერის. გაცნობიერებული ინფორმაციებისა და ინტუაციის არხებით იგი მომავლის პოეტია: ე. ი. ცივილიზებული აწმყოს მხარეზეა, მაგრამ არასდროს არ ავიწყდება ფესვები, არასდროს არ ავიწყდება, რომ „მე და არაგვი ბურსაჭირის მთებში ვიწყებით". იგი ბუნებრივი კალაპოტის დამცველია, ცივილიზაციაც ბუნებრივი კალაპოტით მოსული სწამს, ხოლო თუ ხელოვნური არხები და მაგისტრალები მომრავლდა, მაშინ მიუდგომლად იზღუდავს თავს, მაშინ მკაცრად და ფხიზლად შენიშნავს:

გაგვინაპირეს, ჩასაქოლად
შემოგვეწყვნენ
სოფელზე ჩავლილ უცხო ძაღლივით
თითო ქვა ყველამ გამოგვაყოლა —
ქლორი ჩაყარეს,
კრეოლინის ხსნარი ჩაასხეს,
ათასნაირი სიბინძურე გადმოუძახეს
ჩვენს სხეულში და ამოახრჩვეს დეკის
ყვავილი,
მოწამლულ წყალში გულაღმა წევს ჭრელი
კალმახი,
მიატივტივებს ჩემი სისხლი დახოცილ
ზღაპრებს...

ტყვიით კი არა,
დანით კი არა,
წამებით გვკლავენ —
გვაძულებენ საკუთარ სხეულს.

არა ერთსა და ორ ლექსში, არა რამდენიმე ლექსში, არამედ ყველაში რაღაც დიდი, ხანგრძლივი ტკივილის კვალი ჩანს. მათი ავტორი დაატარებს ამ ღრმა ტკივილს. ზოგიერთ ლექსში თითქოს ნაკლებ ჩანს ეს ტკივილი, მაგრამ უფრო იგრძნობა ყოველთვის, ღრმად არის იგი დამარხული, მაგრამ პოეტის განწყობილებაშია იგი განაწილებული — თითქოს მართავს უხილავ ძალასავით პოეტის განცდას, გრძნობას, განწყობილებას. იგია ყველაფრის სათავე, მისი პულსი გატარებულია ყველა უჯრედში:

მე ეს ტკივილი წაგებული ომიდან მომყვა—
კრწანისის ველზე წყალდასხმული
ცეცხლის ორთქლია.

დიდხანს ვმალავდი,
უჩინმაჩინის ქუდს ვახურავდი,
ზედ ყანებს ვთესდი,
გალინებულ ყვავილებს ვრგავდი,
კედლებს ვუგებდი გარეშემო —
უკარებოს და უსარკმლებოს,
მსურდა როგორმე დამეფარა და
დამემწყვდია
და მოთმინება
კედლის შრეებში გროვდებოდა
დინამიტივით.

თითქოს სახელიც ითქვა ტკივილის. შორეული წარმომავლობა აქვს პოეტის უმთავრეს საგანს. მაგრამ სახელდების შემთხვევა იშვიათი გამონაკლისია. ხსოვნა ეროვნული უბედურებისა, სადღაც საუკუნეების მიღმა რომ შემზადდა და მოხდა კიდეც, პოეტისათვის წარსულს არ ჩაბარებია. ის დარღვეული წონასწორობა არყევს ქართველი კაცის სულიერ მდგომარეობას. ამგვარად ესმის მამუკა წიკლაურს ღირსეული დგომისა და არსებობის შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, დანახვაში, შეცნობასა და აღიარებაში აფარებს იგი თავს, ჩვენ კი თურმე ამ უზარმაზარ ნაპრალს მიწა წავაფარეთ, ზედ ყანები დავთესეთ, ყვავილები დავრგეთ, თითქოს ამ გზით შეიკვრებოდა უფსკრუ-

ლის პირი; მამუკა წიკლაურის ლირიკული გმირი რამდენიმე თაობას მოიცავს თავის თავში. ამ რამდენიმე თაობის მიერ გამოვლილ გზაზე წერს პოეტი ზემოთ მოტანილ სიტყვებს. სიმართლისთვის თვალის გასწორება, როგორც ზნეობრივი სიმრთელის გარანტია, მკაცრად მოითხოვა ჩვენმა დრომ. მამუკა წიკლაური დიდი მოყვასის, დიდი თანამდგომის პოზიციიდან წერს ტკივილზე, რომელსაც თავად დაატარებს, როგორც საერთო ტკივილის ხატს. ის ტკივილის ხსოვნა კი ქართველ კაცში დგას. იდგა დიდ პოეტებშიც და დგას ჩვენშიც, დგას არა გახუნებული, არა მტვერწაყრილი.

წრფელი და პირდაპირი სტრიქონების ავტორია მამუკა წიკლაური. იგი ამ დიდ საგანზე, ტკივილზე პირდაპირ იშვიათად გველაპარაკება, მაგრამ თვით „შორეული" თემების არსშიც ეს ტკივილი ახელს თვალს. სიყვარულის გრძნობაზეც დაწერილი ლექსებიც ამ ტკივილს გულისხმობენ. დამძიმებული და სხვაგვარია იგი, სხვაგვარია, რადგან ლირიკული გმირის ფსიქოლოგია იმ ყოვლისმომცველი ტკივილის ხსოვნით არის დაპყრობილი.

მამუკა წიკლაური გაურბის სამშობლოზე ლაპარაკს. პროტესტიც გამოუთქვამს სამშობლოს თემით სპეკულაციის წინააღმდეგ. ოღონდ ყოველთვის იგრძნობა მოყვარე მამულიშვილის გული, ჭეშმარიტი მსახურის მოუსვენარი ფიქრი იმავე მამულის საწუხარზე.

ჭეშმარიტი პოეტის ბუნება სეისმოგრაფს მოგვაგონებს. იგი უფაქიზესი სიმების წყალობით პირველი გრძნობს ყოველგვარ საფრთხეს, რაც კი ზნეობის სფეროში დაემუქრება ადამიანის ბუნებას, გრძნობს ცივილიზაციის მადლს და თანამდევ საშიშროებასაც, ბუნებრივსა და ძვირფასს რომ ემუქრება ხშირად განადგურებით. გრძნობს, რაც მთავარია სამშობლო ქვეყნის ყოველ ახალ სატკივარს, მოვლენების მიმართულებას, რასაც დიდიხნის შემდეგ მოსდევს სავალალო შედეგი, ან უკვე მოჰყვა ეს შედეგი.

ასეთია პოეტის მისია საერთოდ. იგი კიდევ უფრო გამძაფრებულია საქართველოში ქვეყნის ისტორიული ბედის წყალობით.

უშეღავათობის პრინციპმა, რაც ასე მახლობელია მამუკა წიკლაურისთვის, კიდევ უფრო გაამწვავა პოეტის ეს თვისება. მისი პოეზია ალტერნატივას ჰგავს, აირჩევს თუ არა პოეტი საშუალოს, გაჩნდება თუ არა მასში საშუალოსთან შეგუების მოთხოვნილება? არა, ან ზნეობრივი სიმრთელის სადარაჯოზე უნდა იდგეს, ან გადაგვარებას უნდა შეეგუოს. საშუალოს ფილოსოფია მისთვის არ არსებობს. ამ გზით მიიღწევა მორალური სიწმინდე, ჯანსაღი დამოკიდებულება დღევანდელობისადმი, გულწრფელობა და სინაღდე.

მაგრამ ეს არ ხდება ენერგიის გაუღებლად. ამ სიმართლის მისაღწევად დიდი ენერგია იხარჯება, ცხოვრება ყველა დროში დიდ [illegible] უმზადებდა ადამიანის თვისებებს. [illegible]ციისა და პრინციპისადმი ერთგულება სხვაგვარად შეუძლებელი ხდებოდა, იგი არ არსებობს მზამზარეულად. ეს შინაგანი ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ცდუნებებსაც გულისხმობს, შეცდომებსაც, სანამ მაგისტრალური გზის ნათელი ჰორიზონტი გამოჩნდებოდეს.

ცხოვრების მძაფრმა განცდამ ერთგვარად დაძაბული იერი მიანიჭა მამუკა წიკლაურის პოეზიას. მის ლექსებში არც თუ იშვიათად იგრძნობა გაღიზიანებული, ლარივით მოზიდული ნერვების პატრონი ავტორი... ეს დაძაბული განწყობილება პოეტის ფსიქოლოგიის ერთ არსებით ნიშნად გვევლინება უკვე და იქნებ წარმოშობდეს დარღვეული პროპორციის განცდას. ძირისძირამდე უნდა ჩასდიოთ ამ საერთო განწყობილების მიზეზს, რომ სწორად ახსნათ დაძაბულობის სიჭარბე, ნაკლად რომ არ მიიჩნიოთ ან მოგეჩვენოს იგი. მამუკა წიკლაურის პოეზია კი გვავალებს საფუძვლიან შესწავლას. იგი ღირს საამისოდ, შემდეგ გაუგებთ პოეტს, თანაუდგებით და თანაუგრძნობთ.

ამ დაძაბულმა განწყობილებამ, სიწრფელისა და პირდაპირობის ულალატო გზებზე სიარულმა მამუკა წიკლაურის ლექსებში მკვეთრი სალებავები დააგროვა. მკვეთრია მისი სათქმელი, მკვეთრია ფრაზა, მკვეთრია შედარებაც. ყველაფერი ეს სწორედ დაძაბული განწყობილებით არის ნასაზრდოები.

ეს სიმკვეთრე ორგვარ გააზრებას იღებს. ერთი მხრივ, იგი ღირსებაა, უფრო სწორად, იგი მთავარი ნიშანია მამუკა წიკლაურის პოეტური ბუნების. ასე გამოკვეთილად საკუთარ პოეტურ პოზიციასა და პრინციპზე, პოეტურ ზნეობრიობასა და მორალურ სახეზე არც ისე ხშირად ლაპარაკობენ პოეზიაში. ეს თავისუფალი ლექსის გაშიშვლებული ქსოვილის ნიშანდობლივი მოვლენაა. ანალიტიკური პოეზია სათქმელს აშიშვლებს საერთოდ. ანალიტიკურ პოეზიას ნაკლებ ახასიათებს მეტაფორები, შედარებები, პოეტური კონსტრუქციების ჰაეროვან ქსოვილში აზრის ტრადიციული გახვევა. თავისუფალი ლექსის ამ თვისებას სავსებით შეესატყვისება მამუკა წიკლაურის მწერლური ბუნება. მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ბრძანება ჩემი ფესვების" სრულად გვიმჟღავნებს ავტორის პოეტურ ნატურას. დავაკვირდეთ, როგორ დაძაბულად, და აქედან მომდინარე რა „საჯიუტით" სუნთქავენ მკვეთრი სტრიქონები:

აქ უნდა ვიდგე,
მეხით გადათხრილ ჭიუხებთან,
სეტყვით დაცხრილულ ჭიუხებთან,
წვიმით ჩარეცხილ ნაპრალებთან,
ამ კლდის შრეებში უნდა იწვალონ

და გზები ძებნონ ჩემმა ფესვებმა,
სხვაგან ვერ წავალ —
მე ამ ფესვებს ვერ გავეყრები...
. . . . . . . . .
აქ უნდა ვიდგე —
და ეს სურვილი კი არ არის, ანდა
გმირობა —

ბედისწერაა... ბრძანებაა ჩემი ფესვების.

ამ სიმკვეთრეს, სიმართლის ბოლომდე თქმის უნარს, სურვილს, პოეტი ერთბაშად შეჰყავს სრულქმნილი განცდების, გრძნობების, ქეშმარიტი აზრების სამყაროში, საიდანაც განდევნილია ნახევარფიქრები, ნახევარსიმართლეები, დაუსრულებელი განცდები და მოუმწიფებელი გრძნობები. სულის ასეთი მდგომარეობა საშუალებას აძლევს მამუკა წიკლაურს მაქსიმალური სიფხიზლისაკენ მოუწოდოს თავის თავს, თავის ხალხს. ლექსი „ბურსაჭირის გავლით" მაქვს მხედველობაში:

ველარ დავსხდებით საარაყე ქვაბთან —
სუფრაზე,
ჩვენი პაპები რომ ისხდნენ ისე,
მტკიცედ, ამაყად, ღირსეულად ვერ
გავადიდებთ
„ქვეყნიერების ბატონს და პატრონს..."
ველარ გავძახებთ დედაკაცებს იმ
სიყვარულით:
— გაგვილარიბდა სუფრა, ქალებო...
ის საყრდენი უკვე აფეთქებულია.
ეს არც სინანულია
და არც ძველის გაფეტიშება.
ეს ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყის
ყრუ ხმაა,
წყალმოვარდნილი მიწის განგაშია,
ფსკერშენგრეული გემის უკანასკნელი
ტორტმანია,
...სევდის ჯაგია —
თუ გადავრჩით, ის გადაგვარჩენს,
იმ ჯაგს ვკიდივართ.
ჩვენს ქვემოთ კი უფსკრული ქშინავს.

ეს არ გახლავთ პესიმისტის სიტყვები, ან „ძველის გაფეტიშება", როგორც თავად ავტორი ამბობს. ეს თანამედროვე პოეტის ფიქრია, პოეტისა, რომელმაც დაინახა, როგორ არღვევენ ცივილიზაციის ვულკანები მშვიდ ზედაპირებს და ცვლიან რელიეფს, საგანთა განზომილებებს. მხოლოდ სიფხიზლის და კიდევ ეროვნული შესაძლებლობების მაქსიმალური დაძაბვის, მაქსიმალური გამოხმობის წყალობით თუ მოხერხდება ამ ძველი გემის ქარიშხლიანი სრუტეებიდან გაყვანა და დიდ სივრცეზე დაყენება.

ამგვარ სიმკვეთრეს აქვს მეორე მხარეც, იგი წარმოაჩენს მამუკა წიკლაურის პოეტურ ღირსებებს, აყალიბებს და საბოლოო სახეს აძლევს მათ. ამავე დროს, ჩნდება დარღვეული ზომის, გაზრდილი დოზის განცდა. სიმკვეთრე ფრაზის: „კარი კი არ დახურა, ჩამოგლიჯა და [illegible] თქოს", „არ შეიძლება, არ შეიძლება, [illegible] ძლება ახე გაგრძელდეს". [illegible] ცვეთლო ახალ ღვთაებებს და ჯავშანივით შემოვარტყი იმათ მზერა, მაგრამ ჯავშანში ზაინც ატანს დევების [illegible], ფეხის ხმა წვრილ-წვრილ დანებივით იმლება ხორცში", — ამ სტრიქონებში და მით უმეტეს ლექსებში, საიდანაც ეს სტრიქონებია უხეშად ამოკრეფილი, არაპოეტური თითქოს არაფერია, საინტერესო ლექსებია და საინტერესო სტრიქონები. მაგრამ უკვე დარღვეული ზომის გამო თუ გაზრდილი დოზის წყალობით რაღაც დაზარალდა. ალბათ, პოეზია უპირველეს ყოვლისა, რადგან დარღვეულ პროპორციებს პოეზია ყველაზე ნაკლებ ეგუება. მამუკა წიკლაურის ლექსების წაკითხვის შემდეგ აშკარად ვრჩებით მსგავსი განცდა. რაღაც გაწუხებთ, ამაღლებულის, ვაჟკაცურისა და პოეტურის გვერდით დაძაბულობის ეს მოჭარბებული დოზა, სიმკვეთრის თვალშისაცემი როლი. იგი ბადებს ნაკლულოვნების განცდას შიგა და შიგ და ისევ ღრმა შესწავლის და შეცნობის შემდეგ ვპოულობთ პასუხს ამ „ნაკლზეც". ვრწმუნდებით, რომ იგი ღვიძლი შვილია ღირსებებისა, მეორე მხარეა, თანამდევი ჩრდილია. თუ ის სასურველი ღირსებები არა, თავისთავად ეს ჩრდილი არ გამოჩნდებოდა. ღირსება კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ფერმკრთალდება სიჭარბის განცდა.

ჩემი აზრით, მამუკა წიკლაურის უპირველესი პოეტური ღირსება — აზრობრივი და ემოციური მთლიანობაა, ეს არის მისი პოეზიის მთავარი ნიშანი. იგი არის ნიმუში პოეტისა, რომელმაც ემოციას უარი უთხრა, როგორც უპირველეს, როგორც წამყვან თვისებას. მის ლექსებში თითქოს ადგილები გაცვალეს აზრობრივმა და ემოციურმა მუხტებმა. ემოცია აზრის კვალში ჩამდგარა და არა პირიქით. ოღონდ ბევრისაგან განსხვავებით, მამუკა წიკლაურის ლექსებში ემოცია მუდამ გამძაფრებულია. გამძაფრებულია, როგორც გზის გამკვალავი აზრი. პოეტი პირველად აზრით იპყრობს ყურადღებას. მაგრამ მისი დამოკიდებულება იმდენად ემოციურია თავისი სათქმელისადმი, რომ იქმნება (თითქმის ყოველთვის) სასურველი აზრობრივი და ემოციური მთლიანობა. მამუკა წიკლაური თავისუფალი ლექსის ამ ნიშნის მიხედვით თითქოს ყველასგან განცალკევებით დგას, ყველასგან გაირჩევა. ლექსებს აზის საკუთარი ბეჭედი. ამავე დროს, ეს ნიშანი — აზრობრივი და ემოციური მთლიანობა სრულიად გამოხატავს მამუკა წიკლაურის პოეტურ ბუნებას. თითქოს ყველა ლექსი გვიდასტურებს ამ ნიშანს. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ აზრობრივ-ემოციური მთლიანობაზე ყურადღების გამახვილება მამუკა წიკლაურის ლექსებთან დაკავშირებით ისე არ უნდა გავიგოთ,

თითქოს სხვებთან ეს მთლიანობა დარღვეული იყოს. მთლიანობა არ არის დარღვეული, მხოლოდ გამოვლენის ფორმებია სხვებთან შეცვლილი. რაც შეეხება თანაფარდობას, თანაფარდობა ნაწილობრივ დარღვეულია. სხვებისთვის სხვა ნიშანია მთავარი!

მამუკა წიკლაურის ლექსებში აზრისა და ემოციის პოტენცია გაწონასწორებულია. ოღონდ, კვლავ ვიმეორებ, აზრი მუდამ წინ უსწრებს მასთან ემოციას, მათი თანმიმდევრობა არ ირღვევა. მამუკა წიკლაურის საყვარელი ხერხი აზრობრივი და ემოციური კონსტრუქციების განმეორებაა. აქცენტები აქაც თანაბრადაა განაწილებული. ოღონდ ეს ხერხი იმდენად არის გაბატონებული მასთან, რომ თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა პოეტის სულიერი განწყობილების ერთიანობისა და მდგრადობისა. ლექსები თითქოს ერთი დიდი პოემის ნატეხებია. დასრულებული ფორმისა და მკვეთრი არსის მქონენი არიან ისინი, მაგრამ მაინც ერთი დიდი კლდის ნაწილებად აღიქმებიან. თავისუფალი ლექსის პოეტური ბუნების წარმოჩენისა და დადასტურების გზა მამუკა წიკლაურის ნაწარმოებში აზრობრივ-ემოციური კონსტრუქციების განმეორებაზე გადის. ეს ხერხი ორგანულია მისთვის:

ბავშვი გჭირდება,
მთვრალი ბიჭების ჩხუბი გჭირდება,
რომ აისხლიტო ყორნის ჩხავილი.

...შენ სიკვდილამდე უნდა ითრთოლო,
შენ სიკვდილამდე უნდა ითრთოლო,
შენ სიკვდილამდე უნდა ითრთოლო,
ხატის ყურესთან მიმდგარ მგზავრივით.

...წევს ფრთებდაშლილი, —
განათებული ღამეებიდან,
გადმოვარდნილი დიდი მზიდან,
ცეცხლმოკიდებული ტკივილიდან,
გრდემლზე ჩაჭუჩქვეშ მგმინავი ხმლიდან
და ხანჯლებივით მოელვარე
სხეულებიდან.

მამუკა წიკლაური განსაკუთრებულ აქცენტს არ აკეთებს ზომაზე, როგორც ტენდენციაზე. მის საყვარელ ხერხზე უკვე ვილაპარაკე და ალბათ, რაკი ეს ხერხი იტვირთავს მამუკა წიკლაურის ლექსებში მთავარ სიმძიმეს, „ზომატენდენციის" როლი თავისთავად მცირდება. შეიმჩნევა ტრადიციებთან ორგანული კავშირის კვალი. ემოციების თვალსაზრისით მამუკა წიკლაურის ლექსები მტკიცედ არიან მიჯაჭვული ტრადიციას. თემატიკისა და განწყობილების, ფსიქოლოგიის ერთიანობა არც არის საჭირო მოსაგონებლად, რომ ტრადიციულთან კავშირი ვამტკიცოთ, იმდენად ახლოს აყენებს ემოციური მხარე ტრადიციული ქართული ლექსის ბუნებასთან მამუკა წიკლაურის ლექსს.

მეორეს მხრივ, დაიჭირა რა აზრობრივ-ემოციურმა ერთიანობამ წამყვანი ადგილი პოეტის მხატვრულ ხერხებში, იმძლავრა გათვლილი ზომის მოთხოვნილებამ და მამუკა წიკლაურის ლექსებში ამ თვალსაზრისითაც საგრძნობია კონვენციური ლექსის დიდი ტრადიცია. მამუკა წიკლაურის ლექსებში თანაბარი ზომის, თანაბარმარცვლოვანი სტრიქონების კონსტრუქციები ხშირია. ამას ვგულისხმობდი, როდესაც „ზომატენდენციის" ფუნქციის დაპატარავებაზე ვლაპარაკობდი.

თავისუფალი ლექსის „დამატებითი საშუალებებიდან" მამუკა წიკლაური უფრო აქცენტებს მიმართავს. აქცენტი მის ხელში ძლიერი საშუალებაა სათქმელის სრულყოფილად გამჟღავნებისათვის. უმოკლესი გზით აღწევს სათქმელი ჩვენამდე. არც ქვეტექსტი, არც სიმბოლიკა, — იშვიათად მიმართავს პოეტი ამ ნაცად ხერხებს. იგი იყენებს „აზრობრივ კონტრასტს" — უფრო საგნებთან ახლებური დამოკიდებულების შინაარსში იგულისხმება ეს „აზრობრივი კონტრასტები", თუმცა სალექსო სტრიქონიც კისრულობს ხშირად იმავე ფუნქციას („კი არ წავიდა, დაიცალა ჩემი ბავშვობა"). ეს სტრიქონიც ახლებური დამოკიდებულების მაუწყებელი უფროა, ვიდრე —აზრობრივი კონტრასტი.

ცვდება ყველაფერი და მათ შორის საგნებთან ჩვენი დამოკიდებულების ტრადიციული ფორმებიც. მამუკა წიკლაური ამ გაკვეთილების განცდას ებრძვის თავისი პოეტური ლაბორატორიით. პოეტური მეტყველების სინედლე მის ნაწარმოებებში ამ დამოკიდებულების შინაარსზეა დაფუძნებული. გაუცვეთლობის, სიახლის გრძნობა აზის ფრაზას, პოეტურ კონსტრუქციას.

განსაკუთრებით გამორჩეულია თემატური და ემოციური ერთიანობა ლექსებისა, რაც საბოლოოდ საერთო განწყობილებას აბატონებს ლექსში. ამ გზით კი ერთიანი ფსიქოლოგია წარმოჩნდება, არა დაქუცმაცებული, არა გაწალიკებული და ერთმანეთის გამომრიცხავი, არამედ მთლიანი განცდა გაუბზარავი ფსიქოლოგიისა:

აქ ნურვინ მოხვალთ სურნელოვან
ყვავილებისთვის,
ანდა ფორთოხლის ტკბილი წვენისთვის.

ეს სიტყვები მისი პოეზიის ესთეტიკურ კრედოდ გამოდგებოდა. იქნებ წინათქმადაც. პოეტის წინათგრძნობის კარნახით დაიწერა ეს სტრიქონები. იგი იმთავითვე გრძნობდა, რომ ჰაეროვნების, სიმსუბუქის, ამაღლებულისა და რომანტიკულის მოთხოვნის შემთხვევაში მისი მკითხველი იმედგაცრუებული გაბრუნდებოდა უკან, იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილი! ამიტომ, თითქოს ამ გრძნობას უპასუხაო, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი შემოქმედების ესთეტიკური კრედო ჩამოაყალიბა ორ სტრიქონში და მკითხველს შეაგება. ყოველი პოეტის სამყაროში მისივე არსიდან მომდინარე საზომებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. მამუკა წიკლაურის პოეზიაში ყველაფერი ნათელია, ყველაფერი პირდაპირ არის თქმული, ოღონდ მკაცრი, პრინციპული, უშეღავათო დამოკიდებულების წყალობით ადამიანის ზნეობრივი სიმრთელის მიმართ მეტი მომთხოვნელობაა გაცხადებული, სიმართლისთვის თვალია გასწორებული. ასეთ პოზიციაზე მკითხველი არ უნდა ელოდეს ვარდისფერ სალამოებს, მტრედისფერ დილებს, ბრდღვიალა მზეებს და განავარდებულ გრძნობებს. ყალბი ფაქტურაა ასეთი ფაქტურა. ყალბი გრძნობაა ამ ფაქტურას აღევნებული გრძნობა. ქართული პოეზიის ტრადიცია მუდამ უარყოფდა ამ ბუტაფორიას. ეს კია, გარკვეული მიზეზების წყალობით დროდადრო ბუტაფორიას ეჩვევა და ებგუება მკითხველის თვალი, და ხშირად გაკვირვებული რჩება, თუ ამ ბუტაფორიას ჭეშმარიტი ნიჭი გზიდან გადაისვრის ხოლმე. ზოგჯერ ეხამუშება კიდეც ტკივილსა და საწუხარზე პოეტის დაფიქრება.

თემატიკური და ემოციური მთლიანობა იმიტომაც არის მამუკა წიკლაურის ლექსებში ადვილშესამჩნევი არსებითი ნიშანი, რომ თემატიკად პოეტის მხრივ არჩეულია თანამედროვე ქართველი კაცის სულიერი ცხოვრების მაგისტრალზე მდგარი მოვლენები. ეროვნული ცხოვრების აწმყოსა და მომავალთან არის გაერთიანებული პოეტის სულიერი ცხოვრება ყველა განზომილებითა და წახნაგით. ფიქრი თანამედროვე ცივილიზაციაზე მასთან გულისხმობს ფიქრს თანამედროვე ქართველი კაცის ადგილზე ამ ცივილიზაციაში. ფიქრი სიყვარულზე გულისხმობს თანამედროვე ქართველი კაცის სულიერ განწყობას მარადიული გრძნობის მიმართ.

კარგა ხანია დადგა დრო, ძლიერი თავისუფალი ლექსები გამოვყოთ საერთო პროცესიდან, საერთო ჯაჭვიდან და ჩვენთვის მოვინიშნოთ. როცა ამ მიზნით გადავხედავთ ქართულ თავისუფალ ლექსს, აღმოჩნდება, რომ ბევრი საინტერესო ნაწარმოები შემატებია ქართულ პოეზიას. ამ ნაწარმოებებში მამუკა წიკლაურის ლექსების ხვედრითი წონა შესამჩნევია და ანგარიშგასაწევი.

მამუკა წიკლაურის საუკეთესო ლექსებს შორის სათქმელის სიღრმითა და მძაფრი განცდის ნიშნით გამოირჩევა „წარწერები ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე", განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილი „ასტეროიდი". ძლიერი ლექსია „ასტეროიდი". იგი ტკივილზე დაწერილი ლექსია. პოეტური სიმართლე აქ სრულ გამოხატვას აღწევს; ამავე დროს, მამუკა წიკლაურის პოეტურ თვისებათა შემკრები ლექსია. თანაც სათქმელი უფრო მასშტაბურია, ბევრისმომცველი და უფრო ღრმა. აქ სიმკვეთრეც თავის წილ საზღვრებში ზის, არ არღვევს ნაპირებს და არ თავმომწონეობს: მისი ფუნქცია დაქვემდებარებულია.

ამას წინათ მამუკა წიკლაურმა განმეორებით გამოსცა თავისი პოემა „თორღვა ძაგანი". საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ მისი თავისუფალი ლექსი და აღნიშნული პოემა, რომ ირწმუნოთ არა მარტო ფორმისმიერი მეტამორფოზის ბუნებრივობა, არამედ ის განუწყვეტელი შინაგანი კავშირი, რაც კონვენციურ ლექსებსა და თავისუფალ ლექსებს შორის არსებობს. ეს არის საერთო სულიერი ატმოსფეროს ნაყოფი, „რკინის ფესვები" (ასე ეწოდება მამუკა წიკლაურის პირველ წიგნს, სადაც „თორღვა ძაგანიც" შედიოდა), რასაც ვერაფერი ვერ ამოთხრის, ვერ დააცალკევებს. ირწმუნებთ, რომ მამუკა წიკლაურის თავისუფალი ლექსი ღვიძლი შვილია „თორღვა ძაგანის" საერთო განწყობილებისა, სათქმელისა, მიუხედავად იმისა, რომ პოემა ერთი გარკვეული თემის, მითიური გმირის თორღვა ძაგანის მხატვრულ დამუშავებას წარმოადგენს. პოემას უძღვის შესავალი, რომელშიც ავტორი ზუსტად და ამომწურავად ახასიათებს „თორღვა ძაგანის" არსს.

დიდი მიზნის აღსრულების გზაზე თორღვა ძაგანი ყველა ადამიანურ ფაზას გაივლის და მისი ფიქრების წრეში ჩნდება ის თემები და სათქმელი, რაც სისხლისმიერ ნათესაობას ამჟღავნებს მამუკა წიკლაურის თავისუფალი ლექსის თემასთან და სათქმელთან, აზრობრივ და ემოციურ შრეებთან.

წერილის მიზანია მამუკა წიკლაურის პოეტური თვისებების გაანალიზება; კონკრეტული ნაწარმოებების გამოწვლილვითი ანალიზი ამჯერად არ შეადგენდა ჩემს ამოცანას. „თორღვა ძაგანზე", ისევე როგორც სხვა ლექსებზე ამიტომაც ვერ შევჩერდი საგანგებოდ.

მამუკა წიკლაურის პოეტური ხმა თავისთავადობით, დამოუკიდებლობით და განსხვავებული ძალით იქცევს ყურადღებას. კარგა ხანია დადგა დრო ამ ხმის დანახვისა და აღიარებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ იოსელიანი

# მემუარული ჟანრის თავისებურებანი

„ჩვენი ქვეყნის მომავალი ბრწყინვალეა,
კურთხეულ იყოს მისი გზა“.

შ. დადიანი — „რაც გამახსენდა“.

ქართულ მწერლობასა და ისტორიოგრაფიაში, ამ უკანასკნელ ხანებში, საგრძნობლად ღრმავდება ინტერესი მემუარული მწერლობისადმი. შეინიშნება ერთგვარი შეშფოთებაც და გულისტკივილიც ჩვენი ინტელიგენციისა იმის გამო, რომ მართლაცდა მეტად კოლორიტული ჟანრი ჩვენი მწერლობისა — ქართული მემუარული მწერლობა, მისი შესანიშნავი ტრადიციები ნაკლებად გრძელდება და ვერ ვითარდება თანადროულობის მეტად გაზრდილი მოთხოვნილებების შესაბამისად; ამ ჩამორჩენაზე ჩვენც გვიფიქრია და უველანი დღეს, ასეთ პირობებში, მოვალენიც ვართ გავიხსენოთ ის დიდი ამაგი, რასაც ქართული მემუარული მწერლობის შესწავლისა და მათი საუკეთესო ნიმუშების გამოქვეყნების საქმეში იჩენდნენ ჩვენი სახელოვანი მოღვაწეები — სიმონ ხუნდაძე, ლევან ასათიანი, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე და სხვანი. მათი საქმენი მუდამ დაუვიწყარი იქნება, ხოლო ტრადიციები კი — ქართული მწერლობის ახალმა თაობამ უნდა გააგრძელოს.

ამ მიმართულებით ჩვენც ცოტა რამ, მცირე საქმითაც გვილონია; კერძოდ, შევისწავლეთ და გამოვეცით ქართული საისტორიო მემუარული მწერლობის ფუძემდებლების — იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ და იოანე ქართველიშვილის „მემუარები“, ამ საქმეს ს. ხუციშვილმა საგანგებო წერილი მიუძღვნა (იხ. „კომუნისტი“. 1972 წ. № 70); მაგრამ ამ გამოცემათა შემდეგ საკმაო დრო გავიდა, როგორც იტყვიან ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა: დღევანდელმა დღემ ახალი პერსპექტივები დაუსახა როგორც საერთოდ ქართული მემუარული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების გამოცემის საქმეს, ასევე ამ ჟანრის მწერლობის ახალ მკვიდრ საფუძველზე შემდგომ განვითარებას.

ჩვენ აქ, რამდენადაც ამის ნებას საჟურნალო წერილი გვაძლევს, თანამედროვე ქართული მემუარული მწერლობის მხოლოდ ცალკეულ ძირეულ საკითხებზე გვინდა შევჩერდეთ. მემუარული მწერლობა ცხოვრებისეული სინამდვილის, ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ხშირად ახალი კუთხითა და ახალი ასპექტით წარმომსახველად და წარმომჩენად, თავისებურ მატიანედ, — ისტორიულ წყაროდ გვევლინება; ესაა გულწრფელი უშუალობით შექმნილი პიროვნული ძეგლი. ფიქსირებული ჩანაფიქრი და მართალი სიტყვა, დამყარებული ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, რომელთა თვითმხილველ-თანადამხვდურად და მთელი ამ ისტორიული პროცესის აქტიურ თანამონაწილედ თვით მემუარების ავტორი გვევლინება.

ფართო საზოგადოებრიობის ინტერესი, ლტოლვა და სიყვარული დიდი ტრადიციების მქონე მემუარული ლიტერატურისადმი, ყოველთვის დიდი იყო. ეს ინტერესი მემუარებისადმი უფრო გაიზარდა და თვისობრივად ახალი გახდა ჩვენს დიად ეპოქაში, როცა საბჭოთა პრესა, ლიტერატურა და ისტორიოგრაფია, დაფუძნებული რეალიზმისა და ასახვის ლენინური თეორიის მკვიდრ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე, მუდამ მოგვიწოდებდნენ და გვავალებდნენ კიდეც, რომ ფაქტების, მოვლენების განხილვისას არ შეიძლება შევურიგდეთ სუბიექტურ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლუნტარისტულ თვალსაზრისს, არ შეიძლება სინამდვილის ამსახველი ისტორიის არც გაუმჯობესება და არც გაუარესება: ისტორიული სინამდვილის ასახვის საქმეში მეტად საპატიო და განსაკუთრებული ადგილი საბჭოურ მემაურულ მწერლობას განეკუთვნება.

მემუარები, მოგონებანი — წარსულში განცდილის აწმყოში განახლებაა; იგი თავის შინაარსს, მართალია, მხოლოდ წარსულის ასახვაში პოულობს, მაგრამ მოგონებებში გაცოცხლებული, წარსული თანადროულობის სამსახურშია ჩაყენებული. საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე მომავალს ემსახურება; გმირული წარსული, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის თაობათა დაუცხრომელი ბრძოლის და შრომითი შემართების უწყვეტი ჯაჭვი — საბჭოთა ხალხის ისტორიის შინაარსია და ჩვენი აწმყოს საფუძველი ხდება.

მემუარები და მემუარული მწერლობა — ეროვნულ კულტურის ისტორიის გვერდშეუვლელი წყაროა, იგი ავსებს და ამდიდრებს მას. ამასთან, მემუარული ნაწარმოები გვევლინება თვით ავტორის, პიროვნების უფრო ახლო გაცნობის, მისი სულიერი სამყაროს გაგების უტყუარ წყაროდ.

აღსანიშნავია, რომ წარსულის იმ მოღვაწეთა მემუარებში, რომელთა ავტორები რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე იდგნენ, პირადი მომენტები მთლიანად დაქვემდებარებულია საზოგადოებრივი მოვლენებისადმი; ისინი განმათავისუფლებლური მოძრაობის იდეებს ემსახურებოდნენ. ასეთებია, მაგალითად, გარიბალდის, ბებელის, გერცენის, ფიგნერის და სხვათა მემუარები.

წარსულის გამოჩენილ ადამიანთა მემუარები ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეპოქის კოლორიტს, ისტორიულ პროცესს, მის განვითარებას, ხალხის მასებისა და ისტორიული პიროვნებების ერთობლივ ბრძოლასაც. ისიც ცხადია, რომ მათ გარკვეული როლი შეასრულეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. ამგვარი ფაქტების შემცველი მემუარული საბჭოთა ლიტერატურა, რასაკვირველია, არაა მხოლოდ საილუსტრაციო მასალა, არამედ ერთ-ერთი სანდო წყაროა ისტორიისა.

* * *

ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ ბევრს დაჰკარგავდა კაცობრიობა, რომ არ არსებობდეს ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული, ისე როგორც XVIII-XIX საუკუნეთა ფრანგ და რუს განმანათლებელთა მემუარული ხასიათის დიდებული მემკვიდრეობა.

XIX საუკუნის ქართული მწერლობა მდიდარ მემუარული და ეპისტოლური მემკვიდრეობით ხასიათდება; ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ამ დროის მოღვაწეთა პირად არქივებს და მემუარულ-ეპისტოლურ პუბლიკაციებს, ამ სიკეთეში ადვილად დარწმუნდება. ამ მემკვიდრეობის გაცნობა ყოველ ქართველს დიდი კმაყოფილების გრძნობას აღუძრავს, მართლაც როგორ ამკობენ ისინი ქართულ მწერლობას თავიანთი მიმზიდველობით, ეშხითა და ლაზათით, განუმეორებელი ფერებითა და ადამიანის შთამაგონებელი ამამაღლებელი განცდებით! ძნელი გასათვალისწინებელია, თუ რაოდენ გაღარიბდებოდა ქართული მწერლობა და ისტორიოგრაფია, რომ ჩვენამდე არ მოეღწია იესე ბარათაშვილის, იოანე ქართველიშვილის მემუარებს, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის მიწერ-მოწერას.

როგორი უფერული იქნებოდა ქართული კულტურის ისტორია, ჩვენი ცოდნა საქართველოს XIX საუკუნის 30-იანი წლების განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, მის გამოჩენილ მოღვაწეებზე — სოლომონ დოდაშვილზე, გიორგი ერისთავზე, დიმიტრი ყიფიანზე და სხვებზე, რომ, ოფიციალურ მასალებთან ერთად, ჩვენამდე არ მოეღწია მათსა და ასევე მათს თანამედროვეთა პირად წერილებს, მემუარებსა და მოგონებებს.

ასევე ითქმის თერგდალეულთა მძლავრ განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, მისი მესვეურების — სახელოვანი მწერლებისა და დიდი მოღვაწეების მდიდარ მემკვიდრეობაზე — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, და სხვათა მემუარებზე და ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე: მათს თანამებრძოლთა ლიტერატურულ ჩანაწერებზე, მოგონებებსა და მიწერ-მოწერაზე, კერძოდ, ქრ. მამაცაშვილის, ი. მანსვეტაშვილის, ს. მგალობლიშვილის და სხვათა ღვაწლზე ილიას, აკაკის და სხვათა ბიოგრაფიების სრულყოფისათვის. მთელი ამ მემკვიდროების გათვალისწინების გარეშე, ეჭვი არაა, გაძნელდებოდა და შეუძლებელიც გახდებოდა ქართველი ხალხის ნივთიერსა და სულიერ ცხოვრებაში სიღრმისეულად ჩახედვა, „ქართლის ცხოვრების" ამ უმძიმესი ეპოქის გაცოცხლება, ქართული ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის ისტორიის მეცნიერულად შესწავლა.

მართლაცდა, როგორ ამკობენ ჩვენს დიდ მწერლობას, რა კოლორიტსა და ელფერს მატებენ მას აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილისა და შალვა დადიანის მემუარები: ისინი ახალ შუქს ჰფენენ აზროვნებისა და კულტურის ისტორიას, ავსებენ და ამდიდრებენ მას.

მოგონებებში ახალი კუთხით, მეტი უშუალობით ცოცხლდებიან მოვლენები, ფაქტები და ცხოვრებისეული ვითარებანი; მემუარებში, ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენების ფონზე, მისი ავტორის საკუთარი წარსულის, ცხოვრების, მოღვაწეობისა და პირადი განცდების ასახვა-გადმოცემაა, საზოგადოების განვითარების ერთიან ისტორიულ პროცესთან შერწყმული. ისინი გასაგები ხდებიან ისტორიულ თარიღებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან შესაბამისობით. ამ გზით იძენენ ისტორიულ წყაროს ნამდვილ თვისებებს. იქ, სადაც საქმე წარსულის აღდგენას ეხება, თვითმხილველისა და თანადამხდურის მოგონება ერთ-ერთ თვალსაჩინო წყაროდ გვევლინება.

აქ იბადება ერთი კითხვა: შესაძლებელია თუ არა სწორად და მთელი სიზუსტით აღდგენა წარსულისა ამ გზით? — მოგონება თავისი მოწოდებით აქეთკენ მიისწრაფის, მაგრამ ამომწურავად ვერასოდეს ვერ აღწევს ამ მიზანს; მოგონება, გოეთეს მოსწრებული თქმით, — ნამდვილისა და შეთხზულის შერწყმაა; უფრო ზუსტად, მოგონება წარსულზე, როგორც მომხდარ ფაქტზე, ყოველთვის აწმყოში მიმდინარეობს; ამიტომ ამ წარსულის ასახვა აწმყოზე, თანადროულობაზეცაა დამოკიდებული. იგი ეხმაურება და ესადაგება მას; მოგონებაში არ შეიძლება იყოს წარსული განცდების ყოველმხრივ ზუსტი, სარკისებური ასახვა-განმეორება; აქვე გასათვალისწინებელია ავტორის სუბიექტურობა; აწმყოს ინტერესებისა და მოთხოვნების მასზე გავლენა, აწმყოსადმი ზოგჯერ ინდიფერენტული დამოკიდებულების, ან ასევე წარსულის იდეალიზაციის ტენდენციები, რომელმაც თავისი დაღი არ შეიძლება არ დააჩნიონ ავტორთა მოგონებებს.

საერთოდ კი, მემუარები ისტორიული პროცესის ასახვისა და თვით მწერლის ცხოვრება-შემოქმედების შინაარსის გაგების, მასში ჩაწვდომისათვის, გვაძლევს ძვირფას მასალას და გვერდშეუვლელ განმარტებებს; ხშირად იგი სრულიად ახალი ასპექტითა და კუთხით აშუქებს მოვლენებს, აზუსტებს ფაქტებს, ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საზოგადოებრივი აზრის განვითარების, ისტორიული პროცესისა და კანონზომიერებათა მეცნიერულად გაგება-გაანალიზებისათვის.

ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი, მემუარებისა და მოგონებათა წერისას, ფაქტისა და მოვლენის სიმართლითა და პატიოსნებით გადმოცემას მოითხოვდნენ: „მოგონებაში არაფერი შეფერადებული არ იქნება, — წერდა დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში, — მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში".

შალვა დადიანის შენიშვნით, მართალია „სხვების გახსენებაზე შენს თავს ვერ აცდები. ზოგჯერ ისე გამოგივა, რომ ვისაც იგონებ, ის სულ მიიჩრდილება და შენ კი გამოგიდის" „მე, მე"-ს ან „მე და ის" ძახილი. ამ „მეს"-ს მაინც წინ ვხმარობთ ხოლმე" (იხ. მისი „რაც გამახსენდა"). ამას ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს მემუარების ავტორი. სწორედ ამგვარი უხერხულობისაგან თავის დასაღწევად დიდი ტაქტისა და ზომიერების გრძნობის დაცვაა საჭირო, რათა არ გაყალბდეს და არ გალარიბდეს ნამდვილი ისტორია.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის ისტორიას, ბუნებრივია, დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ახალი თაობის აღზრდისა და წინსვლა-გათვითცნობიერებისათვის. იგი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მსოფლიო ისტორიის დიდ მატიანეში, სადაც მემუარებს მეტად საპატიო ადგილი განეკუთვნება. სწორედ ამ ძვირფასი მემკვიდრეობის განვითარებისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სამსახურში მისი ჩაყენების ამოცანები გვავალებს მეტი გულისყურით მზრუნველობით მოვეკიდოთ მემუარებს, მემუარულ-საისტვრიო მწერლობას. მემუარები მეტად თავისებური წყაროა, და ეს არის საშენი მასალა ისტორიისა, უშუალო, ცოცხალი მასალა, რომლის გამოყენებით ბოლო ელება ისტორიულ გამოკვლევებში ხშირად ფეხმოკიდებულ შტამპს, წერის კაზიონურ, მშრალ სტილს — ცოცხალი მასალა ბევრად უფრო წარმტაცს, საინტერესოს ხდის საბჭოთა ხალხის ისტორიას, — მის ჭეშმარიტად ლეგენდარულ-საგმირო საქმეებს. ასეთი ისტორია კი ჯეროვანი მეცნიერული სიღრმით წარმოაჩენდა იმ ადამიანთა საქმეებს, რომელთაც თავი ისახელეს გმირული რევოლუციური ბრძოლით, დიდი შემოქმედებითი შრომით, პატრიოტული თავდადებით, თავიანთი უმაგალითო ვაჟკაცური შემართებით. მათ დააფუძნეს საშვილიშვილოდ სახსოვარი ტრადიციები და იმდენად აამაღლეს ჩვენი სამშობლოს ძლიერება, რომ იგი დღეს საკაცობრიო პროგრესისა და მშვიდობის ჭეშმარიტ მედროშედ გვევლინება.

საბჭოთა კავშირის სამოცწლიანი ისტორია აღსავსეა უმაგალითოდ გმირული საქმეებით. საბჭოთა კავშირის გმირების, სოციალისტური შრომის გმირების, მთელი ჩვენი ხალხის ლეგენდარული წარმატებანი, ბუნებრივია, შესატყვის ასახვას და ახალი მასალებით გამდიდრებას ელოდება. და ეს საქმე საბჭოთა მემუარულ ლიტერატურას, ისტორიოგრაფიის ამ ორგანულ შემადგენელ ელემენტს, უაღრესად საპატიო ამოცანებს აკისრებს.

საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებას, მის დიად საქმეებს, მისი შრომისა და ბრძოლის დიდებულ ეპოპეას მიეძღვნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბოლო წლებში გამოქვეყნებული წიგნები – „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი" და ბოლოს" „მოგონებები"; ეს წიგნები ჩვენს თვალწინ აცოცხლებენ და გვიხატავენ არა მარტო წლებსა და მოვლენებს, არა მარტო ადამიანთა ხასიათებს და ფსიქოლოგიას, არამედ მთელ ისტორიულ ეპოქასაც და მათ ისეთი ფართო ჰორიზონტი აქვთ, რომ გვახედებენ ძალიან შორს და ძალიან წინ. ეს არის კლასიკური ნიმუშები წარსულის ასახვისა; თვითონ ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ყველაზე ნაკლებად მინდოდა, რომ წიგნები — „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი" აღექვათ, როგორც მემუარული თხზულებანი. ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანაწერებზე მუშაობისას ვფიქრობდი არა საკუთარ თავზე და უნდა ითქვას, არა იმდენად წარსულზე, რამდენადაც იმაზე თუ როგორ გამოადგება დღეს წარსულის გამოცდილება ადამიანებს“. მაშასადამე, ეს წიგნები, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, არ განეკუთვნებიან სპეციალურად მემუარების ჟანრს, თუმცა შეიცავენ მის ელემენტებს. მათში გადმოცემულია მთელი ეპოქის სახე, მთელი ეპოქის სული და ვითარება.

* * *

მემუარები, როგორც აღინიშნა, ესაა ლიტერატურული ჩანაწერები საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების გარკვეულ მოვლენებზე, რომლებშიაც ავტორი, როგორც მოქმედი პირი, თვითმხილველ-თანადამხვდურია, აქტიურად მონაწილეობს ამ ერთიან ისტორიულ პროცესში და გამოხატავს ამ მოვლენებისადმი თავის პირად დამოკიდებულებას. მემუარები, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. საკმაოდ განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

მემუარების წრეში თავსდება და მისგან ზოგჯერ არც კი განასხვავებენ იმგვარ ნაშრომებს, რომელნიც მეტ-ნაკლებად მემუარებისათვის საჭირო მასალას უფრო წარმოადგენენ; აქ იგულისხმება დღიურები, ავტობიოგრაფიები, საოჯახო-ეკონომიური, უფრო კი — პირად სათავგადასავლო ცხოვრების ქრონიკა. ანდერძი შვილებისადმი და მოგზაურობის აღწერანი.

მემუარები, ბევრად უფრო ფართო ინტერესის მქონე, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კარგად მოფიქრებული და მდიდარი ფაქტიური მასალით გააზრებული ნაწარმოებია: ისინი საკმაოდ განსხვავდებიან აქ დასახელებული, შედარებით ვიწრო ასპარეზით შემოფარგლული ჟანრის ჩანაწერებისაგან. მათში ოსტატურადაა შერწყმული საზოგადოებრივი და ავტორის პირადი ცხოვრების ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, ავტორის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეული მოვლენის, პიროვნებათა ან ადამიანთა დიდი ჯგუფებისა და მოვლენათა მთელი კომპლექსის მიმართ, რომლებშიაც ნათლად ვლინდება მისი მსოფლმხედველობა, მედასეობა და კლასობრივი მრწამსი, მისი როლი და ადგილი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა-განვითარებასა და დაპირისპირებულ კლასთა ბრძოლის იმ ორომტრიალში, რომელშიაც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

მემუარების სპეციფიკურობა, რომელიც მას ასე მიმზიდველს ხდის, ისიც არის, რომ მათში იპოვება წარსულის ბევრი ისეთი ფაქტი, რომელთაც სხვა წყაროებში ვერ შეხვდებით; ესენია მკაფიო დეტალები, უოფითი რეალიები და ფსიქოლოგიური ნიუანსები, რომელნიც ახალ შუქს ჰფენენ, კოლორიტს ჰმატებენ. ეშხითა და ლაზათით, შარავანდედით ჰმოსავენ წარსულს, უფრო ღრმად და რეალისტურად გვახედებენ ეპოქის ისტორიულ სინამდვილეში.

მემუარები არა მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტიური ხასიათის მასალებით დატვირთული ნაწრმოებია, არამედ ლიტერარული გემოვნებით დაწერილი სასიამოვნოდ საკითხავი წიგნი. მაგრამ ყოველგვარი წარსულის ჩვეულებრივი თხრობა როდი იტაცებს მკითხველს; აქ, ეორესის ფრთიანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მემუარებმა წარსულის მოგონებიდან მხოლოდ ცეცხლი უნდა მოიტანოს და არა ფერფლი: სწორედ ამგვარი მემუარები შემორჩა ისტორიას და მათდამი საზოგადოების ყურადღება არასოდეს არ შენელებულა. პირველ რიგში. აქ უნდა დავასახელოთ ანტიკური ეპოქის ავტორები — ქსენოფონტე. პლუტარქე. იულიუს კეისარი, ავრელიუსი: შემდეგ შუა საუკუნეების და აღორძინების ეპოქის მწერლები. და ბოლოს. ჩვენი დროის მემუარული ხასიათის ნაწარმოებები: მათგან დიდაა დავალებული საკაცობრიო კულტურა, ლიტერატურა და ისტორიოგრაფია: მსოფლიო მემუარული ლიტერატურა შემცველია მხატვრული სიტყვის არაერთი შედევრისა — ასეთებია. მაგალითად. ჟანჟაკ რუსოს „აღსარება“, გოეთეს „ცხოვრება და პოეზია“, გერცენის „ნამყო და ნაფიქრი“, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ და სხვ. ყველაფრის ჩამოთვლა აქ შორს წაგვიყვანდა.

ჩვენ აქ გვაინტერესებს საისტორიო-მემუარული მწერლობის ის თავისებურებანი, რომელნიც მას ისტორიის ძვირფას წყაროდ და შეუცვლელ ძეგლად ხდიან. სწორედ მათში ვპოულობთ უმეტესად, ვიდრე სხვაგან სადმე, ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ ისეთ ასპექტსა და ფსიქოლოგიურ განწყობათა გადმოცემებს, ყოფითი რეალიებს, და ერთი შეხედვით. წვრილმანი ფაქტების, შემთხვევებისა და სხვა მსგავს მოვლენათა თავისებურ აღწერებს, რომელთაც სხვაგან ვერ ვხვდებით. ყოველივე ეს უფრო ღრმად გვახედებს ეპოქის ისტორიულ სინამდვილეში, სინათლე შეაქვთ, კოლორიტს მატებენ წარსულს. მემუარული საისტორიო ჟანრის მწერლობის თავისებურებებს ჯერ კიდევ ძველი ბერძენი მოაზროვნენი შენიშნავდნენ და განასხვავებდნენ მას ისტორიისაგან. ასე, მაგალითად, პლუტარქე თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“ აღნიშნავს: „ჩვენ ვწერთ არა ისტორიას, არამედ ცხოვრებას... და ისევე, როგორც მხატვრები ადამიანის სახის დახატვისას თვალების გამომეტყველებათა გამოსახვით ავლენენ ადამიანის ხასიათს და აღწევენ ზუსტ მსგავსებას, ასევე ჩვენ ნება გვეძლევა ჩავღრმავდეთ ადამიანის სულიერ სამყაროს ნიშანთა შესწავლაში... რათა სხვებსაც მიეცეს შესაძლებლობა უმღერონ დიდ საქმეებს“. მისი აზრით, ისტორია ხალხთა დიდ საქმეებს ეხება, ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერა კი კონკრეტული ადამიანის ხასიათს.

იესე ბარათაშვილი თავის მემუარებს აიგივებს საკუთარი ცხოვრების აღწერასთან; თავის „ცხოვრება-ანდერძში“ იგი წერს: „ვინებე თვით ხელითა აღწერა ცხოვრებისა ჩემისა“, მაგრამ იესე ხშირად აკეთებს კეთილშობილურ წიაღსვლებს ამ აღთქმისგან, და აღწერს მაშინდელი საქართველოს ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებს, პიროვნებებსა და ხალხის ცხოვრების მახასიათებელ ისეთი ყოფითი რეალიებს, რომელთა თვითმხილველ-თანადამხვდური თვით იყო; იესეს ამ აღწერით საოცარი სიახლე შეაქვს, ზედმიწევნით ავსებს და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საქართველოს XVIII საუკუნის ისტორიასა და მწერლობაზე, რომლის ნსგავს წყაროს ჩვენ ვერ ვხვდებით.

თვითონ იესე ამგვარ წიაღსვლას რომ აკეთებს, თითქოს თავს იმართლებს და შენიშნავს: „მენება, შვილნო, ჩემნო, არა რა სხვისა შემერთვა ამა ცხოვრებისა ჩემისა წერისათვის, მარა ამბავმა მოიღო იესე“, და სწორედ ამ „მოღებულ ამბავში“ მან პირად-საოჯახო ამბებთან ერთად შესძლო უდაბლო გულისხმიერებით და უშუალობით, ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენების ფონზე, ხალხთან ერთად, წარმოეჩინა მისი თანამედროვე პიროვნებების (მეფე ერეკლეს ჩათვლით) ხასიათებისა და სულიერი ვითარების ჭეშმარიტად ვრცელი სამყარო. ამას მოითხოვდა პლუტარქეც და ამ გზით იესე ბარათაშვილი თითქო მკვდრეთით აღადგენს ცხოვრების აღწერის კლასიკურ-ანტიკურ ტრადიციებს, შემოქმედებითი ორიგინალობით ანვითარებს მას თავისი დროის და ცხოვრების პირობების შესაბამისად და გვევლინება ქართული მემუარული საისტორიო მწერლობის დიდ ფუძემდებლად. ალექსანდრე ამილახვარი, იოანე ქართველიშვილი, იოანე, დავით, ბაგრატ ბატონიშვილები და სხვები ღირსეულად აგრძელებენ ამ ტრადიციას.

ამრიგად, ანტიკურმა სამყარომ, სადაც ადრე იღვიძებს ინტერესი ადამიანის პიროვნებისა და საზოგადოებასთან მისი ურთიერთობისადმი, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, დასაბამი მისცა მემუარულ მწერლობას. მის ფუძემდებლებად გვევლინებიან ქსენოფონტი (ძვ. წ. IV ს.) თავისი „ანაბაზისით“, რომელშიაც ასევე ასახვა ჰპოვა ძველი კოლხეთის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებამ, იულიუს კეისარი თავის „გალებთან ომის ჩანაწერებით“, პლუტარქე „პარალელური ბიოგრაფიებით“, მარკუს ავრელიუსი და სხვები.

შუასაუკუნეთა ფეოდალურ-კლერიკალურ იდეოლოგიის ბატონობის პირობებში ეს ჟანრი მწერლობისა, შეიძლება ითქვას, ჩაკვდა და იგი აღორძინებას იწყებს კაპიტალიზმის წარმოშობასთან ერთად, რენესანსისა და განმანათლებლური იდეოლოგიის დამკვიდრებასთან ერთად. მემუარებში შეიჭრა ახალი თემატიკა, ღრმავდება ინტერესი სამყაროსა და პიროვნებისადმი.

მემუარული მწერლობა განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს ინგლისში და საფრანგეთში, ბურჟუაზიული რევოლუციების გამარჯვების ეპოქებში. კრომველისა და ჯეფერსონის, ნაპოლეონის მინისტრების, კერძოდ ტალეირანის, ფრანგ განმანათლებელთა — ჟან-ჟაკ რუსოს და სხვათა ლიტერატურული ჩანაწერ-მოგონებანი, მემუარული მწერლობის დიდ მემკვიდრეობად რჩება, რომელთა დიდი ნაწილი აპოლოგეტურია.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველო განვითარების ახალ ევროპული ცხოვრების ორბიტში ექცევა. ქართული მწერლობა, საზოგადოდ და, კერძოდ, მემუარული საისტორიო მწერლობა თავისი განვითარების ახალ სტადიაში შედის.

რუსულ ლიტერატურაში პუშკინის, გრიბოედოვისა და ლერმონტოვის დიდმა მემკვიდრეობამ და ტრადიციებმა, რაზნოჩინელთა, რევოლუციურ-დემოკრატთა ბრწყინვალე პლეადამ — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის თაოსნობით, ეს ჟანრი ახალ ეტაპზე აიყვანეს. მათ მხარდამხარ ედგნენ თერგდალეულები, ქართველი სამოციანელები.

ფართოდ ვითარდება რუსული მემუარული მწერლობა, — იქმნება დოკუმენტურ-ისტორიულ მასალაზე აგებული ბიოგრაფიები — ხშირად მხატვრულ პროზამდე ამაღლებული; ეს მეტად საყურადღებო ჟანრი შემოქმედებითად ავითარებს, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ობის, საზოგადოებრივი აზრის, ლიტერატურირაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს. მაგალითად, ყოვლად წარმოუდგენელია XIX-XX საუკუნეთა რუსული და ქართული რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საზოგადოებრივი აზრის, ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენათა მეცნიერულად შესწავლა ავტობიოგრაფიულ მოთხრობებისა და მემუარული მწერლობის გათვალისწინების გარეშე.

ნ. ბარათაშვილზე, ი. ჭავჭავაძეზე, ა. წერეთელსა და სხვა გამოჩენილ ადამიანებზე საგანგებოდ დაწერილ მოგონებებსა, კერძო წერილებსა, ან მემუარებში შემონახული ცნობების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია არა მხოლოდ მათი მეცნიერულ ბიოგრაფიების შედგენა, არამედ მთელი იმ დიდი საზოგადოებრივ-იდეურ-განმათავისუფლებელ მოძრაობათი სწორად გააზრება, რასაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის საქართველოში.

როგორც სულიერი კულტურის სხვა სფეროში, მემუარულ მწერლობაშიც მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა რევოლუციურ-დემოკრატიულ და რეაქციულ მიმდინარეობებს შორის. მაგალითისათვის აქ გვინდა დავასახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთ მეფის მინისტრის ვიტეს სამტომიანი მოგონებები, რომელიც გამსჭვალულია რეაქციული იდეებით; მაშასადამე, ავტორის მსოფლმხედველობის, კლასობრივი მრწამსის, მიზანდასახულობის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სარგებლობა ამგვარი ნაშრომებით, ისინი კრიტიკის ქარცეცხლში უნდა გატარდეს.

რევოლუციურ-დემოკრატიული მემუარული მწერლობა ობიექტურად ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეპოქის კოლორიტს, ისტორიული პროგრესის საერთო განვითარებას, მის ხასიათს და შინაარსს, რომელშიაც ცხოვრება უხდებოდათ ხალხის მასებს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, რიგითი რევოლუციონერებს და რევოლუციის ბელადებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მარქსიზმის კლასიკოსთა და მათ თანამებრძოლთა შესახებ დაწერილი მემუარები — პოლ ლაფარგის მოგონებანი კ. მარქსზე, ნ. კრუპსკაიასი — ვ. ი. ლენინზე, „მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“, მოთავსებული ხუთტომეულში, რომელიც 1979 წელს ხელმეორედ გამოსცა მოსკოვის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. აქ თავმოყრილია ლენინის თანამებრძოლთა მოგონებები, ნაშრომები იმ ადამიანებისა, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ხალხთა მასების განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ეტაპზე და საფეხურზე.

* * *

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ თვისობრივად იცვლება როგორც შინაარსი მემუარული მწერლობისა, ასევე მისი ავტორთა სოციალური შემადგენლობა. მემუარებისა და მოგონებათა ავტორებად უმეტესად ცარიზმის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მებრძოლები და სამოქალაქო ომის სახელოვანი მონაწილენი გვევლინებიან — იწერება რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მატიანენი. 1924 წლიდან იბეჭდება მოგონებანი ლენინზე. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ეპოქა, ასევე დიდი სამამულო ომის წლები ყველაზე უკეთ არის გადმოცემული საბჭოურ მემუარულ მწერლობაში.

მაგრამ ამ სფეროში წინ კვლავ დიდი ამოცანების გადაწყვეტა მოუხდებათ ამ ჟანრში მომუშავე ავტორებს. მათ უნდა გადმოსცენ ხუთწლედების დიადი ეპოპეა; ეს იქნება არა მხოლოდ თხრობა კომუნიზმის მშენებელ ხალხის დიდ წარსულზე, არამედ გაკვეთილი და მაგალითიც რაინდულ შემართებებისა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის; ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა გულმართლად დაწერილ ამგვარი შინარასის მემუარებს და სთვლიდა, რომ მათ შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ სოციალიზმის საქმეს.

მაქსიმ გორკიმ ჯერ კიდევ 30-იან წლებში დააყენა საკითხი, რომ აუცილებელია ხუთწლედის ენთუზიასტების — მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის თავისუფალი შთაგონებული შრომის გულდასმით შესწავლა, ფაბრიკა-ქარხნებისა და კოლმეურნეობათა ისტორიის გადმოცემა. ამ ისტორიის ამსახველ კრებულთა სერიების რედაქციასთან, გორკისავე ინიციატივით, დაარსდა „მემუარული კაბინეტი“ იმ მიზნით, რომ გამოევლინებინათ საინტერესო ფაქტები, საინტერესო ნაშრომები.

რუსულმა მწერლობამ ამ მხრივ გრანდიოზული სამუშაო შეასრულა.

საქართველოში პირველი ხუთწლედების გმირები, შრომის ვეტერანები და ნოვატორები — ელოდებიან გაცოცხლებას მემუარულ ქართულ მწერლობაში. ამგვარი თხრობა, თავისი მნიშვნელობით, არა მხოლოდ წარსულს განეკუთვნება, არამედ პასუხობს ხალხის აწმყოს და მომავალს, მოუწოდებს ახალ შრომითი გმირობისაკენ იმათ, ვინც ქმნის ჩვენს დღევანდელობას, ჩვენს ხვალინდელ დღეს. ყველაფერი, რაც კარგი და ძვირფასია დიდი სამოცწლეულის გამოცდილებიდან, დროულად უნდა შეიკრიბოს და დავიცვათ, ვიდრე მას დრო დავიწყებას მისცემდეს.

კოლხეთის პირველი ამაღორძინებელნი, ზაჰესის და რიონჰესის მშენებლები, განახლებული საქართველოს ისტორიის შემოქმედნი, ნოვატორი მუშები და გლეხები, რომელთა საგმირო საქმენი საფუძვლად დაედო საბჭოთა საქართველოს დიად თანადროულობას — საჭიროა წარმოსახულ იქნას მთელი სისრულით. საჭიროა ამ წარსულს იცნობდეს შთამომავლობა; მათი ხსოვნის აღდგენა და გაცოცხლება დიდი სიფრთხილით, ტაქტითა და სიყვარულით უნდა მოვახდინოთ და ეს მემუარული მწერლობის ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა.

ბოლო ათწლეულის მანძილზე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მზრუნველობის მეოხებით, ამ საქმეში მძაფრი გარდატეხა მოხდა. უკვე ის ფაქტი, რომ სისტემატურად გამოდის სერია წიგნებისა — „ხუთწლედის მატიანე“ — თავისთავად ბევრ რამეს მეტყველებს. დაწესებულია პრემიებიც ამ ნარკვევებისათვის. აქ, ამ სერიაში ავტორები — უმთავრესად, მწერლები და ჟურნალისტები არიან, მაგრამ კარგი იქნებოდა მიგვემართა თვითონ შრომის გმირებისათვის, ხუთწლედის გმირებისათვის. ამ საკითხზე სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ მწერალთა კავშირიცა და ჟურნალისტთა კავშირიც; ჩვენში ადრე იყო ცალკეული შემთხვევები, როცა თვითონ ოსტატები მოგვითხრობდნენ თავიანთ შრომაზე. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ამ საქმეს სისტემატიური ხასიათი მივცეთ.

საბჭოთა ხალხი შემოქმედებითი შრომით და უმაგალითო მგზნებარებით აშენებს ახალ კომუნისტურ საზოგადოებას; და ხანდახან თითქო ვერც კი მოასწრებს თვალი მოავლოს და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზროს ადამიანმა, რომ ეს გატაცებული შრომის დღე გუშინდელ დღედ ხდება და ისტორიად იქცევა მაშინ, როცა ჩვენი ყურადღება ხვალინდელისაკენაა, მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი ზღურბლების ალებისაკენაა მთლიანად მიპყრობილი. ეს ახალ-ახალი მოვლენები, ახალი მღელვარებანი და დაუცხრომელი ლტოლვა დიდი მოვალეობისაკენ — სასიცოცხლოდ გადაჯაჭვულია გუშინდელ დღესთან, ტრადიციასთან, გამოცდილებასთან, რომლის განზოგადებას, მეცნიერულად შესწავლა-გაანალიზებას უაღრესად დიდი თეორიულ-პრაქტიკული, შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

წარმტაცი და დიდებით გარემოსილია საბჭოთა ხალხის დღევანდელის და ხვალინდელი დღე. დღევანდელობის ყოველი მოვლენა თუ წარსულისაგან იბადება, იგი მომავლის მამასაც წარმოადგენს. ასე იქედებოდა და, ბუნებრივია, იქედება დღესაც ქვეყნის სიმტკიცისა და მარადიულობის ჯაჭვი, რომელიც არასოდეს არ უნდა გაწყდეს, რომ განვითარება არ შეჩერდეს. მემუარული საისტორიო მწერლობა ჩვენს ქვეყანაში სწორედ ამ დიად მიზნებს ემსახურება და მთლიანად აქეთკენაა მოწოდებული.

საბჭოთა მემუარული ლიტერატურის მთავარი ნიშანთვისებაა — მაღალი იდეურობა, სიმართლე, ყოველგვარი მოვლენის შეფასება პარტიულ პოზიციებიდან; მემუარებშია გადმოცემული ხანდაზმული ავტორის დიდი ცხოვრებისეული ცოდნა და მდიდარი გამოცდილება, რომელსაც იგი უზიარებს შთამომავლობას; ეს გამოცდილება კი ძვირფასი მემკვიდრეობაა საზოგადოდ ხალხისათვის. მემუარული ლიტერატურა — ესაა ცოცხალი მატიანე, რომელიც ხალხის გმირულ წარსულს ეხმაურება და აგრძელებს. მემუარული ჩანაწერები, დღიურები, მოგონებები და მონათხრობნი — ისტორიის თავისებური, სანდო წყაროა და დიდი ძეგლიც მშრომელთა ახალი თაობის იდეურად აღზრდისათვის.

* * *

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როცა გართულებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპი და თვით მოვლენებიც ელვისებურად ვითარდებიან, როცა ადამიანთა პირადი და საზოგადოებრივი ურთიერთობის ამსახველი ისტორიის საიმედო, ნაცად წყაროებს — ეპისტოლურ და ხშირად, ასევე დოკუმენტურ-ოფიციალურ მასალებსაც კი, ხშირ შემთხვევაში, — ტელეფონი და პირადი კონტაქტები სცვლიან, რომელნიც კვალს იშვიათად, სტოვებენ, ასეთ ვითარებაში ეპოქის ისტორიული პროცესის ამსახველი წყაროები ღარიბდება. ამიტომ დღეს უფრო იზრდება ახლებურად გაზრდილი მემუარული მწერლობის როლი და მნიშვნელობა საისტორიო მეცნიერების წინსვლისათვის. ეს ჟანრი თვისობრივად ახალი და ბევრად მიზანსწრაფული ხდება.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ მეორე მსოფლიო ომის ბედი გადაწყდა მოსკოვთან და ვოლგაზე, რომ კაცობრიობა ფაშისტური მონობისაგან გადაარჩინა საბჭოთა არმიამ. ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები აყალბებენ საბჭოთა ხალხის, მისი არმიის გმირული შრომის და ბრძოლის როლს ფაშისტური ტირანიის განადგურების საქმეში, აზვიადებენ ლენდლიზის მნიშვნელობას, ხოლო ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების არმიის დამარცხების მიზეზად ასახელებენ რთულ გეოგრაფიულ-მეტეოროლოგიურ პირობებს, უგზოობას და სხვ. მემუარულ წყაროებში — სახელოვანი საბჭოთა მარშლების — გ. ჟუკოვის, ი. კონევის, ა. გრეჩკოს, კ. როკოსოვსკის, ა. ვასილევსკის და სხვათა მემუარები ნიღაბს გლეჯენ ამგვარ სიყალბეს და, ამასთანავე, ააშკარავებენ უმაღლესი მთავარსარდლობის ფართო სამხედრო სტრატეგიულ ჰორიზონტს, სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა-გამოცდილებას და ფართო ერუდიციას.

სამამულო ომის ისტორიისადმი მიძღვნილი მემუარული ლიტერატურა დღითი დღე იზრდება და მრავლდება. აქ თავისი დამაჯერებელი და ავტორიტეტული სიტყვა თქვეს ქართველმა გენერლებმა, ოფიცრებმა რიგითი მებრძოლებმა და პარტიზანებმა. საზოგადოებრივი აღიარება ჰპოვა ვლ. ჯანჯღავას, გ. ყურაშვილის, ნ. კალაძის, დ. შანშიაშვილის, ნ. თავართქილაძის, დ. ბაქრაძის, ალ. კალანდაძის და სხვათა მემუარებმა, რომლებშიც ავტორები პირად დაკვირვებებსა, ფაქტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით გადმოგვცემენ დიდი სამამულო ომის მსვლელობასა და ხალხის მასების გმირულ თავდადებას. მემუარები ავსებენ და აზუსტებენ კიდეც დოკუმენტურ მასალას.

ომი უმთავრესად მრავალმხრივი, რთული მოვლენაა და მემუარული მასალის გარეშე თანამედროვე ომის სრულფასოვანი ისტორია არც შეიძლება შეიქმნას. ცხადია, ვერცერთი დოკუმენტური მასალა ვერ ასახავს სამხედრო მოქმედებათა იმ სირთულესა და დინამიურობას, სადაც ხშირად მეტად დიდმნიშვნელოვანი დირექტივა, განკარგულება და ბრძანება გაიცემოდა ზეპირად, ტექნიკის გამოყენებით — რადიოთი, ტელეფონითა და სხვა საშუალებებით. სწორედ აქ მემუარს განუზომლად დიდი როლი ენიჭება.

მემუარები მეორე მსოფლიო ომზე ბევრ ქვეყნებში გამოდის. მათ წერენ პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეები, ჟურნალისტები, ომში დამარცხებული ჰიტლერული გენერლები და ჯარისკაცები, მაგრამ ამ უკანასკნელთ შეუძლებელია მოსთხოვო კეთილსინდისიერება და ობიექტურობა. მათ საერთოდ არ იციან რა არის სინდისი.

საბჭოთა მემუარული წიგნი და მოგონებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებულები სწორად ასახავენ მოვლენებს და ხელს უწყობენ ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. სამხედრო მემუარების ავტორები ხშირად აღადგენენ და აცოცხლებენ სამამულო ომის ბევრ სხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც ნაკლებად, ან საერთოდ ვერ პოვეს ასახვა დოკუმენტებსა და პრესაში; ასეთებია, უმეტესად, საომარი მოქმედების პროცესში შექმნილი კონკრეტული მოულოდნელი შემთხვევებისა და გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო ადგილზე, მეთაურთა მიერ სასწრაფოდ მიღებული საჭირო გადაწყვეტილებანი, მათი შეთანხმება ტელეფონით ზემდგომი თანამდებობის პირებთან და, პირველ რიგში, უმაღლეს მთავარსარდლობასთან; ბევრი ამგვარი შემთხვევა მხოლოდ მემუარების წყალობით შემორჩა ისტორიას.

უაღრესად დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ასევე მემუარების იმ ციკლს, რომლებშიც ასახულია საზღვრებზე მტრის მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეული ვითარება, მესაზღვრეთა გმირული ბრძოლები ბრესტის და ბევრი სხვა სასაზღვრისპირა გამაგრებულ უბნებზე, რომელთა შესახებ ძალზე ცოტაა მასალები. სამხედრო მემუარების ავტორთა შორის არსებობს საერთო, ერთსულოვანი აღიარება საბჭოთა არმიის იდეური და მორალური ძლევამოსილებისა, ყველა ისინი გულისხმიერი, თბილი გრძნობებით გადმოგვცემენ ამბებს ჯარისკაცთა ვაჟკაცობაზე და თავდადებაზე საბჭოთა სამშობლოსათვის.

* * *

თითქმის გაბატონებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მაინცა და მაინც მოხუცებულობის ასაკში უნდა შეუდგეს კაცი მემუარების წერას, რომ მან თავის მეხსიერებაზე დაყრდნობით გაიხსენოს და ქაღალდზე გადაიტანოს ყველაფერი. მაგრამ ბალზაკის მოსწრებული შენიშვნით — „გაიხსენო — ეს ნიშნავს ხელახლავ განიცადო". მოხუცისთვის კი მისი ცხოვრების გრძელ გზაზე თავსგადახდილ და უკვე განცდილ საზოგადოებრივ და პირად ამბების ხელახლა განცდა, მისი სრულყოფით და სანდოდ აღდგენა-გახსენება, ბევრ გადაულახავ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, თუ საამისოდ თადარიგი და მოსამზადებელი წინასწარი სამუშაოები მას წლების მანძილზე მეთოდურად არა აქვს ჩატარებული, — თუ არ მოეპოვება დღიური ჩანაწერები ფაქტებსა და მოვლენებზე; მწერლობაში მემუარული ჟანრი ასევე ერთბაშად არ შექმნილა, მას წინ უძღოდა ქრონიკები, დღიურები და სხვ. ვინაიდან მემუარების ღირსება ამით განისაზღვრება, თუ რამდენად ობიექტური სისწორითაა განცდილი და ასახული მასში ცხოვრება, ისტორიული სინამდვილე, ამიტომ ბუნებრივია ავტორი მის შექმნაზე უნდა ზრუნავდეს, არა მხოლოდ მოხუცებულობაში, როცა მეხსიერება იშვიათადაა სრულყოფილი, არამედ თავისი ცხოვრების სიმწიფის დღეებიდანვე; ასე, მაგალითად, გერცენი ახალგაზრდობიდანვე შესდგომია ამგვარ სამზადისს. იგი გვაუწყებს: „ოცდახუთი წლისა ვიყავი, როცა რაღაც მოგონებების მსგავსი თხზულების წერა დავიწყე". ესაა სწორედ მასალა იმ ძვირფასი მემუარებისა, რომელიც გერცენმა დაგვიტოვა. იესე ბარათაშვილი თავისი მემუარების — „ცხოვრება-ანდერძის" წერას ორმოცი წლის ასაკიდან შესდგომია და ამის მოტივად მას ის მოჰყავს, რომ „ესე არს სრული კაცთა ბუნებისა აწინდელი სისრულე", მან თავის მემუარებს დღიური ჩანაწერები დაუდო საფუძვლად. იოანე ქართველიშვილი ოცდაცხრა წლის ასაკიდან იწყებს თავისი მემუარების წერას, ასევე დღიურ ჩანაწერებზე დაყრდნობით.

დღეს არავის არ შეუძლია უარყოს, რომ ქართული მემუარული ლიტერატურის გამოცემა მეტად საჭირო და საშური საქმეა; მაგრამ დასამალი არაა, რომ ქართული მემუარული ლიტერატურის დიდი ნაწილი, რომელიც ათეული წლების წინაა დაწერილი და არა ერთ ისტორიულ-ლიტერატურულ მოვლენას, ფაქტს ან ეპოქას გააცოცხლებდა, შუქს მოჰფენდა და მის შინაარსსაც გაამდიდრებდა, — საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი რჩება და მუზეუმებისა და სიძველეთსაცავების თაროებს ვერ გაშორებია. გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში — „ძვირფასი წყარო" ავტორის, სოლომონ ხუციშვილის მართებული შენიშვნით, სულ სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ მოძმე რესპუბლიკებში, კერძოდ რუსეთში, სადაც მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას აქვს სპეციალური — ლიტერატურული მემუარების სერია. ჩვენ ვიზიარებთ ავტორის აზრს, და მოვითხოვთ რომ ამისი მსგავსი სერია შეიქმნას საქართველოშიაც. ეს საჭირო და აუცილებელია, მას მეტად საინტერესო და საკმაოდ შრომატევადი საზრუნავ-სამოღვაწეო ასპარეზი გადაეშლება.

დასანანია, რომ დღემდე ჩვენში მემუარული ლიტერატურის გამოცემის საქმე სტიქიურ თვითდინებაზეა მინდობილი; ახლა კი მაინც ბოლო უნდა მოვუღოთ ამ ჩამორჩენას, ხსენებული სერიის დარსება, ეჭვი არ არის, იქცევა მძლავრ კერად ქართული მემუარული ლიტერატურული მემკვიდრეობის სამზეოზე გამოტანისათვის და საიმედო უჯრედადაც ამ ჟანრის მწერლობის ახალ, სოციალისტურ საფუძველზე შემდგომი აღორძინებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა მაღალაშვილი

# ბარბარე ჯორჯაძე

ძველი საქართველოს მწერალი-ქალების რიცხვი, რომელთა სახელები აღნუსხულია ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ძალზე მცირეა. და მარტო ჩვენში კი არა, ასეთი ვითარება იყო ყველა ქვეყანაში და ყველა საუკუნეში. ეს გარემოება ძნელი ასახსნელი არ არის და ამ თემაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი-ქალი, პოეტი თუ პროზაიკოსი, რომელსაც არც თუ უშედეგოდ და უნაყოფოდ უცდია თავისი კალამი, არ უნდა გავიმეტოთ დასავიწყებლად, არ უნდა დავუკარგოთ ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც მათ დასდეს სამშობლოს, მის კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას; კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ჩვენ გულდასმით გავეცანით როგორც მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ თხზულებებს, ისე არქივებში დაცულ ხელნაწერებს და მათი შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბარბარე ჯორჯაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ მრავალფეროვანი და, იმავე დროს, საინტერესო და საგულისხმოა, როგორც ეპოქის შესწავლის, ისე ლიტერატურის განვითარების შინაგანი კანონზომიერების ამოხსნის თვალსაზრისიც.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მაინცდამაინც განებივრებული არ მოჩანს: შეზღუდული ეროვნული ყოფა-ცხოვრება ვერ იძლეოდა ნოყიერ საზრდოს სულიერი კულტურის ამაღლებისათვის. ბრძოლის, ჭიდილის და ტკივილის ხანამ მაინც ვერ გაახმო „თესლი, ოდითგან ჩაგდებული ქართულ მიწაში“. ეს „თესლი კეთილი“ გაღვივდა და მისი შედეგი ყველამ დაინახა: სწორედ იმ ხანებში გამოჩნდნენ ვარსკვლავები, მარად რომ იბრწყინებენ ქართული პოეზიის ცაზე; საკმარისია აქ გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილი გავიხსენოთ. მის გვერდით მოღვაწეობდნენ სიტყვის შესანიშნავი ოსტატები — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი...

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ მწერლობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომავლის ძიების გზები დაისახა და ამ ძიებამ არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ საერთოდ ეროვნულ კულტურაში ფართო ასპარეზი მოიცვა. ბარბარე ჯორჯაძის სამწერლო მოღვაწეობაც ამ ეპოქის გამოძახილი იყო.

ბარბარეს ოჯახს — ერისთავების საგვარეულოს კარგი პოეტური ტრადიცია მოსდგამდა, რამაც განაპირობა ამ ოჯახის ასულის ლიტერატურული მოღვაწეობა.

ბარბარე ჯორჯაძის ლექსებში ეროვნული ტკივილებია ასახული. ლექსების ნაწილი საზოგადოებრივ მორალზე, მის განწმენდა-გაფაქიზებაზეა დაწერილი; პოეტი-ქალი ეხება სოციალურ საკითხსაც — იბრძვის ადამიანის ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ლექსები განმსჭვალულია უბრალო ადამიანისადმი სიყვარულისა და ჰუმანიზმის მაღალი გრძნობებით.

პოეტი-ქალი მკაცრად ჰკიცხავს მექრთამე მოსამართლეებს, ხარბ ადამიანებს, ძუნწებს, უსაქმურებს. მისი სატირული ხასიათის ლექსები ბრძოლის პათოსით არის აღსავსე.

ბარბარე ჯორჯაძის ლექსების ავტოგრაფები დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში; აქვეა მისი ბავშვობის დროინდელი ნაწარმოებებიც. პოეტ-ქალს თორმეტი წლის ასაკში დაუწყია ლექსების წერა, რაც ჩანს წარწერიდან ლექსზე „ალავერდის დღეობა“ — თორმეტი წლისამ დავწერე. — აღნიშნავს ავტორი.

ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ისტორიკოსი ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარბარე ჯორჯაძის „ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს სამმოქმედებიანი დრამა „შური", რომელიც, უნდა ითქვას, კარგად არის შესრულებული. აქ ახალი ეპოქის სუნთქვა არის ნაჩვენები, მთელი თავისი ზერელობით, უჰკუო წამბაძველობით და ფულის გაბატონებით...

ნაწარმოები გაცოცხლებულია ჩანართი ადგილებით, რომელნიც ეპოქის გასაგებად მეტად მნიშვნელოვან მომენტებს შეიცავენ... ფინანსური „არისტოკრატიის" ჩანასახიც კარგად არის ნაჩვენები". მკვლევარი აქვე აღნიშნავს, რომ მწერალი-ქალი გაბედულად იმაღლებს ხმას ბატონყმობის წინააღმდეგ

ბარბარე ჯორჯაძე განსაკუთრებულ უნარს იჩენს პროზაულ თხზულებებში. მრავალ მის ნაწარმოებში დახატულია საინტერესო ისტორიული ეპიზოდები. ეს ითქმის კერძოდ მოთხრობების იმ ციკლზე, რომელშიც იმამი შამილის შემოსევაა ასახული. მოთხრობებში ბევრი რამ ავტობიოგრაფიულია, სიუჟეტში ორგანულად არის ჩაქსოვილი ავტორის მოგონებანი. ეს მეტ სიცოცხლესა და კონკრეტულობას აძლევს ნაწარმოებს. საერთოდ, ამ მოთხრობებში ნათლად ჩანს ფაქტების ზედმიწევნით ცოდნა.

ბარბარე ჯორჯაძე თავისი დროის პოპულარული ფიგურა იყო. მისი პიესები ხშირად იდგმებოდა სცენაზე. მწერლის თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებში ვხვდებით ამ დადგმების დადებით შეფასებას: არა ერთი სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე ლექსი მიუძღვნეს მწერალ ქალს ქართველმა პოეტებმა. ჯერ მარტო დიდი აკაკის ლექსი იკმარებდა, რათა მარად დარჩენილიყო ამ მწერალი-ქალის ხსოვნა. ლექსში აკაკი ასე წარმოგვიდგენს ბარბარე ჯორჯაძის პორტრეტს:

სევდით სავსე სახედ ქალი,
გულში ალი ეკიდება
და წამწამებზედ კურცხალი
მარგალიტებრ ეკიდება.

იგი მცირე მარგალიტი
გრძელი ამბის შემცველია,
თვით დამდნარის გულის წვეთი
ვარდ-ლაწვების შემწველია.

ქართველის მწარე აწმყო ბედი,
გამქრალი ძველი დიდება
და მომავალი იმედი
მასში ერთად იხატება.

იმ ცრემლს ჰშობს წარსული ბედი,
აწმყო თვალსა მოაჩქერებს
და მომავალი იმედი
წამწამებზე შეაჩერებს.

მეც თანავგრძნობ მაგის შობას,
პატივსა-ვსცემ მოჩქერებას
და ტკბილ გრძნობით გამარჯვებას
მიულოცავ შეჩერებას.

აკაკი წერეთელმა ბარბარე ჯორჯაძე შეადარა ბარათაშვილის პოემის პერსონაჟს — სოფიო ლეონიძეს, იმ სახელოვან ქალს, რომელზედაც „ბედი ქართლისას" ავტორმა თქვა: „ჰოი დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნნო", აკაკი წერდა: „ის სოფიოები, რომლებზედაც გულდაწყვეტით ქვითინებს ბარათაშვილი, დღეს აღარსად არიან". შემდეგ აკაკი განაგრძობს: „ზოგი დიახ, ღირსი დედაკაცები არიან, რომლების რიცხვშიაც, ჩვენი აზრით, ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს ბარბარე ჯორჯაძეს. იგი კეთილად ამოქმედებს თავის გონებას და განსჭვრეტა საგნების რიგიანი და მართალი აქვს. დასამტკიცებლად ჩემი სიტყვისა წაიკითხეთ მისი ლექსი „დედა შვილს" და მაშინ მიბრძანეთ მართალს მოგახსენებთ თუ არა" (იხ. „დროება", 1868 წ. 19 იანვარი, № 3).

მარტო აკაკი როდი ფიქრობდა ასე — ეს საერთო აზრი იყო. გიორგი ანდრონიკაშვილმა 1861 წლის „ცისკრის" მარტის ნომერში დაბეჭდა „ლექსი კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას" და ასე მიმართა მწერალ-ქალს:

ივერიელ ქალთა შორის აღმოჩნდი
მწერლად,
რომლით ღირსი ხარ ტკბილსა სიმზედ
გვყვანდეთ სამღერლად.

ავტორი ბარბარეს „ქართული ენისა და ცისკრისა დამამშვენებელს" უწოდებს.

„ცისკარშივე" დაბეჭდა ივ. კერესელიძემ თავისი „გრემის ნაქალაქევი" (1861 წ. № 1) და მას წააწერა: „ვუძღვნი კნ. ბარბარე ჯორჯაძისას". ამ მიძღვნის სქოლიოში ვკითხულობთ: „ეს ჩვენი მწერალი ქალი კნ. ბ. ჯ. ჰსცხოვრობს ამ გრემის ნაქალაქევში, რომელიცა სოფლად გარდაქცეულა. ჩემს იქ მყოფობაში დიდი პატივი მომაპყრა და ყოველივე, რაც რამ შესანიშნავი საგანი იყო მაჩვენა, რომლისათვის დიდადა ვმადლობ".

„ივერიაში" ნ. დადიანმა გამოაქვეყნა, ბარბარე ჯორჯაძისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ბევრი კარგი უწერია, დიდის ხნიდან მოღვაწეობს, რიგს არ აკლებს არც მოთხრობას, ხან კამათშიაც იბრძვის, მხნეობს, მღერის ლექსს წყობილსა და ზოგჯერ დრამას მოაზრეობს..." აქ ბ. ჯორჯაძის მრავალმხრივი შრომის სურათია წარმოდგენილი: იგი ჩანს როგორც პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი. ამავე დროს აღნიშნულია, რომ მხნე მოკამათეცაა. აქ იგულისხმება მისი მონაწილეობა „მამათა და შვილთა" შეტაკებაში. ამ პოლემიკას ქვემოთ შევეხებით.

არქივში შემონახულია არაერთი დაუბეჭდავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძღვნა ბარბარესადმი. ზოგი მათგანი ხელმოუწერელია.

იმდროინდელი პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ბარბარე ჯორჯაძის პიესებს; გაზეთი „დროება“ (1879 წ. № 182) ერთად განიხილავს რ. ერისთავისა და ბ. ჯორჯაძის პიესებს („რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ და „იქვიანი“), ჯერ მსახიობთა თამაშზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას და აღნიშნავს: „განსაკუთრებით უფ. ვ. აბაშიძეს და ნ. გაბუნიას ქალს ბევრი ტაშის-კვრა და „ბრავო“ ეძლვნა იმ ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რომელიც მოგვცეს იმათ თავიანთი ჩინებული თამაშობით“. შემდეგ იქვე ვკითხულობთ:

„თვითონ პიესა ბ. ჯორჯაძისა ჩვენ ძალიან მოგვეწონა. მშვენიერის ენითაც, შინაარსითაც და სცენის მხრითაც ის არც ერთ ჩვენ გ. ერისთავის დროინდელ პიესებს არ ჩამოუვარდება უკან და ზოგიერთ იმათგანს ბევრითაც სჯობია“. რეცენზია ასევე მაღალ შეფასებას აძლევს რაფ. ერისთავის პიესას და მსახიობ საფაროვ-აბაშიძის თამაშს.

ამ დადგმას გამოეხმაურა „ცნობის ფურცელი“ (1898 წ. № 708), რომელმაც გამოაქვეყნა მ. ნასიძის რეცენზია. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ პიესა დაიდგა ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ: „ავტორი პიესისა, კნ. ბარბარე ჯორჯაძისა, შესანიშნავი ქალია ჩვენს მწერლობაში... იგი შესანიშნავია ისტორიულად: ბ. ჯორჯაძე გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ იმ დროს, როდესაც ჩვენი ახალი მწერლობა და მწიგნობრობა ფეხს იდგამდა, სამოციან წლებში და უფრო ადრეც; მას შემდეგ, ჩვენი ლიტერატურა გაიზარდა, ჰასაკში მოვიდა, ამიტომ უსამართლობა იქნება, წარმოვუდგინოთ ავტორს დღევანდელი მოთხოვნილებანი; „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ ჩინებულ პიესად უნდა ჩაითვალოს სამოციან წლებში. იგი არაფრით ჩამოუვარდება მაშინდელ გამოჩენილ კომედიებსა და დრამებს თ. გ. ერისთავისა და ანტონოვისას... გ. ერისთავმა თავის კომედიებით შექმნა სკოლა დრამატიულ მწერლობისა. აი, ამ სკოლის მოწაფეა კნ. ბარბარე ჯორჯაძეც“.

ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ ვახტანგ კოტეტიშვილის აზრი ბარბარე ჯორჯაძის პიესაზე „შური“. თავის დროზეც ამ პიესას ასეთივე დადებით შეფასებას აძლევდნენ. „ცისკარი“ აღნიშნავდა: „...17 თებერვალს წარმოდგენილი იყო „შური“, დრამა სამ მოქმედებად და ერთ სურათად, თხზულება კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. ამ ჩვენმა მწერალმა ქალმა, ჩვენს ლიტერატურას აჩუქა მახვილგონივრულად დაწერილი დრამაც, სადაც გამოყვანილია ყოველი ჩვეულება ახლანდელი საუკუნისა...“ „...წარმოდგენა დიდად მოეწონა ჩვენს საზოგადოებას, გათავების დროს შეიქმნა მაყურებელთა ტაშისკვრა და ძახილი, სადაც ისმოდა [illegible] ქალის ქებისა...“

სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძის შესანიშნავმა კრიტიკულმა წერილმა „რევაზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ დიდი მითქმა-მოთქმა და სერიოზული პოლემიკა გამოიწვია. ილიას ეს წერილი განახლების მაუწყებელი იყო; ამ პოლემიკაში ბარბარე ჯორჯაძემაც არ გაიზიარა ილიას პოზიცია და „მამების“ შეხედულების დაცვა მოინდომა; ახალგაზრდა თაობამ არ აპატია მას ეს გამოსვლა — მძაფრად გააკრიტიკეს მისი კონსერვატორული შეხედულებანი. საერთოდ, ჩვენს ლიტერატურაში ეს იდეოლოგიური შეხლა-შემოხლა გულდასმით არის შესწავლილი და ამიტომ მის შესახებ ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ბარბარე ჯორჯაძე დაიბადა 1811 წელს, სოფ. ქისტაურში (კახეთი). მშობლები — დავით რაფიელის ძე ერისთავი და ნინო ამილახვარი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანები იყვნენ. დავითსა და ნინოს ოთხი შვილი ჰყავდათ: რაფიელ ერისთავი — ცნობილი პოეტი, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე, ნანო ერისთავი-ჭავჭავაძე და სოსიკო ერისთავი. ამათგან მხოლოდ რაფიელს უსწავლია, სოსიკო სოფლის მეურნე ყოფილა. ნინო ძლიერ ახალგაზრდა გაუთხოვებიათ, ის გარდაცვლილა არდაგანში; მის სიკვდილს ბარბარე გამოეხმაურა სამგლოვიარო სტრიქონებით — „ჩემს დას — ნანო ჭავჭავაძეს“.

ბარბარესა და ზაქარიას სამი შვილი ჰყავდათ: ნოშრევანი, მიხეილი და მანანა. უფროსი ვაჟი — ნოშრევანი თვითნება და ჯიუტი ბიჭი გამოდგა, თორმეტი წლიდან გაექცა ოჯახს და დიდი საფიქრალი და საწუხებელი დაატეხა თავს.

1860 წელს რაფიელ ერისთავი ზუგდიდის დროებითი მმართველობის საბჭოს წევრი იყო, მისი სიძე ზაქარია ზუგდიდშივე მოსამართლედ მუშაობდა, ნოშრევანის სტუმრობას შეუწუხებია მამაც და ბიძაც: „აგვიკლო ნოშამამ“, წერდა რაფიელი დას.

რაფიელ ერისთავს დიდად გახარებია უმცროსი დისწულის დაბადება. ერთ ბარათში რაფიელი ხუმრობით წერს: „უსაყვარლესო დაო ბარბარე! რასა იქმ, საყვარელო. ლეკებმა ისე როგორ შეგაშინეს, რომ მაშინვე ქალი გაყოლეს, კარგი ბებიები ყოფილან.

სახელად რა ქვიან მაგ კახეთის თვალს — ქალსა? ორი ბატისტის ხელსახოცი მოგართვი და ერთი წყვილი ლაიკის პერჩატკები. არ ვიცი როგორ გამოგადგება ხელზე, ზომა კი არა მქონია. დუხზედ ნუ დამემდურები. — ჯიბეზედ მწყრალად გახლავარ.

ჩემო დისწულო, უსახელოვ, სე გასაქლობ ი ლოგოლი მობრძანდი ამ ქვეყნად. შე მჩხავა-

ნავ, მინამ წიგნს ალ მომწელ, დუხს ალ გამოგიგზავნი. შენი ბიძია".

პაწია გოგონას მანანა დაარქვეს. ის ჭკვიანი და მშვენიერი ქალი დადგა, შემდგომში ის მითხოვდა დიდ სპეციალისტს — პროფესორ გეხტმანს.

მეუღლის სიკვდილის შემდეგ ბარბარეს მკვიდრი სამყოფელი აღარ ჰქონია — იგი ხან თბილისში იყო, ხან თელავში; ბოლო წლებში უმცროს ვაჟთან, მიხეილთან ცხოვრობდა ლენქორანში, სადაც ძალიან უჭირდა უცხო გარემოში ყოფნა, ენატრებოდა კახეთი; ბარბარეს ეშინოდა უცხო მხარეში არ დამარხულიყო, ლექსში „ლენქორანი" ამ განწყობილებას გამოხატავს.

საერთოდ, ბარბარე ჯორჯაძეს მძიმე ოჯახური ცხოვრება ჰქონდა, ის მაინც არ სწყვეტდა ნაყოფიერ მუშაობას. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ძირითადად „ცისკარში", ცალკე წიგნადაც გამოსულა პიესა „შური", არის ორი გამოცემა მისი „სამზარეულო წიგნისა".

ბ. ჯორჯაძის ნაწერთა უმეტესი ნაწილი გამოუქვეყნებელია. მწერალი-ქალის ლიტერატურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნაწილი ჩვენ მოვამზადეთ გამოსაცემად ცალკე კრებულის სახით.

ერის სიყვარული და ეროვნული ტკივილი მის ყველა ლექსში ჩანს; მაგრამ სევდით შეპყრობილი რომანტიკოსი პოეტი სასოწარკვეთილი არ არის. მისი პოეტური ძალაც, მომავლის ნათელი რწმენაც სძლევს მის კაეშანს. მის ლექსებში მძლავრია იმედის ნაკადი, მისი გულწრფელი ნატვრა ის არის:

[illegible] მსწრფელ ბნელი გაგვინათლდეს
და აყვავდეს მთა და ველი...

მწერალი ქალი წინ ისწრაფვის, მისი იდეალები უფრო ნათელი, გამჭვირვალე ხდება, ის სევდის ბურუსს სძლევს და ნათელი მიზნებისადმი რწმენას ეუფლება; თერგდალეულთა განწყობილება, რომელსაც ადრე თავგამოდებით ებრძოდა ბ. ჯორჯაძე, მასში თანდათან ისადგურებს და იმარჯვებს. ჩვენი აზრით, ამისი ნათელი დადასტურებაა ლექსი „გაზაფხული". მწერალი სანატრელ მომავალს ხედავს, გრძნობს, რომ საჭიროა გამოფხიზლება, ამოქმედება:

თუმცა გაისმა ზარივითა ეს ხმა ძლიერი,
აღარ აღსდგებით? ხომ გათენდა და რაღას
ელით!

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ბარბარე ჯორჯაძე თანდათან უფრო და უფრო დაუახლოვდა თერგდალეულთა იდეურ პოზიციას და პროგრესული იდეალები გაიზიარა. ხალხისადმი სამსახური, მომავლის იმედი და მომავლისათვის ბრძოლა, — ეს იყო ძირითადი ამოცანა სამოციანელების მოღვაწეობაში.

საინტერესოა ბ. ჯორჯაძის მოგონებები, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, კერძოდ „შამილის ჯარის ჩამოსვლის დროს კახეთში, 1854 წ." მისი პუბლიცისტური წერილები გვარწმუნებს, რომ მწერალი ქალი ღრმა ინტერესს იჩენს როგორც ყოველდღიურ საზოგადოებრივი ცხოვრების შეცნობა-გაანალიზების საქმეში, ასევე შორეული ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების შესწავლაში. ამ მხრივ საინტერესოა მისი „რამდენიმე აზრი ეხლანდელს მდგომარეობაზედ" (დაიბეჭდა „ცისკარში", 1861 წ. № 1). „წარმოშობა არაგვის ერისთავთა და მიზეზი მათი კახეთში გადასახლებისა" („ცისკარი", 1862 წ. № 1) და სხვ.

ბარბარე ჯორჯაძე გარდაიცვალა 1895 წლის 11 აპრილს; „10 აპრილს ის გაემგზავრა ფაეტონით თბილისში და თფილისიდან აპირებდა შვილთან წასვლას ლენქორანში... დილით სადგურზე მოემზადნენ წასასვლელად, ავიდა თუ არა ეტლზე, კნეინას გულის ფრიალი აუტყდა და ბოლოს თავბრუ დაესხა. ბევრი ეცადნენ, მაგრამ კნეინა ვერაფერი გზით ვერ მოუბრუნებიათ. ამ დღეს საღამოთი გარდაცვალებული მოასვენეს თელავში", — აღნიშნავდა ჟურნ. „მწყემსი" (1895 წ. № 8). მწერალი ქალის გარდაცვალება დაუყოვნებლივ აცნობეს თბილისს ეს სამწუხარო ცნობა გაზეთებმა გამოაქვეყნეს 13 აპრილს. „ივერია" იმავე ხანებში აქვეყნებს წერილს „კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა", სადაც მიმოხილულია მისი ღვაწლი ქართული ლიტერატურის წინაშე.

„კვალი" ბეჭდავს ვრცელ ნეკროლოგს (№ 77), რომელიც მთავრდება ასე: „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მამულისა და ენის მოყვარე მწერალო ქალო, ბარბარე".

„ცნობის ფურცლის" ცნობით (1896 წ. 20 სექტემბერი) თელავში ი. დავითაშვილისა და ბ. ჯორჯაძის საფლავებზე ძეგლების დადგმისათვის სპეციალური კომისია შემდგარა, რომელიც აგროვებდა შემოწირულების თანხას. ამ საქმესაც კარგად გაართვეს თავი.

ქართული ჟურნალის „ცისკრის" დაუცხრომელი ქომაგი და აქტიური თანამშრომელი, საუკეთესო ქართული ტრადიციების ერთგული დამცველი, ერის მომავლის მოტრფიალე და მასზე მეოცნებე მწერალი ქალი ღირსია იმისა, რომ კვლავ გაიხსენოს დღევანდელმა მკითხველმა და მისი სახელი არ მისცეს დავიწყებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუმბურიძე

# ლექსიკონის მესაიდუმლე

აკაკი შანიძის სახელი დღეს საქართველოში ბავშვმაც კი იცის. მას ყველა იცნობს, როგორც ბრწყინვალე მეცნიერს, ლექსიკონის მესაიდუმლეს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და მამულიშვილს, ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელს, პრინციპულ და სპეტაკ მოქალაქეს.

აკაკი შანიძე იყო ჩვენი ერის დიდი თავკაცის ივანე ჯავახიშვილის უახლოესი თანამშრომელი, ერთ-ერთი აქტიური წევრი ქართველ მეცნიერთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისა, რომლის შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლის შედეგად დაარსდა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის კედლებში აკაკი შანიძემ, გიორგი ახვლედიანთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ქართულ საენათმეცნიერო სკოლას, რომელმაც საყოველთაო აღიარება პოვა. უშუალოდ აკაკი შანიძის სახელთან დაკავშირებულია ქართული მეცნიერების ბევრი ბრწყინვალე ფურცელი, ქართული კულტურის ბევრი მნიშვნელოვანი წარმატება. ის ქართული ენის ბუნების სწორუპოვარი მკვლევარია, რომელმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართველოლოგიური კვლევა-ძიება.

ყოველივე ამით მოიხვეჭა აკაკი შანიძემ ხალხის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა, რომლის მსგავსიც იშვიათად რგებია წილად რომელიმე მეცნიერს და რომელიც ყველაზე დიდი ჯილდოა საერთოდ ადამიანისათვის. რაც შეეხება ოფიციალურ ჯილდოებსა და საპატიო წოდებებს, დიდ მეცნერს არც ისინი აკლია: დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებანი აგრეთვე ფრ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის (გდრ) საპატიო დოქტორის წოდება. ის არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი, 1948—1950 წლებში იყო ამ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ერთი ცნობილი მწერალი ამბობს, პატარა სოფელს მაშინ გაუვარდება სახელი, როცა იქ დიდი ომი მოხდება, ან დიდი პიროვნება დაიბადებაო. სწორედ ასეთი ბედი ჰქონია გურიის პატარა სოფელს — ნოღას, რომლის სახელიც ასი წლის წინათ მხოლოდ საჯავახოელებმა იცოდნენ. ამ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი გლეხი გაბრიელ შანიძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა იობ შარაშიძის ასული ეფიზო.

ამ დროისათვის უკვე აღარავის ახსოვდა, რომ შანიძეები გურიაში სამხრეთ საქართველოდან იყვნენ მოსული და მათი გვარის ძველი ფორმა იყო შაინიძე; შაინი ანუ შაჰინი კი თეთრ ქორს ნიშნავს, ასე რომ გვარი შანიძე (შაინიძე) მნიშვნელობით იგივეა, რაც ქორიძე.

95 წლის წინათ, 1887 წლის 26 თებერვალს გაბრიელსა და ეფიზოს მეოთხე ვაჟიშვილი შეეძინათ. ქალიშვილის მონატრულ მშობლებს ისევ ვაჟის შეძენა მაინცდამაინც არ გახარებიათ. ბავშვს აკაკი დაარქვეს. სულმნათი მგოსანი აკაკი წერეთელი იმ დროს მხოლოდ 46 წლისა გახლდათ, მაგრამ უკვე გარემოსილი იყო ხალხის საყოველთაო სიყვარულით; რის ერთ-ერთ გამოხატულებასაც წარმოადგენდა მისი სახელის გაზშირება ქართველი ბავშვების სახელად:

ახალშობილის ბედის გასაგებად ალბათ კარაბადინი და სამთვარიოც გაჩხრიკეს, მაგრამ მაშინ ვის შეეძლო იმის გამოცნობა, რომ ეს ბავშვი დიდი მეცნიერი გახდებოდა და ბიბლიურ ასაკს მიაღწევდა, რომ მას ქართული ენის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნების საიდუმლოთა ახსნა და მრავალი აღმოჩენა ელოდა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამომზეურებული მეთორმეტე საუკუნეში გადაწერილი ერთი ასტროლოგიური ტრაქტატი, რომელიც შემდეგ სწორედ აკაკი შენიძემ გამოსცა. მასში თევზის ეტლზე, ანუ თებერვალში დაბადებულის შესახებ ნათქვამია: „ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირ-კეკლუცი და შესახედავად შუენიერი, ასო-კეკლუცი, ხორც-წმინდა და თეთრი, ცნობილი და სიტყუაწყლიანი... ლუაწლის მოყუარე და ბრძენი, ანუ მართალი“. ალბათ აკაკი შანიძე მეთორმეტე ან მეოცე დარაჯაზე დაბადებულა, რადგან „ვინცა მეთორმეტესა და მეოცესა დარაჯასა ზედა იშვას, ბედიანი იყოს“.

პატარა აკაკი თავის მშობლიურ ნოლაში იზრდებოდა და სოფლის სამრევლო სკოლაში სწავლობდა. იმ დროს არც მან და არც სხვამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რამდენპირიანი იყო ქართული ზმნა, ხოლო გრამატიკის ერთ ძველ სახელმძღვანელოში ყოველგვარი ხუმრობის გარეშე ეწერა: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონიო“. მაგრამ გურიის პატარა სოფლის ეზოსა და ორღობეში, ყანასა და მინდორში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, შინ და გარეთ, წამდაუწუმ ისმოდა „თავს შემოგევლე“ და „კაი დაგემართა“, „ამოუწყდა ოჯახი“ და „ჩვენი ჭირიც წაულია“; აქაც კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანს“: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ-ჩავაკარაბაკე“, წიგნსა და გაზეთს აქაც მოჰქონდა პოეტის სიტყვები: „მივეხმატკბილე ჩიტუნას“ და „შენს მიწას მიმაბარეო“, აქაც ზეპირად იცოდნენ „არსენას ლექსი“: „ამის ღვინო ჩამომისხით, მისვით მშიერ სალდათებსაო“. ეს სავსებით კანონიერი ზნები, ეს ბუნებრივი ქართული გამოთქმები ყურს უხედნიდნენ მომავალ მკვლევარს და ამზადებდნენ მას თავისი ბუნების საიდუმლოთა ამოსაცნობად.

სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ათი წლის აკაკი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, რომელიც 1904 წელს დაამთავრა და სწავლა განაგრძო კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მესამე კლასში მიიღეს. მეხუთე კლასი რომ დაამთავრა, საგანგებოდ მოემზადა, მეექვსე კლასი გამოტოვა და მეშვიდეში დაიჭირა გამოცდები.

გიმნაზიაში სწავლისას შეხვდა აკაკი შანიძე თავის სახელოვან სეხნიას — აკაკი წერეთელს, რომლის იუბილეც 1908 წელს დიდი ზეიმით აღნიშნა მთელმა საქართველომ. ქუთაისში გამართულ საიუბილეო საღამოზე გიმნაზისტებმა მგოსანს საჩუქრად მიართვეს მისივე სურათი, დახატული მერვე კლასის მოსწავლის, შემდგომში გამოჩენილი მხატვრის, დავით კაკაბაძის მიერ. მის უკანა მხარეს კი მოთავსებული იყო იმავე კლასელის აკაკი შანიძის ლექსი:

ჩაფიქრებულა მგოსანი,
შავი ფიქრებით მოცული,
თვალწინ ეხატვის სამშობლო,
მტერთაგან გარემოცული.
მაგრამ ეს მას არ აწუხებს:
თუ ხეს ფესვი აქვს მაგარი,
მას ვერ წააქცევს გრიგალი,
ვერც არას აწყენს ავდარი.
გარეშე მტერი რას იზამს,
თუ შიგნით ყველა მზად არი,
დაიცვას თავის სამშობლო,.
ტურფა ედემის სადარი...

რამდენიმე დღის შემდეგ, 1909 წლის 8 იანვარს, პოეტი მიიწვიეს გიმნაზიაში, სადაც ის ერთ დროს თვითონაც სწავლობდა. აქ მოხსენება მისი შემოქმედების შესახებ წაიკითხა აკაკი შანიძემ, რომელიც ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკასაც გადასწვდა. ამას დამსწრეთა მხურვალე მოწონება გამოუწვევია, მაგრამ ოფიციალური პირნი კი აღშფოთებულან და ა. შანიძე კინაღამ გიმნაზიიდან გაურიცხავთ. საბოლოოდ საქმე იმით დამთავრდა, რომ მას ყოფაქცევაში სამიანი დაუწერეს და საყვედურიც ზედ მიაყოლეს.

ა. შანიძემ გიმნაზია დაამთავრა 1909 წელს და, იმავე წელს. ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც იმ დროს ლექციებს კითხულობდნენ სახელგანთქმული მეცნიერები: ვ. ჟუკოვსკი, ი. ბოდუენ-დე-კურტენე. ლ. შჩერბა, ი. კრაჩკოვსკი, ვ. ბარტოლდი. ნ. ადონცი და სხვები. სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრას განაგებდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორი ნიკო მარი. აქვე მოღვაწეობდა სულ მთლად ახალგაზრდა პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. ისინი ენერგიის დაუშურველად მუშაობდნენ ნიჭიერ ქართველ სტუდენტებთან, რომელთაგანაც ბევრი შემდგომში ცნობილი მეცნიერი გახდა: იოსებ და დავით ყიფშიძეები, ვუკოლ ბერიძე, იუსტინე აბულაძე, გიორგი ჩიტაია, ვლადიმერ ფუთურიძე, გიორგი ჩუბინაშვილი. კარპეზ დონდუა, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები.

1908 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც საფუძველი ეყრებოდა მომავალი ქართული სამეცნიერო კადრების მომზადებას და მოხსენებები ქართულად იკითხებოდა.

1911 წ. ა. შანიძე აირჩიეს ამ სამეცნიერო წრის გამგეობის თავმჯდომარედ. 1912-18 წლებში წრემ ანკეტები დაუგზავნა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს, რათა დაედგინა მათი რაოდენობა, მომავალი პროფესია, ეკონომიური მდგომარეობა და სხვ. ი. ჯავახიშვილს ამ დროს უკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე შეგროვილი ჰქონდა ცნობები რუსეთსა და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შესახებ. ამ გზით, ცხადია, დიდი ქართველი მამულიშვილი წინასწარ სინჯავდა ნიადაგს ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის.

1915 წელს ხსენებულმა წრემ თბილისში ქართულ ენაზე გამოსცა სამეცნიერო წერილების კრებული, სადაც მოთავსებულია ა. შანიძის წერილიც — „ქართული კილოები მთაში". ა. შანიძის ეს ერთ-ერთი პირველი ნაშრომი საერთოდ პირველი სპეციალური გამოკვლევა იყო ქართული ენის კილოების შესახებ, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ დიალექტოლოგიას. ნაშრომი ემყარებოდა მდიდარ მასალას, რომელიც შეკრიბა ავტორმა სამეცნიერო მივლინებების დროს, 1911-1913 წლებში, როცა ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო.

ახალბედა მკვლევარის მუშაობის ხასიათზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მისი იმდროინდელი წერილები ნიკო მარისადმი. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც 1913 წლის 8 ივლისით არის დათარიღებული და ახლახანს გამოაქვეყნა პროფ. ი. მეგრელიძემ, აკაკი შანიძე თავის მასწავლებელს აცნობებს:

„მთიულეთის საქმეს „ვათავებ" და ზეგ მივდივარ მოხევეებში, რამდენადაც ვატყობ, მთების საქმეს ენკენისთვემდე ვერ მოვრჩები.

გუდამაყრიდან რომ გამოვედი, სამი დღე ქვემო მთიულეთში დავჰყავ და ზემო მთიულეთისაკენ გამოვეშურე. ჯერ ვესტუმრე ხადის ხეობას, სადაც ერთი კვირა დავჰყავი და ახლა (დღეს მესამე დღეა) ქვემო მთიულეთში ვარ. ჩავსწერე ლექსები, სიმღერები, ცოტაოდენი პროზაც და ხვალ დავამთავრებ ლექსიკონის გადასინჯვას. ლექსიკონის გადასინჯვა მეტად ბევრ დროს თხოულობს. რაიმე სიტყვის მნიშვნელობა რომ გინდა გაიგო, ერთი საათი უნდა ელაპარაკო, ასეც დაუსვა კითხვა და ისეც... კილოს დასახასიათებლად მაქვს ჩაწერილი ცოტაოდენი პროზაც. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ჩემს მიერ ჩაწერილი ოდნავადაც ვერ გამოჰხატავს ნამდვილ სახეს მთიულურისას. ნამდვილი ენა თუ გნებავთ, უნდა უსმენდეთ, როცა ისინი ერთ-ურთს ელაპარაკებიან. როცა ჩემთან საუბრობენ, — ამან მომიკლა გული! — ცდილობენ „კარგად" სთქვან და ჩაურთვენ და ჩაურთვენ საუბარში ბარულს, რა მეშველება და რაა ჩემი წამალი რომ არ ვიცი!"

სხვათა შორის, ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის დროს ა. შანიძე რამდენჯერმე შეხვდა ვაჟა-ფშაველას, დიდ მგოსანთან ერთად მოიარა ფშავის სოფლები და გაეცნო ლაშარის ჯვრის მეტად საინტერესო დოკუმენტებს, რომლებიც სოფელ ახადში ერთი ხევისბერის ოჯახში აღმოჩნდა დაცული.

ხევსურეთში შეკრებილი ხალხური პოეზიის ნიმუშები შემდგომში საფუძვლად დაედო „ხევსურული პოეზიის" ბრწყინვალე გამოცემას, რომელიც ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციის მისაბაძ ნიმუშად იქცა.

1918 წელს ა. შანიძემ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და ნ. მარის რეკომენდაციით იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად (ე. ი. ასპირანტად). ორი წლის განმავლობაში მან ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და შეუდგა გამოკვლევის ბეჭდვას ქართული ზმნის პრეფიქსების შესახებ, რომელიც სამაგისტრო დისერტაციად ჰქონდა გათვალისწინებული.

ქართული ზმნის პრეფიქსების — პირის ნიშნების — ფუნქციის დადგენა იყო ახალგაზრდა მეცნიერის პირველი დიდი წარმატება, ნამდვილი აღმოჩენა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ზმნის სტრუქტურის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. ამ აღმოჩენამდე მკვლევარი მთის კილოებზე, კერძოდ — ხევსურულზე, დაკვირვების შედეგად მივიდა.

ეს გამოკვლევა იბეჭდებოდა პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, რუსულ ენაზე, მაგრამ მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ამას მოჰყვა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური მოვლენები, რუსეთის ორი რევოლუცია, რამაც არსებითად შეცვალა ვითარება მთელ მსოფლიოში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციისთანავე ივანე ჯავახიშვილი შეუდგა აქტიურ მოქმედებას თავისი დიდი ხნის სანუკვარი იდეის განსახორციელებლად — ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად. უკვე 1 მარტს მან თავის ბინაზე მოიწვია პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ლომია და რამდენიმე სხვა პირი. ამ ისტორიული კრების მსჯელობის ერთადერთი თემა იყო ქართული უმაღლესი სკოლის გახსნა.

იმავე წლის აპრილის დამდეგს ი. ჯავახიშვილი დაბრუნდა საქართველოში და უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ცენტრმაც თბილისში გადმოინაცვლა. რამდენიმე კვირის შემდეგ ა. შანიძეც აქეთ მოეშურება. ძალზე დამახასიათებელია მისი წერილი ი. ჯავახიშვილისადმი, რომელსაც ის პეტროგრადიდან ატყობინებს: „მე ამ თვის დამლევს ვაპირებ წამოსვლას. რადგანაც ბილეთებზე დიდისაგან დიდი თავისა და ცხვირ-პირის მტრევაა და რადგანაც, სულერთია, პირველსა და მეორე კლასში ახლა უკვე დასაძინებელი ადგილები მოსპეს, ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის მესამე კლასის ბილეთი ავიღე 30 აპრილისათვის. ძალიან მომეჩქარება სამშობლოში დაბრუნება და სულ რომ ფეხზე დგომა მომიხდეს, მაინც წამოვალ მესამე კლასით".

როგორც ცნობილია, ქართველ მეცნიერთა თავდადებული ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა და 1918 წლის 8 თებერვალს თბილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა. მისი დაარსება და მთელი ისტორია ექვს ათეულ წელზე მეტია განუყრელად არის დაკავშირებული აკაკი შანიძის სახელთან. ის შედიოდა უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში, 1919 წლიდან ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას, ხოლო ამ კათედრის ორად გაყოფის შემდეგ, 1945 წლიდან დღემდე, უცვლელად განაგებს ძველი ქართული ენის კათედრას. 1918—1920 წლებში ა. შანიძე იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი, შემდეგ — პროფესორთა საბჭოს მდივანი; 1919—1922 წლებში განაგებდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას; ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო ორგანოს — „მოამბის" გამოცემას. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი დისერტაციის დაცვა უნივერსიტეტში, პირველი სამეცნიერო მივლინება, პირველი ექსპედიცია და სხვ. მას პირველს მოუხდა არაერთი საუნივერსიტეტო კურსის ჩამოყალიბება და ლექციების წაკითხვა ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა ძველი ქართული ენა, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართული დიალექტოლოგია. სვანური ენა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა და სხვანი.

1920 წ. უნივერსიტეტმა გამოსცა ა. შანიძის ფუნდამენტური გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში", რომელიც ადრე რუსულად უნდა დაბეჭდილიყო პეტერბურგში. ეს ნაშრომი ავტორმა წარუდგინა პროფესორთა საბჭოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და ბრწყინვალედ დაიცვა იგი 1920 წლის 9 მაისს. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ი. ჯავახიშვილი და გ. ახვლედიანი. ეს იყო პირველი დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტში და საერთოდ პირველი დისერტაცია, რომლის დაცვაც ქართულ ენაზე შედგა. საგულისხმო და ხაზგასასმელია, რომ თვითონ ამ შრომის საგანიც ქართული ენა იყო. ამ გამოკვლევამ ნათელი გახადა ქართული ზმნის სტრუქტურა, მისი მრავალპირიანობა, რაც საფუძვლად უდევს ზმნის მრავალ სპეციფიკურ კატეგორიას. ამ ნაშრომით იწყება ახალი ეტაპი ქართული ენის მეცნიერული კვლევის საქმეში.

ა. შანიძემ პირველმა განიხილა მთელი სიგრძე-სიგანით და მეცნიერული სიღრმით როგორც ქართული ზმნის პირი, ისე სხვა ძირითადი გრამატიკული კატეგორიები, მათ შორის რამდენიმე კატეგორია უშუალოდ მის მიერ არის დადგენილი.

ქართული ენის მორფოლოგიის დარგში მეცნიერის ნაყოფიერი კვლევის შედეგები შეჯამებული სახით წარმოდგენილია მის გრამატიკაში, რომელიც პირველად 1980 წელს გამოიცა. შემდგომში ავტორმა ახალი მონაცემებით, ახალი კვლევა-ძიების შედეგებით გაამდიდრა ეს წიგნი, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა (1942—1948, 1953, 1973, 1980 წლებში). ეს უზარმაზარი, თითქმის შვიდასგვერდიანი ნაშრომი — „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია)" ნიადაგსახმარი წიგნია ყველასათვის, ვინც კი დაინტერესებულია ქართული ენის შესწავლით.

ამ ნაშრომის საფუძველზე ავტორმა შექმნა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის და უკვე მრავალი წელია ქართული ენის მორფოლოგია ჩვენს უმაღლეს სკოლაში ამ სახელმძღვანელოთი ისწავლება. კიდევ უფრო დიდი ხანია, რაც ქართული ენა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) და ძველი ქართული ენა და ლიტერატურა საშუალო სკოლაში ისწავლება ა. შანიძის ავტორობითა და თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოებით.

ფრიად მნიშვნელოვანია იუბილარის ღვაწლი არა მარტო მორფოლოგიის საკითხების, არამედ ქართული ენის ფონეტიკის. ლექსიკოლოგიის, სინტაქსის, დიალექტოლოგიის. სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევის დარგში. ამ მხრივ მისი დამსახურების უბრალო აღნიშვნაც კი დიდ დროსა და ადგილს მოითხოვდა. შეუძლებელია, რომ ამ რიგის ნაშრომთაგან არ გამოვყოთ და არ დავასახელოთ მაინც ისეთი ბრწყინვალე გამოკვლევები, როგორიცაა „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის", „ჯ. ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში" „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში", „ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში" და სხვანი.

1936 წელს გამოიცა ა. შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა", რომელიც განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ჩვენი უმაღლესი სკოლისათვის. მას დიდი მოწონებით შეხვდა ყველა, ვინც კი დაინტერესებულია ძველი ქართული ენის შესწავლით.

საერთოდ, ძველი ქართული ენის მეცნიერული შესწავლისა და უმნიშვნელოვანეს ძეგლთა გამოცემის საქმეში ჩვენს დიდ მეცნიერს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი. მან ღირსეულად განაგრძო, გააფართოვა და გაალრმავა ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემის შესანიშნავი ტრადიცია, დანერგილი აკადემიკოს ნიკო მარის მიერ.

მეცნიერის ინტერესი ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაცხოველდა მას შემდეგ, რაც ი. ჯავახიშვილმა გამოავლინა და ნაწილობრივ ამოიკითხა კიდევ უძველესი ქართული პალიმფსესტები, რომლებიც მე-5-7 საუკუნეებს მიეკუთვნება და დიდი ენობრივი არქაულობით ხასიათდება. ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქართული კულტურის ისტორიისათვის. სხვათა შორის, პალიმფსესტებში ზმნის მეორე სუბიექტური პირისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ობიექტური პირის ნიშნად გამოვლინდა ხ (ხან) პრეფიქსი, რითაც ბრწყინვალედ დადასტურდა ვარაუდი ამ პრეფიქსის არსებობის შესახებ უძველეს ხანაში, გამოთქმული ა. შანიძის მიერ, ნაშთის სახით შემორჩენილი ორიოდე ზნის ანალიზის საფუძველზე.

იმ დროს, როცა ი. ჯავახიშვილმა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე (1928 წლის 10 თებერვალს), აკაკი შანიძე თბილისში არ იმყოფებოდა. ის პროფ. კ. კეკელიძესთან ერთად გაგზავნილი იყო ექსპერტად, რათა რუსეთის სიძველეთსაცავებში გამოევლინებინათ და საქართველოში დაებრუნებინათ სხვადასხვა დროს გატანილი ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, მათ შორის ხელნაწერები.

ი. ჯავახიშვილის დიდი აღმოჩენის ამბავი ა. შანიძემ გ. ახვლედიანის წერილით შეიტყო პეტროგრადში და მაშინვე მოაგონდა ერთი ადგილი გიორგი მთაწმიდელის ანდერძიდან, სადაც ხანმეტი და საბაწმიდური სახარების შესახებ იყო საუბარი. ტერმინი „ხანმეტი" გაუგებარი იყო და დავას იწვევდა მეცნიერთა შორის, ახლა კი აშკარა გახდა, რომ ეს ტერმინი სწორედ ისეთ ხელნაწერებს გულისხმობდა, სადაც ხ (ხან) პრეფიქსი მერმინდელი ნორმების თვალსაზრისით „ზედმეტად" იყო ნახმარი. ამ თემაზე ა. შანიძემ საგანგებო მოხსენება წაიკითხა, რის შემდეგაც ტერმინი „ხანმეტი" კვლავ აღდგა თავისი სრული უფლებით.

სულ მალე ა. შანიძემ აღმოაჩინა პალიმფსესტი, რომელსაც ხანის ნაცვლად ზმნაში პირის ნიშნად ჰ (ჰაე) პრეფიქსის ხმარება ახასიათებდა. მკვლევარმა ამოიკითხა და გამოსცა ორ ნაწილად გაყოფილი ეს პალიმფსესტი, რომელსაც „ხანმეტის" ანალოგიით „ჰაემეტი" ეწოდა.

ხანმეტი ტექსტებიდან ა. შანიძემ გამოსცა ე. წ. ხანმეტი მრავალთავი, რომლის ფრაგმენტებიც დაცული აღმოჩნდა რუსეთიდან ახლად რეევაკუირებულ ერთ-ერთ ხელნაწერში. იგი ფასდაუდებელი მნიშვნელობის ძეგლია უძველესი პერიოდის ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მოცულობისა და შინაარსის გასათვალისწინებლად.

ამას მოჰყვა ავსტრიის ქალაქ გრაცში დაცული ქართული ხელნაწერების პუბლიკაცია, მათ შორის ხანმეტი ლექციონარისა, რომელიც ჯერჯერობით ცნობილი ერთადერთი ხანმეტი ხელნაწერია, პალიმფსესტს რომ არ წარმოადგენს და პირვანდელი სახით არის ჩვენამდე მოღწეული.

ა. შანიძემ შექმნა მთელი სერია „ძველი ქართული ენის ძეგლებისა". ამ სერიაში და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომებში" მან გამოამზეურა ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორიცაა ხანმეტი მრავალთავი, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ოშკის ბიბლია, სინური მრავალთავი, ჰილ-ეტრატის იადგარი, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი და სხვანი. ყველა ეს გამოცემა აღჭურვილია ბრწყინვალე სამეცნიერო აპარატით, ლექსიკონით, ვრცელი გამოკვლევებით.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ბოლნისის, ჯვარის, წყისის, მანგლისის, კოშის, გრემის, ხუნამისის და ბევრი სხვა ისტორიული ძეგლის წარწერათა შანიძისეული გამოცემები.

ამ უზარმაზარ საქმესთან ჭიდილის დროს მკვლევარს უთუოდ სამაგალითოდ თვალწინ ედგა და ჭირს უმსუბუქებდა აჩრდილი დიდი წინაპრებისა, მათ შორის ეფთვიმე მთაწმიდელისა, რომლის შესახებაც მისი ბიოგრაფი, მეორე დიდი მოღვაწე და მეცნიერი გიორგი მთაწმიდელი ამბობს: „ყოველი ზრუნვაი და საურავი მას ეტვირთა"... და კვალად სამასისა სულისა ზრუნვაი და დიდისა ლავრისა განგებაი და მთაწმიდელთა უფროსნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურვებოდეს და თვისსა კანონსა დიდსა და მძიმესა ძლიერად აღასრულებდა. და ამის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ ყოვლადვე იჴირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა".

აკაკი შანიძე გამოჩენილი რუსთველოლოგია. ამ მხრივ მას იმდენი რამ აქვს გაკეთებული, რომ ერთ მეცნიერს სახელად მარტო ესეც ეყოფოდა. მან აღადგინა „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემა, რომელიც 1712 წელს განხორციელდა ვახტანგ მეექვსის რედაქციით. ამ გამოცემას მკვლევარმა უძღვნა საგანგებო გამოკვლევა, სადაც საბოლოოდ გაარკვია მისი რაობა.

ა. შანიძის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა პოემის რამდენიმე გამოცემა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტი, გამოცემული ძირითადი ვარიანტებისა და კრიტიკული აპარატის დართვით 1966 წელს (ალ. ბარამიძესთან ერთად).

ა. შანიძე ავტორია ათეულობით გამოკვლევისა „ვეფხისტყაოსნის" ენის საკითხებზე, რომლებიც ერთ მოზრდილ ტომს შეადგენს. მათში განმარტებულია პოემის არაერთი ბუნდოვანი ადგილი და გასწორებულია მრავალი დაზიანებული ტაეპი.

ა. შანიძე, ი. აბაშიძესა და გ. წერეთელთან ერთად, იყო წევრი იმ სამეცნიერო ექსპედიციისა, რომელმაც 1960 წელს იერუსალიმიდან ჩამოიტანა რუსთველის ფრესკული პორტრეტი და ახლებურად წარმოგვიდგინა პოეტის ბიოგრაფიის ზოგი საკითხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. შანიძის ხელმძღვანელობით იქნა შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, რამაც დიდად შეუწყო ხელი თხზულების ენისა და ტექსტის გაცხოველებულ კვლევა-ძიებას. მან შეადგინა უკვდავი პოემის ლექსიკონიც.

მკვლევარმა სანიმუშოდ შედგენილი ლექსიკონები დაურთო თავის მიერვე გამოცემულ ძველ ქართულ ძეგლებს. აქვე აღსანიშნავია ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ლექსიკონის შედგენა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ორი გამოცემა (პროფ. ი. ყიფშიძესთან და პროფ. ილია აბულაძესთან ერთად), მრავალრიცხოვანი ეტიმოლოგიური ძიებანი.

ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნა ა. შანიძემ ქართული მწერლობის ისეთ გამოჩენილ წარმომადგენელთა ენას, როგორიც არიან გიორგი მთაწმიდელი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვები.

ჩვენი დიდი მეცნიერი დაუცხრომლად ზრუნავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მოსაწესრიგებლად. ის ამ ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრია და არაერთი ნორმის პროექტის ავტორი.

ასე რომ, მან ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენის კვლევის ყველა სფეროში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში არავის მიუძღვის ისეთი დიდი დამსახურება, როგორიც აკაკი შანიძეს.

გამოჩენილი მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობს ქართული ენის განშტოებებსაც — სვანურსა და კოლხურს (მეგრულ-ჭანურს). გავიხსენოთ თუნდაც მისი „უმლაუტი სვანურში“, რომელიც სათაურის მიხედვით თითქოს ერთ ვიწრო ფონეტიკურ მოვლენას ეხება, მაგრამ სინამდვილეში იძლევა გასაღებს მრავალი მორფოლოგიური საკითხის ასახსნელად და გადასაწყვეტად. ამ ნაშრომით, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა, იწყება ახალი ეტაპი სვანური ენის კვლევა-ძიების გზაზე.

ასევე ფასდაუდებელია ა. შანიძის ხელმძღვანელობითა და თანარედაქტორობით გამოცემული სვანური პოეზიისა და პროზის სქელტანიანი ტომები, სვანური ანდაზები. მანვე გამოსცა საინტერესო მეგრული ხალხური ეპოსი „ქალვაჟიანი“.

ა. შანიძე არა მხოლოდ ქართულისა და სხვა ქართველურ ენათა უდიდესი სპეციალისტია, ის არის უაღრესად ფართო ინტერესების მქონე მეცნიერი-ფილოლოგი, რომლის კვლევის სფეროში შედის კავკასიური ენები, სემიტური ენები, სომხური, სპარსული და სხვა ინდოევროპული ენები, ლიტერატურის დარგები, ფოლკლორისტიკა, ისტორია, ეთნოგრაფია. საყოველთაოდ ცნობილია მისი დამსახურება კავკასიის ალბანელთა დამწერლობის შესწავლის მხრივ.

ა. შანიძე, საერთოდ, ხუთასზე მეტი ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის რამდენიმე ათეული წიგნი და სქელტანიანი მონოგრაფია. მისი თხზულებანი ამჟამად გამოდის 12 ტომად. უკვე გამოიცა ორი ტომი და მალე გამოვა მესამე, რომელიც დღემდე გამოუქვეყნებელ მდიდარ დიალექტოლოგიურ და ლექსიკოლოგიურ მასალას შეიცავს. ამ ტომების სასტამბოდ მომზადებაზე გატაცებით მუშაობს ხანდაზმული მეცნიერი.

ბუნებამ ბატონ აკაკის ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ხანგრძლივი სიცოცხლეც უბოძა და ხანდაზმულობის წლებშიც შეუნარჩუნა მხნეობა და ნაყოფიერი მეცნიერული შრომის უნარი. 84 წლისამ მან გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი ბრწყინვალე მონოგრაფიული ნაშრომი „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“, რისთვისაც ავტორს ივანე ჯავახიშვილის პრემია მიენიჭა; 88 წლისამ გამოსცა ძველი ასტროლოგიური ტრაქტატი „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“, 90 წლისამ კი — „ქილ-ეტრატის იადგარი“ (სათანადო გამოკვლევებითა და ენობრივი მიმოხილვით). ამავე ხანებში დაწერა „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც უკვე თარგმნილია და მალე გამოვა სომხურად და გერმანულად. ამ გრამატიკის გერმანულ თარგმანს ერთვის აგრეთვე ქრესტომათია, რომლის ლექსიკონიც ავტორმა სულ ახლახანს შეადგინა. დაბოლოს აქვე უნდა აღვნიშნოთ ათეულობით ახალი გამოკვლევა, რეცენზიები, შესანიშნავი მოგონებანი.

ჭეშმარიტად ეს არის მეცნიერული გმირობა, რომელიც მისაბაძ მაგალითად დარჩება მომავალი თაობებისათვის.

ამგვარი ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა ასეთი ხანდაზმულობის ასაკში საერთოდ იშვიათია, მაგრამ მეცნიერების ისტორიამ იცის ასეთი მაგალითები. აქ პირველ რიგში გვაგონდება ჩვენი დიდი წინაპარი, მეათე საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც 102 წელი იცოცხლა და ბოლომდე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა. მის შესახებ გიორგი მერჩულე წერდა: „რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებლად ახსოვდა. და აქუნდ ხმისა ნებიერობა და ტკბილობისა შუენიერებაჲ, ხოლო განსაკვირვებელ იყო ხსოვნებაჲ მისი... სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი. და მრავალ-გზის მოვიდიან წმიდანი იგი მამანი, წინამძღუარნი მონასტერთანი, მრავალთათვის მიზეზთა და სიბრძნითა მისითა პოვიან განსუენება ყოველსა ზედა საქმესა“.

დაე, კიდევ დიდხანს გაგრძელდეს აკაკი შანიძის ეს სულიერი მხნეობა, ეს მეცნიერული შემართება ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ და სასიქადულოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარგის ცაიშვილი

# ღვაწლი თვალსაჩინო, მნიშვნელოვანი

> სადაცა არნ ბრძოლაჲ, მუნცა არნ პატივი და სადაცა ღუაწლი — მუნცა გვირგვინი.
>
> იოანე ოქროპირი

სახელოვან მეცნიერსა და მამულიშვილს ალექსანდრე ბარამიძეს შეუსრულდა დაბადებიდან ოთხმოცი წლის თავი. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც იგი უშრეტი ენერგიით ემსახურება საშვილიშვილო საქმეს — ქართველი ხალხის უმდიდრესი კულტურის შესწავლასა და გამომზეურებას.

ათეული წლები ჩამოთავდა შრომასა და ძიებაში, ფიქრსა და ზრუნვაში. და დღეს მისი უმცროსი კოლეგები, მოწაფეები, მისი ნიჭისა და ღვაწლის პატივისმცემლები, სიამოვნებით ვავლებთ თვალს შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის სპეტაკსა და უანგარო ცხოვრებას.

წინასწარ კი შევნიშნავ, რომ თუმცა მეცნიერის ბიოგრაფია არ ყოფილა დატვირთული რალაც განსაკუთრებული ქარტეხილებით, საწუთისოფლო ტკივილი და უმადურების მსახვრალი ხელი არ დაპკლებია მას ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით მეცნიერის მოგონებები, რომლებიც დროგამოშვებით ქვეყნდებოდა ჟურნალ „მნათობში“ ამ რამდენიმე წლის წინ. საგულისხმო ცნობებთან ერთად, რომლებიც თანამედროვე ქართული კულტურის საკითხებს შეეხება, მკითხველი მათში თვალნათლივ დაინახავს ,რომ „დათმენა“ და „ჭირში არ გატეხა“ ისევე სჭირდება წიგნის კაცს, როგორც მამულიშვილობის სხვა ასპარეზზე გამოსულ პიროვნებას. აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის ცხოვრების გზა საქვეყნო საქმეთათვის თავდადებული ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითია. ქვემოთ, ვიდრე შევეხებოდე მის მეცნიერულ ღვაწლს, ორიოდე სიტყვით მინდა შევახსენო მკითხველს ჩვენი იუბილარის მიერ განვლილი გზა.

* * *

დაბა ლანჩხუთს სამხრეთით ჩამოუდის პატარა ხევისწყალა ორაგვის ღელე, რომლის აყოლებაზე მდებარეობს ასევე პატარა სოფელი ჯუნჯუათი, სადაც 1902 წლის 27 მარტს, სოფლის მასწავლებლის ოჯახში დაიბადა ალექსანდრე ბარამიძე. ოფიციალურ დოკუმენტებში, მეცნიერზე დაწერილ ბიოგრაფიებში თქვენ ამ პატარა სოფლის სახელს ველარ შეხვდებით, იგი მეზობელი სოფლისათვის შეუერთებიათ შემდეგში.

პირველდაწყებითი განათლება მომავალ მეცნიერს აქვე, დაბა ლანჩხუთში მიუღია. ერთ დროს სწავლობდა ფოთში, ხოლო საშუალო სკოლა მან 1920 წელს ხაშურში დაამთავრა.

მისდა საბედნიეროდ, ამ დროს არსებობის უკვე რამდენიმე წელს ითვლიდა დიდებული კერა ჩვენი კულტურისა — ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტი. სკოლის დამთავრებისთანავე ალექსანდრე ბარამიძე შედის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელსაც წარმატებით ამთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს 1925 წელს; სწორედ ამ ხანებში იგი უკავშირდება ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე ელიაშვილის ჩინებულ ოჯახს, რომლის ქალიშვილი — ნინო ივანეს ასული ელიაშვილი მისი ცხოვრების განუყრელი მეგობარი შეიქნა.

სულ მალე ნიჭიერ ახალგაზრდა მკვლევარს უნივერსიტეტში იწვევენ პროფესორობისათვის მოსამზადებლად; 1927 წლიდან იგი კორნელი კეკელიძის მიერ დაარსებული ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტია, 1932 წლიდან — დოცენტი. ალექსანდრე ბარამიძე უკვე ამ დროიდან კითხულობდა ლექციების კურსს ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში.

1936 წლის 7 მარტს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები" და იმავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

თავაულებელ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ალ. ბარამიძე წლების მანძილზე მუშაობდა და მუშაობს სხვადასხვა თანამდებობებზე ქართულ სამეცნიერო კერებში. 1944-1945 წლებში იგი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანია, 1945-1949 წლებში კი პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში.

1962 წლიდან, მისი დიდი მასწავლებლის კორნელი კეკელიძის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე ბარამიძე უძღვება უნივერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის კათედრას.

პირველი დღიდან, როცა 1942 წელს დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ალექსანდრე ბარამიძე ამ ინსტიტუტის თანამშრომელია. ჯერ ხელმძღვანელობს ახალი ქართული, ხოლო შემდეგ ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებას. 1957-1966 წლებში იგი რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია, ხოლო 1966 წლიდან ინიშნება ამავე ინსტიტუტის დირექტორად და დღესაც წარმატებით ხელმძღვანელობს ინსტიტუტში გაშლილ დიდ სამეცნიერო მუშაობას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იგი არ იფარგლებოდა მარტო უნივერსიტეტითა და მეცნიერებათა აკადემიით. ალ. ბარამიძე წლების მანძილზე მუშაობდა და კითხულობდა მეცნიერულ კურსებს ქუთაისის, გორის, თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების (დღეს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი) უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საფუძველი აღნიშნულ განყოფილებაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა მეცნიერულ აღწერა-სისტემატიზაციას.

1968 წლიდან იგი მთავარი რედაქტორია ქართველოლოგიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემისა, როგორიცაა ჟურნალი „მაცნე". აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში ჟურნალმა „მაცნემ" დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე მის საზღვრებს გარეთაც.

დაარსების დღიდან (1962 წ.) ალექსანდრე ბარამიძე, როგორც მთავარი რედაქციის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდ ფართოდ გაშლილ სამუშაოებში, რომლებიც ტარდება ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში და მიმართულია პოემის საუკუნეთა მანძილზე დამახინჯებული ტექსტის აღდგენისაკენ. 1973 წლიდან კი უკვე სათავეში ჩაუდგა მთავარ რედაქციას და როგორც მთავარი რედაქტორი, მძიმე და შრომატევად სარედაქციო სამუშაოებს ხელმძღვანელობს.

ალექსანდრე ბარამიძე, ამასთან, ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. საკმარისია ითქვას, რომ იგი წლების მანძილზე საზოგადოება „ცოდნის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია. 1970-იანი წლებიდან იგი თავმჯდომარეობს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს ფილიალს

1946 წელს ალექსანდრე ბარამიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი ამავე წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1953-1955 წლებში ასრულებს აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობას. 1960 წელს იგი ,როგორც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთი მეთაურთაგანი, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

* * *

ალექსანდრე ბარამიძემ დიდი წვლილი შეიტანა საზოგადოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში და მისი, როგორც მეცნიერის, ლიტერატურის ისტორიკოსის, დიაპაზონი ამ თვალსაზრისით ძალზე ფართოა.

მაგრამ მაინც თავისი კვლევა-ძიების უმთავრეს საგნად მეცნიერმა აირჩია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძნელესი და ნაკლებად შესწავლილი უბანი, რომელსაც მიღებული პერიოდიზაციით ძველი ქართული მწერლობა ეწოდება.

ეს კი მოღვაწეობის ისეთი ასპარეზია, რომელიც ნიჭს, გარჯასა და ღრმა განსწავლულობასთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულ მიზანსწრაფვას, დიდ გატაცებას. ალექსანდრე ბარამიძე, როგორც მეცნიერი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო მოღვაწე, ამ თვისებებით უხვად არის დაჯილდოებული.

იგი ღირსეული მოწაფე და გამგრძელებელია ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე კოჰორტისა, რომელთაც ჩვენი საუკუნის დამდეგიდან წმიდათაწმიდა მოვალეობად მიიჩნიეს ქართული მეცნიერების აღორძინება. ამ დიდი მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფი, როგორც ცნობილია, ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო. სწორედ, აქ აღიზარდა, პირველი წრთობა მიიღო ახალგაზრდა მეცნიერთა იმ თაობამ, რომელიც შემდგომში ასეთი წარმატებით გაუძღვა ქართული მეცნიერების სხვადასხვა მნიშვნელოვან უბანს.

ალექსანდრე ბარამიძე, დღეს სახელმოხვეჭილი მეცნიერი, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი აღზრდილთაგანია და ნიჭმორჩილთა კვალდაკვალ შეუბღალავი ღირსებით ეწევა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მძიმე ჭაპანს.

ხშირ შემთხვევაში პირველი გამარჯვება მომავალ წარმატებათა საწინდარი ხდება ალექსანდრე ბარამიძის ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოქვეყნებულ პირველ ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ა. შანიძე და იუსტინე აბულაძე. ახალგაზრდა მეცნიერი მაშინვე მიიჩნიეს საიმედო მეცნიერულ ძალად, რომელსაც ხელეწიფებოდა გაბედულად შებმოდა ქართული კულტურის ისეთი რთული უბნის შესწავლას, როგორსაც ძველი ქართული მწერლობა წარმოადგენს.

ხელდასხმა რომ უცთომელი გამოდგა, ამას თვალნათლივ ამტკიცებს ალექსანდრე ბარამიძის მთელი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა, ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა მან თანამედროვე ქართული ფილოლოგიის, კერძოდ კი ლიტერატურათმცოდნეობის წარმატება-განვითარების საქმეში.

ძველ ქართულ მწერლობას ყოველთვის ჰყავდა თავისი მესვეურები, ძველად და ახლო წარსულშიც. მაგრამ მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე მისი შესწავლა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში განხორციელდა. როგორც ცნობილია, ძველი ქართული მწერლობა მე 5-18 საუკუნეებს მოიცავს და მას, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ამშვენებს ისეთი სახელები როგორებიც არიან იაკობ ცურტაველი და გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი, ჩახრუხაძე და რუსთაველი, სულხან-საბა და ვახტანგ მეექვსე, გურამიშვილი და ბესიკი.

ძველი ქართული მწერლობა არაჩვეულებრივად რთულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების მთელ წყებას მოიცავს და მის შესწავლაში ფასდაუდებელი წვლილი [illegible]ილო დიდმა მეცნიერმა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ. მას ღირსეულად დაუმშვენა მხარი მისმავე მოწაფემ ალექსანდრე ბარამიძემ და, როგორც ეს ჭეშმარიტ მემკვიდრეთა წესია, არა მხოლოდ განაგრძო წამოწყებული საქმეები, არამედ თვითონვე დაუდო სათავე არაერთ ახალ მიმართულებას ამ დარგში.

მან მეცნიერული კვლევის საგნად უპირატესად ქართული საერო მწერლობა გაიხადა, რომელიც ჩვენში მე-11 საუკუნიდან იწყებს აღორძინებას და ერთ-ერთ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს შუა საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურაში. ალექსანდრე ბარამიძემ კორნელი კეკელიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული მწერლობის ერთიანი მეცნიერული კურსის შექმნა-ჩამოყალიბებას, რომელიც დღესაც სანიმუშოდ ითვლება და თარგმნილია კიდეც სხვა ხალხთა ენებზეც.

ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული კურსის შექმნას წინ უძღოდა დიდი და შრომატევადი სამუშაოები, რომელთა ერთი დიდი ნაწილის შესრულების პატივი სწორედ მეცნიერის სახელთანაა დაკავშირებული. სანიმუშოდ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს გავიხსენებ.

ალექსანდრე ბარამიძემ არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ქართული საერო მწერლობის თავისებურებებსა და წარმოშობის მიზეზებს, რაც დღესაც ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად ითვლება. სულ სხვაგვარად ისმოდა იგი გასული საუკუნის ბოლო ათეულ წლებში (იხ. ნ. მარის ცნობილი ნაშრომი «Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы». ჟურნ. ЖМНП. 1899, XII გვ. 222—253).

და სხვაგვარად ისმის დღეს, როცა წინაალმდეგ ადრე გამოთქმული მცდარი კონცეფციებისა, წარმოჩენილია ქართული საერო მწერლობის აღმოცენების რეალური მიზეზები და ეროვნული ფესვები. ალექსანდრე ბარამიძემ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, გარკვეული წვლილი შეიტანა თავისი შრომებით ზემოთდასახელებული პრობლემის შემდგომ დამუშავებაში.

მახვილი დაკვირვებებით გამოირჩევა მკვლევარის ნაშრომები ქართული კლასიკური მწერლობის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა ჩახრუხაძის „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“, რომელიც იოანე შავთელს მიეწერება. განსაკუთრებით ფასეულია მკვლევარის დასკვნები ამ უკანასკნელი ძეგლის შესახებ. აქ იგი საკუთარ დაკვირვებებს ეყრდნობა და განამტკიცებს ტრადიციულ შეხედულებას „აბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულმესიანის“ ქების ობიექტებზე. რაც დღესდღეობით აღიარებულ დებულებად ითვლება (ძეგლი ეძღვნება თამარ მეფისა და დავით სოსლანის განდიდებას).

ალექსანდრე ბარამიძე ერთი პირველთაგანია ქართველ მკვლევართა შორის, რომელმაც იმთავითვე ობიექტური მიდგომა გამოიჩინა და ღრმად, მეცნიერულად შეაფასა „ვისრამიანის“ სარგის თმოგველისეული ბრწყინვალე თარგმანი. აღნიშნა ისიც, რომ ამ თარგმანმა გარკვეულ ღირსებათა გამო ორიგინალური ძეგლის ტოლფასი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის, კერძოდ ქართული პროზის შემდგომ განვითარებაზე.

გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მკვლევარს ძველი ქართული მწერლობის ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ძეგლზე, როგორიცაა სავმირო-სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“. აღსანიშნავია, რომ თვით ნიკო მარისავე სიცოცხლეში ალექსანდრე ბარამიძემ უარყო და დაასაბუთა კიდეც მანამდე აღიარებული ნიკო მარის შეხედულების მცდარობა ძეგლის ორიგინალობის თაობაზე, ახლებურად გაარკვია „ამირანდარეჯანიანის“ შედგენილობისა და ლიტერატურული წყაროების საკითხი.

მკვლევარმა მონოგრაფიული ნაშრომები მიუძღვნა ძველი ქართული მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ავტორს. წლების მანძილზე მუშაობდა თეიმურაზ I, არჩილის, სულხან-საბას, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესიკის ბიოგრაფიის უცნობი ფურცლების ამოსაშიფრად, ყოველმხრივ იკვლევდა მათ შემოქმედებას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან, რაც უკვე თავისთავად მოასწავებდა სიახლეს ამ მიმართულებით (განსაკუთრებით ფასეულია მკვლევარის ღვაწლი გურამიშვილისა და ბესიკის ყოველმხრივი შესწავლის, აგრეთვე, ე. წ. აღორძინების ხანის მწერალთა თხზულებების მეცნიერულად გამოცემის საქმეში).

ალექსანდრე ბარამიძის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული კონცეფციის შემდგომ ახლებურად იხსნება გვიანფეოდალურ საქართველოში არსებული ლიტერატურული თუ სხვა სახის იდეოლოგიური ბრძოლების შინაარსი, თეიმურაზ პირველისა და არჩილის პოეტური მემკვიდრეობის თავისებურებანი. თეორიული ასპექტით იქცევს ყურადღებას დაკვირვებები „ადრეული რეალიზმის“ სანყისებზე, რაც ჩვენში არჩილის ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თუ ჩვენმა მეცნიერებამ დღეს ბევრად მეტი იცის ქართული მწერლობის ე. წ. „აღორძინების ეპოქაზე“ (მე-15, მე-18 სს), ამ საქმეში ფუძემდებლური ღვაწლი სწორედ ალექსანდრე ბარამიძეს მიუძღვის.

ფართო ერუდიცია, განსწავლულობა აღმოსავლურ მწერლობაში მკვლევარს ხელს უწყობდა წარმატებით ეკვლია ლიტერატურული ურთიერთობანი (განსაკუთრებით ქართულ-სპარსული, ქართულ-აზერბაიჯანული და ა. შ.). საყოველთაო აღიარებით იგი ამ დარგის ერთ-ერთი პიონერთაგანია ჩვენში. მისი ღრმა რწმენით (და მკვლევარმა ეს საქმითაც განამტკიცა) ამ ხაზით წარმართული კვლევა ოღონდაც სცილდება მხოლოდ ლიტერატურის სფეროს და აღიქმება ხალხთა ძმობა-დაახლოების კეთილშობილურ ფაქტორად, რადგან ეროვნულ შეზღუდოლობასა და იზოლაციისაკენ სწრაფვას მართლაც არცერთი ეროვნებისათვის არ მოუტანია სარგებელი.

ცნობილია ალექსანდრე ბარამიძის საგულისხმო ნარკვევები და წერილები ქართულ-რუსულ, ქართულ-უკრაინულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-სპარსულ, ქართულ-ტაჯიკურ თუ ქართულ-უზბეკურ ლიტერატრულ ურთიერთობათა სფეროდან. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა ალექსანდრე ბარამიძის ფუნდამენტური ნაშრომი და წერილების მთელი სერია ფირდოუსის „შაჰნამეს“ გარშემო, აგრეთვე ამავე ძეგლის ქართულ ვერსიებზე, რომლებიც ჩვენში „როსტომიანის“ სახელითაა ცნობილი.

მეცნიერი ახალგაზრდობის წლებიდანვე დაინტერესდა მსოფლიოში ისეთი სახელგანთქმული ძეგლით, როგორიცაა „ანვარი სოჰაილი“ ანუ „ქილილა და დამანა“. ამ ძეგლს საგულისხმო თავგადასავალი მოეპოვება ქართულ მწერლობაშიც და ქართულ მიმოქცევაში მისი მოხვედრა, როგორც ცნობილია, მიეწერება ისეთ დიდ სახელებს, როგორებიც იყვნენ ვახტანგ მეექვსე და სულხან-საბა ორბელიანი.

„ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ალექსანდრე ბარამიძემ გადაწყვიტა არა ერთი მანამდე ბნელით მოცული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი და ნათელი გახადა ამ შესანიშნავი ძეგლის ჩვენში გავრცელების ლიტერატურული ისტორია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ უკანასკნელი ნაშრომისათვის 1936 წელს ალექსანდრე ბარამიძეს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ლიტერატურლ ურთიერთობათა სფეროდან მნიშვნელოვანია გამოკვლევები „საიათნოვაზე“, „რუსუდანიანის“ ლიტერატურულ წყაროებზე, „ხოსროვშირინიანის“, ქართულ ვერსიებზე, აგრეთვე წერილები ფირდოუსიზე, ნიზამიზე, ალიშერ ნავოისა და აღმოსავლეთის სხვა გამოჩენილ მწერლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანმა მეცნიერმა საყურადღებო შრომები. გამოკვლევები მიუძღვნა კლასიკური ხანის თითქმის ყველა ძეგლს, მაგრამ მაინც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ბარამიძის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის განსაკუთრებული სიყვარულისა და გატაცების საგანია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა.

მრავალზე მრავალი გამოკვლევა უძღვნა მეცნიერმა ვეფხისტყაოსანს და თითქმის არ დარჩენილა რუსთველოლოგიის სფეროდან რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გამოქვეყნდა ალექსანდრე ბარამიძის პირველი რუსთველოლოგიური ხასიათის ნაშრომი. მე აქ ვგულისხმობ თავისი დროისათვის ძალზე საჭირო გამოკვლევას „ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის“ (უნივერსიტეტის მოამბე, 1928, ტ. IX). მასში წყაროების ჩაძიებული კვლევით სამართლიანად იყო უარყოფილი იმ ხანებში გახმაურებული ნაშრომის „რუსთაველიანას“ რამდენიმე ძირითადი დებულება. უკვე ამ გამოკვლევაში ჩანდა ავტორის სანიმუშო მეთოდოლოგია, პრინციპული პოზიცია.

აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნო მისი როგორც მკვლევარი-რუსთველოლოგის ერთი დამახასიათებელი თვისება. იგი არასოდეს არ მორიდებია ე. წ. „შავ სამუშაოს“, ამასთან ყოველი დასკვნა მის ნაშრომებში დამყარებული იყო წყაროთა ყოველმხრივი შესწავლის შედეგებზე.

სამაგალითოა კვლევის დიაპაზონიც. იგი ერთნაირი წარმატებით იკვლევდა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიის ურთულეს საკითხებს, ისე პოემის მხატვრულ კონსტრუქციას და მისი ავტორის მსოფლმხედველობას.

მეცნიერი წლების მანძილზე სწავლობდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მდიდარ მემკვიდრეობას და დაწვრილებით აღწერა კიდეც რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი. მას საკუთარი და სრულიად დამაჯერებელი მოსაზრებები აქვს გამოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი პლასტების დათარიღების თაობაზე და პოემის სიუჟეტის შედგენილობის საკითხებზე.

თავისთავად კი რუსთველოლოგია კომპლექსური დარგია და სცილდება კიდეც ლიტერატურის მეცნიერების ფარგლებს. იგი ისტორიის, ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის ისტორიის მიჯნაზეა მოთავსებული, ამდენად გასაგებია, თუ რა ფართო თვალსაწიერი სჭირდება მეცნიერს, რომელსაც მიზნად რუსთველოლოგიური საკითხების კვლევა დაუსახავს. „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი თანაბრად უნდა ერკვეოდეს როგორც კონკრეტულად ქართველოლოგიის მომიჯნავე დარგებში, ასევე საერთოდ შუა საუკუნეთა კულტურის სპეციფიურ საკითხებში. ამასთან იგი უნდა ითვალისწინებდეს მეზობელ ხალხთა სულიერი კულტურის მონაპოვართ, შეეძლოს როგორც უშუალო კავშირების აღმოჩენა, ისე ტიპოლოგიური კვლევის მეთოდების მომარჯვება.

ალექსანდრე ბარამიძე ყოველმხრივ მზადმყოფი შეეჭიდა რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას და თავისი კვალიც დაამჩნია მას. შეიძლება ითქვას, რომ იგი პარალელურად ვითარდებოდა როგორც მკვლევარი რუსთველოლოგიის აღმავლობასთან ერთად და ამასთან თვითონაც შეჰქონდა საპატიო წვლილი ქართული კულტურისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში.

ძნელია აქ, თუნდაც ორიოდე სიტყვით, ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომლებიც განხილულია მეცნიერის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში.

პირველ რიგში აღსანიშნავია მისი საგულისხმო ნაშრომები, რომლებიც ეხებიან პოემის სოციალურ გარემოს, ტიპაჟსა და „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრეს იდეურ მოტივებს. აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ეს ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში და ალექსანდრე ბარამიძე ამ მიმართულებით ერთი პირველთაგანი ავლებდა კვალს. ნაშრომების ავტორი არა მხოლოდ აღადგენდა მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიულ სურათს და უპირისპირებდა მას პოემის მხატვრულ სინამდვილეს, არამედ იკვლევდა ცალკეულ სპეციფიკურ საკითხებს თვით საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან და, რიგ შემთხვევაში, წარმატებით იყენებდა სწორედ პოემის მონაცემებს. მაგალითისათვის, აქ საკმარისია გავიხსენოთ მეცნიერის ნაშრომი ქართულ შუა საუკუნეთა ისეთი სოციალური ტერმინის თაობაზე, როგორიცაა „საკარგავი“ (პირველად დაიბეჭდა წიგნში „შოთა რუსთაველი“, 1958 წ. და დიდი გამოხმაურება გამოიწვია ქართველ ისტორიკოსთა, აგრეთვე სამართლის მცოდნეთა შორის. შდრ. შ. მესხია, „საკარგავის“ მნიშვნელობისათვის“, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, 1968 წ.) „ვეფხისტყაოსნის“ სოციალური გარემოსა და მასში დადასტურებული რეალიების მართებული ანალიზი დამაჯერებლად არკვევს აღნიშნული სოციალური ტერმინის ზუსტ შინაარსს (საკარგავი — საგამგეო, მეფის მოხელეთათვის მიცემული სამფლობელო სამსახურის ფასად, იგივეა რაც საკარგყმო), რასაც ამავე ეპოქის სხვა ისტორიულ წყაროთა მონაცემებიც უჭერს მხარს.

ფასეულია ავტორის ნაშრომები „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის თავისებურებათა გარშემო. მკვლევარი ამ შემთხვევაშიც უკუაგდებს მხატვრული ფაქტების იზოლირებული შესწავლის მეთოდს და ყოველ ცალკეულ შემთხვევას პოემის მთლიანობასთან მიმართებაში განიხილავს, არკვევს მის მხატვრულ ფუნქციას. პოემის მეტაფორული სტილის შესწავლის დროს მკვლევარი მარჯვედ ითვალისწინებს აგრეთვე აღმოსავლური პოეტიკის მონაცემებს, რომლებთანაც „ვეფხისტყაოსანი“ საგულისხმო შეხების წერტილებს ამჟღავნებს. ალექსანდრე ბარამიძემ პოემის მხატვრული ენის კვლევისას არაერთ საინტერესო მხატვრულ ხერხს მიაქცია ყურადღება და სპეციალური შესწავლის საგნად გახადა.

მკვლევარმა რამდენიმე ნაშრომი უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. მათ შორის აღსანიშნავია ცალკეული გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებზე, ძეგლის დაწერის თარიღზე და ა. შ. ძალზე ფასეულია ავტორის მახვილგონივრული დაკვირვებები პოემის დაწერის თარიღზე და პროლოგის ცნობილ მეტაფორულ ფრაზაზე („თამარს ვაქებდით მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული“). ამ უკანასკნელის არასწორმა ინტერპრეტაციამ, მისმა მოწყვეტამ პოემის საერთო მეტაფორული აზროვნების წესიდან, როგორც ცნობილია, არაერთი გაუგებრობა დაბადა, ხოლო ზოგიერთმა უცხოელმა მკვლევარმა უკანასკნელ წლებში (მაგ. დ. ლანგი) პოემის ტრადიციული თარიღის რევიზიაც კი სცადა. ნაშრომში „პოეტური მეტაფორის ენა და ევფხისტყაოსნის თარიღის საკითხი“ ალექსანდრე ბარამიძემ ღრმა და დამაჯერებელი პასუხი გასცა აღნიშნულ მკვლევართ. დიდძალი მასალის მოშველიებით ცხადჰყო, რომ პოემის დაწერის ტრადიციული შეხედულება (პოემა დაიწერა თამარისა და დავით სოსლანის ზეობის ხანაში, დაახლოებით 1189-1207 წლებში) მტკიცე საბუთიანობას ემყარება.

ასევე ერთი შეხედვით თითქოს არც ისე რთულია საკითხი, თუ ეპიკურ თხზულებათა რომელ ჟანრს განეკუთვნება რუსთაველის პოემა. „ვეფხისტყაოსანი“ მრავალფეროვანი მოტივებით აღსავსე რთულპლანიანი ეპიკური თხზულებაა, რომლისთვისაც ამასთან არაა უცხო ლირიკული შრეები და ცალკეული ნიაღვლები. ეპიკური ჟანრის განვითარებაში წარმოჩენილ მრავალ სიახლესთან ერთად მასში დანაშრევების სახით დასტურდება აგრეთვე ძველი ეპოსისათვის დამახასიათებელი არაერთი ელემენტი თუ მითოლოგიური შეფერილობის მქონე მოტივი. ყოველივე ეს კი იწვევდა და დღესაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარნი ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან პოემის ჟანრობრივი დეფინიციის საკითხში.

ალექსანდრე ბარამიძე არაერთხელ შეეხებია აღნიშნულ საკითხს, ხოლო ბოლო წლებში კლასიკურ ეპოქათა თხზულებების ჟანრობრივ მიმოხილვასთან ერთად, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის განსაზღვრას (პირველად დაიბეჭდა 1966 წელს საიუბილეო კრებულში „შოთა რუსთაველი“).

ავტორი თავისი დასკვნებით უარყოფს სხვა მკვლევართა მიერ ამ საგანზე ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებითაც პოემა ხან აღმოსავლური ტიპის „რომანტიკულ ეპოსად“ ცხადდება, ხან „რომანტიკულ პოემად“ ან „ნაციონალურ-რომანტიკულ ეპოსად“. ასევე, მიუხედავად საგულისხმო შეხვედრებისა, „ვეფხისტყაოსანი“ გარკვეულად შორდება დასავლურ რაინდულ რომანს. როგორც ეს ხატოვნად აქვს ნათქვამი ცნობილ ინგლისელ ლიტარატორს მორის ბოვრას, შოთა რუსთაველი მართლაც საკუთარ გზას ირჩევს მსოფლიო პოეზიის დიდ სარბიელზე.

აღნიშნულ ნაშრომში ალექსანდრე ბარამიძე გვთავაზობს, ჩემის აზრით, კვლევის თანამედროვე ეტაპზე სრულიად მისაღებ განსაზღვრას, რომ თავისი უმთავრესი ნიშნებით „ვეფხისტყაოსანი“ რომანტიკულ-გმირული პოემაა და, ამასთან, ჟანრობრივად თანამედროვე რომანის ერთი საგულვებელი წინამორბედი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ავტორის ნაშრომები, რომლებშიც მიმოხილულია „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები (სიყვარული და ქალის თაყვანისცემა, ძმობა-მეგობრობა, ქმადნაფიცობა და ა. შ.), რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები და „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილი ჰუმანიზმის ძირითადი ნიშნები.

ავტორი განუხრელად ატარებს თავის ნაშრომებში აზრს რუსთველის მსოფლმხედველობრივი მრწამსის გამომუშავებაში ქრისტიანული იდეოლოგიის მნიშვნელობაზე. ხაზგასმულია „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგიის აშკარად ეროვნული სულისკვეთება. ასევე დიდძალი დაკვირვებებია წარმოდგენილი ნაშრომებში, რომლებიც სპეციალურად იკვლევენ „ვეფხისტყაოსნის“ მრავალფეროვან ტიპაჟს.

ალექსანდრე ბარამიძის რუსთველოლოგიური ნააზრევი იმითაც გამოირჩევა, რომ მან ერთმა პირველთაგან სცადა ვეფხისტყაოსნის როგორც მხატვრული ძეგლის ტიპოლოგიური დახასიათება საშუალო საუკუნეების ამავე ხასიათის მსოფლიოს (როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის) მხატვრულ ქმნილებებთან შეპირისპირებით და ამ თვალსაზრისით

საგულისხმო დაკვირვებები წარმოგვიდგინა.

ალექსანდრე ბარამიძის მრავალწლოვანი რუსთველოლოგიური კვლევის შეჯამებაა ვრცელი მონოგრაფია „შოთა რუსთაველი" (პირველად გამოიცა 1968 წელს, მეორედ შევსებული და გადამუშავებული სახით 1975 წელს). კვლევა-ძიების მასშტაბით, ფართო ინფორმაციით, განზოგადებული დასკვნებით აღნიშნულმა მონოგრაფიამ დიდი აღიარება ჰპოვა არამარტო სპეციალისტთა შორის, არამედ მკითხველთა უფართოეს წრეებში, არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ფაქტიურად იგი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია და ამ ეტაპზე წარმატებით ცვლის რუსთველოლოგიის მეცნიერულ კურსს. ამ თვალსაზრისითაც წიგნი ქართველოლოგიის ძვირფასი შენაძენია.

ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია მეცნიერის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემების მომზადების, მათ შორის პოემის ახალი თარგმანების სრულყოფის საქმეში.

დასასრულ, ალექსანდრე ბარამიძის ფართო მეცნიერულ ინტერესებზე მეტყველებს ისიც, რომ მან არაერთი წერილი და გამოკვლევა მიუძღვნა მე-19 საუკუნისა და თანამედროვე მწერლობის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. იგი მხურვალე ინტერესს იჩენს თანამედროვე ქართული მწერლობისადმი და გულით ახარებს მისი ყოველი ახალი გამარჯვება.

* * *

ვინც ბატონ ალექსანდრეს ახლოს იცნობს მისთვის სავსებით ნათელია, თუ როგორ მიაღწია მან ასეთ დიდ წარმატებას. იგი მთელი არსებით შთაგონებულია თავისი საქმით. მართლაც გასაოცარი და მისაბაძია მეცნიერის ნაყოფიერება. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ასეული გამოკვლევა და წერილი, ცალკეული ვრცელი მონოგრაფიები და ნარკვევების შვიდი ტომი, რომლებიც დღეს უსაჭიროეს სამაგიდო წიგნებად ითვლება ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია საქართველოს კულტურული წარსულით, მისი სახელოვანი ისტორიით. მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი მისი მრავალი ნაშრომი დღეს თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, ხოლო მათი ავტორი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის მეცნიერულ წრეებში.

მუშაობის სტილითა და საქმისადმი ერთგულებით სანიმუშოა ალექსანდრე ბარამიძის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა. მან, როგორც მეცნიერ ხელმძღვანელმა, დიდი წვლილი შეიტანა მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში. იშვიათია დღეს ქართულ ფილოლოგიაში მომუშავე მკვლევარი თუ მასწავლებელი, რომელსაც არ მოესმინოს ალექსანდრე ბარამიძის საინტერესო ლექციები, მოხსენებები არ მიეღოს რჩევა-დარიგებანი.

ლექციებზე ტკბილმოუბარი, საჯარო პაექრობაში მკაცრი და ბოლომდე დაუზოგავი პოლემისტია. მას მეცნიერული სინდისი და პრინციპულობა კარნახობს, რომ ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯს მხურვალედ მიესალმოს, ხოლო გზა გადაუჭრას, ამხილოს ფსევდო-მეცნიერული „გამოკვლევები". ამას იგი სრულიად სამართლიანად, მეცნიერების განვითარების აუცილებელ პირობად თვლის.

წლების მანძილზე უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, არაერთი კულტურული წამოწყების მეთაური და მონაწილე ჩვეული ენერგიითა და პრინციპულობით უძღვება ჩვენი კულტურის მნიშვნელოვან უბნებს. კვლავაც აღვსილია სურვილით, რათა მომავალშიც ასეთივე თავდადებით ემსახუროს თავის მშობლიურ ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას — ერის იმედსა და მომავალს.

სახელოვან მეცნიერსა და მამულიშვილს 80 წელი შეუსრულდა. ეს კი ისეთი სოლიდური ასაკია, რომ თითქოს თავისთავად უნდა ითქვას ფრაზები „მხცოვანი მეცნიერი", „ხანდაზმული" და ა. შ. მაგრამ ალექსანდრე ბარამიძის მიმართ ასეთი ეპითეტები აშკარად ნაადრევი ჩანს. როგორც შესახედავად, ისე გუნება-განწყობილებით იგი ბევრად უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. მას შემონარჩუნებული აქვს ძველებური ხალისი და ცხოველი ინტერესი ყველაფრის მიმართ, რაც დღეს ხდება ჩვენში, თუ მის ფარგლებს გარეთ. ამაზე მეტყველებს აგრეთვე მისი საოცარი აქტივობა ყოველგვარ საზოგადო საქმიანობაში და არაჩვეულებრივი ნაყოფიერება მეცნიერულ მუშაობაში. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში ალექსანდრე ბარამიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული წერილი და გამოკვლევა, რომელთა ერთი ნაწილი შესულია ახლახან გამოქვეყნებულ ვრცელ კრებულში „ძველი ქართული მწერლობის პრობლემები" (1981 წ.).

რომელი ერთი გავიხსენოთ, ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ისღა დაგვრჩენია, რომ ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილ მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე ბარამიძეს ვუსურვოთ ძველ-ქართული მძლეობა და დიდხანს სიცოცხლე თავისი ხალხისა და მამულის საკეთილდღეოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ სიდამონიძე

# არშის ციხის თქმულებანი

დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს: „ხოლო ჩასავალს ქვეით არს, ჩრდილოთ კერძ. არაგვის დასავლით ციხე არშისა. თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალი კლდესა ზედა. მოზღუდვილ კლდითავე და შეუვალი კაცთა. მყინვარის კალთასა ზედა. აღმოსავლიდამ არაგვს ერთვის, არშას ქვევით, აჩხოტის ხევი".

XVIII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი წერს: „არშის ციხე, რომელ არს ციხე ხევისა".

თერგის თვალწარმტაც ხეობაში არსებობს ძველთაძველი სოფელი არშა თავის განთქმული ციხე-სიმაგრით. არშა საუკუნეთა მანძილზე გმირულად იგერიებდა საქართველოს ძველი მტრების: სპარსთა და არაბთა, ხაზართა და თურქთა, ყიზილბაშთა და მონღოლთა თავდასხმებს.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ არშის ციხე ოდითვე არაგვის ერისთავთა კუთვნილი ყოფილა.

არშის ციხე XIX საუკუნის 80-იან წლებში აღწერა გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტმა ა. კობაიძემ. მისი გადმოცემით არშის ციხის ფართობი, ერთობ დიდი ყოფილა. ციხის შიგნით 80-მდე ნასახლარი, 40-მდე სახლის კედლები ჯერ ისევ მთელი იყო. აქვე ყოფილა წმინდა გიორგის საყდარი. აქ მოხევეებს თოფის წამლის დამამზადებელი ქარხანაც ჰქონიათ და გვარჯილის სადუღებელი მასალები და ქვაბებიც. ციხის ახლოს, ქვიანზე კალოს ლეწდნენ და პური ციხეში შეჰქონდათ. მტრის ურდოებს ბევრჯერ მოუნდომებიათ ციხის დალაშქვრა, მაგრამ დამხვდურნი მედგრად დახვედრიან. მტერს ციხეში განძი და ლარი ეგულებოდა. ამიტომ ბევრჯერ შეკრეს ციხეში მისასვლელებიც, მაგრამ ამით არაფერი გამოუვიდათ.

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში არშის ციხეს მაჰმადიანი მოთარეშენი თავს დაესხნენ. გასწყვიტეს მეციხოვნენი და ციხე-სიმაგრეს დაეპატრონნენ.

მეციხოვნეთა უფროსმა ნადირა ხულელიძემ ცოლ-შვილი, ძლივს გადახვეწა. მტერმა სოფელი არშა აიკლო და ცეცხლს მისცა.

ნადირა ხულელიძე მალე ნუგზარ არაგვის ერისთავს ეახლა ანანურის ციხე-სიმაგრეში და საქმის ვითარება აუწყა. გაიმართა ბჭობა, რომელზედაც ნუგზარის შვილები: გიორგი, ზურაბი და დათუნა დაესწრნენ, გადაწყვეტილი იქნა: ნადირა ხულელიძე წაიღებდა რამდენიმე საპალნე ღვინოს, ხორაგეულს, და არშის ციხეში შეჭრილ მტერს მოჩვენებითი კეთილ-განწყობილებით შეურიგდებოდა და გაუერთიანდებოდა.

აბა მარტო ნადირა რას უნდა გამხდარიყო, მტერს სხვანაირად გაძლოლა სჭირდებოდა. ნადირამ ორლესულად იმარჯვა. ამ საქმეში თავისი ლამაზი ქალიშვილი თანდარაც მოიშველია. მას დაეკისრა შეიარაღებული და თავხედი მტრისათვის დიდი სუფრა გაეშალა და მრავალრიცხოვანი კაცისათვის მელვინეობაც გაეწია. თანდარამ დავალება ზუსტად შეასრულა: არშის ციხეში მოკალათებულ მტერს სუფრა გაუშალა და ერთი დღე-ღამის განმავლობაში მერიქიფეობაც გაუწია.

რამდენი განცდა, რამდენი ფიქრი, რა მოთმინება უნდა გადაეტანა თანდარას, რომ მტერს რაიმე საეჭვო არა ეგრძნო რა. მორცხვი ქალიშვილი მოთმინებით იტანდა მტრის ათასგვარ ბოროტ გამოხედვას, თუ სხვა საქციელს. თანდარასა თუ ნადირას ოდნავი საეჭვო მოძრაობა სიკვდილს უდრიდა. ეს კარგად იცოდნენ ნადირამ და თანდარამ. ამიტომაც ისინი ურყევნი იყვნენ თავიანთ გადაწყვეტილებაში, რათაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეესრულებინათ მამულიშვილური ვალი.

ხანგრძლივი პურობისა და სმის შემდეგ მთელი რაზმები მეთაურებიანად დათვრნენ და ძილს მიეცნენ. მამა-შვილმა თავისუფლად ამოისუნთქეს და გაიხარეს.

ნადირამ და თანდარამ ციხის კარები გაუღეს იქვე ღრმა ხეობაში ჩასაფრებულ ნუგზარ არაგვის ერისთავის რაზმებს, რომელსაც მისი შვილი გიორგი მეთაურობდა. მათ მტრის რაზმე-

ბის მეთაურები ამოხოცეს. დანარჩენებს იარაღი აჰყარეს და ტყვედ წაიყვანეს. არშის ციხეს კვლავ ქართველები დაეპატრონნენ. მეციხოვნეთა უფროსად კვლავ ნადირა ხუცესიძე ადიარეს.

ნადირა და თანდარა ხუცესიძეთა გმირობა და თავდადება ხალხმა ერთხმად აღიარა, ხოლო ნუგზარ არაგვის ერისთავმა მათ წყალობის სიგელი უბოძა.

აი, ეს სიგელიც: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა მამისა და სულის წმიდისა მეოხებითა, ყოვლად წმიდასა და ყოველთა წმიდათა მისთა, უკუნისამდე ჟამთა და წელთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძე მე, ნუგზარ არაგვის ერისთავმან, ჩემმა შვილმა გიორგიმ და ზურაბმა და დათუნამ, შენ ხუცესიძე ნადირას, შენსა ქალსა თანდარასა, ასე რომ ჩემი ერთგული ყმა იყავ და არშაში იდექი მეთოფეთ. მოგიხდეს კაცნი, შენ კინაღამ არ მოგკლეს, გადმოიხვეწე, ციხე წაგართვეს და თავიანთი მეთოფე კაცები შეიყვანეს, როდესაც ღმერთმა დრო მოგცა, ჩვენი ამბავი მოგწვდა, დაიწყე საქმობა და შეიტანე საპალნე ღვინო, გაუმასპინძლდი, ქალი მეღვინეთ დააყენე და დაათვრე ისინი, გაუღე კარი ჩემს შვილსა და შეუშვი ციხეში, რაც დასახოცი იყო დახოცა, რაც არა, ცოცხლად მოგგვარა. არა მოგიდგეს რა ჩემი კარზე იმის მეტი, რომ შენი სახლის მეტი არშის ციხეში არ იდგეს. ამ სამსახურისათვის ერთი საგოგონო და ნახევარი მამული „მახლაკური" (ეტყობა არშის სანახებში რომელიმე მამულს ეს სახელი ერქვა — ვ. ს.) სითარხნით (ე. ი. გადასახადისაგან გათავისუფლებული — ვ. ს.) მოგვიცია. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენ ერთგულებაზე და სამსახურის შინა".[1]

1612 წელს მტრებისაგან დევნილმა გიორგი სააკაძემ თავის ცოლ-შვილით და თანამებრძოლებით ჯერ დუშეთსა და ანანურის ციხე-სიმაგრეს, შემდეგ კი არშის ციხეს შეაფარა თავი. აქვე თავი შეაფარა აგრეთვე არაგვის ერისთავმა ნუგზარმა თავის ოჯახიანად. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე წერდა: „არზა მოუვიდა ყაენსა (ირანის შაჰი — ვ. ს.), რომ არშის ციხე აილესო და საერისთაო ალათანგს (ხერხეულიძე — ვ. ს.) მიაბარესო".

როცა არაგვისა და თერგის ხეობები ქართლის მეფე ლუარსაბის ჯარებმა დაიკავეს, გიორგი სააკაძე და ნუგზარ არაგვის ერისთავი ჯერ საგურამოზე და შემდეგ ლოჭინის ხეობით მტკვრის გაღმა, მდინარე მტკვარზე ყურუტას ფონზე გასვლით, გაგის-ციხეში მივიდნენ. იქიდან კი ირანში წავიდნენ.

1625 წელს, სპარსთა წინააღმდეგ ქართლის სახალხო აჯანყების დღეებში, თვით ამ აჯანყების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის გიორგი სააკაძის განკარგულებით, ქართველთაგან განდგომილი და მტრის მხარეზე გადასული ქართველი თავადი ანდუყაფარ ამილახვარი, თავის ახალგაზრდა ცოლით, არშის ციხეში გაგზავნეს და იქ ჩაკეტეს, რათა ხელი არ შეეშალა აჯანყებისათვის.

მოხევეებმა ამაზე ნახევრად სახუმარო ლექსი გამოუთქვეს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

ყმაწვილო, არშის ციხესა,
არ შენისთანა ყმა უნდა,
ჩავეა ჩამტანი აბჯართა,
ამომტანელი სხვა უნდა...

მარაბდის ცნობილი ომის შემდეგ სპარსელები შეეცადნენ გაეტეხათ არშის ციხე და ანდუყაფარ ამილახვარი თავის ცოლითა და მხლებლებით გაეთავისუფლებინათ.

სპარსელებს არაგვის ხეობით შეეძლოთ ხევში ასვლა და არშის ციხემდე მიღწევა. ამისათვის კი საჭირო იყო ზურაბ არაგვის ერისთავთან და მის ძმებთან მოლაპარაკება. (ნუგზარ არაგვის ერისთავი ამ დროისათვის უკვე ხუთი წლის გარდაცვლილი იყო).

მართლაც, სპარსთა სარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა (ანდუყაფარის ცოლი — ამ სარდლის შვილი იყო), ზურაბ არაგვის ერისთავს შეუთვალა: მოგვეცი ნება არაგვის ხეობაზე ავლისაო, ზურაბმა, გიორგი სააკაძესთან, იასე ქსნის ერისთავთან და ქაიხოსრო მუხრან ბატონთან შეთანხმებით, ისა-ხან ყორჩიბაშს შემოუთვალა: მე თანახმა ვარ არაგვის ხეობით არშაში ახვიდეთ, მაგრამ იმ პირობით, რომ იქიდან ქსნის ხეობაზე ჩამოიაროთ, თორემ ჩემს მამულს ძალა დაემართებაო.

ეს მართლაც ასე მოხდა. სპარსელებმა დადებული პირობა შეასრულეს, სპარსთა გაძლიერებულმა რაზმებმა არაგვის ხეობაზე აიარეს

1 ნადირა და თანდარა ხუცესიძეთა გმირობის ამბავი ხალხში იყო გავრცელებული. გადმოცემა თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ილია ჭავჭავაძემ ეს ამბავი გამოიყენა თავის სწორუპოვარ „მგზავრის წერილებში". ილიასა და ლელთ ღუნიას საუბრის ერთი ნაწილი ამ გადმოცემაზეა დამყარებული.

ხუცესიძეთა შთამომავლობას ნუგზარ არაგვის ერისთავისეული ეს ისტორიული სიგელი (ხბოს ტყავზე დაწერილი) შემონახული ჰქონიათ XIX საუკუნის 90-იან წლებშიაც, სოფელ გაიბოტენში: ეს სიგელი დედნიდან გადაწერა და ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიას" რედაქციას გაუგზავნა, ამავე გაზეთის კორესპონდენტმა გაბრიელ ბედოშვილმა. („ივერია", 1889 წ. № 189). რადგან ეს სიგელი ხუცესიძეების კუთვნილი იყო და შემონახული ჰქონდათ, შესაძლებელია გადარჩენილია. მისი მოკვლევა და აღმოჩენა დიდად საინტერესო იქნებოდა ქართული საისტორიო მეცნიერებისა და სიგელთმცოდნეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არშის ციხეს მიალწიეს. ციხე მცირე დაცვით დაუხვდათ და გიორგი სააკაძის საიდუმლო ბრძანებით, რაც ადრევე ჰქონდათ მიღებული, მოჩვენებითი ბრძოლის შემდეგ ანდუყაფარი და მისი ცოლი სპარსელებს გადასცეს. სპარსელნი არშიდან ქსნის ხეობით უკან დაბრუნდნენ. აქ გიორგი სააკაძესა და მის თანამოსანგრეთ სიმაგრეები აეგოთ და სპარსთა ჯარი შუაში მოიმწყვდიეს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს.

ამ ბრძოლაში გიორგი სააკაძესთან ყოფილან მოხევენიც. ერთ ხალხურ ლექსში იხსენიება არშელი გმირი ვაჟკაცი გივი გოგბაიძე, რომელმაც იმ დროის დიდ ბრძოლებში თავი ისახელა:

გივი, სამ წამოვიდოდა,
ის გოგბაიძე ფარით,
ჩასულა სააკაძესთან,
სიმაგრეს მისცა მხარით:
გაბრუნებს ქსნურო წისქვილო
ურუმთა სისხლის ღვარით.

არსებობს ხალხური თქმულებანი არშის ციხეზე. ზოგი მათგანი XVIII საუკუნის ამბებს ეხება, ე. წ. ლეკიანობას. ეს გადმოცემები ა. კობაიძეს არშის მცხოვრებ მოხუცებულ გოგბაიძისაგან ჩაუწერია XIX საუკუნის ბოლო ათეულ წლებში.

ოდესღაც არშის ციხეში, მრავალ მლოცველთა შორის, წმინდა გიორგის დღეობაზე მოვიდა გუდამაყრელი ნადირა. ამ ნადირას ცოლი ლამაზი იყო. არაგვის ერისთავს ეს ქალი ძალიან მოეწონა და ქმრისთვის წართმევა მოინდომა. ხევის ხალხმა ეს ძლიერ ითაკილა და ერისთავს ხვეწნა დაუწყო: ნუ შეგვარცხვენ, ნუ მოგვაყივნებო, მაგრამ ერისთავმა თავისი არ დაიშალა. მაშინ ნადირამ იძრო ხმალი და ბოროტი ერისთავი იქვე განგმირა. ხალხმა ამის სახსოვრად ერისთავის სისხლით კლდეზე ორი ჯვარი გამოსახა.

არშის ციხეში წყალი ფარული მილით იყო გამოყვანილი. თავიანთ ფეოდალებს ხშირად მოჰყავდათ ლეკები საქართველოს ასაკლებად. ერთხელ, შიშიანობის დროს, ხევის ხალხი არშის ციხეში შეიკეტა. ლეკის ჯარი ქვეყანას შემოესია და არშას მიადგა. ბევრი იბრძოლეს ლეკთა, მაგრამ ციხე ვერა და ვერ აიღეს

ლეკებმა წყლის მილის ძებნა დაიწყეს. ერთმა ლეკმა მიაგნო და თხრა დაიწყო. ეს შეამჩნია ერთმა არხოტელმა. ლეკს თოფი ესროლა და მოკლა. ლეკები ბევრს ეცადნენ, მაგრამ წყაროს სათავე ვერა და ვერ იპოვეს. ვერც ციხე აიღეს და ისევ შინ დაბრუნდნენ.

ლეკები არშას მაინც არ ეშვებოდნენ და მალე კვლავ გარს შემოერტყნენ. ამჯერადაც ბევრს ეცადნენ, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. მაშინ ხერხი იხმარეს. ღამით ურნაგირები შეკრეს და კიბე გააკეთეს. ლეკთა ბელადი კიბეზე ავიდა და ის-ის იყო ციხეში გადადიოდა, რომ დარაჯმა გაუგო და იქვე მოკლა. ლეკები დამარცხდნენ და შერცხვენილნი უკუიქცნენ. ამის შემდეგ ლეკებს დიდი ჯავრი ჩაუყვათ არშელებისა.

არშის ციხე-სიმაგრეშივე დაიბადა სოფელ არშის მკვიდრი ღურმა ბაზალი, რომელიც XVIII საუკუნის ქარიშხლიანი დროის სახალხო გმირია. ღურმა ბაზალი ბავშვობიდანვე მკაცრი, მაგრამ ლამაზი ბუნების წიაღში აღიზარდა. მისი სოფლის მიდამოს თავს დასცქერის ზვიადი მთების პატარძალი — მყინვარწვერი.

ჯერ კიდევ ყმაწვილი ღურმა ბაზალი თავის თანატოლებთან ერთად არშის ციხის კედლებზე ასვლასა და გოდოლების დაპყრობას სწავლობდა; მომავალი გმირი ხშირად ისმენდა მამა-პაპათა გმირულ ამბებს, სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში სახელს რომ იხვეჭდნენ. იყვნენ გულადნი და პურადნიც.

ხალხი ღურმა ბაზალს ათქმევინებს:

არშის კლდეს ვეფხვი ავკუწე,
სამჯერ საომრად მეტია,
ვაჟკაც გულადზე პურადი
სამი გაფრენით მეტია.

ღურმა ბაზალი, ისე, როგორც ყველა მოხევე, პირველ დაძახებისთანავე მეფე ერეკლეს ლაშქარში მიდიოდა და ცდილობდა გმირის სახელი დაეგდო.

ღურმა ბაზალს უკანასკნელად მოუხდა ბრძოლა ერეკლეს ლაშქრობის დროს განჯაში. აქ მან, როგორც იტყვიან ხოლმე, საარაკო გმირობა ჩაიდინა: თვითონ თანამებრძოლთა გუნდით მოულოდნელად მიუხტა განჯის ციხე-სიმაგრეს და კარები გატეხა. უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება მას დარჩა, დაამარცხა მტრის რაზმის მეთაური და მისი ლახტიც თან წამოიღო.

გამარჯვებული ღურმა ბაზალი მშობლიურ სოფელ არშაში დაბრუნდა. მეფე ერეკლეს ბრძანებით განჯის ციხის ჯაჭვიანი კლიტე მას უადასცეს, როგორც გამარჯვების ჯილდო. გმირმა თან ჩამოიტანა აგრეთვე მტერზე წართმეული ლახტი, რომელსაც თათრული წარწერა ჰქონდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში არშის ციხეში ღურმა ბაზალის მიერ განჯიდან ჩამოტანილი ჯაჭვიანი კლიტე და ლახტი თავის თვალით ნახა „ივერიის" კორესპონდენტმა.

ღურმა ბაზალის შთამომავალნი და სხვა მოხევენი ყოველთვის სიამაყით წარმოთქვამდნენ გმირი წინაპრის სახელს და ეს გამართლებულიც იყო.

ხალხმა ღურმა ბაზალი გმირად აღიარა და მასზე ლექსებიც გამოთქვა.

არშას ბაზალი ღურმაი
ვეფხვი კლანჭებზე დგებაო,
განჯას შაჰგლიჯა კლიტენი,
ჩემ არშას მაუხდებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებელია, ეს ლექსი ნაწყვეტი იყოს ღურმა ბაზალის შესახებ ხალხში არსებული ლექსების ციკლისა ან ხალხური ბალადისა.

მართალია, სახალხო გმირის ღურმა ბაზალის სახელი ისტორიამ წერილობით წყაროებში არ შემოგვინახა, სამაგიეროდ ხალხმა მას თავის გულში ხელთუქმნელი ძეგლი აღუმართა და ასე გადასცა შთამომავლობას.

არშის ციხის თქმულებასთან დაკავშირებულია სახალხო გმირის ავსაჯან ლუდუშაურის სახელიც. იგი სოფელ სნოს მკვიდრი იყო, სოფელ სნოს მოსახლეობა ადრე თურმე ძირითადად ლუდუშაურებისაგან შედგებოდა. მათი სოფელი, ისე როგორც სხვა სოფლები, მტრის ხშირ თავდასხმას განიცდიდა. სნოსა და არშის ციხეები საბრძოლო მეგობრობით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული.

ერთხელ, გაზაფხულს, ლეკის დიდძალი ლაშქარი ხევს დაეცა. ვინც მოასწრო, არშის ციხეში შეიხვეწა, გადარჩა, ვისაც ლეკებმა მოასწრეს, დაატყვევეს; მტერი არშისა და სნოს ციხეებს შემოადგა.

მოხევენი ამ ციხე-სიმაგრეებში გამაგრდნენ და წარმატებით იგერიებდნენ მტრის თავდასხმებს. ერთი კვირის გმირული ბრძოლის შემდეგ სნოს ციხეში თოფის წამალი შემოაკლდათ. ციხეს თითქოს საშუალება ესპობოდა გადარჩენისა, მაგრამ ეს გაჭირვება მალე არშელებმა შეიტყვეს და გადაწყვიტეს დახმარებოდნენ. დახმარების აღმოჩენა კი გმირულ თავგანწირულებასთან იყო დაკავშირებული. ციხეთა შორის ორნახევარი-სამი კილომეტრის მანძილი მთლიანად მტერს ეჭირა. საჭირო იყო მტრის ალყაში გასვლა, სნოს ციხეში მისვლა და თოფის წამლის მიტანა.

დიდხანს გაგრძელდა ბჭობა არშის ციხეში, მაგრამ განა ადვილი იყო ვინმეს სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება? მოძმეთა დახმარება კი აუცილებელი იყო. მაშინ წინ წამოდგა გმირი ავსაჯან ლუდუშაური და ხალხს განუცხადა: მე გავწირავ თავს და სნოს ციხეში თოფის წამალს მივაშველებო. ხალხი აღაფრთოვანა ავსაჯანის გმირობამ და თავის მხრივ გმირს ფიცი დაუდო: „ჩვენს თემში ქალი უთხოვარი იყოს და სუფრა უწევარიო", რაც შემდეგს ნიშნავდა: ავსაჯანის შთამომავალთ ქალი სასძლოდ არავინ უნდა დაუჭიროს და სუფრაზე დაპატიჟებაც არ უნდოდეს, თვითონ უკითხავად მივიდესო.

ავსაჯან ლუდუშაურმა იარაღი აისხა, ჩაიცვა მტრის ტანისამოსი, ზურგზე გუდა-ნაბადი მოიგდო და თამამად გაუდგა გზას. მტრის ალყა გაარღვია და სნოს ციხეში მივიდა. სნოელთ თოფის წამლის მიტანით გული მოეცათ და მტერი დაამარცხეს. უშიშარმა გმირმა ავსაჯანმა ბრძოლით გაიკაფა გზა და კვლავ არშის ციხეში დაბრუნდა.

ხალხმა ავსაჯან ლუდუშაური გმირად აღიარა; დღემდე შემორჩენილია ხალხური ლექსი ავსაჯან ლუდუშაურზე:

სნოს ციხემ მაშინ შასტირა,
თვალები დაისველაო;
ნეტავი ჩემთა მეთოფეთ
ყელნი ვინ გაუსველაო;
ან ცოტა პური მიჭმივა,
ან ძილათ მამისვენაო;
თოფი ვინ დაუგრიალა,
წამალი დამისველაო.
შარამბალ ლუდუშაურო,
კაცი გამოხველ რა ხელი,
შენ მოჰკალ მტრისა ბელადი,
კარზე გეკიდა თავ-ხელი.

სახალხო გმირმა ავსაჯან ლუდუშაურმა საფუძველი დაუდო ხევში გავრცელებულ ერთ ქართულ გვარეულობას, ხალხმა გმირის შთამომავლებს გვარად ავსაჯანიშვილი დაუმკვიდრა.

არშის ციხეზე ხალხმა შექმნა ლექსი, რომელიც შედარებით ახალი დროისაა, მაგრამ მასში ძველი დროის ამბებია გადმოცემული. მისი ავტორ-მთქმელი ვინმე ლაზარეს მწყემსი ნადირა ყოფილა.

არშისა ციხევ, მაგარო,
ნაშენო თლილის ქვისაო,
თოფების სროლა გაისმის
გაავებული მტრისაო.
მოხევეთ ხალხის დამცველო,
მაგრად მჭირველო გზისაო,
შენის ციხობის სიმაგრით
მტერი მკვდრად გდია ძირსაო.
ბევრს დარჩა შენგნით სახელი,
ერთ საბაურის შვილსაო,
უნაგირაზე ავლისა,
ქვა თავჩი დაჰკრა გმირსაო.
ზეითით ჩამოვარდნილმა,
კვნესა დაიწყო ძირსაო,
შეშინებული მტრის ჯარი
ქოით ჭალაში რბისაო.
ციხიდან კვნესა მოისმის
ორი დაჭრილი ძმისაო.
შორიდან გამონასროლი,
ისარი მოხვდა მტრისაო.
ბევრჯერ გვიხოცავს ლეკები,
მტერს კიდევ ვაჭმევთ ჭირსაო,
მშვიდობით... არ დაივიწყებს
სამშობლო თავის გმირსაო.
ეს ლექსი ცხორში დავწერე,
ციხისკენ მქონდა თვალია,
სახელად გითხრათ ნადირა,
ლაზარეს მწყემსი ვარია;
ვწერდი და მაგონდებოდა
მშივრად არ დამრჩეს ცხვარია.

ასეთია არშის ციხის თქმულებანი, რომელთა მოკვლევა და შეკრება ჩვენ მოვახერხეთ.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ